

501
1969
~ 76-77

ს. ნოთალი ღროზის ორდენისა და
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის
ბიბლიოთეკა



76-77

შ რ მ ვ ე ბ ი

LXXVI—LXXVII

Т Р У Д Ы

Грузинского ордена Трудового
Красного Знамени
сельскохозяйственного института

ბრომის წითელი ღრუვის ორდენოსანი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი



ბრომის წითელი
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

ბ რ ო მ ე ბ ი

LXXVI—LXXVII

Т Р У Д Ы

Грузинского ордена Трудового
Красного Знамени
сельскохозяйственного института

5333/

- 11.531 -

19 თბილისი 69



მოწონებულია ზრომის წითელი ღრომის ორდენისა და
საპარტვილოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორის მიერ

ОДОБРЕНО БОЛЬШИМ СОВЕТОМ ГРУЗИНСКОГО СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОГО
ТРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ ИНСТИТУТА

სარედაქციო კოლეგია

მეც. დამსახ. მოღვაწე, პროფ. ი. ფ. სარიშვილი (მთ. რედაქტორი), მეც. დამსახ.
მოღვაწე, პროფ. ი. ლ. ქაშიშვილი, მეც. დამსახ. მოღვაწე, დოც. გ. ა. ზვიადაძე, მეც. დამსახ.
მოღვაწე, პროფ. ლ. ლ. დეკაპრეღევიჩი, მეც. დამსახ. მოღვაწე, პროფ. ვ. ი. ქან-
თარია, მეც. დამსახ. მოღვაწე, პროფ. ნ. კ. ლაქვეჯიანი, მეც. დამსახ. მოღვაწე,
პროფ. ხ. ბ. შალამბერიძე, მეც. დამსახ. მოღვაწე, პროფ. ი. ლ. აბაშიძე, მეც.
დამსახ. მოღვაწე, პროფ. ნ. ვ. პაიჭაძე, მეც. დამსახ. მოღვაწე, პროფ. ლ. ი. ებანოიძე,
მეც. დამსახ. მოღვაწე, პროფ. ი. შ. დოლიძე, მეც. დამსახ. მოღვაწე, პროფ. გ. ი. შხვა-
ცაბაია, დოც. ს. პ. ნიკოლაიშვილი, დოც. პ. ვ. შიქვლაძე, დოც. შ. მ. ხატია-
შვილი, დოც. პ. ს. გვარამაძე, ე. შ. ჩიხლაძე (პ/მგ. მდივნი).

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Заслуж. д. н., проф. И. Ф. Сарисвили (гл. редактор), заслуж. д. н.,
проф. И. А. Джаши, заслуж. д. н. доц. Г. Э. Звиаддзе, заслуж.
д. н., проф. Л. А. Декапрелевич, заслуж. д. н., проф. В. И. Кан-
тария, заслуж. д. н., проф. Н. К. Лачкениани, заслуж. д. н. проф.
Х. Б. Шаламберидзе, заслуж. д. н., проф. Я. А. Абашидзе,
заслуж. д. н., проф. Н. В. Паицадзе, заслуж. д. н., проф. А. И. Эба-
ноидзе, заслуж. д. н., проф. И. М. Долидзе, заслуж. д. н., проф.
Шхвацабая, доц. С. П. Николаишвили, доц. П. В. Микела-
дзе, доц. Ш. М. Хатишвили, доц. П. С. Гварамадзе,
К. Ш. Чихладзе (отв. секретарь).



დოკ. შ. ანთიმე

**საქართველოს ქალთა როლი საზოგადოებაში
გამარჯვებისათვის ბრძოლაში**

ქალთა განთავისუფლება და მამაკაცთან მისი თანასწორუფლებიანობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაში. ქალთა საკითხის გადაწყვეტა მჭიდროდაა დაკავშირებული პროლეტარიატის ბრძოლასთან კაპიტალიზმის წინააღმდეგ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ექსპლოატატორული წყობილების მოსპობასა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებასთან. ქალთა განთავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლა ორგანული ნაწილია პროლეტარიატის საერთო ამოცანებისათვის განთავისუფლებისათვის, კლასობრივი საზოგადოების ლიკვიდაციისა და კომუნისმის გამარჯვებისათვის.

კ. მარქსის აზრით დიდი საზოგადოებრივი გადატრიალებანი შეუძლებელია მოხდეს ქალთა მონაწილეობის გარეშე.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შეხედულებანი პროლეტარული მოძრაობის ძირითად საკითხებზე და მათ შორის მშრომელ ქალთა მოძრაობის შესახებ იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქაში, რუსეთისა და საერთაშორისო მოძრაობის გამოცდილების საფუძველზე ყოველმხრივ დაამუშავა და განავითარა ვ. ი. ლენინმა.

ვ. ი. ლენინის შეხედულებით პროლეტარიატი ვერ მიიღწევს სრულ განთავისუფლებას ისე თუ არ მოიპოვავს სრული თავისუფლება ქალებისათვის... რევოლუციის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მონაწილეობენ მასში ქალები¹.

სწორედ ამიტომ საკითხი კაპიტალისტური მონობისაგან მშრომელ ქალთა განთავისუფლების, მათი მდგომარეობის ძირფესვიანი გაუმჯობესების, მამაკაცებთან ქალთა ფაქტიური გათანასწოების, მშრომელთა ხელისუფლების მომპოვებასა და განმტკიცებაში, ქვეყნის პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში ქალთა აქტიური მონაწილეობის საკითხი—ყოველთვის წარმოადგენდა ჩვენი პარტიისათვის პირველი რიგის მეტად მნიშვნელოვან ამოცანას.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 208—209.



კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მისი ყოველდღიური სრულყოფილი და დაუღალავი მუშაობის შედეგად რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ დაწესებული ატაბურული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში, რითაც კიდევ უფრო აძლიერებდნენ ამ მოძრაობის სახალხო ხასიათს.


პროლეტარიატის ექსპლოატაციის განსაკუთრებული სისასტიკე, სოფლად გლეხობის სიღატაკე, ხალხის ცხოვრების დონის უკიდურესი დაცემა, რასაც თან ახლდა ჩავერის ყველა სახეობის შეხამება თვითმპყრობელობის პოლიტიკურ დესპოტიზმთან, საქართველოს მშრომელთა და მშრომელ ხალხთა მდგომარეობას კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა და მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხებთან ერთად რაზმავდა მათ არსებული წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად.

საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებში ფართოდ იყო გამოყენებული ქალთა და ბავშვთა შრომა, რომელიც მუშა მამაკაცების შრომასთან შედარებით თანაბარ პირობებში გაცილებით იაფად ფასობდა. მაგალითად ქიათურის მარგანეცის წარმოებაში ქალის დღიური ხელფასი ძლიერ აღწევდა 60 კაპიკს, ბავშვის 25 კაპიკს, ხოლო მამაკაცის 1 მანეთსა და 50 კაპიკს. თბილისის თამბაქოს ფაბრიკაში მომუშავე ქალების დღიური ხელფასი შეადგენდა 25 კაპიკს. არ არსებობდა შრომის დაცვის კანონები. საფაბრიკო კანონმდებლობით ფეხმძიმე ქალთა შრომის არავითარი შეზღუდვა ან შემსუბუქება არ იყო. რაკი დახმარებას არ აძლევდნენ და სამუშაოს დაკარგვისა ეშინოდა, ქალი თითქმის მშობიარობის დღემდე მუშაობდა და შემდეგ ისე გამოდიოდა სამუშაოზე, რომ მოლონიერებული არ იყო. სწორედ ამიტომ ხშირი იყო შემთხვევა მუშა ქალებში მუცლის მოშლის, ნაადრევი მშობიარობის და ყოველგვარი ქალური დაავადების გავრცელებისა. სამშობიარო დაწესებულებათა არარსებობის გამო ქალი მოკლებული იყო ყოველგვარ სამედიცინო დახმარებას, სრულიად არ იყო დაცული დედისა და ბავშვის ინტერესები. კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ მარტოხელა დედები.

ამგვარად, ისე როგორც მთელ ქვეყანაში, საქართველოშიც კაპიტალიზმის განვითარებამ შექმნა მკირე ხელფასის მქონე პროლეტარ ქალთა არმია, დედები მოსწყვიტა შვილებს და მინიმალურადაც ვერ დააკმაყოფილა მათი ოჯახები. ცუდ სამუშაო, საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობებს დაემატა ქალთა საზოგადოებრივი უფლებების შელახვა. ყველაფერი ეს ობიექტურ პირობებს ჰქმნიდა იმისათვის, რომ პროლეტარი ქალები მთელ პროლეტარიატთან ერთად რევოლუციური მოძრაობის დროშის ქვეშ დამდგარიყვნენ.

უმინაწყო, უუფლებო, დაბეჩავებული პოლიტიკურად და ეკონომიურად, შეუსვენებლივ მომუშავე მინდორსა და ოჯახურ მეურნეობაში, რომელიც მაინც თავს ვერ აღწევდა სიღატაკეს—ასეთი იყო რევოლუციამდელი საქართველოს გლეხი ქალი, რომელიც სოფლად შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო ბუნებრივი მოკავშირე იყო მუშა ქალებისა.

საქართველოს მშრომელი ქალები მხურვალე მონაწილეობას ღებულობდნენ ჩვენი პარტიის მიერ მოწყობილ მუშათა გაფიცვებსა და დემონსტრაციებში, უნარიანად მუშაობდნენ არალეგალურ სტამბებში, აწყობდნენ რევოლუციური ლიტერატურის გავრცელებას, მეფის მთავრობისა და კაპიტალისტ-



ბის წინააღმდეგ ეწეოდნენ პროპაგანდას, ორგანიზაციულ მუშაობას, ლეგალიზაციას, პოლიტიკურ აღზრდას.

საქართველოს ქალებმა თავი გამოიჩინეს, როგორც 1898—1907 წლებში ჩატარებულ მუშათა და გლეხთა გამოსვლებში, ისე განსაკუთრებით 1907 წლების რევოლუციაში, რაც სათანადოდ აისახა არა მარტო ქართულ პერიოდულ ლიტერატურასა და მდიდარ საარქივო დოკუმენტებში, არამედ რუსულ წყაროებშიც. ამის შესახებ თავის ფურცლებზე არაერთხელ აღუნიშნავს გაზეთი „ისკრას“.

1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოს მუშებისა და გლეხებისათვის, მუშა და გლეხ ქალებისათვის ბრძოლის დიდ სკოლას წარმოადგენდა, რომელმაც ნათელყო ბოლშევიკური პარტიის მიზანი და ამოცანები, დაადსტურა შემოქმედებითი მარქსიზმის დიდი სასიცოცხლო ძალა; ხალხმა რევოლუციაში შეიძინა საყოველთაო გაფიცებისა და შეიარაღებული აჯანყების უდიდესი გამოცდილება, რაც გამოყენებულ იქნა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლებში.

რევოლუციის დროს ბოლშევიკები შეტევას სწავლობდნენ, რევოლუციის დამარცხებამ კი მათ ასწავლა ორგანიზებულად უკან დახევა თავიანთი ძირითადი ძალების შენარჩუნებით, მაშინ როცა რეაქციის მძიმე წლებში მენშევიკები ცდილობდნენ განეიარაღებინათ რუსეთის პროლეტარიატი, გაენადგურებინათ მისი პარტია და სახელი გაეტეხათ რევოლუციური მარქსიზმისათვის, გაეყალბებინათ პარტიის თეორიული საფუძვლები... ამ პირობებში ხდებოდა გამოცოცხლება ყოველგვარი თვითრეგულირებადი მიმდინარეობის, მათ შორის ფემინისტური მოძრაობისაც, რომელსაც ხელი ჩასჭიდეს მენშევიკებმა.

რუსეთში „ქალთა თანასწორუფლებიანობის რუსეთის კავშირი“, საქართველოში „კავკასიის ქალთა საზოგადოება“ და „ქალთა თანასწორუფლებიანობის საქართველოს კავშირი“ — ქადაგებდნენ კლასთა შერაგებას და ქალთა მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესება შესაძლებლად მიაჩნდათ არსებული წყობილების პირობებში.

ქ. ქუთაისის ქალთა კლუბის მიერ გამოცემული გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ დაუღალავად ქადაგებდა „საერთო ნიადაგის“ თეორიას და მოითხოვდა პროლეტარ ქალებს ბურჟუას ქალებთან ერთად ებრძოლათ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

გაზეთი წერილში „ქალებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ წერდა: „ჩვენში ჯგუფობრიობა და პარტიობა არ უნდა იყოს, რას მიქვია ეხლა ბურჟუეზულ და მუშებულ დაყოფა ქალების, განა ყოველი ქალი ერთ ბედს ქვეშ არა ვართ, ერთ ტუფაში არ ვიწვიეთ?“.1

ბოლშევიკები, რომლებიც ადგნენ ახალი რევოლუციის მომზადების გზას და კარგად ესმოდათ მშრომელი ქალის როლი ამ საქმეში, დიდ ბრძოლას აწარმოებდნენ გამოცოცხლებული ფემინისტური მოძრაობის წინააღმდეგ. პარტია ააბათუბებდა, რომ ფემინისტური მოძრაობა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ისეთ სპეციალურ საზოგადოებათა შექმნას, რომელიც ქალთა საყოფაცხოვრებ-

1 გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, 1917 წ. 11 მაისი, № 5.



ბო მდგომარეობის გაუმჯობესების დროშით გამოიწვევს მშრომელ ქალთა მოწყვეტას საერთო კლასობრივი ამოცანებისაგან და შექმნის იპსტარქიზმის თვის საჭირო რეზერვებს.

ქალთა მოძრაობის შემდგომი განვითარება და მისი სწორი გზით წარმართვა მოითხოვდა ქალთა საერთაშორისო შეკავშირებას და ერთიან ბრძოლას ქალთა უფლებებისათვის. ეს შიშ უმეტეს აუცილებელი გახდა იმისათვის, რომ მეორე ინტერნაციონალის პარტიებმა დავიწყეს ის ძვირფასი ტრადიციები, რაც გააჩნდა პირველ ინტერნაციონალს.

ჩერ კიდევ 1907 წელს მეორე ინტერნაციონალის კონგრესზე და სოციალისტ ქალთა პირველ კონფერენციაზე ვ. ი. ლენინის წინადადებით დასმული იქნა საკითხი მშრომელ ქალთა მდგომარეობისა და ქალთა საარჩევნო უფლებების შესახებ. რევოლუციონერ მარქსისტებს კლარა ცეტკინას ხელმძღვანელობით ბრძოლა მოუხდათ ერთი მხრივ, ინგლისელ ოპორტუნისტ ქალთა წინააღმდეგ, რომლებიც ქალთათვის მოითხოვდნენ შეკვეცილ საარჩევნო უფლებას, რაც პარლამენტში უზრუნველყოფდა ბურჟუა ქალების ვასელას და მეორე მხრივ, ავსტრიელ ოპორტუნისტთა წინააღმდეგ, რომლებმაც ავსტრიელ მუშათა საარჩევნო უფლებებისათვის ბრძოლისას სრულიად უარყვეს ქალთა საარჩევნო უფლება. როგორც კონგრესზე, ისე კონფერენციაზე გაიმარჯვეს რევოლუციონერმა მარქსისტებმა. კ. ცეტკინის მიერ შედგენილ რეზოლუციაში, რომელიც კონგრესმა მიიღო, მითითებული იყო, რომ ყველა სოციალისტურმა პარტიამ მთელი თავისი შეძლებით უნდა გაილაშქროს ქალთა შეკვეცილი საარჩევნო უფლების წინააღმდეგ, ჩასთვალონ ეს მუშა ქალთა პოლიტიკური თანასწორუფლებიანობის ამკარა დამაზინჯებელ და მიიღონ ერთადერთ ლოზუნგად საყოველთაო საარჩევნო უფლება; საარჩევნო უფლებისათვის ბრძოლაში მუშა ქალები არ უნდა მიდიოდნენ ბურჟუა ქალებთან ერთად. იმ ქვეყნებში, სადაც მუშები სარგებლობენ ფართო საარჩევნო უფლებით, ისინი მოვალენი არიან იბრძოლონ ქალთათვის საარჩევნო უფლების მოსაპოვებლად.

კონფერენციაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება შექმნილიყო სოციალისტ ქალთა საერთაშორისო სამდივნო. მდინად არჩეული იქნა კლარა ცეტკინა. მიღებული იქნა აგრეთვე გადაწყვეტილება ყოველ სამ წელში ერთხელ მოწვეულიყო სოციალისტ ქალთა კონფერენცია. ქალთა შემდეგი კონფერენცია შედგა ქ. კომენჰავენში 1910 წელს, სადაც განხილული იქნა საკითხები: დედისა და ბავშვის ინტერესთა დაცვის შესახებ, ქალთა შრომისა და ქალთა საარჩევნო უფლებებისათვის ბრძოლის შესახებ და სხვა. ამ კონფერენციაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება 8 მარტი ყოველწლიურად აღენიშნათ, როგორც პროლეტარ ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე.

8 მარტის დღესასწაული რუსეთში პირველად აღინიშნა 1913 წელს, საქართველოში კი 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ორი კვირის შემდეგ. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მთელს ჩვენს ქვეყანაში 8 მარტის ჩატარება ყოველთვის აღვიძებდა მშრომელ ქალთა რევოლუციურ შეგნებას და ქალებს რაზმავდა ნათელი მომავლისათვის საბრძოლველად.

აღნიშნულ საქმეში, დიდი მათრავანიზებელი როლი შეასრულა 1913 წლი-



დან გაზეთ „პრავედაში“ შექმნილმა სპეციალურმა გამყოფილებამ „ქალთა დღე და მუშა ქალი“, რომელსაც ხელმძღვანელობდა კ. ნ. სამოილოვა. **საქართველოს სსრ-ის მთავრობის დასავლეთი განყოფილება**

ვ. ი. ლენინის მიითითებით, ა. ი. ულიანოვა-ელიზაროვას ბით 1914 წელს, ქალთა საერთაშორისო დღეს, სინათლეზე გამოვიდა ჟურნალი „რაბოტნიკა“; მასთან ერთად გაზეთი „პრავედა“ და სხვა ბოლშევიკური პრესა ფართოდ აშუქებდა ქალთა საკითხს, ავტაციას ეწეოდა ქალთა უფლებებისა და 8 მარტის შესახებ, ასჯარაგებდა მტრშევიკებს, რომლებსაც სურდათ ქალები ჩამოეშორებინათ რევოლუციური ბრძოლების გზიდან. ჩვენი პარტია კონკრეტულ ამოცანებს სახავდა მშრომელ ქალთა რევოლუციური მოძრაობის წინაშე. პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისა და ქალთა ორგანიზაციული შეკავშირებისათვის, მათი პოლიტიკური განათლების ამაღლებისათვის დიდ მუშაობას ეწეოდნენ კ. ცეტკინა, ნ. კრუპსკაია, ი. არმანდი, მ. და ი. ულიანოვები, ა. კოლონტაი, რ. ზემლოაჩკა, ო. ვარენცოვა, ე. სტასოვა და სხვები.

მშრომელთა და მშრომელ ქალთა ახალი მძლავრი რევოლუციური აღმავლობა 1910—1914 წლებში მთელ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში დროებით შეაჩერა დაწყებულმა იმპერიალისტურმა ომმა, რაც წარმოიშვა კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობის, მსოფლიოს გადანაწილებისათვის მონოპოლისტთა ბრძოლისა და რევოლუციური მოძრაობის ჩახშობისათვის მათი ცდების შედეგად.

II ინტერნაციონალის პარტიების უმრავლესობის წინააღმდეგ ბოლშევიკების პარტია ერთადერთი პარტია იყო, რომელმაც განავითარა მარქსიზმი, გაამდიდრა იგი ლენინის მოძღვრებით იმპერიალიზმის შესახებ, მოძღვრებით ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ და წამოაყენა სწორი ღონისძიებები იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის შესახებ.

ბოლშევიკური პარტიის ღონისძიებებმა მძარცველური ომის წინააღმდეგ მაღალი კლასობრივი ხასიათი მისცა ქალთა დღეს 1914 წელს. 1915 წელს 8 მარტთან დაკავშირებით პარტიის მოწოდებაში ნათქვამი იყო, თუ როგორ დარაზმულიყვნენ მშრომელი ქალები იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, როგორ ემხილებინათ ომის გამჩალებელთა იმპერიალისტური ზრახვები.

იმპერიალისტური ომით წარმოშობილმა მოვლენებმა მწვავედ დააყენა საკითხი ქალთა საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის განვითარებისა და იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისათვის ბრძოლაში ქალთა მონაწილეობის ზრდის შესახებ.

1915 წლის მარტში ბერნში კ. ცეტკინის და ი. არმანდის ხელმძღვანელობით მოწვეული იქნა სოციალისტ ქალთა საერთაშორისო კონფერენცია. მზადებას კონფერენციისათვის — ომის დროს ამ პირველი ინტერნაციონალური ფორუმისათვის კ. ცეტკინამ, ნ. კრუპსკაიამ და ი. არმანდმა დიდი ენერჯია შეაღიეს; კონფერენციის მოწვევაში აქტიური მონაწილეობისათვის კაიზერის მთავრობამ კ. ცეტკინა დააპატიმრა. ომის პირველი დღეებიდანვე სოციალ-შოვინიზმი გამოცოცხლდა. ვ. ი. ლენინი ეძებს და კავშირს ამყარებს ჭეშმარიტ მარქსისტებთან. ვ. ი. ლენინის დაავლებით ნ. კრუპსკაია და ი. არმანდი მიმოიწერას



მართავენ სოციალისტ ქალებთან ინგლისში, იტალიაში, სკანდინავიის ქვეყნებში. ლიუდმილა სტალისა და სერაფიმა პოპნერის საშუალებით კავშირი მართდება სოციალისტ-ინტერნაციონალისტ ქალებთან. საჭიროა ხმის შეკრება პერიალისტური ომის წინააღმდეგ, სოციალ-შოვინიზმის შხამის ბრძოლაში, საჭიროა სოციალისტ ქალთა შეკრება, აზრის შემუშავება და ერთიანი ფრონტით გალაშქრება ომის წინააღმდეგ. ამ დროს იხეხა არმანდი ნ. კრუპსკაიას გამოთქმით „საერთაშორისო კავშირთაერთობის პირველ ქარვას ქსოვს“.

ქალთა საერთაშორისო კონფერენციაზე ბოლშევიკების დელეგაციამ მწვავედ დააყენა საკითხი იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისა და ამ საკაცობრიო მნიშვნელობის საქმეში ქალთა მონაწილეობის შესახებ..! მაგრამ წინააღმდეგობა არც ისე ადვილად დასაძლევად აღმოჩნდა. რუსი რევოლუციონერი ქალების მიერ შეტანილ რეზოლუციას მხარი არ დაუჭირა უმრავლესობამ, სოციალ-შოვინიზმის აშკარა დამცველებმა.

ვ. ი. ლენინმა ბერნის კონფერენციის შედეგები შეაჯამა სტატიაში „სოციალ-შოვინიზმთან ბრძოლის შესახებ“ და სასტიკი კრიტიკის ქარცეცხლში გადატარა პოზიციის, რომელიც დაიჭირეს კონფერენციაზე ინგლისის, საფრანგეთის, შვეიცარიის, გერმანიის და სხვა ქვეყნების წარმომადგენელმა ქალებმა—სოციალ-შოვინისტებთან კავშირის მომხრეებმა.

იმპერიალისტური ომის წლებში მშრომელთა და მშრომელ ქალთა მიერ თავიანთი კლასობრივი ამოცანების გაგებისა და მათი დარაზმებისათვის ომის წინააღმდეგ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვ. ი. ლენინის შრომებს, სადაც მზილებული იყო ომის ხასიათი, საერთაშორისო სოციალ-შოვინიზმისა და ცენტრიზმის არსი.

ნაშრომში „პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა“ ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ იმპერიალიზმი არის დიდ სახელმწიფოთა გააფთრებელი ბრძოლა მსოფლიოს დანაწილებისა და გადანაწილებისათვის—, ამიტომ მან აუცილებლად უნდა გამოიწვიოს შემდგომი მილიტარიზაცია ყველა ქვეყანაში. რას გააკეთებენ ამის წინააღმდეგ პროლეტარი ქალები? სვამს კითხვას ვ. ი. ლენინი და იქვე მიუთითებს:

„მხოლოდ დაწყველიან ყოველგვარ ომს და ყველაფერს სამხედროს, მხოლოდ განიარაღებან მოითხოვენ“.

ჩაგრული კლასის ქალები, რომელიც მართლაც რევოლუციურია, არასოდეს არ შეურიგდებიან ამ სამარცხვინო როლს. ისინი ეტყვიან თავიანთ შვილებს: „შენ მალე დიდი გაიზრდები, შენ მოგცემენ თოფს. მოკიდე მას ნელი და კარგად ისწავლე სამხედრო საქმე. ეს მეცნეირება აუცილებლად საჭიროა პროლეტარიატისათვის—არა იმისათვის, რომ ესროლო შენს ძმებს, სხვა ქვეყნის მეშებს, როგორც ეს ხდება ახლანდელ ომში და როგორც გირჩევენ შენ მოიქცე სოციალიზმის მოღალატენი,—არამედ იმისათვის, რომ იბრძოლო შენი საკუთარი ქვეყნის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომ ბოლო მოუღო ექს-“



პლატაციას, სილატაქეს და ომებს არა კეთილი სურვილების გზაზე, არამედ ბურჟუაზიაზე გამარჯვებით და მისთვის იარაღის აყრიით“!

მშრომელი ქალღმრთის ვ. ი. ლენინის ეს მითითება სახეობრივად განხილვის საფუძველზე გახდა მოქმედებისათვის. ძირითადი დირაზმენ იმპერიალისტური ომის დასრულების შემდეგ ქო ომად გადაქცევის ლოზუნგის პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

მშრომელი ქალები გატაცებით კითხულობდნენ ა. კოლონტაის ნაშრომს „ვის სჭირდება ომი“, ი. არმანდის ბროშურას „სხვადასხვა მიმდინარეობა რუს სოციალისტთა შორის ომის საკითხში“, კითხულობდნენ და ავრცელებდნენ ომის საწინააღმდეგო პროკლამაციებს.

[მსოფლიო ომით გამოწვეულმა სამეურნეო ნგრევამ, სურსათის ნაკლებობამ, შიმშილმა, გაჭირვებამ და უმუშევრობამ მშრომელ ქალებში პროტესტის ძლიერი ტალღა გამოიწვია. „უსამართლო ომის შეწყვეტა“, „პური“, „ქმრების, მამების, ძმების და შეილების სანგრებიდან დაბრუნება“—ასეთი ლოზუნგებით გამოვიდნენ ქალები 1916 წელს. პეტროგრადში ქალთა უკმაყოფილება გამოვლინდა პროდუქტების მალაზიების დარბევით, ასეთივე მწვავე გამოსვლებს ჰქონდა ადგილი საქართველოში, ბაქოში, ეკატერინოგრადში, მაიკოპში. ქალთა „ბუნტებმა“ საქართველოში მასობრივი ხასიათი მიიღო.

„თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, გორში, სამტრედიისში, ბანძასა და სხვა ადგილებში მოხდა ეგრეთწოდებული „ქალთა ბუნტები“; დამშუღლი ადამიანები, ბეტწილად ქალები, არბევდნენ სასურსათო მალაზიებს, მიჰქონდათ საწვობებიდან და საკუქნაოებიდან პროდუქტები, რომლებიც სპეკულიანტებს გადა-მალული ჰქონდათ ფსახების ხელოვნური გადიდებისათვის. ასეთი სტიქიური მღელვარება ხდებოდა საქართველოს თითქმის ყველა ქალაქსა და დაბაში“¹

1916 წელს მოწყობილ „ბუნტებში“ მონაწილეობდნენ სათადარიგო ჯარისკაცთა ცოლები, რთგორც ოფიციალურად იუწყებოდნენ სოხუმის ოლქში მოწყობილი „ბუნტის მონაწილე ქალები ძლიერ გავლენას ახდენდნენ ჯარის ნაწილზე და თავიანთ მხარეზე გადაწყვედათ ჯარისკაცები“.

სოხუმის ოლქის უფროსი გენერალი ზაიპკინი 1916 წელს აქ მომხდარი სასურსათო არეულობის გამო საიდუმლო მოხსენებაში აღნიშნავდა: სათადარიგო ასეული, კახაკთა ნახევარი ასეული და აგრეთვე ჯარისკაცები, რომლებიც ოლქში იწყობებოდნენ პოლიციის დასახმარებლად, ქალების მხარეზე იყვნენ და ხმამაღლა აცხადებდნენ: ქალებს დავეხმარებით, თუ პოლიციის მხრივ რაიმე ძალადობას ექნება ადგილი“².

ბაქოში სასურსათო „ბუნტების“ დროს უმთავრესად ქალებისაგან შემდგარი ჯგუფებისათვის ტყვიის დაშენის შედეგად ოფიციალური ცნობებით მოკლული და დაჭრილი იქნა 66 კაცი...

ქალები მონაწილეობდნენ და მამაკობას აქვდავენდნენ არა მარტო საგაფიცო მოძრაობაში, არამედ შეიარაღებულ გამოსვლებში. ამ მხრივ დამახასიათებელია ის გრანდიოზული ბრძოლები, რომლებიც მოეწყო ივანოვოვანუ-

1 საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, 1957 წ., გვ. 366.

2 საქართველოს სსრ ცენტ. სისტორიო არქივი, ხ. 3376.



სენკში, კოსტრომაში და სხვ. პოლიციამ დემონსტრანტები დახვრიტა ლთა და დაჭრილთა შორის მრავლად იყვნენ ქალები და ბავშვები.

ცნობილია, რომ პეტროგრადში 1917 წელს ქალთა საერთაშორისო სასწაულის—8 მარტის აღნიშვნა გადაიზარდა პეტროგრადის პროლეტარიატის საერთო-პოლიტიკურ დემონსტრაციაში. ქალთა საერთაშორისო დღეს, 23 თებერვალს (8 მარტი) ბოლშევიკების პეტერბურგის კომიტეტის მოწოდებით მუშა ქალები გამოვიდნენ ქუჩებში, რათა გაემართათ დემონსტრაცია შიმშილის, ომის, ცარიზმის წინააღმდეგ. მუშა ქალთა დემონსტრაციას მხარი დაუჭირეს მუშებმა პეტროგრადში საერთო საგაფიცკო გამოსვლებით. პოლიტიკურმა გაფიცვამ იწყო ვადაზრდა საერთო-პოლიტიკურ დემონსტრაციაში შეფის წესწყობილების წინააღმდეგ.

ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მუშა და გლეხი ქალები მოწინავე როგებში ჩადგნენ, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების საქმეში. ჩვენი ქვეყნის ქალთა მუშაობას ბიძგა და გაქანებას აძლევდა მოსკოვია და პეტროგრადის მშრომელ ქალთა ორგანიზებული გამოსვლები. მათი თავდადებულ შრომა და ბრძოლა საქვეყნო ინტერესებისათვის.

გაზეთ „პრავდის“ 1917 წლის 29 თებერვლის მოწინავე წერილში, რომელიც მთავრდებოდა სიტყვებით „დიდება ქალებს“ აღნიშნულია, რომ რევოლუციის პირველი დღე იყო ქალთა დღე. ქალები პირველნი გამოვიდნენ პეტროგრადის ქუჩებში. მოსკოვში მთელ რიგ შემთხვევებში ქალებმა გადასწყვეტეს მებრძოლთა ბედი. ისინი გაბედულად შედიოდნენ ყაზარქებში და არწმუნებდნენ ჯარისკაცებს გადასულიყვნენ რევოლუციის მხარეზე.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკები განუმარტადნენ მასებს, რომ რევოლუცია დამთავრებული არაა, რომ საჭიროა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გადაზრდა სოციალისტურ რევოლუციაში, სრული გამარჯვებისათვის აუცილებელია ძალაუფლება გადაეცეს საბჭოებს, ვინაიდან, ვიდრე ხელისუფლება ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის ხელშია, ხოლო საბჭოებში მენშევიკ-ესერები ბატონობენ, ხალხი ვერ მიიღებს ვერც ზავს, ვერც მიწას და ვერც პურს, ქალები—თანაწორუფლებიანობას მამაკაცებთან.

ბოლშევიკების შეხედულებას ცხოვრების პრაქტიკა ადასტურებდა. შექმნილი მდგომარეობის გამო მუშა და გლეხი ქალები მუშათა კლასის უდიდეს რეზერვს წარმოადგენდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლებში.

ქალებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს 1917 წლის აპრილის, ივნისისა და ივლისის დემონსტრაციებში, ჩვენი პარტიის VII—აპრილის კონფერენციისა და VI ყრილობის მუშაობაში. ქალები აწყობდნენ რევოლუციური ლიტერატურის გავრცელებას, ეწეოდნენ პროპაგანდას. მათ კარგად ესმოდათ ვ. ი. ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ „მუშა ქალების განთავისუფლება თვით მუშა

1 საბჭოთა კავშ. კომუნისტური პარტიის ისტორია; სახ. გამ. „საბჭოთა საქართველო“—1961 წ., გვ. 244.

ქალების საქმე უნდა იყოს“. ისინი დღე და ღამე მუშაობდნენ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

ფაბრიკებსა და ქარხნებთან ძლიერდებოდნენ წითელგვარდიელების რაზმები, სადაც შედიოდნენ ქალებიც, რომლებიც აქტიურად მუშაობდნენ თავიანთ მამებთან, ძმებთან და ქმრებთან ერთად. მსხვილ-ფაბრიკა-ქარხნებთან შეიქმნა სანიტარული რაზმები, მოეწყო ლაზარეტები, სამედიცინო პუნქტები, სადაც მუშა ქალები—მედიცინის დები, სანიტრები.—ეხმარებოდნენ დაპრილებს, სიცოცხლეს არ ზოგავდნენ მათი გადარჩენისათვის. რიგ რაიონებში ქალები მეთაურობდნენ ბრძოლებს, შედიოდნენ ხელმძღვანელ შტაბებში. რ. ი. ზემლოჩკა ხელმძღვანელობდა მუშათა შეიარაღებულ ბრძოლას როგოვსკო-სიმონოვის რაიონში, ი. ვ. ვარენკოვა შედიოდა მოსკოვის რაიონის შეიარაღებული აჯანყების სამეულში, ე. ეგოროვა მეთაურობდა ბრძოლას ვიბორგის ერთ-ერთ რაიონში. მოსკოველმა მუშა ქალებმა დიდი დახმარება გაუწიეს მებრძოლებს მოსკოვრეცთან, კამენის ხიდებთან, ისტოჟენკასა და წითელ მოედანზე.

25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) პეტროგრადის იმ წითელგვარდიელ და რევოლუციურ ჯარებში, მუშათა ნაწილებში, რომლებმაც დაიკავეს ვაჯზლები, ფოსტა-ტელეგრაფი, საშინისტროები, სახელმწიფო ბანკი და რომლებმაც ამგვარად გადაწყვიტეს რევოლუციის ბედი, მრავლად იყვნენ შშრომელი ქალებიც.

მოსკოვში „ამოს“, „დინამოს“ და სხვა ქარხნების მუშებმა და მუშა ქალებმა ხელში ჩაიგდეს არსენალი და უზრუნველყვეს მუშათა შეიარაღება, ლეფორტისა და ბასმანის რაიონების მუშა ქალები ენერგიულად, სიცოცხლის დაუზოგავად ეხმარებოდნენ ამავე რაიონების მუშებს ხელში ჩაეგდოთ მოწინააღმდეგის არტილერია და აქტულებინათ იგი დანებებულყო. რევოლუციის ინტერესებისათვის ბრძოლაში ცნობილი გახდნენ „ქრასნაია პრესნიას“ მუშა ქალები.

რევოლუციის დღეებში პეტროგრადისა და მოსკოვის მუშებისა და მუშა ქალების დასახმარებლად მოდიოდნენ ქალაქის მახლობელი სოფლებიდან საფანტის თოფებით და ცელებით შეიარაღებული ლარებ გლეხთა და გლეხ ქალთა რაზმები, რომლებსაც ბრძოლაში ხელმძღვანელობდნენ მუშები და მუშა ქალები.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის დღეებში მოსკოვსა და პეტროგრადში აგებულ ბარიალებზე იბრძოდნენ აგრეთვე საქართველოში აღზრდილი არა მარტო მამაკაცები, არამედ ქალებიც. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ლუსია ლისინიანი. იგი თბილისში დაიბადა, აქ ცხოვრობდა და სწავლობდა. აქვე დაუახლოვდა რუსეთიდან გადმოსახლებულ რევოლუციონერებს და ჩაება სამკვდრო-სამაციოცხოო ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

ლუსია ლისინიანი გმირული სიკვდილით დაეცა ოქტომბრის დღეებში, ისტოჟენკაზე გამართული ბრძოლების დროს. მამაცი ქალიშვილის ცხედარი პატივისცემის ნიშნად მოსკოვის მადლიერმა პროლეტარიატმა კრემლის კედელთან დაკრძალა. მალაია სერპუხოვის ქუჩას საბჭოთა მთავრობის გადაწყვე-



ტილებით ეწოდა ლისინიანოვსკაია. გმირი ქალიშვილის თავდადასაცემლობისათვის ლია არარატ ბარელიანის რევოლუციურ ღრამაში „ლესია ლისინიანოვსკაია“ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში მუშაობისათვის დაჯილდოვდა. ისახელა ნინო იაშვილმა, რომელიც იბრძოდა პლატონ იაშვილის განაპოვებულ ბულ რაზში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით დაგვირგვინება უზრუნველყოფს მშრომელმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების საქმეში დიდი როლი შეასრულეს ქალებმა.

1917 წლის ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციაში მშრომელ ქალთა დამსახურების შესახებ, ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავს თავის საუბარში კლარა ცეტკინასთან. ქალები რომ არ ყოფილიყვნენ, ჩვენ ვერ გავიმარჯვებდით.—ან საეჭეო იქნებოდა ჩვენი გამარჯვებაო,—ამბობდა ვ. ი. ლენინი.

ვ. ი. ლენინი, ითვისაწინებდა რა იმ დროისათვის ქვეყანაში არსებულ სიმძლავრის დასაძლევად ქალთა თავდადებას, იმავე საუბარში აღნიშნავდა, რომ ქალები მართლაც მამაკები არიან... წარმოიდგინეთ ის ტანჯვა-წყევლა და გაჭირება, რასაც ისინი იტანენ... და ისინი უძლებენ, იმიტომ, რომ... უნდათ თავისუფლება და კომუნიზმი... დიახ, ჩვენი მუშა ქალები ჩინებულნი არიან, ისინი აღტაცებასა და სიყვარულს იმსახურებენ¹.

მშრომელმა ქალებმა, რომლებმაც სოციალისტური რევოლუციის მეორე დღესვე ნახეს, იგრძნეს და გაიგეს რა შეუძლია პრაქტიკულად მათთვის გააკეთოს საბჭოთა ხელისუფლებამ, ცხოველი პარტიოტიზმი, მზადყოფნა, სამშობლოსათვის თავდადება და სიყვარული გამოამჟღავნეს 1918—1920 წლებში სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის დროს. ვაი სავსებით გამართლეს ვ. ი. ლენინის წინასწარი განკვერტა იმის შესახებ, რომ პოლუტარი ქალები სრულიად ამ შეხედავენ პასიურად, თუ კარგად შეიარაღებული იმპერიალისტები როგორ დახვრეტენ ცუდად შეიარაღებულ მუშებს.

საბჭოთა ქალები წითელი არმიის რიგებში, როგორც რივითი მებრძოლები, სნაიპერები, მეკავშირეები, მედიკინის დები, სანიტრები, პოლიტმუშაკება და მეთაურებრ საარაკო თავდადებით იბრძოდნენ თეთრგვარდიელებისა და უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ.

ომში საზელი და დიდება დაიმსახურეს კომუნისტმა ქალებმა. ისინი მოწინავეთა რიგებში იყვნენ ყველგან. სადაც კი წყდებოდა წითელი არმიისა და საბჭოთა რესპუბლიკის ბედი.

კომუნისტ ქალთა რიგებიდან დიდ ორგანიზაციულ-საავტაციო პრობანდისტულ, პარტიულ და სამხედრო მუშაობას ეწეოდნენ: ნ. კრუტსკაია, ა. ი. ულიანოვა-ელიზაროვა, მ. ი. ულიანოვა, კ. კირსანოვა, ი. არმანდი, ე. დ. სტასოვა, რ. ხ. ზემლიაჩკა, კ. ი. ნიკოლაევა, კ. ნ. სამოილოვა, ა. მ. კოლონტაი, ვ. ა. მაიოროვა და სხვები. რ. ს. ზემლიაჩკა მუშაობდა არმიის პოლიტანყოფილების უფროსად. ე. ი. სტასოვა პარტიის მერვე ყრილობაზე ცენტრალური

¹ Воспоминания о Владимире Ильиче Ленине, т. 2, М., 1957, стр. 566.



კომიტეტის წევრად აირჩიეს და მიანდეს ცენტრალური კომიტეტის წევრის მადლი პოსტი.

სამოქალაქო ომის წლებშიც სხვადასხვა უბნებზე თავი ისახუნებდა სამხედრო ოლქის შტაბის განსაკუთრებული დანიშნულების რაზმის უფროსის თანამეწევე—ნინო იაშვილმა. მან მონაწილეობა მიიღო ესერების კონტრარევოლუციური გამოსვლების ჩაქრობაში. ამავე წლის აგვისტოში ის აღმოსავლეთის ფრონტზეა, სადაც აწარმოებდა დაზვერვის მუშაობას, უშუალო მონაწილეობას ღებულობს ბრძოლებში და იბრძვის არმიის მომარაგებისათვის სურსათით (მუშაობს სასურსათო მომარაგების შტაბში).

1918 წლის ნოემბერში ნ. იაშვილი სპეციალური დავალებით იგზავნება სამხრეთის ფრონტზე, სადაც დაჰყო 1919 წლის ბოლომდე. აქ მან თავისი მოხერხებულობით მრავალჯერ შეიყვანა მოწინააღმდეგე შეცდომაში, ერთხელ ტყვეობიდანაც კი დაიპყრინა თავი.

მამაცმა ქართველმა ქალმა მონაწილეობა მიიღო ოკუპანტებისაგან ბელგოროდის, ხარკოვის, ელოჩანსკისა და ოდესის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. ნ. იაშვილი სამოქ. ომის წლებში ყველაზე საპასუხისმგებლო უბანზე იმყოფებოდა და წარჩინებით ასრულებდა სამშობლოს დავალებას.

პეტროგრადში ოუდენიჩის განადგურების დროს ჩვენი პარტიის მოწოდებას „მუშა ქალებო, არ დაკარგოთ არც ერთი წუთი, გააკეთეთ ყველა შესაძლებელი მტერზე გამარჯვებისათვის“—ქალები აქტიურად გამოეხმაურნენ. ათასობით საბჭოთა ქალი წარმატებით ასრულებდა ქალაქის დაცვას ზურგში. ქალები ყველგან მოწინავეთა რიგებში იდგნენ. ბრძოლასა და შრომაში ისინი აღაფრთოვანებდნენ მშრომელებს.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ქალები აქტიურად მონაწილეობდნენ, როგორც საბჭოთა ხელისუფლების რევოლუციურად მოპოვებაში, ისე უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და შინაგან კონტრარევოლუციის წინააღმდეგ სამშობლოს გამორულ დაცვაში.

კომუნისტური პარტია მშრომელ ქალთა რევოლუციურად აღზრდისა და მათი პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ მუშაობაში ჩაბმის დროს ეყრდნობოდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის მოწინავე თეორიას მუშათა კლასის რევოლუციებისა და არმიის შესახებ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებული პირველი დეკრეტები „ზვისა და შიწის შესახებ“, კანონმდებლობანი ქალთა შრომის დაცვისა და მისი ანაზღაურების შესახებ, დედისა და ბავშვის ინტერესების დაცვის შესახებ, საქორწინო და საოჯახო საკითხების შესახებ, სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიღებული — „რუსეთის ხალხთა უფლების დეკლარაცია“—აღვივებდა რევოლუციურ მოძრაობას ამიერკავკასიისა და საქართველოს მშრომელთა და მშრომელ ქალთა შორის, აძლიერებდა ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის. საქართველოს მშრომელთა და მშრომელ ქალთა მოძრაობა განუყრელად იყო დაკავშირებული რუსეთის მშრომელთა და მშრომელ ქალთა რევოლუციურ მოძრაობასთან, წარმოადგენდა მის შემადგენელსა და განუყოფელ ნაწილს და კიდევ უფრო ძლიერდებოდა უკა-



ნაკენლის ზეგავლენით. ქართველმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სასტიკი ბრძოლა გააჩაღა კონტრრევოლუციური ნაციონალისტური პარტიებისა და მთავრობათა წინააღმდეგ, რომლებმაც ხალხის ნებართვით დაეამიერკავკასია მოაწყვიტეს საბჭოთა რუსეთს და გადააქციეს მისი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად, უცხოელი იმპერიალისტების სათარეშო ასპარეზად.

საქართველოს მშრომელები და მშრომელი ქალები აღშფოთებით გამოვიდნენ ამიერკავკასიის კომისარიატის საქმიანობის წინააღმდეგ, რომელიც არბევდა ბოლშევიკურ ორგანიზაციებსა და გაზეთებს, ხერხტდა მშვიდობიან მიტინგებსა და დემონსტრაციას, იარაღსა და საჭურველს აწვდიდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ კონტრრევოლუციონერ გენერლებს—კორნილოვს, კალედინს, კულოვსა და სხვებს და არცერთ ღონისძიებას არ ახორციელებდა მუშათა კლასისა და გლეხების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ამიერკავკასიის მშრომელთა და მშრომელ ქალთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის გააირობებულ იყო იმ მდგომარეობით, რაც აქ შეიქმნა კონტრრევოლუციურ-ნაციონალისტური პარტიების ბატონობით.

საქართველო მენშევიკების პოლიტიკის წყალობით მძიმე ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისში ჩავარდა. თვით მენშევიკი მესვეურებიც კი ველარ მალავდნენ კატასტროფას, რომელიც კარს მოადგათ. ჯერ არნახულ გაჭირვებაში ჩაუვყიდნენ საქართველოს მუშები, გლეხები და ღარიბი ინტელიგენცია.

შექმნილი მდგომარეობის პირდაპირი პასუხი იყო უკმაყოფილო ხალხის საპროტესტო გამოსვლები. მარტოდენ 1918 წლის პირველ ნახევარში მოეწყო მუშათა და მუშა ქალთა 60-მდე გაფიცვა და მიტინგი.

მენშევიკებმა 1918 წ. თებერვალს დახვრიტეს ქ. თბილისში, ალექსანდროვის ბაღში, მუშათა მიტინგი, რომელიც მოეწყო ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართული რეპრესიებისა და 8 თებერვალს შეკრებილ ამიერკავკასიის სეიმის წინააღმდეგ, რომელსაც განზრახული ჰქონდა საბჭოთა რუსეთისაგან ამიერკავკასიის გამოყოფა იურიდიულად გაეფორმებინა. დაჭრილთა შორის იყვნენ ქალებიც. ეს იყო პეტროგრადის 1917 წლის ივლისის ამბების თავისებური განვითარება საქართველოში. რაც ხალხის დიდი ამოძრავების სიგნალი გახდა.

თბილისში ადილხანოვის ფაბრიკისა და სამრეცხაო-სამღებრო ქარხნებში მომხდარი გაფიცვების შედეგად, რომელშიაც ქალები სჭარბობდნენ, საწარმოთა მეპატრონენი იძულებული გახდნენ დაეკმაყოფილებინათ მუშათა მოთხოვნები, გაეუმჯობესებინათ მუშა ქალთა პირობები.

მეტად მნიშვნელოვანი იყო ქალთა მონაწილეობა გლეხთა გამოსვლებში ლეჩხუმში, ცხინვალში, დუშეთში, ბორჩალოში, რაჭაში, სამეგრელოში, გურიაში, აფხაზეთში, აჭარა და სამხრეთ ოსეთში.

გლეხმა ქალებმა: პელაგია შუშიაშვილმა-შებლაძემ, ბაბაღე პაპუნაშვილმა, ტასო ლალიაშვილმა-ჩიტაურმა, ვერა და მარო მათელაშვილებმა, მანწავლებელმა ნადია ჩილინდარიშვილმა და სხვებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს დუშეთის გლეხთა დიდ აჯანყებაში 1918 წელს.

პელაგია შუშიაშვილს თავის სახლში გახსნილი საფეიქრო სახელოსნოს საჭიროებისათვის საქსოვ მანქანებთან და ძაფთან ერთად თბილისიდან ურმით,

რევოლუციონერი მეურმეების დახმარებით ოსტატურად გადმოქონდა მეურ-
თელი იარაღები, რომელსაც დუშეთში აბარებდა თავის ძმას—თელს შუბრა-
შვილს—ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელს. ეს უკანასკნელი
ბულ იარაღს გლეხთა შორის ანაწილებდა ბაბაღე პაპუნაშვილის
აშვილისა და სხვათა დახმარებით¹. პელაგია შუშიაშვილის შესახებ გადმო-
ვეყვენ: „ერთხელ თბილისის გარეუბნიდან. ვეპისიდან წამოსვენეს იარაღით
საესე კუბო. შავებში ჩაცმული პელაგია შუშიაშვილი მოჰყვებოდა კივილით:
„ძაო, ჩემო საყვარელო ძაო“ აჲ კივილ-წივილით ამოვიტანეთ იარაღიანა
კუბო ბაბაღეთში“².

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საფეიქრო სახელოსნო პარტიული მუშაობის
შტაბი იყო, სადაც წარმოებდა სამზადისი გლეხთა აჯანყებისათვის, იგზავნე-
ბოდა და ვრცელდებოდა პროკლამაციები, ეწყობოდა თათბირები, შეხვედრები
და სხვა.

დუშეთის გლეხთა აჯანყებაში 1918 წელს უშუალოდ მონაწილეობდა ბა-
ბაღე პაპუნაშვილი, რომელიც თავის ქმართან ცნობილ რევოლუციონერ მიხეილ
პაპუნაშვილთან ერთად გადასახლებიდან დაბრუნდა 1917 წლის თებერვლის
რევოლუციის შემდეგ. ბოლშევიკური ორგანიზაციის დავალებით იგი ინახავდა
იარაღს, გლეხებს შორის ავრცელებდა ბოლშევიკურ პროკლამაციებს, მენშევი-
კების წინააღმდეგ ეწეოდა მგზნებარე აგიტაციას. ბაბაღე პაპუნაშვილი იარა-
ღით ხელში დარაჯობდა ბოლშევიკური ორგანიზაციის არაღეგალურ კრებებს.
იგი 1918 ივნის-ივლისში დუშეთის გლეხთა აჯანყებაში იარაღით მონაწილეობ-
და. ბრძოლაში დაიჭრა, ხოლო მისი მეუღლე გმირულად დაიღუპა. აჯანყების
დამარცხების შემდეგ პაპუნაშვილს შვილი სკოლიდან გაურიცხეს, თვით დაავა-
ტიმრეს. ციხიდან განთავისუფლების შემდეგ პაპუნაშვილი კვლავ ჩაება არა-
ღეგალურ მუშაობაში. მისი საშუალებით დუშეთის პარტიულ ორგანიზაციას
კავშირი ჰქონდა სამხარეო კომიტეტთან, რომლის ადგილსამყოფელი მაშინ
ელადიკავკავი იყო...³.

საქართველოს მშრომელთა და მშრომელ ქალთა რევოლუციური მოძრაო-
ბის იატორიაში სახელმძღვანელონი გახდნენ: ეკატერინე ავალიანი, ნინო ალა-
ჯალოვა, ბაბე ბოჭორიძე (ლაბაძე), მარიამ ბოჭორიძე (ჩიტეშვილი), ოლღა გა-
ბუნია, ფაცია ვალდავა, ანაიდა უსაინი (გრიგორიანი), სოფიო თალაკვაძე, სო-
ფიო თოდრია (ციმბახოვა), ოლღა კალანდაძე, ნატალია ლელაშვილი, ელისაბედ
ლუკვაჯა, ნატალია ლომთათიძე, ნინო მახარაძე (საშოლნიაკოვა), ნატალია მგა-
ლობლიშვილი, მარიამ ორაბელაშვილი, ბაბაღე პაპუნაშვილი, ოლღა პლიევა,
ელენე ატასოვა, ოლღა სტურუა, ნატალია ქიქოძე, ნატალია ჭიბუტი, სუსანა
შავერდოვა, მელანია ჩოდრიშვილი, პატკულია ჩხატარაშვილი, ნინო ხანოიანი
(მელიქ-ბალდაშაროვა), არუსიანკა ცინცაძე (ტერ-პეტროსიანი), ჯავიირა ხუტუ-
ლაშვილი (ტერ-პეტროსიანი), ბარბარე ჯაფარიძე (ხოჯაშვილი), მარიამ ჯიკირ-

1 იხ. ა. ართილავეას ნაშრომი „დუშეთის გლეხთა აჯანყება 1918 წ.“, 1960 წ. გვ. 58.
2 ვახ. „სოფლის ცხოვრება“, 1967 წ. 22 მარტი № 68 (1873).
3 დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მასალები.

ბა, მარია კარავოროდსკაია, ვილჰელმინა ჩაიკა, მარია კუხალეიშვილი, ანა სლო-
ვიოვა, ანდრუშკა კობახია, მარგარიტა გაბუნია და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლებში, მასების აღზრდისა და კულტურის
ლისტური რევოლუციის დროშის ქვეშ მათი დარაზებისათვის უღონოებისა და მტრე-
ლობა ჰქონდა ბოლშევიკურ პრესას, რევოლუციური ხასიათის ლიტერატურას.
ქალები ენერგიულად მუშაობდნენ რედაქციებში, ავრცელებდნენ არალეგალურ
ლიტერატურას, ეწეოდნენ მგზნებარე აგიტაციას.

მარიამ ორახელაშვილი ქუთაისის საგებერნიო კომიტეტში მუშაობის პა-
რალელურად მუშაობდა გამომცემლობა—„წითელი ვარსკვლავის“ საგამომ-
ცემლო კომისიაში, მუშანა შეეერთოვა ჯერ მუშაობდა პარტგამომცემლობა
„პროლეტარში“, ხოლო შემდეგ ბოლშევიკურ გაზეთ „ვოლნას“ რედაქციაში
მდივნად. აღნიშნული გაზეთის დახურვასთან დაკავშირებით იგი გაჩხრიკეს და
პატიმრობის თავიდან ასაცილებლად იძულებული გახდა არალეგალურ მდგო-
მარეობაში გადასულიყო. ანეტა კალაძე და სოფიო თოდრია მუშაობდნენ გა-
ზეთ „ბრძოლისა“ და „კაკაშკი რაბონის“ სტამბებში.

ბოლშევიკ ვილჰელმინა ჩაიკას ბინაზე სოხუმში მოწყობილი იყო არალე-
გალური სტამბა. აქვე ხშირად ეწყობოდა პარტიული მუშაკების საიდუმლო
თათბირები. ჩაიკა რევოლუციურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის
დაპატიმრებული იქნა მენშევიკების მიერ¹.


ბოლშევიკური ლიტერატურის გავრცელებისა და მენშევიკების ხელისუფ-
ლების წინააღმდეგ პროპაგანდისათვის დენილი იყვნენ: ა. კაპანაძე, ფ. გეგე-
შიძე, კ. მიქაძე, ს. ხანთაძე, პ. ჩხარტიშვილი, ნ. ლომთათიძე, ე. შარაშენიძე,
ვ. ქებულაძე, ლ. ბახტაძე, ა. სურგულაძე, ნ. ცაგარციშვილი, ქ. ცხოიძე, ქ. აბა-
შიძე, ა. კუჭავა, ს. თოდრია, მ. ლომინაძე, ა. თალაკვაძე, ე. უჯმაჯურიძე, ნ. მგა-
ლობლიშვილი, ნ. ჯიბუტი, ო. ჩხიკვიშვილი, მეტია და კატო ცინცაძეები და
სხვა.

მენშევიკებმა ორჯერ დააპატიმრეს ბაბე ბოჰორიძე, რომელიც პარტიის
თბილისის კომიტეტის დავალებით კავშირს ამყარებდა დაპატიმრებულ ამხანა-
გებთან, აწვდიდა მათ ლიტერატურას, საღირებულო მითითებებს და ხალხში
ეწეოდა მენშევიკების საწინააღმდეგო აგიტაციას.

ბოლშევიკური პარტიის სამხარეო კომიტეტის დავალებით ნინო პროკოფის
ასული მახარაძე (ფილიპე მახარაძის მეუღლე) ხელმძღვანელობდა საქართვე-
ლოს რაიონების მომარაგებას არალეგალური ბოლშევიკური ლიტერატურით.
აქტიური მუშაობის ვამო მენშევიკებმა იგი რამდენჯერმე დააპატიმრეს, იჭდა
ქუთაისის ციხეში, საიდანაც განთავისუფლდა საქართველოში საბჭოთა ხელი-
სუფლების დამყარების შემდეგ.

მენშევიკები მთელი სისასტიკით უსწორდებოდნენ ბოლშევიკ ქალებს.
„დემოკრატიულ“ საქართველოში მენშევიკ სოციალისტების ბატონობის
წლებში არალეგალურ პირობებში უხდებოდა ცხოვრება რევოლუციონერ
ქალს—კავაირა არშაკის ასულ ხუტულაშვილ-ტერ-პეტროსიანს. იგი ფარულად
ცხოვრობდა ჯერ თბილისში. შემდეგ ალექსანდრეპოლსა და ერევანში. 1919

¹ მარქსიზმ-ლენინიზმის საქ. ფილიალი, ფ. 31, საქმე 73, 93.



წელს ჯავაირა თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის განსაკუთრებული და-
ვლებით მიღის ჩრდილო კავკასიაში, როგორც ერევნის პოლკის ვერცხვ-ქოქი
ქოვანის მეუღლე, სადაც მან მოახერხა ხელში ჩაეგდო დენიკინის კომანდოს
რო გემა. 1920 წელს ჯ. ხუტულაშვილი კომინტერნის მეორე კონგრესს ესწრე-
ბა მოსკოვში. აქ მან პირველად ნახა ვ. ი. ლენინი და მალე კამოს მეშვეობით
პირადად გაეცნო მას. ჯავაირა ხუტულაშვილს ნაცნობობა და მიმოწერა ჰქონდა
მ. გორკისთან.

1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მა-
რიამ ორახელაშვილი აქტიურ მუშაობას აწარმოებდა ვლადიკავკაში. იგი აქ
ებრძოდა თეთრგვარდიელთა ბანდებს, ხელმძღვანელობდა პროფკავშირებს,
არჩეული იყო ვლადიკავკაის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს
და აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად. ვლადიკავკაის პროფ-
კავშირების ცენტრალური ბიუროს თავმჯდომარედ და ბოლშევიკური ორგანი-
ზაციის საოლქო კომიტეტის წევრად.

როცა ვლადიკავკაის თავს დაესხნენ თეთრგვარდიელი ბანდები და ქალა-
ქში მძვინვარებდა თეთრი ტერორი, მარიამ ორახელაშვილს, მიუხედავად მძიმე
მდგომარეობისა, ქალაქი არ დაუტოვებია და პარტიის დავალებით ხელმძღვა-
ნელობდა ბოლშევიკების ევაკუაციას.

1918 წელს მარიამ ორახელაშვილი საქართველოს სამხედრო გზით მეტად
მძიმე პირობებში ბრუნდება თბილისში და როგორც გამოჩენილი პარტიული
მუშაი აქ ერთ-ერთი მეთაურთაგანია მენშევიკების წინააღმდეგ ხალხის ბრძო-
ლისა. იგი ჯერ პარტიულ მუშაობას ეწევა დასავლეთ საქართველოში, 1920
წელს კი მუშაობს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომი-
ტეტში.

ქუთაისში მუშაობის დროს 1921 წლის იანვარში მენშევიკურმა მთავრო-
ბამ მ. ორახელაშვილი დააპატიმრა და ციხეში მოათავსა; პატიმრობიდან გან-
თავისუფლების შემდეგ მ. ორახელაშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საბ-
ჭოთა ხელისუფლების ორგანოების მუშაობაში.

საპატიმრო, გადასახლება, დევნა, მუდმივი ხვედრი იყო გამოჩენილი რევო-
ლუციონერის ალიოშა ჯაფარიძის მეუღლის—ბარბარე (ვარო) ჯაფარიძისა. იგი
უჩვეულო სიმტკიცით იტანდა ყველა გაჭირვებას და თავგამოდებით იბრძოდა,
საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

1917 წელს ვარო ჯაფარიძე ბაქოში იმყოფება და თავის მეუღლესთან ერ-
თად აქტიურად მონაწილეობს ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის მუშაობა-
ში. 1918 წელს ბაქოს 26 კომისართან ერთად ვ. ჯაფარიძე დააპატიმრეს, სადაც
6 თვე დაჰყო. შემდეგ იგი მიემგზავრება ასტრახანში, საიდანაც ს. მ. კირიკის
დახმარებით გადადის მოსკოვში. 1920 წელს ვ. ჯაფარიძე მუშაობას იწყებს
თბილისში აზერბაიჯანის მისიაში.

1921 წელს მენშევიკური მთავრობა მას კვლავ აპატიმრებს. რამდენიმე
დღის შემდეგ მყარდება საბჭოთა ხელისუფლება და ვ. ჯაფარიძე ციხიდან თა-

11531

1 რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში, 1961, გვ. 446—





ვისუფლდება და თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე პარტიულ საქმე-
თა და სამეურნეო საპასუხისმგებლო საქმეებზე იმყოფება.

კომუნისტი ნინო მგელაძე თავის ქმართან ერთად 1920 წელს
განდევნეს საქართველოდან. მან მუშაობა დაიწყო ქველმოხილვის
კური პარტიის რაიონული კომიტეტის მდივნად. ხოლო შემდეგ პოლიტიკურ კო-
მისრად.

რევოლუციონერი პატკულია ხარებავა მენშევიკებმა რამდენჯერმე დააპა-
ტიმრეს, აუწიოყეს ბინა და კონფისკაცია უყვეს მის ქონებას.

იყო შემთხვევები, როცა ქალები მზად იყვნენ სიცოცხლე შეეწირათ მებ-
რძოლი ამხანაგების გადსარჩენად. როდესაც სამ ახალგაზრდა ბოლშევიკს
მენშევიკების სავლე სსამართლომ სიკვდილი მიუსაჯა, ქალათების წინ უწიშ-
რად დადგა იმ დროს პატიმრობაში მყოფი კატო მიქაძე და განუცხადა მათ:

„თუ თქვენ აუცილებლად გწყურიათ ბოლშევიკების სისხლი, გთხოვთ იგა
მიიღოთ ჩემგან, ამ ახალგაზრდების ნაცვლად დამხვრატოთ მე, ისინი კი გაა-
თავისუფლოთ“¹.

ქალებმა ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერეს აჭარის, აფხაზეთის და სამ-
ხრეთ-ოსეთის მშრომელთა ბრძოლების ისტორიაში მენშევიკების წინააღმდეგ.

ა. ა. კობახია, ა. ყ. გაბუნია, მ. გ. ჯიკირბა, მ. ი. ყარაგორდსკაია, ვ. ი.
ჩაიკა, მ. ი. კუხალეიშვილი და ა. ა. სოლოვიოვა სიცოცხლეს არ ზოგავდნენ
აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

აფხაზეთის ცალკეულ სოფლებსა და ტყეებში მოქმედ პარტიზანულ რაზ-
მებში მრავლად იყვნენ ქალები. მათი საშუალებით პარტიზანები კავშირს ამ-
ყარებდნენ მოსახლეობასთან. ბოლშევიკური პარტიის კოდორის სამაზრო კო-
მიტეტის მიერ შექმნილ პარტიზანულ რაზმში სახელი გაითქვა ა. ა. კობახიამ
და მ. ი. კუხალეიშვილმა. მარიამ ჯიკირბა აქტიურად მონაწილეობდა ბრძო-
ლებში, რომელიც ჩაატარა პარტიზანულმა რაზმმა „ქიარაზ“. განსაკუთრებული
მამაცობა გამოიჩინა მან მიუსერასთან ბრძოლებში. 1919 წელს მარია ჯიკირ-
ბამ ბათუმში მყოფ აფხაზ იატაკქვეშეთელებს გადასცა პარტიზანული რაზმის
მიერ შეგროვილი ფული და საჭირო საბუთები. 1921 წელს მ. ჯიკირბა მონა-
წილეობდა ხელჩართულ ბრძოლებში მენშევიკების წინააღმდეგ.

მენშევიკების მიერ მისჯილმა შინაურმა პატიმრობამ ხელი ვერ შეუშალა
სოხუმელ კომუნისტ მარგარიტა ყარამანის ასულ გაბუნიას ეწარმოებინა პო-
ლიტიკური მუშაობა ჯერ ფოთის მუშათა შორის და შემდეგ სოხუმის გიმნაზია-
სა და მოსახლეობაში. მ. გაბუნია გიმნაზიაში არალეგალურად მომუშავე ბოლ-
შევიკების მიერ არჩეული იყო ორგანიზაციის მდივნად. რევოლუციონერი ქა-
ლი გიმნაზიის უფროსი კლასის მოსწავლეების ჩაბმით მუშაობაში დიდხანს არა-
ლეგალურ ლიტერატურას გზავნიდა სოფლებში, კავშირს ამყარებდა ციხეში
მყოფ ბოლშევიკებთან, ეწეოდა მუშაობას არალეგალურ წრეებში.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში აქტიური მონაწილეობა
მიიღო ანა არკადის ასულმა სოლოვიოვამ, როგორც მე-9 არმიის 31-ე დივიზიის
განსაკუთრებული დანიშნულების რაზმის მეტყვიაფორკვევემ. აფხაზეთის რე-
-

¹ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალის არქივი, ფონდი 93 (11).

კომის დავალებით სოლოვიოვას, როგორც გამოცდილ ჩეკისტს კრანოვსკისა და როსტოვიდან უნდა მოემარაგებინა სოხუმის ორგანიზაცია ინსტრუქციით, არალეგალური პროპაგანდისტული ხასიათის ლიტერატურით, ბეჭდვით და სხვა სახის საშუალებებით. ა. სოლოვიოვამ ეს დავალება წარმატებით შეასრულა. გ. ი. ბეჭდვით და სხვა სახის საშუალებებით.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში თვალსაჩინო როლი ითამაშა უკრაინელმა ბოლშევიკმა მარია ისას ასულმა კარაგორდსკაიამ. 1920 წელს სკკპ ცკ-ის კავკასიის ბიურომ კარაგორდსკაია, როგორც გამოცდილი ბოლშევიკი და მებრძოლი გადმოგზავნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განკარგულებაში. ამის შემდეგ გ. კარაგორდსკაია მონაწილეობს აფხაზეთში იატაკქვეშა-პარტიული მუშაობის აღდგენაში.

მ. კარაგორდსკაიას აქტიური მონაწილეობით შექმნილ იქნა იატაკქვეშა რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში.

ახალგაზრდა ოს ქალს ოლა პლიევას მენშევიკების მიერ ოსეთის დარბევის საშინელ დღეებში ეყო გამბედაობა გამოსულიყო მენშევიკების ყრილობაზე და ემხილებინა დამსჯელი ექსპედიციის მოქმედება.

1921 წელს, როცა ელადიკავკაში პარტიზანული რაზმი მოეწყო ო. პლიევა პირველსავე რაზმში ჩაეწერა და რაზმთან ერთად ზეკარის უღელტეხილით თავის სამშობლოში გადავიდა. მან ოლა სანაკოვეასთან, ოლა ხაჩიროვასთან და სხვა მოწინავე ოს ქალებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში¹.

1919 წლის გაზაფხულზე, როცა ამიერკავკასიისა და საქართველოს დაემუქრა დენიკინის კონტრრევოლუციური არმიის შემოჭრის საფრთხე და რსდმპ კავკასიის სამხარეო კომიტეტის მოწოდებისთანავე თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ საბრძოლველად აღსდგა აკ მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა, ქალები განზე არ დარჩენილან ამ მოძრაობიდან. ისინი თავიანთ გამოსვლებში ახელდნენ მენშევიკების მოლაღატობას და უცხოელი იმპერიალისტების წინააღმდეგ ხალხს მოუხმობდნენ გადამწყვეტი ბრძოლისაკენ. სწორედ ამ დროს მენშევიკურმა მთავრობამ თეთრგვარდიელი გენერლის დენიკინის წარმომადგენელ ბარათოვზე თავდასხმაში მონაწილეობაზე ეკვის მიტანის გამო დააპატიმრა რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრი ნინა ალაჯალოვა, რომელიც სამი თვის შემდეგ საქართველოდან გაასახლა².

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაში უკნობი დიდებით შევიდნენ პირველი კომკავშირული ქალები: თამარ მელიქიძე, ვერა კიხიჩია, თამარ საჯაია, მარია მადარეიშვილი, თამარ ვარდოსანიძე, მილიცა შუბლაძე, აკრათინა მახარობლიძე, თამარ გაბრაშვილი, კატუშა როინიშვილი, მატრონა ქურიძე და თამარ ბახტაძე.

მენშევიკების წინააღმდეგ გურიის გლეხკაცობის ბრძოლის აქტიური მონაწილეები: ნ. ლომთათიძე, ნ. მგალობლიშვილი, მ. ლომინაძე, ო. კალანდაძე, ფ. კობიძე, მ. ცინცაძე, კ. უჭმაჭურიძე, ნ. ჯიბუტი, ე. დარჩია, მ. ფირცხელიაშვილი.

¹ საქართველოს ცსია, ფ. 144, საქმე 1211.

² ხელმძღვანელი კადრების აღრიცხვის ფურცელი.



ლი, ნ. და შ. ბერიძეები, მ. კალანდაძე და სხვები მენშევიკების რეჟიმის წლებში ან პატიმრობაში მოხდნენ ან გაასახლეს, ანდა თვით იყვნენ არალეგალურად ეცხოვრათ საცხოვრებელი სახლიდან მოშორებით.

აჯანყებისათვის მზადებისა და მისი განხორციელების საქმეში მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართველმა ქალებმა. ისინი შედიოდნენ წითელ რაზმებსა და აჯანყების შტაბებში, ხელს უწყობდნენ ბრძოლისათვის მზადყოფნას, ამყარებდნენ კავშირს არმიასთან, აწვდიდნენ მებრძოლებს გადაამალულ იარაღს, მოსახლეობას მოუწოდებდნენ გამოსვლებსაქენ, ასრულებდნენ მეკავშირის და მოწყალების დის საპატიო როლს, მამაკური ბრძოლებით პირად მავალითებს იძლეოდნენ.

საქართველოს მშრომელებმა და მშრომელმა ქალებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წითელი არმიის დახმარებით, დაამხეს მენშევიკური მთავრობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც მთელ ჩვენს ხალხთან ერთად ქართველ ქალებს, ბედნიერება და სიხარული მოუტანა და ფართო გზა გაუხსნა მათ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის.

Доц. АНТИДЗЕ К. Д.

РОЛЬ ЖЕНЩИН В БОРЬБЕ ЗА ПОБЕДУ СОВЕТСКОЙ ВЛАСТИ В ГРУЗИИ

Резюме

1. Успехи борьбы за освобождение угнетенных народов, в том числе за победу пролетарской революции в известной степени зависят от того, насколько в ней участвуют женщины.

2. Со дня зарождения революционного движения под руководством Коммунистической партии женщины нашей страны активно участвовали в борьбе против эксплуататорских классов, чем они еще больше усиливали народный характер этого движения.

3. Особая жестокость эксплуатации пролетариата, нищета крестьян на селе, резкий упадок жизненного уровня народных масс, при сочетании всех форм угнетения политического деспотизма самодержавия, совместно с трудящимися Грузии невыносимым делало положение женщин и толкало их к борьбе за свержение существующего строя.

4. Женщины Грузии горячее участие принимали в устроенных нашей партией забастовках и демонстрациях рабочих, способствовали распрост-

ранению революционной литературы, вели пропаганду, организаторскую работу и получила политическое воспитание.

5. При подготовке и в осуществлении восстания против царского режима женщины принимали участие в красных отрядах, в рядах восстания, способствовали готовности выступления, устанавливали связи с армией, предоставляли воинам спрятанных оружия, призывали население к выступлению, исполняли почетную роль связиста и сестер милосердия и давали примеры своей мужественной борьбой.

6. Победой Советской власти установилось равноправие женщин с мужчинами и открылась широкая дорога для активного участия их в общественно-политической жизни страны.



დოც. ბ. ჯორჯიკია

საგომთა საზოგადოების კლასობრივ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთ კანონზომიერებათა შესახებ


სკკპ პროგრამაში, XXIII ყრილობისა და ცკ-ის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებში, კომუნისმის მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის სხვა საკითხებთან ერთად მეცნიერული სიზუსტით არის გარკვეული კლასობრივ ურთიერთობათა განვითარების გზები კომუნისმის მშენებლობის პერიოდში.

„კომუნისში არის უკლასო საზოგადოებრივი წყობილება.—ნათქვამია სკკპ პროგრამაში,—სადაც წარმოების საშუალებანი ერთიანი საერთო-სახალხო საკუთრებაა, საზოგადოების ყველა წევრი სოციალურად სავსებით თანასწორია, ადამიანთა ყოველმხრივ განვითარებასთან ერთად საწარმოო ძალებიც გაიზრდება მუდამ განვითარებადი მეცნიერებისა და ტექნიკის საფუძველზე, საზოგადოებრივი სიმდიდრის ყველა წყარო სავსე ნაკადად იდენს და განხორციელებს დიადი პრინციპი „თვითღვინისაგან—უნარის მიხედვით“, „თვითღვინს—მოთხოვნების მიხედვით“¹.

მაგრამ კომუნისში ერთბაშად არ შენდება. კომუნისტურ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციას ახასიათებს განვითარების ორი ფაზა. კომუნისმის პირველი ფაზა, სოციალიზმი—ეს ისეთი საზოგადოებაა, სადაც ჭერ კიდევ არაა ბობენ, მართალია მეგობრული, მაგრამ მაინც, ერთმანეთისაგან განსხვავებული სოციალური ჯგუფები—მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენციის ფენა. საზოგადოების ასეთი სტრუქტურა შედეგია იმ უდიდესი გარდაქმნებისა, რაც განხორციელდა ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალ პერიოდში. ამ პერიოდში ორი უმნიშვნელოვანესი ამოცანა იქნა გადაწყვეტილი კლასობრივ ურთიერთობათა სფეროში: ლიკვიდირებული იქნა ექსპლოატატორული კლასები (მემამულეები, კაპიტალისტები და უკანასკნელი, ყველაზე მრავალრიცხოვანი ექსპლოატატორული კლასი—კულაკები), და გარდაიქმნა წვრილმეწარმეთა კლასი — გლეხობა — მათი კოოპერირებისა და სოციალისტურ რელსებზე გადაყვანის გზით.

ყოველივე ამის შედეგად კაცობრიობის ისტორიაში პირველად დამყარდა ისეთი საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც მხოლოდ მშრომელებისაგან

¹ სკკპ XXII ყრილობის მისილები, 1962, გვ. 453.



შედგება. საზოგადოება, დამყარებული წარმოების სამუშაოებისადმი საზოგადოებრივ საკუთრებაზე, სადაც გამოირჩეულია ადამიანის მიერ აღმოჩენილი პლოტაცია, ყველა პირობას ქმნის მის შემადგენელ სოციალურ შორის მეგობრული კავშირისა და თანამშრომლობისათვის საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა სფეროში.


ჩვენს ქვეყანაში მომხდარი უღრმესი სოციალური გარდაქმნა წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე რევოლუციური კლასის—სსრ კავშირის მუშათა კლასისა და მისი კომუნისტური პარტიის რევოლუციური შემოქმედების შედეგს. მაგრამ მუშათა კლასი სოციალ-სტრუქტურული მშენებლობის ამოცანებს ახორციელებდა არა მარტოდ-მარტო, არამედ გლეხობასთან მჭიდრო კავშირში. „სსრ კავშირის გამოცდილებამ დაამტკიცა,—ნათქვამია სკკპ პროგრამაში,—რომ ახალი საზოგადოების შემქმნელის თავისი ისტორიული მისიის შესრულება მუშათა კლასს შეუძლია მხოლოდ მტკიცე კავშირით არაპროლეტარულ მშრომელ მასებთან, პირველ რიგში გლეხობასთან“¹.

სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა ეტაპზე იცვლებოდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ფორმები, მაგრამ მისი მიზანი ერთი იყო: დამბობილი ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგობის დაძლევა, ამ კლასებისა და მათი ნაციონალისტური პარტიების ლიკვიდაცია, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება, სოციალისტური საზოგადოების აშენება.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მუშათა კლასსა და გლეხობას შორის კავშირის განმტკიცებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებულმა პირველმა ეკონომიურმა ღონისძიებებმა. საბჭოების II ყრილობამ ვ. ი. ლენინის წინადადებით მიიღო ისტორიული დეკრეტი მიწის შესახებ, რითაც სამუდამოდ გაუქმდა ყერძო საკუთრება მიწაზე, მოხდა მისი ნაციონალიზაცია და გლეხობას უსასყიდლოდ გადაეცა 150 მილიონ დესეტინაზე მეტი მიწა. გარდა ამისა, გლეხები განათავისუფლდნენ მემამულეებისათვის საიჯარო ქირის გადახდისა და მიწის შესასყიდი ხარჯებისაგან, რაც საერთო ჯამში 700 მილიონ ოქროს მანეთს აღემატებოდა წლიურად.

მიწის შესახებ დეკრეტის ცხოვრებაში გატარებით საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი პირველი რიგის სოციალისტურ ამოცანებთან ერთად ბოლომდე გადაწყვიტა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მიერ გადაუჭრელი ამოცანები. მემამულეთა, და 1918 წ. მეორე ნახევარში ნაწილობრივ ეკლავთა ექსპროპრიაციამ და გლეხობისათვის მიწების უსასყიდლოდ გადაცემამ ღრმა სოციალ-ეკონომიური ცვლილებები გამოიწვია სოფლად, შემცირდა ღარიბი გლეხობის რაოდენობა და გაიზარდა საშუალო გლეხობის ხვედრითი წონა — სოფელი სულ უფრო და უფრო საშუალო გლეხური ხდებოდა. კომუნისტური პარტიის სწორი პოლიტიკის შედეგად საშუალო გლეხობის განწყობილებაში დაიწყო გარდატეხა—იგი საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე იწყებს გადმოსვლას. ითვალისწინებდა რა ამ გარემოებას პარტიამ შესცვალა პოლიტიკა საშუალო

¹ სკკპ XXII ყრილობის მასალები, 1962, გვ. 409.



გლეხობისადმი დამოკიდებულების საკითხში. საშუალო გლეხობის პოლიტიკა ზაციის პოლიტიკიდან პარტია გადავიდა მასთან მტკიცე კავშირის პოლიტიკაზე. ამ კავშირში პროლეტარიატის ხელმძღვანელობის შენარჩუნების მიზანმიმართულ საშუალო გლეხობის მიმართ პარტიის VIII ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მუშათა კლასისაგან მოითხოვდა, რომ იგი დაყრდნობოდა ღარიბ გლეხობას, დაემყარებინა კავშირი საშუალო გლეხობასთან და ეწარმოებინა ბრძოლა კულაკობის წინააღმდეგ. ეს იყო ჩვენი პარტიის მესამე ტაქტიკური ლოზუნგი გლეხობის საკითხში, რომლის ცხოვრებაში გატარებამ გადაწყვეტი როლი შეასრულა როგორც უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და შინაგანი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ სამოქალაქო ომის წარმატებით დამთავრების, ისე სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის მთელ საქმეში.

სამოქალაქო ომის წლებში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი ატარებდა სამხედრო-პოლიტიკურ ხასიათს, რაც ორივე კლასის ინტერესთა ერთიანობას ემყარებოდა. მაგრამ კავშირის ასეთი ფორმა არასაკმარისი აღმოჩნდა მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობაზე გადასვლის შემდეგ. ცხადი გახდა, რომ სამხედრო კომუნიზმის სისტემა, რომელმაც უზრუნველყო საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება სამოქალაქო ომში, ამკარა წინააღმდეგობაში მოექცა გლეხობის ინტერესებთან. საჭირო იყო მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ახალი ფორმების გამოხატვა. კავშირის ასეთი ახალი ფორმა აღმოჩნდა ვ.ი. ლენინის მიერ შემუშავებული და პარტიის X ყრილობის მიერ მიღებული ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელმაც უზრუნველყო მუშათა კლასისა და გლეხობის მტკიცე ეკონომიური კავშირი სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. ახალი ეკონომიური პოლიტიკა ითვალისწინებდა გლეხობის დაინტერესებას თავისი მეურნეობის განვითარების საქმეში და მსხვილ სოციალისტურ მრეწველობასა და წეროლ სასაქონლო გლეხურ მეურნეობას შორის ეკონომიურა კავშირის განმტკიცებას ვაჭრობის საშუალებით. ამ პერიოდში პარტიისა და ქვეყნის წინაშე მდგარი სამეურნეო მშენებლობის პრაქტიკული ამოცანები იყო: ნაციონალიზებული მრეწველობის განვითარება, ამისათვის ინდუსტრიის დაკავშირება გლეხურ მეურნეობასთან ვაჭრობის საშუალებით; სასურსათო გაწერის შეცვლა სასურსათო გადასახადით, რათა შემდეგში, სასურსათო გადასახადის თანდათანობითი შემცირებით, საქმე მიყვანილიყო ინდუსტრიის ნაწარმის გაცვლამდე გლეხური მეურნეობის პროდუქტებზე; ვაჭრობის გამოცოცხლება და კოოპერაციის განვითარება, ამ უკანასკნელში გლეხთა მასების ჩაბმით.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძველზე მოპოვებულ სამეურნეო წარმატებებს მოყვა მუშათა კლასისა და გლეხობას შორის ეკონომიური კავშირის შემდგომი განმტკიცება, სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომი გაძლიერება.

კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში მუშათა კლასი და გლეხობა წარმოადგენდა საბჭოთა საზოგადოების ძირითად კლასებს, ამასთან მუშათა კლასი ემყარებოდა მსხვილ სოციალისტურ მრეწველობას, გლეხობა კი წეროლ-სასაქონლო კერძომეცაყურთულ სოფლის მეურნეობას. სოციალიზმის



გამარჯვებისათვის აუცილებელი იყო გლეხობის გადაყვანა სოციალიზმის სივრცეში, მათი ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში. ამ ამოცანის გადაწყვეტის გზები ნაჩვენები იქნა ვ. ი. ლენინის მიერ. ეს იყო სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გზა, რამაც განსაზღვრა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის საფუძველად კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში და რამაც მივლინა სოციალიზმის გამარჯვებამდე.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე, ლენინურ კოოპერატიულ გეგმაზე დაყრდნობით კომუნისტურმა პარტიამ უზრუნველყო წერილი დაქსაქსელი, ერთპიროვნული გლეხური მეურნეობიდან მსხვილ კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლა. ჩვენი ქვეყნის მრავალმილიონიანი გლეხობა მტკიცედ დაადგა კოლექტივიზაციის გზას. ლიკვიდირებული იქნა საუკუნეობრივი დაპირისპირება ქალაქსა და სოფელს შორის. ქალაქი გახდა სოფლისადმი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული დახმარების ცენტრი. ყოველივე ამის საფუძველზე განმტკიცდა მუშათა კლასსა და გლეხობას შორის კავშირი, რაც სოციალიზმის გამარჯვებო მთავარი პირობა გახდა.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მეურნეობის სოციალისტური სისტემის გამარჯვებას მოჰყვა საბჭოთა საზოგადოების კლასობრივი შემაღვწელობის ძირეული შეცვლა. ჯერ ერთი, — სოციალიზმის გამარჯვების შედეგად ძირეულად შეიცვალა საზოგადოებაში სოციალური ჯგუფების თანაფარდობა.

სსრ კავშირის მოსახლეობის განაწილება სოციალური ჯგუფების მიხედვით 1939 წ. 1913 წ. შედარებით შემდეგნაირად გამოიყურებოდა (პროცენტებში):

	1939 წ.	1913 წ.
მეშენი და მოსამსახურეობი	50,2	17,0
კოლმეურნე გლეხობა და კოოპერირებული კესტარები	47,2	—
ერთპიროვნული გლეხობა და არაკოოპერირებული კესტარები	2,6	66,7
მემანულები, ქალაქის მსხვილი და წერილი ბურჟუაზია, ვაჭრები და კულაკები	—	16,3

აქედან ჩანს, რომ მუშათა და მოსამსახურეთა ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ჩამოყალიბდა არსებითად ახალი კოლმეურნე გლეხობის კლასი, ერთპიროვნული გლეხობის რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა, ხოლო ექსპლოატატორული კლასები ლიკვიდირებული იქნენ მთლიანად.

მეორე, რაოდენობრივ ცვლილებებთან ერთად ძირეული თვისობრივი ცვლილებები განიცადა ჩვენი საზოგადოების სოციალურმა ჯგუფებმა: მუშათა კლასმა, გლეხობამ და ინტელიგენციის ფენამ — ისინი ძირეულად განსხვავდებიან რევოლუციამდელი შესაბამისი სოციალური ჯგუფებისაგან.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი აღარ წარმოადგენს წარმოების საშუალებებსა და იარაღებს მოკლებულ, ექსპლოატატორებისათვის მომუშავე პროლეტარიატს, ის სრულებით ახალი მუშათა კლასია, რომელმაც მოსპო მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა, დაამკვიდრა წარმოების საშუალებებისადმი საზოგადოებრივი საკუთრება, გადაიქცა საზოგადოების ხელმძღვანელ — ძალად და კომუნისმის გზით წარმართავს მის განვითარებას.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მკვეთრად ამაღლდა მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონე. 1959 წ. ყველა მუშის 39 პროცენტი საშუალო

(სრული და არასრული) და უმაღლესი განათლების მქონე იყო. დე. 1939 წ. ყოველი ათასი მუშიდან საშუალო და უმაღლესი განათლების იყო 82 კვ.მ. 1959 წ. ამ რიცხვმა 386 მიაღწია.

ერქენულში
საქართველოს
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
აქადემიის
საქართველოს
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
აქადემიის
საქართველოს
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
აქადემიის

რაც შეეხება მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, აქ განსაკუთრებით დიდია მუშათა კლასის, როგორც საზოგადოების პოლიტიკური ხელმძღვანელის როლი, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში გამოდიოდა მუშათა კლასი საზოგადოების ხელმძღვანელ ძალად, ისე საერთო სახალხო სახელმწიფოს პირობებშიაც ის წარმოადგენს საზოგადოების წარმმართველ ძალას. „რამდენადაც მუშათა კლასი საბჭოთა საზოგადოების ყველაზე მოწინავე, ორგანიზებული ძალაა, იგი თავის ხელმძღვანელ როლს გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პროცესშიც ახორციელებს“¹ — ნათქვამია სკკპ პროგრამაში.

თვისობრივი ცვლილებები მოხდა გლეხობის მდგომარეობაში. სოციალიზმის პირობებში გლეხობა განთავისუფლებულია ექსპლოატაციის ყველა ფორმისაგან. ის უკვე აღარ წარმოადგენს წვრილ სასაქონლო მწარმოებელ კლასს. მის მეურნეობას საფუძვლად უდევს არა კერძო ბაქუთობა, არამედ კოლექტიური საკუთრება, რომელიც კოლექტიური შრომის ბაზაზე აღმოცენდა. ყოველივე ამის გამო ჩვენი გლეხობა თავისი ფსიქოლოგიით, თავისი ორგანიზებულიობით ის არ არის, რაც წინათ იყო, იგი იზრდებოდა სოციალისტური მშენებლობის მთელ მანძილზე და გაიზარდა სოციალისტური სულისკვეთების კომპლურნე გლეხობად.

ძირეული ცვლილებები განიცადა ჩვენმა ინტელიგენციამაც. შეიცვალა მისი როგორც შემადგენლობა, ისე საქმიანობის ხასიათი. თუ ბურჟუაზიული წყობილების დროს ინტელიგენციის დიდი უმრავლესობა ერის ვაბატონებული კლასებიდან იყო გამოსული და მათ ემსახურებოდა, სოციალისტურ მშენებლობის პროცესში ჩამოყალიბდა სრულიად ახალი, მუშურ-გლეხურ საბჭოთა ინტელიგენცია, რომელიც მთელი თავისი საქმიანობით დაკავშირებულია მშრომელებთან, — მუშათა კლასთან და გლეხობასთან და მათ ემსახურება.

სსრ კავშირის კლასობრივ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების საფუძველზე აღმოცენდა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, როგორც ჩვენი საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა.

საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ეკონომიურ საფუძველს შეადგენს წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებაზე დამყარებული სოციალისტური წარმოების წესი, რაც განსაზღვრავს ამ საზოგადოების შემადგენელი კლასების — მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის ფუნქციონირების ეკონომიურ ინტერესთა ერთიანობას, მათი მიზნებისა და მისწრაფებათა ერთიანობას.

¹ სკკპ XXII ყრილობის მასალები, 1962, გვ. 491.



საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენს, საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილება, რამდენადაც მთელი საზოგადოების ძირეულ ინტერესებს გამოხატავს, იცავს და განვითარებს. ველოფს მისი ყველა წევრის მონაწილეობას ქვეყნის მართვა-გამართლაში.

საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია; გლეხობა დაუკავშირდა მუშათა კლასს როგორც ეკონომიურად და, პოლიტიკურად, ისე სულიერ სახითაც. სოციალისტური მშენებლობის პროცესში პარტიის უდიდესი აღმზრდელი მუშაობის შედეგად შეიკვალა გლეხობის მსოფოლოგია, სოციალისტური იდეოლოგია, რომლის მატარებელიც წინათ თბილის მუშათა კლასი იყო, გლეხობის ძირითადი მასის ცნობიერებასაც დაეფუძლა. მაგრამ მუშათა კლასისა და გლეხობის ეკონომიური, პოლიტიკური და იდეური დაახლოება იმას არ ნიშნავს, რომ ამ კლასებს შორის ყოველგვარი განსხვავება გაქრა. მუშათა კლასი და გლეხობა სოციალიზმის დროსაც სხვადასხვა კლასებს წარმოადგენენ. მათ განსხვავებული ადგილი უჭირავთ სოციალისტური წარმოების სისტემაში, რაც განპირობებულა სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის—საერთო-სახალხო და საკოლმეურნეო საკუთრების არსებობით. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სხვადასხვანაირი დამოკიდებულებით წარმოების საშუალებებისადმი, სხვადასხვა როლით შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში და შემოსავლის მიღების სხვადასხვანაირი ფორმით.

რამდენადაც სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის არსებობიდან გამომდინარე სოციალიზმის დროს არსებობს, მართალია მეგობრული, მაგრამ მაინც ორი—მუშათა და გლეხთა კლასი, საზოგადოების ხელმძღვანელ ძალად რჩება მუშათა კლასი. გლეხობისადმი მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის ეკონომიურ საფუძველს წარმოადგენს ის წამყვანი როლი, რასაც თამაშობს საერთო-სახალხო საკუთრება ჩვენს ეკონომიურ წყობაში.

საბჭოთა საზოგადოების განვითარებას ყველა ეტაპზე, როდესაც სერიოზული ამოცანები წამოიჭრებოდა სოფლად, ამ ამოცანების გადაწყვეტის საქმეში გადამწყვეტ როლს თამაშობდა სოციალისტური ქალაქი. მუშათა კლასი გამოყოფდა თავისი რიგებიდან საუკეთესო ძალებს, რომლებსაც მიჭონდათ სოფლად მისი პოლიტიკური და ორგანიზატორული გამოცდილება. ასე იყო, მაგალითად, 1929 წელს, როდესაც სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განხორციელების საქმეში უდიდესი როლი შეასრულეს მოწინავე მუშებმა—„ოცდახუთათასელებმა“. ასე იყო 1933 წელს, როდესაც საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების მიზნით მტს-მის პოლიტგანყოფილებებში სამუშაოდ გაიგზავნა პარტიის 17 ათასი საუკეთესო შვილი. ასე იყო ამ უკანასკნელადაც, როდესაც პარტიის მოწოდებით 30 ათასი გამოცდილი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი გაემგზავრა სოფლად კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ სამუშაოებზე. დღესაც სოციალისტური ქალაქის მხრივ საკოლმეურნეო სოფლისადმი კადრებით დახმარება წარმოადგენს მუ-



შათა კლასისა და გლეხობის კავშირის შემდგომი განმტკიცების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს ფორმას.

მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმას. მონოლითობის საფუძველს, მაგრამ ეს კავშირი არ არის თვითმზიანი. როდესაც ტრანსპორტის მუშათა სრულიად რუსეთის ყრილობაზე 1921 წელს ვ. ი. ლენინმა დაინახა პლაკატი წარწერით: „მუშათა და გლეხთა მეუფებას დასასრული არ ექნება!“ მან თავისი სიტყვა სწორედ ამ წარწერის კრიტიკით დაიწყო. თუ მუშათა და გლეხთა მეუფებას დასასრული არ ექნება, მაშინ არასოდეს არ დაჰყარდება კომუნისში, რადგან კომუნისში გულისხმობს ყოველგვარი კლასების მოსპობას, მათ შორის მუშათა კლასისა და გლეხობას შორის ყოველგვარი განსხვავების მოსპობას. ხოლო კომუნისში წარმატებით მშენებლობა შეიძლება მხოლოდ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შემდგომი განმტკიცებით. „სკკ იმან ემყარება—ნათქვამია პარტიის პროგრამაში—რომ მუშათა კლასისა და კომუნისში გლეხობის ურღვევი კავშირის შემდგომი განმტკიცებას გადაწყვეტი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური მნიშვნელობა აქვს სარ კავშირში კომუნისში მშენებლობისათვის“¹.

მუშათა კლასისა და გლეხობას შორის კავშირის შემდგომი განმტკიცება უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპებს შორის სწორი თანფარდობის დამყარებაზე. ჯერ კიდევ პარტიის XII ყრილობა მიუთითებდა: „ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც არსებობს ჩვენში მუშათა კლასისა და გლეხობას შორის, ემყარება, საბოლოო ანგარიშში, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ურთიერთდამოკიდებულებას. თავისი ხელმძღვანელი როლის შენარჩუნება და განმტკიცება მუშათა კლასს, საბოლოო ანგარიშით, შეუძლია არა სახელმწიფოს აპარატის მეშვეობით, არა არმიის მეშვეობით, არამედ მრეწველობის მეშვეობით, რომელიც თვითონ წარმოშობს პროლეტარიატს“².

ახორციელებდა რა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას, რაც მოითხოვდა მძიმე მრეწველობის დაჩქარებული ტემპით განვითარებას, პარტია ითვალისწინებდა, რომ კაპიტალისტურისაგან განსხვავებით სოციალისტური ინდუსტრია არ შეიძლება ვითარდებოდეს სოფლის მეურნეობის გაჩაჩნების ხარჯზე. მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესების შესაბამისად პარტია აღწევდა ყველაზე ხელსაყრელ თანფარდობას მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპებს შორის. პარტიის XV ყრილობა აღნიშნავდა: „სწორი არ იქნებოდა დავემყაროთ იმის მოთხოვნას, რომ მაქსიმალურად იქნას გადატანილი სახსრები გლეხური მეურნეობის სფეროდან ინდუსტრიის სფეროში, ვინაიდან ეს მოთხოვნა ნიშნავს არა მარტო-პოლიტიკურ გათიშვას გლეხობასთან, არამედ თვით ინდუსტრიის ნედლეულის ბაზის შერყევას, მისი შინაგანი ბაზრის შერყევას, ექსპორტის შეწყვეტას და მთელი სახალხო მეურნეობის სისტემის წონასწორობის დარღვევასაც. მეორე მხრივ, სწორი არ იქნებოდა უარი გვეთქვა ინდუსტრიის მშენებლობისათვის სოფლის

¹ სკკ XXII ყრილობის მისაღები, გვ. 467.

² სკკ ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. 1, გვ. 886.



სახსრების მიზიდვაზე; ამჟამად ეს იქნებოდა განვითარების ტემპის შენეება და წონასწორობის დარღვევა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ხელშეწყობის მიზნით. ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის საჭირო იყო მძიმე მრეწველობის დაჩქარებული ტემპით განვითარება; უამისოდ შეუძლებელი იყო ქვეყნის გადაქცევა აგრარულიდან ინდუსტრიალურად, მატერიალური ბაზის შექმნა სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის, ქვეყნის თავდაკეითი უნარიანობის განმტკიცება. მარქსიზმი გვასწავლის, რომ წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი ზრდა სოციალიზმის ეკონომიური კანონია. საბჭოთა სახელმწიფო, ახორციელებდა რა თავის ეკონომიურ პოლიტიკას ამ კანონის გათვალისწინებით, კაპიტალდამანდებათა ძირითად მასას ახმარდა მძიმე მრეწველობის განვითარებას. მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარება ამჟამადაც წარმოადგენს კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, მთელი სახალხო-მეურნეობის განვითარების და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობის მთავარ პირობას. მაგრამ, რამდენადაც უკვე შექმნილია მძიმე მრეწველობის ბაზა, არსებობს შესაძლებლობა ამ ბაზაზე უზრუნველყოფილ იქნეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მეკეთილი აღმავლობა, რაც საშუალებას მოგვცემს გადავჭრათ ორი ძირითადი, ერთმანეთთან შეიძროდ დაკავშირებული ამოცანა: ა) მივალწიოთ კვების მაღალხარისხოვანი პროდუქტების სიუხვეს მოსახლეობისათვის და ნედლეულის სიუხვეს მრეწველობისათვის; ბ) უზრუნველყოთ საბჭოთა სოფლის თანდათანობითი გადასვლა კომუნისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე და ძირითადად აღმოვფხვრათ განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის².

სოციალიზმის დროს ქალაქსა და სოფელს შორის (და შესაბამისად, მუშათა კლასსა და გლეხობას შორის) განსხვავების ეკონომიურ საფუძველს წარმოადგენს სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის—სახელმწიფოებრივი და საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების არსებობა. საკოლმეურნეო საკუთრება სახელმწიფო საკუთრებასთან შედარებით, სოციალისტური საკუთრების დაბალ ფორმას წარმოადგენს. მასში საკუთრებისა და შრომის განსაზოგადოების დონე დაბალია სახელმწიფოებრივ საწარმოებთან შედარებით, რაც საბოლოო ჯამში განპირობებულია საწარმოო ძალების განვითარების შედარებით დაბალი დონით სოფლის მეურნეობაში.

ამასთან დაკავშირებით, კოლმეურნე გლეხობის ცხოვრებაში ჯერ კიდევ დიდ როლს თამაშობს პირადი დამხმარე მეურნეობა. სოციალისტური სოფლის მეურნეობის თანამედროვე ეტაპზე ის ემსახურება კოლმეურნეთა პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების სწორად შეხამების საქმეს. მაგრამ კომუნისტურ ურთიერთობათა განვითარების თვალსაზრისით ეს დამხმარე მეურნეობა შეიცავს უარყოფით მომენტებსაც—ბადებს კოლმეურნეებში ერთგვარ კერძო მესაკუთრულ სულისკვეთებას. ამასთან ერთად, საკოლმეურნეო შრომიდან ნაწილობრივი მოწყვეტა პირად მეურნეობაში დასაქმებულთან დაკავშირებით, ხელს

¹ სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ც. კ.-ის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. 2, გვ. 585.

² სკკპ XXII ყრილობის მასალები, გვ. 466.

არ უწყობს კოლმეურნეთა შორის კომუნისტური შრომითი ჩვევების განვითარებას.

ამას თუ მივიხედოთ, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების წარმატებას, მის დამოკიდებულებას კლიმატურ პირობებთან და ა. შ. განხილვაზე, თუ შრომის პირობები სოფლად ჯერ კიდევ რამდენად დიდად განსხვავდება შრომის პირობებისაგან ქალაქად.

ყოველივე ეს განაპირობებს აგრეთვე იმას, რომ სოფელი ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქალაქს კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებითაც. ჯერ ერთი, მუშათა კლასთან შედარებით ჯერ კიდევ დაბალია კოლმეურნე გლეხობის საერთო კულტურულ-ტექნიკური დონე: 1959 წ. წარმოებაში დასაქმებულ ყოველი ათასი მუშიდან უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლებით იყო 20, საერთო-საშუალო განათლებით 59 და არასრული საშუალო განათლებით 307 მუშა; მაშინ, როდესაც ყოველ ათას კოლმეურნეზე მოდიოდა უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების 9, საერთო-საშუალო განათლების 23 და არასრული საშუალო განათლების 194 კაცი.

მეორე, თანამედროვე მეცნიერების, ტექნიკის და სულიერი კულტურის მთელი სიკეთე, რაც ესრდენ დიდ როლს თამაშობს ქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ძნელი მისაწვდომი ხდება სასოფლო ადგილების ყოველი მცხოვრებისათვის.

სოფელი ქალაქს ჩამორჩება აგრეთვე საყოფაცხოვრებო მომსახურების (საზოგადოებრივი კვების, სამრეცხაოების, საბავშვო დაწესებულებათა და სხვ.) განვითარების მხრივ, რაც ჩვენს ქვეყანაში საქალაქო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგად გადაიქცა და ემყარება მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე მუშებსა და გლეხებს შორის კლასობრივი განსხვავების ლიკვიდაცია დაკავშირებულია: 1) ამ კლასებს შორის ეკონომიური განსხვავების მოსპობასთან და 2) მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებს შორის განსხვავების ლიკვიდაციასთან.

მხოლოდ კომუნისტური მშენებლობის პროცესში ქალაქსა და სოფელს, მუშათა კლასსა და გლეხობას შორის კავშირის შემდგომი განმტკიცების გზით უნდა მოხდეს აღნიშნულ განსხვავებათა ლიკვიდაცია. ამ პროცესს კი საფუძვლად უდევს საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების ყოველმხრივი განვითარება, სახელმწიფოებრივი საკუთრების დონემდე აყვანა და ერთიანი საერთო-სახალხო საკუთრების შექმნა.

ამასთან ცნობილია, რომ საკუთრების ფორმები ნებისმიერად კი არ იცვლებიან, არამედ საწარმოო ძალების განვითარება განაპირობებს მათ ცვლებადობას. საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების განვითარების ეკონომიური საფუძველია სოფლად საწარმოო ძალების განუწყვეტელი ზრდა, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველმხრივი მექანიზაცია და თანმიმდევრული ინტენსიფიკაცია, წარმოების ორგანიზაციისა და მეურნეობის გაძლიერების მეთოდების გაუმჯობესება და მის საფუძველზე შრომის ნაყოფიერების განუზრდელი ამაღლება. ამ გზით სოფლის მეურნეობა ტექნიკური აღჭურვილობისა და წარმოების ორგანიზაციის მხრივ მიახლოვდება მრეწველობის



დონეს, ნათქვამია სკკპ პროგრამაში;—სასოფლო სამეურნეო შრომა გადაიქცევა სამრეწველო შრომის ნაირსახეობად; ბუნების სტიქიაზე სოფლის მეურნეობის დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შემცირდება, შემდგომში მნიშვნელოვნად იზარდება¹.

ამ პროცესის ძირითადი ნიშნები დღესვე ვლინდება რეალურად ბევრი მოწინავე კოლმეურნეობის ცხოვრებაში.

ეს, უპირველეს ყოვლისა, ნათლად ჩანს სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობის ამაღლებაში. თუ 1940 წლის დამლევისათვის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და შტს-ში 684 ათასი ტრაქტორი (15 ძალიანზე გადაყვანილ) გვექონდა, 1966 წლის დამლევისათვის მათი რიცხვი 3 მილიონ 233 ათასამდე გაიზარდა, მარცვლეულის კომბაინის რაოდენობა აღნიშნულ პერიოდში გადიდდა 182 ათასიდან 533 ათასამდე, სატვირთო ავტომობილების რაოდენობა შესაბამისად 228 ათასიდან 1017 ათასამდე, ელექტროენერჯიის მოხმარება 2 მილიარდ 742 მილიონი კილოვატსათაიდან 1953 წ. 23 მილიარდ კილოვატსათამდე გაიზარდა 1966 წ. პარტიისა და სახელმწიფოს უდიდესი ზრუნვა სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების განვითარებაზე ნათლად ჩანს შემდეგი მონაცემებიდან. მიმდინარე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობაში დაბანდებულ იქნეს 71 მილიარდი მანეთი; გათვალისწინებულია, რომ სოფლის მეურნეობისათვის ხუთი წლის მანძილზე მიწოდებულ იქნეს ერთი მილიონ 790 ათასი ტრაქტორი და სხვ.

სკკპ XXIII ყრილობის მიერ დასახულია უაღრესად ღრმა სოციალური მნიშვნელობის ღონისძიებათა მთელი სისტემა სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობისა და წარმოების ორგანიზაციის მრეწველობის დონემდე ამაღლების საქმეში, რაც საკოლმეურნეო-გეგუფური საკუთრების საერთო-სახალხო-საკუთრების დონემდე ამაღლების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს.

მავრამ მუშათა კლასსა და გლეხობას შორის კავშირის განმტკიცება დამოკიდებულია არა მარტო საწარმოო ძალების შემდგომ განვითარებაზე, არამედ წარმოებით ურთიერთობათა შემდგომ სრულყოფაზედაც, რამაც უპირველეს ყოვლისა თავისი გამოხატულება უნდა პაოვის სოციალისტური წარმოებით ურთიერთობათა საფუძვლის—წარმოების საშუალებებისადმი საზოგადოებრივი საკუთრების განმტკიცებასა და განვითარებაში.

როგორც უკვე ნათქვამი იყო, სოციალისტური საკუთრების ორ ფორმას შორის განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ საერთო-სახელმწიფოებრივი საკუთრება საზოგადოებრივი საკუთრების უფრო მაღალ ფორმას წარმოადგენს. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ საკოლმეურნეო საკუთრება თანდათანობით აყვანილ იქნეს საერთო-სახალხო საკუთრების დონემდე. ეს პროცესი თავის მხრივ წარმოადგენს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შემდგომ განვითარებას.

¹ სკკპ XXII ყრილობის მასალები, გვ. 466.

სკკპ პროგრამაში და პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებში თეორიულად დასაბუთებული და ნაჩვენებია საკომუნისტო საკუთრების განვითარებისა და საერთო-სახალხო საკუთრებასთან მიხედვების გზისა და მის მშენებლობის პერიოდში. მიხედვების ეს პროცესი უნდა დასრულდეს სოციალისტური საკუთრების ორივე ფორმის განმტკიცებისა და განვითარების გზით.

რამდენადაც სახალხო მეურნეობის ძირითადი მზრუნველი ეკონომიური მწვერვლები: მსხვილი სოციალისტური-მრეწველობა, ტრანსპორტი, მიწა და მისი წიაღი, ბანკები და ა. შ. სახელმწიფოს ეკუთვნის, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში გადამწყვეტ როლს თამაშობს სახელმწიფოებრივი საკუთრება. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სახელმწიფოებრივ საკუთრებაზე ღირსის ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მთელი საწარმოო ფონდის 91 %-ზე მეტი. სოციალისტური სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებასთან ერთად კიდევ უფრო გაიზარდება მისი ხვედრითი წილი როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში.

სოციალისტური საკუთრების უმაღლესი და წამყვანი ფორმის—საერთო-სახალხო საკუთრების განმტკიცებასა და განვითარებასთან ერთად იზრდება და მტკიცდება საკომუნისტო საკუთრებაც. ამ მიმართულებით სერიოზულ ნაბიჯს წარმოადგენდა კომმუნისტობათა გამსხვილება, რაც პარტიის ინიციატივით იქნა განხორციელებული. 1950 წ. არსებული 123,7 ათასი წვრილი კომმუნისტობის ნაცვლად 1965 წლისათვის სსრ კავშირში იყო 37,1 ათასი მსხვილი კომმუნისტობა.

აღნიშნული ღონისძიების შედეგად მოგვარებულ იქნა შეუსაბამობა თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო საწარმოო ძალებსა და წვრილ კომმუნისტობებში მათი გამოყენების შესაძლებლობას შორის, გაუმჯობესდა ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობა სოფლის მეურნეობაში, შეიქმნა პირობები კომმუნისტობათა საზოგადოებრივი მეურნეობის უფრო სწრაფი ზრდისათვის. ყოველივე ამით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნა გადადგმული სოფლად წარმოებით ურთიერთობათა საფუძვლის—საკომმუნისტო საკუთრების სრულყოფისა და მზარდი საწარმოო ძალებისადმი შესატყვისობაში მოყვანის გზაზე. მაგრამ საკომმუნისტო წარმოების განვითარების ახალ ეტაპზე თავი იჩინა ახალმა შეუსაბამობამ. საკომმუნისტო წყობილების თანამედროვე დონეს და მისი შემდგომი განვითარების ამოცანებს აღარ შეესაბამებოდა ის ფაქტი, რომ საკომმუნისტო საწარმოო ძალები ერთგვარად გათიშული აღმოჩნდა: მტკიცებში თავმოყრილი შრომის იარაღები სახელმწიფოს ეკუთვნოდა, ხოლო საწარმოო ძალების მეორე შემადგენელი ნაწილი, თვით შრომა—კომმუნისტობებისა იყო, ითვალისწინებდა რა ამ გარემოებას, კომმუნისტობათა რეალური შესაძლებლობიდან გამომდინარე, პარტიამ და მთავრობამ მოახდინა მტკიცების რეორგანიზაცია, რამაც სხვა ღონისძიებებთან ერთად დიდად განამტკიცა და გაზარდა საკომმუნისტო კოოპერაციული საკუთრება, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დააჩქარა ტექნიკური პროგრესი სოფლის მეურნეობაში, უდიდესი შესაძლებლობანი შექმნა თანამედროვე ტექნიკის უკეთესი გამოყენებისა და შრომის ნაყოფიერების შემდგომი აღმავლობისათვის.

3. შრომები, ტ. LXXVI—LXXVII, 69 წ.



აღნიშნული ღონისძიების ცხოვრებაში გატარების შედეგად ამაჯღდა საკოლმეურნეო საკუთრების ხვედრითი წონა როგორც საკოლმეურნეობაში, ისე მთელს ჩვენს სახალხო მეურნეობაში. ამასთან, მკვერტლქრქსუქს და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხვედრითი წონა კოლმეურნეობათა განუყოფელ ფონდში.

საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების ზრდა-განმტკიცების მკათიო მაჩვენებელს წარმოადგენს კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდის სისტემატური ზრდა. თუ 1953 წელს კოლმეურნეობების განუყოფელი ფონდი შეადგენდა 5 მილიარდ 444 მილიონ მანეთს, 1963 წლისათვის ის გადიდდა 29 მილიარდ 900 მილიონ მანეთამდე. ძირითადი, განუყოფელი ფონდი—ეს საკოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების ისეთი ნაწილია, რომელიც თავისი ბუნებით პრაქტიკულად არაფრით არ განსხვავდება საბჭოთა მეურნეობისა და სახელმწიფო საწარმოთა ძირითადი ფონდებისაგან.

ამჟამად საკოლმეურნეო საკუთრების განვითარება და საერთო-სახალხო საკუთრებასთან მიახლოება მიმდინარეობს სოციალისტურ მეურნეობაში სამეურნეო ანგარიშის დანერგვის საფუძველზე. ის უპირატესობანი, რითაც სარგებლობენ საბჭოთა მეურნეობანი კაპიტალური დაბანდებით, ტექნიკით, სათადარიგო ნაწილებით, სასუქით და ა. შ. მომარაგების საქმეში, თანდათანობით კოლმეურნეობებზედაც ვრცელდება. ხოლო, მეორე მხრივ, საბჭოთა მეურნეობებს ეძლევათ კოლმეურნეობათა უპირატესობანი თავიანთი ზედმეტი პროდუქციის რეალიზაციის სფეროში. ეკონომიური რეფორმა აძლიერებს რა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების დამოუკიდებლობას, ამით ხელსაყრელ პირობებს ქმნის მათი, და მაშასადამე, კოლმეურნე გლეხობისა და სოფლად მუშათა კლასის დაახლოებისათვის.

იცვლება თვით სასოფლო-სამეურნეო შრომის ხასიათი, ის სულ უფრო იღებს ინდუსტრიულ ხასიათს. სასოფლო-სამეურნეო საწარმოო ძალეების (მექანიზაციის, ელექტროფიკაციის, ქიმიზაციის, საირიგაციო საშუალებების და ა. შ.) განვითარების საფუძველზე შინასაკოლმეურნეო ურთიერთობათა სრულყოფასთან ერთად განმტკიცდება და განვითარდება საკოლმეურნეობათა შორის კავშირები; აგრეთვე შეიქმნება შერეული სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოები, რაც აამაღლებს საკოლმეურნეო საკუთრებისა და შრომის განსაზოგადოების დონეს და მას თანდათანობით მისცემს საერთო-სახალხო საკუთრების ხასიათს.

აღნიშნულ პროცესს ხელს შეუწყობს აგრეთვე კოლმეურნეობებში სხვადასხვა სახის საწარმოების განვითარება ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე, რაც ხუთწლიანი გეგმის დირექტივებითაა გათვალისწინებული. ამგვარად, სოფლის მცხოვრებნი ამ მხრივაც ეზიარებიან ინდუსტრიულ შრომას.

მაგრამ სოციალისტური წარმოებითი ერთიერთობის განვითარება არ ნიშნავს მარტო მისი საფუძვლის-წარმოების საშუალებებისადმი სოციალისტური საკუთრებით განმტკიცებას და განვითარებას. წარმოებით ურთიერთობათა უმ-



ნიშვნელოვანეს მხარეს, რაც წარმოების საშუალებისადმი საკუთრების ფორმებიდან გამომდინარეობს, წარმოდგენს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ადგილი და დამოკიდებულება წარმოებაში, ანუ როგორც კ. მარქსი ამბობდა, მათი საქმიანობის ურთიერთგაცვლა.

როგორც აღვნიშნეთ, სოციალისტური მშენებლობის პროცესში იცვლებოდა (და მომავალშიც შეიცვლება) მუშათა კლასსა და გლეხობას შორის საქმიანობის ურთიერთგაცვლის ფორმები, ე. ი. ქალაქსა და სოფელს შორის, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის კავშირის ფორმები.

თუ სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის პერიოდში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი ატარებდა სამხედრო-პოლიტიკურ ხასიათს, ხოლო ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღებიდან ამ კავშირის საფუძველს შეადგენდა ბაზარი, საქონელგაცვლა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის სახელმწიფოებრივი და კოოპერაციული ვაჭრობის განვითარების გზით, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის წარმატებითა საფუძველზე აღმოცენდა და განვითარდა სოფელს და ქალაქს შორის კავშირის ახალი, საწარმოო ფორმა. პარტიის XVI კონფერენცია ხაზს უსვამდა, რომ . . . გლეხობის ძირითად მასებთან კავშირის ძველ ფორმებთან ერთად . . . ქალაქსა და სოფელს შორის სავაჭრო-კოოპერაციული ფორმების გაძლიერების გზით, წინ დგება კავშირის ახალი ფორმები, რომელიც ვითარდება გლეხობასთან მუშათა კლასის საწარმოო კავშირის ბაზაზე¹.

ამგვარად, სოციალიზმის დროს მუშათა კლასსა და გლეხობას შორის საქმიანობის ურთიერთგაცვლა, რაც ამ მეგობრული კლასების ამხანაგურ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაში ვლინდება, ხორციელდება ორი ძირითადი ფორმით: წარმოებისა და ვაჭრობის გზით. აქედან გამომდინარე მუშათა კლასსა და გლეხობას შორის კავშირის შემდგომი განმტკიცება გულისხმობს როგორც საწარმოო, ისე სავაჭრო კავშირის გაფართოვებას ქალაქსა და სოფელს შორის.

მტკვების რეორგანიზაციამ და ტექნიკის კოლმეურნეობებისადმი მიყიდვამ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებიდან ერთიან ფასებში შესყიდვაზე გადასვლამ, კოლმეურნეობებისაგან სახელმწიფოს მიერ შესასყიდ პროდუქტებზე ფასების მნიშვნელოვანმა ზრდამ და სოფლისათვის საწარმოო დანიშნულების საქონელზე ფასების შემცირებამ გამოიწვია სოფელსა და ქალაქს, მუშათა კლასსა და კოლმეურნე გლეხებს შორის ეკონომიური კავშირის ორივე ფორმის—როგორც საწარმოო, ისე სავაჭრო კავშირის განმტკიცება-განვითარება. ეკონომიური კავშირის ეს ფორმები კიდევ უფრო გაძლი-

¹ სკკპ ყრილობების, კონფერენციების და ც. კ.—ს პლენუმების რეზოლუციებსა და განაწესებულებებში, ნაწ. II გვ. 750.



ერდება მომავალში. ამასთან, როგორც სკკ პარტიის პროგრამა განახლებურად, „პოლიტიკა სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესასყიდის მიზნით“ სოფლისათვის განკუთვნილ წარმოების საშუალებათა გასაცემი ტვირთებისა და სხვა „ში უნდა ითვალისწინებდეს როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში გაფართოებული კვლავწარმოების ინტერესებს და კოლმეურნეობებში საჭირო დაგროვების შექმნას“.

ქალაქსა და სოფელს შორის ეკონომიური-საწარმოო და სავაჭრო კავშირის განმტკიცებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალისტურ ურთიერთობათა კიდევ ერთი მხარის—პროდუქტთა განაწილების ფორმების სრულყოფა. წარმოებით ურთიერთობათა ეს მხარეც სერიოზულ გავლენას ახდენს წარმოების განვითარებაზე—ბადებს გარკვეულ სტიმულებს, რომლებიც ბიძგს აძლევს ადამიანებს გაზარდონ შრომის ნაყოფიერება.

სოციალისტურ საზოგადოებაში წარმოებული პროდუქტები ნაწილდება მათ წარმოებაზე დახარჯული შრომის ოდენობისა და ხარისხის მიხედვით. განაწილების ასეთი პრინციპი წარმოადგენს ჩვენი ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალას, რამდენადაც ის ბადებს საზოგადოების წევრთა მატერიალურ დაინტერესებას სოციალისტური წარმოების შემდგომი განვითარებისათვის, როგორც ცალკეული მუშაის, ისე მუშაკთა კოლექტივების (ფაბრიკების, ქარხნების, კოლმეურნეობების და ა. შ.) მატერიალური დაინტერესების პრინციპის განხორციელება სოციალისტური საზოგადოების ეკონომიური კანონია. ვ. ი. ლენინი ვგასწავლიდა, რომ კომუნისში უნდა ვაშენოთ არა მარტო ვნთუზიანზე დაყრდნობით, არამედ პირად ინტერესებზე. პირად დაინტერესებაზე, სამეურნეო ანგარიშობაზე დაყრდნობით. „სხვანაირად თქვენ ვერ მიხვალთ კომუნისთან—წერდა ვ. ი. ლენინი,—სხვანაირად თქვენ ვერ მიიყვანთ კომუნისთან მრავალ ათეულ მილიონ ადამიანს“¹. საზოგადოების წევრთა შორის მატერიალური და სულიერი ღირებულების განაწილების სოციალისტური პრინციპი: „თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თვითელს—შრომის მიხედვით“ კომუნისმის მშენებლობის მძლავრი ფაქტორია-ის უზრუნველყოფს ადამიანთა მატერიალურ დაინტერესებას წარმოების შედეგებით, სტიმულს აძლევს შრომის ნაყოფიერების ზრდას, მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას. ის ასრულებს აგრეთვე დიდ აღმზრდელობით როლს, აჩვენებს ადამიანს სოციალისტურ დისციპლინას; სავალდებულოდ ხდის შრომას, ეს პრინციპი უზრუნველყოფს შრომის ადამიანთა სასიცოცხლო მოთხოვნილებად გადაქცევას.

განაწილების სფეროში მუშათა კლასსა და გლეხობას შორის განსხვავების ლიკვიდაციის საქმეში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეთა შრომის ყოველთვიურ გარანტირებულ ანაზღაურებაზე გადასვლას და მათ საპენსიო უზრუნველყოფას. საკოლმეურნეო სოფლისათვის ეს კემპარიტადისტორიული ღონისძიება მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს ჩვენი საზოგადოების ორი მგებობრივი კლასის ეკონომიური დაახლოვების გზაზე.

¹ სკკ XXI სერიის მასალები, გვ. 472.

² ვ. ი. ლენინი, თხ. ტ. 33, გვ. 46-47.

აღნიშნულ პროცესს ხელს უწყობს აგრეთვე მთელ რიგ სამრეწველო საქონელზე საცალო ფასების შემცირება სოფლად ქალაქის ფასების დონეზე და სხვა ღონისძიებანი, რაც ხუთწლიანი გეგმის დირექტივებითაა წინვბულო.

ქალაქსა და სოფელს შორის ეკონომიური კავშირების განმტკიცების საფუძველზე მოხდება სოფლის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შედარებითი ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება მუშებსა და გლეხებს შორის კლასობრივი განსხვავების მოსპობის საქმეში. უკვე ამჟამად ისახება კონკრეტული გზები, რითაც უნდა მოხდეს სოფლის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების ამაღლება. ეს გზაა, ჯერ ერთი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და კულტურის მაღალკვალიფიციური კადრების ზრდა სოფლად, როგორც ქალაქიდან მოზიდვის, ისე ადგილობრივი ინტელიგენციის მომზადების გზით. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა დაუსწრებელი სწავლების გზით მომზადების პრაქტიკას, რაც ასე ფართოდ ვითარდება ჩვენს ქვეყანაში. კოლმეურნეობებმა მიიღეს უფლება უმაღლეს სასწავლებლებში გაგზავნონ თავიანთი სტიპენდიანტები, რაც ასევე მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს სპეციალისტთა კადრების მომზადებას სოფლად. კოლმეურნეთა სპეციალური განათლებისა და საერთო კულტურული დონის ამაღლება მიმდინარეობს უშუალოდ ადგილებზეც: ჩვენი ქვეყნის ბევრ კოლმეურნეობაშია შექმნილი საზოგადოებრივ საწყისებზე სასოფლო-სამეურნეო ცოდნის სკოლები და უნივერსიტეტები, რომელთა პროგრამაში შედის მექანიზაციის, ზოოტექნიკის, აგრონომიის, ეკონომიკის და ა. შ. შესწავლა. ამ საქმეშიაც სოფლისადმი დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ქალაქს—მუშათა კლასსა და ინტელიგენციას.

სოფლად კულტურის ამაღლება მიმდინარეობს აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელის გაფართოების გზით, როგორც სახელმწიფო, ისე კოლმეურნეობათა ხარჯზე. საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდის კვალობაზე, ნათქვამია სკკპ პროგრამაში, კოლმეურნეობები სულ უფრო მეტად მიიღებენ მონაწილეობას საერთო სახალხო სარგებლობის საწარმოებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების, სკოლა-ინტერნატების, კლუბების, ბიბლიოთეკების, საავადმყოფოების, დასასვენებელი სახლებისა და ა. შ. შექმნაში. რაც სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების ამაღლებასთან ერთად, თანდათანობით მისცემს საკოლმეურნეო-კოოპერატიულ საქუთრებას საერთო-სახალხო ხასიათს.

კოლმეურნეობათა ეკონომიური სიძლიერის ზრდასთან ერთად ძველი საკოლმეურნეო სოფლები გარდაიქმნებიან ქალაქის ტიპის გამსხვილებულ დასახლებულ პუნქტებად, სადაც იქნება თანამედროვე ქალაქის ტიპის კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები, კომუნალური მომსახურება, საყოფაცხოვრებო საწარმოები, კულტურული და საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი და ა. შ. საბოლოო ანგარიშით ცხოვრების კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების მხრივ სოფლის მოსახლეობა გაუთანასწორდება ქალაქის მოსახლეობას.

საბჭოთა საზოგადოების სოციალურ ჯგუფებს შორის განსხვავების მოს-
პობა ნიშნავს აგრეთვე ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის განსხვავების
განსხვავების ლიკვიდაციას. ამ ამოცანის განხორციელების გზებზე ვიღებთ
ვიღებთ უკვე რეალურად ისახება: ეს არის ყოველი მუშის კვალიფიკაციის
დონის ინტენერ-ტექნიკოსის, ხოლო ყოველი კოლმეურნის კვალიფიკაციის აგ-
რონომისა და ზოტექნიკოსის. დონემდე ამიღების გზა. ამ გზით მოსპობა
არსებითი განსხვავება ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის, მაგრამ არა-
არსებითი განსხვავება მაინც დარჩება, რამდენადაც ზემოთ დასახელებულს
გარდა საზოგადოებაში არის და მუდამ იქნება ინტელიგენციის მრავალი ჯგუ-
ფი, რომლებიც დასაქმებული არიან შრომის სპეციფიკურ სისტემაში—მატე-
რიალური წარმოების სფეროს გარეთ (ექიმები, პედაგოგები, ლიტერატურის,
ხელოვნების მოღვაწეები და ა. შ.), რომელთა შრომის პირობები მათი საქმი-
ანობის სპეციფიკის მიხედვით მაინც განსხვავებული იქნება უშუალოდ მატე-
რიალურ წარმოებაში დასაქმებული მუშაკების შრომის პირობებისაგან. ამი-
ტომ, როდესაც ვლაპარაკობთ ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსე-
ბითი განსხვავების ლიკვიდაციაზე, იგულისხმება არა შრომის სხვადასხვა სა-
ხეებს შორის განსხვავების მოსპობა, არამედ ის, რომ კომუნისმის დროს არ
იქნება ისეთი განსხვავებული სოციალური ჯგუფი, რომელსაც პრივილეგია
ექნება, დაეწვავთ, თავისი განათლების გამო, ეწეოდეს მხოლოდ და მხოლოდ
გონებრივ შრომას. შრომის ყოველი სახე მისაწვდომი იქნება ყოველი ადამი-
ანისათვის, რამდენადაც კულტურულ-ტექნიკური განვითარების დონე შესაძ-
ლებლობას მისცემს მას იმოღვაწეოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ
სფეროში. სწორედ ეს წარმოადგენს კომუნისტური საზოგადოების ყოველი
წევრის ყოველმხრივ განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას.

კომუნისმის დროს არ იქნება კლასები, ნათქვამია სკკპ პროგრამა-
ში, გააქრებიან სოციალურ-ეკონომიური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო
განსხვავებანი ქალაქსა და სოფელს შორის, საწარმოო ძალების განვითარების
დონითა და შრომის ხასიათით, წარმოებითი ურთიერთობის ფორმებით, სა-
ყოფაცხოვრებო პირობებით, მოსახლეობის კეთილდღეობის დონით სოფელი-
ქალაქის დონეს აღწევს. კომუნისმის გამარჯვების შემდეგ ადამიანთა სა-
წარმოო საქმიანობაში მოხდება გონებრივი და ფიზიკური შრომის ორგანული
შეერთება. ინტელიგენცია აღარ იქნება ცალკე სოციალური ფენა, ფიზიკური
შრომის მუშაკები თავიანთი კულტურულ-ტექნიკური დონით განებრივი შრო-
მის ადამიანთა დონეს მიაღწევენ¹.

ასეთია მოკლედ კლასობრივ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი
კანონზომიერება კომუნისმის მშენებლობის პერიოდში.

სსრ კავშირში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების უდი-
დესი გამოცდილება ადასტურებს მარქსიზმ-ლენინიზმის დებულებას იმის შე-
სახებ, რომ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი მუშათა კლასის ხელმძღ-
ვანელობით წარმოადგენს ერთადერთ ძალას, რომელსაც შესწევს უნარი და-
ამხოს ექსპლოატატორთა კლასების—მემამულეებისა და კაპიტალისტების ბატო-

¹ სკკპ X II ყრილობის მასალები, გვ. 453—454

ნობა, დასრულოს დამზობილი კლასების წინააღმდეგობა და წარმატებით ააგონოს სოციალისტური საზოგადოება. სოციალიზმიდან კომუნიზმში გარდამავალ პერიოდშიაც საზოგადოების განვითარების მთავარ მამოძრავებელს წარმოადგენს იმავე მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, რომლის მოქმედებითაც განმტკიცება მიიყვანს მათ საკუთარი თავის უარყოფამდე, ე. ი. მუშებ-სა და გლეხებს შორის კლასობრივი განსხვავების ლიკვიდაციამდე, ქალაქსა და სოფელს შორის, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსებითი განსხვავების მოსპობამდე—უკლასო კომუნისტურ საზოგადოებამდე.

Док. ДЖОРДЖИКИЯ

О НЕКОТОРЫХ ЗАКОНОМЕРНОСТЯХ РАЗВИТИЯ КЛАССОВЫХ ОТНОШЕНИЙ СОВЕТСКОГО ОБЩЕСТВА

Резюме

Как социальная структура Советского Социалистического общества в корне отлична от структуры общества капиталистического, так глубоко различны и тенденции их развития. Если в современном капиталистическом обществе усугубляется социальное расслоение, то в социалистическом обществе, свободном от эксплуататорских классов, состоящем из рабочего класса, колхозного крестьянства и интеллигенции, грани между различными слоями трудящихся неуклонно стираются.

Процесс социальной консолидации социалистического общества обуславливается самой его природой. Опыт СССР и других социалистических стран подтвердил выводы марксистско-ленинской теории о том, что для уничтожения классов и классовых различий необходимо решить три основные задачи: ликвидировать частную собственность на средства производства и эксплуататорские классы; преобразовать единоличные крестьянские хозяйства в крупные, коллективные; преодолеть полностью классовые грани между рабочими и крестьянами, существенные различия между городом и деревней и между людьми умственного и физического труда. Первые две задачи выполняются в переходный от капитализма к социализму период, третья решается в период постепенного перехода от социализма к коммунизму.

К концу переходного периода от капитализма к социализму на основе упрочнения и развития социалистического способа производства исчезают классовые антагонизмы, так как ликвидируются эксплуататорские классы, уничтожаются противоположности между городом и деревней, между умственным и физическим трудом. Социальная структура социалистического общества характеризуется наличием дружественных классов и групп тру-



дящихся, единством их экономических, социально-политических и идейных интересов, общей заинтересованностью в построении социализма. Рабочий класс продолжает осуществлять свою руководящую роль, так как он является ведущей силой социалистического общества.

Весь опыт развития стран социалистической системы показывает, что без руководящей роли рабочего класса и его партии нельзя построить социализм и коммунизм. Союз рабочего класса и колхозного крестьянства при руководящей роли рабочего класса — основная предпосылка и условие полного преодоления классовых различий, и построения безклассового общества.

Дальнейшее развитие общества при социализме означает последовательное стирание существенных различий между городом и деревней, между умственным и физическим трудом, всех классовых и социальных различий, выражающих неодинаковое положение людей в системе производственных и других общественных отношений.

В социалистическом обществе различие между рабочим классом и крестьянством по их отношению к средствам производства коренится из различия между двумя формами социалистической собственности: общенародной и колхозной, групповой. Рабочие трудятся на общенародных, государственных предприятиях являющихся высшей формой социалистической собственности, а крестьяне работают в кооперативах, где обобществлены лишь главные средства производства. Отсюда вытекает некоторое различие между ними по их роли в общественной организации труда и в способе и размере получения доли общественного богатства.

Преодоление различий между рабочим классом и колхозным крестьянством определяется прежде всего укреплением и развитием двух форм социалистической собственности: общенародной и групповой, колхозной. Они уже сейчас очень близки друг к другу, поскольку неделимые фонды колхозов по своей природе практически не отличаются от основных фондов совхозов и промышленных предприятий.

Развитие и сближение колхозной формы собственности с общенародной сейчас происходит на основе создания материально-технической базы коммунизма. На основе роста производственных сил и производительности труда произойдет громадный хозяйственный и культурный подъем деревни. Сельское хозяйство постепенно сближается с промышленностью по уровню технической вооруженности и организации производства.

По мере развития, совершенствования и растущей взаимосвязи промышленности и сельского хозяйства, государственной и колхозной собственности стираются различия между рабочими и колхозниками в их отношении к средствам производства, роли в общественной организации труда. Что касается различия между классами в формах и размерах получе-



ния доходов, то они также постепенно исчезают в результате совершенствования общественных отношений в области распределения. Особое значение для сближения рабочего класса и крестьянства в деле распределения имеет повсеместное ведение в колхозах гарантированной ежемесячной оплаты труда и распространение на колхозников пенсионного обеспечения.

Сближение условий жизни и труда колхозного крестьянства с рабочими происходит на фоне общего процесса постепенного преодоления социально-экономических и культурно-бытовых различий между городом и деревней.

Социальные изменения в структуре советского общества проявляются и в том, что труд физический сближается с трудом умственным, иначе говоря, постепенно стираются грани между рабочими и крестьянами, с одной стороны, и интеллигенцией—с другой. В основе этого процесса лежит изменение характера труда вследствие комплексной механизации и автоматизации производства, повышения культурно-технического уровня трудящихся, соединение образования с производительным трудом.

В конечном итоге рабочие, крестьяне и интеллигенция сольются в единую ассоциацию тружеников коммунистического общества.

Укрепление политического, идейного единства и социальной однородности советского общества—закономерный процесс его пути к коммунизму.



დოკ. ბ. მამრიკიშვილი

**ჩამორჩენილი ხალხების არაკაპიტალისტური გზით
განვითარების მარქსისტულ-ლენინური კონცეფციის
საკითხისათვის**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII და XXIII ყრილობებმა, კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის 1957 და 1960 წლების თათბირებმა ღრმა ანალიზი გაუკეთეს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხების განმათავისუფლებელი ბრძოლის პრაქტიკას და ნათლად აჩვენეს ისიც, რომ ამ ხალხებისათვის სრული ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესის მაგისტრალური გზა არაკაპიტალისტური განვითარებაა.

განთავისუფლებულ ქვეყნების განვითარების პერსპექტივების საკითხი ფართოდ და ნათლადაა წარმოდგენილი ანტ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1967 წ. 3 ნოემბერს.

„განთავისუფლებულ ქვეყნებში—ნათქვამია ანტ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში,—მიმდინარეობს ღრმა სოციალური პროცესები. მწვავედმა ბრძოლა ძირეული საკითხის გარშემო მათი შემდგომი განვითარების გზების შესახებ, მსოფლიო სოციალიზმის გამარჯვებათა გავლენით აზიისა და აფრიკის ხალხებს სულ უფრო და უფრო იზიდავს საზოგადოებრივი წყობილების მოწინავე ფორმები.

დიდი მნიშვნელობის მოვლენაა ის, რომ მთელი რიგი ახალგაზრდა სახელმწიფოები დაადგინენ არაკაპიტალისტური განვითარების გზას¹.

თანამედროვე ეპოქა, რომელსაც დასაბამი მისცა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, არის ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე საზოგადოებრივი სისტემის ბრძოლის ეპოქა, სოციალისტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების ეპოქა, იმპერიალიზმის მსხვერვის, კოლონიალური სისტემის ლიკვიდაციის ეპოქა, სოციალიზმის გზაზე სულ ახალ-ახალ-

¹ ლ. ი. ბრეჟნევი—მოხსენება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე. გაზ. „კომუნისტი“, 4 ნოემბერი, 1967 წ.



ლი ხალხების გადასვლის, მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმისა და კომუნის-
მის გამარჯვების ეპოქა¹.

მსოფლიო რევოლუციური განახლების ასეთ ეპოქაში, რომელიც დაიწყო
ნიალიზში თავის სამარცხვინო დასასრულს მიუახლოვდა, როცა ეროვნულ
განმათავისუფლებელი მოძრაობის როლი მსოფლიო რევოლუციურ პროცესში
არანახულად გაიზარდა, განთავისუფლებულ ქვეყნებში კი მამდინარეობს მწვა-
ვე ბრძოლა მათი შემდგომი განვითარების გზების შესახებ — საკითხმა ჩამორ-
ჩენილი ხალხების არაკაპიტალისტური გზით განვითარების შესახებ კიდევ
უფრო დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა მოიპოვა. ის თანა-
მედროვეობის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა გახდა.

* * *

ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყნების არაკაპიტალისტური გზით გან-
ვითარებისა და მათი სოციალიზმზე გადასვლის პრობლემამ მეცნიერული კო-
მუნისმის ფუნდამენტელთა ყურადღება მიიპყრო წარსული საუკუნის შუა ხა-
ნებში.

რუსეთში საგლეხო რეფორმის მომზადებისა და გატარების პერიოდში
ასევე შემდგომშიაც რუსული გლეხური თემის მომავლის საკითხი და კაპიტა-
ლიზმის განვითარების ბედი რუსეთში მწვავე კამათის საგანი გახდა რუსეთის
რევოლუციურ ინტელიგენციაში. სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის კ. მარქსისა
და ფ. ენგელსის პირველი მოსახრებები განვითარების არაკაპიტალისტური
გზის შესახებ.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ამუშავებდნენ რა საერთოდ მსოფლიო კაპი-
ტალიზმის ბედისა და ზოგიერთი ქვეყნების არაკაპიტალისტური გზით განვი-
თარების ზოგად პრობლემას, გლეხური თემის არაკაპიტალისტური გზით გან-
ვითარებას იხილავდნენ, როგორც ამ ზოგად ისტორიული პრობლემის
ნაწილს.


განვითარების არაკაპიტალისტური გზის შესახებ მთელი რიგი მოსახ-
რებები მოცემული იყო კ. მარქსთან ჯერ კიდევ 1853 წ. ივლისში მის მიერ და-
წერილ შრომაში „Будущие результаты Британского владычества в Индии“².

ამ საკითხს არაერთხელ დაბრუნებიან კ. მარქსი და ფ. ენგელსი აღნიშ-
ნული პერიოდის სხვა შრომებშიც. მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება მათ
მას მიაპყრეს ამავე საუკუნის 80-იან წლებში. ეს კი იმით იყო გამოწვე-
ული, რომ დიდმა სახელმწიფოებმა ამ პერიოდში დაიწყეს ვააფთრებულ
ბრძოლა მსოფლიოს საბოლოო ტერიტორიული დანაწილებისათვის.

ყველაზე უფრო სრულად კი იდგები ეკონომიურად ჩამორჩენილი სახელ-
მწიფოების არაკაპიტალისტური გზით განვითარების შესახებ შემდგომ

¹ სკვპ პროგრამა, თბილისი, 1961 წ., გვ. 5.

² К. Маркс и Ф. Энгельс, соч. т. 9, стр. 224—230.



განავითარეს საგლებო რეფორმის გატარების პერიოდის რუსეთისა და იმ
 გააფთრებული იდეოლოგიური ბრძოლის შესწავლის საფუძველზე რუსეთში
 ლიც გაიშალა რუსეთის რევოლუციურ ინტელიგენციას შორის მათგან
 გომი განვითარების პერსპექტივების შესახებ (XIX საუკუნის 80—90-იან
 ბნი).

აღნიშნული დებულების სისწორეში ნათლად ვრწმუნდებით მაშინვე,
 როგორც კი ვეცნობით ისეთ მნიშვნელოვან პირველწყაროს, როგორცაა
 „კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიმოწერა რუს პოლიტიკურ მოღვაწეებთან“¹.

1877 წ. ნოემბერში დაწერილ წერილში „Отечественные записки“-ს რე-
 დაქციისადმი ნ. მიხაილოვსკის სტატიის „Карл Маркс перед задум Жукон-
 ского“ კრიტიკული განხილვის დროს კარლ მარქსი მიხაილოვსკის კრიტიკას-
 თან ერთად ეხება ნ. ჩერნიშევსკის პოზიციას, (რომელსაც დიდი პატივისცე-
 მით იხსენიებს) რუსული გლეხური თემის მომავალზე და იქვე გამოთქვამს
 თავის მოსაზრებასაც — „Этот ученый,—წერდა კ. მარქსი,—исследовал воп-
 рос—должна ли Россия, как того хотят его либеральные экономисты, на-
 чать с разрушения сельской общины, чтобы перейти к капиталистическому
 строю, или же наоборот, она может, не испытав мук этого строя завла-
 деть всеми его плодами, развивая свои собственные исторические данные.
 Он высказывается в смысле этого последнего решения“².

1875 წ. აპრილში ფ. ენგელსი წერს სტატიას „Об общественных от-
 ношениях в России“, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „Volksstat“-ში და წარ-
 მოადგენს პასუხს ტკაჩოვის „ლია წერილზე ენგელსისადმი“.

აღნიშნულ წერილში ტკაჩოვი შემდეგ აზრებს ატარებდა,—რუსეთში
 არ არის ქალაქის პროლეტარიატი, არ არის არც ბურჟუაზია, ამიტომ ჩვენ
 მუშებს მოუხდებათ ბრძოლა მხოლოდ რუსეთის სახელმწიფოს „პოლიტიკურ
 ძალაუფლებასთან“. ეს სახელმწიფო კი მხოლოდ შორიდან გვეჩვენება ძალად
 და „პოლიტიკური ძალაუფლება პაერში ჰკიდა“³.

ტკაჩოვს აქედან გამოჰყავდა დასკვნა თითქოს რუსეთი იოლად და პირ-
 დაპირ განახორციელებს სოციალისტურ რევოლუციას.

ტკაჩოვი აცნობს გერმანელ მუშებს,—წერს ფ. ენგელსი—მედეველობაშია
 ტკაჩოვის „ლია წერილი ენგელსისადმი“, რომ „Социальная революция в
 Россия может быть осуществлена легко и шутя, гораздо легче, чем в За-
 падной Европе“⁴. ასაბუთებს რა ტკაჩოვის შეხედულების მცდარობას, შემდეგ
 ენგელსი აღნიშნავს: „Человек способный утверждать, что эту революцию
 легче провести в такой стране, где хотя нет пролетариата, но зато нет
 буржуазии, доказывает лишь то, что ему нужно учиться еще в азбуке
 социализма“.

¹ Переписка К. Маркса и Ф. Энгельса с русскими политическими деятелями, М. 1951 г.
² Переписка, стр. 196—197.
³ Переписка, стр. 196.
⁴ Там же стр. 196.



კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა 80-ან წლებში მაშინვე უარყვეს აზრი, რომელიც მათ მიაწერეს, თითქოს ფატალურ აუცილებლობას წარმოადგენდა ქვეყნისათვის განვითარების კაპიტალისტური სტადიის შესახებ კ. მარქსი 1881 წლის 8 მარტს, ვერა ზასულაიჩისადმი საპასუხო წერილში წერდა შემდეგს— „Историческая неизбежность этого процесса точно ограничена странами Западной Европы“¹.

განვითარების არაკაპიტალისტური გზის შესახებ პრობლემის შემდგომ დაშვებებამ თავისი ასახვა პპოვა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ისეთ შრომებში, როგორც იყო მათი წინასიტყვაობა კომუნისტური პარტიის მანიფესტის მეორე რუსული გამოცემისათვის 1882 წ. 22 იანვარ². ფ. ენგელსის წინასიტყვაობა კრებულისათვის „Статьи на международные темы из газеты „Volkstat“ (1887—75)³.

ასევე ფ. ენგელსის სტატია „Марка“ (1882 წ.), სადაც ის ეხება გერმანული მარკის (ошибка)⁴ აღდგენის პერსპექტივებს, კ. მარქსის და ფ. ენგელსის წერილები ნ. ფ. დანიელსონისადმი, ვ. ი. ზასულაიჩისადმი, მ. კ. გარბუნოვა-კაბლუკოვასადმი.

ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების გზების შესახებ კონკრეტული პასუხი მოითხოვს კონკრეტული სინამდვილის ანალიზს, რისთვისაც აუცილებელია მატერიალისტური დიალექტიკის პრინციპების გამოყენება.

სწორედ ასეთი მიდგომა გამოიჩინეს რუსეთისადმი მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებმა.

„Чтобы иметь возможность сознанием дела судить об экономическом развитии России, წერდა კ. მარქსი 1877 წლის ნოემბერში, я изучил русский язык и затем в течение долгих лет изучал официальные и другие издания, имеющие отношение к этому предмету“⁵.

ზემოთ დასახელებულ შრომებში მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა გამოთქმული აზრები ემყარებიან დიდი რაოდენობის კონკრეტული ფაქტების შესწავლას, რომლებიც ეხებიან რუსეთის და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებს, რომლებიც მხოლოდ დაადგინენ კაპიტალისტური განვითარების გზას, ასევე მრავალ კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებს აღმოსავლეთში, რომელთაც ჯერ კიდევ არ შეხებოდათ კაპიტალიზმი⁶.

საკითხისადმი კონკრეტული ისტორიული მიდგომა რუსეთის მაგალითზე განსაკუთრებით ნათლად ჩანს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის წერილში ნ. დანიელსონისადმი და კ. მარქსის წერილში ვ. ზასულაიჩისადმი, „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში, და ფ. ენგელსის შრომაში „О социальном вопросе в России“. მოგვყავს მხოლოდ ზოგიერთი ადგილი დასახელებული წყაროებიდან.

¹ Переписка, стр. 301.

² К. Маркс и Ф. Энгельс—соч. т. 19, стр. 304.

³ Там же, том 22, стр. 433, 438.

⁴ Там же, том 19, стр. 251 и 420—421, 329—345.

⁵ Переписка, стр. 221.

1881 წ. 16 თებერვალს ვერა ზასულიჩი ენევიდან ლონდონში წერს კ. მარქსს წერილს, რომელშიც აღნიშნავს, რომ ამ ბოლო დროს უწყვეტად მის აზრი იმის შესახებ, რომ სასოფლო თემი არქაულ ფორმას წარმოადგენს და ისტორიის მიერ განწირულია დასაღუპავად, ასეთი აზრის მომხრეები კი თავისთავს თქვენს თანმიმდევარ მოწაფეებად თვლიან. და ბოლოს, ვ. ზასულიჩი კ. მარქსს თხოვს გამოთქვას თავისი აზრი „На возможные судьбы нашей сельской общины и на теорию о том, что в силу исторической неизбежности, все страны мира должны пройти все фазы капиталистического производства“¹.

1881 წ. 8 მარტს კ. მარქსი ვ. ზასულიჩს პასუხობს მოკლედ შემდეგს: „Специальные изыскания, которые я произвел на основании материалов подчеркнутых мною из первоисточников, убедили меня, что эта община является точкой опоры социального возрождения России, но для этого . . . нужно было . . . устранить тлетворные влияния, которым она подвергалась со всех сторон“².

აღნიშნული წერილის შემდეგ ერთი წელიც არ იყო გასული, რომ კ. მარქსი და ფ. ენგელსი „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ მეორე რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში (1882 წლის 21 იანვარი) აყენებენ საკითხს — შეძლებს თუ არა რუსული თემი, — უკვე ძალიან დარღვეული ფორმა პირველყოფილი კოლექტიური მიწათმფლობელობისა — უშუალოდ გადავიდეს მიწათმფლობელობის უმაღლეს, კომუნისტურ ფორმაზე? თუ პირიქით, მან ჯერ უნდა გაიაროს იგივე რღვევის პროცესი, რომელიც ახასიათებს დასავლეთის ისტორიულ განვითარებას?

„ერთადერთი, დღეს შესაძლებელი პასუხი ამ კითხვაზე შემდეგია: წერდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, — თუ რუსეთის რევოლუცია გახდება სიგნალი პროლეტარული რევოლუციისა დასავლეთში, ასე რომ ორივე ერთმანეთს შეავსებს, მაშინ დღევანდელი რუსეთის მიწის სათემო საკუთრება შეიძლება გადაიქცეს კომუნისტური განვითარების გამოსავალ წერტილად“³.

თავისი შრომის „Об общественных отношениях в России“ ბოლოსიტყვაობაში, რომელიც დაწერილია 1894 წ. ცალკე წიგნად მისი გამოცემის გამო ფ. ენგელსი კვლავ უბრუნდება ამ საკითხს და წერს შემდეგს:

„Уцелела ли еще община в такой мере, чтобы в нужный момент, как Маркс и я еще надеялись в 1882 году она смогла при сочетании с переворотом в Западной Европе стать исходным пунктом коммунистического развития, — судить об этом я не берусь, но одно не подлежит сомнению необходима революция в России, без которой нынешняя Россия ни через общину, ни через капитализм не может достичь социалистического переустройства общества“.

¹ Переписка, стр. 300.

² Переписка, стр. 301.

³ კ. მარქსი და ენგელსი — კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ., 1952 წ., გვ. 13.

პასუხობდნენ რა ნაროდნიკებს რუსეთის არაკაპიტალისტური გზით გან-
ვითარების შესაძლებლობაზე და თემის მნიშვნელობაზე სოციალიზმზე გადასე-
ლისათვის, კ. მარქსი და ფ. ენგელსი დიდხანს იკავებდნენ თავს¹ მარქსის
ლემიკაზე, რადგან რუსეთში მაშინ არ იყო სხვა რევოლუციური² ინსტიტუტები
ფიქრობდნენ, რომ რუსეთში რევოლუციის მსვლელობა გამოიწვევდა რუსი
ხალხის ახალ ძალებს, რომელიც გამოიწვევდა ნაროდნიკული იდეოლოგიის
კრახს. ამავდროს მარქსი და ენგელსი მოუთმენლად ელოდნენ რევოლუციას
რუსეთში და გარკვეული ზომით მათ გადაჭარბებით შეაფასეს რევოლუციური
კრიზისის ხარისხი რუსეთში და როლი, რომელსაც თამაშობდნენ ნაროდნიკე-
ბი რევოლუციის მომზადებაში.

ფ. ენგელსი თავის შრომაში „Об общественных отношениях в России“,
რომელიც დაწერილია ჯერ კიდევ 1875 წ. წერდა:

„Если что нибудь может спасти Русскую общинную собственность и
дать ей возможность превратиться в новую, действительно жизнеспособную
форму, то это именно пролетарская революция в Западной Европе“¹.

თემს არ შეუძლია თავისი თავიდან განავითაროს უფრო მაღალი სოცი-
ალური ფორმა, აღნიშნავდა ფ. ენგელსი, თუ ეს მაღალი ფორმა არ არსე-
ბობს სინამდვილეში არცერთ ქვეყანაში. მისი აზრით, ყველაფერი დამოკიდე-
ბული იყო იმ ისტორიულ გარემოზე, რომელშიაც თემი იმყოფებოდა.

მაშასადამე, მეცნიერული კომუნიზმის ფუნდამენტლები რუსეთის არაკა-
პიტალისტური გზით განავითარებას მონოპოლიზმამდელი კაპიტალიზმის სტა-
დიაში განაპირობებდნენ. ჯერ ერთი დემოკრატიული რევოლუციის გამარჯ-
ვებით, კარიზმის დამხობით, ქვეყნის შიგნით და მგორე, პროლეტარული რე-
ვოლუციის გამარჯვებით დასავლეთში. აღნიშნული ორი პირობის არარსებო-
ბის შემთხვევაში მათი აზრით გლეხური თემი უსათუოდ განწირული იყო და-
სალუპავად.

კ. მარქსის გარდაცვალების შემდეგ ფ. ენგელსს არ შეუწყვეტია ამ
საკითხზე ფიქრი.

ამ მხრივ ყველაზე საყურადღებოა ფ. ენგელსს ამ პერიოდის შრომები-
დან—ბოლოსიტყვაობა შრომისა „О социальном вопросе в России“ საკითხზე
შეუძლიათ თუ არა ცალკეულ ხალხებს გვერდი აუარონ განვითარების კაპი-
ტალისტური სტადიას ფ. ენგელსს გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე
1894 წ. თავისი შრომის „О социальном вопросе в России“ ბოლოსიტყვაო-
ბაში პირდაპირ პასუხობდა:

„ . . . не только возможно, но и несомненно, что после победы про-
летариата и перехода средств производства в общее владение у Западно-Ев-
ропейских народов те страны, которым только что довелось вступить на
путь капиталистического производства и в которых уцелели родовые поряд-
ки или остатки таковых, могут использовать эти остатки общинного вла-
дения и соответствующие им народные обычаи как могучее средство для то-
го, чтобы значительно сократить процесс своего развития к социалистичес-
кому обществу и избежать большой части, тех страданий и той борьбы,

1. Переписка, стр. 204.

через которые приходится прокладывать дорогу нам в Западной Европе¹.

მდიდარი კონკრეტული მასალის შესწავლისა და განზოგადების ფუძველზე, რომელსაც კ. მარქსი და ფ. ენგელსი გაეცნენ ნიურო და დამოკიდებული ქვეყნების მაგალითზე მისცა მათ გაეკეთებინათ დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის დასკვნა იმის შესახებ, რომ ამ ხალხებისათვის სრულიადაც არაა სავალდებულო განვითარების კაპიტალისტური სტადიის გავლა. ეკონომიურად ჩამორჩენილ ხალხებს შეუძლიათ გვერდი აუარონ კაპიტალიზმს თუ ევროპისა და ჩრდილო ამერიკის ქვეყნებში გაიმარჯვებს პროლეტარიატი და შექმნის სოციალისტურ წარმოებას. მაშინ ეკონომიურად და კულტურულად მოწინავე სოციალისტური ქვეყნების დახმარებით მათ მთელი რიგი შეუღებო ეტაპებით შეუძლიათ პირდაპირ გადავიდნენ სოციალიზმში კაპიტალისტური სტადიის გავლელად.

მარქსისა და ენგელსის წინასწარხედვა ცალკეული ხალხებისა და ქვეყნების სოციალიზმზე გადასვლის შესახებ (კაპიტალიზმზე გადახტომით) მოწინავე ქვეყნებში სოციალიზმის გამარჯვების საფუძველზე შემდგომში გამართლდა მრავალმხრივ.

ისტორიამ შეიტანა თავისი შესწორება მხოლოდ იმ საკითხში თუ რომელ ქვეყნებში გაიმარჯვებდა პირველ რიგში სოციალიზმი. სოციალისტური რევოლუცია როგორც ცნობილია, ადრე განხორციელდა რუსეთში, ვიდრე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, სოციალისტური სისტემა დღეს მოიცავს აღმოსავლეთ ევროპასაც, აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყნებს და მიწვდა ამერიკის კონტინენტსაც.

ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე დიდ ინტერესს იჩენდა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ წამოყენებულთი კონცეფციის მიმართ (ჩამორჩენილი ქვეყნების არაკაპიტალისტური განვითარების კანონზომიერებათა შესახებ) იცავდა და ავითარებდა ახალ ეპოქაში მის ცალკეულ მხარეებს, რომლებიც კონკრეტული ისტორიული ვითარების გამო წამოიწვედნენ წინა პლანზე.

ვ. ი. ლენინის პირველი ფუნდამენტური შრომიდან „რანი არიან ხალხის მეგობრები და როგორ ომობენ ისინი სოციალდემოკრატების წინააღმდეგ“ ნათლად ჩანს, რომ ავტორი კარგად იცნობს კ. მარქსის ცნობილ წერილს „Отечественные записки“-ს რედაქციისადმი, რომელშიაც დაყენებულია საკითხი ჩამორჩენილი ქვეყნების არაკაპიტალისტური განვითარების შესაძლებლობის შესახებ. სწორედ ამავე შრომაში მოჰყავს ვ. ი. ლენინს ამონაწერი ზემოხსენებული წერილიდან და გამოდის განვითარების არაკაპიტალისტური გზის მარქსისტული დებულების ფალსიფიკაციის წინააღმდეგ, რომელსაც ნაროდნიკები ეწეოდნენ.

ნაროდნიკებს არ ესმოდათ განვითარების არაკაპიტალისტური გზის მარქსისტული იდეის არსი და იხილავდნენ მას, როგორც მექანიკურ შეერთებას „გმირების“ სუბიექტური სურვილების მიხედვით ყოველივე კარგისა, რაც შეიძლება იყოს ფეოდალიზმში და კაპიტალიზმში, არ დებულობდნენ

¹ К. Маркс и Ф. Энгельс—соч., т. 22, стр. 445—446.

მხედველობაში იმ მთავარს, რომელიც კ. მარქსისა და ფ. ენგელსის აზრით, აძლევს შესაძლებლობას ჩამორჩენილ ქვეყანას გვერდი აუაროს განვითარებას კაპიტალისტურ სტადიას—ე. ი. სოციალისტური რევოლუციის განვითარებულ ქვეყნებში და გამარჯვებული პროლეტარიატის დახმარება ჩამორჩენილ ხალხებს, ნაროდნიკ მიხაილოვსკის შეხედულებების კრიტიკის დროს ვ. ი. ლენინი იქვე მიუთითებდა, „კარგი რამ ყველგან ავიღოთ“ შორჩა და გათავდა (აქ მხედველობაშია ფეოდალიზმი და კაპიტალიზმი) კარგის „აღება“ აქედან და კადევ იქედან“¹.

წიგნში „რანი არიან ხალხის მეგობრები . . .“ ვ. ი. ლენინმა ყოველმხრივ განავითარა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ის აზრი, რომ ჩამორჩენილ ქვეყანას არ შეუძლია (გადაეიდეს სოციალიზმში) კაპიტალიზმის გაუვლელად სხვადასხვა ქვეყნების პროლეტარიატის ყოველმხრივი დახმარების გარეშე. ეს უნდა იყოს ვ. ი. ლენინის პირველი პრინციპული და წერილობითი გამოხვევა განვითარების არაკაპიტალისტური გზის მარქსისტული დავების დასაცავად მაშინ, როდესაც, როგორც ჩანს, ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ არ იცნობდა მეცნიერული კომუნისმის ფუნდამენტალთა რიგ შრომებს.

განვითარების არაკაპიტალისტური გზის შესახებ მეცნიერული კომუნისმის შემქმნელთა შემდეგი მნიშვნელოვანი შრომა, რომელსაც გაცნობია ვ. ი. ლენინი, არის კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ მეორე რუსული გამოცემის წინასიტყვაობა, რომელიც გამოქვეყნდა გ. ვ. პლენანოვის თარგმანით ენევის ჟურნალში „Народная Воля“, 1882 წ. თებერვალს და ბროშურა „მანიფესტის“ ტექსტით იმავე წელს.

განვითარების არაკაპიტალისტური გზის შესახებ ძალიან განმარტავადებული აზრებია მოცემული ენგელსის შრომებში „О социальном вопросе в России“ და ამავე შრომის ბოლოსიტყვაობაში გამოქვეყნებული ერთდროულად 1894 წ. გერმანულ ენაზე კრებულში „Статьи на международные темы из газеты Volksstat (1871—1875)“ და რუსულ ენაზე ბროშურაში „ფრიდრიხ ენგელსი რუსეთის შესახებ“ გამოცემული „შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ მიერ ენევაში 1894 წ. ვ. ზასულდის თარგმანით, ვ. ი. ლენინი მალე გაცნობია აღნიშნულ შრომებს, რაზეც მეტყველებს მისი სტატია „ფრიდრიხ ენგელსი“, დაწერილი 1895 წ. შემოდგომაზე, რომელშიც ის სთავაზობს რუს მკითხველს გაეცნოს ზემოხსენებულ რუსულ თარგმანს.

ორი პატარა, მაგრამ საგულისხმო სტატია რუსეთის ეკონომიური განვითარების შესახებ წერდა ამავე სტატიაში ვ. ი. ლენინი („ფ. ენგელსი რუსეთის შესახებ“)².

მაშასადამე, 1895 წ. ვ. ი. ლენინისათვის კარგად იყო ცნობილი კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შეხედულებები ჩამორჩენილ ქვეყნების არაკაპიტალისტური გზით განვითარების შესახებ, რამაც მას მისცა შესაძლებლობა განვიითარებინა ეს მარქსისტული კონცეფცია, პირველი წვლილი კი მასში შეიტანა ნაროდნიკებთან ბრძოლის პროცესში.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 1, გვ. 214.

² იქვე, ტ. 2, გვ. 14.



1905—1907 წწ. რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში ვ. ი. ლენინის მიერ წამოყენებული და დაზარდის თეორიის რიგი დებულებები უსათუოდ წარმოადგენდა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ჩამორჩენილი ქვეყნების სოციალიზმზე გადასვლის შესაძლებლობის (განვითარებულ ქვეყნებში გამარჯვებული სოციალისტური რევოლუციის დახმარებით) შესახებ იდეის შემდგომ განვითარებას.

ამ სოციალური და პოლიტიკური თაზების შინაარსი, რომელიც უნდა გაეგლოთ ჩამორჩენილ ხალხებს სოციალისტური რევოლუციის გზაზე, მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებს არ შეეძლოთ აეხსნათ, ისინი საკითხს ზოგად თეორიულ ასპექტში აყენებდნენ მხოლოდ.

ეს ამოცანა ვ. ი. ლენინმა გადაწყვიტა.

ვ. ი. ლენინმა წამოაყენა ახალი თეორიული დებულება პროლეტარიატისა და გლეხობის დემოკრატიული დიქტატურის შესახებ, რომელსაც შეუძლია გამარჯვებული დემოკრატიული რევოლუციის საფუძველზე გადაიზარდოს სოციალისტურში, პროლეტარიატის დიქტატურაში.

ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზარდის თეორიით ვ. ი. ლენინმა განავითარა მარქსისტული დებულება—ამ გადაზარდის ძირითადი პირობის შესახებ—ევროპის გამარჯვებული პროლეტარიატის დახმარება.

„პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურის დამყარება მიუთითებდა ვ. ი. ლენინი—მოგვეცემს ევროპაში რევოლუციის გადატანის საშუალებას“.

ჩამორჩენილი ხალხების არაკაპიტალისტური გზით განვითარების მარქსისტული კონცეფციის შესწავლაში მნიშვნელოვანი მომენტი იყო ვ. ი. ლენინის მიერ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის გამოჩენილ რუს ნაროდნიკთან დანიელსონთან მიმოწერის გაცნობა, რომელიც 1906 წ. გამოქვეყნდა გერმანულ ენაზე¹. და*ასევე ენგელსის წერილი კაუცკისადმი 1882 წ. 12 სექტემბერს. ვ. ი. ლენინს აღნიშნული წერილი არაერთხელ მოყავს თავის შრომებში ეროვნულ საკითხზე 1916 წ. და მალალ შეფასებას აძლევს ამ დოკუმენტს.


„თავის ბროშურაში „სოციალიზმი და კოლონიალური პოლიტიკა“ მიუთითებს ვ. ი. ლენინი (ბერლინი, 1907 წ.) კაუცკიმ, რომელიც ჯერ კიდევ მარქსისტი იყო გამოაქვეყნა მისდამი მიმართული წერილი ენგელსისა, დათარიღებული 1882 წ. სექტემბრით, რომელიც ფრიალ საინტერესოა იმ საკითხთან დაკავშირებით“².

ვ. ი. ლენინი მ. ი. ულიანოვასადმი წერილში 1908 წ. 17 თებერვალს კვლავ უბრუნდება ამ საკითხს და დაეინებით მოითხოვს კაუცკის ბროშურის

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 9, გვ. 88.

² А. Л. Ленин — Библиография произведений К. Маркса и Ф. Энгельса, М. 1948 г. стр. 402.

³ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 22, გვ. 448.



გაშოცემას, იმასთან დაკავშირებით, რომ მეორე ინტერნაციონალის ტუნისტულმა ნაწილმა 1907 წ. განსაკუთრებით შტუტგარტის კონგრესს¹ აღიერა ცდები—გაენართლებინათ იმპერიალისტური კოლონიალიზმის ტიკა, და რევიზია ეყოს ჩამორჩენილი კოლონიების არაკაპიტალისტური განვითარების მარქსისტული დებულებისათვის².

ცნობილია ვ. ი. ლენინის შრომიდან „საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის შტუტგარტში“, რომ კოლონიალიზმის დამცველთა ლიდერი ინტერნაციონალში პოლიანიელი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები ვან კოლი 1905 წ. საჯაროდ გამოვიდა ჩამორჩენილი ქვეყნების არაკაპიტალისტური გზით განვითარების მარქსისტული კონცეფციის წინააღმდეგ. ის თავის წიგნში „კოლონიალური პოლიტიკა და სოციალ-დემოკრატია“ პირდაპირ წერდა, რომ მარქსის პიპოთეზა კაპიტალიზმის გაუფლელად ჩამორჩენილი ხალხების განვითარების შესახებ არ განხორციელდაო.

ვ. ი. ლენინი დიდი ყურადღებით უთვალთვალებდა II ინტერნაციონალის დამცველთა ხრიკებს და დაქინებით მოითხოვს კაუციის ბროშურის გამოცემას რომელიც ჯერ კიდევ მარქსისტი იყო, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატულ წრეებში ეს ძირითადში მარქსისტული წიგნი და ენგელსის წერილი დაეპირისპირებინათ ვან-კოლის რევიზიონისტულ შეხედულებებისათვის.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ამიტომ ისიც, რომ სწორედ 1916 წ. პირველი იმპერიალისტური ომის ქარცეცხლში, როდესაც ევროპის სოციალ-დემოკრატია მოიცვა შოვინიზმის ტალღამ, ვ. ი. ლენინი ხშირად უკეთებს კომენტარებს და მოყავს კიდევ ენგელსის წერილი კაუციისადმი კოლონიური ქვეყნების კაპიტალიზმის გაუფლელად სოციალიზმში გადასვლის შესახებ.

მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების ლიდერები, ცდილობდნენ რა გაემართლებინათ ომისშემდგომი კოლონიების იმპერიალისტური გადანაწილება და შეეფერხებინათ კოლონიური და დამოკიდებული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, ეფარებოდნენ ფრაზებს ერთა თვითგამორკვევის უფლების ლოზუნგის მოცველების შესახებ. ისინი აცხადებდნენ, რომ ყველა კოლონიურმა ხალხმა უნდა გაიაროს განვითარების „გამაკეთილშობილებელი“ კაპიტალისტური სტადია სანამ მიუახლოვდებოდნენ სოციალისტური გადატრიალების განხორციელებას.

საერთაშორისო ოპორტუნისტები რუსი ნაროდნიკებისაგან განსხვავებით რევიზიას უკეთებდნენ არაკაპიტალისტური განვითარების მარქსისტულ კონცეფციას მეორე მხრიდან თუ რუსი ნაროდნიკები, მოგვიანებით კი ესერები უარყოფდნენ მეცნიერული კომუნიზმის ფუნდამენტელთა კონცეფციაში—ჩამორჩენილი ხალხების არაკაპიტალისტური გზით განვითარების ძირითად პირობას—განვითარებული ქვეყნების გამარჯვებული პროლეტარიატის დახმარებას, საერთაშორისო სოციალ-დემოკრატების ოპორტუნისტები ეჭვის ქვეშ აყენებდნენ კ. მარქსისა

¹ И. М. Кривогуз—Второй Интернационал, 1889—1914, из-во „Мысль“ 1964 г стр. 303—305.

² ვ. ი. ლენინი თხ. ტ. 13, გვ. 82—83, 91—105.

და ფ. ენგელსის შეხედულებებს სუსტად განვითარებული ქვეყნების-
კაპიტალიზმის გაუფლელად სოციალიზმში გადასვლის შესახებ. სწორედ ამ-
ტომ II ინტერნაციონალის შტუდენტების კონგრესის შემდეგ ^{ქვეყნების} ^{კონგრესის}
ვ. ი. ლენინმა მიუძღვნა რიგი სტატიები) განსაკუთრებით პირველ ^{ქვეყნების} ^{კონგრესის}
ალისტური ომის წლებში ვ. ი. ლენინი მთავარ ყურადღებას აქცევს სუსტად
განვითარებული ქვეყნების არაკაპიტალისტური განვითარების რეალური შე-
საძლებლობის მარქსისტულ იდეას. ვ. ი. ლენინმა და ბოლშევიკურმა პარტი-
ამ ოპორტუნისტებთან ბრძოლაში დაიცვეს და განავითარეს მეცნიერული კო-
მუნისმის თეორიის ფუძემდებელთა კონცეფცია აღნიშნულ საკითხზე.

1915—1916 წწ. ვ. ი. ლენინმა აღმოაჩინა იმპერიალიზმის ეპოქაში კა-
პიტალიზმის უთანაბრო ნახტომისებრი განვითარების კანონი. ამ კანონის
მოქმედების ანალიზის საფუძველზე კი გააკეთა დასკვნა. თავდაპირველად
ერთ ცალკე აღებულ ანდა რამდენიმე ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების
შესაძლებლობის შესახებ.

ამ აღმოჩენებთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი ახლებურად მიუძღვა სუს-
ტად განვითარებული ქვეყნების არაკაპიტალისტური განვითარების პრობლე-
მას. როგორც სოციალისტური რევოლუციის თეორიის ერთ-ერთ მნიშვნელო-
ვან საკითხს.

ქ. მარქსი და ფ. ენგელსი კაპიტალიზმის მონოპოლიზმამდეღ პერიოდში,
როდესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩანასახობრივ მდგომა-
რეობაში იმყოფებოდა, საკითხს ამ ქვეყნების არაკაპიტალისტური განვითა-
რების შესაძლებლობის შესახებ იხილავდნენ როგორც შედეგს არა იმდენად
ჩაგრული ხალხების ბრძოლისა, რამდენადაც ევროპისა და ჩრდილო ამერიკის
მოწინავე ქვეყნების პროლეტარიატის გამარჯვებისა.

სოციალისტური რევოლუციის კაპიტალიზმის ამ „ციტადელში“ ერთდრო-
ული გამარჯვების შემთხვევაში ჩამორჩენილი ხალხების განვითარების პერს-
პექტივების საკითხი წყდებოდა იოლად. „ნახევრადცივილიზებული ქვეყნები—
—წერდა ვ. ი. ლენინი—თავისთავად გამოგვეყვებიან, ამისათვის იბრუნებენ
უკვე მარტოოდენ ეკონომიურს მოთხოვნისებანი!“.

მსოფლიო ბაზარი, რომელიც გადაიქცევა თავის ძირითად ნაწილში კა-
პიტალისტურიდან სოციალისტურად თანდათანობით გარდაქმნის სოციალის-
ტურ საწყისებზე სუსტად განვითარებული ქვეყნების ეკონომიკას, ანდა რო-
გორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა ენგელსის წერილის კომენტარების დროს
„პოლიტიკის შეგუება ეკონომიკასთან აუცილებლად მოხდება“².

სულ სხვანაირად დადგა ეს პრობლემა მაშინ, როდესაც
სოციალიზმის ერთდროული გამარჯვება კაპიტალიზმის ძი-
რითად ქვეყნებში შეუძლებელი გახდა. მეორე მხრივ,
კოლონიური ჩაგვრის გაძლიერებამ იმპერიალიზმის
მხრიდან გამოიწვია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძ-

¹ ვ. ი. ლენინი—თხ. ტ. 22, გვ. 449.

² იქვე.



რაობის გაძლიერება, რაც თავისთავად გახდა სოციალისტური რევოლუციის შემადგენელი ნაწილი, მისი მსხვილი ნაწილი ზერცი, ვ. ი. გაქრა ძირითადი პირობა—მთავარ გამოწვევას ტურ სახელმწიფოებში პროლეტარიატის ერთდროული გამარჯვება, რომლითაც კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა დაასაბუთეს ჩამორჩენილი ქვეყნების არაკაპიტალისტური განვითარების შესახებ დასკვნები. ხომ არ გამჭარალა ამასთან ერთად იმპერიალიზმის ეპოქაში არაკაპიტალისტური განვითარების შესაძლებლობა? სწორედ ეს უნდოდათ დაემტკიცებინათ ვაკოტრებული II ინტერნაციონალის ლიდერებს, მათთან ერთად ტროცკის, ბუხარინსა და პიატაკოვს იმპერიალიზმის ეპოქის დადგომის ფაქტიდან.

მარქსისტული ფორმულების (რომლებიც სრულიად სხვა ეპოქას ეხებოდნენ) გამოყენებით მათ ვაკეთეს თავიდან ბოლომდე მცდარი დასკვნა კოლონიური და ნახევრადკოლონიური ხალხების გამარჯვების შეუძლებლობის შესახებ, უარყოფდნენ განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებებს იმ პერიოდამდე, როცა იმპერიალიზმი დამარცხებული იქნება საბოლოოდ მოწინავე ქვეყნების პროლეტარიატის მიერ. ამით მათ სოციალისტურ რევოლუციას ჩამოაცილეს მძლავრი მხარდაჭერა, ჩამორჩენილი ქვეყნების ხალხებს კი სხვა არაფერი რჩებოდათ ამ თეორიის მიხედვით თუ არა დარჩენილიყვნენ იმპერიალიზმის დაღუპვის პასიურ მოლოდინში.

ვ. ი. ლენინის დიდი ისტორიული დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან დაამსხვრია ოპორტუნისტების ყველა დოგმა და აჩვენა შესაძლებლობა და დიდი პერსპექტივები ჩამორჩენილი ქვეყნების არაკაპიტალისტური გზით განვითარებისა.

სწორედ ამიტომ ვ. ი. ლენინი ხედავდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მსოფლიო რევოლუციური პროცესის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს, ასწავლიდა პროლეტარიატს მხარი დაეჭირათ ეროვნულ-რევოლუციური, პროგრესული ომებისათვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

თავის შრომებში, რომლებიც დაწერილია 1914—1916 წწ., ვ. ი. ლენინმა განავითარა ახალ პირობებში კ. მარქსისა და ფ. ენგელსის იდეა იმ ძირითადი პირობების შესახებ, რომლებიც უმსუბუქებს ჩამორჩენილ ქვეყნებს სოციალიზმში გადასვლას.

სტატიაში „მედეგები დისკუსიისა თვითგამორკვევის შესახებ“, რომელიც დაწერილია 1916 წ. ივლისში, ვ. ი. ლენინი მიუთითებს განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნის პროლეტარიატს, რომელიც პოლიტიკურ ძალაუფლებას აიღებს ხელში შეასრულოს ერთ-ერთი ინტერნაციონალური შივალეობა და უანგარო კულტურული დახმარება გაუწიოს კოლონიალურ, განუვითარებელ ხალხებს ისე, რომ მათზე არ იბატონოს¹.

ვ. ი. ლენინმა ამავე სტატიაში ჩამოაყალიბა სხვა მნიშვნელოვანი დებულებაც. მან დაასაბუთა ის უდიდესი იდეოლოგიური მნიშვნელობა ჩამორჩენილი ხალხების განვითარებისათვის, რაც შეიძლება ქონდეს სოციალიზმის მაგა-

¹ ვ. ი. ლენინი. ო. ს. ტ. 22, გვ. 430—431.



ლის მოქმედებაში, რომელიც აჩვენებს სოციალისტური წარმოების წესის დიდ უპირატესობებს კაპიტალისტურის წინაშე.

„სოციალიზმის დროს დიდი სახელმწიფო ნიშნავს, წერდა ჭ. მ. კ. ლენინი“¹ — დღეში ამდენი და ამდენი საათით ნაკლებ მუშაობას, დღეში ამდენით და ამდენით მეტ ხელფასს. მშრომელი მასები, რომლებიც თავისუფლდებიან ბურჟუაზიის უღლისაგან მთელი ძალღონით გაიწვევენ დიდ და მოწინავე სოციალისტურ ერებთან კავშირისა და შერწყმისაკენ, ამ „კულტურული დახმარების“ გულისათვის!*

პოლიტიკურ-რევოლუციური კავშირი პროლეტარიატისა, რომელმაც აიღო თავის ხელში ძალაუფლება ერთ ან რამდენიმე ასე თუ ისე განვითარებულ ქვეყანაში, ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, რომელმაც გაიმარჯვა ჩამორჩენილ ქვეყნებში. კავშირი განმტკიცებული სოციალისტური ქვეყნების „უანგარო კულტურული დახმარებით“ და სოციალიზმის მაგალითით—ასეთია ვ. ი. ლენინის აზრით ჩამორჩენილი ქვეყნების განვითარების არაკაპიტალისტურ გზაზე გადასვლის ძირითადი წინამძღვრები.

მაშასადამე, უკვე პირველი იმპერიალისტური ომის წლებში ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა ჩამორჩენილი ქვეყნების არაკაპიტალისტური გზით განვითარების თეორიის ძირითადი ელემენტები.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ბოლშევიკური პარტიის წინაშე პირველად ისტორიაში პრაქტიკულად დადგა საკითხი რუსეთის ჩამორჩენილი ხალხების უფრო განვითარებული ხალხების დახმარებით სოციალიზმის მშენებლობაში ჩაბმის შესახებ.

მარქსისტულ-ლენინური თეორია ჩამორჩენილი ხალხების არაკაპიტალისტური გზით განვითარების შესახებ აღმოჩნდა გამოცდის წინაშე. ამ თეორიამ ბრწყინვალედ გაუძლო ისტორიის გამოცდას და აჩვენა თავისი სიცოცხლისუნარიანობა.

გავიდა კიდევ რამდენიმე წელი და ამ თეორიის საბჭოთა აღმოსავლეთში პრაქტიკული განხორციელების მაგალითია ვ. ი. ლენინის მისცა საშუალება კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესის ტრიბუნიდან მიეთითებინა აზრის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხებისათვის გზა ნათელი მომავლისაკენ.

„შეგვიძლია თუ არა მართებულად ჩავთვალოთ იმის მტკიცება—აღნიშნავდა მაშინ ვ. ი. ლენინი,—რომ სახალხო მეურნეობის განვითარების კაპიტალისტური სტადია აუცილებელია იმ ჩამორჩენილი ხალხებისათვის, რომელნიც ახლა თავისუფლდებიან და რომელთა შორის დღეს, ომის შემდეგ, შესამჩნევი ხდება პროგრესის გზით მოძრაობა. ჩვენ ამ კითხვაზე უარყოფითად ვუპასუხებთ. თუ რევოლუციური ძლევამოსილი პროლეტარიატი მათში გასწევს სისტემატურ პროპაგანდას, ხოლო საბჭოთა მთავრობები დაეხმარებიან თავიანთ განკარგულებაში მეოფე ყველა საშუალებით, მაშინ სწორი არ იქნება

¹ ვ. ი. ლენინი, სსხ, ტ. 22, გვ. 431.

ვიფიქროთ, რომ განვითარების კაპიტალისტური სტადია აუცილებელია ჩამორჩენილი ხალხებისათვის¹.



აღნიშნული დებულების ჩამოყალიბებით ვ. ი. ლენინმა სამსახური გაუწია ჩაგრული ხალხების განმათავისუფლებელ მოძრაობას. მან გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა კოლონიალიზმის აპოლოგეტებს.

ზემოთ დასახელებული დებულებით არ დამთავრებულა ვ. ი. ლენინის მუშაობა განვითარების არაკაპიტალისტური გზის პრობლემაზე, ის დიდ ყურადღებას აქცევდა მის შემდგომ თეორიულ დამუშავებას და პრაქტიკული განხორციელების საკითხებს.

ამ მიმართულებით უდიდესი მნიშვნელობა ქონდა ვ. ი. ლენინის გამოსვლებს კომუნისტური ინტერნაციონალის III კონგრესზე (1921 წ.) და სკპ (ბ) X ყრილობის რეზოლუციას ეროვნულ საკითხზე. მათში პპოვეს ასახვა საბჭოთა აღმოსავლეთის ხალხების კაპიტალიზმის გაფუჭვლად სოციალიზმის გზაზე გადაყვანის პარტიის გრანდიოზულმა პრაქტიკულმა პროგრამამ.

შუა აზიის, ყაზახეთის და ჩრდილოეთის ხალხების ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობის დაღვევის პარტიის გრანდიოზული პროგრამის განხორციელებას ჰქონდა უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა. აღაფრთოვანებდა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხებს კოლონიალიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლებისათვის.

რევოლუციის შემდეგ 1921 წ. განვითარების არაკაპიტალისტურ გზას დაადგა მონოლიეთი.

ახალ ისტორიულ ეპოქაში—კოლონიალიზმის დაშლის ეპოქაში განვითარების არაკაპიტალისტური გზის საკითხი დღის წესრიგში დადგა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის რიგ ქვეყნებში. ასეთ პირობებში კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა განავითარეს არაკაპიტალისტური გზის შესახებ მარქსისტულ-ლენინური თეორია ახალი დებულებებით, მიუთითეს კერძოდ ეროვნული დემოკრატიის სახელმწიფოზე, — როგორც არაკაპიტალისტური გზით განვითარების ერთ-ერთ ფორმაზე.

თანამედროვე ეპოქა ვახდა არაკაპიტალისტური გზით განვითარების მარქსისტულ-ლენინური თეორიის ტრიუმფის ეპოქა, თუ როგორ მოხდა ეს, როგორ გაიკაფა გზა ცხოვრებაში ამ თეორიამ, როგორ განხორციელდა ის ჩვენი ქვეყნის განაპირა ჩამორჩენილ ხალხებში, როგორ გამდიდრდა და განვითარდა არაკაპიტალისტური განვითარების საბჭოთა აღმოსავლეთის ისტორიული გამოცდილება აზიისა და აფრიკის ქვეყნების მავალითზე, ამის შესახებ შრომის მეორე ნაწილში გვექნება საუბარი.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 290.



0. ბლიძე

**საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა სოფლად
კომუნისტთა რიგების წარმართვის და რეკონსტრუქციის
საკლავო-სამეცნიერო ინსტიტუტის კარიკატურაში (1930—1932 წწ.)**

მთლიანი კოლექტივიზაციის პოლიტიკაზე გადასვლამ გავლენა მოახდინა სოფლის პარტიული ორგანიზაციების რიგების ზრდისა და რეკონსტრუქციის საქმეზე. საკლავო-სამეცნიერო ინსტიტუტის წარმართვის, ახალი კოლმეურნეობების შექმნა თავისებურად აყენებდა პარტიული მუშაობის საკითხებს. პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის ბრძოლა სოფლის კომუნისტებს ავალებდა მეტი მათრგანიზებელი ღონისძიებების გატარებას, ფართო უპარტიო მასებთან კავშირს, მათ დარწმუნებას სოციალისტური გარდაქმნის მოთხოვნათა შესაბამისად და პარტიის რიგების შევსებას.

1929 წელს ჩატარებულმა პარტიის გენერალურმა წმენდამ გვიჩვენა, რომ სოფლის პარტიულ ორგანიზაციებში შეპარული იყვნენ მოწინააღმდეგე ელემენტები, რომელთა მოცილების შემდეგ პარტია გახდა კიდევ უფრო ბრძოლისუნარიანი და მტკიცე.

პარტიული მუშაობის გარდაქმნა და შემდგომი სრულყოფა დიდად იყო დამოკიდებული მისი რიგების შევსებაზე. ეს კი მოითხოვდა დიდ სიფხიზლეს, საქმისადმი ბოლშევიკური წინდახედულობით მიდგომას, რათა პარტიის რიგებში კვლავ არ შეეღწია მტრებს. ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა: „პარტია იმდენად ვიწრო უნდა იყოს, რომ მუშათა კლასის გარეშე სხვა კლასებიდან გამოსულთაგან მიიზიდოს მხოლოდ ისინი, რომელთა უდიდესი სიფრთხილით შემოწმების შესაძლებლობა მას აქვს“¹. ბელადის მითითებას ამ პირობებში ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან სოფლად წარმოებდა გამწვავებული ბრძოლა კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის. ამიტომ მტრები ყოველნაირად ცდილობდნენ პარტიაში შეპარვას და მისი პოლიტიკის დამახინჯებას, ფართო მასების უკმაყოფილების გამოწვევას, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ჩაშლას.

საე. კ(ბ) ცენტრალური კომიტეტი გადაჭრით ითხოვდა: „...აუცილებელია

საკითხი დამუშავდა და სტატია დასაბუქდად მომზადდა საქართველოს სსსრკ-ს სამეცნიერო ინსტიტუტის სკკპ ისტორიისა და მეცნიერული კომუნისმის კათედრაზე.

1 ვ. ი. ლენინი, თხზ: ტ. 30, გვ. 212.



გაძლიერდეს პარტიაში მოზიდვა მოჯამაგირეებისა და სოფლის მეურნეობის მუშებისა (განსაკუთრებით საბჭოთა მეურნეობებში), სოფლის მეურნეობის აგრეთვე კოლმეურნეობათა ყველაზე უფრო აქტიური, სოციალისტური ბლომის საქმისადმი ერთგული წევრებისა¹. პარტიაში მისაღებთა ასეთი მერჩევა შესაძლებლობას მისცემდა სოფლის პარტიულ უჯრედებს წარმატებით გაერთიანთ თავი მათ წინაშე დასახული ამოცანებისათვის, მოეხდინათ პარტიის რიგების შევსება ერთგული და მტკიცე კადრებით. გამზღარიყვენ უფრო ბრძოლისუნარიანი.

ამავე დროს, პარტიის რიგებში ერთგული მშრომელი მასების მიღება შესაძლებელს გახდიდა სოფლის პარტიული ორგანიზაციების გარდაქმნას საწარმოო პრინციპის მიხედვით, ყველა კომუნისტის ჩაბმას საწარმოო შრომაში, უზრუნველყოფდა პარტიული უჯრედის ზელმძღვანელ როლს საკოლმეურნეო მშენებლობის ყველა უბანზე.

საქართველოს კომუნისტური პარტია სათავეში ჩაუდგა თავისი რიგების ზრდისა და რეგულირების საქმეს. 1930 წლის 22 თებერვალს საქართველოს კ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „პარტიის რიგების ზრდის რეგულირების შესახებ“. დადგენილება მოითხოვდა, პარტიაში მიეღოთ, უპირველეს ყოვლისა, დაზგის მუშები და აქტიური კოლმეურნეები, რომლებიც მთელი შესაძლებლობით იბრძოდნენ კულაკობის შემოტევის წინააღმდეგ, გამოდიოდნენ მტკიცე კოლექტიური მეურნეობის შექმნის ორგანიზატორებად.² ამ დადგენილებას უღარესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის რიგების სიმტკიცისათვის, მასში მოჯამაგირეებისა და სასოფლო-სამეურნეო მუშების ხვედრითი წონის ასაშაღლებლად. მართლაც, თუ 1929 წლის IV კვარტალში პარტიის წევრობის ყანდიდატად მიღებულ იქნა 5 მიწის მუშა გლეხი, 110 მოჯამაგირე და სასოფლო-სამეურნეო მუშა, 1930 წლის I კვარტალში—14 მიწის მუშა გლეხი, 73 მოჯამაგირე და სასოფლო-სამეურნეო მუშა.³

1930 წლის დასაწყისიდან პარტიის მიერ აღებული სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციის ყურსი და მის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის საქმე, საჭიროებდა სოფლის პარტიული ორგანიზაციების რიგების გაფართოებას და პარტიული უჯრედების ქსელის შემდგომ ზრდას. ეს ამოცანა უნდა გადაწყვეტილიყო პარტიაში იმ მუშების, მოჯამაგირეების, მოწინავე კოლმეურნეებისა და ღარიბი გლეხების მიღებით, რომლებმაც ინიციატივა გამოიჩინეს კოლმეურნეობათა მოწყობაში, კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლასა და სასოფლო-სამეურნეო სამეშაოების ჩატარების დროს ვალდებულებათა შესრულებაში.

ამ საკითხზე ყურადღება გაამახვილა საქართველოს კ (ბ) VII ყრილობამ

¹ სკვპ., რეზოლუციებში, ნაწ. II, თბ., 1955, გვ. 862—863.

² იბ. ა. ესაკია, საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ლენინური გეგმის განხორციელებისათვის (საქანდიტო დისერტაცია), თბ., 1965, გვ. 455.

³ ჟურნალი „პარტიული მშენებლობა“, 1930, № 9—10, გვ. 44.



და მოითხოვა განსაკუთრებული „...მუშაობა პარტიაში საუკეთესო დამკვირ-
 ლების, მუშებისა და მუშა-ქალების, სასოფლო-სამეურნეო მუშების, მწიფე-
 გირეებისა და მოწინავე კოლმეურნეების — განსაკუთრებით ღარიბებისათვის“.¹

საქართველოს სოფლის პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი ყურადღებით იწყეს ქრილობის მითითების შესრულებისათვის მუშაობა, რის შედეგად 1930 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით პარტიის რიგებში მყოფ კომუნისტთა საერთო რაოდენობასთან შედარებით სოციალური წარმომოებით გლეხთა პროცენტული შემადგენლობა თანდათან მცირდებოდა, ხოლო მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ კომუნისტ გლეხთა საერთო რაოდენობა იზრდებოდა. ასე, მაგალითად, თუ 1 იანვრისათვის სხვაობა სოციალურ წარმომობასა და უშუალო მწარმოებელ გლეხობას შორის შეადგენდა 7.5%-ს, შემდგომ პერიოდში იკლებს 6.1%-მდე. ე. ი. სოციალური მდგომარეობით გლეხთა პროცენტული შემცირების გზით გაიზარდა მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ გლეხთა რიცხვი.² ასე, რომ სოფლის პარტიულმა ორგანიზაციებმა წარმატებით გაართვეს თავი კომუნისტური პარტიის მოთხოვნას — პარტიაში სოფლის მეურნეობის მოწინავე მშრომელი მასების მიღების შესახებ.

1930 წლის ბოლოს საქართველოს სოფლის პარტიული ორგანიზაციების ქსელში ითვლებოდა 492 უჯრედი, 8 პარტკომი და 58 საკანდიდატო ჯგუფი. სადაც გაერთიანებული იყო პარტიის 4392 წევრი და 3752 კანდიდატი.³

სოფლად პარტიის რიგების ზრდას პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ რაიონული კომიტეტები. ბორჯომის რაიკომის ბიურომ განიხილა სოფელ დიდი მიტარბის უჯრედის მუშაობა და სუსტი მუშაობისათვის გაათავისუფლა უჯრედის მდივანი ფილიევი. უჯრედის შემოწმებით გამოირკვა, რომ არავითარი ყურადღება არ ექცეოდა პარტიაში ახალი წევრების მიღებას. პირიქით, ზრდის ნაცვლად კომუნისტთა რაოდენობა შემცირდა 25 წევრიდან და კანდიდატიდან 5 წევრამდე.⁴

საქართველოს კომუნისტური პარტია დაუღალავ მუშაობას ეწეოდა პარტიის რიგების ზრდის რეგულირებისათვის. ამის ერთ-ერთი ფაქტია დანართი № 7 ცკ-ის ბიუროს 1930 წლის 12 დეკემბრის ოქმზე „პარტიაში მიღების დროებითი წესის შესახებ“, რომლითაც დროებით წესდებოდა პარტიაში მიღებისა და პარტიიდან გარიცხვის შემდეგი წესები:

1. უჯრედის საერთო კრების გადაწყვეტილება პარტიაში მიღების შესახებ I და II კატეგორიისათვის (მუშები, მოჯამაგირეები, გლეხები) ძალაში შედიოდა პარტკომის, ქალაქკომის ან რაიკომის დამტკიცების შემდეგ, ხოლო მესამე კატეგორიისათვის (მოსამსახურენი)—საქ. კ. (ბ) ცკ-ის დამტკიცების შემდეგ. ავტონომიურ ოლქებში რაიკომების გადაწყვეტილება პარტიაში მიღების შესახებ ყველა კატეგორიისათვის დასამტკიცებლად წარედგინებოდა საოლ-

¹ საქართველოს კომპარტიის (ბ) VII ყრილობის რეზოლუციები, სახელგამი, ტფ. 1930, 33. 18.
² მოსტვა, ფ. 14, აღწ. 1, საქ. 3318, ფურც. 29.
³ იქვე, საქმე 3616, ფურც. 13, 16, 32 35—36, 57—60;
⁴ იქვე, საქმე 3200, ფურც. 126.

ქო კომიტეტს, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოდ ითვლებოდა I და II კატეგორიისათვის.

სხვა პარტიებიდან გამოსულთა მიღებას ამტკიცებდა ცენტრალური საკონტროლო კომისია.
ტერი.

2. პარტიიდან გარიცხვის შესახებ უკრდის საერთო კრების გადაწყვეტილებას II და III კატეგორიისათვის ამტკიცებდა რაიონული ან საქალაქო საკონტროლო კომისია, I კატეგორიისათვის კი—ცენტრალური საკონტროლო კომისია.

ავტონომიურ ოლქებში გარიცხვის შესახებ ყველა გადაწყვეტილებას ამტკიცებდა საოლქო საკონტროლო კომისია, მხოლოდ I კატეგორიისათვის აუცილებელი იყო ცენტრალური საკონტროლო კომისიის დამტკიცება.

პარტიიდან გარიცხვის შესახებ საკონტროლო კომისიების გადაწყვეტილება ძალაში შედიოდა მხოლოდ შესაბამის პარტიებთან შეთანხმების შემდეგ.¹

ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული გადაწყვეტილება დიდად უწყობდა ხელს პარტიის რიგების სიმტკიცეს ამასთან, იგი პარტიაში გზას უხსნიდა მუშათა კლასისა და გლეხობის ყველაზე შეგნებულ და ბრძოლისუნარიან ნაწილს, აძლიერებდა პასუხისმგებლობას მოსამსახურეების პარტიაში მიღებაზე, ითხოვდა მხოლოდ საუკეთესო და ერთგული კადრების შერჩევას. ვარდა ამისა, ამაღლდა პარტიის წევრის უფლება. ორგანიზაციას დამოუკიდებლად არ შეეძლო მისი გარიცხვა პარტიის რიგებიდან. კომუნისტის ბედზე უნდა ემსჯელა უმაღლეს საკონტროლო ორგანოებს, ასე, რომ საწარმოო პრინციპზე პარტიული მუშაობის გარდაქმნას ყოველმხრივ შეუწყო ხელი პარტიის რიგების რეგულირებისა და მისი სიმტკიცისათვის გატარებულმა ღონისძიებებმა.

საქ. კვ (ბ) ცს-ის სამდივნომ 1931 წლის 21 იანვარს ხაზი გაუსვა ზოგიერთი რაიონის (ოზურგეთი, ჩოხატაური და სხვ.) მიერ პარტიაში მიღების საკითხების დარღვევას და მითითება მისცა სოფლის პარტიულ ორგანიზაციებს არ დაეშვათ პარტიაში კოლმეურნეთა სტიქიური მიღება. ეს საკითხი უნდა გადაჭრილიყო პარტიაში მხოლოდ დაზგის მუშათა ზრდის მკაცრი აღრიცხვის შესაბამისად, რომ არ მომხდარიყო პარტიული ორგანიზაციის შემადგენლობის ხარისხობრივი დარღვევა.² მაგრამ კოლმეურნეთა მიღების უგულვებელყოფაც არ შეიძლებოდა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ზოგიერთ რაიონში. გაითვალისწინა რა ასეთი ფაქტები, 1931 წლის 6 თებერვალს საქ. კვ (ბ) ცს-ის სამდივნომ არადაამაკაყოფილებლად სცნო ქიათურის რაიონის მუშაობა პარტიის შემადგენლობის რეგულირების საქმეში და მიუთითა, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სოფლის ორგანიზაციებში განმტკიცებისათვის, მიეღწია უკრდების მორგანიზებელი და ხელმძღვანელი როლის ამაღლებისათვის (სოფლისა და კოლმეურნეობის უკრდებში) მათი რაოდენობრივი და ხარისხობრივი განმტკიცების გზით.³

1 შლისფა, ფ. 14. აღწ. 1. საქმე 3527. ფურც. 10.

2 იქვე, საქმე 3523. ფურც. 28.

3 იქვე, ფურც. 29—30.



ამრიგად, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობდა რაიონული კომიტეტების მუშაობას. პარტიის ზრდის მოწესრიგების საქმეში, რაც რაიონებს მოუწოდებდა, მათ უნდა მიეღობინათ მისი მიზნებისა. ხოლო სხვებს ურჩევდა ზომიერების დაცვას. ბიზნისი მისი

საქ. კპ (ბ) ცკ-ის მუდმივი კონტროლის შედეგად წარმოებდა პარტიის რიგების რეგულირება. 1931 წლის I ინვერსიისათვის საქართველოს კპ (ბ) შემადგენლობაში საქმიანობით მუშები და მოჯამაგირეები იყო 16672 (44,6%), გლეხები — 7477 (20,1%), დანარჩენი — 13144 (35,3%). პირველი აპრილისათვის კი მუშები და მოჯამაგირეები იყო 18650 (45,7%), გლეხები — 7900 (19,4%) დანარჩენი — 14238 (34,9%).¹ მართალია, მუშებისა და მოჯამაგირეების ზრდის ხარჯზე გლეხთა რაოდენობა I აპრილისათვის შემცირდა 0,7%-ით, მაგრამ ამავე პერიოდში (1931 წლის I კვარტალი) პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებულ გლეხთა რიცხვი შეადგენდა 1259, ანუ კანდიდატად მიღებულთა მთელი შემადგენლობის 31,1%-ს.² მაშინ როცა 1930 წლის I კვარტალში მიღებული იყო სულ 0,7%, ხოლო IV კვარტალში 21,9%. ამავე დროს პარტიაში მიღებულ გლეხთა შორის უმრავლესობას — 87,8%-ს შეადგენდნენ კოლმეურნეები.³

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო პარტიაში ქალთა მიღებას. საქმიანობის მიხედვით 1931 წლის I ინვერსიისათვის პარტიის რიგებში ითვლებოდა 39,7% მუშა ქალი. მათ შორის მოჯამაგირე — 2,1%, გლეხი — 14,7%, კოლმეურნი — 11,2%. I აპრილისათვის მუშა ქალი შეადგენდა 38,2%-ს, მოჯამაგირე — 2,2%, გლეხი — 16,7%-ს, კოლმეურნი — 13,3%-ს.⁴ 1931 წლის I კვარტალში სოფლის პარტიულ ორგანიზაციებში პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებული ქალებიდან სასოფლო-სამეურნეო მუშები და მოჯამაგირეები იყვნენ — 8,7%, კოლმეურნეები — 19,2%, ინდივიდუალური მეურნეები — 16,9%.⁵

პარტიაში მიღებულთა შორის საქართველოს კომკავშირის წარმომადგენლები იყვნენ სოფლის მეურნეობის მუშებისა და მოჯამაგირეების 32,5%, კოლმეურნეების — 31,8%, ინდმეურნეების — 42,9%.⁶

საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ზრდის საკითხებზე ყურადღება გაამახვილა საქ. კპ(ბ) ცკ-ის ბიურომ 1931 წლის 2 აპრილის დადგენილებაში „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მოწესრიგების შესახებ“. ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა სოფლის პარტიული ორგანიზაციების ზრდაში მომხდარი გარდატეხა, რაც ძირითადად ხორციელდებოდა სასოფლო-სამეურნეო მუშების, მოჯამაგირეებისა და კოლმეურნეების მიღებით. მიუხედავად მდგომარეობის ერთგვარი გაუმჯობესებისა, ცკ-მა სოფლის პარტიული ორგანიზაციების ყურადღება გაამახვილა სოფლის სოციალისტური გარდაქმნის ნაქ-

1 მლისფა, დ. 14, აღწ. I, საქმე 4034, ფურც. 26.
 2 იქვე, ფურც. 26.
 3 უფრ. „პარტიული მშენებლობა“, 1931, № 5—6, გვ. 23.
 4 მლისფა, დ. 14, აღწ. I, საქმე 4034, ფურც. 37.
 5 იქვე, ფურც. 38.
 6 იქვე, ფურც. 39.



ლოვანებზე და დაავალა აჭარისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტებს, ან-
ურგეთის, ლანჩხუთის, თელავის, ბორჩალოს, ბაშკინეთის, ყარაიას, აბაშის
ახალქალაქის, აღბულაღ-მანგლისის, ხონისა და სენაკის რაიონებში.
ფონის საქალაქო პარტიკომს მაქსიმალურად გააძლიერონ პარტიკომ-
ლო-სამეურნეო პროლეტარიატის მოწინავე ნაწილის, დამკვერლებსა და იმ
აქტიურების ჩაბმის ტემპი; რომლებიც ნამდვილად იბრძვიან... საწარმოო
გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.¹ განსაკუთრებული
ყურადღება უნდა გამახვილებულიყო პარტიაში მოწინავე კოლმეურნეებისა
და კოლმეურნე ქალების მისაღებად. მათგან შეერჩიათ ისინი, ვინც განსაკუთ-
რებით იხახელეს თავი კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლაში და შრომის სოცია-
ლისტური ფორმების განვითარებაში. ცკ-ი მიუთითებდა, რომ „ამ დადგენილე-
ბის შესრულებამ 1931 წლის დამლევიათვის უნდა უზრუნველყოს პარტიული
უჭრედების ან კანდიდატთა ჯგუფების შექმნა ყველა მსხვილ კოლმეურნეო-
ბაში“².

1931 წლის I კვარტალში პარტიაში მიღების შედეგებზე სპეციალურად
იმაჯელა საქ. კპ (ბ) ცკ-ის სამდივნომ, რომელმაც 1931 წლის 26 აპრილს მი-
იღო დადგენილება „1931 წლის პირველ კვარტალში პარტიაში მიღების შე-
დეგები“. ამ დადგენილებაში ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა სოფლის
პარტიულ ორგანიზაციებში კოლმეურნეთა მიღების ზრდა 5,8%-იდან 16,9%-
მდე. მარტო 1931 წლის I კვარტალში პარტიის რიგებს შეემატა 1200-ზე მე-
ტი გლეხი, ნაცვლად 1930 წლის IV კვარტალის 393-ისა, კოლმეურნეთა ასეთი
ტემპით პარტიაში მიღებამ მთელი რიგი რაიონების — ამბროლაურის, გარე
კახეთის, მარტვილის, ონის, ჩოხატაურის და სხვათა მიერ გამოიწვია ცკ-ის
დადგენილებით გათვალისწინებული პროლეტარული ფენის გაძლიერების დარ-
ღვევა. I კვარტალში მიღებული წარმოების მუშების, სასოფლო-სამეურნეო
მუშებისა და მოჭამაგირეების ხვედრითი წონის შემცირება 90%-იდან 64,3%-
მდე, 1930 წლის IV კვარტალთან შედარებით.³ ამიტომ ცკ-ის მიერ დაწესებულ
იქნა ცალკეული რაიონისათვის სამრეწველო მუშების, სასოფლო-სამეურ-
ნეო მუშების და მოჭამაგირეების პროცენტული შემადგენლობის გეგმები.
ცკ-ის ამ გადაწყვეტილებათა საფუძველზე II კვარტალში პარტიის კანდიდატად
მიღებულ იქნა 1040 გლეხი, ანუ 25,8%.⁴ ე. ი. 5,3%-ით ნაკლები, ვიდრე I
კვარტალში. იმავე პერიოდში წარმოების მუშათა და მოჭამაგირეთა მიღება გა-
იზარდა 6,2%-ით.⁵ მიუხედავად ამისა, მაინც მთლიანად ვერ შესრულდა ცკ-ის
მიუთითება პარტიაში მუშათა კადრების მიღებაზე. ამიტომ 1931 წლის 6 ივნისს
ცკ-ის სამდივნომ, რომელმაც განიხილა პარტიის ზრდის შედეგები და მიიღო
დადგენილება „პარტიის ზრდის შესახებ 1931 წლის აპრილსა და მაისის განმავ-
ლობაში“, კვლავ ხაზი გაუსვა მთელი რიგი რაიონების — აფხაზეთის, ზესტა-
ფონის, ტყიბულისა და სხვათა მიერ პარტიაში მუშების, სასოფლო-სამეურნეო

1 პარტმეშაკის ცნობარი, ნაწ. I, 1931, გვ. 176—177.
2 იქვე, გვ. 178.
3 იქვე, გვ. 180—181.
4 მლისფა, ფ. 14, აღწ. I, საქმე 4034, ფურც. 26.
5 იქვე.

მუშებისა და მოჯამაგირეების მიღების არაღამაქმაცოფილებელ მდგომარეობას¹.

ცკ-ის აღნიშნულ დადგენილებათა განხორციელებისათვის თურქეთში თარებაში ხდებოდა პარტიის რიგების რეგულირება. III კვარტალში მდგომარეობა ტად მიღებულთა შორის იყვნენ მუშები და მოჯამაგირეები 68,4% და გლეხები 24,7%.² ამრიგად, საქ. კვ. (ბ) ცკ-ის უშუალო ხელმძღვანელობით პარტიის ზრდის მოწესრიგება აღინიშნა უმთავრესად პროლეტარული ბირთვის განმტკიცებით. 1931 წლის სამ კვარტალში პარტიის წევრად მიღებულ გლეხთა რაოდენობა თანდათან შემცირდა — 31,1; 25,8, 24,7%-მდე, ხოლო საქმიანობით გლეხის შემადგენლობა 1931 წლის ივლისის 21,5%-დან 21,4%-მდე, მუშებისა კი გაიზარდა 43,4%-დან 45,6%-მდე.³

სოფლის პარტიულ ორგანიზაციებში კანდიდატად მიღებულთა შორის 1931 წლის II კვარტალში სასოფლო-სამეურნეო მუშა და მოჯამაგირე ქალები იყვნენ 7,9%. კოლმეურნეები — 20,8%, ერთბიროვნული მეურნეები — 13,6%, ხოლო III კვარტალში შესაბამისად 7,2; 18,2; 16,9%.⁴

9 თვის განმავლობაში სოფლის პარტიულ ორგანიზაციების მიერ კანდიდატად მიღებულთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის კომკავშირის წევრებს, რომელთა პროცენტული შემადგენლობა ასეთ სურათს იძლეოდა:⁵

	II კვარტ.	III კვარტ.
სასოფლო-სამეურნეო მუშები და მოჯამაგირეები	33,5	32,5
კოლმეურნეები	41,4	39,6
ერთბიროვნული მეურნეები	25,8	27,7

ასეთი მონაცემები წარმოადგენდა საქ. კვ. (ბ) ცკ-ის დადგენილების კარგ რეალიზაციას პარტიაში კომკავშირის საუკეთესო კადრების ჩაბმის შესახებ. ამავე დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნა პარტიაში მისაღებ გლეხთა მიმართ. მართლაც, 1931 წელს პარტიაში მიღებაზე საერთო მსურველთა შორის გლეხთა განცხადება შეადგენდა 42 %-ს. აქედან კოლმეურნეებისა იყო 33,2%. პარტიაში მიღებაზე უარი ეთქვა განმცხადებელ გლეხთა საერთო რიცხვის 55 %-ს და კოლმეურნეთა 35 %-ს.⁶

1931 წლის განმავლობაში პარტიის რიგებში მიღებული 4143 გლეხიდან, ანუ მიღებულთა 25,2%-დან, კოლმეურნე იყო 3908.⁷ პარტიის რიგების ზრდის მოწესრიგებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქ. კვ. (ბ) ცკ-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებას, რომელმაც გადიდებულ ამოცანები დააბნა საქართველოს კომუნისტური პარტიის წინაშე და მოითხოვა სასოფლო-სამეურნეო მუშების, მოჯამაგირეებისა და მოწინავე კოლმეურნეების მიღების შემდგომი გაძლიერება.⁸

¹ პარტმუშაკის ცნობარი, ნაწ. I, 1931, გვ. 184.

² მღისთა, ფ. 14, აღწ. I, საქმე 4034, ფურც. 28.

³ იქვე, ფურც. 26.

⁴ იქვე, ფურც. 38.

⁵ იქვე, ფურც. 39.

⁶ იქვე, ფურც. 36.

⁷ იქვე, საქმე 4646, ფურც. 39.

⁸ ვახ. „კომუნისტი“, 4 ნოემბერი, 1931 წ. № 255.



1931 წელს სოფლის პარტიული ორგანიზაციების შემადგენლობის მოწყობის საქმეში გაწეული მუშაობა შეჯამებულ იქნა საქ. კ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1932 წლის 29 მარტის დადგენილებაში „საქართველოს პარტიის (ბოლშევიკების) ზრდის შესახებ 1931 წელს“.

დადგენილებაში აღნიშნა მოწინავე მუშების, სოფლის მეურნეობის მუშების, მოჯამაგირეებისა და კოლმეურნეთა ხარჯზე 1931 წელს პარტიის რიგების ზრდაში მოპოვებული წარმატებები, რის შედეგად კომუნისტთა რიცხვი 1930 წელთან შედარებით გაიზარდა 2,5-ჯერ, ხოლო 1929 წელთან შედარებით 6-ჯერ. ცენტრალურმა კომიტეტმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი სოფლის პარტიული ორგანიზაციების ზრდას, სადაც მთელი შემადგენლობის 60%-ზე მეტი ძირითადად მიღებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო მუშები, მოჯამაგირეები და კოლმეურნეები. მიუხედავად ამისა, ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ პარტიაში მიღებული კოლმეურნეებიდან რიგითი კოლმეურნეები ჯერ კიდევ არ ქარბობდა 64,8%-ს¹.

1932 წლის დასაწყისისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა რეგიონში მუშაობდა 58 პარტიული კომიტეტი, 906 პარტიული უჯრედი და 144 საკანდიდატო ჯგუფი. ამავე პერიოდისათვის საქართველოს კ (ბ) რიგებში ირიცხებოდა 51582 კომუნისტი. აქედან პარტიის წევრი 31634 (61,3%) და 19948 პარტიის წევრობის კანდიდატი (38,7%)². მათ შორის სოციალური მდგომარეობით მუშები იყვნენ — 58%, გლეხები — 26,9%, მოსამსახურეები და სხვები 15,1%. უშუალო წარმოებაში ჩაბმული იყო მუშათა 43,7% და გლეხთა 20,4%. 1932 წლის I კვარტალში პარტიის რიგებში მიღებულ იქნა 977 გლეხი. მათ შორის 909 კოლმეურნე³, პარტიის რიგებში მიღებულ კოლმეურნეთაგან ქალები იყვნენ 15%, კომკავშირელები — 32,1%; პოლიტიკური ცოდნის სკოლა დამთავრებული ჰქონდა 53,7%, საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმული იყო 30,7%, სოციალისტურ შეჯიბრებაში—72,1%⁴, მაშინ როცა საბჭოთა კავშირში მიღებული 60273 კოლმეურნედან ქალი იყო 16,3%, კომკავშირელი — 14,7%, პოლიტგანათლების სკოლადამთავრებული — 34,8%, საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილე — 54,5%, სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული—51%⁴. ამრიგად, პარტიის რიგებში მიღებულ კოლმეურნეთაგან 1932 წლის I კვარტალში საქართველოში მიღებულ იქნა ქალები 1,3%-ით ნაკლები, ვიდრე საბჭოთა კავშირში და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმული 23,8%-ით ნაკლები. სამაგიეროდ, საქ. კ (ბ) რიგებში მიღებული კოლმეურნეები საბჭოთა კავშირში მიღებულ კოლმეურნეთა შემადგენლობას ქარბობდა 1,7%-ით, პოლიტსკოლა დამთავრებული ჰქონდა 18,9%-ით მეტს და სოცვეჯიბრებაში ჩაბმული იყო 21,1%-ით მეტი, რაც ამ მიმართებით საქართველოს კ (ბ) მიერ გაწეული დიდი მუშაობის ნათელი დადასტურებაა.

¹ პარტმუშაკის ცნობარი, ტფილისი, 1932, გვ. 58—59.

² მლისუბა, ფ. 14, აღწ. I, საქმე 4377, ფურც. 14—15.

³ იქვე, საქმე 4646, ფურც. 39.

⁴ უერ. «Партийное строительство», 1932, № 15, გვ. 52.



საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) რიგებში მყოფ გლეხთაგან 1932 წლის I კვარტალში კოლმეურნე იყო 18,1%, ერთპიროვნული გლეხური სასოფლო-სამეურნეო მუშები და მოჯამაგირეები 4,4%.¹ ასე, რბიზსა და სხვა ცუ-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებისა და საქართველოს კ (ბ) VII და VIII ყრილობების გადაწყვეტილებათა საფუძველზე სოფლის პარტიული ორგანიზაციების ძირეული შექმნა მოხდა სასოფლო-სამეურნეო მუშებით, მოჯამაგირეებით, კოლმეურნე და აქტივისტი ერთპიროვნული გლეხებით. მართლაც, ეს ძირითადი შემადგენლობა სოფლის პარტიული ორგანიზაციებში უდრიდა 12735 კაცს, ანუ 24,9%-ს.

მიუხედავად პარტიის რიგების ზრდის საქმეში მოპოვებული წარმატებებისა, ჯერ კიდევ არ იყო მოგვარებული კანდიდატობიდან წვერად მიღების საკითხი. ამ მომენტზე ურადლება გაამახვილა საქ. კ (ბ) ცუ-ის სამდივნომ 1932 წლის 29 მარტის დადგენილებაში „საქ. კ (ბ) ცუ-ის რიგების ზრდის შესახებ 1931 წელს“ და წინადადება მიეცათ აფხაზეთის, ალბულალ-მანგლისის, ახალქალაქის, ბაშკიჩეთის, გარე კახეთის, ვორის, გურჯაანის, ქუთაისის, ლაგოდეხის, სიღნაღის, თელავის, ტყიბულის, ხევისა და სხვა რაიონების პარტიულ ორგანიზაციებს, სადაც შედარებით სუსტი იყო მუშაობა პარტიის კანდიდატობიდან წვერებად მიღების საქმეში, რამაც გამოიწვია კანდიდატების რიცხვის გადამეტება წვერებზე. შემდგომ გაეძლიერებინათ მუშაობა მათ წვერებად მიღებაზე, მაგრამ დაეცათ ხარისხობრივი შერჩევის პრინციპი.² რა თქმა უნდა, ეს საპასუხიმგებლო საქმე არ უნდა განხორციელებულიყო პარტიის წვერად მისაღებად მოთხოვნების შესუსტებით, არამედ, პირიქით, ამ მუშაობით უნდა დაერწმუნებინათ ყველა, რომ ვინც არ ღებულობდა სოციალისტურ მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას, მას არ შეეძლო და არც ჰქონდა უფლება ყოფილიყო ლენინური პარტიის წევრი.

ზემოთ აღნიშნული დადგენილების შესაბამისად საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურმა კომიტეტმა, ხაზი გაუსვა პარტიული ორგანიზაციების მიერ პარტიის ზრდისა და რეგულირების საქმეში მიღწეულ წარმატებებს, რაც გამოიხატა სოციალური მდგომარეობით მუშებისა და გლეხების შემადგენლობის გადიდებაში 84%-დან 85,3%-მდე, ქალების შემადგენლობის ზრდაში 8%-დან 9,3%-მდე, კომუნისტთა აქტივისტი პარტიული სწავლების გაუმჯობესებისა და კოლმეურნე აქტივისტთა პარტიაში მიღებაში. მიუხედავად ამისა, ცუ-ის სამდივნომ მიუთითა, რომ საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა მაინც ვერ შეძლეს 29 მარტის დადგენილების მთლიანი რეალიზაცია პარტიის რიგების ზრდისა და რეგულირების საქმეში.³

¹ ტურნ. «Партийное строительство», 1932, № 9, გვ. 50—51.

² პარტმუშაის ცნობარი, ტფილისი, 1932, გვ. 62.

³ მლისფა, ფ. 14, აღწ. 1, საქმე 4377, ფურც. 4.



საქართველოს კ(ბ) ცკ-ის ამ მითითების საფუძველზე მძლავრი მუშაობა გაიშალა საქართველოს ძირეულ პარტიულ ორგანიზაციებში, რიკვენიტი კვარტალში მიღებული 2844 კანდიდატიდან დაზგის მუშები და მუშაკნი იყვნენ 77,9% (10,9%-ით მეტი, ვიდრე I კვარტალში). გლეხები 557 კაცი, ანუ 19,6% (10,1%-ით ნაკლები, ვიდრე I კვარტალში).¹ მათ შორის კოლმეურნე იყო 500, ე. ი. პარტიაში მიღებულთა საერთო რიცხვის 17,6%,² ხოლო მიღებულ გლეხთა 93,1%.

1932 წლის პირველი ივლისისათვის საქართველოს კ(ბ) რიგებში ირიცხებოდა 15187 გლეხი, ანუ მთელი შემადგენლობის 27,6%. ანუ რომ ნახევარი წლის განმავლობაში გლეხების რიცხვი გაიზარდა 0,7%-ით. გაუჭობესდა კომუნისტების შემადგენლობა მათი საქმიანობის მიხედვითაც. 10993 გლეხიდან, მთელი შემადგენლობის 20%-იდან, კოლმეურნე იყო 9888 ანუ 18%. ნახევარი წლის განმავლობაში პარტიაში მიღებული 1536 გლეხიდან (25%) კოლმეურნე იყო 1409 (22,9%). მართალია, 1931 წლის პირველ ნახევარში მიღებულ იქნა 2299 გლეხი (28,4%), აქედან 2077 კოლმეურნე (25,7%).³ ე. ი. 1932 წლის ამავე პერიოდთან შედარებით 3,4%-ით მეტი გლეხი და 2,8%-ით მეტი კოლმეურნე, მაგრამ ეს არ მომხდარა შემთხვევით, რადგან ყურადღება გამახვილდა პარტიის ხარისხობრივ შემადგენლობაზე. მართლაც, თუ 1931 წლის პირველ ნახევარში მიღებულ 2299 გლეხიდან (100%) კოლმეურნეები 61,5%-ს შეადგენდა, 1932 წელს მიღებულ 1536 (100%) გლეხიდან კოლმეურნე იყო 91,6%.

პარტიის რიგებში მიღებულთა საერთო შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ქალთა, განსაკუთრებით კოლმეურნე ქალთა, მიღებას. თუ 1932 წლის I იანვრისათვის გლეხი ქალები პარტიაში მყოფ ქალთა 27,7 პროცენტს შეადგენენ, I აპრილისათვის—26,7 პროცენტს და I ივლისისათვის 26,4 პროცენტს. აღნიშნული პერიოდისათვის პარტიაში მყოფ გლეხ ქალთა შემადგენლობაში კოლმეურნეობაში მომუშავე ქალებზე მოდიოდა 36,8 პროცენტი, 38,7 პროცენტი და 39,6 პროცენტი.⁴ ამრიგად, სოფლად გაშლილი სოციალისტური მშენებლობის შესაბამისად, პარტიის რიგების რეგულირება ხდებოდა უშუალოდ წარმოებასთან დაკავშირებული კადრების ბაზაზე. განსაკუთრებით ყურადღება გამახვილდა პარტიაში მიღებულთა ხარისხობრივ შემადგენლობაზე.

1932 წლის I ივლისისათვის საქართველოში ითვლებოდა სულ 2399 პარტიული უკრედი და საკანდიდატო ჯგუფი, სადაც გაერთიანებული იყო 54973 კომუნისტი, რომელთა შემადგენლობის 37,9 პროცენტი იყო კანდიდატი. კომუნისტთა ამ შემადგენლობაში სოციალური წარმოშობით მუშა იყო — 58,9%, გლეხი—27,6%, ქალი—9,8%. უშუალო საქმიანობით მუშა — 44%. კოლმეურნე გლეხი—18%, ერთპიროვნული მეურნე გლეხი—2,9 პროცენტი.⁵

¹ მლსფშა, ფ. 14, აღწ. I, საქმე 4377, ფურც. 15.

² იქვე, საქმე 4646, ფურც. 39.

³ იქვე, ფურც. 38—39.

⁴ იქვე, ფურც. 41.

⁵ ეტრნ. «Партийное строительство», 1932, № 21, გვ. 48.



1932 წლის 4 ნოემბერს საქ. კპ (ბ) ცკ-ის სამდივნომ აღნიშნა, რომ 9 თვის განმავლობაში პარტიას შეემატა 7000 მუშა და კარგად მუშაობდა, ხოლო მესამე კვარტალში 2500, რომელთაგან დაამკვრელთა ცილისტური შეჭიბრების მონაწილე იყო 86,9 პროცენტი, მიუხედავად ამისა, ცკ-მა კვლავ გააფრთხილა პარტიის რაიკომები გაეძლიერებინათ დაამკვრელ კოლმეურნეთა პარტიაში მიღება, აემალღებინათ ახალმიღებულთა ხარისხობრივი შემადგენლობა. წინადადება მიეცა ცკ-ის საორგანიზაციო განყოფილებას, განსაკუთრებით გაეძლიერებინა პარტიაში მიღება მცირერიცხოვანი რაიპარტორგანიზაციებიდან (ჩხოროწყუ, ბლდადი, ჩოხატაური, ბაშკინეთი, ბორჩალო, ლუქსემბურგი, ვანი და ა. შ.), აჭარისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტებს კი წინადადება მიეცათ გაეძლიერებინათ პარტიაში აჭარელი და აფხაზი მუშებისა და კოლმეურნეების მიღება.¹

1932 წლის 19 ნოემბერს კი საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ შეისწავლა პარტიის რიგების ზრდისა და რეგულირების საკითხი ბორჯომის რაიონში და ხაზი გაუსვა პარტიის რიგების სისუსტეს სოფლად, ორგანიზაციაში იყო 48 კოლმეურნე და 13 ერთპიროვნული მეურნე, ხოლო მოსამსახურეებიანად სოფლისა და საკოლმეურნეო უჯრედებში სულ 93 კაცი. ცენტრალურმა კომიტეტმა რაიკომს მიუთითა პარტიაში მუშების ჩაბმის ტემპთან ერთად გაეძლიერებინა კოლმეურნეობების შემდგომი განმტკიცება და საკოლმეურნეო პარტიული უჯრედების გარდაქმნა.²

1932 წლის 8 თებერვალს ასეთივე მითითება მიცემულ იქნა ქუთაისის რაიკომის მიმართაც, სადაც აღნიშნული იყო პარტიის სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესების აუცილებლობა და უპარტიო კოლმეურნე და მუშათა აქტივთან მასიურ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერება. კოლმეურნეობებში უნდა მოეგვარებინათ ძირეულ საწარმოო სამუშაოებზე კომუნისტების გადაყვანა. შემდგომ გაეძლიერებინათ აღმზრდელი მუშაობა პარტიის კანდიდატებთან, ჩაებათ ისინი პრაქტიკულ სამუშაოზე, შეესწავლათ მათი პირადი თვისებები, აემალღებინათ მათი აქტივობა შინაპარტიულ ცხოვრებაში, უზრუნველყოთ მათი ავანგარდული როლი წარმოებაში.³

ასე ყოველმხრივ განიხილავდა საქ. კპ(ბ) ცკ-ი რაიონების მიხედვით პარტიის რიგების ზრდისა და რეგულირების საქმეს.

ასეთი ენერგიული და თავდადებული შრომის შედეგად 1932 წლის ბოლოსა და 1933 წლის იანვრისათვის მნიშვნელოვნად ამაღლდა სოფლის პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, შეივსო ისინი უმუშაოდ წარმოებაში ჩაბმული ახალი კადრებით. პარტიული მუშაობის ხარისხის ამაღლებამ ხელი შეუწყო საკოლმეურნეო მოძრაობის განმტკიცებას, მასში კომუნისტების აქტივობის გაძლიერებას და საკოლმეურნეო და სასოფლო უჯრედების ქსელის

1 შლისტა, ფ. 14, აღწ. 1, საქმე 4625, ფურც. 18.
 2 იქვე, საქმე 4377, ფურც. 17.
 3 იქვე, ფურც. 22.



გაფართოებას. მართლაც, 1932 წლის ბოლოსა და 1933 წლის იანვრის მონაცემებით, საქართველოს საკოლმეურნეო და სასოფლო უჯრედების რაოდენობა მათში ჩაბმულ კომუნისტთა რიცხვი ასეთი იყო: ამ დროისათვის 3379 კოლექტიურ მეურნეობასთან არსებობდა 637 პარტიული უჯრედი და საკანდიდატო ჯგუფი, სადაც გაერთიანებული იყო პარტიის 5617 წევრი და 3484 კანდიდატი. საშუალოდ თითო უჯრედზე მოდიოდა 13,9 კომუნისტი, ხოლო თითო კოლმეურნეობაზე 2,6 კომუნისტი. სასოფლო პარტიული უჯრედები და საკანდიდატო ჯგუფები შეადგენდა 422-ს, მათში ჩაბმული პარტიის წევრები— 3230-ს, კანდიდატები— 2270. სულ საკოლმეურნეო და სასოფლო პარტიული უჯრედები და საკანდიდატო ჯგუფები შეადგენდა 1059-ს, მათში გაერთიანებული იყო პარტიის 8847 წევრი და 5754 პარტიის წევრობის კანდიდატი.¹

საქართველოს სოფლის პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებისა და მათი რიგების რეგულირების საქმეში დიდი როლი ითამაშა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ანგარიშგება-არჩევნებმა. ამ საქმის უზრუნველსაყოფად საქ. კპ (მ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1931 წლის 15 თებერვალს გამოიტანა დადგენილება „ძირეული პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კამპანია დაუკავშირდეს უჯრედების მუშაობის გარდაქმნას და სოფლის უჯრედების რეორგანიზაციას საწარმოო პრინციპის მიხედვით (უჯრედები კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, მტკებში).“² ამ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანიის სათანადო დონეზე ჩასატარებლად ცენტრალურმა კომიტეტმა დაუშვა სპეციალური ცირკულარი, რომლითაც ავალდებულვდა ქვედა პარტიულ ორგანიზაციებს მომზადებულად ჩატარებინათ ეს კამპანია.³ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მთელი ყურადღება უნდა გადაეტანათ სოციალისტური მშენებლობის ამოცანების შესაბამისად პარტიული მასის მობილიზაციაზე, დარაზნულოყენენ საწარმოო-საფინანსო გეგმების შესასრულებლად, წარმატებით მოეწყით საგანაფხულო სამუშაოები, მოეხდინათ პარტიის რიგების მოწესრიგება.

საანგარიშო კამპანია გათვალისწინებული იყო 15 თებერვლიდან 1 აპრილამდე. არჩევნების დაწყებამდე ცკ-მა მობილიზება უყო და მიამაგრა რაიონებზე 17 პასუხისმგებელი მუშაკი, თბილისში მოიწვია აქტივის თათბირი, რაიონში მიმავრებულ მუშაკებს დაავალა ინსტრუქტაჟის ჩატარება ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებისათვის. ასევე მობილიზება უყვეს მუშაკებს საოლქო კომიტეტებმაც, რათა უშუალოდ მიეღოთ მონაწილეობა უჯრედების მუშაობაში.⁴

საქ. კპ(მ) ცენტრალური კომიტეტი პერიოდულად განიხილავდა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის მდგომარეობას. 1931 წლის 8 მარტს ცკ-ის სამდივნომ მიიღო დადგენილება „ქვედა პარტორგანოების საანგარიშო

1 მლისფა, ტ. 14, აღწ. 1, საქმე 4633, ფურც. 2—53.
 2 პარტმუშაკის ცნობარი, ნაწ. 1, ტფილისი, 1931, გვ. 193.
 3 იხ. ა. ესაკია, დსახ. ნაშრომი, გვ. 458.
 4 მლისფა, ტ. 14, აღწ. 1, საქმე 4080, ფურც. 28.

საგადასარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ სოფლად საეკარისი ყურადღება არ ექცეოდა თვითმემოწმებითი მემორია ორგანიზაციას, არ ზღებოდა პარტიული მემოიბის ორგანიზაციული ვარდკენისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება, ცალკეულ უჯრედებში მსხვერპლნი წევრები სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწყედნენ ოპორტუნისტულ მსხვერპლს და ღომებს. ამ საქმეში განსაკუთრებული ჩამორჩენისათვის საშუაოდან მოხსნა და ცკ-ის განკარგულებაში გაიწვია მცხეთის რაიპარტკომის მდივანი ფანტულია.¹ სისტემატური კონტროლი საშუალებას იძლეოდა ძირეულ ორგანიზაციებს წარმატებით ჩაეტარებინათ ეს საპასუხისმგებლო კამპანია. ამას განსაკუთრებით შეუწყო ხელი წინასაარჩევნო მუშაობის მომზადებულად ჩატარებამ. მასობრივ კრებებზე განიხილავდნენ საქ კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წერბლს ძირეული პარტიული ორგანიზაციების არჩევნების შესახებ, სადაც აქტიურად მონაწილეობდნენ კომუნისტები და უპარტიო მასა.

საქართველოს სოფლის 467 პარტიული ორგანიზაციის მონაცემებით, სადაც ირიცხებოდა 7252 კომუნისტი, ცკ-ის და ა/კ-ის სამხარეო კომიტეტის წერილის განხილვაში მონაწილეობა მიიღო 29787 კაცმა, მათ შორის 6097 კომუნისტმა, 7458 კომკავშირელმა, 1284 უპარტიო მუშამ, 14124 უპარტიო გლეხმა, 824 სხვადასხვა სპეციალისტმა. მათ შორის კამათში მონაწილეობდა 1903 კომუნისტი, 1236 კომკავშირელი, 104 უპარტიო მუშა, 834 უპარტიო გლეხი, 78 სხვადასხვა სპეციალისტი, სულ 4155 კაცი. კრებაზე შეტანილ იქნა 5097 ზეპირი და 1121 წერილობითი შეკითხვა.² ასეთმა აქტივობამ და ზემდგომ პარტიული ორგანოების უნარიანმა ხელმძღვანელობამ ხელი შეუწყო საარჩევნო კამპანიის წარმატებით ჩატარებას. საქ კპ(ბ) ცკ-ის სამდივნოს 1931 წლის 3 მაისის დადგენილებაში „ძირეული პარტორგანოების საანგარიშო-საგადასარჩევნო კამპანიის შედეგები“ აღინიშნა, რომ „პარტია იმ პერიოდში, როცა ქვედა პარტორგანოების საანგარიშო-საგადასარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა, პარტიის, საოლქო კომიტეტის წერილის დამუშავების შედეგად ხუთი ათასზე მეტმა მუშამ და კოლმეურნემ შეიტანა განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ, 4 ათასზე მეტი მუშა შევიდა დამკვრელთა რიგებში, 47 ათასზე მეტი ღარიბი და საშუალო მეურნეობა შევიდა კოლმეურნეობებში.“³

საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის შედეგად მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა სოფლად პარტიული ბიუროებისა და მდივნების შემადგენლობაში: საკოლმეურნეო უჯრედების ბიუროთა შემადგენლობა განახლდა 57,7%-ით, ბიუროებში არჩეულთა 13,5% მუშები იყვნენ და 74,5% საკოლმეურნეო შრომაში ჩაბმული კოლმეურნეები; სოფლის უჯრედების ბიუროები განახლდა 57,4%-ით, ამ შემადგენლობაში 16,6%-ს მუშები შეადგენდნენ, 62,4%-ს სოფლის მეურნეობაში მომუშავე გლეხები, მათ შორის კოლმეურნეები — 67,9%-ს.⁴ ამასთან ერთად, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა სოფლად პარტიული ორგანი-

¹ პარტმუშაკის ცნობარი, ნაწ. I, ტფ. 1931 წ., გვ. 195.

² მლისტა, ფ. 14, აღწ. I, საქმე 4080, ფურც. 46.

³ „პარტმუშაკის ცნობარი“, ნაწ. I, ტფ. 1931, გვ. 197.

⁴ გაზ. „კომუნისტი“, 7 მაისი, 1931, წ. № 103.



ზაციების მდივნების შემადგენლობაში. საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებში მდივნები განახლდა 72,5%-ით. მუშების ხვედრითი წონა მდივნებს შორის ავიდა 14,2%-მდე, კოლექტიურ მეურნეობაში მომუშავე კოლმეურნეობებში — 59,1%-მდე; სოფლის უჯრედების მდივნების შემადგენლობაში — 61,8%-ით. მუშების ხვედრითა წონამ მათში შეადგინა 23,5 პროცენტი, სოფლის მეურნეობაში მომუშავე გლეხობამ — 51,9%, მათგან კოლმეურნეობა — 37,4 პროცენტი.¹

საანგარიშო-საარჩევნო კრებები სოფლის პარტიულ ორგანიზაციებში ისევე გეგმიანად და ორგანიზებულად ჩატარდა 1931 წლის დეკემბერსა და 1932 წლის იანვარში. ცალკეულმა რაიონებმა დიდი მუშაობა გაწიეს ამ საქმის უზრუნველსაყოფად. აღმავლობით ჩაატარეს წინასწარი მუშაობა აკ-ის სამხარეო კომიტეტისა და საქ. კპ (ბ) ცკ-ის დადგენილებათა დამუშავებაში ძირეული ორგანიზაციების გადარჩევნების შესახებ. მარტო აბაშის, აღბულაღ-მანგლისის, დუშეთის, ქუთაისისა და სამხრეთ ოსეთის სოფლის პარტიული ორგანიზაციების ყველა სახის 127 უჯრედში, 1931 წლის 17 დეკემბრის მონაცემებით, სადაც 1976 კომუნისტი ირიცხებოდა, აკ-ის სამხარეო კომიტეტისა და საქ. კპ (ბ) ცკ-ის დადგენილებათა დამუშავებაში „ძირეული პარტორგანიზაციების გადარჩევნების შესახებ“, უპარტიოებთან ერთად მონაწილეობდა 6791 კაცი, მათ შორის 1711 კომუნისტი (ამ კამპანიას არ დასწრებია საპატიო მიზეზით 211 და არასაპატიო მიზეზით 54, სულ 265 კომუნისტი), 2329 ალყ წევრი, 3001 უპარტიო. წერილის განხილვის დროს კამათში მონაწილეობა მიიღო 1049 კაცმა. მათ შორის 470 კომუნისტმა, 282 ალყ წევრმა და 297 უპარტიომ. განხილვის დროს კრებაზე შემოვიდა 1306 ზეპირი და 164 წერილობითი შეკითხვა.² დიდი აქტივობის ვითარებაში მიმდინარეობდა უჯრედთა ბიუროების საანგარიშო მოხსენებების განხილვა. 1931 წლის დეკემბერში საქართველოს სამი რაიონის ლაგოდეხის, სტალინისისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მონაცემებით 103 საკოლმეურნეო, საბჭოთა მეურნეობის, მტს-ისა და სასოფლო უჯრედში, სადაც 1585 კომუნისტი ირიცხებოდა, უჯრედების ბიუროს საანგარიშო მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღო 3447 კაცმა, მათ შორის კომუნისტი იყო 1426 (კრებას ვერ დაესწრო 54 კომუნისტი საპატიო მიზეზით და 18 კომუნისტი არასაპატიო მიზეზით, სულ 72 კაცი, 4,5%, კომკავშირელი 1514, უპარტიო — 1507. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობდა 822 კაცი. მათ შორის 425 კომუნისტი, 213 კომკავშირელი და 184 უპარტიო.³

საანგარიშო კრებებზე აჯამებდნენ განვილილ მუშაობას, სახავდნენ ღონისძიებას მომავალი მუშაობისათვის. ცალკეული რაიონების პარტიული ხელმძღვანელები დიდი ყურადღებით ამოწმებდნენ საარჩევნო მუშაობას. ამ მიმართულებით სტალინისის რაიკომის მდივნის მოხსენებაში საქ. კპ(ბ) ცკ-სადმი აღნიშნული იყო, რომ რაიონის სოფლის უჯრედებში საარჩევნო კრებებში

1 ვაზ. „კომუნისტი“, 7 მაისი, 1931, წ. № 103.
 2 მლისფა, ფ. 14, აღწ. 1, საქმე 4017, ფურც. 2,6, 18, 29, 76.
 3 მლისფა, ფ. 14, აღწ. 1, საქმე 4503, ფურც. 307, 318, 324.

მონაწილეობდა კომუნისტთა 98,5%, განსაკუთრებით კარგი დასწრება ჰქონდათ სოფლებს: სურამის, ოსიურის, ფლევის, იტრიის, ცოცხარისა და სხვა უკრედეზში. კრების ყურადღების ცენტრში ყველგან იდგა საქ. კ(ბ) ც-ის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებათა განხორციელებისათვის საკითხები. მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ სოფლის უკრედეზში ბიუროს მიერ ეხებოდნენ და ამჟღავნებდნენ დამზადებისა და კოლექტივიზაციის საკითხებში დაშვებულ შეცდომებს (ლუდა, ზემო ხვედურეთი, ქვიშხეთი, ტუხერი), საერთოდ, საანგარიშო-საარჩევნო კამპანია ჩატარდა თვითკრიტიკის ფართოდ გაშლისა და ორ ფრონტზე გაძლიერებული ბრძოლის ნიშნის ქვეშ¹. ასეთსავე აქტივობის პირობებში მიმდინარეობდა ბიუროების საარჩევნო კამპანია ყველა რაიონში.

ამის მიზეზი იყო საქ. კ(ბ) ც-ის სისტემატური კონტროლი და მითითების მიცემა რაიონული და ძირეული პარტიული ორგანიზაციებისადმი.

საქ. კ(ბ) ც-ის სამდივნომ 1931 წლის 23 დეკემბერს ძირეულ პარტიულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის შესახებ აღნიშნა, რომ საქართველოს სოფლის პარტიულმა ორგანიზაციებმა ძირითადად უზრუნველყვეს საანგარიშო-საარჩევნო კამპანიისა და პარტიული მუშაობის საწარმოო პრინციპზე გარდაქმნის ამოცანების აღმავლობით ჩატარება. ამ საქმეში პარტიული, კომკავშირული და კოლმეურნე აქტივის ჩაბმა.²

პარტიული მუშაობის შემდგომი გაძლიერების, პარტიაში ახალი კადრების მიზიდვისა და შემადგენლობის ზრდის მოსაწესრიგებლად დადგენილებაში ნათქვამი იყო: საანგარიშო-საარჩევნო კამპანიისთან დაკავშირებით ყველა უკრედეზმა გაამახვილოს ყურადღება პარტიაში საუკეთესო დამკვერვლების, მუშების, კოლმეურნეებისა და სოფლის მოჯამაგირეების მიღების აუცილებლობაზე. ამ მიმართებით დაევალა გაზეთებს: „კომუნისტს“, „კოლექტივიზაცია“ და „მუშას“ გაეძლიერებინათ საანგარიშო-საარჩევნო კრების მიმდინარეობის ფაქტები ცალკეულ პარტიულ ორგანიზაციებსა და უკრედეზში.³

სოფლის პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კამპანია მიზნად ისახავდა საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებული შეცდომებისა და გადახვევების კრიტიკას, ბრძოლას მათი გამოსწორებისათვის, პარტიული მუშაობის დაყვანას ყოველ ბრიგადადღე, რგოლადღე — საწარმოო პრინციპზე პარტიული ორგანიზაციების აგების გზით. ამ საკითხებზე უკრედეზმა გაამახვილა საქ. კ(ბ) ც-ის ბიურომ 1932 წლის 2 თებერვლის დადგენილებაშიც „პარტიულ ორგანოების საანგარიშო-საგადარჩევნო კამპანიის შედეგების შესახებ“, სადაც აღინიშნა, რომ პარტიულ ორგანიზაციებს თავისი მუშაობის ცენტრში დაუყვანებინათ ყველა შეცდომის მხილება, აღეკვეთათ პრაქტიკაში მემარჯვენე გადახრის შემთხვევები, მეტი მუშაობა გაეშალათ დამზადების, სასოფლო-სამეურნეო კამპანიების, კოლმეურნეობათა განმტკიცების, ფულადი სახსრების მო-

¹ მლისფა, ფ. 14, აღწ. 1, საქმე 4065, ფ. 21, 22.

² მლისფა, ფ. 14, აღწ. 1, საქმე 4016, ფურც. 5.

³ იქვე, ფურც. 6.



ბილიზებისა და სხვა საქმეში; ამ მუშაობაში უარყოფით როლს ითამაშა სოფლის აქტივისტები, რისთვისაც უნდა ეხელმძღვანელათ კომუნისტური პარტიის ყრილობებისა და ცკ-ის გადაწყვეტილებებით.¹ რაიონული კომიტეტებისა და სოფლის პარტიულ ორგანიზაციების მუშაობის მნიშვნელოვნად გაფართოვდა სოფლის პარტიული ორგანიზაციებისა და კომუნისტების რიცხვი. 1932 წელს სოფლის უჯრედების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს მარტო 29 რაიონში აღრიცხული იყო 228 საკომუნისტურ უჯრედი — 4169 კომუნისტი. საბჭოთა მეურნეობის 45 უჯრედი — 835 კომუნისტი, მტს-ის 3 უჯრედი 92 კომუნისტით და 160 სასოფლო უჯრედი 2675 კომუნისტით.² თითოეულ საკომუნისტურ უჯრედზე საშუალოდ მოდიოდა 18,3 კომუნისტი, საბჭოთა მეურნეობის უჯრედზე — 18,5, მტს-ზე — 30,6, სასოფლოზე — 16,7 კომუნისტი. სულ 29 რაიონში იყო 436 პარტუჯრედი, სადაც გაერთიანებული იყო 7770 კომუნისტი და საშუალოდ ერთ უჯრედზე მოდიოდა 12,7 კომუნისტი.

ამრიგად, პარტიული მუშაობის გარდაქმნისა და პარტიის რიგების ზრდის სისტემატური რეგულირების შედეგად შესაძლებელი გახდა არა მარტო პარტიული მუშაობის გარდაქმნა, არამედ პარტიული უჯრედების გამსხვილება და მათი შემადგენლობის გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფდა სოფლად პარტიის საკომუნისტურ პოლიტიკის წარმატებით განხორციელებას.

БЛИАДЗЕ Е. А.

БОРЬБА КОММУНИСТИЧЕСКОЙ ПАРТИИ ГРУЗИИ ЗА РОСТ И РЕГУЛИРОВАНИЕ РЯДОВ ПАРТИИ В ДЕРЕВНЕ В ПЕРИОД КОЛХОЗНОГО СТРОИТЕЛЬСТВА (1930—1932 Г.Г.)

Резюме

Проведенная в 1929 году генеральная чистка партии выявила слабость сельских партийных организаций и ухудшение их качественного состава. После успешного завершения чистки рядов партии в порядке дня был поставлен вопрос о росте парторганизации в деревне и улучшении их качественного состава.

Центральный комитет КП (6) Грузии в соответствии с ленинскими требованиями о приеме в партию новых членов начал борьбу за рост и регулирование партийных рядов в деревне.

За первый квартал 1930 г. в ряды партии были приняты 14 земле-

¹ გაზ. „კომუნისტი“, 27 თებერვალი, 1932 წ. № 48.
² მლისტა, ფ. 14, აღწ. I, საქმე 4503, ფურც. 296—324.

дельцев и 73 батрака и сельскохозяйственных рабочих. В итоге борьбы за претворение в жизнь решений VII съезда КП(б) Грузии сельские партийные организации республики насчитывали 4392 членов и 3752 кандидатов в члены партии. В целях дальнейшего укрепления и повышения удельного веса пролетарского ядра партийных рядов в 1930 г. были установлены временные правила приема в партию.

ЦК КП(б) Грузии с одинаковой ответственностью относился, как к фактам увлечения в деле приема колхозников в ряды партии, так и фактам бездушного отношения к приему колхозников в партию. К январю 1931 года в составе КП(б) Грузии, по занятию, рабочие и батраки составляли 44,6%—ов, крестьяне же—20,1%. К первому апрелю же рабочие и батраки составляли 45,7%—ов, крестьяне—19,4%—а. За первый квартал 1931 г. из числа 1259 крестьян принятых в ряды КП(б) Грузии, что составляло 31,1%—ов и общему числу принятых, колхозники составляли 87,8%—ов. Среди принятых в ряды КП(б) Грузии 8,7%—ов составляли женщины — сельхозработчие и батрачки, 19,2% колхозницы, а крестьянки — единоличники 16,9%—ов.

Среди принятых в ряды КП(б) Грузии за тот-же период комсомольцы составляли 32,5%—а среди сельхозработчих и батраков, 31,8%—ов среди колхозников, 42,9% — из числа единоличников.

За 1931 год в ряды КП(б) Грузии из 4143 крестьян принятых в ряды партии колхозники составляли 3908 человек. Придерживаясь Ленинских принципов индивидуального отбора в партию за 1931 г. было отказано в приеме в партию 55% крестьянам подавших заявление о приеме в КП(б) Грузии и 35%—ам колхозникам.

В марте 1932 г. секретариат ЦК КП(б) Грузии подчеркнул, что в 1931 г. состав рядов партии увеличился по сравнению с 1930 годом в 2,5 раза и в 6 раз по сравнению с 1929 годом.

В первом квартале 1932 г. из числа крестьян — коммунистов 18,1% составляли коммунисты — колхозники, 2,4% крестьяне—единоличники и 4,4% сельскохозяйственные рабочие и батраки. Прием в партию крестьян осуществлялся с одновременным ростом и укреплением пролетарского ядра партии. Во втором квартале 1932 г. из числа принятых кандидатов в члены КП(б) Грузии 2844 человека, рабочие от станка и батраки составляли 77,9% (на 10,9% больше, чем в первом квартале), а крестьяне составляли 19,6%—ов (на 10,1% меньше, чем в первом квартале). Из числа принятых в партию крестьян 93,1% составляли колхозники.

Рост и регулирование рядов партии в деревне протекал на основе дальнейшего укрепления колхозного строя. В 1932 г. в 3379 колхозах Грузии были организованы 637 партячеек и кандидатских групп. Они объединяли 5617 членов партии и 3484 кандидата в члены партии. В среднем на каждую партячейку приходилось 10,9 коммунистов, а на каж-

дый колхоз в среднем 2,6 коммуниста. А территориальные сельские партиячейки объединяли 3230 членов партии и 2270 кандидатов в члены партии.

Центральный комитет КП (б) Грузии в 1932 г. успешно выполнил отчетно-выборными компаниями в деревенских партиячках. По данным в отношении 29 районах Грузии после проведения вышеназванной компании было учтено 223 колхозных партиячек с 4169 коммунистами, партиячейки в 45 совхозах с общим количеством коммунистов 835 человек, партиячейки 3-х МТС с количеством 92 коммунистов и 160 территориальных сельских партиячек объединяющих 2676 коммунистов.

В среднем на одну колхозную партиячку приходилось 18,3 коммуниста, на одну совхозную партиячку 18,5 коммуниста, на каждую в среднем партиячку МТС 30,6 коммуниста, а на каждую сельскую партиячку 16,7 коммуниста..

Коммунистическая партия Грузии представляла верную опору Ленинского ЦК нашей партии в успешной борьбе за чистоту рядов партии, роста и регулирования его состава.



დოც. პ. შიროტაძე

კოლმეურნეობათა ძირითადი საწარმოო ფონდები და მათი ეკონომიური ეფექტიანობის განსაზღვრის უმთავრესი მაჩვენებლები

კომუნისტური საზოგადოების აშენების ერთ-ერთ აუცილებელ ეკონომიურ პირობას, როგორც ამის შესახებ ხაზგასმით არის აღნიშნული სკკპ პროგრამაში და XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებში, მძლავრ სოციალისტურ მრეწველობასთან ერთად ყოველმხრივ განვითარებული და მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის შექმნა წარმოადგენს — „პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის განვითარებას. დასაბუთია ამოცანა გავაუმჯობესოთ მატერიალური წარმოების ეს უმნიშვნელოვანესი სფერო, რათა უფრო სრულად ვაკმაყოფილებდეთ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, ქიმიზაციის და ელექტროფიკაციის საფუძველზე უნდა გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, თანმიმდევრულად, თანდათანობით დაეუახლოვოთ სოფლის მეურნეობა ტექნიკურ აღჭურვილობითა და წარმოების ორგანიზაციით მრეწველობის დონეს“¹.

მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობის შექმნის ამოცანის განხორციელება შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო წარმოების, განსაკუთრებით საკოლმეურნეო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი სრულყოფისა და განმტკიცების საფუძველზე, რომლის მთავარ შემადგენელ ნაწილს ძირითადი საწარმოო ფონდები შეადგენენ.

სოციალისტური წარმოებისათვის, მ. შ. სოფლის მეურნეობისათვის, დამახასიათებელია წარმოების ძირითადი ფონდების ზრდის მაღალი ტემპები. საკმარისია აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის ძირითადი საწარმოო ფონდები (პირუტყვის ჩათვლით) შეადგენდა: 1949 წ.—12 მილიარდ მანეთს, 1950 წელს—14,0 მილიარდ მანეთს, ხოლო 1965 წ.—56,1 მილიარდ მანეთს, ე. ი.

¹ ლ. ი. ბრეჯევი—სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება სკკპ XXIII ყრილობას, 1966 წ., გვ. 66.



1965 წ. ძირითადი საწარმოო ფონდები 1940 წელთან შედარებით 4,5-ჯერ გაიზარდა¹.

გამომდინარე იქიდან, რომ კოლმეურნობათა ძირითადი საწარმოები დები, მიწასთან ერთად, საკოლმეურნეო წარმოების საფუძველს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ძირითადი ფონდების სოციალურ-ეკონომიური ბუნებისა და მათი ეკონომიური ეფექტურობის საკითხის შესწავლას.

აღნიშნულ საკითხებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს იმის გამოც, რომ სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე საკოლმეურნეო წყობას წამყვანი ადგილი უკავია სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში, რაზედაც ნათლად მეტყველებს კოლმეურნობათა ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციაში, აგრეთვე პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვაში. ასე, მაგალითად, ვ. გ. ვენკერის მონაცემებით სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციაში კოლმეურნობათა პროდუქციის ხვედრითი წონა საბჭოთა მეურნეობების სვედრით წონასთან შედარებით 2-ჯერ მეტია და 1958—1962 წწ. საშუალოდ 53,8% შეადგენდა².

1965 წ. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვაში კოლმეურნეობებზე მოდიოდა: მარცელულის — 63%, ნედლი ბამბის—80%, ხორცის—55%, რძის—59%.

სკკპ პროგრამაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ—„საკოლმეურნეო ფორმა სავსებით შეესაბამება სოფლად თანამედროვე საწარმოო ძალების განვითარების დონეს და მოთხოვნილებებს, შესაძლებლობას გვაძლევს ეფექტურად გამოვიყენოთ ახალი ტექნიკა და მეცნიერების მიღწევები, რაციონალურად გამოვიყენოთ შრომითი რესურსები“.

კოლმეურნობათა ძირითადი საწარმოო ფონდების ეკონომიური ეფექტიანობის შესწავლა შესაძლებლობას მოგვცემს გამოვავლინოთ გზები მათი ეფექტურობის ამაღლებისათვის და ამდენად დაეაჩქაროთ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა სიუხვის შექმნის პრობლემის გადაწყვეტა. მივალწიოთ მიწის ფართობის ერთეულზე უმცირესი მატერიალური და შრომითი დანახარჯებით პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვან გადიდებას. კოლმეურნობათა ძირითადი საწარმოო ფონდების ეკონომიური ეფექტურობის გადიდების ამოცანა მკიდროდ არის დაკავშირებული და გაპირობებული თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან. „ახალ ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, როგორც უმნიშვნელოვანეს სამეურნეო და პოლიტიკურ ამოცანას“³.

¹ Народное хозяйство СССР (стат. сборник). 1965 г.
² სკკპ პროგრამა, თბილისი, 1961 წ. გვ. 85.
³ ლ. ა. ბრევენევი—სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება სკკპ XXIII ყრილობას, თბილისი, 1966 წ. გვ. 67.



ძირითადი საწარმოო ფონდები სოციალისტური საზოგადოების სიმდიდრის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია მათი სრულყოფილი მიზნობრივი ეფექტურობის ამაღლება დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე. ამიტომ საწარმოო ფონდების ეფექტიან გამოყენებას პირველხარისხოვანი სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და ნამდვილ საყოველთაო-სახალხო საქმედ უნდა გახდეს. ვითვალისწინებთ, რა აღნიშნულ გარემოებას, შრომაში მოცემული კოლმეურნეობათა ძირითადი საწარმოო ფონდების დახასიათება, მათი წარმოქმნისა და ზრდის წყაროები და აგრეთვე, ეკონომიური ეფექტურობის განსაზღვრის ძირითადი მაჩვენებლები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის (1965 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ახალ ხუთწლეულში სოფლის მეურნეობის დარგში მთავარი ამოცანაა, ნათქვამია სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებში. მნიშვნელოვნად გააღვიძოთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, უზრუნველყვით მათი განვითარების მაღალი და მყარი ტემპები.

სოფლის მეურნეობის მთელი პროდუქციის საშუალო-წლიური მოცულობა ამ წლების მანძილზე წინა ხუთწლეულის საშუალო-წლიურ წარმოებასთან შედარებით 25% უნდა გაიზარდოს და ამის მეოხებით უზრუნველყვით მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება კვების პროდუქტებზე, ხოლო-მრეწველობისა—სოფლის მეურნეობის ნედლეულზე.

ამ ამოცანის განხორციელების აუცილებელ ეკონომიურ პირობას საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდა წარმოადგენს. მხოლოდ როგორც ცნობილია, სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს წარმოების მექანიზაცია, წარმოების ტექნიკური შეიარაღება წარმოადგენს. ეს უკანასკნელი კი უმთავრეს შემთხვევაში ძირითადი საწარმოო ფონდების სახით წარმოგვიდგება. ყოველ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციაში მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესი სამუშაო ძალისა და წარმოების საშუალებების ურთიერთშემოქმედების შედეგს წარმოადგენს წარმოების საშუალებათა დახმარებით, რომელშიც წამყვანი როლი წარმოების ძირითად საშუალებებს ეკუთვნის. ადამიანები ახორციელებენ აუცილებელ მატერიალური დოვლათის წარმოებას. მაგრამ წარმოებული დოვლათის რაოდენობა და ხარისხი გააირობებულა წარმოების საშუალებათა ტექნიკური დონით, პირველ რიგში შრომის იარაღებით. აძლევდა რა შრომის საშუალებებს უდიდეს როლს ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში, კ. მარქსი აღნიშნავდა—„ეკონომიურ ეპოქებს ერთმანეთისაგან განასხვავებს არა ის თუ რა იწარმოება, არამედ ის თუ როგორ, შრომის რა საშუალებებით იწარმოება. შრომის საშუალებანი არა მარტო საზომია ადამიანის სამუშაო ძალის განვითარებისა, არამედ მაჩვენებელიცაა იმ საზოგადოებრივი ურთიერთობისა, რომელშიც შრომა წარმოებს“¹.

სოციალისტურ საზოგადოებაში გამოყენებული შრომის საშუალებათა

¹ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, გვ. 230.



ერთობლიობა, ძირითადი საწარმოო ფონდების სახით, ახალ სოციალურ-ეკონომიურ ფორმასა და შინაარსს იღებს. ამასთანავე ეკონომიური თანამშრომლობა არ შეიძლება შრომის საშუალებებისა და ძირითადი საწარმოო ფონდების განაწილება გვეცხება. უფრო ფართო გაგებით შრომის საშუალებებს მიეკუთვნება ყველა აუცილებელი მატერიალური პირობანი, რათა საერთოდ შესაძლებელი იქნას წარმოების პროცესის განხორციელება. შრომის ასეთ საყოველთაო საშუალებას, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, მიწა წარმოადგენს (შრომის ასეთე საყოველთაო საშუალებაა: ჰაერი, წყალი, მზის ენერჯია და სხვა).

მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ შრომის ამ საყოველთაო საშუალებებს თავიანთი როლის შესრულება მხოლოდ შრომის სხვა საშუალებების, პირველ რიგში შრომის იარაღების, გამოყენების პირობებში შეუძლიათ, მაშინ ცხადია შრომის იარაღების წამყვანი როლი საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესში.

სოციალისტურ საწარმოთა, მ. შ. კოლმეურნეობათა, მატერიალური და ფულადი სახსრები მათ საწარმოო ფონდებს შეადგენენ. სოციალისტური საზოგადოების საწარმოო ფონდები კაპიტალისაგან განსხვავებით, რომელიც დაქირავებული მუშების შრომის ექსპლოატაციას გამოხატავს, წარმოადგენს საერთო-სახალხო, ან საკოლმეურნეო-კოოპერაციულ საკუთრებას და გამოიყენება მთელი საზოგადოების ინტერესებისათვის. სოციალისტურ საზოგადოებაში საწარმოო ფონდებს აქვთ ნატურალური და ფულადი ფორმა. ეს უკანასკნელი გაპირობებულია სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის აუცილებლობით.

ეკონომიური შინაარსით სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ფონდები წარმოების პროცესში მათი მონაწილეობისა და შექმნილ პროდუქტში ღირებულების გადაცემის თავისებურების მიხედვით იყოფა: ძირითად, საბრუნავ და მიმოქცევის ფონდებად.

ძირითადი ფონდები — წარმოებას მომსახურებას უწყევნ წარმოების რამდენიმე ციკლს განმავლობაში და ამასთანავე ამ პერიოდის მანძილზე ინარჩუნებენ თავიანთ ნატურალურ ფორმას. ძირითადი ფონდების ღირებულება წარმოებულ საქონლის ღირებულებაში გადაიტანება თანდათანობით, ნაწილ-ნაწილ. მათი ცვეთის ღირებულების შესაბამისად. ნატურალური ნივთიერები ფორმით საწარმოთა ძირითად ფონდებს მიეკუთვნება შრომის ყველა საშუალება. მაგრამ მხოლოდ შრომის ის საშუალებანი, რომლებიც ადამიანის წარსული შრომით არიან შექმნილი და აქვთ ღირებულება. სახელდობრ: საწარმოო შენობები, ნაგებობანი, მანქანები, ინსტრუმენტები, სატრანსპორტო საშუალებანი, მრავალწლიანი ნარგავები, მუშა და პროდუქტიული პირუტყვი, კულტსაყოფაცხოვრებო შენობები და სხვა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ძირითად ფონდებს აქვთ აგრეთვე ფულადი შეფასება, რომლის მიხედვითაც ისინი ირიცხებიან საწარმოთა ბალანსებში. თავისთავად ძირითადი ფონდები იყოფა ორ ნაწილად: საწარმოო დანიშნულების ძირითად ფონდებად და არასაწარმოო დანიშნულების ძირითად ფონდებად. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება კულტსაყოფაცხოვრებო დანიშნულების

შენობები, საავადმყოფოები და სხვა. ეს ძირითადი ფონდების ის ნაწილია, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ მატერიალური დოვლათის პროცესში, მაგრამ მათი არსებობა აუცილებელია, როგორც საერთო ფონდების ერთერთი აუცილებელი პირობა.

ძირითად საწარმოო ფონდებს, ღირებულების მიხედვით წამყვანი ადგილი უკავიათ სოციალისტურ საწარმოთა ძირითად საშუალებებში. ისინი შეადგენენ სოციალისტური საზოგადოების საწარმოო აპარატს (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ძირითად ნაწილს). ძირითადი საწარმოო ფონდების სისტემატურ განახლებასა და სრულყოფას, თანამედროვე მეცნიერულ ტექნიკურ პროგრესის გათვალისწინებით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდისა და ეკონომიისათვის.

საბრუნავი ფონდები — ეს საწარმოთა ფონდების ის ნაწილია, რომლებიც მთლიანად მონაწილეობენ წარმოების პროცესში (წარმოების ერთა პერიოდის განმავლობაში). ამასთან მათი ღირებულება მთლიანად შედის ახლად წარმოებული საქონლის ღირებულებაში და შეადგენს მის ნატურალურ-ნივთობრივ მხარეს. საწარმოთა საბრუნავ ფონდებს ეკუთვნის: ნედლეული მასალები, სათბობი, ნახევარფაბრიკატები და შრომის სხვა საგნები.

ძირითადი და საბრუნავი ფონდები შეადგენენ საზოგადოების საწარმოო ძალების ნივთობრივ ელემენტებს და წარმოადგენენ საზოგადოებრივი წარმოების მატერიალურ საფუძველს.

არსებული კლასიფიკაციის თანახმად ძირითად საწარმოო ფონდებს ნატურალურ-ნივთობრივი ფორმის მიხედვით მიეკუთვნება შრომის მრავალი სხვადასხვა საშუალებანი, სახელობრი: შენობები, ნაგებობანი, გადასცემი მოწყობილობანი ძალის მანქანები და მოწყობილობანი მუშა მექანიზმები და მოწყობილობანი, საზომი და მარეგულირებელი ხელაწყობები, სატრანსპორტო საშუალებანი, საწარმოო და სამეურნეო ინვენტარი, მუშა და პროდუქტიული პირუტყვი, ფრინველი, მრავალწლიანი ნარგავები და ქარსათფარი ზოლები. ძირითად ფონდებს არ მიეკუთვნება შრომის ის საშუალებანი, რომელთაც გამოყენების პერიოდი ერთ წელზე ნაკლებია, ხოლო მათი ღირებულება 50 მანეთს არ აღემატება. შრომის საშუალებებში, რომელთა მონაწილეობით მატერიალური დოვლათის წარმოება ხორციელდება წამყვანი როლი შრომის მექანიკურ იარაღებს მიეკუთვნება.

„თვით შრომის საშუალებებს შორის შრომის მექანიკური საშუალებანი, რომელთა ერთობლიობასაც შეიძლება ეწოდოს წარმოების ძეგლუნთოვანი სისტემა, აღნიშნავდა კ. მარქსი, ამა თუ იმ საზოგადოებრივი წარმოების ეპოქისათვის გაცილებით უფრო ძირითად დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენენ. ეიღერ შრომის ისეთი საშუალებანი, რომლებიც მხოლოდ შრომის საგნის შენახვას ემსახურებიან და რომელთა ერთობლიობასაც ზოგადად წარმოების სისხლძარღვოვანი სისტემა შეიძლება ეწოდოს, როგორცაა მაგალითად: მილები, კასრები, ქილები და სხვა მხოლოდ ქიმიურ წარმოებაში ასრულებენ ესენი განსაკუთრებულ მნიშვნელოვან როლს“.

1 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, გვ. 230—231.



წარმოების სფეროში არსებულ ფონდებს გარდა (ძირითადი და საბარონავი ფონდები) სოციალისტურ საწარმოებს აქვთ საშუალება მიმოქცევის სფეროში იმყოფებიან და მათ მიმოქცევის ფონდებს მიმოქცევის ფონდებს მიეკუთვნება სარეალიზაციოდ გამზადებული პროდუქცია და საწარმოთა ფულადი სახსრები, რომლებიც გამოიყენებიან ნედლეული-სა და სათბობის შესაძენად, ხელფასის გასაცემად და სხვა.

საზოგადოებრივ წარმოებაში ძირითადი საწარმოო ფონდების საერთომნიშვნელობასთან ერთად საჭიროა აღინიშნოს ის თავისებურებანი, რომლითაც ხასიათდებიან სოფლის მეურნეობის წარმოების ძირითადი ფონდები. ამ თავისებურებათა შესწავლა კოლმეურნეობათა ძირითადი ფონდების რაციონალური გამოყენებისა და ეკონომიური ეფექტიანობის გადიდების ერთერთი აუცილებელი პირობაა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურება, პირველყოლისა მდგომარეობს იმაში, რომ აქ კვლავწარმოების ეკონომიური პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული (გადახლართული) კვლავწარმოების ბუნებრივ პროცესთან. რაც გაპირობებულია იმით, რომ მრეწველობისაგან განსხვავებით, სოფლის მეურნეობაში მიწა წარმოების ერთ-ერთ ძირითად საშუალებას წარმოადგენს.

კ. მარქსის თქმით, მიწა, არის რა ადამიანთა კვების პროდუქტების თავდაპირველ საფუძველი (кладовая для пищи человека) იგი ამავე დროს არის შრომის თავდაპირველი საშუალება. ამასთან ერთად მიწა წარმოადგენს ყოველგვარი მატერიალური წარმოების სივრცობრივ ბაზისს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების იმ თავისებურებასთან ერთად, რაც დაკავშირებულია მიწასთან სოფლის მეურნეობაში, ადგილი აქვს სხვა თავისებურებასაც, სახელდობრ კლიმატური და ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნება, წარმოების სეზონური ხასიათი და სხვა. აღნიშნული თავისებურებანი დიდ გავლენას ახდენენ წარმოების საერთო შედეგებზე და მ. შ. ძირითადი საწარმოო ფონდების წარმოქმნაზე, სტრუქტურაზე და მათ ეკონომიურ ეფექტიანობაზე. საკმარისია აღინიშნოს, რომ სხვადასხვა კოლმეურნეობათა ფონდში არაღებების ერთი და იგივე დონის შემთხვევაში წარმოების ეფექტურობა (ძირითადი ფონდების) არ იქნება ერთნაირი თუ მათი მიწები ნაყოფიერების მიხედვით ერთიმეორესაგან განსხვავდებიან.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი ფონდების თავისებურება სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ძირითად ფონდებთან შედარებით მდგომარეობს იმაშიც, რომ სოფლის მეურნეობის ძირითად ფონდებში დიდი ზედიერი წონა უკავია შენობა-ნაგებობებს (40—45%)¹, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ წარმოების პროცესში, მაგრამ მათ გარეშე, როგორც ამის შესახებ მოუთხოვს კ. მარქსი, წარმოება ან სრულიად შეუძლებელია, ანდა შეიძლება არასრულყოფილი სახით განხორციელდეს. ამგვარ შრომის საშუალებებს, უკვე განხორციელებული შრომის მეშვეობით, წარმოადგენენ, მაგალითად, სამუშაო შენობები, არხები, გზები და სხვა².

¹ სტატისტიკური კრებული, სსრკ სახალხო მეურნეობა, 1965 წ.

² კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, გვ. 231.

აღსანიშნავია ის თავიებურებაც, რომ კოლმეურნობათა ძირითადი წილი დღეში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია (სამუალოდ 18—20%) მუშა და პირ-
დუქტიულ პირუტყვს. აგრეთვე მრავალწლიან ნარგავებს, ხოლო მრავალწლიან
ობისა და მებაღეობა-მევენახეობის რაიონებში კიდევ უფრო დიდ წილს იკავებს
სამუალებათა ზვედრიით წონა კოლმეურნობათა ძირითადი ფონდების შემად-
გენლობაში.

საზოგადოებრივ წარმოებაში სამუშაო ძალისა და შრომის სამუალებათა
წამყვანი როლის მარქსისტულ-ლენინური სწავლებიდან გამომდინარე სკვპ და
საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ და უთმობენ
საზოგადოებრივი წარმოების მ. შ. სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარა-
ღების საქმეს.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ მანქანების გამოყენება სოფლის მეურ-
ნობაში დიდ ცვლილებებს იწყევს გლეხის ფსიქოლოგიაში. მანქანების გამო-
ყენებას რუსეთის სოფლის მეურნეობაში მან ახალი ეტაპი უწოდა ქვეყნის
აგრარულ ურთიერთობაში.

ახსიათებდა რა ტექნიკის როლს გლეხის სოციალისტური იდეოლოგიის
ფორმირებაში, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა „წერილი მიწათმოქმედის გარდაქმნა“,
მთელი მისი ფსიქოლოგიის და ზვევათა გადამუშავების საქმე მთელი თაობათა
საქმეა. წერილი მიწათმოქმედის მიმართ ამ საკითხის გადაწყვეტა, მთელი მისი
ფსიქოლოგიის, ასე ვთქვათ, გაჯანსაღება შეუძლია მხოლოდ მატერიალურ ბა-
ზას, ტექნიკას, მიწათმოქმედებაში ტრაქტორებისა და მანქანების მასობრივი
მასშტაბით გამოყენებას, მასობრივი მასშტაბით მოწყობილ ელექტროფიკა-
ციას¹.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განვლილ პერიოდში დიდად გაიზარ-
და სოციალისტური სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღება ამას ნათ-
ლად გვიჩვენებს ქვემოთ მოტანილი მაჩვენებლები.

კიდევ უფრო დიდი ყურადღება აქვს დათმობილი სოფლის მეურნეობის,
განსაკუთრებით საკოლმეურნეო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის
განმტკიცების საკითხს მიმდინარე ხუთწლეულში. ხუთი წლის მანძილზე კოლმე-
ურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მიიღებენ 1 მილიონ 790 ათას ტრაქ-
ტორს ანუ 1,6-ჯერ მეტს, ვიდრე გასულ ხუთწლეულში, 1.100 ათას სატვირთო
ავტომობილს 550 ათას მარცვლეულის კომბაინს და ბევრ სხვა ტექნიკასა და
და მოწყობილობას. ხუთწლეულის მანძილზე შრომის ენერგოშეიარაღება 1963
წელთან შედარებით ერთიორად გაიზარდება².

მიმდინარე ხუთწლეულში მნიშვნელოვნად იზრდება კაპიტალურ დაბანდე-
ბათა მოცულობა. მარტო საწარმოო დანიშნულების მიზნით (მოწყვეცისა და
დაშრობის სამუშაოების ჩათვლით) სახელმწიფოს მიერ გამოყოფილია 41,3
მილიარდი მანეთი. ეს თითქმის ორჯერ მეტია წარსული ხუთწლეულის კაპიტა-

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. 32, გვ. 263.

² ა. კოსიგინი—სკვპ XXIII ყრილობის დირექტივები. სსრ კავშირის სახალხო მეურნეო-
ბის განვითარების 1966—1970 წწ. ხუთწლიანი გეგმის შესახებ, თბ., 1966 წ., გვ. 49.

6. შრომები, ტ. LXXVI—LXXVII, 69 წ.



სოფლის მეურნეობის ენერგეტიკული სიძლიერე (მლნ. ცხენის ძალ.) და ტრაქტორების, კომბაინების და სატვირთო ავტომობილების რიცხვი წლის ბოლოსათვის

№ რიგში	წესი	წ ლ ე ბ ი			
		1940 წ.	1950 წ.	1960 წ.	1965 წ.
1	სულ მთელი ენერგოსიძლიერე (მლნ. ცხენის ძალ.)	47,5	62,3	155,9	236,6
2	სულ ტრაქტორები (ათას ცალ.)	531,0	595,0	1.122	1.613
	მ. შ. კოლმეურნეობებში	4,4	2,3	—	772,0
3	კომბაინები (მარცელის აძღვები) ათას ცალ.	182,0	211,0	497,0	520,0
	მ. შ. კოლმეურნეობებში	—	—	—	224,0
4	სატვირთო ავტომობილები (ათას ცალ.)	228,0	283,0	778,0	982,0
	მ. შ. კოლმეურნეობებში	107,0	87,0	417,0	469,0

ლერი დაბანდების თანხასთან შედარებით. სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებთან ერთად თვით კოლმეურნეობის მიერ საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი გაფართოების მიზნით დაისარჩება 30 მილიარდი მანეთი.

სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილება იმასთან ერთად, რომ მნიშვნელოვნად ამსუბუქებს შრომას, წყვეტს მთელ რიგ სხვა საკითხებს, რაც გაპირობებულია სოფლის მეურნეობის წარმოების თავისებურებით. პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ შრომის ტექნიკური შეიარაღება ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისა და სხვა ტექნოლოგიური პროცესების დროულად შესრულებას, რამაც თავის თავად დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების საქმეში.

ცნობილია, რომ წარმოების მრავალ დარგში და მ. შ. სოფლის მეურნეობაში ადგილი აქვს წარმოების კრიტიკულ მომენტებს, რომელთა დაცვა აუცილებელია. რათა მიღწეული იქნას სათანადო შედეგები. ამასთან დაკავშირებით კ. მარქსი მიუთითებდა: „თუ, მაგალითად საჭიროა ცხვრის ფარის გაპარსვა, ანდა რამდენიმე მორგენი პურის მომკა და აკრეფა, ამ შემთხვევაში პროდუქტის რაოდენობა და ხარისხი დამოკიდებულ იქნება იმაზე, რომ ეს ოპერაცია განსაზღვრულ დროს დაიწყოს და განსაზღვრულ დროს დამთავრდეს“¹.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესაბამის ვადებში ჩატარება, კრიტიკული მომენტების გათვალისწინებით, პირველყოვლისა დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის ტექნიკურ შეიარაღებაზე და მისი ეკონომიური ეფექტურობის გადიდებაზე.

კოლმეურნეობათა ძირითადი საწარმოო ფონდების როლისა და მათი ეკონომიური ეფექტურობის განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ძირითადი ფონდების წარმოქმნისა და ზრდის წყაროების შესწავლას.

1 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 417.

საკოლმეურნეო მშენებლობის ისტორია გვიჩვენებს, რომ კოლმეურნეობათა საწარმოო ფონდების ფორმირების თავდაპირველი წყარო იყო კოლმეურნეობაში გაერთიანებულ გლეხთა მიერ განსაზოგადოებელი წარმოების საშუალებანი. თავიანთი დანიშნულების მიხედვით განსაზოგადოებელი საშუალებათა ღირებულების ერთი ნაწილი (0,5—0,75) ჩაირიცხებოდა განუყოფელ ფონდში, ხოლო მეორე ნაწილი (0,25—0,5) საპაიო ფონდში.

კოლმეურნეობათა საწარმოო ფონდების წარმოქმნის შემდეგი წყარო იყო სახელმწიფოს მიერ გამოუსყიდლად მიცემული წარმოების ზოგიერთი საშუალება. საკოლმეურნეო წყობილების განვითარებისა და განმტკიცების კვალობაზე იზრდებოდა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი ფონდებიც, რომელთა შორის წამყვანი ადგილი ეკავა და უკავია განუყოფელ ფონდს.

ამჟამად კოლმეურნეობათა წარმოების საშუალებათა საერთო ღირებულებაში 97% განუყოფელ ფონდზე მოდის. ნატურალურ-ნიეთობრივი შემადგენლობით განუყოფელ ფონდს მიეკუთვნება წარმოების ყველა საშუალება; აგრეთვე საფურაყე, სათესლე და საღაზღვევო ფონდები. განუყოფელი ფონდი, როგორც წესი, არ გამოიყენება მოხმარებისათვის და არ უბრუნდება კოლმეურნეობიდან გასულ წევრებს. ისინი მთლიანად გამოიყენებიან მოხმარებულა წარმოების ძირითადი საშუალებების აღდგენისა და გაფართოებისათვის.

კოლმეურნეობათა განვითარების შემდგომ საფეხურზე განუყოფელი ფონდის ზრდის ძირითად წყაროდ გადაიქცა გადარიცხვები კოლმეურნეობათა საერთო ფულადი შემოსავლიდან 15—20% რაოდენობით. 1960 წლამდე კოლმეურნეობათა განუყოფელ ფონდს მიეკუთვნებოდა მოზრდილი და სუქებაზე დაყენებული პირუტყვის ღირებულება, რომლებიც ამჟამად კოლმეურნეობათა საბრუნავ ფონდებში ჩაირიცხებიან.

კოლმეურნეობათა ძირითადი ფონდების წარმოქმნისა და ზრდის შემდეგ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა და წარმოადგენს პირუტყვის ნამრავლი და წონითი ნაშატი. ძირითადი ფონდები დიდდება აგრეთვე მრავალწლიანი ნარგავების ზრდის შედეგად. ძირითადი ფონდების წარმოქმნისა და ზრდის შემოთ ჩამოთვლილ წყაროებთან ერთად თვალსაჩინო როლი მიეკუთვნება ქონების დაზღვევისა და დაღუპვის შედეგად მიღებულ ფულად ანარიცხებს. აი, ყველა ის უმთავრესი წყარო, რომელთა მეოხებით წარმოიქმნება და იზრდება კოლმეურნეობის ძირითადი საწარმოო ფონდები. ეკონომიური შინაარსიან ძირითადი ფონდების წარმოქმნისა და ზრდის წყაროები სხვა ორაა რა, თუ არა წმინდა შემოსავლის (ზედმეტი პროდუქტის) ის ნაწილი, რომელიც იქმნება კოლმეურნე წევრთა ზედმეტი შრომით და უშუალოდ მათი საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომ განვითარებას ხმარდება.

ეკონომიურ ლიტერატურაში ხშირად ცნებას წარმოების „ძირითადი ფონდები“ და „განუყოფელი ფონდები“ ერთიმეორესთან აიგივებენ, რაც სავსებით მართებული არ არის. ცნება „განუყოფელი ფონდი“ უფრო ფართე შინაარსისაა, ვიდრე „ძირითადი ფონდები“. მართალია, ძირითადი ფონდები განუყოფელი ფონდების მთავარი შემადგენელი ნაწილია მაგრამ განუყოფელი ფონდები ძირითად ფონდებთან ერთად შეიცავს, ჯერ ერთი, იმ ფულად ფონდებს,

რომლებიც გათვალისწინებულა კაპიტალური დაბანდების საფუძველზე, სტრუქტურული რემონტისათვის და მეორეც, ძირითადი ფონდების ის ნაწილი, რომლებიც იქმნებიან მოზიდული სესხებით მათ სრულ დაფარვასთანავე. ფონდებში არ ჩაირიცხებიან, და ბოლოს, ძირითად ფონდებში არ შეყვანება თვდაპირველი ღირებულების მიხედვით და გაცვეთის ღირებულების გამოყლებით, მაშინ როცა განუყოფელი ფონდები ყოველთვის ფასდება მხოლოდ გაცვეთის ღირებულების გამოყლებით.

კოლმეურნობათა საწარმოო ფონდების წარმოქმნის შინაგან წყაროებთან ერთად არანაკლები მნიშვნელობა აქვს მოზიდულ (ნასესხებ) საშუალებებს. ფულად სახსრებს, რომლებსაც კოლმეურნობები იღებენ სახელმწიფოსაგან სესხის სახით მიზნობრივი დანიშნულება აქვს. სესხი აჩქარებს წარმოების საშუალებათა ბრუნვაობას და ამით ხელს უწყობს კოლმეურნობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებას. ითვალისწინებდა რა სესხის როლს საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობის საქმეში, სკკპ და საბჭოთა მთავრობამ ამ უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის შემდეგ მიიღო რიგი დადგენილებანი სახელმწიფო სახსრების საშუალებით კოლმეურნობებში საფინანსო მეურნეობის შემდგომი განმტკიცებისა და გაუმჯობესების მიზნით. ამჟამად კოლმეურნობები სახელმწიფოსაგან სესხებს იღებენ უფრო შეღავათიან პირობებში და არა მარტო საწარმოო დანიშნულებისათვის, არამედ კოლმეურნეთა შრომის ფულადი გარანტირებული ანაზღაურებისათვისაც. სახელმწიფო ბანკი ამ დანიშნულებით სესხს აძლევს კოლმეურნობებს 5 წლის ვადით. სესხის დაფარვა წარმოებს მეორე—მესამე წლიდან. კოლმეურნობათა ძირითადი საწარმოო ფონდების როლისა და მათი ეკონომიური ეფექტურობის განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფონდების სტრუქტურის შესწავლას.

ძირითადი ფონდების სტრუქტურის ქვეშ იგულისხმება მათ საერთო ღირებულებაში ფონდების შემადგენელ ელემენტებს შორის თანაფართობა. სტრუქტურა გვიჩვენებს ძირითადი ფონდების რაოდენობრივ და ხარისხობრივ შემადგენლობას, ხოლო სტრუქტურა აღებული დინამიკაში მოუთითებს ამ ცვლილებებზე, რომლებსაც ადგილი აქვს ძირითადი ფონდების კვალიწარმოების პროცესში.

როგორც მე-2 ცხრილიდან ჩანს, კოლმეურნობათა ძირითად ფონდებში წამყვანი ადგილი საწარმოო შენობა-ნაგებობისა და გადამცემ მოწყობილობებს უკავია. მართალია, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, ძირითადი ფონდების წამყვანი აქტიური ნაწილი, ზრდის ტენდენციით ხასიათდება მაგრამ მათი ხვედრითი წონა ჯერ კიდევ დაბალია. ძირითადი ფონდების სტრუქტურას განსაზღვრავს მთელი რიგი ფაქტორები, მ. შ. უნდა აღინიშნოს ეკონომიური და გეოგრაფიული ფაქტორები. წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ხასიათი, ძირითადი ფონდების სტრუქტურა ძალზე ხშირად განიცდის ცვლილებებს, როგორც ფიზიკური გაცვეთის, ისე თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზემოქმედებით. სტრუქტურაზე დიდ გავლენას ახდენს ძირითად საშუალებათა ფასები. ძირითადი ფონდების რაკონალური სტრუქ-

კოლმეურნეობათა ძირითადი ფონდების სტრუქტურა (%)

ფონდების დასახელება	წლები		
	1953 წ.	1963 წ.	1965 წ.
საწარმოო შენობები, ნაგებობანი და გა- დამკეში მოწყობილობანი	42,0	47,0	51,7
სას. სამ. მანქანები და მოწყობ.	7,0	16,0	18,7
პროდუქტული პირუტყვი	22,0	16,0	16,5
შეშა პირუტყვი	12,0	2,0	1,7
სატრანსპორტო საშუალებანი	10,0	4,0	4,6
სხვა საშუალებანი	7,0	15,0	6,9

ტურა (ძირითად ფონდში შემავალ ელემენტებს შორის სწორი თანაფარდობა ხელს უწყობს ფონდების ეკონომიური ეფექტურობის ამაღლებას და ამიტომ მას კოლმეურნეობათა სამეურნეო საქმიანობაში მეტად დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების პროდუქციის წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების საქმეში ძირითადი საწარმოო ფონდების წაყვან მნიშვნელობასთან ერთად არანაკლები მნიშვნელობა აქვს მათი ეკონომიური ეფექტურობის ამაღლებას. ძირითადი ფონდების ეკონომიური ეფექტურობა მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიური ეფექტურობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია. ძირითადი ფონდების ეკონომიურ ეფექტურობაზე სხვა აგროეკონომიურ ღონისძიებებთან ერთად დამოკიდებულია პროდუქციის წარმოების გადიდება და შრომის ნაყოფიერების ზრდა.

კოლმეურნეობათა ძირითადი საწარმოო ფონდების ეკონომიური ეფექტურობის ამაღლება შეიძლება მიღწეული იქნას ორი გზით: ჯერ ერთი, ძირითადი ფონდების მომსახურების პერიოდის გადიდებით და მეორე, ძირითადი ფონდების ინტენსიური გამოყენებით. სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა, მ. შ. კოლმეურნეობათა ძირითადი საწარმოო ფონდების ეკონომიური ეფექტიანობის გადიდების ღონისძიებათა სისტემაში მნიშვნელოვანი როლი ძირითადად ფონდების ეკონომიური ეფექტურობის განსაზღვრის მაჩვენებელთა სისტემას ეკუთვნის. მათი გამოყენება შესაძლებლობას იძლევა განეკუთვნოს რამდენად ხელს უწყობს ძირითადი ფონდები მიწის ფართობის ერთეულზე პროდუქციის წარმოების გადიდებასა და თვითღირებულების შემცირებას, კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერებისა და რენტაბელობის ზრდას. თუ როგორი დამოკიდებულებაა პროდუქციის ზრდის ტემპებსა და ძირითადი ფონდების ზრდის ტემპებს შორის. ღირებულების მიხედვით პროდუქციის რა რაოდენობა მოდის ძირითადი ფონდების ყოველ ერთეულზე და სხვა. ამასთან ერთად საჭიროა განეხილავოთ ერთიმეორისაგან ცნება „ძირითადი ფონდების ეფექტურობა“ და „ძირითადი ფონდების გამოყენება“. ეკონომიური შინაარსით ძირითადი ფონდების ეფექტურობა



უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მათი გამოყენება. ფონდების გამოყენება არა ნიშნავს მათ ეფექტურობას. ძირითადი ფონდების ეფექტურობა მათი გამოყენების (სარგებლობის) ხარისხობრივად განსაზღვრულია და გვიჩვენებს თუ სახალხომეურნეობრივი თვალსაზრისით ძირითადი ფონდების გამოყენება რამდენად უზრუნველყოფს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდასა და საწარმოთა რენტაბელობის გადიდებას.

კოლმეურნეობათა ძირითადი ფონდების გამოყენებით რომ წყდებოდეს ერთი რომელიმე ამოცანა, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა მათი ეკონომიური ეფექტურობა ერთი რომელიმე განმაზოგადებელი მაჩვენებლით გაგვესაზღვრა, მაგრამ ცნობილია, რომ ძირითადი ფონდების ეფექტურობასთან დაკავშირებულია საწარმოთა მთელი რიგი შედეგები, კერძოდ, პროდუქციის წარმოების გადიდება, შრომის ნაყოფიერების დონე, რენტაბელობა, პროდუქციის ხარისხი, მუშაკთა შრომის შემსუბუქება და სხვა. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე საკოლმეურნეო წარმოების, მისი დარგებისა და კულტურების, მ. შ. ძირითადი ფონდების ეკონომიური ეფექტურობის განსაზღვრა წარმოადგენს კომპლექსურ საკითხს, რომელიც შეიცავს ეკონომიური ეფექტურობის ძირითად მაჩვენებელთა სისტემის გამოყენებას მათ ურთიერთკავშირში.

კოლმეურნეობათა სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე, მართალია, ძირითად საწარმოო ფონდებთან ერთად გავლენას ახდენენ მთელი რიგი სხვა ეკონომიური და ბუნებრივი ფაქტორები (ნიადაგის ნაყოფიერება, მიწათმოქმედების სისტემა, შრომის ორგანიზაცია და ანაზღაურება და სხვა) მაგრამ თუ ვაითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ აღნიშნულ ფაქტორთა მოქმედების ხარისხი მკიდრად არის დაკავშირებული კოლმეურნეობის ძირითადი ფონდების გამოყენებასთან, მაშინ მართებულად უნდა მივიჩნიოთ ძირითადი ფონდების გამოყენების ეკონომიური ეფექტურობის მაჩვენებლები, როგორც საკოლმეურნეო წარმოების ეფექტურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი.

კოლმეურნეობათა ძირითადი საწარმოო ფონდების ეკონომიური ეფექტურობის პრობლემასთან დაკავშირებულია კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიური ეფექტურობის პრობლემა. ამასთან ერთად, ეკონომიურ ლიტერატურაში ზშირად ადგილი აქვს ამ ცნებათა არევის, რაც სწორი არ არის. კაპიტალურ დაბანდებათა ეკონომიური ეფექტურობის განსაზღვრის დროს საჭიროა შევჩერდეთ დამატებითი დაბანდების ეფექტურობის განსაზღვრით (ამ დაბანდებით მიღებული ნაციონალური შემოსავლის მოცულობის მატებით). მაშინ, როცა ძირითადი საწარმოო ფონდების ეკონომიური ეფექტურობა შეიცავს წინათ გაწეულ კაპიტალურ დაბანდებათა (მოქმედი ძირითადი ფონდების) ეფექტურობას.

სოფლის მეურნეობის წარმოების ეკონომიური ეფექტურობის გადიდების ინტერესებიდან გამომდინარე ამ უკანასკნელ პერიოდში საბჭოთა ეკონომისტების მიერ ჩატარებული იქნა დიდი სამუშაო სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მ. შ. ძირითადი საწარმოო ფონდების, ეკონომიური ეფექტურობის განსაზღვრის მაჩვენებელთა სისტემის დადგენის მიზნით. (ობოლენსკი კ. პ.— სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტურობის განსაზღვრა; ლ. გ. ზალცმა-

ნი, ნ. კაროტაში, ვ. ხალტურინი—სოფლის მეურნეობაში კაპიტალურ დაბრუნებათა ეკონომიური ეფექტურობა და სხვ.). მიუხედავად ამისა, ეფექტურობის გვაქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიური ეფექტურობის (ძირითადი საწარმოო ფონდების ეფექტურობის) განსაზღვრის საკითხი დასაბუთებული მეთოდია. რის გამოც ვერ ხერხდება სწორად განისაზღვროს, თუ რამდენად შეესაბამება წარმოების მიღწეული დონე გაწეულ მატერიალურ-ფულად დანახარჯებს, წარმოებაში მოქმედ ძირითად ფონდებს. სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებიდან გამომდინარე, რაც ზემოთ იყო აღნიშნული, კოლმეურნეობათა ძირითადი საწარმოო ფონდების ეკონომიურ ეფექტურობის განსაზღვრისათვის ეკონომისტებმა დიდ ნაწილს მიზანშეწონილად მიიჩნიათ გამოყენებულ იქნას შემდეგი ძირითადი ეკონომიური მაჩვენებლები (როგორც ნატურალური, ისე ფულად ფორმაში გამოხატული):

1. საერთო პროდუქციის მოცულობა (ლირებულებით) ერთ მანეთ ძირითადი ფონდების ლირებულებაზე და ერთ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე.
2. წმინდა შემოსავლის რაოდენობა ერთ მანეთ ძირითად ფონდების ლირებულებაზე და ერთ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე.
3. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და ძირითადი ფონდების ზრდის ტემპების თანაფარდობა.
4. შრომის ნაყოფიერების, მოგების და რენტაბელობის მაჩვენებლები.

ამ მაჩვენებლებს ეკონომიური ეფექტურობის განსაზღვრის სინთეტიკური მაჩვენებლები ეწოდება. ძირითადი ფონდების ეკონომიური ეფექტურობის განსაზღვრის სინთეტიკურ მაჩვენებლებთან ერთად საჭიროა გამოყენებულ იქნას ე. წ. კერძო (ნაწილობრივი) მაჩვენებლები. კერძო მაჩვენებლების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი ფონდების შემადგენელი ცალკეული ელემენტების ეფექტურობა. ასე, მაგალითად, გამოიშველება ერთ ტრაქტორზე, ერთ კომბაინზე და ა. შ. კერძო მაჩვენებლები გამოყენება შესაძლებლობას იძლევა გამოვლინებულ იქნას ძირითადი ფონდების ცალკეული ელემენტების ეკონომიური ეფექტურობის ამაღლების გზები, ამიტომ მათ გამოყენებას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.

სინთეტიკური მაჩვენებლებიდან საერთო პროდუქციის ლირებულება, რომელიც მოდის ერთ მანეთ ძირითადი ფონდების ლირებულებაზე გვიჩვენებს ძირითადი ფონდების უკუდაბრუნებას ე. ი. წარმოებულ საერთო პროდუქციის (მან) კავშირს წარმოებაში მოქმედ ძირითადი ფონდების მოცულობასთან. იგი განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$\text{ფონდების უკუდაბრუნება} = \frac{\text{საერთო პროდუქცია (მან.)}}{\text{ძირითადი ფონდები (მან.)}}$$

ძირითადი ფონდების უკუდაბრუნების შებრუნებული სიდიდე ეს პროდუქციის ფონდტევადობაა. პროდუქციის ფონდტევადობა გვიჩვენებს, თუ ძირითადი ფონდების რა ნაწილი გადადის ახლად წარმოებული პროდუქციის ყოველ

ერთეულში. იგი განისაზღვრება ძირითადი ფონდების შეფარდებით საერთო პროდუქციასთან.



$$\text{ფონდტევადობა} = \frac{\text{ძირ. ფონ. (მან.)}}{\text{საერთო პროდ. (მან.)}}$$

უკანასკნელ წლებში, როგორც ეს აღნიშნული იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმზე, როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში ადგილი აქვს პროდუქციის ფონდტევადობის გადიდების ტენდენციას. პროდუქციის ფონდტევადობის გადიდება იწვევს მთელი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის შემცირება, ამიტომ პროდუქციის ფონდტევადობის შემცირებისათვის ბრძოლას დიდი საბაზო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

ყურძნის მოსავლიანობა (კგ/ჰა)

მოსავალი	ვაზის ვიში	
	კაბერნე სოფინიონი	საფერავი
მინიმალური	4962	6500
მაქსიმალური	8470	7700
საშუალო	7173	7109

წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე მეთოდების დანერგვის მიზნით საკვლევ დაწესებულებებში ეწყობა საჩვენებელი ნაკვეთები, სადაც წარმოების მუშაკები და დაინტერესებული პირები ლეზულობენ კონსულტაციებს და რჩევა-დარიგებებს.

რუმინელი მევენახეები ფართო და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან როგორც სელექციის, ისე აგროტექნიკის დარგში.

რუმინელი სელექციონერები თავის მუშაობაში დიდ ადგილს უთმობენ ფილოქსერაგამძლე ვაზის საძირე ჰიბრიდების გაუმჯობესებას. მათ მიერ კლონური სელექციის გზით მიღებულია ახალი საძირე ჰიბრიდები: კრეჩიუნალ-2, დრეგეშანი-37, დრეგეშანი-57 და სხვ. კრეჩიუნალ-2 შეტანილია სტანდარტულ სორტიმენტში და წარმატებით ინერგება მევენახეობის ყველა რაიონში; იგი ბერლანდიერი X რიპარია 5ბბ-ს კლონია და მასთან შედარებით ძლიერი ზრდით, მაღალი მოსავლიანობით, რქის უკეთესი მომწიფებითა და კირიანი ნიადაგების

მიმართ კარგი შედეგების უნარით ხასიათდება. მსგავსი თვისებებზე გამოირჩევა ოპენჰაიმ-4 (გერმანული).



რუმინელ მევენახეთა გამოცდილებიდან გამომდინარე, ზემოქვემოთა ვილი და სხვა უცხოური საძირე ჰიბრიდების შემოტანა და გამრავლება ველოს პირობებში, განსაკუთრებით ქლოროზის გავრცელების რაიონებში ინტერესმოკლებული არ იქნება. ამასთან, ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად არსებული საძირე ჰიბრიდების სტანდარტული სორტიმენტი მოითხოვს გამდიდრებას, გაუმჯობესებას, როგორც სელექციური, ისე ინტროდუქციის გზით. ვაზის ქლოროზის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში შედარებით ქლოროზგამძლე საძირეების შერჩევა ერთ-ერთი შეტად მნიშვნელოვანი აგროლონისძიებაა.

რუმინეთში, სილნარ ნიადაგებს გარდა, ვენახები მხოლოდ ნაძვენი ნერვით შენდება, ამიტომ აქ დიდი ყურადღება ექცევა ხარისხოვანი სარგავი მასალის წარმოებას, რომლის საფუძველს ფილოქსერაგამძლე საძირეთა სადედე წარმოადგენს.

ფილოქსერაგამძლე საძირეთა სადედეს რესპუბლიკაში 4500 ჰა ფართობი უჭირავს. საძირე ჰიბრიდებიდან გავრცელებულია: ბერლანდიერი X რიპარია 5ბბ, ტელეკი 8ბ, შასლა X ბერლანდიერი 41ბ, კრეჩიუნალ-2, რიპარია გლუარი, რიპარია X რუპესტრის 3309, 101-14 და სოლონის რიპარია 1616. აქედან უპირატესობა ეძლევა ბერლანდიერი X რიპარიას ჰიბრიდებს და ახალ კლონს კრეჩიუნალ-2-ს.

სადედეში ვაზი ირგვება 2 X 2,5 და 2 X 1,5 მ-ზე. გასვლა-ფორმირებას ძირითადად თავიანთ ფორმაზე აწარმოებენ. მთელი ნარგავობის 80% პირამიდულ საყრდენზეა აღზრდილი; დანარჩენი კი—ოთხმავთულიან ვერტიკალურ შპალურზე, რომელზეც ყლორტები დახრილადაა აკრული. ვაზის დატვირთვა 8—15 ყლორტით განისაზღვრება. ლერწის გამოსავლიანობა საშუალოდ ჰა-ზე 50—60 ათას გრძივ მ-ს შეადგენს [3], ხოლო ზოგიერთ მეურნეობასა და საკვლევ დაწესებულებაში 80—100 ათას გრძივ მ-საც აღწევს (ცხრ. 4).

ცხრილი 4

სხვადასხვა საძირე ჰიბრიდების ლერწის გამოსავლიანობა თანაბარი დატვირთვის პირობებში (ვალია ველუგერიისკას საცდელი სადგური, პ. სტანუს მონაცემების მიხედვით)

ჰიბრიდული ფორმები	ლერწის საშუალო გამოსავლიანობა (გრძ./მ/ჰა-ზე)	ლერწის გამოსავალი ერთ ძირზე (გრძ/მ)
ბერლანდიერი X რიპარია 5ბბ	72352	24,44
კრეჩიუნალ-2	85199	28,78
ბერლანდიერი X რიპარია 125-ა	78892	26,49
ბერლანდიერი X რიპარია ტელეკი-8	84329	28,48
შასლა X ბერლანდიერი 41-ბ	57417	19,36
რიპარია გლუარი	72747	24,47

დიამეტრის მიხედვით საძირე მასალის სტანდარტია 7—11 მმ, ნაცვლად საერთოდ მიღებული 6—12 მმ-ისა. ეს ღონისძიება თეორიულად გამართლებულია და პრაქტიკულად შეტად დიდი მნიშვნელობა აქვს პირველხარისხოვანი



ნამყენის გამოსავლიანობის გადიდების საქმეში, როგორც ჩვენში, ისე სხვა ქვეყანაში ჩატარებული ცდების შედეგებს თუ გადავხედავთ, პირველხარისხიანი ხოვანი ნამყენის გამოსავლიანობა ყოველთვის მეტია 8—10 მმ მკვლელობის საძირეების შემთხვევაში. მაგრამ რატომღაც პრაქტიკაში ანგარიში არ ეწევა მას და სტანდარტში მიღებულია 6—12 მმ. უდავოა, რომ წვრილი (6 მმ და ნაკლები) ნამყენი მუდმივ ადგილზე დარგვის შემდეგაც სუსტი განვითარებით ხასიათდება, რის გამოც ვენახში უთანაბრო ნარგავობა მიიღება. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია წარმოებაში რეკომენდაცია მიეცეს მხოლოდ 7—11 მმ (უმეტესად 8—10 მმ) დიამეტრის მქონე საძირეების გამოყენებას. სტანდარტული (7—11 მმ) საძირის მიღებისათვის ზრუნვა სადღეღმეო, ვაზზე ყლორტების დანორმების პროცესშივე უნდა განხორციელდეს.

სანერგეში ნამყენი ირგვება ზედაპირულად—რუმინული წესით, რაც შემდეგში მდგომარეობს: შემოდგომაზე პლანტაჟთან ერთად კეთდება 40—45 სმ სიმაღლის ბაზოები. ნამყენი ირგვება ბაზოებში ისე, რომ მისი მთელი სიგრძის (32—35 სმ) 1/3 ნაწილი თავსდება ნიადაგში, ხოლო 2/3 რჩება ნიადაგის ზედაპირზე—ბაზოებში. ამ შემთხვევაში ნამყენის დაფესვიანების ზონა ექცევა ნიადაგის ზედა ფენაში, სადაც ტემპერატურა ქვედა (30—40 სმ) ფენასთან შედარებით მაღალია და აერაცია უკეთესია, რაც ხელს უწყობს სათბურიდან გამოტანილი ნამყენის შეუფერხებლად განვითარებას.

სანერგეში ნამყენი ირგვება ჰა-ზე 150—200 ათასი ცალის რაოდენობით.

პირველხარისხიანი მანყენის გამოსავლიანობა საშუალოდ რესპუბლიკაში 40%-ს უდრის, ხოლო საკვლევ დაწესებულებებსა და ზოგიერთ მეურნეობაში 55—60%-ს.

სანერგეში პირველხარისხოვანი ნამყენის გამოსავლიანობის გადიდებას მიზნით გამოცდილია მრავალი პროგრესული ღონისძიება, რომელთაგან ყურადღებას იმსახურებს სტრატეფიკაციის ვარეშე ნამყენის დარგვა და ბაზოების დაფარვა პოლიეთილენის აფსკით. ამ შემთხვევაში პირველხარისხოვანი ნამყენის გამოსავლიანობა 60%-ს აღემატება. ფართოდ არის გამოყენებული დაპარაფინებული ნამყენების დარგვაც, მაგრამ იგი ყველა შემთხვევაში არ იძლევა სასურველ შედეგს. მისი ეფექტიანობა დამოკიდებულია მიკროკლიმატურ პირობებზე, დარგვის ვადაზე, ოპერაციის შესრულების სიზუსტეზე, რეჟიმზე სწავლობენ აგრეთვე ნამყენის სტრატეფიკაციას წყლის აბაზანებში და სხვ.

მოსავლიანი ვენახის აგროტექნიკას კლიმატური პირობების თავისებურება განსაზღვრავს. ვაზს მრავალ რაიონში მარხავენ ზამთრის ყინვებისაგან დასაცავად. ამიტომ წარმოებაში ძირითადად გავრცელებულია უშტამპო ან დაბალ და დახრილშტამპიანი ფორმები, რომელთა მიწაში მიმარხვა გაადვილებულია, მაგრამ იგი მაინც შრომატევადი ღონისძიებაა. ამასთან უარყოფითად მოქმედებს მოზამთრე კვირტებზე, მის მოსავლიანობაზე. ამიტომ რუმინელმა მევენახეებმა სხვა ქვეყნების გამოცდილება დაამუშავეს თავიანთი პირობებისათვის და წარმოებას ურჩიეს მაღალშტამპიანი ფორმები [4, 1].

მაღალშტამპიანი (1,5—2,0) ფორმები ნაკლებად განიცდიან უარყოფითი ტემპერატურის მოქმედებას, ერთწლიანი ნახარდის ნიადაგის ზედაპირიდან და-



ცილების გამო. გარდა ამისა, იგი ხასიათდება მთელი რიგი დამახასიათებლებით, კერძოდ, არ საჭიროებს მწვანე ოპერაციების (მწვანე ჩეხუჩი ჩეხუჩუკა კების შეცლა) ჩატარებას; მალალშტამბიანი ტალავრისმაგვარი (იტალიური პერგოლე რაციონალური) ფორმის ქვეშ შესაძლებელია ნიადაგის ორმხრივი დამუშავება მექანიზმების საშუალებით, რაც მინიმუმამდე ამცირებს ხელით შრომას; ნაკლებია სოკოვანი დაავადების შემთხვევები, გაადვილებულია სიდე-რატების თესვა და სხვ.

აქ გავრცელებული მალალშტამბიანი ფორმებიდან უფრადლებას იმსახუ-რებს: ლენც მოზერი, სილვოზი, პერგოლე „V“-სმაგვარი და პერგოლე იტალი-ური—რაციონალური—ტალავრისმაგვარი. პირველი სამი ფორმის გამოყენების შემთხვევაში შტამბის სიმაღლეა 1,2—1,3 მ, რომლის გაგრძელებას მუდმივი მრავალწლიანი მხარი წარმოადგენს და რომელზეც განლაგებულია 2—6 სასბ-ლავი რგოლი. მწვანე ყლორტები ახვევის გარეშე დამაგრებულია ვერტიკალუ-რად გაბმულ წყვილ მავთულზე (სილვოზი, ლენც მოზერი) ან დახრილად და-მაგრებული საყრდენის მხრებზე გაკიმულ მავთულზე („V“-სმაგვარ ფორმაზე), ამ ფორმების გამოყენებისას კვების არეა 2—2,5×1,2—1,5 მ, ტალავრისმაგ-ვარი ფორმებისათვის კი 3,0×3,0 მ, ან 3,75 მ×3,5 მ. შტამბის სიმაღლე 2—2,2 მ.

ვაზის სხვადასხვა ფორმის მოსავლიანობაზე წარმოდგენას იძლევა მე-5 ცხრილი.

ცხრილი 5

ვაზის სხვადასხვა ფორმის მოსავლიანობა მურფატლარის საცდელ სადგურზე (დობრუჩას მევენახეობის ზონა)

(იხე. ნ. პოდოლიანუს მონაცემების მიხედვით)

ქ ი შ ი	ვარიანტი	კვების არე (მ)	საყრდენის ტიპი და ვაზის აღზრდის წესი	მოსავალი (ცვ/ჰა)
დამტასკა ოვგალე	I	1,2×0,8	უსაყრდენო, ჯუჯა ფორმა	93000
	II	1,2×0,8	დაბალი 50 სმ სიმაღლის შმალერი	11120
	III	1,6×1,2	ჩვეულებრივი ვერტიკალუ-რი შმალერი	14600
	IV	2,5×1	ლენც მოზერი	13300
	V	2,5×2,5	ჩვეულებრივი წესი	5100

როგორც მე-5 და მე-6 ცხრილებიდან ჩანს, საღვინე ჯიშებისათვის კარგ შედეგს იძლევა ჩვეულებრივი და ლენც მოზერის წესით აღზრდილი ვაზები, ხოლო სუფრის უფრძნის ჯიშებისათვის სილვოზის სისტემის გამოყენება.

რუმინეთის ვენახების დიდი ნაწილი (75%) ფერდობებზეა გაშენებული. აქედან ტერასებზე მოდის 40 ათას ჰა-ზე მეტი. ეროზიის საწინააღმდეგო ბრძო-ლის ღონისძიებებიდან გამოცდილია: მწკრივების სხვადასხვა მიმართულებით

ჯ ი შ ი	ვარიანტი	კვების არე (6)	საყრდენის სახე და ვაზის აღზრდის წესი	სხმის რაოდენობა (35)	მოსავალი (35)
ც 1/ ს ე ნ - ე - ი	I	1,8×1,4	დაბალი შნაღერი	5,38	100
	II	1,8×1	შერეული როია	5,57	103
	III	3,6×1	სიღვიზი	5,78	107
	IV	3,6×1	ღვინე მოზერი	5,31	99

გაწყობა, მწკრივთშორისების დაძლევა, მრავალწლოვანი ბალახების თესვა და ბაქნების მოწყობა. ეს უკანასკნელი ყველაზე ეფექტიან და პროგრესულ ღონისძიებას წარმოადგენს. ფერდობთა დახრილობის კატეგორიის მიხედვით ეწყობა ერთი და ხუთმწკრივიანი ტერასები. ძველი ტერასები ძირითადად ხელითაა შესრულებული და ამიტომ მათზე ვაზიც ვიწრომწკრივად (1,2×1,0 მ; 1,5×1,0 და 1,6×1,2 მ) გაშენებული [6, 7, 8]. უკანასკნელ წლებში, მექანიზაციის გამოყენებასთან დაკავშირებით, რეკომენდაცია ეძლევა 2×1,5 კვების არეს, ტერასების მოწყობაც ძირითადად მექანიზმების საშუალებით წარმოებდეს.

ვენახში ფართობის მაქსიმალურად გამოყენების მიზნით გზისპირებია და ბაქნების კედლების ათვისებას აწარმოებენ ვაზების აღზრდით ტალღისმაგვარ ან საჩეხიან საყრდენებზე. ვენახებისათვის ძირითადად გამოყენებულია 7—25°-ანი დახრის ფერდობები. უფრო მეტად დახრილი ფერდობების დაბაქნება მიზანშეწონილად არ მიიჩნიათ ნიადაგური პირობების გაუარესების გამო.

სიღნარ ნიადაგებს რუმინეთში 100000 ჰა-ზე მეტი ფართობი უკავია. იგი ძირითადად ვაზისა და ხეხილოვანი კულტურებისათვის არის გამოყენებული. ასეთ ნიადაგებზე ყურძნის მოსავალი 60—200 ც-ს შეადგენს მაშინ, როდესაც სიმინდისა და ხორბლის მოსავალი 2—3 ც-ს არ აღემატება. ეხადია, თავისებურია სიღნარზე გაშენებული ვენახების აგროტექნიკა. აქ ნიადაგის ზედაპირზე ტემპერატურა +60°-ს აღემატება გრუნტის წყლები—15—20 მ სიღრმეზე მდებარეობს. ამიტომ სარგავ მასალად გამოყენებულია შედარებით გრძელი (40—60 სმ) და უბრალოდ დაფესვიანებული რქები. ვაზი ირგვება ორმოებში, არხებში ან ტრანშეებში ღრმად—1,5—3,0 მ სიღრმეზე. იგი 3—4 წლის მანძილზე თანდათანობით ამოყავთ ნიადაგის ზედაპირზე და შემდეგ აწარმოებენ მის გასხვლა-გაფორმებას ნიადაგის ზედაპირთან ახლოს. ამავე დროს, ვაზი ირგვება ვიწრომწკრივად 1,2 მ—0,8 მ-ზე. ხშირი ნარგავი თავის მწვეანე მასით ფარავს ნიადაგის ზედაპირს და ამით არეგულირებს ნიადაგის ზედაპირზე არსებულ მაღალი ტემპერატურის უარყოფით მოქმედებას.

დიდი ყურადღება ექცევა სუფრის ყურძნის წარმოებას. ადგილობრივი მოხმარების გარდა იგი ერთ-ერთი საექსპორტო პროდუქციაა.

სუფრის ყურძნის ჭიმების მიმართ გამოყენებულია შესაბამისი აგროტექ-



ნიკურ ღონისძიებები: ვაზი უშეტეს შემთხვევაში გაფორმებულია მაღალტან-
ბიან ფორმებზე და ისხვლება გრძლად 10—14 კერტზე. დიდტანტაჟში
შების შემთხვევაში მიმართავენ მტევნების ხელოვნურ გათხრებას
ლუბას, ყურძნის თანაბარი მომწიფების მიზნით, ამავე მიზნით აწარმოებენ
ფოთლების გამოხშორვას და სხვა (6).

გარეაქას (ბუქარესტის ოლქი) მიკრორაიონში არსებულ საცდელ სადგურ-
ზე ყურძნის სიმწიფის დაჩქარების მიზნით ვაზებს ათავსებენ პოლიეთილენის
აფსკით დახურულ სათბურში, რითაც 20—25 დღით ადრე მწიფდება ყურძენი.
მაგრამ ეს ღონისძიება ჯერ კიდევ შესწავლის სტადიაშია, ე. ი. ექსპერიმენტის
ფარგლებს არ სცილდება.

ვენახში მეჩხერიანობის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც წესი, მისი გამე-
ნებოდანვე იწყება. ვაზი ირგვება პლანტაჟში მხოლოდ ორმოს წესით, ნაკელნა-
რევი მიწით და წუნწუხში ამოვლებული პირველხარისხოვანი ნამყენით. ამი-
ტომ ახალშენ ვენახებში გახარება 95%-ს აღემატება.

განსხვავებულ ასაკიან ვენახში მეჩხერიანობის მოსაპობის მიზნით ვაზ-
ნის სხვადასხვა მეთოდთან ერთად გამოყენებულია მწვანე მყნობა [7], რომე-
ლიც ამავე დროს ვაზის დაჩქარებითი გამრავლების საუკეთესო საშუალებაა.
იგი ტარდება ივნისის პირველ—მეორე დეკადაში და ნამყენი იმავე წელს აღ-
წევს საცმოდ ძლიერ განვითარებას ისე, რომ მომავალ გაზაფხულზე შესაძ-
ლებელია მისი გამოყენება სანაყოფედ ან სხვა დანიშნულებისათვის. ამ ღონის-
ძიების გამოცდა ჩვენში, განსაკუთრებით ჭარბტენიან და სარწყავ რაიონებში,
ეფიქრობთ, სასურველ შედეგს გამოიღებს.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო მცენარეთა დაცვის ქსელის ორგანიზაციამ და
მუშაობამ. რესპუბლიკაში ორგანიზებულია 100-მდე საინგალიზაციო საფუძვალ-
(პუნქტი), რომლებიც სწავლობენ, იკვლევენ თავის სამოქმედო რაიონში ვაზ-
რეულ მავნებლებსა და ავადმყოფობებს და მათი გამოჩენისთანავე საინგ-
ნალო ბარათების დაგზავნით ან რადიოგადაცემებით მიუთითებენ ბრძოლის
ღონისძიების ჩატარების შესახებ. ცხადია, იქვე მოცემულია სიმპტომები და აღ-
წერილია ბრძოლის ღონისძიება. ჩატარებული ღონისძიების ეფექტი მაღალია.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე რუმინელ სპეციალისტთა მიერ შექმნილი
ვაზის ჭრაქის ინფექციის მაუწყებელი აპარატი „მილდოგრაფი“. იგი იღვამება
ვენახში, ვაზის ძირში და ჰაერის ტემპერატურის, შეფარდებითი ტენიანობისა
და ვაზის მწვანე ნაწილებზე წყლის წვეთის (ნაპის) არსებობის ხანგრძლივობის
მიხედვით განსაზღვრავს ჭრაქის საინკუბაციო პერიოდის მოახლოებას. სპეცი-
ალისტები აღნიშნავენ, რომ „მილდოგრაფის“ მითითების მიხედვით ჩატარე-
ბული ღონისძიების ეფექტიანობა გაცილებით უკეთესია ჩვეულებრივთან შე-
დარებით. ასეთი „მილდოგრაფები“ ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე საცდელ
სადგურსა და საინგალიზაციო პუნქტებში დგას. იგი გადაცემულია სერიულ
წარმოებისათვის.



უკანასკნელ წლებში რუმინელ მევენახე მეკლევართათვის პრობლემად ისახება ვაზის ქლოროზის საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებების შექმნა. ქლოროზი საკმაოდ გავრცელებულია კარბონატულ ნიადაგებზე ვენახებში (პეტროასალე, მურფატლარის მიკროუბანი).

რუმინელ მევენახეთა და მეღვინეთა ნაყოფიერი მეშაობის შედეგია ისიც, რომ უკანასკნელ ხანს რუმინულმა ღვინოებმა საერთაშორისო აღიარება პოუვეს. საქვეყნოდ ცნობილი რუმინული ღვინოები: გრასა დე-კოტნარი, დიალულმარე, დრეგეშანი, ოდობეშტი, მურფატლარი და სხვა მრავალი დიდი რაოდენობით იგზავნება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მათ შიღწევებზე ლაპარაკობს 1965 წელს თბილისში ჩატარებული ღვინოებისა და კონიაკების საერთაშორისო კონკურსის შედეგები. კონკურსზე წარმოდგენილი რუმინული ღვინოების ნიმუშებმა 23 ოქროს და 7 ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

Канд. с.-х. наук ЧХАРТИШВИЛИ Н. С.

СОВРЕМЕННОЕ СОСТОЯНИЕ ВИНОГРАДАРСТВА В РУМЫНСКОЙ СОЦИАЛИСТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКЕ

Резюме

Почвенно-климатические условия Румынской социалистической Республики весьма благоприятны для нормального развития культуры винограда и получения качественной продукции.

Климат в некоторых районах умеренный, а в основном — жестко континентальный. Летом в низменных районах страны (юго и юго-западных) температура воздуха подымается до 45—56°, а зимой она спускается до 30—35°. Сумма активной температуры колеблется в пределах 2800—4000°.

Среднегодовое количество осадков в зависимости от района — 300—1500 мм.

Почвы—В низменных районах в основном распространены черноземы, а на склонах и в предгорьях — буроземы и карбонатные каштановые почвы. Содержание извести в этих почвах колеблется в пределах 10—60%. На больших площадях представлены песчаные почвы.

В настоящее время площадь, занятая под виноградники, составляет 345 тыс. га, 90% которой занята местными и интродуцированными сортами винограда, дающими высококачественную продукцию.

Виноградарство во всех районах страны представлено в том или ином количестве. Основные виноградарские районы размещены к югу от Карпатских гор и тянутся до линии черноморского побережья. Основными районами являются: Диалул-маре, Дрегешани, Одобешти, Миниши, Мурфатлария Яс-Котнар.



Подготовку кадров и научные исследования ведут кафедра виноградарства (Бухарест, Тимишоара, Крайова) и научно-исследовательский институт садоводства, виноградарства и виноделия со своей широкой сетью опытных станций.

Селекционная работа направлена на выведение разного периода созревания столовых и технических сортов винограда. Больше место уделено вопросу улучшения гибридов подвойного материала. Путем клоновой селекции из Берландиери \times Рипария Кобер 5⁶⁶ выделен клон Кречиунал 2, который характеризуется сильным ростом, высокой урожайностью, хорошим созреванием побегов и лучшей приспособленностью к известковым почвам. В этих условиях перспективным является также подвой немецкого происхождения Опенхаим—4. Завоз и испытание этих подвоев в нашу республику считаем целесообразным.

В области агротехники научные исследования ведутся по созданию прогрессивных форм обрезки и формировки, а также опор виноградных лоз.

В широком масштабе испытываются высокоштабные (1,5—2 м.) формы. Высокоштабные формы характеризуются рядом положительных свойств: менее подвергается воздействию отрицательных температур, не требует зеленых операций (зеленая подвязка, пасынкование). При беседочных формах почва обрабатывается крестообразно, что до минимума сокращает ручной труд, менее подвергаются грибным заболеваниям, облегчено использование сидерационных культур и др.

В маточниках филлоксероустойчивых лоз разрабатываются следующие вопросы: установление наилучших способов воспитания побегов, уточнение сроков заготовки подвойной древесины, обработка и удобрение почвы и др.

Маточники подвойных лоз в республике занимают 4500 га, 80% которых выращиваются в виде пирамидальной формы. В среднем выход подвойной древесины с га 50—60 тысяч метров.

Из гибридов подвоев в стандартный сортимент включены: Берландиери \times Рипария Кобер 5⁶⁶, Телек 8⁶, Шасла \times Берландиери 41⁶ Рипария \times Рупестрис 101—14, 3309, Рипария Глуар, Солонис \times Рипария 1616, Кречиунал—2.

В питомнике (школке) саженцы высаживают Румынским способом-поверхностно, что заключается в следующем: вместе с плантажом делаются 40—45 см высоты гребни, саженцы высаживаются так, что 2/3 их длины остается на поверхности почвы—на гребнях, где температура высокая и аэрация наилучшая. Это способствует беспрепятственному развитию саженцев, высаженных в школку.

Стандартом диаметра подвоя является 7—11 мм. Выход из школки привитых саженцев в среднем по республике составляет 40%. Для увеличения выхода первосортных саженцев испытываются следующие мероприятия: посадка нестратифицированных прививок в школку и укрывание их полиэтиленовой пленкой. Этим мероприятием выход привитых саженцев, годных



для закладки виноградников равен 55—60%. Испытан способ стратификации прививок в ваннах, широко испытывается посадка парфидованных прививок. Это мероприятие при всех условиях не дает желаемого результата, его эффективность зависит от микроклиматических условий, срока высадки и от точности выполнения операции.

В Румынии 75% виноградников заложены на склонах. В исследовательской работе большое внимание уделено разработке противозерозивных мероприятий.

Освоение склонов производится в основном их террасированием. Для закладки виноградников в основном используются склоны с уклоном 6—25°. Террасирование склонов с уклоном свыше 25° не считают целесообразным из-за ухудшения почвенных условий. Площадь питания на старых террасах 1,2 × 1,0 м; 1,2 × 1,2 м; и 1,5 × 1,0 м. В последние годы в связи с применением механизации рекомендация дается площади питания в 2 × 1,5 м.

Большая часть виноградников заложена на песчаных почвах. Здесь виноградники заложены на собственных корнях, посадочный материал сажают в ямах, канавках или траншеях глубоко 1,5—3 м. площадь питания 1,2 × 1,0 и 1,0 × 0,8 м. Урожайность 60—200 центнеров с га.

Для столовых сортов используются высокоштабные формы с обрезкой побегов плодоношения на 10—14 почек. Для достижения равномерного созревания ягод на гроздях, используется прореживание гроздей, укорачивание и прореживание листьев в зоне гроздей.

დაბმულობის ლიტერატურა

1. Alexandrescu I.—Metode agrotehnice specifice pentru viticultura din Dobrogea, Bucuresti, 1963.
2. Dvornic V.—Lucreri practice de ampelografie. Bucuresti, 1965.
3. Valianu L.—Masuri agrotehnice antierozionala in vile roditoare din Republica populara Romină. Bucuresti, 1960.
4. Laslo I., Popa V., Maciei M.—Cultura vitei de vie in forme finale, Bucuresti, 1964.
5. Martin T.—Viticultura. Bucuresti, 1966.
6. Martin T.—Cultura solurilor de struguri pentru masa. Bucuresti, 1964.
7. Constantinescu Gh., Lazarescu V., Poenaru I., Mihalaca Ch., Oprea D., Oslobianu M., Alexandrescu I., Semaldt P.—Indrumatorul viticulturului, Bucuresti, 1963.
8. Constantinescu Ch., Motoc M.—Valorificarea terenurilor in pantă prin cultura vitei de vie. Bucuresti, 1960.
9. Georgescu M., Pomohaci N.—Viticultura si vinificatie. Bucuresti, 1966.
10. Oprea D.—Lucrări practice de viticultura. Bucuresti, 1965.
11. Podolianu N., Stoicescu N.—Aspēte noi in tehnica planterii vitei de vie „Gredina, via si Livada” 1961. 1.
12. Popa E., Basamac C.—Insusirile tehnologie ale soiului saperavi in podgoria Drăgăşani, „Grediva, via si Livada, 1961. 2.



ზ. ჯინგარაძე

ვაზის კვირტის მოსვენების ხანგრძლივობა და ემბრიონული ჰევილებების დიფერენციაცია გაზაფხულის პერიოდში

ვაზის კვირტის მოსვენების ხანგრძლივობა და ემბრიონული ჰევილებების დიფერენციაციის საკითხები შევისწავლეთ პროფ. ვ. ქანთარიას ხელმძღვანელობით მუხრანის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში 1966—1967 წწ.

საცდელად აღებული იყო ჯიშები: ჩინური და თბილისური.

საანალიზო ნიმუშებს ვიღებდით ყოველი თვის 15—30 რიცხვებში, დაწყებული აგვისტოდან მომავალი წლის მარტამდე.

დაკვირვება წარმოებდა ლამორატორიულ პირობებში, სადაც ტემპერატურა არ აღემატებოდა 15°-ს.

კვირტის ორგანული მოსვენების პერიოდად ვთვლიდით იმ მომენტს, როდესაც არ გამოიფურჩქნებოდა 20—25 დღის განმავლობაში (საქართველოში ტიბილიდან გამოიფურჩქნამდე ვაზისათვის საკმარისია 20—25 დღე).

ღრმა მოსვენების ფაზად ითვლებოდა ის მომენტი, როდესაც, მიუხედავად ხელსაყრელი პირობებისა, კვირტი არ გამოიფურჩქნებოდა 60—70 დღის განმავლობაში.

დაკვირვებას ვატარებდით აგრეთვე ვაზის ზამთრის კვირტში ემბრიონული ჰევილებების ჩასახვა-დიფერენციაციაზე.

საკითხის შესასწავლად მიკროსკოპის ქვეშ ვსინჯავდით 120 კვირტს სამჯერ—აგვისტოს ბოლოს, ზამთარში და გაზაფხულზე, კვირტების დაბერვის ფაზაში. კვირტებში ვრიცხავდით მოსავლიანობის ემბრიონულ მაჩვენებლებს.

ემბრიონული ჰევილების დიფერენციაციის შესახებ ლიტერატურული წყაროები ძალზე ღარიბია საერთოდ, ხოლო ჩვენ მიერ აღებულ საცდელ ჯიშებზე მასალები სრულებით არ მოიპოვება. საკითხი კი მეტად აქტუალურია. მისი შესწავლით შესაძლებელია დავადგინოთ გრძელდება თუ არა ემბრიონული ჰევილებების დიფერენციაცია ფოთოლცვენის შემდეგ და განსაკუთრებით გაზაფხულზე. ეს კი აუცილებელია იმისათვის, რომ უფრო მიზნობრივად წარვმართოდ აგროტექნიკური ღონისძიებები და ხელი შევუწყოთ მოსავლის ნორმალურ გამოვლინებას ვაზზე.

როგორც ცნობილია, ფოთოლცენის შემდეგ ვაზი შედის მოსვენების პერიოდში, რის გამოც თითქმის წყდება ზრდა, მკვეთრად ეცემა ნიუთიერებათა ცვლის პროცესები, უჯრედის შინაარსი განიცდის ღრმა ცვლილებებს. დავას არ იწვევს ისიც, რომ მოსვენება შედარებითი ცნებაა, ვინაიდან ზრდა რის პერიოდში აღინიშნება სუნთქვა და სამარავო ნიუთიერებების გადანაცვლება.

ჯერ კიდევ 1851 წ. ნ. ელენზოვი მერქნიან მცენარეებზე დაკვირვებით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ზამთრის პერიოდში შესაძლებელია ჩანასახოვანი ყვავილელების ზრდა მოცულობაში, მისი სხვადასხვა ნაწილების ფორმის შეცვლა და კვირტის შშრალი წონის შესამჩნევი მატება. ლიტერატურაში ამ მოსაზრებას ემხრობიან პოტაპენკო და ზახაროვა (1938), პოპოვი (1939), ვიქტოროვი (1941) და სერგეევი (1950), ხოლო ეწინააღმდეგებიან—ელსმანი (1925), შინინა (1951) და პეტროვსკაია (1954). ისინი თავიანთ შეხედულებებს გამოთქვამენ სხვა კულტურების შესახებ. რაც შეეხება ვაზს, იგი ნაკლებადაა შესწავლილი.

ბ. კალანოვისა და ვ. მოლჩანოვის მიხედვით [3], კვირტის გამოფურჩქვნის პროცესში არსებითი ანატომიური ცვლილებები არ მიმდინარეობს. ამასვე იზიარებს ა. ტიუტოჟინიკი [8].

კ. აივაზიანი, ე. პლაკიდა და ა. პოდრაჟანსკი საწინააღმდეგოს ამტიცებენ [1]. მათი გამოკვლევებით, მალალი აგორტექნიკის დროს კვირტში ყვავილელების ჩასახვა იწყება ადრე ვაზაფხულზე, გრძელდება შემოდგომაზე და საბოლოო სრული ფორმირება მიმდინარეობს მხოლოდ მომავალი წლის ვაზაფხულზე. უფრო მეტიც, აღნიშნული პროცესი შეიძლება გავრძელდეს ყლორტის ზრდის პერიოდში და მის შემდეგაც კი, როდესაც ყლორტზე გამოჩნდება პყვალი [7].

ასე, რომ ემბრიონული ყვავილელების ფორმირება შემოდგომით არ მთავრდება. იგი კვირტის დაბერვის ფაზაშიც მიმდინარეობს, რასაც სტოვეი ერთწლიან რქებში შეკრების მომატებით ხსნის [6].

ზ. კოლესნიკის [24] მიხედვით, ვაზაფხულზე ყლორტის მოსავლიანობა 12—23%-ით მეტია შემოდგომასთან შედარებით. ამ გარემოებას იგი ხსნის მეორე და მესამე ყვავილელების წარმოშობით. მისივე მონაცემებით, ემბრიონული ყვავილელების წარმოშობა ზამთარში არ ხდება, მიუხედავად თბილი ამინდებისა.

უფრო მეტიც, ხშირია შემთხვევა, როცა თბილი ზამთრის პირობებში ადგილი აქვს მოსვენების მდგომარეობიდან მცენარის გამოსვლას. ამ დროს ხდება ნიუთიერებათა გარდაქმნა: გაღვიძებული ქსოვილები კარგავენ ყინვაგამძლეობას და მცირე სიცივეც კი იწვევს კვირტების დაზიანება-განადგურებას [4].

მრავალმა ავტორმა დაადგინა, რომ მოსვენების ხანგრძლივობა ერთნაირი არაა მცენარის ყველა ორგანოსათვის: ყველაზე ღრმა მოსვენების პერიოდით ხასიათდება ყლორტი და კვირტის საფარველი, შედარებით მცირე დროით კვირტის შინაგანი არსი [5] და ა. შ. ამ ფაქტის კვლამარტება აიხსნება იმით, რომ ხშირად გამოფურჩქნილი ყლორტები აჩერებენ ზრდას და ხმებიან. ასე-

თი კვირტების ქვეშ მდებარე უჯრედების ანალიზით, პ. გენკელმა და ფ. ოკრინამ (1952) დაადგინეს, რომ ისინი იმყოფებიან ღრმა მოსვენების პერიოდში ამის შედეგად საკვები ნივთიერება არ გადადის რქიდან კვირტის უჯრედში, რაც იწვევს სწორედ მათ გახშობას.

საცდელად აღებულ ჯიშებზე ზამთრის კვირტები ივლისიდან ნოემბრამდე ბოლომდე ძალიან ადვილად, მოსვენების პერიოდის წინასწარ გავლის გარეშე იწყებენ ზრდას, თუ საამისოდ არსებობს ხელსაყრელი პირობები. ასე, მაგალითად, აგვისტოში ჩინურის კვირტების გამოფურჩქვნისათვის საკმარისია 16—23 დღე, ხოლო თბილისურისათვის 12—15 დღე (ცხრ. 1).

სექტემბრის პირველი რიცხვებიდან კვირტები იწყებენ მოსვენების პერიოდში შესვლას. ამ თვეში აღებულ ნიმუშებზე, ლაბორატორიულ პირობებში, კვირტების განვითარებისათვის უკვე საჭიროა: ჩინურისათვის 113—138, ხოლო თბილისურისათვის 109—125 დღე. ამ პერიოდისათვის ზამთრის კვირტი ღრმა მოსვენების ფაზაშია ორივე ჯიშზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ყლორტის ზრდის კონუსი განაგრძობს ზრდას და ფოთლები ინარჩუნებენ შრომისუნარიანობას — ითვისებენ ნახშირორჟანგს და წარმოქმნიან ასიმილანტებს.

ჩვენი დაკვირვებით, ღრმა მოსვენების პერიოდში, რომელიც 15 სექტემბრიდან თითქმის იანვრის ბოლომდე გრძელდება, ლაბორატორიულ პირობებში კვირტები იფურჩქნებიან ძალიან ძნელად და მხოლოდ დიდი დროის გავლის შემდეგ.

იანვრის დასასრულს ჩინურისა და თბილისურის კვირტების განვითარებისათვის საკმარისია 50—56 დღე. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდისათვის კვირტები გამოდიან ღრმა მოსვენების ფაზიდან და თუ თებერვალში ხელსაყრელი პირობები შეიქმნება, მაშინ მათი განვითარებისათვის საკმარისი იქნება 26—34 დღე.

როგორც ჩანს, თებერვლის დასაწყისიდან მუდმივი სითბობის დადგომამდე გაცილებით ადრე, კვირტები ორგანული მოსვენებიდან გადადიან იძულებით მოსვენებაში. მათი განუვითარებლობა ამ პერიოდში უკვე გამოწვეულია ძირითადად არაბელსაყრელი ტემპერატურული პირობებით.

საერთოდ მიღებულია, რომ მცენარის მოსვენების პერიოდი იწყება ფოთოლკვენის შემდეგ და გრძელდება ტირილის დაწყებამდე. ძირითად კვირტებზე დაკვირვება კი სხვა სურათს იძლევა. ისინი გაცილებით ადრე, ზაფხულის ბოლოს შედიან მოსვენებაში და სექტემბრის დასასრულისათვის შესაძლოა ღრმა მოსვენების ფაზაში იყვნენ.

ასეთივე მდგომარეობაა მოსვენების პერიოდიდან გამოსვლის მხრივაც. ტირილის დაწყებამდე გაცილებით ადრე კვირტი გამოდის ღრმა მოსვენების პერიოდიდან. იგი მუდმივი სითბობის დადგომამდე გაცილებით ადრე მზადაა გამოფურჩქვნისათვის, მაგრამ დაბალი ტემპერატურის გამო განიცდის იძულებით მოსვენებას.

აღსანიშნავია, ისიც, რომ ქვედა კვირტები, რომლებიც ადრე მწიფდებიან და შეიცავენ სახამებლის დიდ რაოდენობას, 10—15 დღით ადრე შედიან

შპს-ების პერიოდის სანგაძლეობა



სანგაძლეობის აღების თარიღი

საქსტატი

	სანგაძლეობის აღების თარიღი															
	15/VIII	30/VIII	15/IX	30/IX	15/X	30/X	15/XI	30/XI	15/XII	30/XII	15/I	30/I	15/II	30/II		
შპს-ები	საშუალო საზომი	21/8	22/9	6/1	15/2	24/2	28/2		15/2	19/2	3/3	9/3	21/3	13/3	16/3	23/3
	შპს-ების რაოდენობა	16	23	113	138	132	121	—	77	64	63	53	50	26	15	13
საზღვარი	საშუალო საზომი	27/8	15/9	-2/1	2/2	8/3	4,3	—	4/3	13/4	11/3	23,3	6/4	21/3	11/3	4/4
	შპს-ების რაოდენობა	12	15	109	125	129	126	105	—	79	71	67	56	34	18	20

მოსვენების ფაზაში, ვიდრე ეწეა ზონის კვირტები და კიდევ უფრო გვიან აღინიშნება ეს პროცესება წვეროს ზონაში.

კვირტის მოსვენების შესახებ არსებული მასალების მიხედვით, როდესაც ემბრიონული ყვავილელების ჩასახვა-დიფერენციაციის ანალოზებით იგი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ.

აგვისტოს ბოლომდე კვირტი არ არის მოსვენების პერიოდში შესული. მისი განვითარება იმავე წელს შესაძლებელია შესაფერისი პირობების შექმნით. რაც შეეხება ყვავილელების ჩასახვა-დიფერენციაციას, ამ დროს იგი უმაღლეს წერტილს აღწევს. ამიტომ მევენახეობის სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აგვისტოს მეორე ნახევარში ზამთრის კვირტებში უკვე საბოლოოდ ფორმირებულია ყველა ის ყვავილენი, რომლებიც მომავალ წელს უნდა განვითარდნენ.

სექტემბრის პირველი რიცხვებიდან იანვრის ბოლომდე კვირტები ღრმა მოსვენების ფაზაშია. ამ პერიოდში, მიუხედავად ხელსაყრელი პირობებისა, ისინი არ ვითარდებიან ხანგრძლივი დროის მანძილზე. ამ დროს მათში სრულიად წყდება ყვავილელების ჩასახვა და უკვე ჩასახული ყვავილელების დიფერენციაცია: ყვავილელების სიდიდე არ იცვლება, ახალი ორგანოების წარმოშობა არ შეიძინება.

თებერვლის დასაწყისში კვირტი იწყებს ღრმა მოსვენებიდან გამოსვლას. მასში უკვე იწყება სასიცოცხლო პროცესები, რაც განსაკუთრებით აქტიურდება ტირილიდან დაწყებული კვირტის გამოფურჩქვნამდე. ამ დროს ვაზის ყველა ორგანოში, ღეროს გარდა, შეიქმნება სახამებლის რაოდენობის შემცირება, რაც ფაქტიურად განსაზღვრავს ვეგეტაციის დაწყებას. სწორედ ამ პერიოდში გრძელდება (და არ წარმოიშვება) იმ ყვავილელების საბოლოო ფორმირება, რომლებმაც ვეგეტაციის ბოლოს ვერ მოასწრეს სრული სტადიის გავლა.

ამრიგად, არ არის არავითარი საფუძველი ვიფიქროთ, რომ ყვავილეების ბორცვაკები, რომლებიც მივროსკოპში ჩანან და შემოდგომაზე ვერ მოასწრეს დიფერენციაცია, არ განვითარდებიან მომავალი წლის გაზაფხულზე სრულყოფილ ყვავილელებად ხელსაყრელ პირობებში. ამ შემთხვევაში გაზაფხულის პირობებს აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა. იგი განსაზღვრავს ემბრიონული მოსავლიანობის ზრდას და დაკლებას. როდესაც გარემო პირობები ხელსაყრელი არ არის კვირტის განვითარებისათვის, მაშინ დიფერენციაცია ფერხდება. იგი ნელა მიმდინარეობს და მტენის ნაცვლად ვითარდება კუფხალი. უფრო მეტიც, ზოგჯერ ჩასახული ყვავილეები სრულებით არ ვითარდებიან.

საინტერესოა ერთი გარემოებაც. გაზაფხულზე კვირტების ნელი ზრდა და გვიან გამოფურჩქვნა ხელს უწყობს ჩანასასოვანი ორგანოების უფრო სრულ დიფერენციაციას. თუ ის ნორმალურ პირობებში მიმდინარეობს და გამოწვეულია ჯიშის თავისებურებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩანასასოვანი ორგანოების განვითარება ფერხდება.

თუ შევადარებთ შემოდგომა-გაზაფხულის ემბრიონულ მჩვენებლებს შეიძლება შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ. ჩინურსა და თბილისურზე მოსავლიანი კვირტები გაზაფხულზე შესაბამისად იზრდებიან 8,34 და 8,33%-ით,

ორყვავილედიანი კვირტების რიცხვი კი 1,67 და 6,41%-ით. აღნიშნული მაჩვენებლები იზრდება არა ახალი ყვავილელების წარმოშობით არამედ კულტურის ფორმირებით, რომლებმაც შემოდგომაზე ვერ მოასწრეს სიწვადი დიფერენცია (ტბრ. 2).

ტ ბ რ ი 2

ემბრიონული ყვავილელების რაოდენობა შემოდგომა-გაზაფხულის პერიოდში

ნიშნის ალბის დრო	რქის ზონები	ჩ ი ნ უ რ ი			თბილისური		
		მოსავლიანი კვირტის რაოდენობა (%)	ორყვავილედიანი კვირტის რაოდენობა (%)	მსპრობის კოეფიციენტი	მოსავლიანი კვირტის რაოდენობა (%)	ორყვავილედიანი კვირტის რაოდენობა (%)	მსპრობის კოეფიციენტი
ფაშაქა	1—4	77,5	10,0	0,87	57,5	7,50	0,65
	5—8	80,0	15,0	0,95	67,5	15,0	0,82
	9—12	95,0	40,0	1,35	95,0	25,0	1,2
რქის საშუალო სიგრძეზე	1—12	84,16	21,66	1,05	73,33	16,5	0,89
საქაფი	1—4	87,5	15,0	1,02	70,0	13,75	0,83
	5—8	95,0	20,0	1,15	85,0	35,0	1,1
	9—12	95,0	35,0	1,3	90,0	30,0	1,2
რქის საშუალო სიგრძეზე	1—12	92,5	23,33	1,15	81,66	22,91	1,04

გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ მოსავლიანობის ემბრიონული მაჩვენებლების მატება უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს ქვედა ზონის კვირტებში. ასე, მაგალითად, 1—4 მუხლის ზონაში როგორც ჩინურზე, ისე თბილისურზე მოსავლიანი კვირტების მატება შესაბამისად უდრის 10 და 12,5%-ს, ორყვავილედიანი კვირტებისა კი 5 და 6,25%-ს; 5—8 მუხლის ზონაში პირველი მაჩვენებელი გაზაფხულზე 15—17,5%-ით მეტია შემოდგომასთან შედარებით, მეორე მაჩვენებელი კი 15—10%-ით, მაშინ როდესაც 9—12 მუხლის ზონაში უკვე შემოდგომაზე აღინიშნება მოსავლიანი კვირტების დიდი რაოდენობა, რაც ორივე ჯიშზე 95—95%-ს უდრის.

მიღებული შედეგებიდან ჩანს, რომ აღნიშნული ზონის კვირტები ვეგეტაციის პერიოდში სრულად ფორმირდებიან. ისინი, ქვედა კვირტებისაგან განსხვავებით, გაზაფხულზე აღარ თხოულობენ დამატებით დიფერენციაციას ამის დამადასტურებელია ისიც, რომ 9—12 მუხლის ზონაში ორყვავილედიანი კვირტების რიცხვი შემოდგომაზე დიდია და შეადგენს 25—40%-ს.

ჩვენ მიერ ჩატარებული გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ საერთო ჯამში

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის აქტივობების შედეგების ანგარიშგება



კონსტრუქციის სახე	საგანი	საგნის სახე	საგნის მდგომარეობის ინდიკატორები										13	14	15	16		
			1	2	3	4	5	6	7	8	9	10						
საგანი	1967	ეგვიპტური ძეგლები	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
			0,6	1,2	1,2	1,2	1,4	1,4	1,0	1,0	1,4	1,0	1,4	1,2	1,4	1,2	1,16	—
			0,66	1,1	1,14	1,15	1,34	1,22	1,22	1,29	1,33	1,3	1,25	1,18	1,19	—	—	—
საგანი	1966	ეგვიპტური ძეგლები	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
			1,0	1,2	1,0	0,8	1,2	0,8	1,2	1,2	1,4	1,4	1,2	1,2	1,4	1,15	—	—
			0,85	1,0	1,12	1,06	1,05	1,12	1,0	1,0	1,25	1,28	1,18	1,3	1,1	—	—	—
საგანი	1966	ეგვიპტური ძეგლები	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
			0,3	0,8	1,2	1,2	1,4	1,4	1,4	1,2	1,4	1,2	1,2	1,2	1,2	1,15	—	—
			0,1	1,0	1,1	1,27	1,5	1,66	1,18	1,45	1,25	1,22	1,0	1,8	1,18	—	—	—
საგანი	1967	ეგვიპტური ძეგლები	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—
			0,6	0,8	0,2	0,6	0,6	0,8	0,6	0,8	1,4	1,2	1,2	1,2	1,4	0,93	—	—
			0,5	0,66	0,76	0,88	0,77	0,95	1,08	1,21	1,3	1,1	1,07	1,3	0,96	—	—	—

ორივე ჯიშში ხასიათდება მოსავლიანი კვირტების დიდი რაოდენობით. ისეთი კვირტების რიცხვი ჩინურზე შეადგენს 92,5%-ს, ხოლო ევროპულზე 81,66%-ს, ე. ი. მათ ახასიათებს პოტენციალური მოსავლიანობის მაღალი კოეფიციენტი, რაც სავსებით საკმარისია უხვი მოსავლის მიღებისათვის. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი საკითხიც. თუ შევადარებთ ვაზის მსხმოიარობის რეალურ და ემბრიონულ მაჩვენებლებს (ცხრ. 1) შეიძლება ვთქვათ, რომ მუხრანის პირობებში მოსავლის ის რაოდენობა, რომელიც გვხვდება კვირტში გაფურჩქვნამდე, თითქმის მთლიანად ვლინდება. სხვაობა ჩასახული და გამოვლინებული ყვავილედების რაოდენობას შორის, წლების მიხედვით ძალიან მცირეა. ასე, მაგალითად, 1966—1967 წწ. მსხმოიარობის ემბრიონული კოეფიციენტი შეადგენდა შესაბამისად 1,16—1,15, რეალური კი 1,19—1,1, ე. ი. ჯიშ ჩინურზე 1966 წ. მსხმოიარობის კოეფიციენტის რეალური მაჩვენებელი 0,03-ით მეტია ემბრიონულზე, ხოლო 1967 წ. პირიქით, 0,05-ით ნაკლებია.

დაკვირვების წლების მსხმოიარობის კოეფიციენტის საშუალო-არიომეტიკული კი ასეთ სურათს იძლევა.

ჩინურზე ემბრიონული ყლორტის მსხმოიარობის კოეფიციენტი ვეგეტაციის ბოლოს 1,05, ხოლო გაზაფხულზე—1,15, ყლორტების განვითარების შემდეგ იგი თითქმის უცვლელია და უდრის 1,14. ანალოგიური სურათია თბილისურზეც.

ამრიგად, საცდელად აღებულ ჯიშებზე ჩასახული მოსავალი, რომელიც გაზაფხულისათვის გვხვდება დაბერილ კვირტებში, მთლიანად ვლინდება. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ მუხრანის კლიმატური პირობები ამ მხრივ სავსებით ხელსაყრელია თბილისურისა და ჩინურის ზრდა-განვითარებისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, საცდელად აღებულ ჯიშებზე ჩასახული მოსავალი მთლიანად ვლინდება. მაგრამ მწვანე ყლორტი ხშირად არ იძლევა ისეთ გამოხატულებას მოსავლიანობის მხრივ, როგორც აღნიშნული იყო მასზე მიკროსკოპის ქვეშ. რქის სიგრძეზე ჩასახულ და გამოვლინებულ მოსავალს შორის ზუსტი კანონზომიერება არ არსებობს. კვირტების ერთ ნაწილში მეტია ჩასახული და ვლინდება ნაკლები, ხოლო მეორე ნაწილში პირიქით, ნაკლებია ჩასახული და ვლინდება მეტი (ცხრ. 3). ეს გარემოება ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, რომ თითოეული კვირტის ბუნება მოსავლის ჩასახვა-გამოვლინების მხრივ თავისებურია, რასაც ამრავალი ფაქტორი განსაზღვრავს. მათგან გადამწყვეტია ტემპერატურა და კვების პირობები.

დასკვნები

1. ღრმა მოსვენების პერიოდში კვირტში ჩანასახოვანი ორჯანობის წარმოშობა არ ხდება, ჩასახული ყვავილედების დიფერენციაცია ჩერდება, არ აღინიშნება ჩანასახის ფორმის შეცვლა და მათი მოცულობაში მატება.
2. გაზაფხულზე, ტირილის დაწყებიდან კვირტის გამოფურჩქვნამდე მიმდინარეობს იმ ყვავილედებისა და ბორცვაკების დიფერენციაცია, რომლებმაც

შემოდგომაზე ვერ მოასწრეს სრული ფორმირება. ახალი ყვავილელების წარმოშობა არ ხდება.

3. ამ პერიოდში აგროტექნიკური ღონისძიებების დროულად, მაღალ ხარისხოვნად ჩატარება ხელს უწყობს ჩასახული მოსავლის მთლიანად გამოვლინებას, რაც უხვი მოსავლის მიღების საწინდარია.

დასომეხი ლიტერატურა

1. Айвазян К. К. и др.—Некоторые вопросы подрезки. Жри. «ВиВ СССР», 1953, № 9.
2. Колесник З. В.—Формирование зачатков соцветий в весенний период. Жри. «ВиВ СССР», 1953, № 8.
3. Каланов Б. Ш., Молчанов В. Л.—Особенности развития соцветий у различных сортов винограда. Жри. «ВиВ СССР», 1965, № 2.
4. Макаров-Кожухов Л. М.—Влияние зимних потеплений на плодоношение некоторых сортов винограда. Жри. «ВиВ СССР», 1953, № 5.
5. Окница Е. Э., Кузьмин А. Я.—Изучение глубины покоя у винограда, как фактора морозоустойчивости в условиях северного виноградарства. Тр. Инст. физ. растений АН СССР, т. 9, 1955.
6. Стоев К. Д.—К биологии пасынков виноградной лозы. Жри. «Агробиология», 1952, № 6.
7. Турьянский Г. Ф.—Плодоносность почек виноградной лозы. Жри. «ВиВ СССР», 1950, № 4.
8. Гютюник А. Ф.—Развитие зимующих почек виноградной лозы в средней полосе СССР. Жри. «ВиВ СССР», 1952, № 1.

სოფ. მეურნ. მეცნ. კანდიდატი შ. ჰეშელაშვილი

მსხლის საძირების შესწავლა და მათგან უკეთესის შერჩევა

საძირე ნამყენის ერთ-ერთი კომპონენტია. ხეხილის ზრდა-განვითარება და მოსავლიანობა სხვა მრავალ პირობებთან ერთად დიდად არის დამოკიდებული საძირეზე. რომელიც გავლენას ახდენს მცენარის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, გვალვა და ყინვაგამძლეობაზე, მოსავლიანობაში დაჩქარებით ან დაგვიანებით შესვლაზე და სხვა [1, 2]. საძირე გავლენას ახდენს აგრეთვე ნაყოფის ზომაზე, მის ქიმიურ შედგენილობასა (მაქრები, მკავეები, ვიტამინები) და შემცველობაზე [4].

საძირისა და სანამყენოს ფიზიოლოგიურად შეუთავსებლობისას ნამყენი სუსტად იზრდება, კნინდება, უმოკლდება ვეგეტაციის პერიოდი და ხეს ნაადრევად ეწყება ფოთოლცვენა. საძირისა და სანამყენოს შერდის არამყარობა, ამასთან ერთად, იწვევს სანერგეში, მცნობის ადგილთან ნამყენის გადამტვრევას [7]. საძირეს უნდა ახასიათებდეს სანამყენოსთან ანატომიურად მყარი შეზრდა, რაც უზრუნველყოფს სასიცოცხლო პროცესების ნორმალურ მიმდინარეობას [8].

შერჩეული საძირე კარგად უნდა ეგუებოდეს ადგილობრივ კლიმატურ და ნიადაგურ პირობებს, თესლით გამრავლებიას უხვ აღმონაცენს და კარგად განვითარებულ სტანდარტულ საძირე მასალას უნდა იძლეოდეს. [2, 5, 6].

როგორც ცნობილია, მსხლის ჭიშების მთავარ საძირედ პანტა (*P. caucasica*) გამოყენებული, რომელიც ჩვენს ტყეებში ველურადაა გავრცელებული დადგენილია, რომ პანტის თესლს ახასიათებს დაბალი აღმოცენების უნარი, მისი ნათესარები არ ივითარებენ განტოტვილ ფესვებს და პირველ ორ წელს სუსტი და არათანაბარი ზრდით ხასიათდებიან, რის გამოც მათზე დამყნობილი მსხლის კულტურული ჭიშებიც არათანაბრად იზრდებიან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რადგან პანტა ჩვენში ძირითადად ტყეებშია გავრცელებული გაფანტულად ფოთლოვანი ტყის ჭიშებთან ერთად, მისგან ნაყოფების დამზადება გაძნელებულია.

არსებობს მსხლის მეორე ველური სახეობა ზეთისხილისებრფოთლო მსხალი (*P. elaeagnifolia*), რომელსაც საქართველოში ბერყენას უწოდებ-



ბენ. ბერყენა მშრალი ადგილების სახეობაა, რომელიც გვხვდება ნათელსა და მკვეთრად ნათელსა. ბერყენა ძვირფას საძირედ უნდა ჩაითვალოს. — აღნიშნავს მისი მნიშვნელობა. — მსხლის კულტურული ჯიშების გასამრავლებლად მშრალ, გვალვიან და ურწყავ ადგილებში. საქართველოში ბერყენას რამდენიმე ფორმაა გავრცელებული, რომლებიც ერთიმეორისაგან განსხვავდებიან ზრდის სიძლიერით, ნაყოფების მოყვანილობით, ზომით, გემოთი, და სხვა თავისებურებით. ბერყენა, როგორც საძირე მსხლის კულტურისათვის, არ არის მეცნიერულად შესწავლილი.

ამ ბოლო დროს როგორც საზღვარგარეთ, ისე ჩვენში ცდების საფუძველზე მოუთითებენ საძირეებად ხეხილის კულტურული ჯიშების გამოყენების ეფექტიანობაზე.

საძირეებად მსხლის კულტურული ჯიშების შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს მებუღებოს შემდგომი აღმავლობისათვის. ამასთან დაკავშირებით შევისწავლეთ ადგილობრივი წარმოშობის მსხლის ზოგიერთი ჯიშო (პანტამსხალი, გვერდწითელა, ზაფხულის გულაბი და ზამთრის ხეჭეჭური), რომ საძირეებად მათგან შეგვეჩინა უკეთესი. ცდაში ჩართული იყო აგრეთვე წვრილფოთლებიანი ბერყენა და ხერხებილაფოთლებიანი ბერყენა. საკონტროლოდ ავიღეთ პანტა.

ცდა დაეყენეთ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მუხრანის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში 1961—1965 წწ. ხოლო 1966 წლიდან დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში.

თესლის დასამზადებლად გამოყავით ნორმალურად განვითარებული, ჯანმრთელი, სრულმსხმოიარე ხეები: პანტა სოფ. წინარეხში (ქაპის რაიონი), პანტამსხალი სოფ. კარბში, გვერდწითელა და ზაფხულის გულაბი სოფ. კარალეთში (გორის რაიონი), ზამთრის ხეჭეჭური სოფ. თაპარაშენში (ცხინვალის რაიონი), ბერყენას ორივე ფორმა (წვრილფოთლებიანი და ხერხებილაფოთლებიანი) სოფ. მუხათვერდის (მცხეთის რაიონი) უკან ტყის ნაპირებში.

ცდაში შევისწავლეთ შემდეგი საკითხები:

1. თესლის გამოსავლიანობა ნაყოფებიდან.
2. თესლის აღმოცენების ვადები.
3. თესლის აღმოცენებისუნარიანობა.
4. ნათესარების ფესვთა სისტემისა და მიწისზედა ორგანოების განვითარების სიძლიერე.
5. მსხლის სამრეწველო ჯიშებთან საძირეთა აფინიტეტი (კვარტით მყნობის შემდეგ გახარების რაოდენობა).
6. სხვადასხვა საძირის გავლენა ოქულანტების ზრდის დინამიკაზე.

მიღებული შედეგები

ცდის დაწყებამდე შევისწავლეთ საძირეებად შერჩეული სადღე ხეების ნაყოფებიდან თესლის გამოსავლიანობა. ვერფდით საღი და თანაბარი განვითარების

რების ნაყოფებს ბოტანიკური სიმწიფის პერიოდში და შემდეგ ემზადებოდათ
თესლს (ცბრ. 1).



თესლის გამოსავლიანობა სადედო ხეების ნაყოფებიდან
(1961 წ.)

სადედეო ხეები	1 კვ ნიმუ- ში ნაყო- ფების რაოდენო- ბა	1 ცალ ნაყოფ- ში თესლის რაოდენობა (ცალ.)	1 კვ ნაყოფი- დან დამზადე- ბული თესლის რაოდენობა (ცალ.)
1. პანტა	58	4-6	320
2. პანტამსხალი	50	4-9	300
3. გვერდწითელა	43	8-10	418
4. ზაფხულის გულაბი	10	2-4	33
5. ზამთრის ხეჭეჭური	7	1-2	13
6. ბერყენა წვრილფოთლებიანი	69	6-8	409
7. ბერყენა ხერხებილაფოთლებიანი	80	5-6	390

ყველაზე მეტი რაოდენობის თესლი მივიღეთ გვერდწითელა მსხლიდან, შემდეგ წვრილფოთლებიან და ხერხებილაფოთლებიან ბერყენადან, ხოლო ნაკლები პანტისაგან, პანტამსხლის და ზამთრის ხეჭეჭურისაგან, რომელთაც ბუნებრივად ახასიათებს დიდი რაოდენობით განუვითარებელი თესლი. დადგინდა, რომ მსხლის ველური სახეობები და კულტურული წარმოშობის წვრილნაყოფა ჯიშები საგრძობლად მეტ თესლს იეითარებენ, ვიდრე იგივე კულტურული მსხვილნაყოფა ჯიშები.

თესლის აღმოცენების უნარიანობისა და აღმოცენების ვადების შესასწავლად მუხრანის სამწავლო-საედიელ მეურნეობის სანერგეში 1961 წ. 6 ნოემბერს დავეთესეთ პანტის, პანტამსხლის, გვერდწითელას, ზაფხულის გულაბის, ზამთრის ხეჭეჭურის, წვრილფოთლებიანი და ხერხებილაფოთლებიანი ბერყენას თესლები.

სანერგეში ნიადაგის დამუშავება და თესვა ჩატარდა აგროწესების ზუსტი დაკვირვებით.

მსხლის გარეული სახეობების და კულტურული ჯიშების თესლების აღმოცენების ვადები ურთიერთს დიდად არ შორდებიან. როგორც მე-2 ცხრილიდან ჩანს, ყველაზე ადრე აღმოცენდა წვრილფოთლებიანი, ხოლო შემდეგ ხერხებილაფოთლებიანი ბერყენა. მათთან შედარებით 4-7 დღით გვიან აღმოცენდა გვერდწითელა და ზაფხულის გულაბი. კიდევ უფრო გვიან — პანტამსხალი და ზამთრის ხეჭეჭური.

სანერგედან სტანდარტულ საძირეთა გამოსავლიანობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული თესლის თანაბრად აღმოცენების უნარზე.

მსხლის ველური ფორმებისა და ადგილობრივი წარმოშობის კულტურული ჯიშების თესლების აღმოცენების უნარი ურთიერთისაგან დიდად განსხვავებულ-



თესლო	დათესლი თესლის რაოდენობა (ცალი)	აღმოცენების ვადა		აღმოცენების უნარიანობა	
		დასაწყისი	დასასრული	აღმოცენებული ნათესების რაოდენობა (ცალი)	%
1. პანტა	300	20/III	10/IV	168	56,0
2. პანტამსხალი	"	20/III	8/IV	198	66,0
3. გვერდწითელა	"	17/III	6/IV	223	74,3
4. ზაფხულის გულაბი	"	17/III	6/IV	204	68,0
5. ზამთრის ხეჭეჭური	"	22/III	14/IV	165	52,7
6. ბერყენა წერილფოთლებიანი	"	10/III	30/III	231	77,0
7. ბერყენა ხერხებილაფოთლებიანი	"	13/III	2/IV	239	81,7

ლია. ყველაზე მაღალი აღმოცენების უნარი ახასიათებს ხერხებილაფოთლებიან ბერყენას თესლებს, შემდეგ მოდის გვერდწითელა და ზაფხულის გულაბის თესლები, ხოლო ბოლოს, ზამთრის ხეჭეჭური (ცხრ. 2).

როდესაც ნათესარებმა 3—4 ნამდვილი ფოთოლი განვიითარა, თითოეული ვარიანტიდან ნახევარს გაუუკეთეთ პიკირება, ხოლო მეორე ნახევარი დეტრევით ადგილზე პიკირების მხარეში.

საძირეების მოვლა ტარდებოდა აგროწესების მიხედვით. ნათესარების საძირედ გამოყენების დასადგენად გვიან შემოდგომით თითოეული ვარიანტიდან ამოვიღეთ ხუთ-ხუთი ცალი და დავაღვინეთ მათი საშუალო წონა (გ), მიწის-ზედა ნაწილის საშუალო სიმაღლე (სმ), ფესვის ყელის სისქე (მმ), ფესვის საშუალო წონა (გ) და ფესვის მთლიანი სიგრძე (სმ).

ადგილობრივი წარმოშობის მსხლის ჯიშებიდან ყველაზე ძლიერ ნათესარებს იძლევა გვერდწითელა, შემდეგ ზაფხულის გულაბი და პანტამსხალი ბერყენას ნათესარები სიმაღლითა და ფესვის ყელის სისქით ჩამორჩება სხვა ნათესარებს, მაგრამ მათ უფრო განტოტვილი ფესვთა სისტემა განუვითარდათ. დანარჩენ ვარიანტებთან შედარებით (ცხრ. 3).

დახარისხებული საძირეები დავრგეთ და მოვლა ტარდებოდა აგროწესების მიხედვით.

მსხლის სამრეწველო ჯიშებთან აფინიტეტის შესწავლის მიზნით აგვისტოს პირველ ნახევარში ჩატარდა კვირტით მყნობა. დაიყნო მსხლის ორი სამრეწველო ჯიშ—ბერე-ბოსკი და ვილიამსი.

კვირტილებული საძირეების რაოდენობა დიდად განსხვავებულია. ყველაზე მაღალი გაზარებით ხასიათდება გვერდწითელი (მე-5 ვარიანტი) და წერილფოთლებიან ბერყენაზე დამყნილი (მე-11 ვარიანტი) ბერე-ბოსკი. ასევე კარგი მაჩვენებლები მივიღეთ აგრეთვე 1-ელ ვარიანტში, (საძირე—პანტა, სანამყენე—ბერე-ბოსკი) და მე-10 ვარიანტში (საძირე—ზამთრის ხეჭეჭური, სანამყენე—



ცხრილი 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მსხლის ნათესარების მიწისზედა ნაწილისა და ფეხეთა სისტემის
განვითარების შედეგები

ნათესარი	1 ცულ. ნათესარის საშ. ზოან	1 ცული ნათესარის მიწისზედა ნაწილის საშ. სიმაღლე [სმ]	1 ცული ნათესარის ფეხეთა წყლის სიმაღლე [სმ]	1 ცული ნათესარის ფეხების საშუალო ზოან [სმ]	1 ცული ნათესარის ფეხის მოლანი სიკრძე	
	სმ	%				
1. პანტა	12,5	22,4	0,6	9,2	117	100
2. პანტამსხალი	17,6	25,1	0,6	10,4	110	94,0
3. გვერდწითელა	14,4	30,0	0,7	10,2	138	110,0
4. ზაფხულის გულაბი	15,0	25,2	0,6	8,9	108	92,0
5. ზამთრის ხეშეშური	12,7	21,6	0,7	9,5	132	113,0
6. ბერყენა წვრილფოთლიანი	10,2	16,3	0,5	7,0	185	158,0
7. ბერყენა ხერხებილაფოთლიანი	10,8	17,5	0,5	7,5	178	152,0

ვილიამსი). მათ დიდად არ ჩამორჩებიან მე-3 და მე-7 ვარიანტები, სადაც პანტამსხლისა და ზაფხულის გულაბზე დამყნოლი იყო ბერყენოსკი. რაც შეეხება მე-14 ვარიანტს, აქ ყველაზე დაბალი გახარების პროცენტი მივიღეთ (საძირე—ხერხებილაფოთლებიანი ბერყენა, სანამყენე—ვილიამსი).

ცდაში, საერთოდ, ვილიამსთან შედარებით ბერყენოსკმა თითქმის ყველა საძირეზე მოგვცა გახარების უკეთესი შედეგები, ვარდა ზამთრის ხეშეშურისა.

1964 წ. შევისწავლეთ ოკულანტების ზრდის დინამიკა, რისთვისაც ყოველ 10 დღეში ვზომავდით ნამყენის სიმაღლეს (ცხრ. 4).

დადგინდა რომ 10 მაისამდე ოკულანტების ზრდა თითქმის ყველა ვარიანტში ძალზე ნელა მიმდინარეობს. მაგრამ თვის მეორე ნახევრიდან იგი ერთ-ბაშად მატულობს და მაქსიმუმს აღწევს ივნისის მეორე ნახევარში, შემდეგ კი თანდათან კლებულობს და ივლისის მეორე ნახევარში მთლიანად წყდება. ცდაში მაისსა და ივნისში ვეგეტატიური ზრდა განსაკუთრებით ინტენსიურია მე-4, მე-5, მე-6, მე-8, მე-9 და მე-10 ვარიანტებში, ხოლო ყველაზე გვიან დამთავრდა იგი მე-5, მე-8, მე-9 და მე-14 ვარიანტებში (ცხრ. 5).

1965 წ. ადრე გაზაფხულზე (12/III) დაიწყო მსხლის ერთწლიანი ნამყენისათვის ფომრის მიცემა. დედატოტებად შერჩეული ნაზარდების გაძლიერების მიზნით, გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში ვაცლიდით მათ შორის წარმოშობილ ყლორტებს.

1965 წ. სავეგეტაციო პერიოდში შევისწავლეთ ფენოლოგიური ფაზების მიმდინარეობა და ნამყენის ვეგეტატიური ზრდის სიძლიერე.

ფენოლოგიური ფაზების მიმდინარეობაზე დაკვირვება დაიწყო კვირტების დაბერვიდან (ცხრ. 6). გამოირკვა ვარიანტების მიხედვით ფენოფაზების მიმდინარეობაში დიდი განსხვავება. კვირტები ყველაზე ადრე (10/III) და ამასთან ერთდროულად დაიბერა მე-12 და მე-14 ვარიანტებში, სადაც საძირეებად გამოყენებული იყო ერთ შემთხვევაში წვრილფოთლიანი, ხოლო მეორე შემთხვევაში ხერხებილაფოთლიანი ბერყენა, სანამყენედ კი ვილიამსი. 3—4



ეროვნული
სტატისტიკის
სამსახური

იკლავების წილის დინამიკა

იკლავების ჩატარების თვე და რიცხვი

კატეგორია	იკლავების ჩატარების თვე და რიცხვი								
	10/V	20/V	30/V	9/VI	20/VI	30/VI	10/VII	20/VII	30/VII
1. სპირტ პანტა, სანაშენე—ბერე-ბოსკო	3,2	24,0	53,3	69,1	80,4	88,0	90,9	91,8	—
2. სპირტ პანტა, სანაშენე — ვილიამსი	6,2	25,7	68,0	89,4	99,1	109,0	112,2	113,4	—
3. სპირტ პანტამსალი, სანაშენე — ბერე-ბოსკო	4,1	32,0	61,5	79,8	92,7	97,0	99,0	100,6	—
4. სპირტ პანტამსალი, სანაშენე — ვილიამსი	4,8	33,4	66,1	93,1	106,8	115,0	122,0	124,9	—
5. სპირტ გვერდწითელა, სანაშენე — ბერე-ბოსკო	4,0	30,6	78,10	99,1	109,0	115,2	121,0	122,0	122,2
6. სპირტ გვერდწითელა, სანაშენე — ვილიამსი	4,5	32,0	69,6	94,0	105,3	112,1	116,2	121,9	—
7. სპირტ ზეფელის გელაბი, სანაშენე — ბერე-ბოსკო	5,2	27,1	64,0	83,1	89,6	93,2	96,0	96,6	—
8. სპირტ ზეფელის გელაბი, სანაშენე — ვილიამსი	3,1	32,4	75,1	90,0	99,8	105,1	107,2	107,8	108,0
9. სპირტ ზამთრის ზეპუტერი, სანაშენე — ბერე-ბოსკო	6,4	36,2	69,9	93,7	103,4	114,8	119,6	121,8	122,4
10. სპირტ ზამთრის ზეპუტერი, სანაშენე—ვილიამსი	6,6	33,5	71,0	92,1	104,2	104,1	106,0	107,4	—
11. სპირტ ბერე-ბოსკო-წითელი, სანაშენე — ბერე-ბოსკო	5,0	27,4	58,6	81,4	92,7	103,0	107,0	111,6	—
12. სპირტ ბერე-ბოსკო-წითელი, სანაშენე — ვილიამსი	5,9	31,8	34,4	73,2	80,0	85,1	88,1	89,0	—
13. სპირტ ბერე-ბოსკო-წითელი, სანაშენე—ბერე-ბოსკო	5,0	29,4	66,7	92,6	108,0	118,0	121,1	122,0	—
14. სპირტ ბერე-ბოსკო-წითელი, სანაშენე—ვილიამსი	6,0	30,0	63,0	81,2	96,1	106,9	112,4	115,2	115,5



საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ნაშრომების კრებული
მეცნიერებათა აკადემიის
მისიონი (სს) სისსე (სს)

ვარიანტი	მეცნიერებათა აკადემიის მისიონი (სს)	სისსე (სს)
1. საძირე პანტა, სანამყენე — ბერე-ბოსკი	91,8	10
2. საძირე პანტა სანამყენე—ვილიამსი	113,4	12
3. საძირე პანტამსხალი, სანამყენე — ბერე-ბოსკი	100,6	9
4. საძირე პანტამსხალი — სანამყენე — ვილიამსი	124,9	12
5. საძირე გვერდწითელი, სანამყენე — ბერე-ბოსკი	122,0	11
6. საძირე გვერდწითელი, სანამყენე — ვილიამსი	119,9	12
7. საძირე ზაფხულის გულაბი, სანამყენე — ბერე-ბოსკი	96,6	9
8. საძირე ზაფხულის გულაბი, სანამყენე — ვილიამსი	107,8	10
9. საძირე ზამთრის ხეკეპური, სანამყენე — ბერე-ბოსკი	121,8	13
10. საძირე ზამთრის ხეკეპური, სანამყენე—ვილიამსი	107,4	12
11. საძირე ბერყენა წერილფოთლებიანი, სანამყენე — ვილიამსი	111,6	12
12. საძირე ბერყენა წერილფოთლებიანი სანამყენე — ვილიამსი	89,0	12
13. საძირე ბერყენა ზერხტილაფოთლიანი, სანამყენე—ბერე-ბოსკი	122,0	12
14. საძირე ბერყენა ზერხტილაფოთლიანი, სანამყენე—ვილიამსი	115,5	12

სხვადასხვა საძირის გავლენა ერთწლიანი ნაშენების ვეგეტატიურ მატებაზე

ვარიანტი	წლიური ნა- ზარდის სი- რბე (სმ)	შტამბის და- სწორი (სმ)	ფოთლის ფართობი (სმ ²)
1. საძირე პანტა, სანამყენე — ბერე-ბოსკი	40,0	17	26,4
2. საძირე პანტა, სანამყენე—ვილიამსი	52,0	17	27,0
3. საძირე პანტამსხალი, სანამყენე — ბერე-ბოსკი	41,7	16	23,3
4. საძირე პანტამსხალი, სანამყენე—ვილიამსი	73,3	19	37,0
5. საძირე გვერდწითელი, სანამყენე — ბერე-ბოსკი	45,1	17	28,8
6. საძირე გვერდწითელი, სანამყენე—ვილიამსი	66,7	18	34,4
7. საძირე ზაფხულის გულაბი, სანამყენე — ბერე-ბოსკი	30,0	16	23,9
8. საძირე ზაფხულის გულაბი, სანამყენე—ვილიამსი	29,0	16	24,6
9. საძირე ზამთრის ხეკეპური, სანამყენე — ბერე-ბოსკი	54,8	17	28,9
10. საძირე ზამთრის ხეკეპური, სანამყენე—ვილიამსი	38,3	16	22,3
11. საძირე ბერყენა წერილფოთლებიანი, სანამყენე — ბერე-ბოსკი	46,6	16	25,6
12. საძირე ბერყენა წერილფოთლებიანი, სანამყენე—ვილიამსი	44,0	16	24,2
13. საძირე ბერყენა ზერხტილაფოთლიანი, სანამყენე—ბერე-ბოსკი	59,1	18	33,4
14. საძირე ბერყენა ზერხტილაფოთლიანი, სანამყენე—ვილიამსი	60,0	17	31,0

დღის მოგვიანებით იგივე ფაზა დადგა ბერე-ბოსკზე, რომელიც დამყნოლი იყო წერილფოთლიანი და ზერხტილებიანი ბერყენაზე, ხოლო 6 დღის დაგვიანებით (16/III) დაიბერა კვირტები მე-4 და მე-8 ვარიანტში, სადაც პანტამსხალსა და ზაფხულის გულაბზე დამყნოლი იყო ვილიამსი.

საგრძობლად გვიან დაიწყო კვირტების დაბერვა 1-ულ, მე-2 და მე-3 ვარიანტებში, სადაც საძირედ პირველ ორ შემთხვევაში გამოყენებული იყო პანტა, ხოლო მესამე შემთხვევაში—პანტამსხალი, სანამყენედ კი შესაბამისად — ბერე-ბოსკი, ვილიამსი და ბერე-ბოსკი.

ანალოგიური სხვაობა აღინიშნა ვარიანტებს შორის კვირტების გახსნის, გამოფოთვლისა და ვეგეტატიური ზრდის დაწყების ფაზებშიც.



სტრუქტურა საძირის გველენა მშენებლის ხარისხზე მიჯნის განხილვის მიზნით
(ქიზი ბერე-ბოსტო და ვილიამი)

ქართული
ინჟინერული

კატეგორია	ერთეულის წარმართვის სწ. სივრცე (მ ²)	ერთი ერთეულის ფართობი (მ ²)	შტამბის დამატარი (მ ²)		
			დატვირთვალი	20/1	წლიური მატება
1. საძირი მარტი, სანამუცენ — ბერე-ბოსტო	5,6	24,2	17	25	6
2. საძირი მარტი, სანამუცენ — ვილიამი	7,5	26,1	17	23	6
3. საძირი მარტი, სანამუცენ — ბერე-ბოსტო	8,3	22,0	16	24	8
4. საძირი მარტი, სანამუცენ — ვილიამი	12,4	28,0	19	27	8
5. საძირი გვერდითი, სანამუცენ — ბერე-ბოსტო	9,7	26,6	17	24	7
6. საძირი გვერდითი, სანამუცენ — ვილიამი	11,8	25,0	18	22	8
7. საძირი ზედათი, სანამუცენ — ბერე-ბოსტო	4,7	22,5	16	22	6
8. საძირი ზედათი, სანამუცენ — ვილიამი	4,4	24,0	16	22	6
9. საძირი ზედათი, სანამუცენ — ბერე-ბოსტო	3,6	28,7	17	25	8
10. საძირი ზედათი, სანამუცენ — ვილიამი	7,1	23,0	16	23	8
11. საძირი ბერე-ბოსტო, სანამუცენ — ბერე-ბოსტო	10,5	26,6	16	22	5
12. საძირი ბერე-ბოსტო, სანამუცენ — ვილიამი	7,0	23,9	16	21	5
13. საძირი ბერე-ბოსტო, სანამუცენ — ვილიამი	12,9	26,7	18	23	4
14. საძირი ბერე-ბოსტო, სანამუცენ — ვილიამი	9,7	25,0	17	21	5

როგორც საცდელი, ისე საკონტროლო ნამყენებზე ნაზარდის სიგრძეში ზრდა ყველაზე ადრე დამთავრდა მე-12 ვარიანტზე, შემდეგ მე-2 და მე-14 ვარიანტებზე, 7—10 დღის დაგვიანებით 1-ელ, მე-6, მე-8 და მე-11 ვარიანტებზე, ხოლო კიდევ უფრო გვიან მე-7, მე-10 და მე-13 ვარიანტებზე. ცვენა კი ყველაზე ადრე (15/IX) დაიწყო მე-2, მე-12 და მე-14 ვარიანტებზე, 10 დღის დაგვიანებით მე-4, მე-5, მე-6, მე-8, მე-9, მე-10, მე-11 და მე-13 ვარიანტებზე, ხოლო ყველაზე გვიან 1-ელ, მე-3 და მე-7 ვარიანტებზე.

ფოთოლცვენა ყველაზე ადრე (25/XI) დამთავრდა მე-2, მე-6 და მე-14 ვარიანტებზე, ხოლო ყველაზე გვიან მე-9 ვარიანტზე.

ნამყენების ზრდის სიძლიერის მხრივ ყველაზე კარგ შედეგს მე-4, შემდეგ მე-6 ვარიანტი იძლევა, ხოლო კარგი მაჩვენებლებით ხასიათდება მე-13 და მე-14 ვარიანტები. მათ ჩამორჩა 1-ლი და მე-2 ვარიანტები.

1966 წ. მარტში დიღმის სააწელო საცდელ მეურნეობაში დახარისხებულ ეროვნული ნამყენებით გავაშენეთ მსხლის ნაკვეთი. ბაღის გაშენებამდე ნიადაგი დავამუშავეთ 2 თვით ადრე (დეკემბრის ბოლოს) 25 სმ სიღრმეზე და 5 მარტს დავიწყეთ დარგვა 100 სმ სიგანის და 50 სმ სიღრმის ორმოებში 8X6 მ კვების არეთი.

გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში ნიადაგში ტენის მარაგის შენარჩუნებისა და სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით საცდელი ნაკვეთის რიგება გაითხოხა 4-ჯერ. ნაკვეთის ერთ ნახევარზე რიგებშორის დარგვეთ პამიდორი, ხოლო მეორე ნახევარზე დაეთესათ ბოლოკი. შტამბიდან 1 მ-ის რადიუსით ნიადაგში შევიტანეთ აზოტი (სულფატამონიუმში), თითო ხეზე 50 გ-ის რაოდენობით პირველი რწყვის წინ. მკვებულებისა და დაავადებათა წინააღმდეგ პირველი წამლობა ჩატარდა მისის მეორე ნახევარში 1%-იანი ბორდოული სითხისა და 0,3%-ნი ანბაზინსულფატის ნაზავით. იმავე ხსნარით მეორედ შეიწამლა იელისის პირველ ნახევარში, ხოლო მესამედ—ავვისტოში.

1966 წ. აღვრიცხეთ საცდელ ხეებზე ეროვნული ნაზარდის სიგრძე (სმ) მიღებული შედეგების მიხედვით ვარიანტებს შორის საგრძნობი განსხვავებაა.

ეროვნული ნაზარდის სიგრძეში ზრდით ყველაზე კარგი შედეგი მივიღეთ მე-4, შემდეგ მე-6 და ბოლოს მე-13 ვარიანტებზე. მათ მცირედ ჩამორჩა მე-5, მე-11 და მე-14 ვარიანტები.

ეროვნული ნაზარდი ყველაზე ნაკლები სიგრძის განვითარდა მე-7 და მე-8 ვარიანტებზე.

შტამბის დიამეტრის წლიური ნამატი ყველაზე მეტი იყო მე-3, მე-4, მე-9 და მე-10 ვარიანტებში. შედარებით მცირე 1-ელ, მე-2, მე-7 და მე-8 ვარიანტებში, ხოლო ყველაზე ნაკლები—მე-11, მე-12, მე-13, მე-14 ვარიანტებში. ფოთლის ფართი მეტი იყო მე-4, მე-2, მე-6, მე-14 ვარიანტებში, შემდეგ მე-10 და ბოლოს, მე-13 და მე-11 ვარიანტებში.

ამრიგად ევგეტატიური ზრდის მიხედვით ყველაზე კარგი მაჩვენებლებით ხასიათდებიან მსხლის ის ჯიშები, რომლებიც დამყნობილია პანტამსხლის, გვერდწითელასა და ხეჭეჭურის საძირებზე.



1. თესლის ყველაზე მეტი გამოსავლიანობით ხასიათდება გერმანული ბერყენა. შედარებით ნაკლები—პანტა და პანტამსხალი, ხოლო ჰემპტური, რომელიც გარდა ამისა, იძლევა განუვითარებელ (ჩუტე) თესლებსაც

წვრილნაყოფა მსხლის, როგორც ველური სახეობები, ისე კულტურული ჯიშები უფრო მეტ თესლს ივითარებენ, ვიდრე მისივე მსხვილნაყოფა ჯიშები.

2. აღმონაცენების ვადების მიხედვით მსხლის ფორმები ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდებიან. ამ მხრივ აღსანიშნავია მხოლოდ ბერყენას ფორმები, რომლებიც პანტასთან შედარებით 7—10 დღით ადრე იძლევიან აღმონაცენს.

3. ყველაზე მეტ აღმონაცენს იძლევა ხერხკბილაფოთლებიანი ბერყენა (81%), შემდეგ წვრილფოთლიანი ბერყენა (77%) და გვერდწითელა (74,3%), უფრო ნაკლებს გულაბი (68%) და პანტამსხალი (66%), ხოლო ძალზე მცირეს პანტა (56%) და ზამთრის ჰემპტური.

4. ყველაზე ძლიერი ზრდით გვერდწითელას შემდეგ ხასიათდება ზაფხულის გულაბისა და პანტამსხლის ნათესარები, ხოლო განტოტვილი და შემწოვა ფესვების მეტ რაოდენობას ივითარებს ბერყენას ნათესარები.

5. გახარების ყველაზე უკეთესი შედეგი მიიღება გვერდწითელას და წვრილფოთლებიან ბერყენაზე ბერე-ბოსკის დამყნის შემთხვევაში, კარგ შედეგს იძლევა აგრეთვე ზამთრის ჰემპტურზე დამყნილი ვილიამსი. ყველაზე დაბალი გახარება ზაფხულის გულაბსა და ხერხკბილაფოთლიან ბერყენაზე ვილიამსის დამყნის შემთხვევაში.

6. ოკულანტების ზრდა ყველაზე ინტენსიურია მანისის მეორე ნახევრიდან ივნისის მეორე ნახევრამდე, შემდეგ კი თანდათან კლებულობს და ივლისის მეორე ნახევარში ისახება ტერმინალური კვირტი.

7. ადგილობრივი წარმოშობის მსხლის ჯიშებიდან საძირებდად გამოყენების თვალსაზრისით უკეთესია გვერდწითელა და პანტამსხალი, შემდეგ კი ბერყენა. ზამთრის ჰემპტურისა და გულაბის გამოყენება საძირებდად მიზანშეწონილი არაა, რადგან თესლს იძლევიან ძალზე მცირე რაოდენობით.

დადოვიანი ლიტერატურა

1. ნ. ხომიჭრაშვილი — მეხილეობა, თბ., 1939.
2. ნ. ხომიჭრაშვილი, ვ. კიპაშვილი — მეხილეობა, თბ., 1963.
3. ქუთათელაძე — საქართველოს ბერყენები, თბ., 1962.
4. Е. Кочанов—Влияние подвоя на изменчивость пещина шафранского. Журн. «Садоводство», № 12, 1966.
5. И. Черняев—Факты подтверждают. Журн. «Садоводство», № 12, 1966.
6. Г. В. Трусевич—Могучее воздействие подвоя на привой. Журн. «Садоводство», № 12, 1966.
7. С. Н. Степанов — Плодовый питомник. М., 1963.
8. Г. В. Трусевич—Подвой плодовых пород. М., 1964.



დოც. თ. რიბაქიძე

საქართველოში გავრცელებული ზაფრანის შრომების დახასიათება

ზაფრანი ეკუთვნის tagetes გვარს და რთულყვავილოვანთა (Compositae) ოჯახს. ბალახოვანი მცენარეა. მისი დაახლოებით 20-მდე სახეობა ველურად მოხარდია სამხრეთ და ჩრდილო ამერიკაში. არჩევენ მსხვილ და წვრილყვავილიან ზაფრანას. ზაფრანის სამშობლოა ცენტრალური და სამხრეთი ამერიკა.

ამერიკელი მკვლევარები ა. ხოუტორნი და ლ. პოლარდი [53] გამოყოფენ ზაფრანის 3 ტიპს: 1. აფრიკული (*tagetes erecta*), 2. ფრანგული (*tagetes patula*), 3. მექსიკური (*tagetes signata*).

ვ. ტულინციევი კულტურაში გავრცელებულ ზაფრანის შემდეგ სახეობებს და სახესხვაობებს იძლევა [4]: ზაფრანი გადამოლილი *t. patula*, სახესხვაობებით—მაღალი (70—75 სმ) წვრილი ყვავილებით და ბუთხუზა ყვავილებით *T. erecta* ზაფრანი გადამოლილი, დაბალი (*t. patula nana*), სიმაღლით 20—30 სმ და (*signata* Bart), წვრილი დაკბილული ფოთლებით, დიდი რაოდენობის წვრილი, არაბუთხუზა ყვავილედებით.

საქართველოში გავრცელებული ზაფრანის შესასწავლად საწყისი მასალა (თესლის სახით) შევაგროვეთ 1961 წელს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში მისი გავრცელების ძირითადი რაიონებიდან 75 ნიმუშის ოდენობით. საწყისი მასალა შევისწავლეთ 1961—1963 წწ. 1961 წელს ცდებს ვატარებდით სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მემბოსტენობის კათედრასთან არსებულ საცდელ მინდორზე თბილისში, ხოლო 1962—1963 წწ—დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში.

სამი წლის განმავლობაში ჩატარებული ცდებისა და დაკვირვებების საფუძველზე გამოიყავით და შევისწავლეთ ზაფრანის ის სახეობები და სახესხვაობები, რომლებიც უმთავრესად მოჰყავთ ბოსტნებში. მათგან ვიძლევით ორ სახეობას. ესაა: *T. erecta* და *T. patula*.

tagetes erecta

სწორმდგომა, მსხვილყვავილებიანი. ახასიათებს ძლიერი, ზრდა, სწორმოგონი ღეროები, მცირე განტოტვით, მსხვილი, ბუთხუზა ყვავი-
10. შრომები, ტ. LXXVI—LXXVII, 69 წ.

ლედებით. ყვავილელების შეფერვა ცვალებადობს მრავალფეროვნებაში. მუქნარინჯისფრამდე. თესვისას მიიღება რამდენიმე ნახევრული და მარტივი მცენარეები.

აღნიშნული სახეობა განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მოჰყავთ გურია-სამეგრელოში და თბილისის გარეუბნებში. ცხაკაიის რაიონის სოფ. ხორშიდან გამოირჩევა ზაფრანის მსხვილყვავილეებიანი ნიმუში.

ფორმა პირველი (ხორშიდან) ბუჩქის სიმაღლე 100 სმ-ს აღწევს. კომპაქტურია; ღეროს შეფერვა მწვანეა, ოდნავ გადაკარავს ანტოციანის პიგმენტი.

ფოთოლი — სიგრძით 27 სმ-მდე, სიგანე 16 სმ, ფოთოლაკის სიგრძე 8,5 სმ, სიგანე 1,1 სმ, ფოთოლაკის რაოდენობა 19. ფოთოლაკი ოდნავ დაკბილულია, ლანცეტისებრი ფორმის, მუქი მწვანე შეფერვის.

ყვავილი შეკრებილია ყვავილედად. ყვავილს აქვს ცრუ ენისებრი გვირგვინის ფურცელი ბრტყლად შეზრდილი (5 ერთად). ყვავილების საშუალო რაოდენობა ერთ ყვავილედად 220 ცალია. აქვს შავი ფერის თესლანაყოფი.

გვირგვინის ფურცლების შეფერვა მონარინჯისფრო წითელი. ყვავილედის საშუალო წონა 6,5 გ. გვირგვინის ფურცლების სიგრძე 1,6 სმ, სიგანე 0,8 სმ; გვირგვინის ფურცლები გამოიყენება წვნიანი საკმელების საკმაბსანელებლად და ფერის მისაცემად.

ფორმა მეორე ხასიათდება შედარებით დაბალი (6—7 სმ), ძლიერი და გადაშლილი, მწვანე შეფერილობის ბუჩქით. ივითარებს დიდი ზომის (დიამეტრი 8 სმ) ბუთხუზა ყვავილელებს. მუქი მონარინჯისფრო წითელი შეფერვით. ყვავილების რაოდენობა ყვავილედად საშუალოდ 257 ცალია. ყვავილობს 2 კვირით ადრე, ვიდრე პირველი ფორმა. ნედლი ყვავილედის წონაა 20—25 გ. საშუალო წონა—16,5 გ. დიდი რაოდენობით იძლევა ყვავილედის მოსავალს. გავრცელებულია თბილისის გარეუბანში.

გვხვდება ღია ყვითელი ყვავილეებიანი მცენარეებიც, რომელთა ბუჩქი თითქმის არ განსხვავდება მეორე ფორმის ბუჩქისაგან, მაგრამ ღია შეფერილობის გამო უფრო ნაკლებ პერსპექტიულია.

ფორმა მესამე საადრეო გამოირჩევა ძალზე ადრეულობით, პატარა ზომის ბუთხუზა ყვავილელებით, სუსტი, დაბალი ზრდის ბუჩქით და უხვი მსხმოიარობით. გარეგნულად მცენარე წაგავს ტაგეტეს პატულას.

მცენარე მასობრივად ყვავილობს 1 ივლისიდან, ხოლო ყვავილეები იკრიფება 19 ივლისიდან.

გვირგვინის ფურცლების შეფერვა ღია ნარინჯისფერია.

tagetes patula

მეორე სახეობას ძირითადად ეკუთვნის იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში გავრცელებული ზაფრანის ფორმები: იმერული წითელი, იმერული ყვითელი და იმერული წითელი ბუთხუზა.

იმერული წითელის ბუჩქი გადაშლილია, სიმაღლით 81 სმ, დიამეტრი 76 სმ. ღეროს შეფერვა მოწითალო-იისფერია.



ფოთოლი ღია მწვანეა, გვხვდება მოწითალო იისფერიც. კენტი-ფრთართულია. შედგება 17 ფოთოლაკისაგან. ფოთლის სიგრძე 1,3 სმ, ცალკეული ფოთოლაკის სიგრძე კი საშუალოდ 5,3 (მს-მს) სმ-ს აღწევს. ფოთოლაკი ლანცეტისებრი ფორმისაა, ხერხისებრად დაკბილული.

ყვავილი შეკრებილია ყვავილედად, რომლის საბურველი გარედან მწვანე ფერისაა, ხოლო ზემოთა ნაწილში ოდნავ მოყვითალო ელფერი დაკრავს. საბურველის დიამეტრია 8 მმ, სიგრძე—2 სმ. გვირგვინის 5 ფურცელია ცრუნისებრი, ხოლო 90-მდე მილისებრი.

ჯამი სრულიად არა აქვს, მტერიაანა 5, მათი სამტვრე პარკები შეზრდილია. ნასკვი ქვედაა, ერთბუდანი. სვეტი ამოყოფილია სამტვრე პარკებს შუა და თავში ორად არის გაყოფილი, ნაყოფი თესლურაა.

ცრუნისებრი გვირგვინის ფურცელი (შეზრდილი) 8, ხოლო მილისებრი—73.

გვირგვინის ფურცლების შეფერვა ზემოდან ხავერდოვანია (წითელი, ყვითელი წინწყლებით). ყვავილედის საშუალო წონაა 1,5 გ.

აღნიშნულ ჯიშურ ფორმებში გვხვდება აგრეთვე მარტივი ყვავილედები ყვითელი და მუქი წითელი ხავერდისნაირი. მოწითალო შეფერვის გვირგვინის ფურცლებით, რომელიც გამოვყავით იმერული ყვითლის და იმერული წითლის სახელწოდებით. მათი ბუჩქის მოყვანილობა და ფოთლების შეფერვა დიდად არ განსხვავდება იმერული ჰრელფოთოლასაგან.


იმერული წითელი ბუთხუხას ბუჩქის სიმაღლე 90 სმ-ს აღწევს, დიამეტრი 100 სმ-ს. გადაშლილია, ღერო მოწითალო-იისფერია.

ფოთოლს მწვანე ანტოციანის პიგმენტები დაკრავს, ფოთლის სიგრძეა 7 სმ, ფოთოლაკის რაოდენობა 10. ცალკეული ფოთოლაკი დაკბილულია მწვანე-იისფერი წინწყლებით.

ყვავილი ბუთხუხა და შეკრებილია ყვავილედაში. საბურველის დიამეტრია 10 მმ, სიგრძე 1,5 სმ, შეფერილობა მწვანე. ახასიათებს დიდი რაოდენობის ყვავილები. აქედან ენისებრია (შეზრდილი გვირგვინის ფურცლებით) საშუალოდ 34,5, ხოლო მილისებრი—10.

ენისებრი გვირგვინის ფურცლების შეფერვა ქვემოდან მოწითალო ხავერდისნაირია, ერთი ყვავილედის წონა 1,83 გ. გარდა ამისა, გვხვდება ჰრელყვავილიანი ბუთხუხა მცენარეებიც, რომლებიც შედარებით დაბალი ბუჩქით გამოირჩევიან. მათი გამოყენება უმეტესად მიზანშეწონილია დეკორაციული მიზნებისათვის.

ჩვენ მიერ აღწერილი პირველი სახეობის—ტაგეტეს ერეკტას ჯიშური ფოთლები მოსახლეობის მიერ გამოიყენება, როგორც სურნელოვანი და ყვითელი შეფერილობის მქონე მცენარე ხარჩოში, საცივში, ბაყესა და სხვა საკმელების ფერის მისაცემად, ხოლო მეორე სახეობას—ტაგეტეს პატულას ფოთლებსა და ნაზ ყლორტებს ხმარობენ იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში როგორც საკმაზ-სანელებელს ნედლი და ხმელი ლობოსათვის და მწვანეხადად, საკმელოდ. გვირგვინის ფურცლებს კი იყენებენ ფერის მისაცემად. მეორე სახეობის ჯი-



შური ფორმები დიდი რაოდენობით შეიცავს ეთერზეთებს და ამიტომ შეიძლება საპარფიუმერიო წარმოებაში მათი გამოყენება ზეთის მთიანეთის მხარეში.

ზაფრანა მრავლდება თესლით. თესლის აღმოცენებისათვის საჭიროა 10—12 დღე. თესვის საუკეთესო ვადაა 15—25 აპრილი. მცენარე ნიადაგს დიდ მოთხოვნილებას არ უყენებს. მოითხოვს ღია, მზიან ადგილებს. ზაფრანის თესლის დათესვა შეიძლება ღია საჩითილე კვლებზეც, რის შემდეგ უნდა გადაირგოს მუდმივ ადგილზე. დიდ ფართობებზე უმჯობესია მუდმივ ადგილზე დათესვა. აღმოცენების შემდეგ საჭიროებს გამენჯნერებას. ჩვენი დაკვირვებით ზაფრანის პირველი სახეობის მწკრივებს შორის მანძილი უნდა იყოს 50 სმ, ხოლო მწკრივში მცენარეთა შორის—40 სმ, მეორე სახეობის ზაფრანისათვის კი შესაბამისად 60 და 40 სმ. ვეგეტაციის პერიოდში საჭიროებს 3—4 კულტივაციას, ხოლო მშრალ ადგილებში—მორწყვას.

პირველი სახეობის ზაფრანის ყვავილელების კრეფა უნდა წარმოებდეს ყვავილობიდან დაწყებული ყოველ 10 დღეში ერთხელ, ხოლო მეორე სახეობისა—3—5-ჯერ.

ზაფრანა საინტერესოა ვიტამინების შემცველობის მხრივაც. კანდელაკის მონაცემებით ოქტომბერში ფოთლები შეიცავს 205—333 მგ C ვიტამინს, 13,65—15,89 მგ % კაროტინს და 18 მგ % E ვიტამინს. იმის გამო, რომ დიდი რაოდენობით იძლევა მწვანე მასას, მისი გამოყენება შეიძლება C ვიტამინის წყაროდ [2].

ჩვენს ნიმუშებში C ვიტამინის შემცველობა შეეისწავლეთ ორივე სახეობის—ტაგეტეს ერეკტას და ტაგეტეს პატულას ფორმებში ივლისსა და ოქტომბერში. გამოირკვა, რომ მეორე სახეობის საკმელად ვარჯისი ნედლი ფოთლები ივლისში შეიცავენ 114,8—195,8 მგ/% ხოლო ოქტომბერში შედარებით ნაკლებს (ცხრ. 1).

ცხრილი 1

ასკორბინის შეფას (ვიტამინ C) შემცველობა ზაფრანის ფორმების მიხედვით

ნიმუში	მასალა	ვიტამინის შემცველობა (მგ/%)	ანალიზის ჩატარების თარიღი
ფორმა 1	ფოთლები	95,4 68,2	5.VII—65 5.X—1956
	გვირგვინის ფურცლები	27,3 27,7	5.VII—1965 5.XI-66
იმერული წითელი	ფოთლები	114,8 71,2	5.VII—1965 5.X—1966
	გვირგვინის ფურცლები	61,2 40,0	5.VII—1965 5.X—1966
იმერული წითელი ბუთხუზა	ფოთლები	195,4 81,4	5.VII—1965 5.X—1966
	გვირგვინის ფურცლები	47,0 40,0	5.VII—1965 5.X—1966



1-ელი ცხრილიდან ჩანს, რომ C ვიტამინს დიდი რაოდენობით შეიცავს მცენარე ფელისში, იგი უფრო მეტი რაოდენობითაა საერთოდ მეორე სახეობის ფორმებში, იმერულ წითელ ბუთხუხაში. ფოთლები გაცილებით მცირეა C ვიტამინით, ვიდრე გვირგვინის ფურცლები.

მტვრის მარცვლების ცხოველუნარიანობის შესასწავლად დავამზადეთ სხვადასხვა სახის და კონცენტრაციის ხსნარები შემდეგი სქემის მიხედვით; 2,5; 5; 10 და 20%-იანი გლუკოზა, სახაროზა და დექსტრინი ცალ-ცალკე, რომელთაც ემატებოდა 0,5 % აგარ-აგარი. გარდა ამისა, გვექონდა ხსნარები 1 % აგარ-აგარით. მტვრის მარცვლებს ვიღებდით ახლად გახსნილ სამტვერე პარკებიდან.

მტვრის მარცვლები გალივდა ყველა ხსნარში გარდა დექსტრინისა. მაგრამ მათ შორის საუკეთესო აღმოჩნდა 5%-იანი გლუკოზა X 0,5% აგარ-აგარი (ცხრ. 2).

ზაფრანის მტვრის მარცვლება მტვრის მილის განვითარებას იწყებს დათესვიდან 3—3,5 საათის შემდეგ და საბოლოოდ აღწევს საშუალოდ 138,5 მიკრონს.

ცხრილი 2

ზაფრანის ფორმა	1961 წ.		1962 წ.	
	მტვრის მარცვლის დათესვის თარიღი	გალივების უნარი %	მტვრის მარცვლის დათესვის თარიღი	გალივების უნარი (%)
იმერული წითელი (ბუთხუხა)	29/VII	57,1	6/X	55,9
იმერული ყვითელი	1/VIII	59,8	6/X	68,8
იმერული წითელი	31/VII	69,8	6/X	57,9
მაღალმოზარდი (ხორშიდან)	31/VII	45,5	10/X	40,4
დაბალმოზარდი (ნარინჯისფერი)	1/VII	63,7	10/X	57,5

ეთერზეთების უამცველობა ზაფრანის სხვადასხვა ფორმებში

ეთერზეთების რაოდენობა ტაგეტეს პატულას ნედლ ყვავილელებში 0,08—0,1%-ს აღწევს, გამხმარში—0,57-ს ხოლო გამხმარ ფოთლებში 0,218 და ნედლ ფოთლებში 0,07 %-ს უდრის. ზაფრანის ეთერზეთი მოყვითალო სითხეა სასიამოვნო სუნით. მისი კუთრი წონაა 0,8850—0,8925. [3].

1950 წ. t. signata Barte და t. patula-ს ცალკეული ფორმებიდან



ეროვნული
ბიზნის უნივერსიტეტი

ბიზნის სწავლების ხარისხი წელი და კამპარ მასში

ხარისხის ფორმა	საწელიწადო მასალი	მეცნიერის განყოფილება	საწელიწადო დაწესება წინ (ა)	წლის საშუალო (ბ)	ბიზნის სწავლების სიღრმე (%)	წლის საშუალო ბიზნის სწავლება	ბიზნის სწავლების სიღრმე
ბაკალავრის ხარისხი	წელი ფორმის და ბიზნის	საწელიწადო წინ					
1. ბაკალავრის ხარისხი	.	.	300	0,125	0,042	0,037	1/VII
2. ბაკალავრის ხარისხი ბიზნის	.	.	400	0,200	0,5	0,044	.
3. ბაკალავრის ხარისხი	.	.	400	0,250	0,562	0,050	.
4. ბაკალავრის ხარისხი	.	საწელიწადო სწავლების სიღრმეში	100	0,100	0,100	0,088	30/VIII
5. ბაკალავრის ხარისხი ბიზნის	.	.	100	0,125	0,125	0,111	.
6. ბაკალავრის ხარისხი ბიზნის	.	საწელიწადო დასაბუთება	100	0,125	0,125	0,111	16/X
7.	კამპარ	.	100	0,450	0,450	0,399	20/X



ქ. პუშკინოში მიიღეს ეთერზეთი მცენარის ყვავილობის პერიოდში, რომელიც გამოიყენება პარფიუმერიაში. აქ მწვანე მასის მოსავალი აღწევს 18 კგ/ჰა-ზე — 14 ტ/ჰა-ზე, ხოლო ეთერზეთის გამოსავალი 0,12—0,14% —ს 18 კგ/ჰა-ზე, [1].

ჩვენ 1963 წ. შევისწავლით ტაგეტეს ერეკტას და ტაგეტეს პატულას ფორმებიდან ეთერზეთები მცენარის განვითარების ფაზების მიხედვით (ყვავილობამდე, ყვავილობის დაწყებისას და ყვავილობის შემდეგ). გარდა ამისა, დავადგინეთ ეთერზეთების შემცველობა მცენარის ცალკეულ ნედლ და გამხმარ ნაწილებში — ყვავილედეში, ფოთლებსა და ღეროებში. საანალიზოდ ნიმუშებს ვიღებდით დილის 8—9 საათზე, ხოლო ზეთის გამოხდას ვატარებდით იმავე დღის 11 საათიდან (100—500 გ-მდე ნიმუშის წონა). გამოხდას ვახდენდით გინზბერგის მეთოდით და წონითი პროცენტის განსაზღვრისას კუთარ წონად ვიღებდით საშუალოს 0,8887 (ცხრ. 3 და 4).

ცხრილი 4

ეთერზეთების შემცველობა ყვავილედეში და მის ცალკეულ ნაწილებში (გვირგვინის ფურცლები, ჯამის ფურცლები და თესლი)

ზაფრანის ფორმები	საანალიზო მასალა	საანალიზოდ აღებული მასალის წონა (გ)		ბუიის რაოდენობა (მლ)	ეთერზეთების გამოსავალი (%)	ბუიის წონითი პროცენტი	ანალიზის ჩატარების თარიღი
		მ	მ				
ტაგეტეს პატულა							
1. იმერული წითელი	ნედლი ყვავილედი	500	0,225	0,045	0,039	16/X	1963 წ.
2. იმერული წითელი ბუთხუზა	" "	325	0,100	0,039	0,024	16/X	
3. იმერული წითელი ბუთხუზა	" "	200	0,125	0,062	0,055	14/XI	
4. იმერული წითელი ბუთხუზა	გამხმარი ყვავილები	50	0,125	0,250	0,222	14/XI	
5. იმერული წითელი	გვირგვინის ფურცლები	200	0,100	0,05	0,044	18/X	
" "	ჯამის ფურცლები	100	0,100	0,100	0,088	"	
" "	თესლი	300	0,100	0,033	0,029	"	
ტაგეტეს ერეკტა							
1. ფორმა 1	გვირგვინის ფურცლები	250	0,05	0,02	0,018	"	
2. ფორმა 2	ჯამის ფურცლები და თესლი	300	0,075	0,025	0,022	18/X	
3. ფორმა 3 (საადრეო)	გვირგვინის ფურცლები	100	0,05	0,05	0,044	"	
" "	" "	200	0,057	0,18	0,016	"	



მე-4 ცხრილიდან ჩანს, რომ ეთერზეთების შემცველობა ტაგეტის პა-
ტულას ყველა ჯიშური ფორმის მწვანე მასაში ყვეაილობამდე მჭიდროდ შეესაბამება
ყვეაილობის პერიოდში საგრძნობლად მატულობს, ამასთან ეთერზეთების შემცველობა
ჯამის ფურცლებში, შემდეგ გვირგვინის ფურცლებში და ბოლოს, თესვში.
ამიტომ ეთერზეთების მისაღებად მწვანე მასა უნდა დაიკრიფოს ყვეაილობის
პერიოდში. ეთერზეთების ყველაზე მეტ რაოდენობას შეიცავს ჯიშური ფო-
რმა—იმერული ყვითელი.

ტაგეტეს ერეკტას ფორმების, როგორც ფოთლებში, ისე ყვეაილელებში
ეთერზეთები მცირე რაოდენობითაა, გარდა ფორმა 2-ისა.

კვების არეს გავლენა ზაფრანის მოხაველიანობაზე

1962—1963 წწ. ზაფრანის ორივე სახეობის მოსავალზე სხვადასხვა
კვების არეს გავლენას ცდაში ესწავლობდით ნ.ფარიანტიანი სქემით 4 განმე-
ორებად (ცხრ. 5).

ცხრილი 5

კვების არეს გავლენა ზაფრანის მწვანე მასის მოხაველიანობაზე
(ფორმა—იმერული წითელი)

ვარიანტი	ბუჩქის სიმა- ლე (სმ)	ბუჩქის დია- მეტრი (სმ)	ბუჩქის წონა (გ)	მოსავალი	
				ერთ ძირზე (გ)	ც/ჰა-ზე
1962 წელი					
50×20	60	49	200,3	163,4	170,4
50×30	69	73	320,4	267,8	155,8
50×40	84	83	500,0	205,6	150,6
60×20	68	75	400,7	230,1	216,7
60×30	90	87	600,0	396,3	235,8
60×40	87	100	1400,0	519,8	245,1
1963 წელი					
50×20	79	51	217,8	175,8	175,8
50×30	89	73,3	329,8	234,2	154,5
50×40	91	84,8	568,0	234,2	217,1
60×20	69	77	417,6	229,0	190,1
60×30	92	87,4	530,0	458,9	252,4
60×40	37	109,2	1325,0	647,1	265,3



კვების არეს ვაგლენა ზაფრანის ყვავილელების მოსავლიანობაზე
(ფორმა—მაღალმოზარდი სოფ. ხორშიდან) **საქართველოს მეცნიერებათა აკადემია**

ვარიანტი	ბუჩქის სიმაღლე (სმ)	ბუჩქის დიამეტრი (სმ)	ბუჩქის წონა (გ)	ერთი ბუჩქიდან მიღებული ყვავილების წონა (გ)	მოსავალი ც/სა-ზე
1962 წელი					
50×20	100	42	200	67,7	67,7
50×30	80	56	300	192,2	126,0
50×40	84	58	600	486	126,0
60×20	112	58	300	103,7	86,0
60×30	70	62	500	340	185,0
60×40	88	78	700	495	202,0
1963 წელი					
50×20	105	44,2	207,0	97,6	97,7
50×30	87	59,0	308,0	265,6	175,6
50×40	89	61,0	609,0	504,1	252,0
60×20	113	59,0	225,0	135,1	114,8
60×30	74	69,0	529,0	292,1	166,6
60×40	94	81,0	708,0	552,0	256,0

მე-5 და მე-6 ცხრილის მონაცემების საფუძველზე შეიძლება დაეასკვნათ, რომ ტაგეტეს ერექტას ფორმები, რომლებსაც ახასიათებს შედარებით სწორ-მდგომი და ნაკლებად განტოტვილი ბუჩქი ყვავილელების მისაღებად უნდა დაითესოს 50×40 სმ კვების არეზე, რაც მაღალ მოსავალთან ერთად რიგთ-შორების მექანიზმებულად დაშუშავების შესაძლებლობას იძლევა, ხოლო ტაგეტეს პატულას ფორმებისათვის, რომლებიც უფრო დიდ და განტოტვილ ბუჩქს ივითარებენ უმჯობესია 60×40 სმ კვების არე.

დასკვნები

1. საქართველოში გავრცელებული ზაფრანის სახეობებიდან და სახე-სხვაობებიდან, რომლებიც მოყავთ ბოსტნებში, გვხვდება *tagetes erecta*-ს და *tagetes patula*. აქედან პირველი მსხვილყვავილიანია და ახასიათებს ძლიერი ზრდა, სწორმდგომი ღეროები მცირე განტოტვით, მსხვილი ბუთხუზა ყვავილელებით. ყვავილელების შეფერილობა—მოყვითალოდან მუქნარინჯის-ფრამდე. თესვისას მიიღება რამდენიმე პროცენტი ნახევრად ბუთხუზა და მარტივი მცენარეები. აღნიშნული სახეობა დიდი როლდენობით მოყავთ გურია-სამეგრელოსა და თბილისის გარეუბნებში, ჩვენ მიერ გამოყოფილია 3

ფორმა, რომელთა ყვავილედები გამოიყენება საკაზმ-სანელებლად და ყვითელი ფერის მისაცემად კერძებში.

ტაგეტეს პატულას მცენარე გადაშლილია და მაღალი-ქვედაწიქის ახასიათებს წვრილი ყვავილედები და ბუთხუზა ყვავილები, ამ სახეობას ძირითადად ეკუთვნის იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში გავრცელებული ზაფრანის ფორმები, რომელთაგან გამოვყავით იმერული წითელი, იმერული ყვითელი და იმერული წითელი ბუთხუზა. ისინი გამოიყენება როგორც მწვანილი საკმელად, ისე საკაზმ-სანელებლად (ფოთლები და ყვავილები).

2. ზაფრანა საერთოდ დიდი რაოდენობით შეიცავს C ვიტამინს და განსაკუთრებით ტაგეტეს პატულას ფორმა—იმერული წითელი ბუთხუზა, რომლის ფოთლებში C ვიტამინი იგლისის თევზი დაახლოებით 1:14,8—195,8 მგ %-ს აღწევს. იგი დიდი რაოდენობით იძლევა მწვანე მასას და ამიტომ შეიძლება გამოიყენოთ ვიტამინის მისაღებად.

3. მტერის მარცვლები მაღალ ცხოველუნარიანობას ავლენენ 5%-ანი გლუკოზა 1%-იან აგარ-აგარის არეზე. ზაფრანის მტერის მარცვლების გაღვივების უნარი მერყეობს 43.2%—68,8%-ის ფარგლებში და იგი ცვალებადობს როგორც შორმების მიხედვით, ისე თვით ჯიშის შიგნით მტერის აღების ვადების კვალობაზე. მტერის მილის სიგრძე 138.5 მიკრონს აღწევს.

4. ტაგეტეს პატულას ფორმები საერთოდ, და განსაკუთრებით იმერული ყვითელი, დიდი რაოდენობით შეიცავენ ეთერზეთებს, რომელიც გამოიყენება საპარფიუმერიო მრეწველობაში.

ზაფრანის მწვანე მასა, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს ეთერზეთებს, ამ უკანასკნელის მისაღებად უნდა დაიკრიფოს ყვავილობის თაზაში.

მცენარის ფოთლებთან შედარებით ყვავილედები ეთერზეთებს მცირე რაოდენობით შეიცავენ. მისი შემცველობა შედარებით მეტია ჯამის ფურცლებში, შემდეგ გვირგვინის ფურცლებში და ბოლოს თესლში.

ტაგეტეს ერეკტას ფორმები ეთერზეთებს ძალზე უმნიშვნელო რაოდენობით შეიცავენ გარდა ფორმა 2-სა.

5. დიდი რაოდენობის ყვავილედების მიღების მიზნით მიზანშეწონილია ტაგეტეს პატულას თესვა 50×40 სმ კვების არეზე, ხოლო ტაგეტეს ერეკტას ფორმებისა—60×40 სმ არეზე.

Докл. Т. В. РОБАКИДЗЕ

ХАРАКТЕРИСТИКА ФОРМ БАРХАТЦЫ В ГРУЗИИ

(*Tagetes; erecta, tagetes patula* ssp: cem. Compositae).

Резюме

Целью настоящего труда является изучение местных видов и сортов бархатцы, распространенных в Грузии.

Исходный материал был собран в районах, как Восточной, так в За-



падной Грузии. Изучение проводилось в течение 3-х лет. (1961—1963 гг.), в Дигомском учебном хозяйстве, Груз. ордена Трудового Красного Знамени сельскохозяйственного института.

В результате проведенной работы мы приводим ниже описание некоторых перспективных сортов.

I. Бархатец прямостоячий—«Колхида»

Сорт относится к крупноцветным бархатцам Африканского типа;

Бархатец прямостоячий—однолетнее травянистое растение. Стебель прямостоячий, ветви поднятые, листья перисторасеченные с широко ланцетовидными, зубчатыми лопастями. Соцветие ложномахровые. Окраска цветов от желтовато до темно-оранжевого. При посевах получается некоторый процент полумахровых и простых растений. Сорт используется в качестве пряности (высушенные лепестки).

II. Бархатец распростертый «Имерули»

Сорт относится к мелкоцветным бархатцам французского типа (*tagetes patula*) образуют широкие густые кусты, цветут обильно. Окраска цветов кроме желтых и оранжевых тонов эти бархатцы имеют цветы бурых и красных бархатистых оттенков. Используются листья растения, как в свежем, так и высушенном виде, в качестве приправы различных кушаний. Бархатец «Имерули» представляет интерес, как эфиромасличный и высоко витаминное растение.

ლიტერატურული წიგნები

1. Эфирно масличные культуры. М., 1953.
2. Канделаки Г. В.—Пряные растения Грузии. Тб., 1955.
3. Рутковский — Эфирные масла, т. I, М., 1931.
4. Тулинцев В. Г.—Основы декоративного садоводства, М., 1958.
5. Хоутори А. и Поллард Л.—Семеноводство овощных и цветочных культур, М., 1957.



შ. მატაშვილი

ფორთოხალ ვაშინგტონ-ნაველის ნაყოფი ბიოქიმიური ცვლილებები წლავისა და კრევის კვირდებაში მიხედვით

საქართველოში ფორთოხლის კულტურის შემოტანის შესახებ ზუსტი ცნობები არ მოიპოვება. XII საუკუნეში ნარინჯოვანი მცენარეები ფართოდ ყოფილა გავრცელებული საქართველოს შავი ზღვის სანაპირო, ტენიან, სუბტროპიკულ რაიონებში. XVII საუკუნის ქართველი გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი თავის "რომაში აღწერა სამეფოსა საქართველოსა" [1] მრავალ ადგილას მიუთითებს იმ დროისათვის ნარინჯოვანი და სხვა მრავალი სუბტროპიკული მცენარეების ფართოდ გავრცელების შესახებ საქართველოში.


ივ. ჯავახიშვილი [2], ეყრდნობა რა ვახუშტი ბატონიშვილის მეტად მნიშვნელოვან მონაცემებს, წერს: „თურინჯ-ნარინჯის არე საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ყოფილა“.

ეს მონაცემები ნათლად მეტყველებენ იმაზე, რომ XVII საუკუნეში დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში (აჭარა, გურია, სამეგრელო) საკმაოდ ფართოდ ყოფილა გავრცელებული ნარინჯოვანი და სხვა მრავალი სუბტროპიკული ხეხილოვანი მცენარე.

საქართველოში ფორთოხლის ინტროდუქციის საკითხზე ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. მკვლევართა ერთი ჯგუფი [3] საქართველოში ფორთოხლის კულტურის უძველესი დროიდან არსებობას მიუთითებს, ხოლო მეორე ჯგუფი [4] ცდილობს დამტკიცოს, რომ ჩვენში ეს კულტურა მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან შემოიტანეს.

მსოფლიო სამრეწველო ჯიშებიდან აღსანიშნავია ჭიპიანი ფორთოხალი (ნაველები), რომელიც დღეისათვის მსოფლიო ასორტიმენტში დაახლოებით 20-მდე სახესხვაობითაა წარმოდგენილი იგი მიღებულია ბაჰიში (ბრაზილია) პორტუგალიის ფორთოხალ *Larania Selecta*-დან კვირტის ცვალებადობით. ამას ადასტურებს ამერიკელი ციტროლოგის შამელის [6] ცნობა, რომლის მიხედვით სელექტა იძლევა თესლიან ნაყოფს და მის ნარგავობაში მეტად ხშირია შემთხვევები კვირტის ცვალებადობისა.

ჭიპიანი ფორთოხლის სახესხვაობა, რომელიც უთესლო ნაყოფს იძლეოდა,



მასობრივად გავრცელდა ბაპიას რაიონში 1820 წლისათვის, რადგან სელექტა/ თესლიან ნაყოფთან შედარებით უფრო ღირსეულა იყო. ერქენულა
 დოც. ე. თოფურაძე [7] აღნიშნავს: „ეს ჯიშები (ჭიპიანუ ~~წვლილი~~ კა ბი) მეტად პერსპექტიულია, განსაკუთრებით საქართველოს სუბტროპიკულ ზოლში, სადაც წარმოდგენილია მეტად კრელი კლონების სახით, რომელთაგან შესაძლებელია საუკეთესოების არჩევა“.

ვაშინგტონ-ნაველი განირჩევა ნაყოფის შედარებით ადრეული მომწიფებით და კარგი გემური თვისებებით. სუბტროპიკულ რაიონებში ბუნებრივი პირობების თავისებურების გამო აუცილებელია ჯიშების გამოყვანა, რომლებიც მალალმოსავლიანობასა და გემურ ღირსებებთან ერთად უნდა წარმოადგენდნენ საადრეო ჯიშს გადიდებული ყინვაგამძლეობით. ასეთი მუშაობის ერთ-ერთ პირველ ეტაპს წარმოადგენს საქართველოს სუბტროპიკულ მხარეში არსებული ჯიშებიდან უკეთესი ფორმების აპრობაცია და ინდივიდუალური შერჩევა. ამ უკანასკნელს მნიშვნელობა აქვს ფორთოხლის უძვირფასესი ჯიშების სარგავი მასალის გამრავლებისთვისაც, მაგრამ ფორთოხალი ვაშინგტონ-ნაველი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ჯიშის ფორთოხლებთან შედარებით ადრე მწიფდება, მაინც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას, რადგან სრულ სიმწიფეს ვერ ასწრებს და ხშირად ზიანდება შემოდგომის ყინვების გამო. ამიტომ საჭიროა სელექციური მუშაობის ისე წარმართვა, რომ ფორთოხალ ვაშინგტონ-ნაველის ნარგავობაში გამოვლინებულ იქნას საადრეო სიმწიფისა და მაღალი შაქრიანობის შემცველი ფორმები.

აპრობაციის მიზნით ჩვენ ვაწარმოებდით ფორთოხალ ვაშინგტონ-ნაველის ნაყოფთა გამოკვლევას ჩაქვისა და ციხისძირის საბჭოთა მეურნეობების ციტრუსოვან პლანტაციებში.

ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის ნაკვეთები მდებარეობს ზღვის დონიდან დაახლოებით 30—40 მ სიმაღლეზე და ზღვიდან 200—500 მ-თა დაშორებული.

ფორთოხალი ვაშინგტონ-ნაველი, მიუხედავად იმისა, რომ ვეგეტატიურად მრავლდება და უთესლო ნაყოფის განვითარება ხდება პართენოკარპული გზით, მაინც იძლევა გარკვეულ ცვლილებებს ნაყოფის შემადგენლობაში. ეს ცვლილებანი შეიძლება იყოს გამოწვეული როგორც გარეგანი ფაქტორების ზეგავლენით (კლიმატური და ნიადაგური პირობები, ნაკვეთის ოროგრაფია, საძირის თავისებურება და სხვა), აგრეთვე შინაგანი გენეტიკური თვისებებით.

პრაქტიკული დაკვირვებანი გვარწმუნებს იმაში, რომ ფორთოხალ ვაშინგტონ-ნაველის ცალკეული ხეები გამოირჩევიან ზოგიერთი ბიოლოგიური თავისებურებებით. კერძოდ, განსხვავდებიან ნაყოფის ხარისხით და სხვა მარჩვენებლებით.

ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა ფორთოხალ ვაშინგტონ-ნაველის ნაყოფები, ჩავეტარებინა მათი ბიოქიმიური ანალიზი და მის საფუძველზე გამოგვეყო უკეთესი ექსემპლარები, რომლებიც თავიანთი ბუნებით მეტ შაქარს ავსრუებენ.

ვინაიდან ჩვენ მიზანს შეადგენდა გამოვველინებინა ფორთოხალ ვაშინ-

გტონ-ნაველის მაღალი სამეურნეო ნიშან-თვისების მქონე ცალკეული ხეები, ამიტომ ჩაქვისა და ციხისძირის პლანტაციებში შემოვლითი გეგმით საფუძველზე ვაგლეხდით საადრეო სიმწიფის ხეებს და ვსწავლუბდით ნაყოფების ბიოქიმიურ შედგენილობას ნაყოფის განვითარების სხვადასხვა სტადიაში.

როგორც ცნობილია, ის ეგზემპლარები, რომლებიც სიმწიფის დაყენებამდე შედარებით მეტ შაქარს აგროვებენ, ცხადია, სრულ სიმწიფეში უფრო მეტ შაქარს უნდა შეიცავდნენ.

ფორთხალ ვაშინგტონ-ნაველის ნაყოფების შაქრის შემცველობას ვადარებდით ადგილობრივი ჯიშის ფორთხლებს. სათანადო ანალიზებს ვატარებდით. ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალის ბიოქიმიურ ლაბორატორიაში რ. ა. ვორონცოვის ხელმძღვანელობითა და მისი უშუალო მონაწილეობით.

ნაყოფთა შეფასება წარმოებდა ხუთბალიანი სისტემით შემდეგი ნიშან-თვისებების მიხედვით: გარეგნული შესახედაობა, შეფერილობა, კანის სისქე, კანის მოკილების სიადვილე, კიდიანობა, წვნიანობა, არომატი, მგავიანობა. საშუალო-სადეგუსტაციო შეფასება გამოყავდათ თითოეული მაჩვენებლის სიდიდისა და მისი მნიშვნელობის საფუძველზე (ცხრ. 1).

ვინაიდან ფორთხლის ნაყოფები მოკრეფილი იყო შედარებით ადრეულ სტადიაში, ამიტომ საერთოდ ორივე საანალიზო ჯიშის ნაყოფები ნაკლებ შაქარს შეიცავენ და მეტია მგავიანობა. თუ ჩვეულებრივ სრულ სიმწიფეში მყოფი ფორთხლის ნაყოფების შაქრის ფარდობა მგავასთან 7,9-მდეა, ამ პერიოდში მოკრეფილი ნაყოფების შაქრის ფარდობა მგავასთან შეადგენს 3,7—5,2-ს.

რაც შეეხება ვაშინგტონ-ნაველის ნაყოფს, იგი გაცილებით მეტ შაქარს შეიცავს მოკრეფის ორივე ვადაში. ვიდრე ადგილობრივი ფორთხლები, ხოლო მგავის შემცველობის მხრივ სხვაობა დიდი არაა.

შეთვალვების პერიოდში მყოფი ფორთხლის ნაყოფებში შაქრების რაოდენობა საგრძნობლად იზრდება, რაც, ერთი მხრივ, გამოწვეულია თვით უშუალოდ შაქრის რაოდენობის მატებით და, მეორე მხრივ, მგავიანობის დაკემით, რაც საერთო ჯამში საგრძნობლად ცვლის შაქარ-მგავიანობის ფარდობას.

ამგვარად, სასელექციო მუშაობა მაღალშაქრიანი კლონების გამოსავლინებლად უნდა ვაწარმოოთ ძირითადად ფორთხალ ვაშინგტონ-ნაველის ნარგაობიდან (ცხრ. 1).

ფორთხალ ვაშინგტონ-ნაველის ნაყოფებში შაქრის შემცველობა საგრძნობლად მერყეობს ნაკვეთის ოროგრაფიული მდებარეობის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ ჩაქვი და ციხისძირი ზღვიდან დაშორებულია დაახლოებით ერთი და იმავე მანძილით, მაინც ნაკვეთის ოროგრაფიული მდებარეობის გამო მათი ნაყოფების შემადგენლობა საგრძნობლად განსხვავდება ერთი-ერთისაგან (ცხრ. 2).



ფორთოხლის ნაყოფთა გამოკვლევის შედეგები
(ჩაქვი)

სსრკ-ის
საგარეო
საზღვაო
და სავაჭრო
დაცვის
მინისტრის
სამეცნიერო
და საკვების
რეზერვების
სამსახური

ნაყოფის ნიმუში	ერთი ნაყოფის საშუალო წონა (გ)	რბილული (%)	გარეგნული შეხედულება მსლონი სისტემით	გემო (ბალბით)	საშუალო-სადეგუსტაციო შეფასება (ბალბით)	შაქრის შემცველობა (%) ლიმონის გემოს 100 გლ წყნში	შაქრის საერთო რაოდენობა (%)	შაქრისა და გემოს დარღობა	ციფრებით 100 გ კერძზე	კიტანდ ასკობინის გემო (მგ) 100 გ წყნზე
ვაშინგტონ-ნაველი, კრეფა 21. X ადგილობრივი ფორთოხალი.	184,42	65,27	4,0	3,25	3,25	1,53	7,22	4,72	1,02	64
კრეფა 21. X ვაშინგტონ-ნაველი	150,17	59,15	3,5	2,0	2,73	1,55	4,47	2,88	0,82	63
კრეფა 29. X ადგილობრივი ფორთოხალი	163,46	66,30	4,0	4,0	3,73	1,50	7,82	5,21	0,88	71
კრეფა 29. X	141,89	59,31	4,0	2,0	2,74	1,53	4,53	2,96	0,72	64

ციხისძირის ფორთოხლის ის ნარგავობა, სადაც ვიღებდით ნაყოფის სინჯებს, გაშენებული იყო სამხრეთ ფერდობზე, ხოლო ჩაქვისა ჩრდილოეთის ფერდობზე. ამიტომ მათი ნაყოფის ქიმიური შედგენილობა საგრძნობლად განსხვავდება ურთიერთისაგან.

ცხრილი 2

ჩაქვისა და ციხისძირის პლანტაციებში აღებული ფორთოხლის ნაყოფების შედეგები (ქიმი ვაშინგტონ-ნაველი)

ნაკვეთი	ხეების რაოდენობა	რბილული (%)	ლიმონის გემოს შემცველობა (%)	შაქრის საერთო რაოდენობა (%)	შაქრის ფარდობა გემოსთან
ციხისძირის სამხრეთი ფერდობი, ვაშინგტონ-ნაველი	5224	70,96	1,29	8,73	6,77
ვაშინგტონ-ნაველი ციხისძირის სამხრეთი ფერდობიდან	5222	72,03	1,09	8,37	7,69
ვაშინგტონ-ნაველი ჩაქვის ჩრდილო ფერდობიდან	1	65,27	1,53	7,22	4,72
ვაშინგტონ-ნაველი ჩაქვის ჩრდილო ფერდობიდან	3	66,30	1,50	7,82	5,21


ციხისძირის საბჭოთა მეურნეობაში გამოვიკვლიეთ ფორთოხალ ვაშინგტონ-ნაველის 1947, 1948 და 1949 წლების მოსავლის ნაყოფები. ნაყოფები მოკრეფილი და შერჩეული იყო, მეტწილად 40—45 წლის ასაკის ხეებიდან. ხეები შევარჩიეთ მორფოლოგიური ნიშნებით და განვითარების სიმძლავრით. ნაყოფთა საშუალო სინჯებს მოცემული ხისათვის ვარჩევდით ხის სხვა-



ეროვნული
ინჟინერული

ფართულ ეკონომიკის 1947 წ. მისდის მეფის გამოცემის შედეგად
(კონსტრუქციების სპეციალური შედეგები)

მატერიალი	სტრუქტურა														საშუალო
	1	2	3	4	6	7	8	12	14	15	16	19	20	22	
რბილობა (%)	71,45	72,96	71,03	76,27	74,06	78,51	72,03	62,33	69,36	73,30	62,51	69,96	70,96	73,45	72,47
მედიანობა ლიმონის შეყვანი (%)	1,19	1,05	1,41	1,09	1,08	1,06	1,09	1,14	1,14	1,16	1,08	0,96	1,29	0,96	1,12
შპრის სერიოზი რაოდენობა (%)	8,23	8,19	8,33	8,42	8,14	7,99	8,27	8,32	7,6	7,99	8,09	8,03	8,73	8,09	8,22
შპრის ფარგობა შეყვანი . .	6,92	7,80	5,91	7,73	7,54	7,54	7,69	7,47	6,98	6,58	6,36	7,49	8,36	6,77	7,40
საშუალო-სტატისტიკური შედეგები ზედააღნიშნულ სისტემებში . . .	4,23	4,52	3,50	4,75	4,48	4,10	4,28	4,92	3,67	4,44	4,50	4,30	3,81	4,62	4,29



დასხვა მხრიდან (ჩრდილოეთი, სამხრეთი) თანაბარი რაოდენობით. თვეებუ-
ლი ხის ნაყოფებს ეუკეთებდით დეგუსტაციას რიგი ნიშან-თვისებებით
ვით და ვადღევდით შეფასებას ხუთბალიანი სისტემით. საერთო
ლევდით ამ ორი მეურნეობის ფართობიდან გამოყოფილ 22 ფორთოხლის ხის
ნაყოფებს. ამასთან ოთხი ხის ნაყოფებს ვიყვლევდით 3 წელს, რვა ხისას—2,
ხოლო ათი ხისას—1 წლის მანძილზე.

ფორთოხლების სხვადასხვა თვისებები, როგორცაა ნაყოფთა სიდიდე,
რბილელის რაოდენობა და ქიმიური მაჩვენებლები, საგრძნობლად ცვალება-
დია, უთუოდ, სეზონის პირობების მიხედვით. როგორც რბილელის წონითა
და შემცველობით, ისე სადეგუსტაციო შეფასებით გამოირჩევიან 1947 წ.
ნაყოფები (ცხრ. 3).

როგორც ცხრილიდან ჩანს, 1947 წლის მოსავლის ნაყოფები გამოირჩე-
ვიან მსხვილი ზომით, თხელკანიანობით—კანის საშუალო შემცველობაა
27,53%, კარგი გემოთი და საშუალო-სადეგუსტაციო შეფასებით 4,29 ბალს.
შაქრების შემცველობა ცვალებადობს 7,96—8,73%-ის ფარგლებში, ხოლო სა-
შუალო შემცველობაა 8,22%; მჟავიანობა საშუალოდ შეადგენს 1,12%-ს, ხო-
ლო მაქსიმალური—1,51%-ს, მინიმალური კი 0,96%-ს. ყველაზე უკეთესი შე-
ფასება მიიღეს 1947 წლის მოსავლის ნაყოფებმა, რადგან თბილი შემოდგომა
ხელსაყრელი აღმოჩნდა ფორთოხლის ნაყოფთა მომწიფებისათვის.

შაქრის ფარდობა შეავასთან გემოს მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და
ცოტად თუ ბევრად უახლოვდება სადეგუსტაციო შეფასებას. მისი საშუალო
სიდიდეა 7,40, ხოლო უმცირესი—8,48.

№ 22 ხის ფორთოხლის შეფასება შეესაბამება დიდ სადეგუსტაციო შე-
ფასებასაც (4,62), უმცირესს 5,91, № 3 ფორთოხლის ხის ნაყოფის შეფასებას
მოსდევს ყველაზე უფრო დაბალი სადეგუსტაციო შეფასება 3,50. (იხ.
ცხრ. 4).

ვიხილავთ რა 1948 წ. ფორთოხლის მოსავლის გამოკვლევის შედეგებს
(ცხრილი 4). უნდა აღვნიშნოთ ნაყოფთა უფრო ნაკლები წონა და კანის მე-
ტი სისქე (საშუალოდ 36,17% შეადგენს). შაქრების შემცველობა საშუალოდ
6,90%-ს, მაქსიმუმი 8,06%-ს და მინიმუმი 5,98%-ს შეადგენს, მჟავიანობა
შედარებით დაბალია და საშუალოდ 0,79%-ს მაქსიმუმი 0,96%-ს და მინი-
მუმი 0,59%-ს აღწევს. ასეთი დაბალი მჟავიანობა დაპირობებულია მჟავასთან
შაქრის ფარდობის საკმაოდ მაღალი ციფრით, რაც საშუალოდ 9,03 უდრის.
სადეგუსტაციო შეფასება საშუალოდ 3,66 ბალს შეადგენს, ე. ი. უფრო და-
ბალია, ვიდრე 1947 წ. ეს ნაწილობრივ აიხსნება ნაყოფთა ნაკლები სიდიდით,
კანის მეტი სისქით, კილის მეტი რაოდენობით და შესაძლებელია მეტად
მცირე მჟავიანობითაც, რომელიც შაქრების დიდ რაოდენობასთან შეხამებით
გემოს პარმონიას ვერ იძლევა.

1949 წ. სეზონზე, როგორც ნათქვამი იყო, იმავე ციხისძირის საბჭოთა
მეურნეობაში გამოიკვლიეთ ფორთოხლის 10 ხის ნაყოფები, ამასთან, 9 მათ-
განს წინა წლებშია ცნაველობით.

მიღებული შედეგებით ერთი ნაყოფის წონა უდრის საშუალოდ 174,9 გ-ს,
კანის საშუალო შემცველობა—33,69%-ს, შაქრებისა—9,85%-ს, მჟავიანობისა—



სსიპ
გეორგიული სახელმწიფო უნივერსიტეტი
საგარეო უნივერსიტეტი

ფართობი და შინაგან-ჩვეულის საფუძვი ვარჯილულის შედეგები
 (1948 წ. მონაცემები)

მარჯნებსები	სეზონი 78														საშუალო
	1	4	5	6	7	9	10	13	15	16	შინა- გან	18	19	21	
ჩხილინი (%)	64,03	66,26	67,43	66,58	64,27	65,95	64,64	61,68	67,31	66,25	63,47	63,5	68,9	69,20	63,83
შეკვების საფარი რაოდენობა (%)	6,52	7,37	7,17	6,63	8,06	5,98	6,99	7,69	6,32	6,45	6,48	6,10	7,18	6,63	6,90
სამარიზა (%)	3,12	3,40	3,52	3,12	4,55	2,86	3,54	4,29	3,42	3,23	3,24	2,96	3,10	3,24	3,41
ლილიის შედეგი (%)	0,73	0,90	0,96	0,77	0,80	0,66	0,95	0,62	0,77	0,91	0,77	0,62	0,90	0,59	0,79
შეკვების ფარდობა შედეგთან	8,93	8,10	7,47	8,61	10,1	9,06	0,36	12,40	8,47	7,09	8,81	10,7	7,98	11,32	9,05
ვიტამინი	54	61	58	50	54	54	54	46	58	61	58	52	65	—	56
ვარჯილულის 100 გ კმზე	1,5	1,5	1,2	1,24	1,52	—	1,5	—	1,75	0,89	—	—	1,03	—	—
საშუალო-საფუძვლადილი შედეგების შედეგების საფუძვლადილი	3,63	3,85	3,29	3,95	3,76	3,42	3,57	3,79	3,19	3,46	3,15	4,04	4,04	4,04	3,46



ფიზიკულ ვარჯიშის-წყობის 1949 წ. მისთვის ნაყოფი გამოკვლევის შედეგები

საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემიის

სპორტის ინსტიტუტი

სატესტოები	სეზონი №										საშუალო
	4	5	11	12	14	15	16	17	19	20	
ჩხლიანი (%)	69,23	63,83	61,78	67,44	67,83	69,63	66,43	66,14	63,68	65,91	66,3
სახარბი (%)	4,19	3,80	3,63	4,59	3,92	4,03	3,26	4,07	4,28	4,22	4,0
შეკრების სიჩქარის რაოდენობა (%)	9,18	8,10	7,66	8,86	7,22	7,15	7,56	7,88	8,73	8,62	8,30
შეკრების დროის შედეგი (%)	0,95	1,08	1,02	1,11	0,99	1,09	1,02	1,02	1,02	1,11	1,04
შეკრების დროის შედეგით	0,66	7,50	7,31	8,88	7,29	7,29	7,41	7,72	8,56	7,95	7,98
ვარჯიში	46	73	58	68	50	54	62	59	57	86	65
გაერისტი (მლ) 100 გ ტარქში	1,43	1,13	0,96	1,09	0,87	1,14	0,95	0,86	0,90	0,82	—
საშუალო-სადღვესტაციო შედეგები ზეობილიანი სისტემით	3,98	3,98	4,08	4,23	3,83	3,92	4,49	3,93	4,34	4,38	4,12

1,04%-ს. შაქრის ფარდობა მკვავსთან საშუალოდ შეადგენს 7,98, ხოლო სადღეგუსტაციო შეფასება უღრის 4,12 მმ-ს, ე. ი. უფრო მაღალია. ვიდრე 1958 წ. (ცხრ. 5).

2—3 წლის განმავლობაში ციხისძირის ფორთოხლების შედეგების შედარებისას უნდა აღვნიშნოთ, რომ შაქრების დიდი შემცველობა ყოველთვის როდი იძლევა ნაყოფის კარგ გემოს. მნიშვნელოვან უარყოფით როლს ასრულებს გემოს მზრივ მკვავიანობასთან ერთად, კილის დიდი რაოდენობით არსებობა, რაც ნაყოფის ერთგვარ გაუხეშებას იწვევს.

მხოლოდ შაქრებისა და მკვავიანობის შეხამებამ უნდა შექმნას გარკვეული გემოს პარმონია და ამ შემთხვევაში ნაყოფები მაღალ სადღეგუსტაციო შეფასებას მიიღებენ. როგორც გადიდებული, ისე შემცირებული მკვავიანობის არსებობა უარყოფით გავლენას ახდენს ნაყოფთა გემოზე. ასე, მაგალითად, ნოემბერში, ფორთოხლის მომწიფების გადამწყვეტ თვეში და დეკემბერში ჰაერის საშუალო-თვიური ტემპერატურა მრავალწლის საშუალოზე მაღალი იყო, მაშინ როცა 1948 წ. ნოემბერსა და დეკემბერში, ნოემბრის პირველი დეკადის გარდა, ჰაერის ტემპერატურა მრავალწლის საშუალო ნორმაზე დაბალი აღინიშნა.

1948 წ. ნოემბრის მეორე დეკადიდან დადი ყინვები დაიწყო, რაც არაერთხელ განმეორდა. ამრიგად, 1948 წ. აშინდის პირობები არახელსაყრელი იყო, რის გამოც ნაყოფები დაბალხარისხისოვანი აღმოჩნდნენ და, ცხადია, დაბალი შეფასება მიიღეს.

შაქრების შემცველობა ციხისძირის საბჭოთა მეურნეობის ფორთოხლებში ცვალებადობს 7,22—9,86 %-ის, ხოლო მკვავიანობა 0,95—1,11 %-ის ფარგლებში. საშუალო-სადღეგუსტაციო შეფასება კი არ აღემატება 4,12 ბალს. ქვემოთ ვიძლევიტ ფორთოხალ გაშინჯტონ-ნაველის 1947, 1948 და 1949 წწ. მოსავლის ნაყოფთა გამოკვლევის შედეგებს. (ცხრ. 6),

როგორც ცხრილიდან ჩანს, შაქრის არადიდი შემცველობით გამოირჩეოდნენ ნაყოფები შემდეგი ხეებიდან 1947 წელს—5229, 5233, 3999, 3992, 5234, 1938, 71744, 948, 5225, 3994, 2218, 1948 წელს—№ 3996, 5226, 3992 და 1949 წელს— № 3999, 5225, 5233, 5234, 3992.

ამრიგად, შაქრის გადიდებული შემცველობით გამოირჩევიან ხეები: 3996, 5226, 3992, 5233, 3993, 5230. შაქრების საერთო რაოდენობა 1948წ. საშუალოდ შეადგენდა 6,93%-ს, 1947 წელს 8,22 და 1949 წელს 81,14%-ს.

გადიდებული მკვავიანობით გამოირჩევიან ხეები: № 5229, 5228, 5222, 3993, 948, 3994, 5226, 5230, 5230, 5231, 4000, 91732, გამოჩაკისის შეადგენდა ორი ხე—№ 5227 და 3992.

შაქრისა და მკვავის მაღალი ფარდობა დადგენილი იყო შემდეგ ხეებზე: № 91732, 4000, 5231, 5230, 5226, 3996, 3994, 948, 5228, 3992, დაბალი ფარდობა კი ხეებზე—5229, 5233, 5222, 3993.

ცნობილია, რომ ფორთოხლის ნაყოფში შაქრებისა და მკვავების დაგროვება დამოკიდებულია არა მარტო ჯიშის თავისებურებაზე, არამედ გარემო პირობებზეც.



საქართველოს
საგარეო საქმეთა მინისტროს
საგარეო უწყების

ფართობს კანცელის-საქმის საფუძველზე გამოკვლევის შედეგად

საგარეო უწყების

საგარეო უწყების №	1947 წ. კანცელის-საქმის საფუძველზე			საგარეო უწყების №	1948 წ. კანცელის-საქმის საფუძველზე			საგარეო უწყების №	კანცელის-საქმის საფუძველზე		
	საგარეო უწყების ფართობი	საგარეო უწყების წილი (%)	საგარეო უწყების საფუძველი		საგარეო უწყების ფართობი	საგარეო უწყების წილი (%)	საგარეო უწყების საფუძველი		საგარეო უწყების ფართობი	საგარეო უწყების წილი (%)	საგარეო უწყების საფუძველი
1	8,23	1,19	6,92	1	6,52	0,73	8,93	4	9,18	0,95	9,66
2	8,19	1,05	7,90	4	7,37	0,00	8,10	8	8,10	1,08	7,50
3	8,33	1,41	5,94	5	7,17	0,96	7,47	11	7,66	1,02	7,51
4	8,42	1,09	7,73	6	6,63	0,77	8,64	12	9,86	1,11	8,88
6	8,14	1,08	7,54	7	8,06	0,80	10,1	14	7,22	0,99	7,29
7	7,99	1,06	7,54	9	5,98	0,66	9,06	15	7,95	1,09	7,29
8	8,37	1,09	7,69	10	6,99	0,95	7,36	16	7,56	1,02	7,41
12	8,52	1,14	7,47	13	7,69	0,62	12,40	17	7,88	1,02	7,72
14	7,96	1,14	6,98	15	6,52	0,77	8,47	19	8,73	1,02	8,56
15	7,99	1,16	6,99	16	6,45	0,91	7,09	20	8,82	1,11	7,95
16	8,09	1,08	7,49	18	6,48	0,77	8,81	საშუალო	8,30	1,04	7,98
19	8,03	0,96	8,36	18	6,10	0,62	10,7	—	—	—	—
20	8,73	1,29	6,77	19	7,18	0,10	7,98	—	—	—	—
22	8,09	0,96	8,43	21	6,63	0,59	11,32	—	—	—	—
საშუალო	8,22	1,12	7,40	საშუალო	6,90	0,79	9,05	—	—	—	—



მოყვანილი მასალის საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმ მნიშვნელოვან ცვლადობაზე, რასაც ადგილი აქვს ფორთხალ ვაშინგტონ ნაველზე უნიშვნელოვანეს კიმიური კომპონენტების შემცველობაში და სად ცვლადობაზე სადეგუსტაციო შეფასებაში. აშკარაა, რომ არსებობს ისეთი ფორმების შერჩევის სრული შესაძლებლობა, რომლებშიც შეხამებულია ნაყოფთა კარგი ხარისხი მათ აღრეულ მომწიფებასთან. ამიტომ საჭიროა უკეთესი სამეურნეო მაჩვენებლების ხეების გამოყოფა ვაწარმოოთ დეგუსტაციური და ბიოქიმიური მონაცემების საფუძველზე. აღნიშნული მაჩვენებლები შესწავლილი უნდა იქნეს არა ნაკლებ 3 წლის განმავლობაში, რომელთა საშუალო მაჩვენებლების მიხედვით უნდა გამოიყოს უკეთესი ხეები.

Ж. МАКАШВИЛИ

БИОХИМИЧЕСКИЕ ИЗМЕНЕНИЯ В ПЛОДЕ АПЕЛЬСИНА ВАШИНГТОН-НАВЕЛЬ ПО ГОДАМ И ПЕРИОДИЧНОСТИ СБОРА

Резюме

При возделывании апельсинов особое место занимает отбор отдельных деревьев, которые обладают хорошими хозяйственными признаками.

Отбору подлежат такие деревья, которые дают плоды большей сахаристостью с ежегодным повторением этого свойства. Такие формы должны быть выделены и размножены в производственных садах.


Нашими исследованиями установлено, закономерность в ежегодном сохранении определенных соотношений сахара и кислоты. Согласно полученным данным у ряда форм изученных деревьев это соотношение составляет: в 1947 г. 7,40, в 1948 г. 9,05 в 1949 г. 7,98. Самое высокое соотношение наблюдалось в 1948 г. 12,4 и самое минимальное в 1948 г. 0,59.

Высокое соотношение сахара и кислоты было установлено на следующих деревьях: № 91732, 4000, 5231, 5230, 5226, 3996, 3994, 948, 5228, 3992, низкое же соотношение — на деревьях 5229, 5233, 5222, 3993.

Среднее количество сахаров в 1947 г. составляло: 8,22, в 1948 г. — 6,90, в 1949 г. — 8,30.

В 1947 г. невысоким содержанием сахара отличались плоды с деревьев: 5229, 5233, 3999, 5234, 1938, 71744, 948, 5225, 3994, 2218, а повышенной сахаристостью отличались деревья: 3996, 5226, 3992, 5233, 3993, 5230.

Накопление сахаров и кислот в плодах апельсинов зависит не только от особенностей того или иного сорта, но и от внешних условий, в которых произрастает и развиваются растения.



На основании полученных данных можно судить о тех значительных изменениях, химических компонентов, которые имеют место в плодах сорта Вашингтон-Навель и которые влияли на их оценку.

Существует полная возможность отбора таких деревьев, которые хорошо сочетаются высокое качество плодов с их ранним созреванием. Поэтому необходимо вести отбор деревьев-маточников с лучшими показателями полученных при дегустации и по данным биохимических исследований. Изучение таких показателей должно проводиться в течение 3 лет, и на основании полученных результатов вести соответствующий отбор деревьев-маточников.

В данной статье изложены результаты 3-х летних наблюдений.

დავითიანი ლიტერატურა

1. ვ. ბატონიშვილი—აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941
2. ი. ჭავჭავაძე—საქართველოს ეკონომიკის ისტორია, თბ., 1932.
3. ნ. კვიციანი—ცენტრალური მცენარეების ისტორიის საკითხსათვის საქართველოში, საქ. სან.-სამ. ინსტ. შრ., ტ. XIII, 1941.
4. Кожин А. Е. — Померанцевые и развитие их культуры в СССР. Труды по прикладной ботанике, генетики и селекции, том XXXI, 1931.
5. Щербakov A. — Лимонная роща в Пети. Газ. „Кавказ“, № 118, 1872.
6. Shamel A. D. Scott L. B. pomeroiy c. S.—citrus Improvement: Achady of bud variation in the Washington Navel orange, washington D. C. 1918.
7. ე. თოფჩიანი—საქართველოს ფორთოხალი, თბ., 1946.
8. რ. ვორონცოვა—ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა ინსტიტუტის ბიულეტენი № 3 1951.





სოფლ. მეურნ. მეცნ. დოქტორი მ. სიხარულიძე

უცხო მცენარის (მკვანის) დამატებითი დამტვერვის გავლენა ხორბლის ჯიშებისა და ჰიბრიდების მარცვლის გამონასკვავა და თაობათა ზოგიერთ მაჩვენებელზე

ხორბალი ტიპური თვითდამტვერვი მცენარეა. ცალკეული ყვავილის შიგნით ბუტკო და მტვრიანები ერთდროულად მწიფდება, მაგრამ არაიშვიათია ღია ყვავილობაც. ეს მოვლენა უფრო ხშირად შეიმჩნევა სამხრეთ რაიონებში და დათავთავება-ყვავილობის პერიოდში ტემპერატურისა და ტენის ცვალებად პირობებში. ჩვეულებრივ, ბუტკოსა და მტვრიანების მომწიფებისას გარკვეული დროით ყვავილის კილები იხსნება, გაშლილი ყვავილის დინგზე საკუთარი მტვრის მარცვლებთან ერთად ხდება სხვა მცენარეთა მტვრის მარცვლებიც, ხდება დამატებითი დამტვერვა და არაიშვიათია ჯვარედინგანაყოფიერებაც.

ჯერ კიდევ 100 წლის წინ დარეინმა გაარკვია, რომ მცენარეთა ევოლუციაში, სქესობრივი გამრავლებისას შთამომავლობათა ცხოველყოფილობასა და გადარჩენაში, უდიდეს როლს ასრულებს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ბიოლოგიური პროცესი—დამტვერვის მიმდინარეობა და განაყოფიერება. თაობათა მანძილზე თვითდამტვერვით განაყოფიერება ბიოლოგიურად საზიანოა, იწვევს შთამომავლობის დეპრესიას—გადაგვარებას. ამიტომ ბუნებაში არ არსებობენ მცენარეები აუცილებლად თვითდამატვერიანებლები. დროდადრო თვითდამატვერიანებელ მცენარეთა გამრავლება ჯვარედინი დამტვერვით ხორციელდება, რაც ამ მცენარეთა სახეობის თუ ფორმის შთამომავლობას მატებს ცხოველყოფილობას.

ხორბლის გახსნილი (გარკვეული დროით) ყვავილის დინგზე ხორბლის სხვა მცენარეთა მტვრის მარცვლებთან ერთად, ცხადია, ხდება უცხო მცენარეთა მტვრის მარცვლებიც, რაც უდავოდ გარკვეულ ბიოლოგიურ გავლენას ახდენს განაყოფიერების ფიზიოლოგიურ აქტიუობაზე და მარცვლის გამონასკვის ხარისხზე.

ი. მიჩურინის შრომებით გარკვეულია, რომ მცენარეთა დამტვერვა-განაყოფიერებისას გამეტათა შერწყმასთან ერთად აღინიშნება მამრობითი სასქესო ელემენტების მეტაბოლური გავლენა კვერცხუჯრედსა და ჩანასახზე. ი. მიჩურ-



რინმა დაამუშავა და თავის მუშაობაში წარმატებით გამოიყენა ნარკვი მტერი/ დამტვერვის მეთოდი, რითაც იგი აღწევდა შორეულ ფორმათა შენახვის დაძლევის და შთამომავლობის ცხოველმყოფელობის გაღივების მიზნებს.

საბჭოთა ბიოლოგებმა გამოიყენეს მცენარეთა დამტვერიანება-განაყოფიერების დარეინისეული და მიჩურინული თეორია და რიგი მნიშვნელოვანი გამოკვლევებით დაასაბუთეს, რომ სქესობრივი გამრავლებისას შთამომავლობის ცხოველმყოფელობის მიღწევა შეიძლება არა მხოლოდ გამეტათა შერწყმით და ორმაგი განაყოფიერებით, არამედ დამატებითი მტერის მარცვლების მენტორული გავლენითაც. ცხოველმყოფელობას აძლიერებს ისეთ მცენარეთა მტერის მარცვლებიც, რომლებიც უუნარონი არიან "შეუჯვარდნენ" დედა მცენარეს. მტერის ის მარცვლებიც კი, რომლებიც არ ღივდებიან დედა მცენარის ყვავილის დინგზე, ხშირად დადებით გავლენას ახდენენ განაყოფიერებაზე, ჩინასახის განვითარებაზე და შთამომავლობის ცხოველმყოფელობაზე.

უკანასკნელი ორი-სამი ათეული წლის მანძილზე განაყოფიერებისას უცხო მტერის მენტორული გავლენა გარკვეულია ერთ და მრავალწლოვან მცენარეებში. ჯვარედინგამანაყოფიერებლებსა და თვითგამანაყოფიერებლებში (გ. ბაბაჯანიანი, ი. პოლიაკოვი, ი. ტურბინი, ა. კოვარაკი, პ. ლუკიანენკო, ფ. კირიჩენკო, ლ. ედანოვი, დ. მეღვედევა, ე. გულიაევა, ლ. არუთინოვა, ი. ენზენ-შტეინი, მ. რიაბინა, კ. სტეპანოვი, ი. შიმინსკი, ა. პეტროვი, პ. ბელიუბელი და ი. სულიმა, ა. დარვა, ი. რაიხერი და სხვ.). ამ საკითხის შესწავლოთ დაინტერესდა საქართველოს სას.-სამ. ინსტიტუტის გენეტიკისა და სელექციის კათედრაც.

უცხო მტერის დადებითი მენტორული გავლენა ქართული სიმინდების ხაზებისა და პეტეროვისული ჰიბრიდების გამოყვანისას ფართო მასშტაბით შესწავლა გ. კაპატაძემ.

ჩვენ შევისწავლეთ ჭვავის მტერის დამატებითი დამტვერვის გავლენა ხორბლის განაყოფიერების ცხოველმყოფელობაზე და მარცვლის გამონასკვის ოდენობაზე, როგორც ჭიშის შიგნით თვითდამტვერვით განაყოფიერებისას, აგრეთვე შიგასახეობრივი და სახეობათაშორისი ჰიბრიდიზაციისას. ასეთი განაყოფიერებით მიღებულ შთამომავლობაში თაობათა მანძილზე შევისწავლეთ უცხო მტერის სასარგებლო გავლენა რიგ ბიოლოგიურ და სამეურნეო მაჩვენებლებზე.

ცდის მასალა და მეთოდიკა

ხორბლის თვითდამტვერვით გამრავლებისას უცხო მტერის დამატებითი გავლენა გარკვეულ იქნა ხორბლის ქართული ჯიშებზე—დოლის პური 35-4-სა, ცერულუსკენს 19-28-ზე და ჰიბრიდულ კონსტანტურ ფორმაზე—სახეობითაშორის ჰიბრიდ 292-ზე.

დოლის პური 35-4 ქართულ ხორბლებში ყველაზე ფართოდ გავრცელებული ჯიშია, ბოტანიკურად მიეკუთვნება რბილი ხორბლის (*T. aestivum*) ძირითად სახესხვაობას (საქართველოში) ერთიროსპერმუმს. ქართლის ტყეველის ეკოტიპია. ორჯერ მასობრივი გამორჩევის მეთოდით მიღებული სელექციური ჯიშია.



ცერულესცენს 19—28 მაგარი ხორბლის (თავთუნის) სელექციური ხაზი ა-
ნი ჯიშია, მისი საწყისია ქართლის შავფხა.

ჰიბრიდი 292 სახეობათაშორისი ჰიბრიდია მიღებულია გორის სელექციური ხაზისა და დატოტვილთავთვანი ტურგიდუმის ორჯერი შეჯვარებით \varnothing (\varnothing გორის წითელი დოლი \times σ^1 ტურგიდუმი) \times σ^1 ტურგიდუმი). ბოტანიკურად მიეკუთვნება რბილი ხორბლის სახესხვაობა—ფსევდოერიტროლეუკონს. მისი თავთავი შეუბუხავია, ფხიანი, წითელი. ფხები შავია, მარცვლი თეთრი. კონსტანტური ფორმა (F_{1a}) მცენარე საშუალო სიმაღლისაა. მტკიცელოვანი, ჩაწოლისა და დაავადებათა მიმართ გამძლე.

რბილი ხორბლის შიგასახეობრივი ჰიბრიდიზაციის უცხო მტვერის დამატების გავლენა გავარკვევით ქართული ხორბლის გეოგრაფიულად დაშორებულ ფორმათა ნაჯვარში (21 კომბინაცია), სახეობათაშორისი ჰიბრიდიზაციისას კი 28-ქრომოსომიან და 42-ქრომოსომიან სახეობათაშორის ნაჯვარში.

უცხო მტვერის წყაროდ გამოვიყენეთ ადიგენის ადგილობრივი ჰეავი.

z —высота этой точки над горизонтальной плоскостью сравнения координатной системы (апликата).

h —высота стоянки аппарата;

a, b, c, a_1, a_2 —постоянные параметры, которые определяются экспериментально.

Если принять, для нужного запаса $h=0$ и, если траектория выражена по формуле (1), тогда контур проекции политой площади с одной позиции стоянки аппарата выражается в явном виде формулой

$$\rho = \rho(\theta) = \left(\frac{a - tg \theta \cos \theta}{b} \right)^{\frac{1}{c-1}} \quad (3)$$



где ρ — полярный радиус;

θ — полярный угол;

ϑ_0 — максимальный угол наклона поливаемой площади.

Если траектория аппроксимирована вышеуказанными полиномами, тогда при $h=0$, ρ определяются как корни полиномов 3-ей и 4-й степени, по переменным значениям аргумента θ .

В остальных случаях ρ определяется методами приближенного вычисления.

Нами разработан также универсальный и совершенно простой графо-аналитический метод определения контура политой площади, который можно применить при любой траектории струи и любой форме поверхности земли [9].

Выясняется, что допустимый максимальный угол наклона орошаемой площади — $\vartheta_{\text{доп}}$, при котором на почву и на растения будет действовать только распыленная часть струи составляет $\vartheta_{\text{доп}} = 11^\circ - 13^\circ$, при наклоне сопла аппарата к горизонту примерно $\alpha_0 = 28^\circ - 32^\circ$. Однако, распыленная часть струи в начальном участке ещё имеет достаточно большую энергию. Поэтому, в зависимости от вида с. х. культур и их чувствительности к механическим повреждениям, допустимый угол наклона площади — $\vartheta_{\text{доп}}^1$ может оказаться ещё меньшим, чем $\vartheta_{\text{доп}}$ ($\vartheta_{\text{доп}}^1 < \vartheta_{\text{доп}}$).

Если $\vartheta_0 \geq \vartheta_{\text{доп}}^1$, то следует перейти на секторный полив. Рабочий секторный угол $\theta_{\text{сек}}$ определяется формулой

$$\theta_{\text{сек}} \leq 360^\circ - 2 \arccos \left(\frac{\text{tg } \vartheta_{\text{доп}}^1}{\text{tg } \vartheta_0} \right) \quad (4)$$

С увеличением α_0 , увеличивается и $\vartheta_{\text{доп}}$, и следовательно становится допустимой круговой полив более крутых склонов.

Движущая действующая интенсивность дождя $i_{\text{д.д}}$ в условиях наклонной плоскости определяется зависимостью

$$i_{\text{д.д}} = \begin{cases} i_{\text{д макс}} \left(\frac{\rho}{\rho_1} \right) \left(\frac{R}{\rho} \right)^2 \frac{\cos \vartheta_0}{\sqrt{1 + \text{tg}^2 \vartheta_0 \cos^2 \theta}} \left(\frac{r}{\rho} \right) D & \text{когда } \vartheta_0 > \vartheta_{\text{доп}}, \rho < \rho_1, r \in [0, \rho] \\ i_{\text{д макс}} \left(\frac{R}{\rho} \right)^2 \frac{\cos \vartheta_0}{\sqrt{1 + \text{tg}^2 \vartheta_0 \cos^2 \theta}} \left(\frac{r}{\lambda \rho} \right) D & \text{когда } \vartheta_0 \leq \vartheta_{\text{доп}}, \rho \geq \rho_1, r \in [0, \gamma \rho] \\ i_{\text{д макс}} \left(\frac{R}{\rho} \right)^2 \frac{\cos \vartheta_0}{\sqrt{1 + \text{tg}^2 \vartheta_0 \cos^2 \theta}} \frac{1 - \frac{r}{\rho}}{1 - \gamma} D & \text{когда } \vartheta_0 \leq \vartheta_{\text{доп}}, \rho \geq \rho_1, r \in [\gamma \rho, \rho] \end{cases}$$

где $i_{д макс}$ — действующая максимальная интенсивность дождя по горизонтальной плоскости, когда аппарат не вращается;

R — радиус действия аппарата по горизонтальной плоскости;
 $\rho_1 = \nu R$ — абсцисса той точки траектории, где начинается полная струя, $\nu = 0,79 \div 0,82$ — коэффициент;

$$\gamma = 1 - \left(\frac{\rho}{R} - \gamma \right) \frac{1 - \gamma_0}{1 - \nu}$$

$\gamma_0 = 0,75 \div 0,85$ — коэффициент;

$\gamma_0 R$ — расстояние от аппарата до той точки, где действующая интенсивность дождя имеет максимальное значение ($i_{д макс}$), по горизонтальной плоскости;

$$D = \frac{1}{\left(\frac{1}{2} + \frac{1}{2} \frac{b_2}{b} \right) + \frac{1}{b} \left(\frac{r}{\rho} \right) s}$$

$$b = \left(\frac{\rho}{R} \right) \left[\varphi \left(r \frac{R}{\rho} \right) \right] \sqrt{1 + tg^2 \theta_0 \cdot \cos^2 \theta}$$

— проекция ширины полосы покрытой дождем, на расстояние r от аппарата, по направлению полярного угла θ ;

$b_0 = \varphi(r_0)$ — функциональная зависимость, выражающая ширину полосы, покрытой дождем, на расстояние r_0 от аппарата, по горизонтальной плоскости

$$b_2 = \left(\frac{\rho_2}{R} \right) \left[\varphi \left(r \frac{R}{\rho} \right) \right] \sqrt{1 + tg^2 \theta_0 \cdot \cos^2 (\theta + 2\pi n)}$$

ширины полосы покрытой дождем на расстояние r от аппарата, по направлению $\theta + 2\pi n$;

n — число оборотов аппарата в минуту;

$\rho_2 = \rho (\theta + 2\pi n)$ значение полярного радиуса, контура проекции полнотой площади, по направлению $\theta + 2\pi n$;

$$S = \int_0^{\theta + 2\pi n} \sqrt{\rho^2 + \left(\frac{d\rho}{d\theta} \right)^2} d\theta \quad \text{— длина контура полнотой площади}$$

находящейся между полярными углами θ и $\theta + 2\pi n$;

Самое большое значение движущаяся действующая интенсивность дождя имеет по направлению $\theta = 0$, при $r = \gamma \rho_{мин}$ и равна



$$i_{\text{д макс. макс}}^* = \begin{cases} i_{\text{д макс}} \frac{R^2}{\rho_1 \rho_{\text{мин}}} \frac{\cos^2 \vartheta_0}{\left(\frac{1}{2} + \frac{1}{2} \frac{b_2}{b}\right) + \frac{s}{b}}, & \text{когда } \vartheta_0 > \vartheta_{\text{дон}}, \theta = 0, \rho = \rho_{\text{мин}} < \rho_1, r = \rho_{\text{мин}}, \gamma = 1 \quad (5) \\ i_{\text{д макс}} \left(\frac{R}{\rho_{\text{мин}}}\right)^2 \frac{\cos^2 \vartheta_0}{\left(\frac{1}{2} + \frac{1}{2} \frac{b_2}{b}\right) + \gamma \frac{s}{b}}, & \text{когда } \vartheta_0 \leq \vartheta_{\text{дон}}, \theta = 0, \rho = \rho_{\text{мин}} > \rho_1, r = \gamma \rho_{\text{мин}} \end{cases}$$

Здесь $\rho_{\text{мин}} = \rho(0)$ — значение ρ при $\theta = 0$.

Движущаяся действующая средняя интенсивность дождя определяется по формуле

$$i_{\text{д д ср}} = \frac{60 Q \cos \vartheta_0}{\theta + 2\pi n} \quad \text{когда } \rho > \rho_1 \quad (7)$$

$$= \frac{1}{2} \int_{\theta}^{\theta + 2\pi n} \rho^2 d\theta + \frac{\omega_1}{2} + \frac{\omega_2}{2},$$

где Q — расход воды аппарата в $\frac{\text{л}}{\text{сек}}$;

$$\omega = \left(\frac{\rho}{R}\right)^2 \sqrt{1 + tg^2 \vartheta_0 \cos^2 \theta} \cdot \omega_0 \quad (8)$$

— площадь горизонтальной проекции полосы покрытой дождем, при полярном угле θ ;

$$\omega_2 = \left(\frac{\rho_2}{R}\right)^2 \sqrt{1 + tg^2 \vartheta_0 \cos^2 (\theta + 2\pi n)} \cdot \omega_0 \quad (9)$$

— она же при полярном угле $\theta + 2\pi n$

ω_0 — площадь полосы покрытой дождем при горизонтальной плоскости, $\vartheta_0 = 0$;

n — число оборотов аппарата в минуту;

За весь период — T работы аппарата толщина слоя воды — H , поступившей на данное место определяется зависимостью

$$H = \begin{cases} i_{д макс} \left(\frac{1}{\rho_1} \right) \left(\frac{R}{\rho} \right) - \frac{1}{2\pi} \left[\varphi \left(-\frac{r}{\rho} - R \right) \right] \frac{T}{\sqrt{1 + tg^2 \theta_0 \cos^2 \theta}} & \text{когда } \theta_0 > \theta_{доп}, \rho < \rho_1, r \in [0, \rho] \\ i_{д макс} \left(-\frac{R}{\rho} \right) - \frac{1}{2\pi} \frac{1}{\gamma \rho} \left[\varphi \left(-\frac{r}{\rho} - R \right) \right] \frac{T}{\sqrt{1 + tg^2 \theta_0 \cos^2 \theta}} & \text{когда } \theta_0 \geq \theta_{доп}, \rho > \rho_1, r \in [0, \gamma \rho] \\ i_{д макс} \left(-\frac{R}{\rho} \right) \frac{1}{2\pi} \frac{1}{1-\gamma} \frac{1}{\rho} \left[\varphi \left(-\frac{r}{\rho} - R \right) \right] \frac{T}{\sqrt{1 + tg^2 \theta_0 \cos^2 \theta}} & \text{когда } \theta_0 \geq \theta_{доп}, \rho > \rho_1, r \in [\gamma \rho, \rho] \end{cases} \quad (10)$$

Эта величина имеет самое наибольшее значение по направлению $\theta = 0$, в том месте, где ширина полосы, покрытой дождем, имеет максимальное значение $b_{макс} = \left[\varphi \left(\frac{r}{\rho} - R \right) \right]_{макс}$ и будет равна

$$H_{макс макс} = \begin{cases} i_{д макс} \left(\frac{1}{\rho_1} \right) \left(\frac{R}{\rho_{мин}} \right) \frac{\cos \theta_0}{2\pi} \left[\varphi \left(\frac{r}{\rho_{мин}} - R \right) \right]_{макс} T, & \text{когда } \theta_0 > \theta_{доп}, \rho < \rho_1, \theta = 0 \\ i_{д макс} \left(\frac{R}{\rho_{мин}} \right) \left(\frac{1}{\gamma \rho_{мин}} \right) \frac{\cos \theta_0}{2\pi} \left[\varphi \left(\frac{r}{\rho_{мин}} - R \right) \right]_{макс} T, & \text{когда } \theta_0 < \theta_{доп}, \rho > \rho_1, \theta = 0 \end{cases} \quad (11)$$

Дифференциальной средней интенсивностью дождя является выражение

$$i_{диф} = \frac{H}{T} \quad (12),$$

которое будет иметь самое наибольшее значение по направлению $\theta = 0$, в том месте, где ширина полосы покрытой дождем имеет максимальное значение

$$i_{диф макс макс} = \begin{cases} i_{д макс} \left(\frac{1}{\rho_1} \right) \left(\frac{1}{\rho_{мин}} \right) \frac{\cos \theta_0}{2\pi} \left[\varphi \left(\frac{r}{\rho_{мин}} - R \right) \right]_{макс}, & \text{когда } \theta_0 > \theta_{доп}, \rho_{мин} < \rho_1, \theta = 0 \\ i_{д макс} \left(\frac{R}{\rho_{мин}} \right) \left(\frac{1}{\gamma \rho_{мин}} \right) \frac{\cos \theta_0}{2\pi} \left[\varphi \left(\frac{r}{\rho_{мин}} - R \right) \right]_{макс}, & \text{когда } \theta_0 < \theta_{доп}, \rho > \rho_1, \theta = 0 \end{cases} \quad (13)$$

Первым критерием определения допустимой продолжительности полива является выражение

$$T \leq T'_{\text{дон}} = \frac{A}{\left(i_{\text{диф. макс. макс}} \right)^B}$$

Вторым критерием определения допустимой продолжительности полива является выражение

$$T \leq T''_{\text{дон}} = \left[\frac{\left[\frac{\gamma \rho_{\text{мин}}}{i_{\text{д макс}}} \left(\frac{\rho_{\text{мин}}}{R} \right)^2 (1 + tg^2 \vartheta_0) \right]^B \frac{2 \pi A}{b_{\rho_{\text{мин ср}}}}}{\left[\frac{1}{2} (b_{\text{ср}} + b_{\text{ср}2}) + \frac{S}{\rho_{\text{мин}}} r_{\text{кр}} \frac{1}{B} \right]^B} \right] \quad (15)$$

где $r_{\text{кр}} = (B-1) \frac{B \rho_{\text{мин ср}} + b_{\rho_{\text{ср}2}}}{2} \cdot \frac{\rho_{\text{мин}}}{S}$ — расстояние от аппарата до того места, где раньше всего начинается образование поверхностного стока;

$b_{\rho_{\text{мин ср}}} = b_{0 \text{ ср}} \left(\frac{\rho_{\text{мин}}}{R} \right) \sqrt{1 + tg^2 \vartheta_0}$ — средняя ширина полосы дождя по направлению $\vartheta = 0$;

$b_{\rho_{\text{ср}2}} = b_{0 \text{ ср}} \left(\frac{\rho_{\text{ср}2}}{R} \right) \sqrt{1 + tg^2 \vartheta_0 \cos^2 2 \pi n}$ — средняя ширина полосы дождя по направлению $\vartheta = 2 \pi n$;

$b_{0 \text{ ср}}$ — средняя ширина полосы дождя в условиях горизонтальной плоскости, $\vartheta_0 = 0$;

$$S = \int_0^{2 \pi n} \sqrt{\rho^2 + \left(\frac{\partial \rho}{\partial \vartheta} \right)^2} d\vartheta$$

A — параметр, зависит от водопроницаемости почвы и колеблется в пределах 3–30;

B — параметр, зависящий от влагоёмкости почвы перед поливом. Когда влагоёмкость не превышает 75%-ов от предельной влагоёмкости $B=1,5$, а когда достигает до 80%, $B=3$.

Выясняется что, если $B=1,5$, тогда продолжительность полива нужно определить по первому критерию, а если $B=3$, тогда по второму.

После определения допустимой продолжительности полива T , можно определить допустимую среднюю поливную норму

$$m_{cp} = \frac{60QT \cos \vartheta_0}{\pi \int_0^{\gamma_0} \rho^2(\theta) d\theta}$$

Коэффициент неравномерности полива будет

$$\beta_1 = \frac{H_{\max} \max}{m_{cp}} \quad (17)$$

Первыми необходимыми условиями равномерного полива являются

$$\left\{ \begin{array}{l} i_{\lambda} = \frac{60\Delta Q}{b_0} = \frac{60\psi(r_0)}{\varphi(r_0)} = f(r_0) = \frac{i_{\lambda \max}}{\gamma_0 R} r_0, \text{ когда } r_0 \in [0, \gamma_0 R] \\ \text{и} \\ b_0 = \varphi(r_0) = \text{const}, \text{ когда } r_0 \in [0, \gamma_0 R] \end{array} \right. \quad (18)$$

или

$$60\Delta Q = 60\psi(r_0) = [i_{\lambda} b_0] = f(r_0) \varphi(r_0) = \frac{60\Delta Q_{\max}}{\gamma_0 R} r_0, \text{ когда } r_0 \in [0, \gamma_0 R] \quad (19)$$

$i_{\lambda} \equiv f(r_0)$ — действующая интенсивность дождя по горизонтальной плоскости, когда аппарат не вращается;

$\Delta Q = \psi(r_0)$ — удельный расход воды на единицу длины, в виде дождя.
 ΔQ_{\max} — максимальное значение удельного расхода, которое имеет место на расстоянии $\gamma_0 R$ от аппарата.

Дождевальные аппараты должны удовлетворять одному из двух вышеприведенных условий. Этого можно достигнуть применением дополнительных малых отверстий в сопле, или применением дополнительных сопел с малыми отверстиями, или применением обоих вместе, а для аппаратов с реактивной лопаткой, приданием лопатке специальной формы и подбором соответствующих конструктивных элементов.


Для равномерного полива склонов дополнительно надо удовлетворить следующему условию (достаточное)

$$n_0 = \frac{1}{c \gamma \rho^2} \frac{1}{\sqrt{1 + tg^2 O_0 \cos^2 \theta}} \quad (20)$$

где n_0 — переменное число оборотов аппарата в зависимости от полярного угла θ ;

c — произвольное постоянное.

Во всех вышеприведенных выражениях если поставим $\vartheta_0 = 0$ и следовательно $\rho = R$, $r = r_0$, $\gamma = \gamma_0$, $b = b_0$ и т. д., получим соответствующие выражения для частного случая горизонтальной плоскости.



Отметим, что во всех выражениях для i и H следует вводить добавочный множитель. $K=0,85 \div 0,90$, учитывающие потери на испарение во время полива.

На основе этих исследований нами создан аппарат для полива склонов, с переменными угловыми скоростями вращения и повышенным до $\alpha_0 = 45^\circ$ наклоном сопла к горизонту. Такими аппаратами допустим полив склонов с уклоном до $O_{доп} = 25^\circ$, а если наклон сопла повысит до $\alpha^0 = 60^\circ$, тогда $O_{доп} = 45^\circ$. Такие аппараты имеют целый ряд преимуществ перед секторными: площадь, политая с одной позиции гораздо больше; общая интенсивность дождя меньше; исключено мгновенное повышение интенсивности что всегда имеет место на боковых границах поливного сектора, в момент изменения направления движения; больше допустимая продолжительность полива; больше расстояние между стояками и, следовательно, меньше их общая стоимость, склон поливается равномерно и высококачественно.

Производственное испытание первого образца указанного аппарата убеждает в преимуществе и в достоинстве таких аппаратов.

სადავო საკვანძო ნიშნები

1. Д. М. Кервалишвили—Зависимость для расчета основных элементов дождевальных аппаратов с реактивной лопаткой. Тр. Груз. НИИГиМ, вып. 24, 1966.
2. В. Г. Муладзе—К вопросу развития иригации в Юго-Осетинской автономной области (Автореферат), 1965.
3. И. Е. Чичинадзе—Вопросы проектирования стационарной системы дождевания в условиях горного рельефа (Автореферат), 1965.
4. И. С. Березин и Н. П. Жидков—Методы вычислений. М., 1966.
5. А. Г. Курош—Курс высшей алгебры. М., 1953.
6. შ. ქვეცხაძე—უმაღლესი ალგებრა. თბ. 1962.
7. И. Н. Броштейн и К. А. Семендяев—Справочник по математике. М., 1953.
8. Б. П. Демидович и И. А. Марон—Основы вычислительной математики. М., 1966.
9. Тугуши Г. Е.—Обобщенное правило определения расстояний между дождевальными аппаратами и выгодные принципиальные схемы их взаиморасположения. Тр. Груз. СХИ, т. LXXV, 1968.
10. И. И. Агроскин, Г. Т. Дмитриев и Ф. И. Пикалов—Гидравлика. Л. 1954.
11. А. М. Летишенков и В. Т. Лобачев—Гидравлика. М., 1945.
12. Б. В. Микеладзе, Ч. Г. Мурванидзе—К вопросу орошения сельскохозяйственных культур на террасированных склонах. Тр. Груз. НИИГиМ, вып. 24, 1966.
13. А. Н. Костяков—Основы мелиорации. М., 1960.

14. Тугуши Г. Е.—К вопросу определения допустимой интенсивности дождя и поливной нормы при дождевании. Тр. Груз. СХИ, т. LXXI—LXXII, 1967.
15. ა. ხარაძე, ვ. კელიძე ბ. ხვედელიძე, ი. ქარცივაძე—მათემატიკური ანალიზის კურსი. თბ. 1963.
16. А. И. Дидебулидзе—Дождеватель ГрузНИИГиМ системы буандзе. Тр. ГрузНИИГиМ, № 2 (15). 1951.
17. ი. გორგიძე—თეორიული მექანიკის კურსი, ნაწ. 1. თბ. 1967.
18. ვ. კელიძე, გ. ხახუბია, ლომჯარი—უმაღლესი მათემატიკის კურსი, ტ. 11. თბ. 1964.
19. გ. ტულუში—ფერდობების დაწვიმებით რწყვა და საწვინარი აპარატებისადმი წაყენებული მოთხოვნებები, ჟურნ. „საქართველოს სოფლის მეურნეობა“, № 7, 1968.




დოკ. შ. სირაძე

თამბაქოს ზრახის (პერონოსპოროზის) გავრცელება და მავნეობა აჭარის პირობებში

ჩვენი რესპუბლიკის მეთამბაქოეობის რაიონების (სოხუმი, ხულო, შუახევი, ქედა, ლაგოდეხი, მარნეული და ბოლნისი) პროდუქტია გამოირჩევა შესანიშნავი არომატული ღირსებებით. განსაკუთრებით დიდ მოწონებას იმსახურებს აფხაზეთში მოყვანილი სამსუნის ჯიშის თამბაქო, რომელმაც საზღვარგარეთ ფართოდ გაითქვა სახელი. მიუხედავად ამისა, უკანასკნელი 5—6 წლის მანძილზე რესპუბლიკაში თამბაქოს ნედლეულის დამზადების გეგმა არ სრულდება, ამავე დროს ცუდია ხარისხობრივი მაჩვენებლებიც. ამის ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს თამბაქოს ახალი ავადმყოფობის—პერონოსპოროზის გავრცელება, რომელმაც განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა აფხაზეთისა და აჭარის მეთამბაქოეობის რაიონებს. ამასთან დაკავშირებით წლების მანძილზე ვსწავლობდით თამბაქოს კრაქის გავრცელებას და მავნეობას აჭარის პირობებისათვის.

თამბაქოს კრაქი სოკოვანი დაავადებაა, მისი გამომწვევია—*Peronospora tabacina* Adam. ეს სოკო პირველად საბჭოთა კავშირში 1960 წ. შემოდგომაზე შენიშნეს იმიერკარპატის მხარეში. მიუხედავად მთელი რიგი საკარანტინო და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებისა: იგი სწრაფად მოედო მეთამბაქოეობის მთელ რიგ რაიონებს.

1962 წ. თამბაქოს პერონოსპოროზი გამოვლინდა საქართველოს თითქმის ყველა მეთამბაქოეობის რაიონში და იმავე წლიდან უდიდესი ზარალი მიაყენა თამბაქოს მწარმოებელ მეურნეობებს. მაგალითად, აფხაზეთში აღნიშნული ავადმყოფობისაგან დაიღუპა თამბაქოს ნარგავობის 23%, ხოლო აჭარელმა მეთამბაქოეებმა 1963 წ. თამბაქოს ნედლეულის დამზადების გეგმის შესამედიცვერ შეასრულეს. ავადმყოფობის პირველი კერები აღმოჩენილ იქნა აფხაზეთისა და აჭარის რაიონებში, ამიტომ ფიქრობენ, რომ დაავადების გამომწვევი მიზეზი შემოვიდა საბერძნეთიდან ან თურქეთიდან ჭარის საშუალებით, რომლის მიმართულეა აპრილის შესაშვ დეკადის და მაისის პირველი დეკადის დასაწყისში იყო სამხრეთ-დასავლეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთის. ხოლო სიჩქარე 1—5 მ/წამში, ამავე დროს მაისის პირველ დეკადაში აფხაზეთში ჰაერის ტემპერატურა უდრიდა 14—15°-ს, ჰაერის შეფარდებითი სინოტივე 77—82%-ს, რამაც შეუწყო ხელი ავადმყოფობის გავრცელებას.



თამბაქოს კრაქით ავადდება თამბაქო, წიქო, თამბაქოს ტყეობა და გარეული სახეობები, ხოლო ზოგიერთი ავტორის ცნობით - მიდლორიც და ბადრიჯანიც.

ავადმყოფობა გვხვდება ჩითილებზე, როგორც დახურულ, ისე ღია კვლებში და მინდვრად გადარგულ თამბაქოს მცენარეებზე. ჩითილების დაავადება შეიმჩნევა სხვადასხვა ფაზაში. მათგან განსაკუთრებით აღინიშნება ჯვრის ფაზა.

დაავადებული ჩითილი მომწვანო-მოყვითალო ფერისაა. ფოთლის ნაპირები ხშირად ივრისება. ფოთლის ქვედა მხარეზე, ზოგჯერ ზედა მხარეზეც, ემჩნევა მოთეთრო, ოღნავ იისფერი ფიფქი, ავადმყოფობის განვითარების ხელშემწყობ პირობებში ჩითილი იღუპება და ახასიათებს არასასიამოვნო სუნი.

მინდვრის პირობებში თამბაქოზე დაავადება ჩნდება ქვედა იარუსის ფოთლებზე და თანდათან გადადის ზემო იარუსზე. ფოთლის ზემო მხარეზე ჩნდება ქლოროტული მომრგვალო ლაქები, რაც იზრდება და ქმნის ნეკროზულ ადგილებს. ტენის პირობებში ფოთლის ქვედა მხარეზე წარმოიქმნება იასამნისფერი ან ცისფერი ფიფქი, რომელიც ბოლოს მონაცრისფრო ან ღია ყავისფერი ხდება.

ფოთლებზე და სხვა ორგანოებზე განვითარებული ფიფქი წარმოადგენს სოკოს ნაყოფიანობას, რომლითაც ვრცელდება.

პერონოსპოროზით ზიანდება აგრეთვე თამბაქოს კოკრები, ყვავილები, სათესლე კოლოფები, ყუნწი და ლეროებიც კი, ამ უკანასკნელზე ჩნდება მუქი, მოგრძო ნეკროზული ლაქები.

პერონოსპორა იზამთრებს როგორც ოსპორების სახით მცენარის ნარჩენებში, ისე მიცელიუმის სახით მცენარის ზოგიერთ ცოცხალ ნაწილებში. სოკო ვრცელდება სპორებით ქარის, მწერებისა და სხვა საშუალებებით.

თამბაქოს კრაქი ეკუთვნის იმ დაავადებათა ჯგუფს, რომელიც მკვიდრობდა დაკავშირებული კლიმატურ პირობებთან და ვითარდება ტენისა და ტემპერატურის გარკვეული ხელსაყრელი თანხედენილობისას. ავადმყოფობის განვითარებისათვის საჭიროა 24°-მდე ტემპერატურა და 80%-ზე მეტი ტენიანობა.

თამბაქოს პერონოსპოროზის გავრცელებისა და მავნეობის დასადგენად გამოკვლევა ჩავატარეთ ბათუმის, ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონებში შემაველ 27 კოლმეურნეობის საჩითილე სათბურებსა და მინდვრად გადარგულ თამბაქოს ნარგავებზე.

სააღრიცხვოდ სათბურები და ნაკვეთები შევარჩიეთ ისე, რომ მათი კლიმატური და ნიადაგური პირობები დამახასიათებელი იყო აპარის მეთამბაქოების რაიონებისათვის.

სათბურებში ჩითილების შემოწმება ჩატარდა 2-ჯერ:

1. ყურების აცქვეტის ფაზაში და 2. მინდვრად გადარგვის წინ. დაავადებული ჩითილების აღრიცხვის და ავადმყოფობის გავრცელების პროცენტის დასადგენად რამდენიმე მეთოდი არსებობს, ჩვენ ვისარგებლეთ საჩითი-



ლე სათბურების საერთო რაოდენობასთან დაავადებული სათბურების ფართობის შეფარდების მხედველობაში მიღებით.

27 კოლმეურნეობის სათბურებსა და ღია კვლებში თამბაქოს ჩამოყვების დაავადება პერონოსპოროზით არ შეგვიძინებია, რაც, ჩვენი აზრით, გამოწვეული იყო იმით, რომ 1963—1964 წწ. თითქმის ყველა კოლმეურნეობაში მაქსიმალურად ჩატარდა წინასწარი გამაფრთხილებელი ღონისძიებანი, რაც გათვალისწინებული იყო სათბურებში პერონოსპოროზის აღსაკვეთად.

მართალია, ჩითილები აჭარაში პერონოსპოროზით 1963—1964 წწ. არ დაავადებულა, მაგრამ სულ სხვა მდგომარეობა იყო მინდვრად გადარგულ თამბაქოზე, რომელზეც პერონოსპოროზი შემჩნეულ იქნა ივნისში: აჭარის-წყლისა და კირნათის კოლმეურნეობებში დაავადება თამბაქოზე გამოვლინდა 10 ივნისს ერთეულ ფოთლებზე, რაც 27 ივნისისათვის ძლიერ იყო გავრცელებული. რამდენიმე დღის (10—12 დღე) შემდეგ პერონოსპოროზი გამოვლინდა უფრო მთიან რაიონებში, კერძოდ, შუახევისა და ხულოს კოლმეურნეობებში.

ჩვენი დაკვირვებით, ხაადრევიად გადარგულ თამბაქოს ჩითილზე პერონოსპოროზი უფრო გვიან ჩნდება, რის გამოც ასწრებენ ფოთლის შეტეხვას და ამდენად მეტ მოსავალს იღებენ. გვიან გადარგულ ჩითილებზე კი სოკო ადრე ვლინდება და ავადმყოფობა ჩქარა ვითარდება, რის გამოც ფოთლის შეტეხვას ვერ ასწრებენ და მოსავალი იკარგება.

მინდვრად თამბაქოს მცენარეზე პერონოსპოროზის გავრცელების პროცენტისა და დაავადების ხარისხის დასადგენად აჭარის 10 კოლმეურნეობაში ჩავატარეთ აღრიცხვა (ცხრ. 1).

როგორც 1-ლი ცხრილიდან ჩანს, საერთოდ 2100 მცენარიდან პერონოსპოროზით დაავადებული იყო 714, რაც 34%-ის შეადგენს, ხოლო დაავადების ხარისხი მერყეობს 10,6—34,2%-ის ფარგლებში.

ცხრილი 1

პერონოსპოროზის გავრცელებისა და დაავადების ინტენსივობის აღრიცხვის შედეგები

კოლმეურნეობა	მცენარეთა რაოდენობა			ავადმყოფობის გავრცელება (%)	მცენარეთა დაავადების ინტენსივობა (%)
	სულ	სალი	დაავადებული		
აჭარის აღმართი	300	222	78	26,0	15,5
ნუჭეთი	300	240	60	20,0	10,6
აჭარისწყალი	180	157	63	35,0	24
ჭვდა ჩხუტუნეთი	210	126	84	40,0	34,2
კირნათი	300	186	114	38,0	23,5
ქალ-ქელი	240	159	81	33,7	18,6
ტელმანის საბ.	90	60	30	33,3	27,1
XIX პარტყრილობის	90	57	33	36,6	24,4
კალინინის საბ.	210	120	90	42,7	30,0
სიფი	180	99	81	45	32,3

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თამბაქოს კრაქის გავრცელებას 1962—1963 წწ. ხელი შეუწყო შესაფერისმა კლიმატურმა პირობებმა (ცხრ. 2).



წლები	ნალექების თვიური ჯამი (მმ) წვიმიან დღეთა რიცხვში					
	აპრილი	მაისი	ივნისი	აპრილი	მაისი	ივნისი
1961	35	73	46	5	8	4
1962	50	46	110	7	7	7
1963	80	106	170	13	10	13

1961 წელთან შედარებით 1963 წელს ნალექთა თვიური ჯამი აპრილ-მაისში თითქმის 2-ჯერ, ხოლო ივნისში—4-ჯერ მეტიც იყო. თუ ავიღებთ წვიმიან დღეთა რიცხვს, 1961 წელთან შედარებით იგი 1963 წელს აპრილსა და ივნისში 3-ჯერ გაიზარდა. სოკოს განვითარებისათვის ასევე ხელსაყრელი პირობები იყო ტემპერატურის მზრიალა.

იმის დასადგენად, თუ 1962—1963 წწ. რა ზიანი მიადგინა აჭარის მეთამბაქოების რაიონებს თამბაქოს კრეჭმა, 1960—1961 წწ. სახელმწიფო გეგმა და ფაქტიური შესრულება შევადარეთ 1962—1963 წწ. სახელმწიფო გეგმასა და ფაქტიურ შესრულებას (ცხრ. 3).

ცხრილი 3

წლები	გეგმა (ტ)	შესრულება (ტ)	შესრულების (%)	შენიშვნა
1960	1625	2459	151,3	გადაკარგება
1961	1625	2074	127,6	1283 ტ.
1962	1625	729	44,8	დანაკლისი
1963	1900	501	26,3	2295 ტ.

როგორც მესამე ცხრილიდან ირკვევა, აჭარის მეთამბაქოების რაიონებში უდიდესი ზარალი განიცადეს ძირითადად თამბაქოს პერონოსპოროზისაგან. მაგალითად, 1960—1961 წწ. გეგმის ზევით ჩააბარეს 1283 ტ ხარისხოვანი თამბაქო, ხოლო 1962—1963 წწ. გეგმის შესრულებას დააკლდა 2295 ტ თამბაქო, ამავე დროს საგრძნობლად გაუარესდა ხარისხობრივი მაჩვენებლებიც.

თამბაქოს გეგმის შესრულება და მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების დაცვა არც შემდგომ წლებში ხდება. საქართველოს მეთამბაქოებისა და თამბაქოს მრეწველობის მუშაკთა თათბირზე აღინიშნა, რომ ამ ბოლო ოთხი წლის მანძილზე საქართველოს საფერმენტაციო ქარხნებმა დაამზადეს 10 ათასი ტონით ნაკლები ნედლეული, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. ამ რიცხვის 90 პროცენტი მოდის აფხაზეთის საფერმენტაციო ქარხნების წილად.

რესპუბლიკაში გასულ წელს თამბაქოს დამზადების გეგმა 85,6%-ით

შეასრულა. საგრძნობლად გაუარესდა ნედლეულის სასაქონლო ხარისხი. მაგალითად, პირველ და მეორე ხარისხის ნედლეულის დამზადების გეგმა შეასრულდა 34%-ით. სპეციალისტების უმრავლესობა ამას თანაბრად მიიჩნევს. ცარის—პერონოსპოროზის გაჩენას მიაწერს. მართალია, თამბაქოს პერონოსპოროზი (მისი გაფრცელების ხელშემწყობ პირობებში) საგრძნობლად მოქმედობს, როგორც მოსავალზე, ისე ხარისხზე; მაგრამ იქ სადაც აღნიშნული ავადმყოფობის წინააღმდეგ ტარდება რადიკალური ღონისძიებები, პერონოსპოროზი ლაკვიდირებულია და საშიშროებას არ წარმოადგენს.

მაგალითად, გასულ წელს შუახევის რაიონის კოლმეურნეობებში პერონოსპოროზის წინააღმდეგ ბრძოლას განსაკუთრებული ყურადღება მიექცის, რის შედეგად მცენარეები არ დაზიანებულა, რაიონმა თამბაქოს დამზადების გეგმა 111%-ით შეასრულა, ასევე ითქმის გულრიფშის რაიონის ლენინის სახ. კოლმეურნეობების მეთამბაქოეთა მიმართ. მაგრამ იმავე რაიონის მეზობელ კოლმეურნეობებში, სადაც არ ექცევა ყურადღება პერონოსპოროზის წინააღმდეგ ბრძოლას და დარღვეულია თამბაქოს აგროტექნიკა, არც გეგმა შესრულებულა და არც ხარისხობრივი მაჩვენებლები.

ზემომოყვანილი მასალებიდან ნათელია, თუ რაოდენ საშიში დაავადებაა თამბაქოს პერონოსპოროზი, განსაკუთრებით მაშინ, როცა დარღვეულია აგროწესები. ამიტომ მის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის ჩატარებას და თამბაქოს აგროწესების დაცვას ყველა მეთამბაქოემ უნდა მიექცის ყურადღება.

Доц. Ш. К. СИРАДЗЕ

РАСПРОСТРАНЕНИЕ ПЕРОНОСПОРОЗА И ЕГО ВРЕДНОСНОСТЬ В УСЛОВИЯХ АДЖАРИИ

Резюме

Возбудителем пероноспороза табака является гриб — *Peronospora tabacina* Adam, который в Советском Союзе появился осенью 1960 года, а на территории Грузии (Аджарии, Абхазии и др. районах) в 1962 году. Болезнь встречается как на рассаде в рассадниках, так и в полевых условиях.

В результате проведенного нами обследования в 1962—63 гг. в Аджарии (Хуло, Шуа-хеви, Кеда, Батуми), где было обследовано 27 колхозов в парниках на рассаде пероноспороз не был, отмечен благодаря своевременным и правильно проведенным (соответствующим) мероприятиям. Зато пероноспороз достаточно сильно проявился в полевых условиях на высаженных растениях. Например, в колхозах Аджарис-Цхали и

Кирнати первые признаки пероноспороза проявились 10 июня, а к 27 июня заражение уже достигло 34%. при этом степень зараженности колебалась от 11 до 35%. Это было вызвано тем, что в 1962—63 гг. высокая влажность и температуры благоприятствовали развитию пероноспороза.

Следует отметить, что в табаководческих районах Аджарии в прежние годы государственный план заготовки табака выполнялся с большим перевыполнением, при этом качество его было высоким.

В 1962—63 гг. план заготовки табака был невыполнен на 2295 т, при этом значительно ухудшились и качественные показатели его, что в основном вызвано было вредным действием пероноспороза.

В дальнейшем изучению пероноспороза табака и мер борьбы с ним следует уделить большое внимание.

დაბრუნებულნი ლიტერატურა

1. Р. И. Кирюхина — Распространение вредности и положение пероноспороза табака на территории СССР и в зарубежных странах. Сб. «Пероноспороз табака». Кишинев, 1964.
 2. Инструкция по обследованию посевов и посадок табака и махорки на выявление пероноспороза. М., 1961.
-

რ. ბელაძე

მასალები მარწყვის ავადმყოფობათა შესახებ

1959—1968 წწ. ვსწავლობდით მარწყვის ავადმყოფობათა გამომწვევ სოკოებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში. ქვემოთ მოგვყავს მათი შედგენილობა და დიაგნოსტიკური ნიშნები.

Mucor mucedo Link, იაჩეცკი [4]

ნაყოფი გამომშრალი და გაშავებულია; ქსოვილებში აღმოჩნდა ზიგოტები. 5,5 თვის ზიგოტამ, გადათესილმა ლუდ-აგარის სუბსტრატზე, მე-5 დღეს განივითარა მიცელიუმი, მე-6 დღეს კი სპორანგიუმები. სპორანგიუმის ფეხი მარტივია 2—7,5 მმ სიმაღლის, კოლოფი ბურთისებრი, 100—200 მიკრონი დიამეტრის, სპორები მოგრძო-ელიფსისებრი. ზომით 5—12 × 3—6 მიკრონი. ზიგოტა მრგვალი, ზომით 90—250 მიკრონი.

ნახულია სამტრედიის რაიონის სოფ. კულაშში (20—21.VI—1959).

Rhizopus nigricans Ehr., იაჩეცკი [4]

დაავადებული ნაყოფი ნესტიანია, დასაწყისში ჩვეულებრივი შეფერვისაა, ხოლო შემდეგ იფარება ნაცრისფერი ფიფქით, რომელიც მალე შავდება. მიცელიუმი შეფერილია, უტიხრო, სპორანგიამტარები ჯგუფურადაა (3—5 და მეტი) განვითარებული იმ ადგილებიდან, სადაც სოკოს მიცელიუმი საკვებში უშვებს რიზოიდებს. ყავისფერია, სიგრძით 0,5—4 მმ; სპორანგიუმის კოლოფის დიამეტრია 100—350 მიკრონი. სპორები მომრგვალოა, ზომით 6,25—15,65 მიკრონი.

ზიგოტა სფეროსებრია, ვარაყიანი, მუქიყავისფერი, ზომით 100—300 მიკრონი.

ჩვენ მიერ აღნიშნულია სამტრედიაში (1.IV—55), ავჭალაში (15.VI—59), გლდანში (26.IV—66) და მცხეთის რაიონში (ცხვარიჭამია 28.IV—67).

Phytophthora sp.

ნაკვეთზე აღნიშნული იყო მარწყვის ბუჩქების ჭკნობა, განსაკუთრებით ძლიერ ჭკნება ჯიში „კომკავშირელი“. ჯიშ „გლდანურას“ ემჩნევა ფოთლის ყუნწების გამუქება და ნაყოფების ლობობა, რომელიც ფიკომიციტებით გამოწვეული ლობობის მსგავსია; ნაყოფზე განვითარებულია მონაცრისფრო-მოყავის-

ფრო ლაქა; ლაქის ადგილი გამაგრებულია. დაავადებულ ნაყოფზე ვითარდება სოკოს მიცელიუმი. წყლის კულტურაში მიიღება სპორანგიუმები, სილანაც გამოდიან ზოოსპორები; მიცელიუმში უჯრედშორისებშია, ერთჯერადი უფერული, ნაყოფიანობას უხვად ივითარებს, ფესვები ძირითადად დამპალია, გარდივარდმო განაქვრზე ემჩნევა გამუქება.

საქართველოში პირველად აღნიშნა ნ. საყვარელიძემ 1960 წ. წყნეთში მევენახეობა-მეხილეობის ინსტიტუტის ჯიშთა გამოცდის ნაკვეთზე და 1968 წ. მარნეულში ფესვებზე და ნაყოფებზე.

Phyllosticta fragariae Desm. et Rob. Saccardo [7]

ფოთოლზე ვითარდება თეთრი ფერის დაკუთხული ლაქები მუქი წითელი არშიით. ლაქებზე ჯგუფურადაა განვითარებული მცირერიცხოვანი შავი ფერის ბალიშები—პიკნიდიუმები 180—300 მიკრონი დიამეტრის.

პიკნოსპორები წაგრძელებულია, უფერული, ზომით $4,96-6 \times 1,56$ მიკრონი.

ნაპოვნია გლდანში მცირე რაოდენობით (4.IX—65).

საქართველოში ჰენ შიერ პირველად აღნიშნული.

Phoma leptothyrioides karst. Saccardo [8]

ფოთლის კიდებზე ვითარდება ლაქები, რომლებზეც წარმოიქმნება შავი ბალიშების სახით პიკნიდიუმები ზომით $183,4-251,2 \times 78,5-204,1$ მიკრონი. პიკნოსპორები ერთუჯრედიანია, უფერული. ზომით $4-6,26 \times 1,56$ მიკრონი, ზედაპირზე ბაბთისებრი ექსუდატის სახით გამოდიან.

ნახულია გლდანსა და ავჭალაში (10.IX—62) მცირე რაოდენობით.

Septoria fragariae Desm. Saccardo [8]

ფოთოლზე ვითარდება მუქი ყავისფერი მომრგვალო ლაქები მოწითალო-ყავისფერი არშიით. ლაქაზე გაფანტულად ვითარდება ცნელად შესამჩნევ მუქი ფერის წერტილები—პიკნიდიუმები.

ნაყოფის $1/4$ წვეროს მხარეზე გაშავებულია და გამაგრებული, ლაქაზე ჯგუფად განვითარებულია შავი წერტილები—პიკნიდიუმები, რომლებიც ნახკედლიანია და ადვილადშლადი. ზომით $60-174 \times 174$ მიკრონი.

სტილოსპორები ნემსისებრია, უფერული, სწორი ან ოდნავ მოხრილი, 3-ტისბრიანი, ზომით $13-23 \times 2-2,6$ მიკრონი.

ნაპოვნია თბილისში, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ნაკვეთზე (23.IX—59).

Septoria sp.

ნაყოფი გაშავებულია და საკმაოდ ნესტიანი. მიცელიუმის დანახვა მხოლოდ მიკროსკოპით შეიძლება. ჯგუფურად განვითარებულია შავი წერტილები—პიკნიდიუმები. ზომით $204,1-282,6 \times 204,1-282,6$ მიკრონი.

პიკნიდიუმის კედელი საკმაოდ სქელგარსიანია, მუქი ყავისფერი, სპორე-

ბი მოყვითალოა, სწორი ან ოდნავ ნოხრილი, ზომით 12,52—18,78 × 2,12—3,13 მიკრონი.



შემჩნეულია ერთეულ ნაყოფებზე ავკალაში (16, VI—59).
შენიშვნა: წინა სოკოსაგან განსხვავდება პიკნიდიუმის კონსისტენციითა და ზომით. გარდა ამისა იგი იწვევს ნაყოფის სველ სიღამულეს.

Qloeosporium fragariae (Lib) Mont. Saccardo [8]

ლაქები დიდი ზომისაა, ზოგჯერ შეერთებულია და ფოთლის 3/4 უკავია, ცენტრში ყავისფერია და პერიფერიისაკენ გადადის წითელში. ლაქის ცენტრში ებიდერმისი აქერცლილია და მოჩანს სხვადასხვა ზომის ბრტყელი ბალიშების მსგავსი წარმონაქმნები, რომლებიც სარეცელს წარმოადგენს. სარეცელი ამობურცულია და ზედ განვითარებულია ერთუჯრედიანი მოკრძო ელიფსური, უფერული სპორები, ზომით 3—6,2 × 1,6 მიკრონი.

ნახულია სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ნაკვეთზე (14 × 59).

Marsonina potentillae (Desm.) Fisch. var. *fragariae* Sacc.
Saccardo [8]

ვითარდება ფოთოლზე, ყუნწზე, საყვავილე ღეროზე და ნაყოფის ყუნწზე. ფოთოლზე ლაქები მომრგვალოა, წითელი არშიით. ყუნწზე და საყვავილე ღეროზე კი ზოლურად წაგრძელებული.

ლაქები ხშირად, განსაკუთრებით ფოთლის კიდეებზე, შეერთებულია. ზედა მხარეზე, ებიდერმისის ქვეშ გაფანტულად განვითარებულია სარეცელი კონიდიუმებით. სარეცელის ზომა 150—180 მიკრონია. კონიდიუმები ოსპისებრია, ოდნავ მოხრილი, გამჭვირვალე, ორ არათანაბარუჯრედიანი, მარცვლოვანი, ზოგჯერ შეინიშნება ცხიმის მსხვილი წვეთები, ზომით 1,91—5,04 × 6,26—7,8 მიკრონი. ზედა უჯრედი ნისკარტისებრადაა მოხრილი. ამასთან ქვედა უჯრედთან შედარებით ოდნავ განიერია.

გავრცელებულია საშუალო სიძლიერით (ძველი სამტრედია, მელაური, იანეთი, კულაში (VI—1958—59), წყნეთი, გლდანი, ავკალა, დილომსა და თბილისში (VI—1960—65).

Fusarium bulbigenum Cke. et Macc. [3]

იწვევს ფოთლების და მთელი მცენარის ჭკნობას, ნაყოფების გამაგრებას. მიცელიუმისა და სპორების შიგთავსი მარცვლოვანია; ჰიფას სიგანე 2,34—6,42 მიკრონია. ალაგ-ალაგ მიცელიუმი გამსხვილებულია ცხიმის მსხვილი წვეთებით. მაკროკონიდიები ოდნავ მოხრილია, უფერულია, 2—3 ტიხრიანი, ბოლოები მოკაუჭებული, ზომით 21,91—34,43 × 3,13—4,69 მიკრონი. მაკროკონიდიები უფერულია, ზომით 6,26—9,39 × 3,5 მიკრონი. აღვილად მიიღება წმინდა კულტურა როგორც ფესვის ყელიდან, ასევე ნაყოფიდან.

მეორე რაოდენობით ნაპოვნია დილომში, გლდანსა და ავკალაში (იენისი, 1960).

1964 წ. თიანეთში აღინიშნა მარწყვის ნარგავის მასობრივი ჭკნობა.

რასაც ხელი შეუწყო ხშირმა წვიმებმა და შედარებით დაბალმა ტემპერატურამ.

საქართველოში ჩვენ მიერ პირველად აღნიშნული.



Oidium erysiphoides Fr. იანგესკი [6]

ფოთლის ფირფიტის ქვედა მხარეზე ლაქების სახით განვითარებულია ნაცრისფერი ფიფქი. ზოგი ფირფიტის ქვედა მხარეზე მთლიანად დაფარულია ფიფქით. ამ შემთხვევაში ფოთოლი დანაოჭებულია და საღებავით შედარებით გასქელებულია, ტყავისებრია და ფირფიტის კიდეები ამობრუნებულია, ნავისებური ფორმისაა. კონიდიუმების ზომა $25,04-31,13 \times 15,65-21,91$ მიკრონი. სოკო ნაპოვნია საშუალო სიძლიერით საქართველოს მეზღვეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის საკვლევი ინსტიტუტის ნაკვეთში ჯიშზე „გალოჩკა“ (IX—1959წ.) და სათბურში (3.III.61).

საქართველოში ჩვენ მიერ პირველად აღნიშნული.

Aspergillus sp.

სოკო აღნიშნულია ნაყოფზე *Botrytis cinerea*-სთან ერთად, რომელიც შემდეგში მთლიანად დაიფარა. მიცელიუმი უფერულია, მრავალუჯრედიანი, დატოტვილი, მარცვლოვანი შინაარსით. კონიდიომტარები უფერულია, ზომით $298-1500$ მიკრონამდე, უტიხრო, იშვიათად დატიხრული, თავი მომრგვალოა, ზომით $78,5-125,6$ მიკრონი, რადიალურად განლაგებული პირველადი და მეორადი სტერიგმებით.

სპორები მოშავოა, მრგვალი, ხორკლიანი ზედაპირით, ზომით $3,13-4,69 \times 3,13-4,69$ მიკრონი.

აღნიშნება მცირე გავრცელებით ძველ სამტრედიასა და მელაურში (25.V—59).

საქართველოში ჩვენ მიერ პირველად აღნიშნული.

Penicillium sp.

ნაყოფზე ვითარდება ლაქა, რომელიც სწრაფად მოიცავს მთელ ნაყოფს. ლაქის ცენტრალური ნაწილიდან იწყება თეთრი ფერის მიცელიუმის განვითარება, შემდეგში მასზე ჩნდება ცისფერი ფხვიერი ფიფქი—სოკოს ნაყოფიანობა. კონიდიომტარები მარტივია, ზომით $251,2-314$ მიკრონი.

კონიდიუმების ზომა $53,13-4,59 \times 1,56-2,13$ მიკრონი. მცირე რაოდენობით აღნიშნება ძველ სამტრედიასა (28.V—59) და მელაურში (1. VI—59).

საქართველოში ჩვენ მიერ პირველად აღნიშნული.

Botrytis cinereo Pers. Saccardo [8] იანგესკი [3]

აავადებს მარწყვის ყველა მიწისზედა ორგანოს. ფოთლის ფირფიტაზე ვითარდება დიდი ზომის ნაცრისფერი ლაქა (მშრალ ამინდებში—ყავისფერი), რომელზეც იშვიათად წარმოიქმნება ძნელად შესამჩნევი კონიდიუმები.

ულორტზე განვითარებულია ჩაზნექილი, დამწვრისმაგვარი მოყავისფრო
ლაქა. ნაყოფის ყუნწის დაავადებისას ლაქა სწრაფად უვლის ირგვლივ და
ახშობს ჯერ კიდევ მწვანე ნასკვს.

დაავადება ტიპურია კენკრაზე. ავადდება მწიფე და მწიფე ნაყოფი
დასაწყისში ჩნდება მურა ფერის ლაქები. სოკოს მიცელიუმში
ლდება მცენარის ქსოვილში და იწვევს მის სიკვდილს. მიცელიუმი უფერუ-
ლია, დატოტვილი, მრავალუჯრედიანი. მწიფე ნაყოფის ქსოვილი რბილდება,
დუნდება, წყლიანდება, კარგავს არომატს, გემოს და ფერს. ნაყოფი 48 საათ-
ში იფარება ნაცრისფერი ფიფქით, შემდეგში გამოზრება და მუმიფიცირდება.

კონიდიამტარი ღიად შეფერილია, სწორმდგომი, დატოტვილი, დაბო-
ლოვებული კბილანებით, რომელზეც სპორები თავაკისებურადაა მიმაგრებული.
კონდიუმები მომრგვალოა. ან ოდნავ წაგრძელებული ზომით $6,26-15,65 \times$
 $\times 4,69-6,25$ მიკრონი. ახლად წარმოქმნილი სპორები უფერულია.

ნაყოფზე შევამჩნიეთ სოკოს სკლეროციები ზომით 6 მმ, არასწორი ფო-
რმის. მომრგვალო ან წაგრძელებული, ხორკლიანი ზედაპირით.

სოკო მცირე გავრცელებით შეგვხვდა ყველგან, სადაც კი მარწყვის ნა-
რგაობაა—სამტრედია, მელაური, იანეთი, კულაში (V-VI—1959), ავჭალა,
გლდანი, წყნეთი, ზაპესი VI—და IX—60—66).

Trichotecium roseum Link. იაჩესკი, [5]

ნაყოფზე ვითარდება ფიფქის სახით. კონიდიამტარი მარტივია, კონი-
დიები მსხლისებრი ფორმის, ორი ასიმეტრიული უჯრედი, ერთეულად
ან რამდენიმე ერთად, ზომით $14,08-15,65 \times 7,82-9,39$ მიკრონი.

მცირე გავრცელებით გვხვდება თბილისის მიდამოებში (3.VI—59),
გლდანი, ავჭალა (19.VI—60).

საქართველოში ჩვენ მიერ პირველად აღნიშნული.

Cladosporium herbarum Link. Lindau [7]

ვითარდება ფოთლებსა და ნაყოფებზე. ნაყოფი შერბილებულია, ზედა-
პირზე ვითარდება წენგოსფერი, მოყავისფრო ფიფქი. მიცელიუმი დატიხრუ-
ლი, კონიდიამტარი მარტივი, იშვიათად ბოლოში ოდნავ დატოტიანებული,
მომრგვალებული ან დაკბილული წვეროთი. ზომა $53,21-68,86 \times 6,26$ მიკ-
რონი. სპორები კვერცხისებრი ფორმის, მოყვითალო-წენგოსფერი, პირველად
უტიხრო, შემდეგში 1 ან 2 ტხრიანი, ზომით $9,39-12,52 \times 3,13-4,69$ მიკ-
რონი.

მცირე გავრცელებით ხასიათდება ავჭალაში, გლდანიში (16.VI—59) და
თბილისში (ბიოლოგიური სადგური, 15.VI—60).

საქართველოში ჩვენ მიერაა პირველად აღნიშნული.

Ramularia tulasnei Sacc. ვასილევსკი და კარაკულინი [2]

ფოთლის ფირფიტაზე ვითარდება 1—3 მმ დიამეტრის მომრგვალო ლა-
ქები. დასაწყისში ლაქები მუქი ყავისფერ-მეწამული ფერისაა. შემდეგში ლა-
ქის ცენტრი თეთრდება და რჩება ფართე მუქი წითელი არშიით.



ლაქები ყუნწსა და საყვავილე ღეროზე წაგრძელებულია.

ლაქის ცენტრში ვითარდება თეთრი ნაზი ფიფქი—სოკოს კონიდიური ნაყოფიანობა. კონიდიათმტარები განვითარებულია ჯგუფურად, ცილინდრული ფორმის, დაუტოტავი, უტისრო, წვეროში ოდნავ შევიწროებული კონიდიებით 18,78—37,56×3,13—4,69 მიკრონი. კონიდიები უფერულია დიანი, ცილინდრული ფორმის, ზომით 15,65—43,8×3,13 მიკრონი.

სოკო იზამთრებს მიცელიუმით, ხოლო გამზარ ფოთლებზე—სკლეროციუმებით, რომლებიც ჩამჯდარია ფოთლის ქსოვილში, ან ზედაპირულადაა, სკლეროციუმი მომრგვალო ან არასწორი ფორმისაა, მუქი მოშავო ფერის, 0,5—1 მმ დიამეტრის.

Alternaria grossulariae იაჩეცკი [4]

ხიერ ფოთლებზე განვითარებულია სხვადასხვა ზომის ლაქები შავი ხავერდოვანი ფიფქით, რომელიც სოკოს კონიდიური ნაყოფიანობას წარმოადგენს.

ნაყოფი შემკნარია, რამდენიმე ადგილას ჩაღრმავებული და გაშავებული, შეიმჩნევა ფიფქი. კონიდიათმტარები კონებადაა განვითარებული, სწორი ან ოდნავ დატოტიანებული, ზომით 21,91—46,95×6,26—14,08 მიკრონი. კონიდიები მოკლე ფეხით, წაგრძელებული, ან უკუკვერცხისებრი, ყავისფერი, 5—7 განივი და 1 გასწვრივი ტიხრით, ზომით 6,26×3,13 მიკრონი.

მიცელიუმი შეუერილია, მორუხო, ჰიფები 3,13—4,69 მიკრონი სიგანის.

მცირე გავრცელებით ხასიათდება თბილისში (ბიოსადგური 20.VI—59) და დილომში (VI—1960—1963).

საქართველოში ჩვენ მიერ პირველადაა აღნიშნული.

Rhizoctonia sp.

მცენარე დამკნარია, ფესვთა სისტემა გაშავებულია და შეინიშნება წვრილი მიცელიალური ძაფები. რიზოქტონიას სუფთა კულტურა მივიღეთ მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში.

ნაპოვნია ა. შიშკინას მიერ თბილისში (№ 31 ქარხნის მუშათა დასახლება), ხოლო ჩვენ მიერ ავჭალაში 1966 წ.

საბჭოთა კავშირში ჩვენ მიერ პირველადაა აღნიშნული.

Cuscuta campestris funk. (*C. arvensis* Beyr)

საქართველოს ფლორა ტ. VII [1].

საპონელათი დაავადებული მცენარე ჩამორჩება ზრდაში, ფოთლები ქლოროტულია; ფოთლებზე, ყუნწზე შემოხვეულია აბრეშუმა—*Cuscuta campestris* Yuncer.

აბრეშუმა ერთწლიანი ყვავილოვანი პარაზიტია. ცხოვრობს მიწისზედა ორგანოებზე, მრავლდება თესლით, იმავე სავეგეტაციო პერიოდში ვეგეტატიურადაც.

საქართველოში პირველადაა აღნიშნული ჩვენ მიერ.

Резюме

В 1959—1968 гг. в целях выявления вредной микрофлоры клубники были проведены исследования.

Клубника распространена как в Западной, так и в Восточной Грузии.

В результате определения материала, на клубнике выявлено 19 грибовых заболеваний и один цветочный паразит (павиланка).

Из грибовых микроорганизмов выявлены следующие: *Mucor Mucedo* Link., *Rhizopus nigricans* Ehr., *Phytophthora* sp., *Phyllosticta fragariaecola*, Desm et Rab., *Phoma leptothyrioides* Karst., *Septoria fragariae* Desm., *Septoria* sp., *Gloeosporium fragariae* (Lib) Mont., *Marsonina potentillae* (Desm) Fisch., var *fragariae* Sacc., *Fusarium bulbigenum* Cke et Mass., *Oidium erysiphoides* Fr., *Aspergillus* sp., *Penicillium* sp., *Botrytis cinerea* pers *Trichotecium roseum* Link., *Cladosporium herbarum* Link., *Ramularia tulasnei* Sacc., *Alternaria grossulariea* Sacc., *Rhizoctonia* sp. и цветочный паразит *Cuscuta campestris* Yuncer.

Приводим их краткую диагностику.

Для условий Советского Союза из отмеченных микроорганизмов, нами впервые приводятся: *Rhizoctonia* sp., и *Cuscuta campestris* Yuncer (*C. arvensis* Beyr)

Для условий Грузии нами в первые приводятся следующие 8 микроорганизмов: *Phyllosticta fragariaecola* Desm et Rab., *Fusarium bulbigenum* Cke et Mass., *Oidium erysiphoides* Fr., *Aspergillus* sp., *Penicillium* sp., *Trichotecium roseum* Link., *Cladosporium herbarum* Sacc.

Из перечисленных микроорганизмов самой распространенной и вредоносной является белая пятнистость клубники—*Ramularia tulasnei* Sacc., которая имеет большое экономическое значение для означенной культуры.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

1. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ტ. VII, 1952, თბილისი
2. Каракули Б. П. и Василевский Н. И.—Паразитные несовершенные грибы, ч. I, М.—Л., 1937.
3. Райло А. Н.—Грибы рода фузариум, М., 1950.
4. Ячевский А. А.—Определитель грибов, т. I, Спб., 1913.
5. Ячевский А. А.—Определитель грибов, т. II, Спб., 1917.
6. Ячевский А. А.—Справочник фитопатологических наблюдений, земляника и клубника, М., 1930.
7. Lindau G.—Fungi imperfecti. Abt VII, Leipzig, 1907.
8. Saccardo P. A.—Sylloge fungorum omnium hucusque cognitorum, 3



ბიოლ. მეცნ. კანდ. მ. კაკულია და ი. გომელია

სხვადასხვა ჯიშის საკუთარფესვიანი თუთის გამძლეობა ფესვის სიღამკლის მიმართ

საქართველოს მეაბრეშენეობის ზოგიერთ რაიონში თუთის ფესვის სიღამკლე ფართოდაა გავრცელებული და დიდ ზიანს აყენებს პლანტაციებს. ამ დაავადების შესწავლა და მის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის ღონისძიებათა დადგენა დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის საკითხია.

სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის ავადმყოფობათა და მავნებელთა წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკით ირკვევა, რომ ამ მხრივ ყველაზე მარტივი და ეფექტიანი ღონისძიებაა გამძლე ჯიშების გამოყენება და წარმოებაში დანერგვა. აქედან გამომდინარე, თუთის ფესვის სიღამკლის გამძლე ჯიშის გამოყენება განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, რადგან დაავადების გამომწვევი ორგანიზმის ნიადაგის სოკოს (*Armillaria mellea* Qel) წინააღმდეგ ამჟამად რეკომენდებული ბრძოლის ქიმიური და აგროსანიტარული ღონისძიებანი შეტად რთულია და შრომატევადი.

ქვიატი [11] თუთის ფესვის სიღამკლის მიმართ გამძლე ჯიშების შერჩევას ჯერ კიდევ 1908 წ. თვლიდა ბრძოლის ყველაზე უფრო სწორ გზად. ანალოგიური მოსაზრებისაა გ. ხალატიანიც [7].

ლიტერატურაში ფესვის სიღამკლის მიმართ თუთის სხვადასხვა ჯიშის გამძლეობის შესახებ მცირე მონაცემებს ვხვდებით. ვ. მარუტიანი, შვედის რაიონში (სომხეთის სსრ), სადაც აღნიშნული დაავადება ფართოდაა გავრცელებული, მიუთითებს ჯიშ ხართუთის (*Morus nigra*) გამძლეობაზე. ასევე არსებობს მონაცემები ჯიშ ლუს (*Morus alba*) და ფილიპინას (*Morus multicaulis*) გამძლეობის შესახებ [6].

საკირო იყო აღნიშნულ დაკვირვებათა მონაცემების სისტემატური ექსპერიმენტული შემოწმება, რაც ჩვენ ჩავატარეთ—შევისწავლეთ თუთის სხვადასხვა ჯიშის გამძლეობა ფესვის სიღამკლის მიმართ. ამისათვის, პირველყოვლისა, აუცილებელი იყო ჩვენთვის ხელმისაწვდომ თუთის სხვადასხვა ჯიშსა და მათ კომბინაციებს შორის ამ დაავადების მიმართ იშუენური ან შედარებით მაღალი გამძლეობის მქონე სახეებისა და ჯიშების არსებობა. მათი აღმოჩენის შემთხვევაში შესაძლებლობა მოგვეცემოდა გამოგვეყენებინა ისინი როგორც უშუალოდ თესლით გამრავლებისათვის, ისე



საძირედ, აგრეთვე ძირითად მასალად შემდგომი სელექციური მუშაობისათვის იმუნური ჯიშების გამოსაყვანად.

ლიტერატურაში მრავალი მონაცემია იმის შესახებ, რომ *Morus nigra* და *Morus alba* თა მამართ ჯიშ-პოპულაციები უფრო მეტ გამძლეობას იჩენენ (ი. ვარუნციანი, ბ. ეუკოვსკი, მ. გორენკო და სხვა), ვიდრე სუფთა ჯიშები.

ამასთან დაკავშირებით, ფესვის სიღამპლის მიმართ თუთის სხვადასხვა ჯიშის გამძლეობის გამოცდას ვაწარმოებდით. როგორც ვეგეტატიური წესით (გადაწვენით) გამრავლებულ სუფთა ჯიშურ მასალაზე, ისე თესლიდან მიღებულ (ცალკეული ოჯახები და პოპულაციები) მასალაზეც.

ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა აგრეთვე რაც შეიძლება მეტი რიცხვი *Moraceae*-ბის ოჯახის წარმომადგენლებისა, რასაც შემდგომში შესაძლოა მნიშვნელობა ექნებოდა შორეული შეჯვარებისათვის.

გამოსაცდელ ჯიშებს შორის შევიტანეთ ისეთებიც, რომელთა შესახებ ფესვის სიღამპლის მიმართ გამძლეობაზე ლიტერატურაში გვხვდებოდა მონაცემები. ასეთი ჯიშები იყო: ხართუთა, ლუ და ფილიპინა.

ვეგეტატიური (გადაწვენით) წესით გამრავლებულ ჯიშებს შორის გამოვცადეთ გრუზია (*Morus Kagayamae*), თბილისური (*Morus alba*), ადრეული (*Morus alba Morus bombycis* × *Morus multicaulis*—№ 03, *Morus alba*—020, *Morus alba*—032, *Morus multicaulis* × *Morus bombycis*—01, *Morus alba*) № 05, ხართუთა (*Morus nigra*), ლუ (*Morus alba*), პობედა (*Morus multicaulis*), რუსული (*Morus alba*) და ფილიპინა (*Morus multicaulis*).

თესლის მასალას ვცდიდით როგორც ჰიბრიდულ, ისე თავისუფალ კომბინაციებში. ჰიბრიდული კომბინაციები შედგებოდა 5 სპეციალურად შერჩეულ მშობელთა წყვილისაგან: ლუ × ჰიბრიდ-თბილნიში № 7, ლუ × ჰიბრიდ-თბილნიში № 2, ლუ × 020, გრუზია × ჰიბრიდ-თბილნიში № 2, № 03 × ჰიბრიდ-თბილნიში × № 2.

თავისუფალი დამტვერვით მიღებული კომბინაციებიდან ვცდიდით მდედრობითი ჯიშის ოთხ ოჯახს: გრუზიას, ტატარიკას, ლუს და № 03-ს.

გარდა ამისა, ფესვის სიღამპლის მიმართ გამძლეობაზე გამოვცადეთ ჩინეთიდან მიღებული თუთის თესლნერგიც.

ცდისათვის შეაბრუნებობის სასწავლო-კვლევითი ფაკულტეტის პლანტაციაში შევარჩიეთ ისეთი ფართობი, რომელზეც ფესვის სიღამპლე ფართოდ იყო გავრცელებული. საკარანტინო პირობების შექმნის მიზნით ფართობს გარშემო ვაკეთდა კვანტის იზოლატორი.

ცდა დაეყენეთ ხელოვნურად და ბუნებრივად დაავადებულ ფონზე. პირველ შემთხვევაში თითოეული საცდელი მცენარისათვის დაავადების ერთგვაროვანი ფონის შექმნის მიზნით ჩავატარეთ ხელოვნური დასენიანება, ხოლო მეორე შემთხვევაში დამატებით ინფექციის შეტანას არ ვახდენდით.

ჯიშების შეფასებისათვის პროვოკაციული ფონის გამოყენება მიზანშეწონილად ჩავთვალეთ იმ მოსახრებით, რომ ლიტერატურაში მრავალრიცხოვანი მონაცემებია ასეთი ფონის პირობებში იმუნური ან გამძლე ჯიშების დაჩქარებით შერჩევისა და შეფასებისათვის (დ. ვერდერესკი, ტ. ფედოტოვა, ა. ბაბიანი, ს. მურომცევი, ა. ალპატიევი, მ. ანპილოვოვი, ბ. კვასნიკოვი



კ. იაიღინა, კ. ოსნიცკაია), ორივე ფონზე ავიღეთ თითოეული ჯიშის 10 მცენარე 3 განმეორებით. ნაკვეთებზე აგროჟონი დაკული იყო მეთოდობის აგროწესების მიხედვით.

ხელოვნური დახენიანებისას სოკო *Armillaria melia* აგროწესებზე ბუნებრივად დაავადებული ფესვის ნიმუშიდან, ისე თუთის მერქნის ნაპრებზე გაზრდილი სოკოს ხელოვნური კულტურიდან, დაავადებისას, შეტი კონტაქტისათვის თითოეული ჯიშის საკუთარფესვიანი ნერგების ფესვებს ვადებდით ინფექციურ ნაპრებს. ინფექციური საწყისის შეხების ადგილებზე ფესვებს ვაყენებდით ოდნავ მექანაქურ ზიანს.

როგორც ცნობილია, სოკო არმილარია მელეა ძლიერ მგრძობიარეა ტენის მიმართ: ის კარგად ვითარდება ტენიან ნიადაგებზე და ვერ იტანს გამოშრობას [8]. ამიტომ ჩვენც ნაკვეთს ხშირად ვრწყავდით, რათა ნიადაგი ყოფილიყო სოკოსათვის ხელსაყრელად ტენიანი.

შიზანშეწონილად ჩავთვალეთ ფესვის სიღამპლის მიმართ გამძლეობაზე გაგვესინჯა აგრეთვე *Moraceae*-ების სხვა წარმომადგენლებიც, კერძოდ: მაკლურა (*Maclura aurantica*), ლეღვი (*Ficus carica*) და ბრუსონეცია (*Broussonetia papyrifera*), რათა თუ ისინი აღმოჩნდებოდნენ დაავადებისადმი გამძლენი, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა მათი გამოყენება შორეული შეგვარებისათვის ან უშეალოდ საძირედ. მხედველობაში გვქონდა აგრეთვე შეგვემოწმებინა ლეღვის ფესვის გამძლეობა სიღამპლის მიმართ, რაც ლიტერატურაშია მითითებული [10].

შედგების მიღების დაჩქარების მიზნით ექსპერიმენტის მეხუთე წლის (1958 წ.) შემოდგომაზე ყველა საცდელი მცენარე ამოვირკვეთ და ფესვების გულდასმით გასინჯვის შედეგად გამოვიანგღავნეთ დაავადების დაწყებითი ფორმები. საცდელი მცენარეების ამოირკვეა აუცილებელი იყო იმატომ, რომ თუთის ხე მრავალწლოვანი კულტურაა, ხოლო ფესვის სიღამპლე შედარებით განვითარების წელი ტექპით ხასიათდება. დაავადების ადრეული სტადიების თვალზედვით გამოცნობა შეუძლებელია. დაავადებისათვის დამახასიათებელი მაკროსკოპული ნიშნები—ფოთლების ზომის შემცირება, მათი გაყვითლება და ერთდროულად ხეზე მოკლე ტოტემის განვითარება აღინიშნება მხოლოდ მცენარის 3 ბალით დაავადებისას, ე. ი. როდესაც ფესვთა სისტემის უმეტესი ნაწილი მოკულია დაავადების განმწმველი ორგანიზმით.

ჯიშების შემოწმებისას ვსარგებლობდით აგრეთვე მცენარის მიწისზედა ნაწილის თვალზედვითი შემოწმებითაც.

მიღებული შედეგები

5 წლის ექსპერიმენტული მონაცემები უფლებას გვაძლევს ვიმსჯელოთ სოკო არმილარია მელეას მიმართ თუთის ზოგიერთი ჯიშის ან მათი კომბინაციების გამძლეობაზე (ცხრ. 1)

გამოირკვეა, რომ ფესვის სიღამპლის მიმართ თუთის სხვადასხვა ჯიშის მიზღვებიანობა ცვალებადობს ძლიერ ნიშვებიანობიდან მალალი გამძლეობის ფარგლებში.



თუთის სხედასხვა ჯიშის თავისუფალი დამტვერვით მიღებულ თუთის მასალათა შორის აბსოლუტურად იმუნური შთამომავლობა არ არსებობს. რამ დაავადების ინტენსივობის მხრივ არსებითი განსხვავება აღინიშნება. ჩინეთიდან მიღებული თესლიდან აღზრდილი მასალა ყველაზე გამწვანდებულად აღმოჩნდა. შედარებით გამძლეობა გამოამჟღავნა ჯიშ გრუზიას და ტატარიკას სახესხვაობის შთამომავლობამ. ფესვის სიღამლის მიზართ მიმღებიაში აღმოჩნდა ჯიშ ლუს შთამომავლობა, რომელსაც დაავადების გარეგნული ნიშნები ემჩნეოდა ნერგების ამოუცირკველად მიწისხედა ნაწილებზეც, რასაც ჩვეულებრივ მცენარის დაღუპვის წინ შეემჩნევა მხოლოდ.

ცხრილი 1

ფესვის სიღამლით თუთის სხედასხვა ჯიშის დაავადების შედეგები

№ რიგზე	ჯიში	დაავადება %	დაავადების საშუალო ბალი
თავისუფალი დამტვერვით მიღებული თაობა:			
1	ტატარია	31,4 ± 0,8	0,7
2	ლუ	59,0 ± 0,3	1,3
3	გრუზია	31,9 ± 2,1	0,8
4	№ 03	45,5 ± 2,0	1,0
5	ჩინეთის თესლიდან აღზრდილი მასალა	14,9 ± 1,3	0,4
ქიბრიდული კომბინაციები:			
6	გრუზია X № 020	12,0 ± 0,1	0,04
7	გრუზია X გრუზიში № 2	0, ± 0	0,0
8	ლუ X ქიბრიდ თბილისში 7	30,7 ± 0,6	0,5
9	ლუ X გრუზიში 2	37,9 ± 1,1	0,7
10	№ 03 X გრუზიში 2	21,4 ± 0,1	0,1
ჰიბრიდურად (გაღწვენიით) გამრავლებული, საკუთარფესვიანი:			
11	გრუზია	23,3 ± 1,6	0,5
12	თბილისური	35,7 ± 1,5	0,7
13	№ 03	14,3 ± 0,6	0,5
14	№ 020	15,4 ± 0,5	0,5
15	იბრეული	13,3 ± 0,3	0,4
16	რუსული	4,8 ± 0,3	0,1

№ რიგზე	ჯიშო	დაავადება (%)	ნერვული სისტემის ბალი
17	აკაგი (№ 032)	29,4 ± 1,5	0,9
18	პოპედა	25,0	0,2
19	ლუ	16,7	0,5
20	აზერი-ტუტ	10,0	0,1
21	ნეზუმი-გაისი (№ 05)	0,0	0,0
22	კოქსო-70 (№ 01)	18,2	0,5
23	ხართუთა	42,9	0,8

* ჯიშ პოპედას, ლუს, აზერი-ტუტის, № 01, № 05 და ხართუთის ნერვების სათანადო რაოდენობის უქონლობის გამო მასალა სტატისტიკურად არ დაგვიშუშავებია.

ჩვენ მიერ შესწავლილი ჰიბრიდული კომბინაციებიდან ყველაზე მაღალი გამძლეობით ხასიათდება ჰიბრიდი გრუზია × გრუზნიიშ № 2. ამ კომბინაციის ნერვებზე დაავადება 4 წლის განმავლობაში არ შეგვიმჩნევია. მიუხედავად ამისა, დაკვირვების ეს ვადა მრავალწლოვანი კულტურისათვის საკმარისად არ მიგვაჩნია და ამიტომ აღნიშნულ ჰიბრიდს არსებითად ვთვლით მაღალგამძლედ და არაიმუნურად. ასეთივე თვისებით გამოირჩეოდა აგრეთვე ჰიბრიდული კომბინაცია—გრუზია × № 020.

ჰიბრიდული კომბინაციები ლუ × თბილნიიშ № 7 და ლუ × გრუზნიიშ № 2 დაავადების ძლიერმიმდებარე აღმოჩნდნენ.

ვიგიტატიურად გამრავლებულ სუფთა ჯიშებიდან ყველაზე მაღალი გამძლეობით ხასიათდებიან ჯიშები ნეზუმი-გაისი (№ 05) და რუსული. ისინი ხუთი წლის განმავლობაში სისტემატური ხელოვნური დასენიანებისას ან სულ (№ 05) ან მცირედ (რუსული) დაავადდნენ. კერძოდ, ჯიშ რუსულის დაავადება არ აღემატებოდა 4,8%-ს. ეს ფაქტი მეტად საყურადღებოა, ირკვევა ორივე ჯიშის მაღალი გამძლეობა ფესვის სიღამპლის მიმართ. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი გამოყენება სელექციაში როგორც საუკეთესო კომპონენტები დაავადების მიმართ იმუნური ჯიშების შექმნისათვის. მაგრამ აუცილებელია გამძლეობაზე ამ ჯიშების თესლის მასალის თავისუფალი დამტკიცებით მიღებული აღმოჩენებისა და ჰიბრიდული კომბინაციების შემოწმება, რომელთა გამოყენება შემდეგში შესაძლებელი იქნება როგორც სასელექციო მასალად, ისე უშუალოდ საძირედ.

მეტად საყურადღებოა აგრეთვე ჯიშ გრუზიას ჰიბრიდული ოჯახები, რომლებიც მაღალი გამძლეობით გამოირჩევიან.



ჩვენს ცდაში ჰიბრიდული კომბინაცია გრუზია X გრუზინი № 2 სარულიად არ დაეადდა, ხოლო კომბინაცია გრუზია X № 020 სარულიანიანდა, ასევე ჯიშ გრუზიას თავისუფალი დამტვერვით მიღებული მაც სხვებთან შედარებით გამოამგლავნა მეტი გამძლეობა. ყოველივე ამის გამო ეფექტობთ, ჯიშ გრუზიას გამოყენების შესაძლებლობას როგორც საუკეთესო კომპონენტისა და ფესვის სიღამპლის მიმართ იმუნური ჯიშების შესაქმნელად და უშუალოდ საძირედ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლიტერატურულ წყაროებში ფესვის სიღამპლის მიმართ გამძლეებად მიჩნეულია თუთის ჯიშები ლუ, ხართუთა და ფილიბინა. რაც ჩვენი ცდებით არ დადასტურდა.

ჯიშ ლუს როგორც სუფთა, ისე თესლის მასალა (თავისუფალი და ჰიბრიდული კომბინაციები) საკმაოდ ძლიერ ავადდება ფესვის სიღამპლით და ამიტომ იგი მიგვაჩნია შედარებით მიმღებთან ჯიშად.

ჯიში ხართუთა ხელოვნური დასენიანებისას დაეადდა ფესვის სიღამპლით. ვარდა ამისა, ჩვენ მეგრის რაიონში (სომხეთის სსრ) ბუნებრივ პირობებში ვიპოვეთ ხართუთის 3-4 წლიანი დაეადებული ნერგა, როგორც გამოირკვა, იგი დარგული იყო ფესვის სიღამპლით დაღუპული ამოძირკული ხის ადგილას, სადაც დარგვამდე დეზინფექცია არ ჩატარებიათ, რაც შეიძლება ხელოვნური დასენიანების თანაფარდად მივიღოთ.

მაგრამ ჩვენ მიერ დაღვეილი ფაქტი ხართუთის მიმღებთანობის შესახებ ჯერ კიდევ არ მიუთითებს მის შედარებით ნაკლებ გამძლეობაზე სხვა ჯიშებთან შედარებით. საჭიროა მისი თესლის მასალის შესწავლა, რომელიც შესაძლებელია უფრო გამძლე აღმოჩნდეს სუფთა ჯიშურ მასალასთან შედარებით, რის შესახებაც ლიტერატურაში მრავალრიცხოვანი მონაცემები არსებობს.

საკონტროლო ნაკვეთზე (ხელოვნური დასენიანების გარეშე) მცენარეების გულდასმითი გასინჯვის მრუხედებად, ჩვენ მიერ გამოცდილი ჯიშები და კომბინაციები აღნიშნულ ვადებში არ ავადდებიან, რაც შესაძლებელია აბსინას დაკვირვების არასაკმაო ვადის (5 წელი) მიზეზით. რადგან, შესასწავლი მცენარე მრავალწლოვანი კულტურაა, ხოლო დაეადების გამოწვევი განვითარების სუსტი დინამიკურობით ხასიათდება. უკველია ამ საკითხში გარკვეული როლი შეასრულა სხვა ფაქტორებმაც. კერძოდ, ინფექციის დოზამ, დაეადების წესმა და თვით მცენარის მდგომარეობამ. როგორც აღვნიშნეთ, საკონტროლო ნაკვეთზე მცენარეების დამატებითი ხელოვნური დასენიანება არ ჩავვიტარებია, ხოლო ფესვებს არ ვაყენებდით მექანიკურ ზიანს.

მნიშვნელობა აქონდა იმ გარემოებასაც, რომ მცენარეები საკონტროლო ნაკვეთზე ნორმალური აგროტექნიკის პირობებში იყოფებოდნენ, რაც ზრდის მცენარის ბიოლოგიურ გამძლეობას დაეადებათა მიმართ, არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ საცდელი მცენარეები ექსპლუატაციას არ განიცდიდნენ, ექსპლუატაცია კი, როგორც ცნობილია, თუთის ხეს ასუსტებს და ამცირებს მისი წინააღმდეგობის უნარს ინფექციის მიმართ. ცუდი აგროტექნიკის პირობებში ბუნებრივად დაეადებულ ფონზეც ფესვის სიღამპლით ხეების დაღუპვის პროცესი ჩვეულებრივ უფრო ჩქარა მიმდინარეობს და დაეა-

დების გარეგნული ნიშნების შემჩნევა შესაძლებელია უკვე მე-3—4—5 წელს (მცენარის ასაკისაგან, დამოკიდებით). ჩვენს ცდებში დაავადების საწყისი/ სტადიები შემჩნეული იყო მცენარეების მხოლოდ ამოძირკვის შემდეგ მხოლოდ

ჩვენ დაკვირვებით, თუთის ფესვის სიღამპლე ისეთ დაავადებებს (Morpho-
გუთენის, რომელიც არახელსაყრელი პირობების გამო დასუსტებულ მცენა-
რეებზე ვითარდება. ყველა ის ფაქტორი, რომელიც ასუსტებს თუთის ხეს
(ცუდი აგროტექნიკა, არასწორი ექსპლუატაცია, არაშესაფერისი ნიადაგი—
—მიძიე თიხნარი, დაჭობებუი და სხვა), ხელს უწყობს დაავადების გავრ-
ცვლებას. ამიტომ თუთის პლანტაციების თართო მასშტაბით ვაწენებისას
ყველა აღნიშნული ფაქტორი უნდა იქნეს გათვალისწინებული. არსებობს სა-
ფუძეელი ვიფიქროთ, რომ ჯიშები, რომლებიც ხელოვნურად დაავადებულ
ფონზე 5 წლის განმავლობაში გამოირჩეოდნენ მაღალი გამძლეობით, ბუნებ-
რივად დაავადებულ ფონზე ნორმალური აგროტექნიკის პირობებში გამძლენი
აღმოჩნდებიან ფესვის სიღამპლის მიმართ.

ამგვარად, ჩვენ გამოვავლინეთ ფესვის სიღამპლის მიმართ თუთის შე-
დარებით უფრო გამძლე ჯიშები და მათი კომბინაციები, რომლებიც მაღალი
აგროტექნიკის პირობებში, უდავოდ, კიდევ უფრო
მეტ იმუნიტეტს გამოავლენენ დაავადების მიმართ
და შემკვიდრულად აქცევენ.


მაგრამ, არ შეიძლება საკმარისად ჩაითვა-
ლოს ჩვენ მიერ გამოცდილი ჯიშების რიცხვი.
საკიროა უფრო მეტი რაოდენობის პერსპექტიული
ჯიშებისა და კომბინაციების გამოვლინება სხვადა-
სხვა ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში, რაიონ-
ებში, სადაც ფესვის სიღამპლე თართოდაა გავრ-
ცელებული, გამძლე ჯიშების შერჩევის საკითხი
უნდა ვადაწყდეს ადგილობრივ პირობებში ანა-
ლოგიური გამოკვლევების ჩატარებით, მაგრამ
არც ისაა ინტერესს მოკლებული, რომ ჩვენ მიერ
გამოვლინებული თუთის გამძლე ჯიშები თართოდ
გამოიყადოს სხვადასხვა ნიადაგურ-კლიმატურ
პირობებში. ამასთან, აუცილებელია მუშაობის
წარმართვა ფესვის სიღამპლის მიმართ თუთის ჯი-
შების სხვადასხვა სიძლიერით გამძლეობის მიზეზის
ახსნისათვის.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ფესვის
სიღამპლის მიმართ გამძლეობაზე ჩვენ შევისწავ-
ლეთ აგრეთვე Moraceae-ბის სხვა წარმომადგენ-
ლებიც, კერძოდ მაკლურა, ლეღვი და ბრუსონე-
ცია.

ხელოვნური დასენიანების შედეგად მაკლურა და ბრუსონეცია დაავადდა,
ფესვებზე აღინიშნა დაავადების დამახასიათებელი ნიშნები: ფესვის ტერქსა და
მერქანს შორის განვითარებული იყო სოკო არმილარია მელენასათვის დამახა-



სურ. 1. სოკო არმილარია მე-
ლენას ნაყონსეცელები დაავადე-
ბულ მაკლურას ფესვის კვლე-



სიათბელო თეთრი ფერის ზონარები, სოკოს კულტურალურა და ბიოლოგიური თვისებების შესასწავლად და მის შესადარებლად თუთის ფესვის სიღამაპლის გამოყენებულ სოკოსთან მაკლურას და ბრუსონეციას დაავადებულ ფესვებიდან გამოვყავით სოკოს წმინდა კულტურა. ჩავატარეთ აგრეთვე ჯვარედინი დასენიანებაც, რომლითაც დადგინდა თუთიდან, მაკლურადან და ბრუსონეციიდან აღებული არმილარია მელეას შტამი, თანაბრად პათოგენურია სამივე კულტურისათვის. მაშასადამე, ერთმანეთის იდენტურია.

დაავადებული მაკლურას ხე ჩვენ მიერ მოპოვებული იყო აგრეთვე ბუნებრივ პირობებშიც. დაავადებული ხის გარშემო შემოდგომით განვითარებული იყო სოკო არმილარია მელეასათვის დამახასიათებელი თაფლისფერინაყოფსხეულები (სურ. 1).

რაც შეეხება ლელეს, მისი ნერგები ცდაში არ დაავადებულა და ამიტომ იგი შემდგომი შესწავლის საკითხია.

დასკვნები

1. 5 წლის ექსპერიმენტული მუშაობის შედეგად გამოვლინებულია ფესვის სიღამაპლის მიმართ თუთის შედარებით გამძლე ჯიშები და მათი კომბინაციები.
2. ფესვის სიღამაპლის მიმართ თუთის ჯიშებსა და მათ კომბინაციებში იმუნური სახეები არ შეგვიმჩნევია.
3. ლიტერატურაში არსებული აზრი ხართუთისა და ლუს იმუნობის შესახებ ჩვენ ცდებში არ დადასტურდა.
4. ვეგეტატიურად (გადაწვებით) გამრავლებულ თუთის საკუთარფესვიანი მასალიდან ფესვის სიღამაპლის მიმართ ყველაზე მაღალი გამძლეობით ხასიათდებიან ჯიშები ნეზუმი-გაისი (№ 05), რუსული და ადრეული, ჰიბრიდები № 03 და 020. ჯიში გრუზია საშუალო გამძლეობისაა. ყველაზე მიმღებიანი აღმოჩნდა ჯიში თბილისური და ჰიბრიდი 032.
4. თავისუფალი დამტვერვით მიღებული თუთის შთამომავლობათა შორის ფესვის სიღამაპლისადმი ყველაზე დიდი გამძლეობით ხასიათდება ჩინეთის თესლიდან აღზრდილი მასალა. შედარებით გამძლე აღმოჩნდა ჯიშ გრუზიას და ტატარიკას სახესხვაობის მასალა, ხოლო ყველაზე მიმღებიანი ჯიშ ლუს შთამომავლობა.
5. ჰიბრიდულ კომბინაციებს შორის ყველაზე მაღალი გამძლეობით ხასიათდება გრუზია × გრუზნიიშ № 2 და გრუზია × № 020, უფრო მიმღებიანი ჯიში ლუს ოჯახები: ლუ × ჰიბრიდ თბილნიიშ № 7 და ლუ × გრუზნიიშ № 2.
6. მაკლურა და ბრუსონეცია ფესვის სიღამაპლის დაავადების მიმღებიანია.
7. ჯიშები რუსული და ნეზუმი-გაისი (№ 05), ჯიშ გრუზიას და ტატარიკას სახესხვაობიდან და ჩინეთის თესლიდან მიღებული შთამომავლობა და ჰიბრიდული კომბინაციები: გრუზია × გრუზნიიშ № 2 და გრუზია × № 020

დაავადების გამძლეობა. მათი გამოყენება შესაძლებელია დაავადების მიმართ შედარებით გამძლე საძირებლად, აგრეთვე უშუალოდ გადაწყვენიდა და დაავადებულ მებრძოლთა გამრავლებისათვის. გარდა ამისა, ისინი წარმოადგენენ კომპონენტებს ფესვის სიღამზლის მიმართ იმუნური ჯიშების შექმნისათვის.

8. ფესვის სიღამზლის მიმართ თუთის შედარებით გამძლე ჯიშების გამოვლინება მეტად საყურადღებოა, ისახება ამ მეტად სერიოზული დაავადების საწინააღმდეგო ღონისძიებათა შემუშავების გზებში.

Канд. биол. наук. КАКУЛИЯ М. А., ГОГЕЛИЯ И. Ф.

ИЗУЧЕНИЕ УСТОЙЧИВОСТИ КОРНЕСОБСТВЕННОГО МАТЕРИАЛА РАЗЛИЧНЫХ СОРТОВ ШЕЛКОВИЦЫ К КОРНЕВОЙ ГНИЛИ


Резюме

В некоторых шелководственных районах Грузинской ССР, корневая гниль шелковицы имеет широкое распространение и наносит огромный ущерб тутоводству. Рекомендуемые в настоящее время химические и агротехнические мероприятия сложны и недостаточно эффективны. Поэтому изыскание более надежных и менее трудоемких способов борьбы, является весьма актуальной задачей. Таким способом является изучение и выявление сортов шелковицы устойчивых к заболеванию, которые в дальнейшем могут служить подвоем.

Отношение различных сортов шелковицы, к корневой гнили проверено, как на вегетативно-размноженном корнесобственном материале, так и на семенном потомстве отдельных семей и популяций. В числе взятых сортов включены и те сорта, которые по литературным данным относятся к устойчивым по отношению к *Armillaria mellea* Quel, как хар-тут, Лу и филиппина.

Из сортов размноженных вегетативным способом испытывались *Morus Kagayamae* Грузия, *Morus alba*—Тбилисури, *Morus alba*—Адреули, *Morus bombycis* x *Morus multicaulis* № 030, *Morus alba*—№ 020, *Morus alba* № 032, *Morus multicaulis* x *Morus bombycis*—№ 01, *Morus alba*—05, *Morus nigra*—хар-тут, *Morus alba*—Лу, *Morus multicaulis*—победа, *Morus alba*—Русская, *Morus multicaulis*—филиппина.

Семенной гибридный материал состоял из пяти специально подобранных родительских пар: Лу x гибрид № 7, Лу x гибрид ТбилНИИШ № 2, Лу x 020, Грузия x гибрид ТбилНИИШ № 2, № 03 x гибрид ТбилНИИШ, № 2 и 4-х семей, полученных от свободного опыления следующих материнских сортов: Грузия, Татарика, Лу, № 03. Помимо этого испытывался материал, выращенный из семян полученных с Китая.



Опыты были заложены на двух фонах—искусственно зараженном и естественно-инфекционном (без дополнительного внесения искусственного заражения). В обоих вариантах опыта для каждого сорта саженцев в трехкратной повторности.

Искусственное заражение саженцев проведено в момент их посадки и в дальнейшем повторено ежегодно. Во втором варианте, который является контрольным, саженцы были посажены без искусственного заражения. Агрощиф на участках соблюдался согласно агроправилам по тутоводству.

Проверено отношение к корневой гнили и других представителей *Motacaeae*, т. е. Маклюры (*Maclura aurantica*), брусонечия (*Broussonetia papyrifera*) и инжира (*Ficus carica*).

В итоге 5 летней экспериментальной работы по испытанию различных, наиболее ценных сортов шелковицы выявлены сравнительно устойчивые сорта и их комбинации к корневой гнили.

Существующее в литературе мнение об иммунности сортов шелковицы хар-тут и Лу к корневой гнили не подтверждается.

Из вегетативно размноженных корнесобственных сортов шелковицы наивысшей устойчивостью обладают сорта Незумигаиси (№ 05) и Русская. Большой устойчивостью обладают Адреули № 03 и № 020. Сорт Грузия оказался средне устойчивым. Более восприимчивы к заболеванию сорта Тбилисური и № 032.

Среди потомства, полученного от свободного опыления сортов шелковицы наивысшей устойчивостью обладает материал, выращенный из семян полученных из Китая. Сравнительно устойчивым оказался материал разновидности Татарика и сорта Грузия. Наиболее восприимчивым к корневой гнили оказалось потомство сорта Лу.

Среди гибридных комбинаций наивысшей устойчивостью обладают семьи Грузия×ГрузНИИШ № 2 и Грузия×№ 020. Наиболее восприимчивым—комбинации Лу×гибрид ТбилНИИШ № 7 и Лу×ГрузНИИШ № 2.

Маклюра и брусонечия оказались восприимчивой к корневой гнили.

Сорта Русская и Незумигаиси (№ 05), потомство Китайских семян и сорта Грузия, разновидности Татарика и гибридные комбинации сорта Грузия, как например Грузия×ГрузНИИШ № 2 и Грузия×№ 020 являются ценными сортами и комбинациями и могут служить для непосредственного размножения отводками и черенками, а также могут быть использованы на производстве как наиболее устойчивый подвой к данному заболеванию, и служить компонентом для создания иммунных к корневой гнили сортов шелковицы.



1. И. С. Варуццли—Биология в борьбе с болезнями сельских растений. *Агробиология*, М. 1947, № 2.
2. А. В. Горленко—Иммунитет растений к заболеваниям и вредителям. *Природа*, 1953, № 10.
3. П. М. Жуковский—Проблема селекции культурных растений на устойчивость. Тезисы к докл. на дискус. совещ. по вопросу иммунитета растений к болезням и к вредителям, 1952, Ленинград.
4. И. В. Мичурин—Избранные сочинения, 1948 г.
5. В. А. Марутян—Новые методы борьбы с корневой гнилью шелковицы. *Журн. Шелк*, 1940, № 5.
6. Майо и Ламбер—Тутовый шелкопряд и шелковицы. 1905. (Перевод с французского О. В. Струбинской).
7. Г. Хадатян—Корневая гниль шелковицы и борьба с ней. *Журн. Шелк*, 1940, № 5.
8. Н. Н. Чантурия—Корневая гниль шелковицы в Грузии. *Труды Тбилисского научно-исследовательского института шелководства*, 1947, 1.
9. Дискуссионные вопросы иммунитета растений к болезням и вредителям. *Агробиология*, 1, 1953.
10. Болезни растений. Перевод с английского. Изд. истр. лит. Москва, 1956.
11. E. Quayt Recherche comparative sullin fluenze delli alimentazione con *Morus alba*. *M. nigra* nel *Bombiceae* del *gelsa* (B. m.) z. *Ann. st. B. Padova* 1903.



პროფ. ბ. ხანთაძე, თ. შლენტი, ვ. ჩხიტიძე

წვის პროცესზე ელექტრული და ელექტრომაგნიტური ველის გავლენის ზოგირითი საკითხი

შიგაწვის ძრავების სიმულაციით და ეკონომიური მაჩვენებლები ძირითადად თვით ძრავის მუშა პროცესზე და მოკიდებული. ძრავის მუშა პროცესის და კერძოდ წვის პროცესის მიმდინარეობის გაუმჯობესებისათვის, დღემდე მიმართავდნენ ძირითადად არაპირდაპირ მეთოდებს, როგორცაა წვის კამერის რაციონალური კონსტრუქციის დამუშავება, კუმშვის ხარისხის გაზრდა, ნარევეწარმოქმნის გაუმჯობესება და სხვა. ე. ი. მიმართავდნენ ისეთ მეთოდებს, რომლებიც წვის პროცესზე უშუალოდ არ მოქმედებენ და მისი მართვის არაპირდაპირ საშუალებებს წარმოადგენენ. იყო აგრეთვე ცდები, ემოქმედათ წვის პროცესის ქიმიურ ბუნებაზეც საიონიზაციო მინარევების დამატების გზით.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ძრავებში ელექტრული და ელექტრომაგნიტური ველების, როგორც წვის პროცესის სტიმულატორების, გამოყენებას დიდი უპირატესობა და მნიშვნელობა აქვს.

ელექტრულ და ელექტრომაგნიტურ ველებს, რომლებიც ზემოქმედების გარეგან ფაქტორებს წარმოადგენენ, ამასთან ერთად ახასიათებს გარკვეული კავშირი რეაქტივის შინაგან მექანიზმთან, ვინაიდან წვის რეაქტივის დროს წარმოშობილ ალს თვით ახასიათებს ელექტრული თვისებები.

ჯ. ტომპსონის [1] მიერ წამოყენებული ჰიპოთეზა, ალის ელექტრული გავრცელების შესახებ, წვის ზონაში წარმოქმნილ ელექტრონებს თვლის ალის გავრცელების აქტიურ გადამცემებად და ვარაუდობს, რომ ელექტრული და მაგნიტური ველების ზემოქმედება წვის პროცესის რეგულირების საშუალებას იძლევა.

გარეგანი ელექტრული და ელექტრომაგნიტური ველებით ბენზინის წვის პროცესის მართვის და ძრავის სიმულაციის გაზრდისათვის ამ ეფექტის გამოყენების შესაძლებლობათა გამოკვლევის მიზნით, ჩვენ წინასწარ ჩავატარეთ ექსპერიმენტები ბენზინის წვის ღია ალზე. გამოირკვა, რომ ალი ადვილად ემორჩილება მაღალი ძაბვის ელექტროდენის ზემოქმედებას. მაგალითად, 20 კილოვოლტის ძაბვის ზემოქმედებამ ალის სიმაღლე შეამცირა 4-ჯერ, ხოლო სიგანე გაზარდა 3-ჯერ (ნახ. 1 და 2).




გარდა ამისა, ბენზინის გამოწვის სიჩქარე, ალზე 20 კილოვოლტის ცვლადი ძაბვის ზემოქმედებით, იზრდება 1,8-ჯერ, ხოლო საწვავზე ელექტრონების პირობებში, სიჩქარე მატულობს 1,2-ჯერ.

საკითხის მომდევნო კვლევა წარიმართა შემდეგი მიმართულებით:

1. შემოწმდა ელექტრული და ელექტრომაგნიტური ველებით ბენზინის დამუშავება კარბურატორამდე და ნარევისა კარბურატორის შემდეგ—მათი აქტიუზაციისა და, მაშასადამე, წვის პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

2. გაინიშნა ძრავის სიმძლავრის ზრდის შესაძლებლობა, წვის საწყისი პირობების გაუმჯობესებისათვის, უშუალოდ წვის კამერაში, დამატებითი მალალი ძაბვის მიწოდებით და




ნახ. 2. ალის პარამეტრების ცვლილების გრაფიკები

იონიზაცია ხელს უწყობს წვის პროცესის და ზრდის ძრავის სიმძლავრეს [2,3,7].

ძრავში საწვავის წვის პროცესის გაუმჯობესების მიზნით ექსპერიმენტები ჩატარდა სხვადასხვა ვარიანტით:

- 1) ბენზინის ნაკადის მაგნიტური დამუშავება განივი მაგნიტური ველებით

რბილი ფოლადისაგან დამზადებული, 42 მმ დიამეტრისა და 350 მმ სიგრძის ლითონის ღეროზე ამოხარატებული იყო 15 მმ სიღრმის და 20 მმ სივანის 9 ცალი ღარობი, რომლებიც გამოვიყენეთ კოჭების კარკასად.




ნახ. 1. ელექტროდების ზემოქმედება და ალზე: 1) ველის ზემოქმედების გარეშე, 2) ცვლადი ელექტროვოლტის ზემოქმედება, 3) მუდმივი ელექტროვოლტის ზემოქმედება

3. დადასტურდა წინასწარი თეორიული მოსაზრება, აალებამდე იონიზებული ნარევის მოცულობის გადიდების ხარჯზე ძრავის სიმძლავრის გაზრდის შესახებ.

1. ელექტრული და ელექტრომაგნიტური ველების ბაზოვანა საწვავის წვის თვისებებზე

ცნობილია, რომ ელექტრული ან მაგნიტური ველებით საწვავის ნაკადის სრულყოფას ძრავის ცილინდრში



ნახ. 3. ძაბვის გავლენა წვის სიჩქარეზე




კოქების გრაგნილები დახვეული იყო იზოლირებული გამტარების ქსელში — 0,41 მმ, თითოეულ გრაგნილში 500 ხეიის რაოდენობით. შეერთებული კოქების საერთო წინაღობა შეადგენდა 50 ომს, კვება წარმოებდა 50 ვოლტის მუდმივი ძაბვით.

მილგამტარში განივი მაგნიტური ველის შექმნა უზრუნველყოფილი იყო გამტარების ორხმრივ საწინააღმდეგო მიმართულებით დახვევით.


ელექტრომაგნიტი მოთავსებული იყო თითბრის მასრაში, ხოლო ეს უკანასკნელი — ლითონის მილში (ნახ. 4).

მილსა და მასრას შორის, რგოლისებრ კვეთში გავლის დროს ბენზინი განიცდიდა განივი მაგნიტური ველების ზემოქმედებას.

ამავე ვარიანტში გავსინჯეთ სხვა სტემაც ოლონდ იმ განსხვავებით, რომ ბენზინის გატარება წარმოებდა პოლიეთილენის მილში, რომელზეც ჩამოსმული იყო 1 მმ დიამეტრის გამტარისაგან ორმხოვისაწინააღმდეგო მიმართულებით დახვეული 500 ხეიის მქონე გრაგნილები. საერთო წინაღობა უდრიდა 5 ომს, კვება წარმოებდა 24÷40 ვოლტის ძაბვით.




ნახ. 4. ბენზინატორის სტემა



2) ბენზინის ნაკადის დამუშავება ცვლადი მაგნიტური ველებით ხაინდუქციით შიგა სივრცეში

ბენზინის დამუშავება წარმოებდა 2÷10 ერსტედის დიაბულოპის მაგნიტური ველებით, 5, 7, 9, 11 და 15 კილოპერცის სისშირეებზე (ნახ. 5).

3) ბენზინის ნაკადის ორმაგი დამუშავება ჯერ ელექტრული და შემდეგ მაგნიტური ველებით



ნახ. 5. ბენზინის დამუშავება მაგნიტურ ველში
 ა) კურკულში ხე პოლიეთილენის მილგამტარში
 ნელზე წარმოებდა 2,5 კილოპერცის სისშირისა და 20 კილოვოლტის დახ-

ვის მიწოდება. ტურქულში დამუშავებული ბენზინი შემდგომ ტარდებოდა და-




ბალი სისხირის ცენტრში ნიტურ ველში (სახ. 1000000000)

4) ბენზინის დამუშავება კარბურატორის ფილტრის ბუდეში მალალი ძაბვის მიწოდებით

ფილტრის საცობი დამზადებული იყო პლასტმასისაგან; ბენზინში ჩაშვ-

ბულ ფილტრის ცენტრში მოთავსებულ ელექტროდზე მიწოდებული იყო 20 კილოვოლტის ძაბვა. ელექტროდსა და კარბურატორის ფილტრის ლითონის ბადეს შორის, სადაც გადიოდა ბენზინი, შექმნილი იყო პოტენციალთა სხვაობა.



ნახ. 6. ბენზინის ორმაგი დამუშავების სქემა

ა) საწვავი ნარევის დამუშავება

მინის კარბურატორის გამოყენებით შესაძლო გახდა ჩატარებულიყო გარეგანი ელექტრული და ელექტრომაგნიტური ველების ზემოქმედება საწვავ ნარევეზე. ერთ შემთხვევაში საწვავი ნარევის ნაკადის გატარება წარმოებდა სანდუქციო კოჭის შიგა სივრცეში, სადაც შექმნილი იყო 10 ერსტედის დაძაბულობის მაგნიტური ველი, რომლის სისხირე ცვალებადობდა 5:—15 კილოპერცის ზღვრებში.

მეორე შემთხვევაში, ნარევის დამუშავება წარმოებდა 3000 ვოლტსმ დაძაბულობის ელექტრული ველით.


ზემომოყვანილ ვარიანტებში ბენზინისა და საწვავი ნარევის დამუშავებაში სიმბლავრის შესამჩნევი ზრდა არ გამოიწვია, რაც უნდა აიხსნას იმით, რომ დამუშავებული ბენზინი და იონიზებული ნარევი, შემწოვ მილგამტარში გავლის დროს, ეხებოან მილგამტარის ლითონის კედლებს და ხდება მითი დეიონიზაცია.

ამ მოსაზრების დასადასტურებლად ჩატარდა სპეციალური ექსპერიმენტი ღია ალზე.

ელექტრომაგნიტურ ველში დამუშავებული საწვავის მიწოდება წვის ზონაში დამასებული ლითონის მილით, უკვე აღარ იწვევდა საწვავის გამოწვის სიჩქარის ზრდას.

ზემომოყვანილი დასკვნა ლითონის მილგამტარში საწვავისა და ნარევის დეიონიზაციის შესახებ, რასაკვირველია, არ უნდა ჩაითვალოს წვის პროცესის გაუმჯობესების მიზნით მაგნიტურ და ელექტრომაგნიტურ ველებში ბენზინისა და ნარევის დამუშავების (იონიზაციის) საბოლოო უარყოფად.

აუცილებელია ჩატარდეს ზუსტი ექსპერიმენტები, შედარებით სრულყოფილი ტექნიკური ხელსაწყოებით, რათა დადგინდეს საწვავისა და ნარევის დამუშავების ოპტიმალური რეჟიმები და პარამეტრები (სისხირე, დაძაბულობა, დამუშავების დრო და ა. შ.).



წვის სიჩქარესა და ალის ელექტროგამტარობის სიდიდეს შორის არსებული დამოკიდებულების არსებობა აღიარებულია [6].

ცნობილია, რომ გარეგანი ელექტრული და მაგნიტური ველების ზემოქმედება ზრდის ალის ელექტროგამტარობას. ცვლის ალის სტრუქტურას, აუმჯობესებს წვის პროცესს და ზრდის საწვავის გამოწვის სიჩქარეს.

ორტაქტიან, 190 სმ³ სამუშაო მოცულობის მქონე დიზელის სახურავში ჩახრახნილ დამხმარე ელექტროდზე დამატებითი ძაბვის მიწოდებით, შესაძლო გახდა ძრავის სიმძლავრე გაზრდილიყო 1,5-ჯერ [4].

ასეთივე მეთოდით გაზარდეს ძრავის სიმძლავრე კარბურატორიან ძრავშიაც.

სანთლის მესამე, იზოლირებულ, დამხმარე ელექტროდზე მიწოდებული დამატებითი ძაბვით ნარევის იონიზაციის დროს, ინდიკატორული მარგი ქმედების კოეფიციენტის ზრდა შეადგენდა 6-7%-ს [5].

ზემომოყვანილი მასალა ადასტურებს წვის კამერაში მიწოდებული მაღალი ძაბვის დადებით გავლენას ძრავის მუშა პროცესზე.


ჩვენ შევეცადეთ გავგეზარდა 6-ცილინდრიანი ძრავის ЗНП-120-ის სიმძლავრე, სანთლის ცენტრალურ ელექტროდზე მუდმივად მოქმედი ცვლადი ძაბვის მიწოდებით. ამ ძაბვის სიდიდე ნაკლები იყო ძაბვაზე, რომელიც იწვევს სანთლის ელექტროდებს შორის ნაპერწკლის წარმოქმნას. ძრავის ანთების სისტემის მუშაობა დატოვიბული იყო უცვლელად.

უპირველესად შემოწმდა ჩვენ მიერ შემუშავებული პირველი სქემა [ნახ. 7].

სქემის მიხედვით ანთების სისტემის მაღალი ძაბვა, 1-ლი ცილინდრის სანთლის ელექტროდზე (5), იზრდება რა მაქსიმუმამდე, განმმუხტველით (4) აღძრავს შედარებით ნაკლები სიდიდის ძაბვას (ძაბვის სიდიდის ცვლილება წარმოებს განმმუხტველის ღრეჩოს რეგულირებით) სანთლის ცენტრალურ ელექტროდზე შეხუთე ცილინდრში, სადაც ამ დროს ნარევი მზადდება აალებისათვის.

ძირითადი მაღალი ძაბვა შეხუთე ცილინდრში, თავის მხრივ, იზრდება რა მაქსიმუმამდე, აალებამდე წინასწარ აღძრავს განმმუხტველით, მესამე ცილინდრის სანთლის (7) ცენტრალურ ელექტროდზე, შედარებით ნაკლებ ძაბვას და ა. შ. ცილინდრების მუშაობის მორიგეობის მიხედვით.


წინასწარი მოსაზრებების თანახმად, ძრავის წვის კამერაში ანთების ძირითადი ძაბვის მიწოდებამდე, სანთლის ცენტრალურ ელექტროდზე აღძრულმა, შედარებით დაბალმა ძაბვამ უნდა გაზარდოს ნარევის იონიზაციის პერი-



ნახ. 7. სანთლის ცენტრალურ ელექტროდზე დამატებითი ძაბვის მიწოდების სქემა: 1-აქუმულატორი, 2-საინდუქციო კოჭა, 3-გამნაწილებელი, 4-განმმუხტველი, 5-6-10-სანთლები



ოდი, უნდა გამოიწვიოს წინასწარი იონიზაცია მიწოდებული იმპულსის წინა
 ფრონტით და, მაშასადამე, გაზარდოს ძრავის სინილაგრე. მაგრამ ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა არ დაადასტურა ეს წინასწარი
 იონიზაცია და, ამ მხრივ, სასურველი შედეგი არ აჩვენა.



ნახ. 8. სანთლის ცენტრალურ ელექტროდზე დამატებითი ძაბვის მიწოდების სქემა (შეორე ვარიანტი):
 1—აქტუალური, 2—ძირითადი საინდუქციო კოჭა, 3—დამატებითი საინდუქციო კოჭა, 4—განმანათლებელი, 5—ვანმუხტველი, 6-11—სანთლები, 12—დამხმარე განმანათლებელი

შემდგომ დამუშავებული და გამოცდილ იქნა ახალი სქემა (ნახ. 8).

ამ შემთხვევაში დამატებითი მაღალი ძაბვა მუდმივად მიეწოდებოდა ცენტრალურ ელექტროდს, როგორც აალებამდე, ასევე წვის პროცესში. ძაბვის სიდიდის რეგულირება წარმოებდა ვანმუხტველის (5) ღრეჩოს საშუალებით.

მიუხედავად იმისა, რომ მაღალი ძაბვის ზემოქმედების დრო ამ შემთხვევაში გაზარდილი იყო, ექსპერიმენტებმა დადებითი შედეგი არ აჩვენა.

ამ უკანასკნელი სქემის მოდიფიკაცია ითვალისწინებდა დამხმარე განმანათლებლის (13) საშუალებით დამატებითი ძაბვის მიწოდებას ელექტროდზე უშუალოდ ნაპერწკლის წინ, ანთების გაწინაურების ნორმალური მომენტიდან $\pm 20^\circ$ ზღვრებში რეგულირებით, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც ექსპერიმენტებმა სასურველი შედეგი არ მოგვცა.


ასეთი შედეგების მიღება უნდა აიხსნას ელექტროდებს შორის იონიზებული ნარევის მოცულობის მუდმივობით როგორც ჩვეულებრივ პირობებში, ასევე შემომოყვანილ შემთხვევებშიაც.

ამიტომ, დამატებითი მაღალი ძაბვის მიწოდებამ, იონიზებული ნარევის მოცულობის გაზარდის გარეშე, შეიძლება გავლენა იქონიოს მხოლოდ ძირითადი იმპულსის სასურველი შემცირების მხრივ და ამდენად მე-8 ნახაზზე მოცემული სქემა მართებულაა ძაბვის სიდიდის სუბერპოზიციის პროცესის თვალსაზრისით.

III. ძრავის სიმძლავრის ზრდის შესაძლებლობა ნარევის ააღვანამდე არაფორული იონიზებული მოცულობის გადამდებით

ენობილია, რომ რაც მეტია ნარევი აქტიური ნაწილაკები აალებამდე, მით უფრო მძლავრია რეაქციის პირველადი კერების წარმოქმნა, უფრო სწრაფია ნარევის წვა და, მაშასადამე, სრულყოფილია წვის პროცესი. წვის სიჩქარესა და სისრულეზე დიდადაა დამოკიდებული ძრავის სიმძლავრე.

ჩვენ მიერ დამზადებულ და გამოცდილ იქნა სპეციალური კონსტრუქციის ელექტროსანთელი ე. წ. „იონოსანთელი“, რომლის ცენტრალური ელექ-



ტროდის კონფიგურაცია საშუალებას იძლევა გავზარდოთ აალებამდე ნაწი-
ვის იონიზებული მოცულობის სიდიდე და მივიღოთ სასურველი ეფექტი. რა-
ვის სიმძლავრისა და ეკონომიურობის ზრდის სახით. ამიტომ მას შემდეგ
სათვის რეკომენდაცია მივეცით.

ექსპერიმენტები ითვალისწინებდა ავევლო საგამოცდო სტენდზე ძრავის
სიჩქარითი მახასიათებლები, მთლიან და ნაწილობრივ დატვირთვებზე, ჩვეულებ-
რივ პირობებში და ნარევის ერთდროული იონიზებული მოცულობის გაზრ-
დის პირობებისათვის და ჩაგვეტარებინა მათი შედარებითი შეფასება.

სიჩქარითი მახასიათებლების შედარებამ და ანალიზმა აჩვენა, რომ
მთლიან დროსელზე „იონოსანთლით“ ძრავის მუშაობის დროს $n = 1800$ ბრ/წ
პირობებში, სიმძლავრის და ეკონომიურობის ზრდა საშუალოდ შეადგენს
 $3-4\%$.

შედარებით დიდი ეფექტი მიიღება ნაწილობრივ დატვირთვებზე. კერ-
ძოდ, დროსელის გაღების 45% -ის პირობებში და ბრუნთა რიცხვის $n =$
 $= 1200-1800$ ბრ/წ ზღვრებში, სიმძლავრისა და ეკონომიურობის ზრდა საშუ-
ალოდ შეადგენს $4-10\%$.

ასეთი ეფექტის ახსნა შეიძლება შემდეგი ზოგადი მიახლოებითი მსჯე-
ლობით.

როგორც ცნობილია [8], აირის იონიზაციის ენერგია გამოისახება და-
მოკიდებულებით:

$$W = \int n_k A_k dv,$$

სადაც n_k აირის k -ური რივის მუხტის გადამტანთა კონცენტრაცია,
 A_k —საშუალო მუშაობა, რომელიც იხარჯება k -ური გადამტანე-
ბის შექმნაზე.
 V —აირის მოცულობა, რომელშიაც წარმოიქმნება მუხტის გადამ-
ტანები.
სტანდარტული სანთლისათვის შეიძლება დავწეროთ:

$$W_1 = \int_{V_0}^{V_1} n_{k1} A_{k1} dv,$$

სადაც V_0 აირის მინიმალური ელემენტარული მოცულობა,
 V_1 —ცენტრალური ელემტროდით იონიზებული მაქსიმალური მოცუ-
ლობა.


ცენტრალური ელემტროდის გეომეტრიული ზომების გაზრდის შემთხვე-
ვაშიაც, როგორც პირველი მიახლოება, შეიძლება გამოვიყენოთ ზემოთაყვ-
ნილი დამოკიდებულება და გვექმნება:

$$W_2 = \int_{V_0}^{V_2} n_{k2} A_{k2} dv$$



სადაც V_2 არის მოცულობა მეორე შემთხვევისათვის.

იმის გამო, რომ $A_k = EU$, სადაც E არის ელექტრონის მუხტის, U — აირის იონიზაციის პოტენციალი, აშკარაა, რომ $A_{k2} > A_{k1}$ ვინაიდან $U_2 > U_1$ (ნახ. 9).



ნახ. 9. მაღალი ძაბვის იმპულსი

ციისათვის გაიზრდება τ_1 -დან τ_2 -მდე.

თუმცა გეომეტრიული ზომების გაზრდა იწვევს ელექტროდის მუხტის ზედაპირული სიმკვრივის შემცირებას, მაგრამ იონიზაციის პოტენციალის ზრდას, თავის მხრივ, მოსდევს ზედაპირული სიმკვრივის ზრდა.

ამიტომ, ელექტროდის დიდი გეომეტრიული ზომების შედეგად იონიზებული იქნება აირის დიდი მოცულობა და ცხადია, რომ $V_2 > V_1$.

მაშასადამე, იონიზაციის ენერგია გაიზრდება, ე. ი. $W_2 > W_1$; ამით ახსნება სიმძლავრის ზრდა იონოსანთლის გამოყენების შემთხვევაში.

ზემომოყვანილი განმარტებანი არ აყენებს სრული და დაწვრილებითი დასაბუთების პრეტენზიას და წარმოადგენს მხოლოდ წინასწარ მონასახებს.

შემდგომში მოკლებული იქნება ამ მოვლენათა შედარებით ფართო ახსნა ძრავის მუშაობის სხვადასხვა რეჟიმისა და ლარიზმ ნარეგების გამოყენების შემთხვევებისათვის.

მაშასადამე, აალებამდე ნარეგის ერთდროული იონიზებული მოცულობის გაზრდა „იონოსანთლის“ გამოყენებით, მნიშვნელოვნად ზრდის ძრავის სიმძლავრეს და აუმჯობესებს მის ეკონომიურობას.

ამრიგად ელექტრული და ელექტრომაგნიტური ველების გამოყენება ავტოსატრაქტორო ძრავებში სიმძლავრისა და ეკონომიურობის გაზრდის მიზნით, პერსპექტიულია და ამ მხრივ აუცილებელია შემდგომი გამოკვლევების წარმოება.

Проф. ХАНТАДЗЕ Г. А., ЖГЕНТИ Т. Г., ЧХЕИДЗЕ В. И.

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ВЛИЯНИЯ ЭЛЕКТРИЧЕСКИХ И ЭЛЕКТРОМАГНИТНЫХ ПОЛЕЙ НА ПРОЦЕСС СГОРАНИЯ

Резюме

В статье дается анализ некоторых способов повышения мощности и

экономичности двигателя с помощью электрических и магнитных полей.

Отмечается, что в случае открытого пламени (факела горящего бензина), возможно воздействием электрического поля на пламя не только изменить параметры формы пламени но и увеличивать скорость выгорания бензина.

Отмечен факт увеличения скорости выгорания бензина, при воздействии высоким напряжением, до подачи в зону горения.

Дается анализ попыткам повышения мощности двигателя, путем обработки бензина электрическим и магнитными полями, как с постоянным так и переменным источниками напряжения.

Рассматриваются различные схемы, предложенные авторами, для подачи дополнительного напряжения на центральный электрод свечи и анализируются полученные результаты.

Предлагается способ повышения мощности двигателя путем увеличения объема одновременно ионизируемого смеси в камере сгорания.

В результате указанного способа достигается повышение мощности двигателя на частичных нагрузках до 10% и на полном дросселе до 4%.

Делается попытка теоретического обоснования физической сущности данного явления.

Э Д В М В 8 0 2 5 4 0 7 0 0 0 6 1 0 3 6 2

1. J. J. Thomson Rep. of Brit. Assoc, 50 1910
2. Apparatus for the treatment of liquid materials. Британский патент кл. CSE, В 2 J, № 971912.
3. Appareil pour le traitement des matieres fluides. Французский патент Кл. В 62 d, FO 2 f № 1290925, 12. 03. 62.
4. Морев А.—Жрн. „За рулем“, № 10, 1963.
5. Мещеряков Г. М.—Жрн. „Автомобильная промышленность“, № 10, 1964.
6. Аbugов Д., Соколик А.—ЖЭТФ. Т. 3, вып. 5, 1933.
7. Экспресс-информация „Автомобилостроение“, № 45, 1962.
8. Грановский В. Л.—Электрический ток в газах, т. 1. ГИТЛ, 1952.



დოკ. მ. მებრევილი

ჩრდილების აგება პერსპექტივაზე სურათის სიბრტყის პარალელური სივრცის შემთხვევაში

არქიტექტურული შემოქმედების პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩანაფიქრის წარმოდგენას ზუსტი გამოსახულების სახით. გამოსახულებაა იმ ნაირგვარობაში, რომლებშიც შეიძლება გრაფიკული სახით იქნეს წარმოდგენილი გააზრებული ნაგებობის ფორმები, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პერსპექტიულ ნახაზებს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პერსპექტივის როლი არქიტექტორისათვის დაპროექტების პერიოდში, რადგან პერსპექტიული ჩანახატების ან ნახაზების საშუალებით მას შეუძლია თამამად ცვალოს შენობის პროპორციები შემოქმედების პროცესში და ადვილად წარმოიდგინოს, თუ როგორი იქნება მის მიერ გააზრებული ნაგებობის ფორმები პროექტის პრაქტიკული განხორციელების შემდეგ.

მნიშვნელოვნად იზრდება ნახაზების თვალსაჩინოება პერსპექტივაში გამოსახულ ნაგებობებზე ჩრდილების აგებით. ჩრდილები ნაგებობას რელიეფურს ხდის, იძლევა შენობის საერთო წარმოდგენისათვის საჭირო კონტრასტებს, რაც გამოწვეულია სხეულის განათებული, დაჩრდილული და საკუთარი ჩრდილის ფარგლებში მოქცეული ნაწილების ურთიერთდამოკიდებულებით. მაგრამ პერსპექტივაზე ჩრდილების კონტურის განსაზღვრა მეტად შრომატევადი გრაფიკული პროცესია.


როგორც ცნობილია, ჩრდილების აგების ამოცანა დაიყვანება ორი ზედაპირის თანკვეთის ხაზის მონახვაზე, რომელთაგან ერთი შემომფარგვლელ სხივთა ზედაპირია, ხოლო მეორე — ზედაპირი, რომელზედაც ჩრდილი ეცემა. ამოცანა კიდევ უფრო მეტი სირთულით წარმოგვიდგება მაშინ, როდესაც მოცემული ზედაპირის რთულ გეომეტრიულ ფორმასთან ერთად შემომფარგვლელ სხივთა ზედაპირიც რთული ფორმისაა.

შემომფარგვლელ სხივთა ზედაპირისა და მოცემული ზედაპირის თანკვეთის პოვნის ამოცანა შეიძლება ადვილად ამოიხსნას, თუ აღნიშნულ ზედაპირთაგან ერთ-ერთი მათგანი მაგვემილებლად გარდაიქმნება. ასეთი შედეგის მიღწევა შეიძლება მაშინ, როდესაც სინათლის სხივის მიმართულებას დაგვემილების მიმართულებად მივიღებთ. გარდა ამისა,

პარალელურ
გვერდიან
საფეხურს
გვერდიან
საფეხურს
გვერდიან
საფეხურს

დამხმარე გეგმილთ სიბრტყის შერჩევით ნაირგვარ დამატებით პარალელურ გეგმილს მივიღებთ.

უნდა აღინიშნოს, რომ ზარტივ სხეულებზე ჩრდილების გეგმვა აუცილებელია კულად სიმნელეს არ წარმოადგენს. საკითხი ეხება მხოლოდ მის შემთხვევებს.



ნ.ბ. 1

როდესაც მოცემულია რთული გეომეტრიული ფორმების მქონე სხეულები. აღნიშნული ამოცანები ადვილად ამოიხსნება დამხმარე გამოსახულებათა გამოყენებით ორთოგონალურ, აქსონომეტრიულ და პერსპექტიულ გეგმილებში [1,2], თუმცა პერსპექტივაზე ჩრდილების აგებისას არ არის განხილული ისეთი ამოცანები, როდესაც აგებულ პერსპექტივაში სინათლის სხივები სურათის სიბრტყის პარალელურია.

პერსპექტივაზე სურათის სიბრტყის პარალელური სხივებით განათებისას დასაწვება სინათლის სხივების თარაზული სიბრტყის მიმართ ნებისმიერი



დახრა, თუმცა ზოგჯერ უმჯობესია ჩრდილების აგება პორიზონტის მიმართ 45° -ით დახრილი სხივების საშუალებით, რადგან ასეთი დახრა აქვეყნის უფრო მეტი სანარისით ადვილი განსახორციელებელია და კომპოზიციურად უფრო მარტივია. ცხადია, ყველანაირი დახრის შემთხვევაში სინათლის სხივთა მეორადი გეგმილი პორიზონტის ხაზის პარალელური იქნება.

დამხმარე გამოსახულების მისაღებად საკმარისია ჩავატაროთ დავეგმილება ნებისმიერ სიბრტყეზე ისე, რომ დავეგმილებს მიმართულება ემთხვეოდეს სინათლის სხივთა მიმართულებას, ბუნებრივია, რომ დამატებითი გამოსახულება წარმოადგენს პარალელურ გეგმილს, ამასთან ერთად, შემომფარვლელ სხივთა ზედაპირები წარმოადგენენ მაგეგმილებელ ზედაპირებს დამატებითი გეგმილთ სიბრტყის მიმართ. ეს კი ამოცანის ამოხსნას საგრძნობლად ამარტივებს, რადგან რთული ზედაპირების თანკვეთის პოვნის ამოცანა განსაკუთრებით მარტივდება, როდესაც ერთ-ერთი შემადგენელი ზედაპირი მაგეგმილებელია.


განვიხილოთ პერსპექტივაზე სურათის პარალელური სხივებით განათების სივრცობრივი აპარატი. მოცემულია სურათის სიბრტყე P , თარაზული გეგმილთ სიბრტყე H , მზერის წერტილი S , მეორადი S_0 გეგმილით და ტეტრაედრი, როგორც სივრცეში მოცემული მართკუთხა კოორდინატთა სისტემა (ნახ. 1). მზერის წერტილზე გატარებული სხივებისა და ტეტრაედრის ორი წიბოს თავმოყრის F_1 და F_2 წერტილების გამოყენებით აგებულია ტეტრაედრის $ABCD$ პერსპექტიული გამოსახულება. ამას გარდა, ტეტრაედრია წვერობებზე გატარებულია თარაზული გეგმილთ სიბრტყის მიმართ ნებისმიერი კუთხით დახრილი და სურათის სიბრტყის პარალელური სინათლის სხივები, რომლებიც მზერის წერტილზე გამავალ დამხმარე R პროფილის სიბრტყისთან კვეთაში მოგვცემენ ტეტრაედრის პარალელურ $A_1 B_1 C_1 D_1$ გეგმილს. თუ F_1 და F_2 თავმოყრის წერტილებსაც დავაგეგმილებთ R სიბრტყეზე იმავე მიმართულებით, მივიღებთ მათ ახალ F'_1 და F'_2 მდებარეობას, რომლებიც R სიბრტყეზე მოთავსებულ მზერის წერტილთან და $A_1 B_1 C_1 D_1$ გეგმილთან იგივე დამოკიდებულებაში იქნებიან როგორც ტეტრაედრის $ABCD$ პერსპექტივა, F_1 და F_2 თავმოყრის წერტილები და S მზერის წერტილი, რადგან R სიბრტყე მოცემული სივრცის პარალელური გარდასახვაა.

რადგან მოცემული ტეტრაედრი და მისი $ABCD$ პერსპექტივა პერსპექტიულ განლაგებაში იწყობებიან S წერტილის მიმართ, ცხადია $A_1 B_1 C_1 D_1$ გამოსახულებაც ასევე პერსპექტიულ განლაგებაში აღმოჩნდება $A' B' C' D'$ გეგმილთან, რომელიც წარმოადგენს ბრტყელი $ABCD$ ნაკვეთის პარალელურ გეგმილს R სიბრტყის კვალზე, ამას გარდა, SF_1 და SF_2 წრფეები შესაბამისად ტეტრაედრის ორი წიბოს პარალელურია და ამიტომ S წერტილის F'_1 და F'_2 წერტილებთან შემაერთებელი წრფეები მოგვცემენ დამხმარე პარალელურ გეგმილზე $D_1 A_1$ და $D_1 C_1$ წრფეთა მიმართულებას. რადგან პერსპექტივა აგებულია შვეულ სურათის სიბრტყეზე, ამიტომ ტეტრაედრის შვეული წიბოს $B_1 D_1$ გეგმილიც ისევე შვეული აღმოჩნდება და მიმართულების განსაზღვრას არ საჭიროებს.

მაშასადამე, პერსპექტივაზე დამხმარე გამოსახულების აგებისათვის არ არის საჭირო თვით მოცემული ტეტრაედრის ზომების ცოდნა; დამხმარე გე-

გმილი შეიძლება შეეცვალოთ მსგავსი ნაკეთით, რომელიც მისი იქნება S წერტილის მიმართ.

მოცემულია ტეტრაედრის $ABCD$ პერსპექტივა და საჭიროა განისაზღვროს საკუთარი და დაცემული ჩრდილის კონტური დამატებითი გამოსახულების გამოყენებით (ნახ. 2.) სინათლის სხივები სურათის სიბრტყის პარალელურია და პორიზონტის მიმართ 45° -ით დახრილი, რაც იმას ნიშნავს, რომ




ნახ. 2

სინათლის სხივის პერსპექტივაც იგივე კუთხით იქნება დახრილი პორიზონტის მიმართ, მისი მეორადი გეგმილი კი პორიზონტის პარალელურია.

დამხმარე გამოსახულების მისაღებად გამოვიყენოთ R პროფილის სიბრტყე, რომელიც გადის მთავარ P წერტილზე (ნახ. 1-ის ანალოგიურად). $ABCD$ ტეტრაედრი და F_1 და F_2 თავმოყრის წერტილები დავაგეგმილოთ დამხმარე სიბრტყეზე. ამას გარდა, საჭიროა პროფილის სიბრტყის სურათის სიბრტყესთან შეთავსება, რისთვისაც საკმარისია პორიზონტის ხაზზე P -დან მარცხნივ გადავზომოთ $PS_1 = PS$ მონაკვეთი და მზერის წერტილის S_1 შეთავსება შევავროთ R სიბრტყის კვალზე მიღებულ $A', B', C' \dots X$ წერტილებთან. აგებულ წრფეთა კოხაში ჩავხაზოთ ტეტრაედრის $A_1 B_1 C_1 D_1$ გამოსახულება



იმ პირობის დაცვით, რომ $A_1 D_1$ წიბო პარალელური იყოს $S_1 F'_1$ წრფის, $D_1 C_1$ პარალელური იყოს $S_1 F'_2$ წრფის, ხოლო მესამე $B_1 D_1$ წრფე $F_1 F_2$ -ს ულად გავატაროთ. რადგან BD წიბოს პერსპექტივა შევუღოთ $A_1 D_1 C_1 B_1$ მრავალკუთხედი წარმოადგენს მოცემული ტეტრაედრის საკუთარი და დაცემული ჩრდილების კონტურს, რადგან დამხმარე გამოსახულება მაგეგმილებელია და მიღებულია სინათლის სხივთა პარალელური დაგეგმილებით. დამხმარე სიბრტყის მდებარეობისა და სინათლის სხივთა პირობონტის მიმართ დახრის სხვადასხვაობის მიხედვით, ცხადია, სხვადასხვა სახის



ნახ. 3.


პარალელურ გეგმილს მივიღებთ. რომელთაგან შედარებით უკეთესია განსილული დამხმარე პროექციის სიბრტყე და პირობონტის მიმართ 45° -ით დახრილი სხივები, რადგან ამ შემთხვევაში მიიღება ცნობილი მხედრული გეგმილი, რომელიც აგების მზრივ სხვა სახის აქსონომეტრიულ გამოსახულებათაგან გამოირჩევა სიმარტივეთა და მაღალი თვალსაჩინოებით.

მე-3-ე ნახაზზე დამხმარე სიბრტყის R შევუღოთ კვალი გატარებულია დახრილად. იგი წინა ამოცანის ანალოგიურად მზერის წერტილზე გადის და ამიტომ მაგეგმილებელიცაა. თუმცა ამ შემთხვევაში S_1 შეთავსება მოინახება არა, როგორც მაგეგმილებელ სიბრტყეზე მდებარე, არამედ, როგორც ზოგადი მდებარეობის სიბრტყეზე, მდებარე წერტილის შეთავსება, ე. ი. პერსპექტივის P მთავარი წერტილიდან, რომელიც ამავე დროს



მზერის წერტილის შვეულ გეგმის წარმოდგენს, R კვალზე დაშვებულ ნარ-
 თობზე უნდა გადაიზომოს ისეთი სწორკუთხა სამკუთხედის $\triangle P_1F_1S_1$
 რომლის ერთი კათეტი მანძილი P -დან სიბრტყის კვალამდე, $\triangle P_2F_2S_2$
 კათეტი მთავარი მანძილი— SP მონაკვეთი. S_1 -ის F'_1 -თან და F'_2 -თან შეხვერ-
 თებული წრფეები განსაზღვრავენ დამხმარე პარალელურ გეგმილზე მიღებულ
 წრფეთა მიმართულებას: $A_1D_1 \parallel S_1F'_1$, $D_1C_1 \parallel S_1F'_2$. ხოლო D_1B_1 წრფე R კვა-
 ლის პარალელურია. საბოლოოდ, მიღებული გამოსახულება მოგვცემს საკმა-
 რის წარმოდგენას საგნის განათებული და დაჩრდილული ნაწილების შე-
 სახებ.

აეგვით ჩრდილების კონტურები ბელვედერის პერსპექტიულ გამოსახუ-
 ლებაზე, სურათის სიბრტყის პარალელური სხივებით განათებისას (ნახ. 4)
 სინათლის სხივების დახრა პორიზონტის მიმართ მივიღოთ 45° . წინასწარ-



ნახ. 4.

ვიცით, რომ შვეული დამხმარე სიბრტყის გამოყენების შემთხვევაში დამხმარე
 გამოსახულება მხედრულ გეგმის წარმოდგენს.

გავტაროთ დამხმარე R პროფილის სიბრტყე ნახაზის ნებისმიერ თავი-
 სუფალ ადგილზე. ამ შემთხვევაში დამხმარე სიბრტყის P მთავარ
 წერტილზე გატარება არ არის მიზანშეწონილი. რადგან იგი ნახაზის 'ფარგ-
 298



ლებში მდებარეობს და მისი უშუალო გამოყენება დამხმარე გამოსახულების ასაგებად ნახაზს გადატვირთავს. R სიბრტყეზე, სინათლის სხივთა წყვეტულობით დავაგვიმოლოთ როგორც F_1 და F_2 თავმოყრის წერტილებს, F_1 და F_2 მთავარი წერტილი და ბელვედერის ახალი გვეგმილის აგებისათვის საჭირო მახასიათებელი წერტილები.

F_1 წერტილზე თარაზულად გავლებულ ხაზზე გადავზომოთ $S_1P_1 = SP$ მონაკვეთი. S_1 წერტილის F_1 და F_2 წერტილებთან შემეერთებელი წრფეები მოგვეყვინ და მხმარე გვეგმილის ძირითად წრფეთა მიმართულებას, S_1 წერტილი შევეერთოთ აგრეთვე R სიბრტყის კვალზე მიღებულ $1', 2', 3', \dots$ წერტილებთან და აგებულ წრფეთა კონაში ჩაეხაზოთ ბელვედერის გამოსახულება. მასში სინათლის სხივთა შემომფარგველი ზედაპირები გარდაქმნილია მაგეგმილენლად და ამიტომ ზუსტად განისაზღვრება ბელვედერის განათებული და დაჩრდილული ნაწილები. საჭიროა მხოლოდ მისი პერსპექტივაზე გადატანა, რაც არ წარმოადგენს სიძნელეს—ნახაზზე ნაჩვენებია საძიებელი ჩრდილის კონტურის რამდენიმე მახასიათებელი წერტილის აგება.

ჩრდილების აგებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ წრფეები, რომლებიც S_1F_1' სხივის პარალელურია—პერსპექტივაში თავს მოიყრის F_1 წერტილში; წრფეები, რომლებიც S_1F_2' სხივის პარალელურია—პერსპექტივაში თავს მოიყრის F_2 წერტილში, ხოლო დამხმარე გამოსახულების შეეული წრფეები პერსპექტივაში პოროზონტის პარალელურად გატარდება.

უნდა აღინიშნოს, რომ აღწერილი ხერხით ჩრდილების აგებისას ყოველთვის არ არის აუცილებელი მთლიანი დამხმარე გვეგმილის გამოხაზვა. პრაქტიკულად შეიძლება აიგოს მოცემული სხეულის მხოლოდ ის ნაწილები, რომლებიც დამხმარე გამოსახულების გამოყენების გარეშე უშუალოდ პერსპექტიულ ნახაზზე შედარებით რთული წარმოსადგენია.

Доц. МЕТРЕВЕЛИ М. И.

ПОСТРОЕНИЕ ТЕНЕЙ В ПЕРСПЕКТИВЕ ПРИ ЛУЧАХ, ПАРАЛЛЕЛЬНЫХ КАРТИННОЙ ПЛОСКОСТИ

Резюме

При окончательном оформлении архитектурных проектов большое значение придается построению теней, от чего, как известно окончательное изображение становится более наглядным и полнее отображает действительность. Однако, существующие методы построения теней сравнительно сложны и, поэтому, в некоторых случаях не соответствуют архитектурно-проектировочной практике.

Как известно, построение теней сводится к задаче нахождения линии пересечения двух поверхностей, из которых одна является поверхностью обертывающих лучей света, а другая—поверхностью, на которую падает

тень. Решение задачи усложняется в тех случаях, когда наряду со сложностью поверхности, на которую падает тень, поверхность обертывающих лучей, также является сложной.

При определении контуров теней в ортогональных, перспективных и перспективных проекциях сложных геометрических форм, целесообразно применение дополнительных изображений [1, 2]. Однако, при построении теней в перспективе не рассмотрены задачи, когда световые лучи параллельны к картине. Именно, такие задачи рассматриваются в данной работе.

Для получения новой проекции достаточно произвести дополнительное проектирование на какую-либо плоскость так, чтобы направление проектирования совпало с направлением световых лучей. Естественно, что дополнительное изображение представляет собой параллельную аксонометрическую проекцию, причем обертывающие поверхности по отношению к дополнительной плоскости проекций являются проектируемыми поверхностями. Это упростит решение задачи, так как задача нахождения линии пересечения сложных поверхностей значительно упрощается, когда одна из поверхностей преобразуется в проектирующую.

ЛИТЕРАТУРА

1. Метревели М. И.—Новые приемы построения собственных и падающих теней в ортогональных проекциях и перспективе. Труды ГПИ № 1 (49), 1957.
2. Метревели М. И.—Построение теней в аксонометрии при сложных геометрических формах. Труды ГПИ, № 9 (80), 1961.

ზ. უფლისაშვილი და ი. ვაშაკიძე

სივრცითი ოთხკუთხედიანი მკანის კინემატიკური კვლევა გრაფიკული და ანალიზური მეთოდით

მანქანათმშენებლობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო დიდ გამოყენებას პოულობენ სივრცითი სახსრული მექანიზმები. ამგვარად არ მოიპოვება მანქანათმშენებლობის თითქმის არცერთი დარგი, რომელშიც გამოყენებული არ იყოს სივრცითი მექანიზმები, მიუხედავად იმისა, რომ მათი კინემატიკური და დინამიკური კვლევის საკითხი ჯერ კიდევ შესწავლის საგანს წარმოადგენს.


ჩვენ მიერ განხილულია ორი ბრუნვითი და ორი სფერული კინემატიკური წყვილიანი სივრცითი ოთხკუთხედიანი მექანიზმი, რომლის რგოლები ერთმანეთთან დაკავშირებულია ბრუნვითი, სფერული და სფერული კინემატიკური წყვილების საშუალებით. ჩატარებულია აღნიშნული მექანიზმის კინემატიკური კვლევა გრაფიკული და ანალიზური მეთოდებით.

აღნიშნული მექანიზმის მოძრაობის ხარისხი

$$W = 6n - 5P_5 - 4P_4 - 3P_3 - 2P_2 - P_1 = 6 \cdot 3 - 5 \cdot 2 - 3 \cdot 2 = 2$$


აქედან ერთი მოძრაობის ხარისხი ვიქცევირთ, სახელდობრ O_2B რგოლის ბრუნვა საკუთარი ღერძის გარშემო.

კვლევის ჩატარებისათვის შემოვიღოთ შემდეგი აღნიშვნები: კოორდინატთა სისტემა შევიჩინოთ O_2 კინემატიკური წყვილის ცენტრი, ხოლო O_1A მრუდმხარას ბრუნვის ღერძი ავიღოთ YO_2Z სიბრტყის მართობულად, ე. ი. მრუდმხარას A წერტილის ბრუნვის სიბრტყე მართობი იქნება XO_2Z სიბრტყესა. უმოკლესი მანძილი A კინემატიკური წყვილის II ღერძსა და მრუდმხა-



ნახ. 1

რას ბრუნვის ღერძს შორის აღნიშნოთ r -ით (მრუდმხარას სიდიდე), AB ბარბაცას სიგრძე l -ით. კუთხე AB ბარბაცასა და A კინემატიკური წყვილის α, β ღერძს შორის γ -ით, უმოკლესი მანძილი B კინემატიკური წყვილის α, β ღერძიდან l ღერძამდე m -ით. O_1A მრუდმხარას ბრუნვის ცენტრის კოორდინატები a, b, c -ით, კუთხე X ღერძის მიმართულებასა და l ღერძს შორის ψ -ით,



ნახ. 2

ბოლო O_2B რგოლის სიგრძე R -ით. ზემოთ მიღებული აღნიშვნების შემდეგ ვაწარმოებთ გრაფიკულ კვლევას, რაშიც დიდ დახმარებას გვიწევს მხაზელობითი გეომეტრია და კერძოდ, ამ მეცნიერების ერთი დარგი—ბარალელური დაგეგმარება. ამ მეთოდით შეიძლება განსაზღვრულ იქნეს წამყვანი O_1A




რგოლის ყოველ მდებარეობას მიმყოლი რგოლის რა. მდებარეობა შეესაბამება,

ე. ი. საშუალება გვექნება გამოვხაზოთ მათი მოძრაობის მრუდები.
 YO_2Z სიბრტყე მივიღოთ, როგორც შეველი გეგმილთსიბრტყე YO_2Z YO_2Z YO_2Z
 ბამისად XO_2Y იქნება თარაზული გეგმილთ სიბრტყე, მაშინ ჩვენი შედეგები
 ბული მექანიზმი გამოიხაზება ისეთნაირად, როგორც ეს მე-2 ნახ. -ზე არის შეს-
 რულელებული.

A წერტილის მოძრაობის შეველი გეგმილი წრეხაზია, თარაზული კი სწორი ხაზი, რომელიც აღვნიშნოთ *II*. *B* წერტილის მოძრაობის გეომეტრიული ადგილი, როგორც ნახაზიდან ჩანს, *R* რადიუსის მქონე სფეროა, ამიტომ ნახაზზე როგორც შეველ, ისე თარაზულ გეგმილებში *B* წერტილის მოძრაობის გეომეტრიული ადგილები გამოიხაზება წრეხაზებით, რომლის ცენტრებია O_2O_2' , რაც იმ სფეროს გეგმილებს წარმოადგენს, რომელიც შეგვიძლია მივიღოთ *B* წერტილის მოძრაობის შესაძლებელ ადგილად. ამავე დროს *B* წერტილის მოძრაობის გეომეტრიულ ადგილად შეგვიძლია მივიღოთ ის წრეხაზი, რომელზედაც იმობრავებს *B* წერტილი, თუ კი დროებით გავაჩერებთ *II* ღერძს და გადავხსნით *B* კინემატიკურ წყვილში. ამ წრეხაზის რადიუსი იქნება *m*, რომელიც წარმოადგენს *B*-დან *II* ღერძზე დაშვებული მართობის სიგრძეს. მაშასადამე, *B* წერტილი თურმე წარმოადგენს სფეროს (რომლის რადიუსია *R*) კვეთას იმ წრეხაზებთან, რომლებიც შესაძლებელია წარმოიშვას *II* ღერძის (ნებისმიერი მდებარეობის) ირგვლივ *B* წერტილის მოძრაობით თუ *B* კინემატიკურ წყვილს ვადავხსნით. გავარკვეით რა *B* წერტილის მოძრაობის თეორიული შესაძლებლობანი, შეგვიძლია ავაგოთ მისი მოძრაობის მრუდი პრაქტიკულად, ე. ი. გამოვხაზოთ *A* წერტილის ნებისმიერ მდებარეობას *B* წერტილის რა მდებარეობა შეესაბამება. განვიხილოთ *A* წერტილის მ მდებარეობა, ე. ი. *A* წერტილის მიერ შემოწერილი წრეხაზი (რომელიც შეველ გეგმილში ისევე წრეხაზად დაგეგმილდება) დავეყოთ მ ტოლ ნაწილად, ამასთანავე პირველი მდებარეობა შევიჩნოთ ისეთნაირად, რომ ჩვენთვის ხელსაყრელი იყოს. ე. ი. *II* ღერძი წარმოადგენს თარაზულას (თარაზული სიბრტყის პარალელურ ხაზს) მაშინ *B* წერტილის მიერ შესაძლებელი შემოწერილი წრეხაზი *II*-ის მიმართ მოთავსებული იქნება თარაზულად მაგვეგმილებელ სიბრტყეში. ასეთ ხელსაყრელ მდებარეობას წარმოადგენს *a a'* წერტილი (*A* წერტილის გეგმილება). როგორც ნახაზზე ვხედავთ (*II*) (*III*) ღერძი წარმოადგენს თარაზულას, ხოლო *B* წერტილის მიერ ამ ღერძზე შესაძლებელი შემოწერილი წრეხაზის თარაზული გეგმილი სწორ ხაზს წარმოადგენს (წრეხაზი ამჯერად მაგვეგმილებელ $P_H P_V$ სიბრტყეშია მოთავსებული). და ბოლოს ვიპოვოთ *R* სფეროს კვეთა ამ წრეხაზთან, რაც მარტივად გადაწყდება. $P_H P_V$ სიბრტყის კვეთა *R* რადიუსის სფეროსთან გვაძლევს წრეხაზს რადიუსით *R*; ამ წრეხაზის კვეთა *BD* რადიუსის მქონე წრეხაზთან გვაძლევს *B* წერტილის მდებარეობას. მაგრამ, ვინაიდან, ეს ორივე წრეხაზი მაგვეგმილებელ $P_H P_V$ სიბრტყეშია მოთავსებული, ვახდენთ ამ სიბრტყის შეთავსებას თარაზულ გეგმილთ სიბრტყესთან, ამისათვის სფეროს ცენტრის თარაზული O_2 გეგმილიდან ვუშვებთ მართობს სიბრტყის P_H კვალზე და კვალიდან ქვემოთ გადამოვბოძავთ სფეროს შეველი O_2' გეგმილის დაშორებას ღერძიდან. ეს იქ-

ნება $P_h P_o$ სიბრტყის სფეროსთან კვეთის წრებაზის ცენტრი. ეს ცენტრზე რადიუსით R_1 შემოეწეროთ წრებაზი. ახლა ვიპოვოთ m რადიუსით შემო-
 ზული წრებაზის ცენტრი, a_1 -დან დავეშვათ მართობი სიბრტყე P_1 და P_2 P_1 -
 ზე და კვალადან ქვემოთ გადმოვზომოთ a_1 -ის დაშორება l ცენტრის O_1 P_1 -
 ლეზთ D_1 წერტილს, რომელიც იქნება ცენტრი m რადიუსის მქონე წრება-
 ზისა, ამ ორი წრებაზის (m და R_1) კვეთა გვადლევს B_1 წერტილის შეთავსე-
 ბას. თუ B_1 -დან დავეშვათ მართობს P_h კვალზე, ეს იქნება B_1 წერტილის თა-



ნ.ბ. 3

რახული b_1 გვემილი. აქედან აღვმართოთ ღერძის მართობი და ღერძიდან
 ზემოთ გადავზომოთ მინძილი B_1 -დან P_h კვალამდე ეს იქნება B_1 -ის შვეული
 b_1 გვემილი.

ახლა განვსაზღვროთ მრუდმხარას მდებარეობას B -ს რა მდებარეობა
 შეესაბამება. ამისათვის A_2 წერტილი ვაბრუნოთ O_2 ცენტრის გარშემო მა-
 ნამ, სანამ A_1 -ს არ შეუთავსდება, ე. ი. მოვაბრუნეთ β კუთხით, ასევე ვაბრუ-
 ნოთ O_2 სფერო β კუთხით და მივიღებთ სფეროს ახალ გვემილებს ცენტრე-
 ბით $O_2 O_2''$, ე. ი. B_2 -ს მიერ შესაძლებელი შემოწერილი წრებაზი შევიყვანეთ

$P_n P_e$ სიბრტყეში. დანარჩენი მოქმედება ვველა ისეთნაირად გადაწყვეტა, როგორც ზემოთ განვიხილეთ, ოღონდ R_1 რადიუსის ნაცვლად ამჯერად $P_n P_e$ სიბრტყე O_2 სფეროს გაკვეთის R_2 რადიუსის მქონე წერტილს ვაძლევთ წრეხაზის ცენტრი P_n კვადრიდან დაცილებული იქნება იმ მანძილზე, რამდენადაც O_2 -ა დაცილებული ღერძიდან. ვიპოვიეთ რა B_2 -ს მდებარეობას მობრუნებულს β კუთხით, ახლა უკვე დავაბრუნებთ უკან იმავე β კუთხით, ამით განვსაზღვრავთ $b_2 b_2'$ გვერდებს B_2 -სას. ასევე ვიპოვიეთ ვველა წერტილისათვის.

ჩვენ განვიხილეთ ზოგადი შემთხვევა, ე. ი. როდესაც II ღერძი მრუდმხარას ბრუნვის ღერძთან აცდენილია და კენის β კუთხეს. ასევე შეიძლება გადაწყდეს, როდესაც II ღერძი პკვეთის მრუდმხარას ღერძს, ხოლო, როცა ისინი პარალელურები, მაშინ საკითხი წელარჩებით მარტივად წყდება.

განვიხილოთ ეს შემთხვევა, ე. ი. როცა II ღერძი მრუდმხარას ღერძის პარალელურია. აქაც შევანიხნის ისეთნაირად დავაყენებთ, რომ A წერტილის მოძრაობის წრეხაზი შვეულ გვერდით ანუ YO_2Z სიბრტყის პარალელური იყოს, მაშინ B -ს მიერ შემოწერილი წრეხაზებიც A წერტილის ნებისმიერი მდებარეობისათვის YO_2Z სიბრტყის პარალელურები იქნებიან. A წერტილის მოძრაობა შვეულ გვერდში წრეხაზია, თარაზულში კი სწორი ხაზი. მაშ დავყოთ შვეული გვერდი M ნაწილად (ნახ. 3) და ვავიგოთ თითოეულს B წერტილის რა მდებარეობები შეესაბამება. B წერტილის მოძრაობის გეომეტრიული ადგილებია, როგორც წინა შემთხვევაში, სფეროს ზედაპირი, რომლის რადიუსია R და A წერტილიდან n მანძილით დაცილებული ადგილი მრუდმხარას მოძრაობის P_n სიბრტყის პარალელური T_n სიბრტყე, უფრო სწორად, ამ სიბრტყეში მდებარე m რადიუსის წრეხაზები, რომლის ცენტრებია A წერტილის მდებარეობები.

ვინაიდან შევანიხნის თავიდან ისე დავაყენეთ, რომ A წერტილის მოძრაობის სიბრტყე პარალელურია შვეულ გვერდით სიბრტყის, მაშინ ის და B წერტილის მოძრაობის სიბრტყეც თარაზული გვერდით სიბრტყის მართობული იქნება. ახლა ვიპოვიეთ B -ს მოძრაობის სიბრტყის კვეთა R სფეროსთან, ეს იქნება R_1 რადიუსის მქონე წრეხაზი შვეულ გვერდში, რომელთანაც m რადიუსის მქონე წრეხაზების კვეთა $a_1' a_2'$ ცენტრებიდან გვაძლევს B წერტილის შვეულ გვერდებს $b_1' b_2'$ თუ $b_1' b_2'$ -დან დავუშვებთ T_n კვალზე მართობებს, მივიღებთ სითანადოდ $b_1 b_2$ გვერდებს.

ანალიზური კვლევა

როგორც აღნიშნული იყო $O_1 A$ მრუდმხარას ბრუნვის ცენტრის კოორდინატებია $O_1(abc)$, A წერტილის კოორდინატები აღნიშნით $A(xyz)$, ხოლო $D(x_2 y_2 z_2)$ და $B(xyz)$ მრუდმხარას შემობრუნების კუთხე α (ნახ. 1).

$$x_1 = a \quad y_1 = b + r \sin \alpha \quad z_1 = c + r \cos \alpha$$

$$x_2 = x_1 - n \cos \theta = a - l \cos \gamma \cos \theta$$



$$y_2 = y_1 + n \sin \theta \cos \alpha = b + r \sin \alpha + l \cos \gamma \sin \theta \cos \alpha$$

$$z_2 = z_1 - n \sin \theta \sin \alpha = c + r \cos \alpha - l \sin \theta \sin \alpha \cos \gamma$$

სადაც $n = l \cos \gamma$

B წერტილის $X'Y'Z$ კოორდინატები, როგორც აღვნიშნეთ, ერთი მხრივ მდებარეობს $X^2 + Y^2 + Z^2 = K^2$ [1] სფეროზე, მეორე მხრივ, იგი A წერტილიდან დაცილებულია l მანძილით.

$$l^2 = (x-x_1)^2 + (y-y_1)^2 + (z-z_1)^2 \quad (2)$$

ამავე დროს B წერტილი, როგორც ეს გრაფიკულ კვლევაში გვქონდა აღნიშნული, D წერტილში გატარებულ ll ღერძის მართობულ სიბრტყეზე დევს, ე. ი. $m = l \sin \gamma$. AD წრფის მართობულ სიბრტყის განტოლების მისაღებად დავწეროთ AD წრფის განტოლება

$$\frac{x-x_1}{x_2-x_1} = \frac{y-y_1}{y_2-y_1} = \frac{z-z_1}{z_2-z_1}$$

D წერტილში გამავალ სიბრტყეთა კონის განტოლება იქნება

$$M(x-x_2) + N(y-y_2) + L(z-z_2) = 0$$

მაგრამ ეს სიბრტყე მართობული რომ იყოს AD წრფის, დაკუთხი უნდა იყოს შემდეგი პირობა:

$$\frac{M}{x_2-x_1} = \frac{N}{y_2-y_1} = \frac{L}{z_2-z_1} = K$$

$$M = K(x_2-x_1) \quad N = K(y_2-y_1) \quad L = K(z_2-z_1)$$

თუ შევიტანთ MN და L მნიშვნელობებს D წერტილზე გამავალ სიბრტყეთა კონის განტოლებაში, მივიღებთ AD წრფის მართობული სიბრტყის განტოლებას.

$$(x_2-x_1)(x-x_2) + (y_2-y_1)(y-y_2) + (z_2-z_1)(z-z_2) = 0 \quad (3)$$

ე. ი. მივიღეთ სამი განტოლება 3 უცნობით

$$x^2 + y^2 + z^2 = R^2 \quad (1)$$

$$(x-x_1)^2 + (y-y_1)^2 + (z-z_1)^2 = l^2 \quad (2)$$

$$(x_1-x_1)(x-x_2) + (y_2-y_1)(y-y_2) + (z_2-z_1)(z-z_2) = 0 \quad (3)$$

(2) განტოლებაში თუ გავხსნით ფრჩხილებს და შევიტანთ მათ მნიშვნელობებს, გვექნება:

$$\begin{aligned} x^2 + y^2 + z^2 + x_1^2 + y_1^2 + z_1^2 - 2xx_1 - 2yy_1 - 2zz_1 - l^2 = 0 \\ -2ax - 2y(b+r \sin \alpha) - 2z(c+r \cos \alpha) + a^2 + (b+r \sin \alpha)^2 + \\ + (c+r \cos \alpha)^2 - l_2 + R^2 = \end{aligned}$$

$$2ax + 2y(b+r \sin \alpha) + 2z(c+r \cos \alpha) - 2br \sin \alpha - 2cr \cos \alpha - a^2 - b^2 - c^2 - R^2 - r^2 + l^2 = 0$$

შემოვიტანოთ აღნიშვნები $c=2(c+r \cos \alpha)$

$$A=2a; B=2(b+r \sin \alpha) D=2br \sin \alpha - 2cr \cos \alpha - a^2 - b^2 - c^2 - R^2 - r^2 + l^2$$

მაშინ [2] განტოლება მიიღებს შემდეგ სახეს:

$Ax + By + Cz + D = 0$ ანალოგიურად. [3] განტოლებისათვის

$$\begin{aligned} & x_1x_2 - x_2^2 - x_1x + x_1x_2 + y_1y_2 - y_2^2 - y_1y + y_1y_2 + z_1z_2 - z_2^2 - z_1z + z_1z_2 = 0 \\ & x(a-l \cos \gamma \cos \vartheta) - (a-l \cos \gamma \cos \vartheta)^2 - xa + a(a-l \cos \gamma \cos \vartheta) + \\ & + y(b+r \sin \alpha + l \cos \gamma \sin \vartheta \cos \alpha) - (b+r \sin \alpha + l \cos \gamma \sin \vartheta \cos \alpha)^2 - \\ & - y(b+r \sin \alpha) + (b+r \sin \alpha)(b+r \sin \alpha + l \cos \gamma \sin \vartheta \cos \alpha) + \\ & + z(c+r \cos \alpha - l \sin \vartheta \sin \alpha \cos \gamma) - (c+r \cos \alpha - l \sin \vartheta \sin \alpha \cos \gamma)^2 - \\ & - (c+r \cos \alpha)z + (c+r \cos \alpha)(c+r \cos \alpha - l \sin \vartheta \sin \alpha \cos \gamma) = 0 \end{aligned}$$

თუ გავხსნით ფრჩხილებს და მოვახდენთ სათანადო გარდაქმნებს მივიღებთ:

$$\begin{aligned} & x \cos \vartheta - y \sin \vartheta \cos \alpha + z \sin \vartheta \sin \alpha + l \cos \gamma - a \cos \vartheta + \\ & + b \sin \vartheta \cos \alpha - c \sin \vartheta \sin \alpha = 0 \end{aligned}$$

თუ გავყოფთ $\cos \vartheta$ -ზე, მივიღებთ:

$$x - y \operatorname{tg} \vartheta \cos \alpha + z \operatorname{tg} \vartheta \sin \alpha + l \cos \gamma \sec \vartheta - a + b \operatorname{tg} \vartheta \cos \alpha - c \operatorname{tg} \vartheta \sin \alpha = 0$$

შემოვიღოთ შემდეგი აღნიშვნები

$$\operatorname{tg} \vartheta \cos \alpha = B_1 \quad \sin \alpha \operatorname{tg} \vartheta = c_1$$

$$\lambda \cos \gamma \sec \vartheta + b \operatorname{tg} \vartheta \cos \alpha - a - c \operatorname{tg} \vartheta \sin \alpha = D_1$$

მაშინ [3] განტოლება ჩაიწერება შემდეგი სახით

$$X - B_1y + C_1z + D_1 = 0$$

მივიღეთ შემდეგი 3 განტოლებათა სისტემა

$$\left. \begin{aligned} & X^2 + y^2 + Z^2 + R^2 \\ & Ax + By + Cz + D = 0 \\ & X - B_1y + C_1z + D_1 = 0 \end{aligned} \right\} \quad (4)$$

თუ ამ სისტემას ამოვხსნით ერთობლივად

$$X = B_1y - C_1z - D_1$$



ქართული
საბჭოთაო
აკადემია

$$y = \frac{(AC_1 - C)}{AB_1 + B} Z + \frac{AD_1 - D}{AB_1 + B}$$

$$Z^2 [(-CB_1 - C_1 B)^2 + (AC_1 - C)^2 + (AB_1 + B)^2] + 2[(-CB_1 + CB) + (AC_1 - C)(AD_1 - D)]Z + [(-B_1 D - BD_1)^2 + (AD_1 - D)^2 - R^2 (AB_1 + B)^2] = 0$$

თუ შესაბამისად $Z^2 Z$ კოეფიციენტებს და თავისუფალ წევრს აღვნიშნავთ P , Q და T -თი, უკანასკნელი განტოლება ჩაიწერება შემდეგი სახით

$$PZ^2 - 2QZ + T = 0$$

საიდანაც

$$Z = \frac{-Q \pm \sqrt{Q^2 - PT}}{P}$$

თუ ამოვხსნით Z -ის მნიშვნელობას და შევიტანთ ჯერ y -ის, ხოლო შემდეგ X -ის გამოსახულებაში მივიღებთ X ; Y ; Z კოორდინატებს მრუდმხარას მობრუნების α კუთხესთან კავშირში.

პრაქტიკაში უმეტესად გამოიყენება ისეთი მექანიზმები, როდესაც $\gamma = 90^\circ$, მაშინ [1] და [2] განტოლება რჩება უცვლელი, ხოლო [3] განტოლების კოეფიციენტები შეიცვლის სახეს.

$$B_1 = \cos \alpha$$

$$C_1 = \sin \alpha$$

$$D_1 = b \sin \alpha - c \sin \alpha - a$$

როდესაც $a=0$ $b=0$ $c=0$ და $\gamma=90^\circ$ ვიღებთ ბრტყელ მრუდმხარა მხრეულიან მექანიზმს, რომლისთვისაც

$$B = 2(b + r \sin \alpha); \quad c = r \cos \alpha; \quad D = 2b r \sin \alpha - b^2 - R^2 - r^2 + l^2;$$

მაშინ

$$y = \frac{-Q_1 \pm \sqrt{Q_1^2 - P_1 T_1}}{P_1}$$

$$Z = \frac{-By - D}{C}$$

სადაც

$$P_1 = C^2 + B^2 = 2b^2 + 2r^2 + 4br \sin \alpha$$

$$Q_1 = CD = r b \cos 2\alpha = rb^2 \cos \alpha - rR \cos \alpha - r^3 \cos \alpha - rb^2 \cos \alpha$$

$$T_1 = B^2 R^2 = 2b^2 R^2 + 4br R \sin \alpha + 2r^2 R^2 \sin \alpha$$

ვხედავთ B წერტილის X , Y , და Z კოორდინატები მისი სიჩქარისა და აჩქარების გაგება უკვე დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. საკმარისია ავადლოთ მათი პირველი და მეორე რიგის წარმოებულნი დროით.

КИНЕМАТИЧЕСКИЙ АНАЛИЗ ЧЕТЫРЕХЗВЕННОГО ПРОСТРАНСТВЕННОГО МЕХАНИЗМА (графический и аналитический методы)

Резюме

В статье исследован четырехзвенный пространственный механизм с двумя вращательными и двумя сферическими кинематическими парами графическим и аналитическим методами.

Для кинематического анализа графическим методом механизм представлен в двух плоскостях проекций следующим образом: плоскость вращения кривошипа устанавливаем параллельно фронтальной плоскости и проекции. Тогда окружность, которую описывает точка A кривошипа спроектируется в истинную величину (окружность) во фронтальной плоскости проекции и в прямую в горизонтальной плоскости проекции. Разделим окружность на несколько частей и найдем соответствующие положения точки B коромысла для каждой точки A . Для этого разберем геометрическое место точки B при ее движении. При отсоединении кинематической пары B , точка B с одной стороны может двигаться по окружности с центром A и радиусом AB , а с другой стороны описывать сферу с центром O_2 и радиусом O_2B . Значит точка B будет находиться на пересечении окружности с шаром. Для того, чтобы найти пересечение шара с окружностью на последней проводим проектирующую плоскость, которая пересекает шар по окружности. Совмещаем ее (плоскость) с горизонтальной плоскостью проекции. Точка B будет находиться на пересечении окружности, по которой она движется с окружностью, полученную сечением. Таким образом мы можем построить для нескольких положений точки A соответствующие положения точки B и определить, как положения ведомого звена, так и углы поворота его соответствующие углам поворота ведущего звена.

Аналитический расчет данного механизма проведен алгебраическим методом.

Для нахождения координат точки B коромысла X, Y, Z составляем три уравнения:

1—уравнение сферы с центром O_2 и радиусом $O_2B=R$

$$x^2 + y^2 + z^2 = R^2 \quad (1)$$

2—определяем расстояние l от точки A до точки B , которое все время постоянно для данного механизма

$$l^2 = (x - x_1)^2 + (y - y_1)^2 + (z - z_1)^2 \quad (2)$$

где X_1, Y_1, Z_1 —координаты точки A кривошипа

3—напишем уравнение плоскости перпендикулярной оси кинематической пары A , проходящую через точку D , которую в свою очередь получаем опуская перпендикуляр из точки B на ось кинематической пары A .

$$(x_2 - x_1)(x - x_1) + (y_2 - y_1)(y - y_1) + (z_2 - z_1)(z - z_1) = 0 \quad (3)$$

где $X_2 Y_2 Z_2$ координаты точки D .

Сопоставив в значения координат $x_1 y_1 z_1$ и $x_2 y_2 z_2$ и совместно решив уравнения (1), (2), и (3), получим значения координат $X Y Z$ точки B .

В статье рассматриваются также частные случаи, одним из которых является получение четырехзвенного плоского кривошипно-коромыслового механизма из данного пространственного механизма.

ს ა მ წ ა მ ბ უ ლ ი ლ ო ბ მ რ ა ბ უ რ ა

1. Артоболовский И. И.—Теория механизмов—1965 г.
2. ა. გ უ ლ ო ს ა მ უ ვ ე ლ ო — [შეზღველობითი გენერატორის კურსი.
3. Тавхе лиязе Д.—Вопросы кинематики и синтеза пространственных четырехзвенных механизмов с одной поступательной парой—Сборник докладов международной конференции по „механизмам и машинам“—Болгария, Варна 1965 г.
4. Егоров В. В.—Графический метод определения положения пространственных механизмов—Труды семинара по теории машин и механизмов, том VII, Москва, 1949 г.
5. D. Stündel—Die Darstellende Geometrie bei der Behandlung von Raumgetrieben



დოც. ა. ჯიგაძე

დახრის კუთხის გავლენა ნამჯის საბერტყის მუშაობაზე

საგამოცდო სადგურების მონაცემებისა და მრავალი გამოკვლევის საფუძველზე დასტურდება, რომ კომბაინის სასეპარაციო ორგანოებიდან ყველაზე მეტად დატვირთულია და მცირე პირობებში უხდება მუშაობა ნამჯის საბერტყს. ამიტომ კომბაინის სალეწი მოწყობილობის ძირითადი პარამეტრების შერჩევა და მათი კონსტრუქციული ზომების დადგენა ხდება ნამჯის საბერტყის ზომებისაგან დამოკიდებით.

ნამჯის საბერტყის მუშაობის ხარისხზე დამოკიდებული არა მარტო კომბაინის ძირითადი პარამეტრები, არამედ კომბაინის მიერ შესრულებული ტექნოლოგიური პროცესის ხარისხობრივი მაჩვენებლებიც, ვინაიდან მასზე შოდის სალეწი მოწყობილობის საერთო დანაჯარგების თითქმის 75%.

სხვადასხვა ტიპის ნამჯის საბერტყის მიერ შესრულებული ტექნოლოგიური პროცესი ერთიმეორესაგან განსხვავდება მხოლოდ მასზე მოთავსებული პროდუქციისათვის მოძრაობის მინაქების ხასიათითა და სივრცობრივი ნამჯის ფენის ცხრილის შექმნის წესით.

ნამჯის საბერტყის მუშაობის შესწავლისა და მისი თეორიის ამოცანას შეადგენს არა მარტო ცალკეული მარცვლის მოძრაობის ხასიათის დადგენა, არამედ იმ კანონზომიერებათა გამოცნობა, რომელსაც ადგილი აქვს ნამჯის საბერტყზე მოთავსებულ ფენაში მყოფი დიდი რაოდენობის მოძრავი მარცვლების გამოცხრილვის დროს.

ნამჯის საბერტყის მოძრაობისას მარცვლი უნდა გავიდეს ჯერ სივრცობრივი ცხრილის ნაჩვრეტებში, ხოლო შემდეგ ბრტყელი ცხრილის ნაჩვრეტებში. თითოეული ეს პროცესი მიმდინარეობს ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად. დაყოფის პროცესის (ნამჯიდან მარცვლის გამოყოფის პროცესი) ეფექტი მიიღება მხოლოდ მაშინ, როცა მარცვლი გავა ორივე სივრცობრივ და ბრტყელი ცხრილის ნაჩვრეტებში. აქედან გამომდინარე ნამჯის საბერტყის მუშაობაში ადგილი აქვს ცხრილებში მარცვლის გასვლის ალბათობათა გადამრავლების პრინციპს, როგორც ეს შემოღებულია მეცნიერებაში ლაპლასის მიერ. ამიტომ მარცვლის გამოცხრილვის ალბათობა ნამჯის საბერტყზე წარმოადგენს ნამჯის ფენაში (სივრცობრივ ცხრილში) და თვით ნამჯის საბერტყის ცხრილში (ბრტყელი ცხრილი) მარცვლის გამოცხრილვის ალბათობათა ნამრავლს.

მარცვლის გამოცხრილების ალბათობა ერთი სიბრტყისათვის ტოლია ალბათობათა ნამრავლის ak . ორ ერთმანეთის მიმდევრობერტყევაზე პერიოდში (t დროში) ნამჯის ფენა, რომელიც მოაჩაობს $V_{სა.}$ გადაადგილდება $V_{სა.} t$ სიგრძეზე. შეფარდებითი გამოცხრილების ფენის ერთეულ გადაადგილებაზე კომბაინის საღეწი მოწყობილობის გამოსასვლელ ნაწილიაქენ ტოლი იქნება:

$$\mu = \frac{ak}{V_{სა.} \cdot t}$$

ეს სიდიდე წარმოადგენს სეპარაციის კოეფიციენტს და ხასიათდება განზომილებით 1/სმ, თუ $V_{სა.}$ განზომილებაა სმ/წამში.

მარცვლის გამოცხრილების პროცესია (ბერტყვის პროცესის) დიფერენციალურ განტოლებას შემდეგი სახე აქვს:

$$-\frac{dy}{dx} = \mu y, \quad y_0 = ae^{-\frac{ak}{V_{სა.} t} L}$$

- სადაც x არის ნამჯის საბერტყვე პროდუქციის მიერ გავლალი გზა სმ,
 y —მარცვლის რაოდენობა ნამჯის საბერტყვე,
 y_0 —მარცვლის რაოდენობა ნამჯის საბერტყვიდან გამოსულ ნამჯაში,
 a —მარცვლის მიწოდება ნამჯის საბერტყვე (კვ/წმ),
 L —ნამჯის საბერტყვის სიგრძე (სმ),
 μ —სეპარაციის კოეფიციენტი (1/სმ),
 e —ნატურალური ლოგარითმების ფუნქცია (ნებერის რიცხვი).

მარცვლის გამოცხრილებაზე ჩატარებული ექსპერიმენტული გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ ნამჯის ფენის სისქის სიდიდეს პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ნამჯის საბერტყვის მუშაობისათვის.

სეპარაციის კოეფიციენტი ნამჯის ფენის სისქისაგან დამოკიდებით იცვლება ტოლგვერდა ჰიპერბოლის კანონით:

$$\frac{\mu}{\mu'} = \frac{H_1}{H}$$

- სადაც μ არის სეპარაციის კოეფიციენტი ნამჯის ფენის, H სისქის დროს,
 μ' —სეპარაციის კოეფიციენტი ნამჯის ფენის H_1 სისქის დროს.
 სეპარაციის კოეფიციენტი ნამჯის საბერტყვიდან გამოსულ ნამჯაში დარჩენილი მარცვლების განტოლების ხარისხის მაჩვენებელში შედის. მიახლოებით შეიძლება მივიღოთ, რომ დანაკარგები (მარცვლის სახით) ცვალებადობს ნამჯის ფენის სისქის კვადრატის პროპორციულად.

ნამჯის საბერტყვეები მუშაობის პროცესში მეტად მგრძნობიარეა მათზე მოთავსებული ფენის სისქის მიმართ. ამას ადასტურებს შრავალი ექსპერიმენტული მონაცემი. ასე, მაგალითად, წამში 0,9—1,4 კვ-მდე დატვირთვის გაზრდით (ე. ი. 1,55-ჯერ) ნამჯის საბერტყვე დანაკარგები იზრდება 4,5—15,4%-მდე, ე. ი. 3,4-ჯერ.

გარდა ამისა, ნაშვის საბერტყის მუშაობაზე დიდ გავლენას ახდენს დროებითი გადატვირთვები, ანუ მიწოდების გრძივი უთანაბრობა. ამ საკითხის გასარკვევად, ნაშვის საბერტყის 1 გრძივ მ-ზე ნაშვა გავყავით მარცვლის ფად. გამოირკვა რომ არათანაბარი დატვირთვის გამო მარცვლის ფადები იზრდება 6,0—11,8%-მდე, ანუ თითქმის 2-ჯერ.

ექსპერიმენტული მონაცემებით, ნაშვის საბერტყის მუშაობის ხარისხზე ძირითადად გავლენას ახდენს მასზე მოთავსებული ნაშვის ფენის სისქე, ვინაიდან მასში მარცვლის გაცხრილვის ალბათობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ნაშვის საბერტყის ზედაპირის ცხრილში მარცვლის გამოცხრილვის ალბათობა.

როგორც ცნობილია, ნახევრად პირდაპირი მიწოდების კომბაინებში საღებო მოწყობილობის სასებარაციო ორგანოების სიგანეზე დატვირთვა თანაბარი არაა თარაზულ ნაკვეთზე კომბაინის მუშაობის დროსაც კი. როგორც ჩანს, არათანაბარ დატვირთვას ადგილი აქვს განსაკუთრებით ნაშვის ტრანსპორტიორის მუშაობაში. როგორც მარცვლის, ასევე ნახორის გამოსავლიანობა მარცხენა ნაწილში მეტია, ვიდრე მარჯვენაში. ეს გარემოება გამოწვეულია საღებო აპარატზე მასის არათანაბარი მიწოდებით. საღებო აპარატზე მიწოდების განივი უთანაბრობა 30%-ს აღწევს.

ფერდობებზე მუშაობის შემთხვევაში საღებო აპარატზე იცვლება მიწოდების როგორც განივი, ასევე გრძივი უთანაბრობა, რაც განაპირობებს ნაშვის საბერტყზე მასის მიწოდების უთანაბრობასაც. ასე, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც კომბაინი მუშაობს ფერდობზე სამკალი ნაწილით ზევით, იზრდება მიწოდების განივი უთანაბრობა, ხოლო ფერდობზე მუშაობისას, როდესაც სამკალი ნაწილი მოთავსებულია ქვემოთ, ადგილი აქვს გრძივი მიწოდების უთანაბრობის ზრდას. ორივე შემთხვევაში ნაშვის საბერტყზე მიწოდებული მასა არათანაბრადაა განაწილებული როგორც განივ, ასევე გრძივ მიმართულებაში, რაც იწვევს სიგრცობრივი ცხრილის სისქის გადიდებას, ანუ მარცვლის გამოცხრილვის ალბათობის შემცირებას (დანაკარგის საგრძნობლად ზრდას).

ასეთი მდგომარეობა გაპირობებულია აგრეთვე იმ გარემოებით, რომ ფერდობზე მუშაობის დროს, სამკალი ნაწილი გადახრილია რა შვეული მდგომარეობიდან, ადგილი აქვს ნაშვის (გასაღებო მასის) დაკურებას დახრილობის მიმართულებით, ანუ ნაშვის ფენის სისქის ზრდას.

ჩვენ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტებით დადასტურებულია, რომ დანაკარგები ნაშვის საბერტყში საგრძნობლად იზრდება უკანასკნელის დახრის კუთხის გადიდებასთან ერთად. ძირითადი მიზეზი ნაშვის საბერტყიდან მარცვლის დანაკარგისა უნდა ვეძიოთ მიწოდების განივი უთანაბრობის ზრდაში.

ამრიგად, ნაშვის საბერტყის ნორმალური მუშაობისათვის მისი დახრის კუთხე არ უნდა აღემატებოდეს 2—3°-ს, ხოლო მიწოდებული მასის განივი და გრძივი უთანაბრობა—3—5%-ს.



ВЛИЯНИЕ УГЛА СКЛОНА НА РАБОТУ СОЛОМОТРАСА

Резюме

По данным испытательных станций, а также по ряду исследований видно, что из сепарирующих органов комбайна больше всего нагружен соломотряс, работа которого протекает в тяжелых условиях. Подбор основных параметров молотильного устройства комбайна и установление конструктивных размеров приходит в зависимость от размеров соломотряса. Так, например, у молотильного барабана (длина барабана равна ширине соломотряса) производительность в два раза больше по сравнению с нормальной нагрузкой соломотряса. Очистки комбайна, ширина которых равна ширине соломотряса, свободно обеспечивают проходимость — очистку массы, полученной от соломотряса.

От качества работы соломотряса, в основном, зависят не только основные параметры комбайна, но и качественные показатели технологических процессов, выполненных комбайном. Как подтверждают исследования, 75% от общих потерь, приходящих на молотильное устройство, падают на соломотряс.

Технологический процесс на разных типах соломотряса протекает почти одинаково. Отделение зерна (просеивание) в соломотрясе происходит следующим образом: сначала зерно просеивается через пространственное решето, которое создается слоем соломы, затем просеивание происходит с рабочих поверхностей решет соломотряса.

Технологические процессы, выполняемые соломотрясами разных типов отличаются друг от друга характером движения, сообщаемого продукту и созданием пространственного решета.

Задачу изучения работы соломотряса и его теорию составляет не только установление характера движения отдельных зерен, но и определение закономерностей, которые имеют место при просеивании большого количества движущихся зерен, помещенных на поверхности соломотряса.

Вероятность просеивания массы за одно встряхивание равна произведению вероятностей αk между двумя последовательными встряхиваниями (за время t) слой соломы, который движется со скоростью V_{cp} , перемещается на расстояние $V_{cp} t$, поэтому вероятность полного просеивания αk произойдет по длине $V_{cp} t$. Относительная вероятность просеивания, т. е. веро-

ятность просеивания за единицу перемещения слоя к выходу из молотилки комбайна будет равна:

$$\mu = \frac{ak}{V_{cp} t}.$$

Эта величина называется коэффициентом сепарации и имеет размерность 1/см, если V_{cp} измеряется см/сек. Дифференциальное уравнение процесса просеивания зерна имеет следующий вид:

$$-\frac{dy}{dx} = \mu y \quad y_{cp} = ae^{-\frac{ak}{V_{cp} t} x} L$$

где: x —путь, пройденный продуктом в соломотрясе (в см)

y —наличие зерна в соломотрясе;

y_{cp} —остаток зерна в соломе, сошедшей с соломотряса;

a —подача зерна в соломотряс (в кг/сек);

L —длина соломотряса (в см);

μ —коэффициент сепарации (1/см);

e —основание натурального логарифма (число Непера).

Экспериментальные исследования процесса просеивания показывают, что толщина слоя соломы имеет практическое значение для работы соломы изменяется по закону разнобокой гиперболы

$$\frac{\mu}{\mu'} = \frac{H_1}{H} \quad \text{где}$$

μ —коэффициент сепарации при толщине слоя H ;

μ' —коэффициент сепарации при толщине слоя H_1 .

Коэффициент сепарации входит в показатель степени в уравнении, определяющем остаток зерна в соломе за соломотрясом.

Приблизительно можно принять, что потери (в виде зерна) изменяются пропорционально квадрату толщины слоя на соломотрясе.

В процессе работы, соломотрясы очень чувствительны по отношению к толщине слоя соломы, находящейся в них. Это подтверждают многочисленные экспериментальные данные. Так, например, с увеличением нагрузки с 0,9 до 1,4 кг/сек. (т. е. в 1,55 раза) потери в соломотрясе растут с 4,5 до 15,45%, т. е. в 3,44 раза.

Кроме того, на работу соломотряса большое влияние оказывают вредные перегрузки, т. е. продольная неравномерность на одном метре соломотряса солома делалась на две части.

Оказалось, что (из-за неравномерной нагрузки) потери зерна уменьшились с 6,08 до 11,8 процента, т. е. почти в 2 раза.

Экспериментальные данные подтверждают, что на качество работы соломотряса, в основном, оказывает влияние слой соломы, помещенный на ней. Вероятность просеивания зерна через слой соломы значительно меньше, чем вероятность просеивания через решето поверхности соломотряса.

Как известно, поперечная нагрузка молотильного устройства и сепарирующего органов в полупрямоточных комбайнах неравномерна даже при работе комбайна на горизонтальном участке. Как известно, поперечная неравномерность подачи достигает 30%.

Эксперименты подтверждают, что для нормальной работы соломотряса продольные и поперечные неравномерности подаваемой массы не должны превышать 3—5%-ов. Наклон соломотряса не должен превышать 2—3°.

ბ. ბეჰანიშვილი

სიმინდის ამლეები „KXX-3“ მარკის კომპაინდის ტაროს მომწვევები კლანიტარული აპარატის ზომიერით პარამეტრის გამოკვლევა

როგორც ცნობილია, სიმინდის მოსავლის მექანიზებული წესით აღება შრომატევადი პროცესია, მისი მოვლა-მოყვანის სამუშაოებთან შედარებით. სიმინდის მანქანური წესით აღების ოპერაცია ვართულეობის იმითაა, რომ მისი შესრულების დროს საჭიროა აგროტექნიკური მოთხოვნების დაცვა, რომელიც ითვალისწინებს სიმინდის ტაროს მომწვევტი აპარატის მუშაობის შემდეგ ხარისხობრივ მაჩვენებლებს:

ა. უზრუნველყოს ფუჩიდან სიმინდის ტაროს გამოჩევა 95%-ით;

ბ. ტაროების მოწყვეტისას და გამოჩევის დროს გამოუზღვენილი სიმინდის მარცვლის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მარცვლის საერთო წონის 3%-ს;

გ. მოწყვეტისას გადამტვრეული და დაზიანებული ტაროების რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს ტაროების საერთო რაოდენობის 3%-ს;

ზემოთ აღნიშნული აგროტექნიკური მოთხოვნების გამო, დიდი ყურადღება ექცევა სიმინდის ამლეები მანქანების ძირითადი მუშა ორგანოების გაო-მკვლევას მათი გაუმჯობესების მიზნით.

უკანასკნელი 10—15 წლის მანძილზე შექმნილი სიმინდის ამლეები მანქანების ტაროს მომტეხი აპარატები, მუშაობის პრინციპის მიხედვით შეიძლება დაყოს სამ ჯგუფად:

1) აპარატები, რომლებიც მუშაობენ ტაროს ყუნწის გაქიმვით მოწყვეტაზე;

2) აპარატები რომლებიც მოკმედებენ ტაროს ყუნწის გადატეხვით მოწყვეტაზე.

3) აპარატები, რომლებიც მუშაობენ ტაროს ყუნწის რთული დეფორმაციით მოწყვეტაზე.





Fig. 1.

როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ შექმნილი სიმინდის ანდრეასის მანქანების ტაროს მომწყვეტი აპარატების კონსტრუქციული სქემების დაკავშირება შეიძლება შემდეგი თანმიმდევრობით (სურ. 1).

უკანასკნელ ხანს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი კონსტრუქტორი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის მანქანა-აპარატების კათედრის გამგის პროფ. ვ. დერევენკოს მიერ შექმნილია პლანეტარული ტიპის ტაროს მომწყვეტი აპარატის ახალი კონსტრუქციები (სურ. № 2.), რომლის მუშაობის პრინციპი მდგომარეობს ტაროს მოწყვეტის დროს მისი ყუნწის რთულ დეფორმაციაში, რასაც იწვევს ცვალებადი მიმართულების ძალების მოქმედება.

უკრაინის მანქანათა საგამოცდო სადგურის მიერ ჩატარებულმა შედეგებითა ცდებმა დაადასტურა აღნიშნული აპარატის უპირატესობა არსებულ სხვა აპარატებთან შედარებით. ცდები ტარდებოდა სერიული წარმოების „YKC-2,6“ და „KKX-3“ კომბინებზე, რომლებზეც დამონტაჟებული იყო პლანეტარული ტიპის აპარატები. გამოირკვა, რომ „KKX-3“ მარკის კომბინის უკეთესად აგროტექნიკური მაჩვენებლები აქვს, ვიდრე „YKCK-2,6“ მარკის კომბინის. ასე შეაღალითად, „KKX-3“ მარკის კომბინით აღებულ ტაროებზე გამოფხვნილი მარცვლის რაოდენობა შეადგენს 4%-ს, ხოლო „YKCK-2,6“ მარკის კომბინით აღებისას 10,9%-ს.



ნახ. 2.

ტაროს მომწყვეტი აპარატის შერჩევის დროს დიდი ყურადღება უნდა

მიექცეს სიმინდის ტაროსა და ღეროს დაზიანების საკითხს, რადგან ეს უკანასკნელი მჭიდროდაა დაკავშირებული პირუტყვისათვის ხარისხოვანი საკვების დამზადებასთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა აღმოსავლეთ საქართველოს პირობებისათვის პლანეტარული აპარატის მუშაობის ზოგიერთი საკითხი, როგორც თეორიული გამოკვლევების ისე ექსპერიმენტული მონაცემების საფუძველზე. კერძოდ, უნდა დავგვედგინა ერთდროლიანი ვერტიკალური აპარატის გლუვზედამბრინი დოლის დიამეტრის ოპტიმალური მნიშვნელობა ღრეჩო h -სა და a მანძილის სიდიდესთან დამოკიდებულებით (სურ. 2) სიმინდის ჩალისებრ ღეროს ფიზიკურ-მექანიკური თვისებებიდან გამომდინარე. ცდებს ვატარებთ სპეციალურ სტენდზე (სურ. 3.), რომელზეც მოწყობილია პლანეტარული აპარატის ერთი მუშა ლილვავი (3) და გლუვი დოლი (2), სტენდზე შესაძლებელია ვცვალოთ: დოლის დიამეტრი, ღრეჩოს სიდიდე h და a -ს სიდიდეს მნიშვნელობა. ვინაიდან პლანეტარული აპა-

რატის ლილვაკები დაკბილული ზედაპირისაა, უნდა განვსაზღვროთ თითოეულ კბილზე მოსული დატვირთვის სიდიდე, ზემოთ ჩამოთვლილ პარამეტრებთან დამოკიდებულებით რაც განაპირობებს ღეროზე ლილვაკის დაწოლის სიღრმეს, ღეროს გათრევისა და დაზიანების ხარისხს.

ვალცის (3) თითოეულ კბილზე მოსული დატვირთვის განსაზღვრისათვის ვალცზე გაკეთებულ სპეციალურ ღრმულში მოთავსებულა ფირფიტა, რომელზეც დაკრულია ელექტროტენზოგადამწოდები, ჩართული ნახევრად ბოჯირული სქემით. ამ შემთხვევაში ვალცის კბილის კონსტრუქცია განხორციელებულია ისე, რომ დატვირთვის დროს იგი აწვება ტენზოფირფიტას, საიდანაც მიღებული ელექტროსიგნალის სათანადო გაძლიერების შემდეგ,




ნახ. 3.



ნახ. 4.

ოსცილოგრაფის ლენტზე ჩაიწერება ვალცის კბილის დატვირთვის სიდიდე (სურ. 4.). ტარირების შედეგად, (სურ. 5.) ვიცით რა დამოკიდებულებაა ვალცის კბილის დატვირთვის სიდიდესა და ოსცილოგრაფის ათინათის H -ის გადახრას შორის (სურ. 6.), ადვილად ვსაზღვრავთ ვალცის კბილზე მოსულ დატვირთვის, ზემოჩამოთვლილი პარამეტრების სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის.



ნახ. 5.

მღებიც განსაზღვრავენ ღეროს a_c შეკუმშვასა და აღდგენის a_1 კუთხეებს.

$$a_c = \arccos \frac{D-d_H+h}{D}$$


$$\alpha_b = \arccos \frac{D - d_H + h}{D} \text{ ან } \alpha_b = \alpha_c \frac{l_b}{l_c}$$



ასეთ შემთხვევაში ღეროს დიამეტრი ვალცებში ვალცის დიამეტრიდან უფრო დიდია, როცა $d_c = D + h - D \cos \alpha_b$ ხოლო ღეროს აღდგენის დიამეტრი ღრეჩოს სიდიდესთან დამოკიდებით განისაზღვრება ფორმულით:

$$\gamma = \frac{d_c}{d_{\text{სფ.}}} \quad (2)$$


სიმინდის ჯიშ ქართული კრუგისათვის ჩატარებული ცდის შედეგები მოცემულია მე-8 ნახ.ზე, როცა გლუვ დოლსა და ვალცს შორის ღრეჩოს h -ის მნიშვნელობა იცვლებოდა 20 მმ-ის ზღვრებში, გლუვი დოლის დიამეტრის



ნახ. 6.

მნიშვნელობა D კი შეადგენდა 140, 170, 200 მმ-ს. ცდა ტარდებოდა ღრეჩო h -ისა და D -ის ყველა მოცემული სიდიდის ვარიანტისათვის, როცა $a=0$; $a=5$; $a=10$; და $a=15$ მმ-ს. ოპტიმალური პარამეტრების დადგენისათვის ცდის ჩატარების პროცესში სიმინდის ღეროს საშუალო დიამეტრი მუდმივ სიდიდეს წარმოადგენს და ტოლია 22 მმ-ისა.

მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ იმ შემთხვევაში, როცა $a=0$ (სურ. 8 ა) გლუვზედაპირიანი დოლის დიამეტრის ზრდით ღეროზე მოსული ვალცის კბილის დაწოლის ძალა, მოცემული




ნახ. 7.

ლი ღრეჩოს h სიდიდისათვის მცირდება. a -ს მნიშვნელობის შემდგომი ზრდა იწვევს ღრეჩოზე მოსული ხვედრითი დაწოლის შემცირებას (სურ. 8 ბ, გ, დ). წარმოადგენილ დიაგრამებზე მოცემულია კანონზომიერებანი, რაც გაპირობებულია სხვადასხვა დიამეტრის გლუვზედაპირიანი დოლზე სიმინდის ღეროს შეხების ერთეული ფართიდან გამომდინარე. a -ს სიდიდის ზრდა, ღრეჩო h -ის გაზრდის პარალელურად, იწვევს სიმინდის ღეროს დეფორმაციის შემცირებას a და h -ის ვარკვეული მნიშვნელობის შემდეგ (სურ. 8 დ) სიმინდის ღეროს გათრევა ვალცების მიერ უარესდება, გლუვზედაპირიანი ვალცის დიამეტრის შემცირებასთან ერთად.

ამ თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ, ჩატარებული ცდების შედეგების მიხედვით პლანეტარული აპარატის ყველაზე ოპტიმალურ სიდიდედ უნდა მივიჩნიოთ, როცა გლუვზედაპირიანი დოლის დიამეტრი $D=170$ მმ; $a=10$ სმ და ღრეჩო $h=10$ მმ-ს (სურ. 8 გ), სიმინდის ღეროს სიმკვრივე კი დამოკიდებულია მის დიამეტრსა და ჯიშზე. ჩატარებული ცდების შედეგების საფუ-

ბელზე სიმინდის ჯიშ ქართული კრუგის ასაღებად პლანეტარული აპარატის მუშა ნაწილის გლუვზედაპირიანი დოლის ოპტიმალური დიამეტრი შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ფორმულით:

$$EJ = Bd - A \quad (3)$$




ნახ. 8.

სადაც EJ არის სიმინდის ღეროს სიმკვრივე (კგ/სმ³);
 d —დიამეტრი;
 AB —მუდმივი მნიშვნელობის კოეფიციენტები.

ჩვენს შემთხვევაში $A=970$; $B=2245$; როცა სიმინდის ტაროს სიმაღლე მეორე ფაზაშია და მისი ღეროების ტენიანობა 80–82% ს შეადგენს.

სიმინდის ღეროს სიმკვრივე შემოთ აღნიშნული ჯიშისათვის, განსაზღვრული იქნა აგრეთვე მისი დიამეტრის მიხედვით, რომელიც გამოისახება: $EJ=3845$,

$d=3520$. დადგენილია რომ რაც უფრო მატულობს უნწის დიამეტრი მით უფრო იზრდება მასი სიმკვრივე. ასე მაგალითად, ჩვენ მიერ აღებული სიმინდის ჯიშის ტაროს უნწის სიმკვრივე ტოლია 1200 კგ/სმ³, ხოლო 2 სმ ის სისქის შემთხვევაში იგი 3500 კგ/სმ³ აღწევს, სიმინდის ჯიშ მინეზოტა 13 ის ტაროს უნწის 1 სმ სისქის ღეროს სიმკვრივე კი ტოლია 1250 კგ/სმ³, ხოლო კრასნოდარ — 5-ისა — 1350 კგ/სმ³.



ნახ. 9.

ამრიგად, ლაბორატორიულ პირობებში დავადგინეთ პლანეტარული აპარატის ზოგითი პარამეტრის მნიშვნელობა და მათი გავლენა ღეროს ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებზე. ვინაიდან ჩვენ განვიხილეთ პლანეტარული აპარატის მხოლოდ ერთი წყვილი 21. შრიფტი, ტ. LXXVI—LXXVII, 62.



ვალცის მუშაობა, ხოლო ფაქტიურად აღნიშნული ტიპის აპარატის მუშაობის რაოდენობა იცვლება ექვსისა და ცხრის ფარგლებში, ამიტომ უნდა შეწყვეტილია სიდიდეები α -ნიხილულია (ნახ. 9) ε და a მნიშვნელობებით.

ანალიზურად აღნიშნული სიდიდეები გამოითვლება:

$$\varepsilon = r_2 \left[\cos \left(\frac{\alpha}{2} \omega_2 t \right) - \cos \frac{\alpha}{2} \right] \quad (4)$$

სადაც r_2 არის ვალცის ბრუნვის რადიუსი:

a — ვალცებს შორის კუთხე, რომელიც დამოკიდებულია ვალცების რაოდენობაზე და განისაზღვრება ფორმულით:

$$\alpha = \frac{360^\circ}{n}$$

სადაც n არის ვალცების რაოდენობა;

ω_2 — პლანეტარული დოლის კუთხური სიჩქარე.

t — დრო;

ამრიგად, ფორმულა (4) საშუალებას იძლევა განესაზღვროთ ε -ის მნიშვნელობა დროის ყველა მონაკვეთისათვის.

$$\varepsilon_{max} = r_2 \left(1 - \cos \frac{\alpha}{2} \right) \quad (5)$$

ხოლო ε — მოცემული მნიშვნელობისათვის a — შეიძლება გამოითვალოს ფორმულით:

$$a = r_2 \sin \left(\frac{\alpha}{2} - \omega_2 t \right) \quad (5)$$

ფორმულა (6) ზოგადია და a_{max} -ისათვის იღებს შემდეგ სახეს:

$$a_{max} = r_2 \sin \frac{\alpha}{2} \text{ და } \varepsilon = 0,$$

როცა $a_{max} = 0$, მაშინ ε მნიშვნელობა მაქსიმალურია, ე. ი. როცა ვალცის ცენტრი მდებარეობს 0,02 ლერძის საზღვ.

ლაბორატორიული ცდებით განსაზღვრული პლანეტარული აპარატის ზოგიერთი პარამეტრი შევამოწმეთ საეელე პირობებში „KKX-3“ მარკის კომბაინზე და გამოირკვა, რომ ასეთ შემთხვევაში გაუმჯობესდა პლანეტარული აპარატის მუშაუნარიანობა, რაც გამოიხატება სიმინდის ტაროს და დეროს ნაკლებად დაზიანებაში. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია დადგენილი პარამეტრების რეკომენდაცია ტაროს მომწყვეტი პლანეტარული აპარატების დაგვემარბისას.



პროფ. ა. კვიციანი

რიგთშორისებში ნიადაგის დამუშავების სიხუსტის განსაზღვრის სტატისტიკური მეთოდი

ვენახის რიგთშორისებში ნიადაგის დამუშავების სიხუსტე განისაზღვრება დამუშავებელი დამცველი ზოლის სიგანის მიხედვით, რაც უფრო ვიწროა დამცველი ზოლი, მით უფრო მაღალია რიგთშორისების დამუშავების სიხუსტე. დამცველი ზოლის სიგანის შემცირებით იზრდება მცენარის დაზიანებისა და მოჭრის პროცენტი, ამიტომ საჭიროა დავადგინოთ დამცველი ზოლის სიგანის ისეთი დასაშვები მნიშვნელობა, რომლის დროსაც მცენარის დაზიანება პრაქტიკულად ტოლია ნულის.

მეორე მხრივ, საჭიროა დავადგინოთ დამოკიდებულება ტექნოლოგიურ დაშვებასა და დამუშავების სიხუსტეს შორის, რადგან მათი შეუსაბამობა გამოიწვევს მცენარის დაზიანებას.

ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ მცენარის დაზიანების პროცენტის დადგენის სტატისტიკურ მეთოდს და ტექნოლოგიური დაშვებისა და სიხუსტის თანაფარდობის საკითხს.

1. სტატისტიკური მახასიათებლების \bar{X} და S -ის განსაზღვრა სტრატეგიული აზრებით მართვის დროს მცენარის მოხრის გამოსავლინებლად

რიგთშორისების დამუშავებისას მცენარის მოჭრის პროცენტის დასადგენად აუცილებელია შემთხვევითი სიდიდის— x_i -ის ემპირული მნიშვნელობის მიხედვით განისაზღვროს საშუალო მნიშვნელობის \bar{X} -ისა და საშუალოკვადრატული გადახრის— S -ის სტატისტიკური (რიცხვითი) მახასიათებლები.

საშუალო მნიშვნელობას განვსაზღვრავთ პირველი საწყისი მომენტის მიხედვით:

$$\bar{X} = a + cV_1 = 0,83 + 2,02 \cdot 0,272 = 0,83 + 0,00544 = 835 \text{ მ.}$$

ხოლო საშუალო-კვადრატულ გადახრას დისპერსიიდან, ანუ მეორე ცენტრალური მომენტიდან

$$S = s = c\sqrt{m_2} = 0,02 \sqrt{7,401} = 0,054 \text{ მ.}$$



ჩვენს მონაცემებს შებენით [3] ვენახის რიგთშორისების დამუშავებისას ზომათა გადახრის განაწილება ხდება ნორმალური განაწილების ნორმალური განაწილების ფუნქციის გამოსათვლელად ლაპლასის, ანუ ალბათობათა ინტეგრალს

$$\Phi(t) = \frac{1}{\sqrt{2\pi}} \int_0^t e^{-\frac{t^2}{2}} dt = \int_0^t \varphi(t) dt,$$

ფუნქციის გახსნისათვის ვსარგებლობთ კუტაის [2] შრომაში მოცემული ცხრილებით.

ლაპლასის ფუნქციის საშუალებით ალბათობა ($x_1 < x < x_2$) შეიძლება დაიფიქსიროს უფრო მარტივ სახეშიდე ე. ი.

$$\begin{aligned} \text{ალბ } (x_1 < x < x_2) &= \frac{1}{\sqrt{2\pi}} \int_{\frac{x_1 - \bar{x}_0}{\sigma}}^{\frac{x_2 - \bar{x}_0}{\sigma}} e^{-\frac{t^2}{2}} dt = \\ &= \frac{1}{\sqrt{2\pi}} \int_0^{\frac{x_2 - \bar{x}_0}{\sigma}} e^{-\frac{t^2}{2}} dt - \frac{1}{\sqrt{2\pi}} \int_0^{\frac{x_1 - \bar{x}_0}{\sigma}} e^{-\frac{t^2}{2}} dt = \\ &= \Phi\left(\frac{x_2 - \bar{x}_0}{\sigma}\right) - \Phi\left(\frac{x_1 - \bar{x}_0}{\sigma}\right). \end{aligned}$$

სტატისტიკური მრუდებისათვის პარამეტრების \bar{x}_0 და σ ნაცვლად ჩავსვამთ მათ სტატისტიკურ ანალოგებს \bar{X} და S .

ლაპლასის ინტეგრალის მნიშვნელობიდან გამომდინარეობს, რომ

$$\text{ალბ } [(x - \bar{x}_0) < t\sigma] = 2\Phi(t) - \Phi_1(t),$$

ე. ი. $\Phi(t)$ ცხრილის მნიშვნელობა $\Phi_1(t)$ -ს მისაღებად ორკვედება.

ვენახის რიგთშორისების დამუშავების დროს, თუ სატრაქტორო აგრეგატს ვმართავთ ხელით, დამცავი ზოლის სივანედ საშუალოდ ვიღებთ $2\bar{x} \approx 60$ სმ. ამ შემთხვევაში დამუშავების დაშვება აიღება $\bar{x} \approx 30$ სმ.

საშუალო-კვადრატული გადახრა ტოლია (3) $S = 4,32$ სმ, რიგთშორისების საშუალო ზომა $\bar{X} = 0,856$ მ. დაეფუძვით, რომ ის ემთხვევა დაშვების ველის შუა ხაზს. საჭიროა ვიპოვოთ იმ ზომათა რიცხვი, რომელიც აქარბებს დასაშვებ გადახრას და რომელიც იწვევს მცენარის მოჭრას ან დაზიანებას.

ლაპლასის ინტეგრალის თვისებებიდან გამომდინარეობს:

$$\text{ალბ } [(x - \bar{x}_0) < t\sigma] = \Phi(t)$$



თუ ჩავსვამთ t -ს მნიშვნელობას $t = \frac{x - \bar{x}_0}{\sigma}$ მოცემული განტოლება მი-
იღებს სახეს:

$$\text{აღბ } (x - \bar{x}_0) < \frac{x - \bar{x}_0}{\sigma}, \sigma = \Phi_1\left(\frac{x - \bar{x}_0}{\sigma}\right),$$

მაგრამ

$$x - \bar{x}_0 = \frac{\sigma}{2} = 15 \text{ სმ}$$

მაშინ

$$\text{აღბ } [(x - \bar{x}_0) < 30] = \Phi_1\left(\frac{15}{\sigma}\right)$$

თუ შევცვლით σ -ს S -ით, მივიღებთ,

$$\Phi_1\left(\frac{15}{4,32}\right) = \Phi_1(3,47)$$

ცხრილიდან [2] $\Phi(3,47) = 0,4997$ და ჭრის პირობით ზღვარს,
 $q = 1 - 2\Phi(3,47) = 1 - 0,9995 = 0,0005 = 0,05\%$

თუ საშუალო ამონაკერები $\bar{X} = 0,856$ მ არ ემთხვევა დაშვების ველის შუა ხაზს, რომელიც განისაზღვრება ზღვრული ზომებით $X_1 = 0,700$ მ და $X_2 = 1,00$ მ და σ ს შევცვლით S -ით და X_0 -ს \bar{X} -ით, მივიღებთ:

$$\text{აღბ } [0,700 < x_0 < 1,00] = \Phi\left(\frac{1,00 - 0,856}{0,432}\right) - \Phi\left(\frac{0,700 - 0,856}{0,432}\right) = 0,999$$

ამ შემთხვევაში ჭრის პირობით ნაწილი ტოლი იქნება $q = 1 - 0,999 = 0,001$ ანუ $q = 0,1\%$, რაც მეტია იმ შემთხვევაზე, როცა $X_0 = \bar{X}$ -ს.

გავზარდოთ რიგთშორისის დამუშავების სიზუსტე საწარმოო დაშვების ხარჯზე $n = 30$ სმ-დან $n = 25$ სმ-მდე, მაშინ $\frac{\delta}{2} = x_0 - \bar{x} = 12,5$ სმ.

$$\text{აღბ } [(x - \bar{x}_0) < 12,5] = \Phi_1\left(\frac{12,5}{S}\right),$$

$$\Phi_1\left|\frac{12,5}{4,32}\right| = \Phi(2,893)$$

ცხრილიდან [2] ეპოულობთ, რომ $\Phi(2,893) = 0,498$ და მოჭრის დაშვების ზღვარი $q = 1 - 0,996 = 0,004$, ანუ $0,4\%$, ე. ი. მოჭრის საშიშროება გაიზარდა 3-ჯერ.

გავზარდოთ რიგთშორისების დამუშავების სიზუსტე საწარმოო დაშვების შემცირების ანგარიშზე $n = 30$ სმ-დან $n = 20$ სმ მდე, ეს სიდიდე წარმოადგენს მცენარის დაზიანების ზონის სიზუსტეს, მაშინ

$$\frac{\delta}{2} = x - \bar{x}_0 = 10 \text{ სმ.}$$

$$\text{აღმ. } [(x - \bar{x}_0) < 10] = \Phi_1 \left(\frac{10}{S} \right)$$

$$\Phi_1 = \left(\frac{10}{4,32} \right) = \Phi_1(2,31)$$

ა. კუტიას [2] შრომაში ნოცემული ცხრილიდან ვპოულობთ $\Phi(2,31) = 0,4678$, ხოლო მცენარის დაზიანების ზღვარი ტოლი იქნება $q' = 1 - 2\Phi(2,31) = 1 - 0,9356 = 0,0644$. ანუ 2,1%-ს. მცენარის დაზიანების ეს პროცენტი წარმოადგენს ზღვარს და დაუშვებელია ვენახის რიგთშორისების დამუშავების დროს.

ამრიგად, მათემატიკური ვარაუდისა X_0 და საშუალო კვადრატული გადახრის σ -ს ემპირიული ანალოგები \bar{X} და S საშუალებას გვაძლევს დამკვეთი ზოლის სივანის მოცემული დაშვებისას, განვსაზღვროთ მცენარის დაზიანება ან კრა. ეს იმას ნიშნავს, რომ სატრაქტოო აგრეგატის ხელით მართვის შემთხვევაში კულტივატორის მოღებვის განი არ უნდა აღემატებოდეს 1,4 მ. ე. ი. დამკვეთა ზოლს მინიმალური სივანე უნდა უღრიდეს $2\sigma = 60$ სმ-ს.

2. პროცესის სიზუსტის σ საბაზისობა ტექნოლოგიურ დაშვებათაზე ხალხთა და აბსტრაქტური მართვის შემთხვევაში

რიგთშორისების დამუშავების ტექნოლოგიური პროცესის სიზუსტის ანალიზს ვაწარმოებთ მოცემულ სიზუსტესთან მიიქნევის შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით. რიგთშორისების დამუშავების სიზუსტის ანალიზი აგრეგატის ხელით და ავტომატური მართვის შემთხვევაში საშუალებას მოგვცემს განვარჩიების შედეგების მიხედვით (ტექნოლოგიური პროცესის ფაქტიური სიზუსტის გათვალისწინებით) დავადგინოთ დამუშავების დაშვების კვლავ რაციონალური სიდიდე.

პროცესის სიზუსტის შესაბამისობის განსაზღვრა მოცემული დაშვების ველის მიხედვით წარმოებს ზომათა გაფანტვის ცენტრის დაპირისპირებით საშუალო დაშვების ველთან და საშუალო კვადრატულ გადახრასთან, ან გაფანტვის ზღვრული პრაქტიკული ველისა დაშვების ველთან.

გაფანტვის ველის გადანაცვლება დაშვების ველის საშუალო მნიშვნელობიდან განისაზღვრება შემდეგი ფორმულის დახმარებით.

$$H = \bar{x}_x - \delta_0$$

სადაც \bar{x}_x არის საშუალო არითმეტიკული მნიშვნელობა

δ_0 — დამუშავების მოცემული დაშვება.

გაფანტვის ველის გადანაცვლების დასაშვებ გადახრათა ზღვრები განისაზღვრება დაშვების სიდიდისა და თვით პროცესის სიზუსტესთან დამოკიდებულებით.

ტექნოლოგიური პროცესისა და საჭირო სიზუსტის შესაბამისობის დასადგენად განვსაზღვროთ სიზუსტის კოეფიციენტი

$$h = \frac{2\delta}{2\sigma} = \frac{\delta}{\sigma}$$



სადაც \bar{z} არის დაშვების ველის ნახევარი.

γ — ზომათა გაფანტვის პრაქტიკული ზღვრული ველის ნახევარი, ტექნიკური განგარიშებებში $\pm \gamma > 0,99$)

გაფანტვის პრაქტიკული ზღვრული ველის 2γ -ს ნაკლებად განსაზღვროთ h სიდიდე. ამისათვის შეიძლება ვისარგებლოთ საშუალო კვადრატული გადახრით σ . γ -სა და σ -ს შორის აიხსნობს შემდეგი დამოკიდებულება:

$$\gamma = t\sigma = \frac{3\sigma}{k}$$

სადაც t არის ნორმალურ სფეროში ზომათა პონენს აღბათობა (გაუსის კანონისათვის $t=3$).

k — ფარდობითი გაფანტვის კოეფიციენტი.

ამ წინადადებით γ -ს მნიშვნელობას, მაშინ სიზუსტის კოეფიციენტი h მიიღებს სახეს:

$$h = \frac{\bar{z}}{t \cdot \sigma}$$

და

$$h = \frac{k \cdot \bar{z}}{3\sigma}$$

ამრიგად, სიზუსტის კოეფიციენტი განისაზღვრება დაჯგუფების ცენტრის მდგომარეობით და საშუალო კვადრატული გადახრით σ .

თუ $h=1$, მაშინ დამუშავების სიზუსტე შეესაბამება მოთხოვნილ სიზუსტეს, თუ $h > 1$, მაშინ დამუშავების სიზუსტე გადაჭარბებს მოთხოვნილს, თუ $h < 1$, მაშინ დამუშავების სიზუსტე არ არის საკმარისი ტექნოლოგიური პროცესის შესასრულებლად.

დავეშვათ, რომ $k_0=1,1$, $\sigma_0=9,4$ სმ, $\bar{z}=24$ სმ. მაშინ სიზუსტის კოეფიციენტი იქნება:

$$h = \frac{k_0 \cdot \bar{z}}{3\sigma_0} = \frac{1,1 \cdot 24}{3 \cdot 9,4} = 0,94.$$

პროცესის შესრულების სიზუსტე საკმარისი არ არის $h < 1$, ზომათა ერთობლიობიდან ნაწილი გამოვა დაშვების ველის ზღვრიდან.

შეცნარის მოჭრის საშუალო-სავარაუდო პროცენტი იანგარიშება ფორმულით:

$$q_{\text{საშ}} = 1 - \Phi\left(-\frac{\bar{z}}{\sigma_0}\right)$$

სადაც $\Phi(t)$ არის ლაპლასის ფუნქცია, რომელთა მნიშვნელობები მოყვანილია ცხრილში.

ჩვენი შემთხვევისათვის

$$t = \frac{0,015}{0,0432} = 3,47; \Phi(t) = 0,9997 \text{ და } q_{\text{საშ}} = 0,0005 \approx 0,05\%$$

ე. ი. მოჭრის შესაძლებლობა ტოლია 0,05%-ის.

დამუშავებაზე დიდი დაშვება გაპირობებულია ტექნოლოგიური პროცესის ხასიათით. აგრეგატის ხელით მართვისას არ შეიძლება შევამციროთ σ_0 ამიტომ რიგთშორისების დამუშავებისას იძულებული ვართ შევქმნათ $1/3 + 1/4$ დამუშავებული ფართობი.

σ_0 -ის შემცირება შეიძლება მიღწეული იქნას მხოლოდ სატრაქტორო აგრეგატის ავტომატური მართვის გზით. ამ დროს σ_0 მცირდება მაგალითად, სამჯერ, შესაბამისად დამუშავებაზე დაშვება იზრდება ორჯერ, ე. ი. $\sigma = 1,44$ სმ, $k_0 = 1,1$ და $b_0 = 5$ სმ. ამ შემთხვევაში

$$t = \frac{0,005}{0,0144} = 3,5; \quad \Phi(t) = 0,9999,$$

მაშინ $q \approx 0$, ე. ი. მცენარის მოჭრის პრაქტიკული შემთხვევა გამორიცხული იქნება და დამუშავებული დამცველი ზოლის ფართობი შემცირდება 2-3-ჯერ.

Проф. А. Г. КЕЧУАШВИЛИ

СТАТИСТИЧЕСКИЙ МЕТОД ОПРЕДЕЛЕНИЯ ТОЧНОСТИ ОБРАБОТКИ ПОЧВЫ В МЕЖДУРЯДЬЯХ

Резюме

Точность обработки почвы в междурядьях определяется в зависимости от ширины необработанной защитной полосы. Чем уже ширина защитной зоны тем выше точность, но с уменьшением ширины защитной зоны повышается процент повреждения и среза растений. Поэтому необходимо установить такую допустимую ширину защитной зоны при которой повреждаемость практический равна нулю.

С другой стороны необходимо установить зависимость между технологическим допуском и точностью обработки. Расхождение между этими величинами вызовет повреждение растений.

В статье рассматривается статистический метод установления процента повреждаемости растений и вопрос взаимоотношении технологического допуска и точности обработки.

Для установления процента среза кустов (при междурядной обработке) необходимо, по наблюдаемым значениям случайной величины x_i определить статистические (числовые) характеристики выборочного среднего значения X и выборочного среднеквадратического отклонения S

Выборочное среднее значение определяем по первому начальному моменту, а выборочное среднеквадратическое отклонение из дисперсии, т. е. из выборочного второго центрального момента.



Для статических кривых вместо параметров σ и x подставляем их статистические аналоги \bar{X} и S .

Для нахождения размеров превышающих допустимое вызывающие повреждение или срез куста пользуемся свойством интеграла Лапласа

$$\text{Вер. } [(x - \bar{x}_0) < t_0 \sigma] = \Phi(t)$$

и применяя таблицы значения функции Лапласа определяем условную долю среза для случаев когда среднее значение совпадает с серединой поля допуска и не совпадает с ней.

С увеличением точности или с уменьшением ширины защитной зоны устанавливаем закономерность увеличения процента среза.

Предлагаемый статистический метод дает возможность используя эмпирические аналоги \bar{X} и S математического ожидания X_0 и среднеквадратического отклонения σ при заданном допуске ширины защитной полосы, определить процент среза растения.

Установлено, что при ручном управлении тракторным агрегатом в междурядии виноградников минимальная ширина защитной зоны должна равняться $2\delta \approx 60$ см т. е. при двухметровом междурядии ширина захвата культиватора не должна превышать 1,4 м.

Анализ точности технологического процесса междурядной обработки производится для определения ее соответствия заданной точности. Анализ точности междурядной обработки, при ручном управлении агрегата, даст возможность по результатам расчетов, с учетом фактической точности технологического процесса, устанавливать наиболее рациональную величину допуска на обработку.

Определение соответствия точности процесса по заданному полю допуска производится путем сопоставления центра рассеивания размеров с серединой поля допуска и среднего квадратического отклонения, или предельного практического поля рассеивания с полем допуска.

Для установления соответствия технологического процесса с требуемой точностью, следует определить коэффициент точности h Коэффициент точности определяется положением центра группирования и среднеквадратичным отклонением σ .

Если $h=1$, то точность обработки соответствует требуемой точности, если же $h > 1,0$, тогда точность обработки будет превышать требуемую, если $h < 1,0$, тогда точность обработки недостаточна для выполнения технологического процесса. В совокупности размеров часть выйдет за пределы поля допуска и превзойдет срез куста.

В статье определены доля среза в результате несоответствия технологического допуска с точностью обработки при ручном и автоматическом управлении тракторных агрегатов в междурядии виноградников.



1. А. Г. Кечухашвили — Основные определения точности при междурядной обработке. «Сборник научных трудов научной сессии Закавказских Сельскохозяйственных ВУЗ-ов», стр. 379—392, Ереван, 1967 г.

2. А. Г. Кутай — Теория вероятностей и математическая статистика. «Приборостроение и средства автоматизации», Справочник, том I, стр. 84, Москва, 1963 г.

3. А. Г. Кечухашвили — Вероятностные расчеты технологического процесса обработки почвы в междурядьях. «Исследование обработки почвы в междурядьях виноградников и разработка технических средств для повышения точности процесса». Диссертация, стр. 244, Тбилиси, 1967 г.



ი. ბაზინდაშვილი

მცენარეულ სარეკლავო ნივთიერებებზე ტემპერატურის განსაზღვრა
 სიღრმის მიხედვით სითბური მუხარობის მუხარობის
 ცვლილების მემბრანულ რეგულირებაში

ნიადაგში სითბოს გაერთელება განისაზღვრება განტოლებით:

$$C(z) \frac{\partial T(z,t)}{\partial t} = \frac{\partial}{\partial z} \lambda(z) \frac{\partial T(z,t)}{\partial z}, \quad (1)$$

სადაც $T(z,t)$ არის ნიადაგის ტემპერატურა z სიღრმეზე და t მომენტში.

$C(z)$ და $\lambda(z)$ — ნიადაგის მოკულობითი სითბოტევადობა და სითბო-
 გამტარობის კოეფიციენტი, რაც სიღრმის მიხედვით
 იცვლება წრფივად.

$$\left. \begin{aligned} C(z) &= C_0(1-mz) \\ \lambda(z) &= \lambda_0(1-mz) \end{aligned} \right\} \quad (2)$$

z — კოორდინატი მიმართულია ზემოთ, ასე რომ ნიადაგისათვის $z < 0$.
 ნიადაგში (1) განტოლების ამოხსნის სასაზღვრო პირობებია:

ა) $T(z,t) = T_h$, როცა $z = -h$ (3)

ე. ი. მოცემულია რაიმე h სიღრმეზე ტემპერატურა, რომლის დღეღამური
 რხევები არ შეიგრძნობა.

ბ) ტემპერატურის უწყვეტობა ნიადაგის ზედაპირსა და ჰაერს შორის
 უსწორმასწორობის დონეზე:

$$\varphi(t) = T(z,t)|_{z=0} = T(z,t)|_{z=z_0}, \quad (4)$$

სადაც z_0 უსწორმასწორობის დონეა,

გ) დაცულია ბალანსის პირობა:

$$B(t) + P(t) + LE(t) = R(t), \quad (5)$$

სადაც $B(t)$ არის სითბური ნაკადი ნიადაგში,

$P(t)$ — სითბოს ტურბულენტური ნაკადი,

$LE(t)$ — ნაკადი, რომელიც აორთქლებაზე იხარჯება.

ვინაიდან როგორც ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურას, ასევე რადია-

ციულ ბალანსს და მის ელემენტებს გააჩნიათ დღეღამური სვლა, შალი გაზლა
შეიძლება ფურციეს მწკრივად:

ერქონულნი
ბინგლიქოთქქს

$$\varphi(t) = \varphi_0 + \sum_{j=1}^{\infty} (\varphi_j \cos \omega_j t + \bar{\varphi}_j \sin \omega_j t)$$

$$R(t) = r_0 + \sum_{j=1}^{\infty} (r_j \cos \omega_j t + \bar{r}_j \sin \omega_j t)$$

$$B(t) = b_0 + \sum_{j=1}^{\infty} (b_j \cos \omega_j t + \bar{b}_j \sin \omega_j t) \quad (6)$$

$$P(t) = P_0 + \sum_{j=1}^{\infty} (P_j \cos \omega_j t + \bar{P}_j \sin \omega_j t)$$

$$LE(t) = l_0 + \sum_{j=0}^{\infty} (l_j \cos \omega_j t + \bar{l}_j \sin \omega_j t)$$

სადაც ნულოვანი ინდექსებიანი წევრები წარმოადგენენ საშუალო დღეღამურ
სიდიდეებს და განისაზღვრებიან ინტეგრალით:

$$r_0 = \frac{1}{\tau^*} \int_0^{\tau^*} R(t) dt \quad (7)$$

(ასევე გვექნება b_0 , P_0 , φ_0 და l_0 -თვისაც).

$j = 1, 2, 3, \dots$ ახასიათებენ გადახრებს საშუალო დღეღამური მნიშვნელობე-
ბიდან და განისაზღვრებიან ტოლობებით (მაგალითად, r_j -თვის):

$$\left. \begin{aligned} r_j &= \frac{2}{\tau^*} \int_0^{\tau^*} R(t) \cos \omega_j t dt \\ \bar{r}_j &= \frac{2}{\tau^*} \int_0^{\tau^*} R(t) \sin \omega_j t dt \end{aligned} \right\} \quad (8)$$

იზისათვის, რომ განისაზღვროს ნიადაგის ტემპერატურა რაიმე სიღრმეზე
 $T(z, t)$, საჭიროა ვიცოდეთ:

1) რადიაციული ბალანსი ნიადაგის ზედაპირზე.



- 2) ნიადაგის ზედაპირის უსწორმასწორობა z_0 ,
 3) ნიადაგის სითბური მახასიათებლები,
 4) ნიადაგის ტემპერატურა რაიმე $z = -h$ სიღრმეზე.
 დროებით ჩავთვალოთ, რომ ცნობილია ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურა $\varphi(t)$, მაშინ (2) ის გათვალისწინებით (1) მიიღებს სახეს:

$$(1 - mz) \frac{\partial T(z, t)}{\partial t} = a^2 \frac{\partial}{\partial z} (1 - mz) \frac{\partial T(z, t)}{\partial z}, \quad (9)$$

სადაც $a^2 = \frac{\lambda_0}{C_0}$ წარმოადგენს ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურა-გამტარობის კოეფიციენტს. სასახლო პირობაა:

$$T(z, t) |_{z=0} = \varphi(t) \quad (10)$$

შემდეგ უნდა განისაზღვროს პაერის ტემპერატურის განაწილება, რისთვისაც საჭიროა განტოლების ამოხსნა;

$$\frac{\partial T(z, t)}{\partial t} = \frac{\partial}{\partial z} K_1 \left(\frac{z}{z_1} \right) \frac{\partial T(z, t)}{\partial z}, \quad (11)$$

სადაც K_1 არის ტურბულენტური გაცვლის კოეფიციენტი z_1 —რაიმე მოცემული სიმაღლე. სასახლო პირობებია.

$$\left. \begin{aligned} T(z, t) |_{z=z_0} &= \varphi(t) \\ T(z, t) |_{z=\infty} &\neq \infty \end{aligned} \right\} \quad (12)$$

ანალოგიური განტოლებები და სასახლო პირობები გვექნება სინოტივისათვისაც.

მას შეუძევ, რაც განისაზღვრება ნიადაგისა და პაერის ტემპერატურის პროფილი და პაერის სინოტივე, შეიძლება განისაზღვროს რადიაციული ბალანსის ელემენტები შემდეგი ფორმულებით:

$$\begin{aligned} B(t) &= \lambda(z) \frac{\partial T(z, t)}{\partial z} \Big|_{z=0} \\ P(t) &= -C_p \rho K(z) \frac{\partial T(z, t)}{\partial z} \Big|_{z=z_0} \end{aligned} \quad (13)$$

$$LE(t) = -L_e K(z) \frac{\partial q(z, t)}{\partial z} \Big|_{z=z_0}$$

სადაც C_p არის პაერის ხვედრითი სითბოტევადობა, ρ —მისი სიმკვრივე.

L_e —აორთქლების ხვედრითი სითბო,

$\frac{dq}{dz}$ და $\frac{dT}{dz}$ —სინოტივისა და ტემპერატურის გრადიენტები.

ეს სიდიდეები დამოკიდებულია ნიადაგის ზედაპირის ტემპერატურაზე

ზანსაზღვრებში რა ნაპოვნ მნიშვნელობებს სითბური ბალანსის განტოლებაში (9) ვიპოვიეთ $\varphi(t)$ -ს $R(t)$ საშუალებით. შემდეგ კი შეგვიძლია ვიპოვიოთ რატიონალურად განაწილება როგორც ნიადაგში, ასევე ჰაერში. ემპირიკურად დასტურდება, რომ ნიადაგის ზედაპირზე, როცა ნიადაგის ზედაპირი მაღალ სითბურითაა, მაღალი ტემპებით ან სიხშირით, ისეთი სიხშირით, რომ ნიადაგის ზედაპირზე აღწევს მოკლე და გრძელტალღიანი რადიაცია, მაშინ იგი არაფრით არ განსხვავდება ზედაპირისაგან იმ შემთხვევაში თუ ვეძებთ ნიადაგის ტემპერატურას, რადგან აუცილებელია რადიაციული ბალანსის ცოდნა. გართულებები შეიძლება მოყვეს ჰაერის ტემპერატურის განსაზღვრას, რომელსაც აქ არ განვიხილავთ.

თუ (9) განტოლებაში შემოვიღებთ ახალ ცვლადს, $\eta = 1 - mz$, მოვახდენთ გადასვლას მასზე, გავშლით $T(\eta, t)$ -ს ფურიეს მწკრივად $T(\eta, t) =$

$$= T_0(\eta) + \sum_{j=1}^{\infty} (T_j \cos \omega_j t + \bar{T}_j \sin \omega_j t), \dots (14)$$

და ზანსაზღვრებში მათ ახალ განტოლებაში, გავითვალისწინებთ სასაზღვრო პირობების შეცვლას ცვლადის შეცვლასთან ერთად და გავუტოლებთ ერთნაირი \sin და \cos -ების კოეფიციენტებს მივიღებთ:

$$\frac{d}{d\eta} \eta \frac{dT_0(\eta)}{d\eta} = 0 \quad (15)$$

$$T_0(\eta) |_{\eta=1} = \varphi_0 \quad (16)$$

$$T(\eta) |_{\eta=h} = T_h \quad (17)$$

$$\left. \begin{aligned} a^2 m^2 \frac{d}{d\eta} \eta \frac{dT_j(\eta)}{d\eta} &= j\omega \eta \bar{T}_j(\eta) \\ a^2 m^2 \frac{d}{d\eta} \eta \frac{d\bar{T}_j(\eta)}{d\eta} &= -j\omega \eta T_j(\eta) \end{aligned} \right\} \quad (18)$$

$$\left. \begin{aligned} T_j(\eta) |_{\eta=1} &= \varphi_j \\ \bar{T}_j(\eta) |_{\eta=1} &= \bar{\varphi}_j \end{aligned} \right\} \quad (19)$$

$$\left. \begin{aligned} T_j(\eta) |_{\eta=\eta_h} &= 0 \\ \bar{T}_j(\eta) |_{\eta=\eta_h} &= 0 \end{aligned} \right\} \quad (20)$$

თუ აღვნიშნავთ:

$$Y_j(\eta) = T_j(\eta) + i \bar{T}_j(\eta) \quad (21)$$

$$\varphi_j = \varphi_j + i \bar{\varphi}_j \quad (22)$$

გაეამრავლებთ (18) (19) და (20) განტოლების ზედა ტოლობებს 1-ზე გვედგებს კი i -ზე, და შევკრებთ, მივიღებთ:

$$\frac{d^2 Y_j(\eta)}{d\eta^2} + \frac{1}{\eta} \frac{dY_j(\eta)}{d\eta} + \frac{j\omega}{a^2 m^2} Y_j(\eta) = 0 \quad (23)$$

$$Y_j(\eta) |_{\eta=1} = \theta_j$$

$$Y_j(\eta) |_{\eta=\eta_0} = 0$$

რომლის ამოხსნას აქვს სახე:

$$Y_j(\eta) = C_1 I_0(\eta \sqrt{-ij}) + C_2 K_0(\eta \sqrt{-ij}) \quad (26)$$

სადაც I_0 და K_0 წარმოადგენენ ბესელის სახეშეცვლილ პირველი და მეორე გვარის ნულეანი რიგის ფუნქციებს, წარმოსახვითი არგუმენტებით, $\eta = \frac{V \omega}{am}$ და C_1 და C_2 რაიმე მუდმივებია, რომლებიც განისაზღვრება სასაზღვრო პირობებით.

ამ მოქმედების შესრულებით და (26)-ში ჩასმით მივიღებთ:

$$Y_j(\eta) = \theta_j \frac{[I_0(\eta_0 \sqrt{-ij}) K_0(\eta \sqrt{-ij}) - K_0(\eta_0 \sqrt{-ij}) I_0(\eta \sqrt{-ij})]}{[I_0(\eta_0 \sqrt{-ij}) K_0(\eta \sqrt{-ij}) - K_0(\eta_0 \sqrt{-ij}) I_0(\eta \sqrt{-ij})]} \quad (27)$$

(27) უკვე წარმოადგენს ამოხსნის საბოლოო სახეს, მაგრამ მისგან გამოთვლების წარმოება ძნელია. ამიტომ საჭიროა მათი გამარტივება. რადგან ბესელის ფუნქციის არგუმენტები დიდი, შეიძლება გამოვიყენოთ ბესელის ფუნქციის მიახლოებითი მნიშვნელობანი,

$$\text{რადგან } \left| \frac{K_0(\eta_0 \sqrt{-ij})}{I_0(\eta_0 \sqrt{-ij})} \cdot \frac{I_0(\eta \sqrt{-ij})}{K_0(\eta \sqrt{-ij})} \right| \ll 1.$$

ამ უტოლობის გათვალისწინებით მივიღებთ:

$$Y_j(\eta) \approx \theta_j \frac{K_0(\eta \sqrt{-ij})}{K_0(\eta \sqrt{-ij})} \quad (28)$$

ვინაიდან, როცა $x \gg 1$

$$K_0(x) \approx \sqrt{\frac{\pi}{2x}} e^{-x} \left(1 - \frac{1}{8x} + \dots \right)$$

გვექნება:

$$Y_j(\eta) \approx \frac{\theta_j}{V \eta} e^{-\delta(\eta-1) \sqrt{-ij}} \left[\frac{1 - \frac{1}{8\eta \sqrt{-ij}}}{1 - \frac{1}{8\eta \sqrt{-ij}}} \right]$$

თუ დავუბრუნდებით Z -ს, გვექნება:

$$Y_j(z) \approx \frac{\theta_j}{V 1-mz} e^{-\frac{z \sqrt{-ij\omega}}{a}} \left[1 - \frac{am^2 z}{8(1-mz) \sqrt{-ij\omega}} \right] \quad (29)$$



$$A_j^* = A_j(z) + i\bar{A}_j(z) = \frac{1}{\sqrt{1-mz}} e^{\frac{z}{a} \sqrt{-ij\omega}} \left[1 - \frac{z}{a} \sqrt{-ij\omega} \right]$$

მივიღებთ:

$$Y_j(z) = \theta_j A_j^*(z) \quad (30)$$

სადაც $A_j(z)$ და $\bar{A}_j(z)$ ნამდვილი და წარმოსახვითი ნაწილებია $A_j^*(z)$ ფუნქციისა აღნიშნით აგრეთვე:

$$\left. \begin{aligned} -\frac{z}{a} \sqrt{\frac{\omega}{2}} = x_z \\ \frac{am^2 z}{8(1-mz) \sqrt{2\omega}} = x_z \end{aligned} \right\} \quad (31)$$

$A_j^*(z)$ -თვის მივიღებთ

$$A_j(z) = \frac{1}{\sqrt{1-mz}} e^{-x_z \sqrt{j}} \left[\cos x_z \sqrt{j} + i \sin x_z \sqrt{j} \right] \left[1 + \frac{x_z}{\sqrt{j}} + i \frac{x_z}{\sqrt{j}} \right] \quad (32)$$

ხოლო წარმოსახვითი და ნამდვილი ნაწილები კი იქნება:

$$\left. \begin{aligned} A_j(z) &= \frac{1}{\sqrt{1-mz}} e^{-x_z \sqrt{j}} \left[\left(1 + \frac{x_z}{\sqrt{j}} \right) \cos x_z \sqrt{j} - \frac{x_z}{\sqrt{j}} \sin x_z \sqrt{j} \right] \\ \bar{A}_j(z) &= \frac{1}{\sqrt{1-mz}} e^{-x_z \sqrt{j}} \left[\left(1 + \frac{x_z}{\sqrt{j}} \right) \sin x_z \sqrt{j} + \frac{x_z}{\sqrt{j}} \cos x_z \sqrt{j} \right] \end{aligned} \right\} \quad (33)$$

ჩავსვათ (33) (30) ში და გავითვალისწინოთ (21) და (22), მივიღებთ:

$$\left. \begin{aligned} T_j(z) &= \varphi_j A_j(z) - \bar{\varphi}_j \bar{A}_j(z) \\ \bar{T}_j(z) &= \varphi_j \bar{A}_j(z) - \bar{\varphi}_j A_j(z) \end{aligned} \right\} \quad (34)$$

ამ ტოლობებით გამოიანგარიშება $T(z, t)$ ს ფურცის კოეფიციენტები $T_j(z)$ და $\bar{T}_j(z)$, რაც შეეხება $T_0(z)$ ს, იგი უნდა ვიპოვოთ (15) განტოლების ამოხსნით (16) და (17) სასასღვრო პირობებით:

$$\eta \frac{dT_0(\eta)}{d\eta} = C_1,$$

საიდანაც ვღებულობთ:

$$T_0(z) = \varphi_0 - (\varphi_0 - T_h) \frac{\ln(1-mz)}{\ln(1+mz)} \quad (35)$$

მაშასადამე:

$$T(z, t) = T_0(z) + \sum_{j=1}^{\infty} [T_j(z) \cos \omega_j t + \bar{T}_j \sin \omega_j t]$$



წარმოადგენს საძიებელ ამოხსნას, რომლის ფორმის კოეფიციენტები T_0 , T_j , \bar{T}_j მოიცემა (33) (34) და (35) ფორმულებით.

აღსანიშნავია, რომ იმ კერძო შემთხვევისათვის, როდესაც $m = 0$, ე. ი. სითბური მახასიათებლები სიღრმის მიხედვით არ იცვლებიან: $C(z) = C_0$ და $\lambda(z) = \lambda_0$, რადგან ამ დროს $\chi = 0$, მივიღებთ:

$$A_j(z) = e^{-x_z \sqrt{j}} \cos x_z \sqrt{j}$$

$$\bar{A}_j(z) = e^{-x_z \sqrt{j}} \sin x_z \sqrt{j}$$

$$T_0 = \varphi_0 - (\varphi_0 - T_h) \frac{z}{h}$$

და დაგვრჩება ცნობილი ფორმულა

$$T(z, t) = T_0(z) + \sum_{j=1}^{\infty} e^{-\frac{z}{a} \sqrt{\frac{\omega_j}{2}}} \left[\varphi_j \cos \left(\omega_j t + \frac{z}{a} \sqrt{\frac{\omega_j}{2}} \right) + \bar{\varphi}_j \sin \left(\omega_j t + \frac{z}{a} \sqrt{\frac{\omega_j}{2}} \right) \right]$$

ГАПРИНДАШВИЛИ И. С.

ОПРЕДЕЛЕНИЕ ТЕМПЕРАТУРЫ ПОЧВЫ ПОД РАСТИТЕЛЬНЫМ ПОКРОВОМ ПРИ УЧЕТЕ ИЗМЕНЕНИЯ ТЕПЛОФИЗИЧЕСКИХ ХАРАКТЕРИСТИК ПО ГЛУБИНЕ

Резюме

Решается дифференциальное уравнение теплопроводности, когда $C(z)$ и $\lambda(z)$ являются линейными функциями глубины, при граничных условиях:

- 1) Задана температура почвы на некоторой глубине, где не ощущаются суточные колебания температуры;
- 2) Температура непрерывна между почвой и воздухом на уровне шероховатости;
- 3) Защищено условие баланса.

Решением задачи является ряд Фурье

$$T(z, t) = T_0(z) + \sum_{j=1}^{\infty} \left[T_j(z) \cos \omega_j t + \bar{T}_j \sin \omega_j t \right]$$

где $T_0(z)$, т. е. среднесуточная температура почвы по глубине имеет значение:

$$T_0(z) = \varphi_0 - (\varphi_0 - T_h) \frac{l_n(1 - mz)}{l_n(1 + mz)}$$

а коэффициенты Фурье определяются формулами:

$$T_j(z) = \varphi_j A_j(z) - \bar{\varphi}_j \bar{A}_j(z)$$

$$\bar{T}_j(z) = \varphi_j \bar{A}_j(z) + \bar{\varphi}_j A_j(z)$$

где обозначено:

$$\bar{A}_j(z) = \frac{1}{\sqrt{1 - mz}} e^{x_2 \sqrt{j}} \left[\left(1 + \frac{x_2}{\sqrt{j}} \right) \cos x_2 \sqrt{j} - \frac{x_2}{\sqrt{j}} \sin x_2 \sqrt{j} \right]$$

$$\bar{A}_j(z) = \frac{1}{\sqrt{1 - mz}} e^{-x_2 \sqrt{j}} \left[\left(1 + \frac{x_2}{\sqrt{j}} \right) \sin x_2 \sqrt{j} + \frac{x_2}{\sqrt{j}} \cos x_2 \sqrt{j} \right]$$

$$x_2 = -\frac{z}{a} \sqrt{\frac{\omega}{2}}$$

и где:

$$x_2 = -\frac{am^2 z}{\delta(1 - mz) \sqrt{2\omega}}$$

φ_j и $\bar{\varphi}_j$ представляют коэффициенты Фурье от температуры поверхности почвы, которые найдутся из условий теплового баланса.

При постоянных теплофизических характеристиках почвы, т. е. при $m = 0$ получается известное решение

$$T(z, t) = T_0(z) + \sum_{j=1}^{\infty} e^{-\frac{z}{a} \sqrt{\frac{\omega_j}{2}}} \left[\varphi_j \cos \left(\omega_j t + \frac{z}{a} \sqrt{\frac{\omega_j}{2}} \right) + \bar{\varphi}_j \sin \left(\omega_j t + \frac{z}{a} \sqrt{\frac{\omega_j}{2}} \right) \right]$$

где: $T_0(z) = \varphi_0 - (\varphi_0 - T_h) \frac{z}{h}$

Вышеприведенное решение пригодно также для открытой местности



ა. ჯახუა

ორმაგი ტრიგონომეტრიული მწკრივის რიგანის მეთოდით
 შეჯამებულობის საკითხისათვის

ვთქვათ, მოცემულია ორმაგი ტრიგონომეტრიული მწკრივი:

$$\sum_{m,n=0}^{\infty} \lambda_{mn} A_{mn}(x, y), \quad (1)$$

სადაც

$$\lambda_{mn} = \begin{cases} \frac{1}{4}, & \text{როცა } m = n = 0, \\ \frac{1}{2}, & \text{როცა } m = 0, n > 0; n = 0, m > 0, \\ 1, & \text{როცა } m \geq 1, n \geq 1. \end{cases}$$

$$A_{mn}(x, y) = a_{m,n} \cos mx \cos ny + b_{m,n} \sin mx \cos ny + c_{m,n} \cos mx \sin ny + d_{m,n} \sin mx \sin ny.$$

ავიღოთ ნატურალური $p > 1$ და $q > 1$ რიცხვები და შევადგინოთ შემდეგი მწკრივები:

$$\sum_{m,n=0}^{\infty} \lambda_{m,n} A_{m,n}(x,y) \left(\frac{\sin mu}{mu}\right)^p \left(\frac{\sin nv}{nv}\right)^q, \quad (2)$$

$$\sum_{m,n=0}^{\infty} S_{m,n} A_{m,n}(x, y) \omega_m^p(u) \omega_n^q(v), \quad (3)$$

სადაც $S_{m,n}(x, y)$ (1) მწკრივის კერძო ჯამია, და


$$\omega_k^e(t) = \left(\frac{\sin kt}{kt}\right)^e - \left(\frac{\sin(k+1)t}{(k+1)t}\right)^e.$$

შემოვიღოთ შემდეგი განსაზღვრები:

განსაზღვრა 1. (1) მწკრივს ეუწოდოთ $R(p, q)$ შეჯამებადი (x, y)

წერტილში $S(x, y)$ ჯამისაკენ, თუ კრებადია (2) მწკრივი $u=0, v=0$
წერტილის გარკვეულ მიდამოში და

$$\lim_{u, v \rightarrow 0} f(x, y; u, v) = S(x, y),$$



სადაც $f(x, y; u, v)$ წარმოადგენს (2) მწკრივის ჯამს.

განსახილვრა 2. (1) მწკრივს ვუწოდოთ $R_\lambda(p, q)$ შეჯამებადი

$S(x, y)$ ჯამისაკენ (x, y) წერტილში, თუ კრებადია (2) მწკრივი $u=0, v=0$ წერტილის რაიმე მიდამოში და

$$\lim_{(u, v)_\lambda \rightarrow 0} f(x, y; u, v) = S(x, y).$$

განსახილვრა 3. (1) მწკრივს ვუწოდოთ $R^*(p, q)$ შეჯამებადი $S(x, y)$ ჯამისაკენ (x, y) წერტილში, თუ კრებადია (3) მწკრივი $u=0, v=0$ წერტილის რაიმე მიდამოში $F(x, y; u, v)$ ფუნქციისაკენ და

$$\lim_{(u, v) \rightarrow 0} F(x, y; u, v) = S(x, y).$$

განსახილვრა 4. (1) მწკრივს ვუწოდოთ $R_\lambda^*(p, q)$ შეჯამებადი $S(x, y)$ ჯამისაკენ (x, y) წერტილში, თუ კრებადია (3) მწკრივი $u=0, v=0$ წერტილის რაიმე მიდამოში $F(x, y; u, v)$ ფუნქციისაკენ და

$$\lim_{(u, v)_\lambda \rightarrow 0} F(x, y; u, v) = S(x, y).$$

თეორემა 1. თუ (1) მწკრივი კრებადია (x, y) წერტილში $S(x, y)$ ჯამისაკენ და, ამის გარდა, შესრულებულია პირობები:

$$1) \quad \lim_{m \rightarrow 0} \frac{1}{m^q} \sum_{n=0}^k S_{m, n}(x, y) \omega_n^q(v) = 0 \text{ ყოველი ფიქსირებული } K\text{-სათვის,}$$

$$2) \quad \lim_{n \rightarrow 0} \frac{1}{n^q} \sum_{m=0}^l S_{m, n}(x, y) \omega_m^q(u) \text{ ყოველი ფიქსირებული } l\text{-სათვის.}$$

ვის. მაშინ (2) და (3) მწკრივები ერთდროულად კრებადი არიან (x, y) წერტილში და მათი ჯამები ტოლია.

დამტკიცება. რადგან პირობის თანახმად (1) მწკრივი კრებადია (x, y) წერტილში, მონიხებმა ისეთი დადებითი R რიცხვი და მთელი დადებითი N_1 რიცხვი, რომ

$$|S_{m, n}(x, y)| < R, \text{ როცა } m > N_1, n > N_1.$$



აქედან ნებისმიერი ნატურალური რიცხვები $M > N_1$ და $N > N_1$.

$$\sum_{m=0}^M \sum_{n=0}^N \lambda_{m,n} A_{m,n}(x,y) \left(\frac{\sin mu}{mu}\right)^p \left(\frac{\sin nv}{nv}\right)^q =$$

$$= \sum_{m=0}^{M-1} \sum_{n=0}^{N-1} S_{m,n}(x,y) \omega_m^p(n) \omega_n^q(v) + \left(\frac{\sin Mu}{Mu}\right)^p \sum_{n=0}^{N-1} S_{Mn}(x,y) \omega_n^q(v) +$$

$$+ \left(\frac{\sin Nv}{Nv}\right)^q \sum_{m=0}^{M-1} \sum_{n=0}^{N-1} S_{mN}(x,y) \omega_m^p(u) +$$

$$+ S_{MN}(x,y) \left(\frac{\sin Mu}{Mu}\right)^p \left(\frac{\sin Nv}{Nv}\right)^q \quad (4)$$

ამ ტოლობის მარჯვენა ნაწილში პირველი შესაჯრები (3) მწყობრის კერძო ჯამია. ცხადია, რომ (x, y) წერტილში

$$\lim_{M, N \rightarrow \infty} S_{M, N}(x, y) \left(\frac{\sin Mu}{Mu}\right)^p \left(\frac{\sin Nv}{Nv}\right)^q = 0.$$

ანტიმომსახურისა დავამტკიცოთ, რომ

$$\lim_{M, N \rightarrow \infty} \left(\frac{\sin Mu}{Mu}\right)^p \sum_{n=0}^{N-1} S_{M, N}(x, y) \omega_n^q(v) = 0,$$

$$\lim_{M, N \rightarrow \infty} \frac{1}{M^p} \sum_{n=0}^{N-1} S_{Mn}(x, y) \omega_n^q(v) = 0.$$

გვაქვს

$$\frac{1}{M^p} \sum_{n=0}^{N-1} S_{m,n}(x, y) \omega_n^q(v) = \frac{1}{M^p} \sum_{n=0}^{N_1} S_{M, n}(x, y) \omega_n^q(v) +$$

$$+ \frac{1}{M^p} \sum_{n=N_1+1}^{N-1} S_{Mn}(x, y) \omega_n^q(v).$$

თეორემის პირობიდან გამომდინარე

$$\lim_{M \rightarrow \infty} \frac{1}{M^p} \sum_{n=0}^{N_1} S_{M, n}(x, y) \omega_n^q(v) = 0.$$

ვარდა ამისა

$$\left| \frac{1}{M^p} \sum_{n=N_1+1}^{N-1} S_{M, n}(x, y) \omega_n^q(v) \right| < \frac{1}{M^p} \sum_{n=N_1+1}^{N-1} |S_{M, n}(x, y)| |\omega_n^q(v)| <$$

$$< \frac{R}{M^p} \sum_{n=0}^{N-1} |\omega_n^q(v)| \rightarrow 0, \text{ როცა } M \rightarrow \infty, N \rightarrow \infty.$$

$$\lim_{M, N \rightarrow \infty} \left(\frac{\sin Mu}{Mu} \right)^p \sum_{n=0}^{N-1} S_{M, n}(x, y) \omega_n^q(v) = 0$$

ანალოგიურად მტკიცდება, რომ

$$\lim_{M, N \rightarrow \infty} \left(\frac{\sin Nv}{Nv} \right)^q \sum_{m=0}^{M-1} S_{m, N}(x, y) \omega_m^p(u) = 0.$$

თუ ამ შედეგებს გავითვალისწინებთ ადგილად დავრწმუნდებით, რომ (2) და (3) მწკრივებიდან ერთ-ერთის კრებადობას მოსდევს მეორის კრებადობა და მათი ჯამების ტოლობა.

შედეგი 1. თუ (1) მწკრივი კრებადია (x, y) წერტილში და მისი კერძო ჯამების მიმდევრობა $\{S_{m, n}(x, y)\}$ აკმაყოფილებს პირობას

$$|S_{m, n}(x, y)| < H(m+1)^\alpha (n+1)^\beta,$$

სადაც H რაიმე დადებითი რიცხვია, ხოლო $0 < \alpha < p$, $0 < \beta < q$. მაშინ (2) და (3) მწკრივების ერთ-ერთის კრებადობიდან გამომდინარეობს მეორის კრებადობა და მათი ჯამების ტოლობა.

აქედან გამომდინარე, თუ (1) მწკრივის კოეფიციენტები აკმაყოფილებენ პირობებს:

$$|a_{m, n}| < H(m+1)^\alpha (n+1)^\beta, |b_{m, n}| < H(m+1)^\alpha (n+1)^\beta$$

$$|c_{m, n}| < H(m+1)^\alpha (n+1)^\beta, |d_{m, n}| < H(m+1)^\alpha (n+1)^\beta,$$

სადაც $0 < \alpha < p$, $0 < \beta < q$, მაშინ ადგილი აქვს პირველ თეორემას.

მართლაც, თუ შესრულებულია (5) პირობები, (1) მწკრივის კერძო ჯამის შეფასება მოგვცემს

$$\begin{aligned} |S_{m, n}(x, y)| &= \left| \sum_{i=0}^m \sum_{k=0}^n \lambda_{ik} A_{ik}(x, y) \right| < \sum_{i=0}^m \sum_{k=0}^n |A_{ik}(x, y)| < \\ &< 4K \sum_{i=0}^m \sum_{k=0}^n (m+1)^\alpha (n+1)^\beta = 4K (m+1)^{\alpha+1} (n+1)^{\beta+1} \end{aligned}$$

პირველი შედეგის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ აგრეთვე, რომ თუ $\{S_{m, n}(x, y)\}$ მიმდევრობა აკმაყოფილებს პირობებს

$$\lim_{m \rightarrow \infty} \frac{S_{m, n}(x, y)}{(m+1)^\alpha} = 0 \text{ ყოველი } n\text{-ისათვის,}$$

$$\lim_{n \rightarrow \infty} \frac{S_{m, n}(x, y)}{(n+1)^\beta} = 0 \text{ ყოველი } m\text{-ისათვის,}$$

სადაც $0 < \alpha < p$, $0 < \beta < q$, მაშინ (2) და (3) მწკრივები ერთდროულად კრებადი არიან და მათი ჯამები ტოლია.

შედეგი 2. თუ (1) მწკრივები კრებადია (x, y) წერტილში და $\{S_{m,n}(x, y)\}$ მიმდევრობა აკმაყოფილებს პირობებს:

$$1) \lim_{m \rightarrow \infty} \frac{1}{m^\alpha} \sum_{n=0}^k |S_{m,n}(x, y)| = 0 \text{ ყოველი ფიქსირებული } k\text{-სათვის,}$$

$$0 < \alpha < p,$$

$$2) \lim_{n \rightarrow \infty} \frac{1}{n^\beta} \sum_{m=0}^l |S_{m,n}(x, y)| = 0 \text{ ყოველი ფიქსირებული } l\text{-ისათვის,}$$

$$0 < \beta < q,$$

მაშინ (2) და (3) მწკრივები ერთდროულად კრებადი არიან (x, y) წერტილში და მათი ჯამები ტოლია.

კერძოდ, ამ წინადადებას ადგილი აქვს, თუ (1) მწკრივი K_{pq} კლასის მწკრივია ვ. კელდის აზრით, სადაც $\Phi = t^p, \Psi = \tau^q,$

$$\alpha < \min \{p-1, q-1\}$$

თეორემა 2. თუ (1) მწკრივი კრებადია (x, y) წერტილში და $S(x, y)$ ამ მწკრივის ჯანია, გარდა ამისა შესრულებულია პირობები:

$$1) \sum_{m=0}^{\infty} S_{m,n}(x, y) \omega_m^p(u) \text{ მწკრივი კრებადია } v=0 \text{ წერტილის რაიმე მიდამოში ფიქსირებულ } n\text{-სათვის და}$$

$$\sup_u \left| \sum_{m=0}^{\infty} S_{m,n}(x, y) \omega_m^p(u) \right| = \alpha_n < \infty, \quad n = 0, 1, 2, \dots$$

$$2) \sum_{n=0}^{\infty} S_{m,n}(x, y) \omega_n^q(v) \text{ მწკრივები კრებადია } v=0 \text{ წერტილის რაიმე მიდამოში ფიქსირებული } m\text{-ისათვის და}$$

$$\sup_v \left| \sum_{n=0}^{\infty} S_{m,n}(x, y) \omega_n^q(v) \right| = \beta_m < \infty, \quad m = 0, 1, 2, \dots$$

მაშინ (1) მწკრივი $R^*(p, q)$ შეჯამებადია $S(x, y)$ ჯამისაკენ. დამტკიცება. ცნობილია, რომ მწკრივი

$$\sum_{m,n=0}^{\infty} |\omega_m^p(u) \omega_n^q(v)|$$

კრებადია და თანაბრად შემოსაზღვრულია u და v ცვლადების მიმართ. ამიტომ მოინახება ისეთი რიცხვი $M > 0$, რომ



$$\sum_{m,n=0}^{\infty} |\omega_m^p(u) \omega_n^q(v)| < M$$

ყოველი u და v -სათვის.

ზოგადობის შეუზღუდავად შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ $S(x, y) = 0$; მაშინ (1) მწკრივის კრებადობიდან გამომდინარეობს, რომ ყოველი $\varepsilon > 0$ რიცხვისათვის მოიძებნება ისეთი მთელი რიცხვი $N > 0$, რომ

$$|S_{m,n}(x, y)| < \frac{\varepsilon}{M}, \text{ როცა } m > N, n > N,$$

ავიღოთ ნებისმიერი ფიქსირებული მთელი რიცხვი $\nu \geq N$, თეორემის კირობებიდან გამომდინარეობს, რომ მწკრივები

$$\sum_{m,n=0}^{\infty} S_{m,n}(x, y) \omega_m^p(u) \omega_n^q(v) \quad (6)$$

და

$$\sum_{n=0}^{\infty} S_{m,n}(x, y) \omega_n^q(v) \quad (m = 0, 1, 2, \dots) \quad (7)$$

კრებადი არიან $u = 0$ და $v = 0$ წერტილის მიდამოში. ამიტომ (6) მწკრივი შეიძლება შემდეგი სახით წარმოვიდგინოთ:

$$F(x, y; u, v) = \sum_{m=0}^{\infty} \sum_{n=0}^{\infty} S_{m,n}(x, y) \omega_m^p(u) \omega_n^q(v) = F_1(x, y; u, v) +$$

$$+ F_2(x, y; u, v) + F_3(x, y; u, v) + F_4(x, y; u, v),$$

სადაც

$$F_1(x, y; u, v) = \sum_{m=0}^{\nu} \sum_{n=0}^{\infty} S_{m,n}(x, y) \omega_m^p(u) \omega_n^q(v),$$

$$F_2(x, y; u, v) = \sum_{n=0}^{\nu} \sum_{m=0}^{\infty} S_{m,n}(x, y) \omega_m^p(u) \omega_n^q(v),$$

$$F_3(x, y; u, v) = \sum_{m=\nu+1}^{\infty} \sum_{n=\nu+1}^{\infty} S_{m,n}(x, y) \omega_m^p(u) \omega_n^q(v),$$



$$F_1(x, y; u, v) = \sum_{m=0}^{\nu} \sum_{n=0}^{\nu} S_{m,n}(x, y) \omega_m^p(u) \omega_n^q(v)$$

რაკი $\lim_{l \rightarrow 0} \omega_N^k(t) = 0$, ამიტომ

$$\lim_{u, v \rightarrow 0} F_1(x, y; u, v) = 0.$$

შემდეგ, 2) პირობის თანახმად:

$$\begin{aligned} |F_1(x, y; u, v)| &< \sum_{m=0}^{\nu} |\omega_m^p(u)| \left| \sum_{n=0}^{\infty} S_{m,n}(x, y) \omega_n^q(v) \right| < \\ &< \sum_{m=0}^{\nu} |\omega_m^p(u)| \beta_m, \quad 0 < u < r_1. \end{aligned}$$

საიდანაც მივიღებთ, რომ

$$\lim_{u, v \rightarrow 0} F_1(x, y; u, v) = 0.$$

ანალოგიურად მტკიცდება, რომ

$$\lim_{u, v \rightarrow 0} F_2(x, y; u, v) = 0.$$

განვიხილოთ ახლა $F_3(x, y; u, v)$. ამ გამოსახულების შევასება გვაძლევს

$$\begin{aligned} \left| F_3(x, y; u, v) \right| &= \left| \sum_{m=\nu+1}^{\infty} \sum_{n=\nu+1}^{\infty} S_{m,n}(x, y) \omega_m^p(u) \omega_n^q(v) \right| < \\ &< \frac{\varepsilon}{M} \sum_{m=\nu+1}^{\infty} \sum_{n=\nu+1}^{\infty} \left| \omega_m^p(u) \omega_n^q(v) \right| < \varepsilon. \end{aligned}$$

საშესაღამე,

$$\lim_{u, v \rightarrow 0} F_3(x, y; u, v) = 0.$$

ამგვარად, საბოლოოდ ვღებულობთ, რომ

$$\lim_{u, v \rightarrow 0} F(x, y; u, v) = 0,$$

რაც ნიშნავს, რომ (1) მწყობრივ $R^p(p, q)$ შეჯამებადია (x, y) წერტილში.



თეორემა 3. თუ (1) მწკრივი კრებადია (x, y) წერტილში (x, y) და ამის $S(x, y)$, გარდა ამისა შესრულებულია პირობები:

1) მწკრივი $\sum_{m=0}^{\infty} S_{m,n}(x, y) \omega_m^p(u)$ კრებადია $u=0$ წერტილის მიღ-
მოში ყოველი ფიქსირებული n -სათვის და

$$\lim_{n \rightarrow 0} n^2 \sum_{m=0}^{\infty} S_{m,n}(x, y) \omega_m^p(u) = 0 \quad (n = 0, 1, 2, \dots),$$

2) მწკრივი $\sum_{n=0}^{\infty} S_{m,n}(x, y) \omega_n^q(v)$ კრებადია $v=0$ წერტილის მიღ-
მოში ყოველი ფიქსირებული m -ისათვის და

$$\lim_{v \rightarrow 0} v^2 \sum_{n=0}^{\infty} S_{m,n}(x, y) \omega_n^q(v) = 0 \quad (m = 0, 1, 2, \dots),$$

მაშინ (1) მწკრივი $R_{\lambda}^*(p, q)$ შეჯამებადია $S(x, y)$ ჯამისაკენ.

დამტკიცება. ვიგულისხმობთ რომ $S(x, y) = 0$. რადგანაც (1) მწკრივი კრებადია, ამიტომ ყოველი დადებითი ε რიცხვისათვის მოიხაზება ისეთი მთელი დადებითი N რიცხვი, რომ

$$\left| S_{m,n}(x, y) \right| < \frac{\varepsilon}{4M},$$

როდესაც

$$m \geq N, \quad n \geq N,$$

სადაც

$$M = \sum_{m, n=0}^{\infty} \left| \omega_m^p(u) \omega_n^q(v) \right|.$$

ვთქვათ, რომ $v > N$. რაიმე ფიქსირებული მთელი რიცხვია. რადგანაც $\omega_R^q(t) = 0 (t^2)$, როცა $t \rightarrow 0$, შეიძლება ყოველი ფიქსირებული P რიცხვისათვის და აღებული v -სათვის ისეთი $H > 0$ რიცხვი მოიხაზოს, რომ

$$\begin{aligned} |\omega_m^p(u)| &< Hu^2 \quad (m = 0, 1, 2, \dots), \\ |\omega_n^q(v)| &< Hv^2 \quad (n = 0, 1, 2, \dots). \end{aligned}$$

ვთქვათ, $\lambda > 1$ რაიმე რიცხვია, მაშინ თეორემის პირობების თანახმად, ყოველი დადებითი ε რიცხვისათვის მოიხაზება ისეთი რიცხვი $r_1 > 0$, რომ



$$(7) \quad \left| u^2 \sum_{m=0}^{\infty} S_{m,n}(x, y) \omega_m^p(u) \right| < \frac{\varepsilon}{4H^2(\nu+1)}, \quad 0 < u < \eta_1, \quad 0 < m < \nu,$$

$$\left| v^2 \sum_{n=0}^{\infty} S_{m,n}(x, y) \omega_n^q(v) \right| < \frac{\varepsilon}{4H^2(\nu+1)}, \quad 0 < v < \eta_1, \quad 0 < m < \nu.$$

თეორემის პირობის თანახმად მწკრივი

$$F(x, y; u, v) = F_1(x, y; u, v) + F_2(x, y; u, v) + F_3(x, y; u, v) - F_4(x, y; u, v),$$

სადაც

$$F_1(x, y; u, v) = \sum_{m=0}^{\nu} \sum_{n=0}^{\infty} S_{m,n}(x, y) \omega_m^p(u) \omega_n^q(v),$$

$$F_2(x, y; u, v) = \sum_{n=0}^{\nu} \sum_{m=0}^{\infty} S_{m,n}(x, y) \omega_m^p(u) \omega_n^q(v),$$

$$F_3(x, y; u, v) = \sum_{m=\nu+1}^{\infty} \sum_{n=\nu+1}^{\infty} S_{m,n}(x, y) \omega_m^p(u) \omega_n^q(v)$$

$$F_4(x, y; u, v) = \sum_{m=0}^{\nu} \sum_{n=0}^{\nu} S_{m,n}(x, y) \omega_m^p(u) \omega_n^q(v),$$

ცხადია, რომ

$$\lim_{u, v \rightarrow 0} F_4(u, v) = 0,$$

ანიტომ ყოველი $\varepsilon > 0$ რიცხვისათვის მოიხებება ისეთი $\eta < \eta_1$ რიცხვი, რომ

$$\left| F_4(x, y; u, v) \right| < \frac{\varepsilon}{4}, \quad \text{როცა } 0 < u < \eta, \quad 0 < v < \eta,$$

ამის გარდა, ყოველი u და v -სათვის გვექნება

$$\left| F_3(x, y; u, v) \right| < \sum_{m=\nu+1}^{\infty} \sum_{n=\nu+1}^{\infty} \left| S_{m,n}(x, y) \right| \omega_m^p(u) \omega_n^q(v) <$$

$$< \frac{\varepsilon}{4M} \sum_{m=0}^{\infty} \sum_{n=0}^{\infty} |\omega_m^p(u)| |\omega_n^q(v)| < \frac{\varepsilon}{4},$$

(7) უტოლობის საფუძველზე ვწერთ:

$$|F_1(x, y; u, v)| > \sum_{m=0}^{\infty} |\omega_m^p(u)| \left| \sum_{n=0}^{\infty} S_{m,n}(x, y) \omega_n^q(v) \right| >$$

$$< H \left(\frac{u}{v} \right)^2 \sum_{m=0}^r |v|^2 \sum_{n=0}^{\infty} S_{m,n}(x, y) \omega_n^q(v) | <$$

$$< \left(\frac{u}{v} \right)^2 \frac{\varepsilon}{4\lambda^2}, \quad 0 < v < \eta_1.$$

თუ

$$-\frac{1}{\lambda} < \left| \frac{u}{v} \right| < \lambda,$$

აწინ

$$|F_1(x, y; u, v)| < \frac{\varepsilon}{4}, \quad \text{როცა}$$

$$0 < v < \eta_1, \quad 0 < u < \eta_1, \quad \frac{1}{\lambda} < \left| \frac{u}{v} \right| < \lambda.$$

ანალოგიურად მივიღებთ, რომ

$$|E_2(x, y; u, v)| < \frac{\varepsilon}{4},$$

როცა

$$0 < u < \eta_1, \quad 0 < v < \eta_1, \quad \frac{1}{\lambda} < \left| \frac{u}{v} \right| < \lambda,$$

მაშასადამე, საბოლოოდ გვაქვს, რომ

$$|F(x, y; u, v)| < \varepsilon,$$

ე. ი.

$$\text{როცა } 0 < u < \eta_1, \quad 0 < v < \eta_1, \quad \frac{1}{\lambda} < \left(\frac{u}{v} \right) < \lambda,$$

$$\lim_{(u,v)_{\lambda} \rightarrow 0} F(x, y; u, v) = 0.$$

ყოველ ფიქსირებულ (x, y) წერტილში, რაც ამტკიცებს თეორემას.

უხადია, რომ თუ (1) მწკრივის კერძო ჯამების მიმდევრობა ერთდროულად აკმაყოფილებს 1-ელ და მე-3 თეორემების პირობებს, ასეთი მწკრივი $R_{\lambda}(p, b)$ შეჯამებადი იქნება.


ДЖАХУА А. Б.

К ВОПРОСУ СУММИРОВАНИЯ ДВОИНЫХ ТРИГОНОМЕТРИЧЕСКИХ РЯДОВ МЕТОДОМ РИМАНА

Резюме

В работе рассмотрен вопрос суммирования двойных тригонометрических рядов методами $R(p, q)$ и $R^*(p, q)$. Доказаны теоремы, в которых да-

ны достаточные условия $R(p, q)$ и $R^*(p, q)$ суммируемости двойных тригонометрических рядов.



დამოუკიდებელი ლიტერატურა

1. Н. Б а р и—Тригонометрические ряды. М., 1961.
 2. В. Ч е л и д з е—Некоторые вопросы теории двойных рядов. 1958.
 4. А. Д ж а х у а—О суммировании двойных рядов методом $R(p, q)$
Тр. Груз. СХИ, т. LXI—LXII, 1964.
-



დოკ. შ. ხაბიაშვილი

გაიონიზებული სხივებით ხილის დაფუშავების თეორიის ფორმირების საკითხი

უკანასკნელ ხანს დიდი ყურადღება ეთმობა მაიონიზებული სხივებით ხილის დამუშავების საკითხებს. ამავდროულად ჩვენ ჩაატარეთ მრავალი ექსპერიმენტი და მივიღეთ პრაქტიკული მნიშვნელობის შედეგები.

გასხივების დროს მკვლევარებმა დასაბუთებეს ზოგიერთი თვისება, რაც მოითხოვს თეორიულ ახსნას, რადგან პრაქტიკისათვის მნიშვნელობა აქვს არა მარტო ამა თუ იმ მოვლენის აღწერას, არამედ მისი მიზეზების ახსნასაც.

გამა გამოსხივებით დამუშავების დროს ყველა მკვლევარი მიუთითებს ზოგიერთი მანქანების მკვეთრ ცვლილებებზე.

1. 0.5—2.0 მრადით გასხივებული ნაყოფი შენახვის დროს უჩრდის წვეწარის უბნი გამოყოფით ხასიათდება.

2. გასხივების პროცესში და შენახვის დროსაც ნაყოფი გამოყოფს აირებს.

3. გასხივებული ნაყოფი მიკროორგანიზმებით უფრო ადვილად ზიანდება, ვიდრე გაუსხივებელი.

ყველა ამ მოვლენის თეორიული ახსნა ბევრ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ჩვენ შევეცდებით ზოგიერთი მათგანის განმარტებას. დაკვირვებით დადგინდა, რომ კურკოვანი, წიბწოვანი და თელოვანი ხილის ნაყოფისაგან წვეწარის გამოყოფის ინტენსივობა პროპორციულია გასხივების ინტენსივობის დოზისა და შენახვის ხანგრძლივობისა. ამასთან ბალი, ალუბალი, და ქლიავი უფრო ნაკლები რაოდენობით გამოყოფს წვეწარს, ვიდრე მარწყვი, მანდარინი და სხვა კენკროვანი ხილი. თესლოვნებში (ვაშლი, მსხალი და კომში) ყოველ უფრო ნაკლებია გასხივების შედეგად წვეწარის გამოყოფა და ა. შ. ყოველივე ამის ახსნა შესაძლებელია თანამედროვე რადიაციული ქიმიისა და რადიაციული ბიოქიმიის საფუძველზე. ცნობილია, რომ მაიონიზებული გამოსხივება ელექტრომაგნიტური და კორპუსკულური ბუნებისაა. ფოტონების დიდი ენერჯისა და მოკლე ტალღების შედეგად გამა გამოსხივება ღრმა გამოყოფად ხასიათდება. იგი რამდენიმე სმ-ზე აღწევს ქსოვილში. ქიმიურ ცვლილებები კი, რაც გამა გამოსხივების გავლენით არის გამოწვეული, უჩრდოვან სისტემაში უმთავრესად მკვლევარებმა წყალში ამ დროს ადგილი აქვს ზედაპირის წარმოქმნას. ცილოვან ნივთიერებებთან ზემოქმედებას, ფერმენტებ-



ზე და ვიტამინებზე მოქმედებას და ცოცხალ უჯრედში ან ქსოვილში შეყვანვის რეზულტატად ცვლის მიმართულების შეცვლას.

ცნობილია, რომ ქიმიურ თვისებათა გარდაქმნები, რაც გამოწვეულია იონიზებელი რადიაციით, მეტად მცირე დროში ხდება და მათი ზეგავლენა ზიკურ-ქიმიური გამოკვლევების ჩვეულებრივი მეთოდებით შეუძლებელია. მაგალითად, პირველადი მაიონიზებელი ნაწილაკის გავლის მომენტში წყალში 1.10^{-18} — 1.10^{-16} წმ-ში წარმოიქმნება წყლის იონიზებული მოლეკულები, რომლებიც დაუყოვნებლივ რეკომბინირდებიან და არავითარ არსებით კვალს არ ტოვებენ. ზეჟანგური ნაერთები, რომლებიც მაიონიზებული რადიაციის გავლენით წარმოიქმნებიან, არსებობენ მხოლოდ 1.10^{11} — 1.10^{10} წმ-ის განმავლობაში. ფიქრობენ, რომ ცოცხალ სისტემებში, რომლებიც ჩვეულებრივ შეიცავენ კატალაზას, ზეჟანგური ნაერთების წარმოქმნა უფრო ნაკლები დროით ხდება.

ჩვენი აზრით, წვენი გამოდენის სიადვილე განხივებული ნაყოფიდან უჯრედის დაღუპვით უნდა იყოს გამოწვეული. ამრიგად, ზემოაღნიშნული ცვლილებები არ შეიძლება საფუძვლად დაედოს იმ მოვლენის ახსნას, რაც წვენი გამოყოფაში მდგომარეობს. ლიტერატურაში დაწვრილებითაა გაშუქებული მაიონიზებული რადიაციის მცირე დოზებით გასხივების შედეგად ცოცხალი უჯრედის დაღუპვის გამოწვევი მიზეზები. ჩვენს ექსპერიმენტებში კი გამოყენებული იყო საკმარისად მაღალი დოზები. მიუხედავად ამისა, ნაყოფის უჯრედოვანი სისტემა აუცილებლად განიცდის ზემოთ აღწერილ ყველა საწყის ცვლილებას, რაც შემდეგ უფრო ღრმავდება და განაპირობებს უჯრედის სტრუქტურულ ანომალიებს.

გამა მოსხივების მიერ გამოწვეული პირველადი ცვლილებანი ნაყოფის უჯრედში აუცილებლად ექვემდებარება არსებულ კანონზომიერებას, კერძოდ, ხდება: 1. უჯრედის მგრძობიარე ქსოვილებში ფოსფორილირების უანგვიით პროცესის დარღვევა; 2. ჟანგვა-აღდგენის გზების შეცვლა; 3. დგნ-ს სინთეზის შესუსტება; 4. ცილია და სინთეზირებული დგნ-ს თვისებათა შეცვლა; 5. ცილის ფერმენტული დეპოლიმერიზაცია; 6. ცილოვან სტრუქტურათა ფერმენტული დაშლა; 7. პოლისახარიდების ფერმენტული დაშლა. ყოველივე ეს უჯრედში იწვევს ტოქსიკურ თვისებათა მეტაბოლიტების წარმოქმნას, რომლებიც აბლოკირებენ ცალკეულ რეაქციებს. რადიაციული მოქმედების საბოლოო ბიოლოგიური ეფექტია უჯრედის მორფოლოგიური ცვლილებანი.

ამას უნდა დამატოს ისიც, რომ მაღალი დოზებით გასხივების დროს ადგილი აქვს ნაყოფის უჯრედოვანი სტრუქტურის დარღვევას, რაც პლაზმოლიტიზ ხასიათს ატარებს. ფოტონების მაღალი ენერჯიის გამო და გასხივების დიდი დოზების შედეგად ადგილი უნდა ჰქონდეს პლაზმოლიზის მოვლენას. ამ დროს უჯრედი უფრო გამტარი ხდება და წვენი, რომელიც ვაკუოლებშია მოთავსებული, თავისუფლად გამოედინება გარეთ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადგილი აქვს ნაყოფის უჯრედოვანი სისტემის სრულ დაღუპვას. უჯრედის კედლების წინააღმდეგობა სუსტდება; უჯრედი კარგავს ტურგორის უნარს და წვენი გადაადგილების ხარისხი იზრდება. ამით არის გამოწვეული, რომ გასხივ-



ბული ნაყოფი შენახვის პროცესში წვენი ინტენსიურ გამოყოფას აწარმოებს გასხივების დროსა და შენახვის ხანგრძლივობისაგან დამოკიდებულია. მეორე მოვლენა, რომელიც შემჩნეულია ნაყოფის მათონიშნულ დროში, ბით დამუშავების დროს, ეს არის აირების გამოყოფა გასხივების პროცესში. საერთოდ ექსპერიმენტებში შემჩნეული იყო განის გამოყოფის ინტენსივობის დამოკიდებულება ნაყოფის სახეზე, ინტეგრალურ დონაზე, დონის სიმძლავრეზე, შენახვის პირობებსა და ხანგრძლივობაზე. როგორც შემდგომში გამოირკვა, გაზების გამოყოფას ადგილი აქვს არა მარტო ცოცხალი ნაყოფის გასხივების დროს, არამედ მისი გადამუშავების პროდუქტების რადაპერტიზაციის დროსაც. აირების გამოყოფა ცოცხალი ნაყოფის მათონიშნული რადაციით დამუშავების დროს შემჩნეული იყო ჰერმეტიკული პირობებში თვით გასხივებისას. ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა გასხივების დროს ჰერმეტიკული წარმოქმნილი წვენი სტაბილიზაციას, რაც ზოგჯერ იზრდებოდა შენახვის პროცესში. თვისობრივი შედგენილობა პირველ და მეორე შემთხვევაში გამოყოფილი გაზებისა ერთნაირი არ იყო. ნაყოფი, რომელიც გასხივების შემდეგ ჰერმეტიკული პირობებში ინახებოდა, ინტენსიურად გამოყოფდა ეთილის სპირტს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ გასხივების პროცესში სუნთქვის ინტენსივობის გაძლიერებასთან დაკავშირებით ნაყოფმა მთლიანად გაიზარა ჰერმეტიკული არსებული ენაგბადი და შენახვის დროს წარმართა ინტრამოლეკულური სუნთქვა, რამაც გამოიწვია ნახშირორჟანგისა და ეთილის სპირტის დაგროვება. შემჩნეული იყო, რომ ცოცხალი ნაყოფის გასხივების შედეგად გამოყოფილი გაზების ინტენსივობა ბევრად აღაბრებს კონსერვების რადაპერტიზაციის შედეგად გამოყოფილი გაზების რაოდენობას. ეს მოვლენა უნდა აიხსნას შემდეგი მოსაზრებით: რადაპერტიზაციის დროს გამა სხივების კორპუსკულუმების მიერ წვენი გასხივი ჰაერის გამოდევნას აქვს ადგილი, რის გამოც ნაყოფი დეფორმირებას განიცდის, ხოლო ჰერმეტიკული წვენი იზრდება. ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს ბომბაჟირებული კონსერვების მასპექტრომეტრული გამოკვლევები, რომლის დროსაც დადასტურდა, რომ კონსერვების რადაპერტიზაციის შედეგად გამოყოფილი გაზების ქიმიური შედგენილობა თითქმის არაფრით განსხვავდება ატმოსფერული ჰაერის შედგენილობისაგან.

ნაყოფის გასხივების დროს აირების გამოყოფის უფრო ინტენსიურობა უნდა აიხსნას დამატებითი გარემოებით—გასხივებისას ადგილი აქვს ფერმენტების გაქტივებას, რაც აძლიერებს სუნთქვით პროცესებს და მაშასადამე აირების გამოყოფას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რადიოზაციის დროს გასხივებული ნაყოფის დაზიანება მიკროორგანიზმებით უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე გაუსხივებელი ნაყოფისა. შემჩნეულია, რომ ნაყოფის ზედაპირზე არსებული მიკროფლორის სრული მოსპობისათვის დაახლოებით 4,0 მარადია საჭირო, მაშინ როდესაც ნაყოფის ხილული ცვლილებები გასხივების დროს უკვე 200 000 რადზე შეიმჩნევა, ხოლო ნაყოფის სრული დაღუპვა, როგორც ცოცხალი მცენარეული ორგანიზმისა, 1,5—2,0 მარადის დროს ხდება, ამრიგად, ცოცხალი ნაყოფი უფრო მგრძობიარეა რადიაციის მიმართ, ვიდრე მიკრობის უჯრედი.

საერთოდ მცენარის რადიომგრძობიარობის საკითხი სრულყოფილად არაა

შესწავლილი. დღემდე არ არის განსაზღვრული მცენარის რადიომგრძობიანობის კრიტერიუმი. ზოგიერთი ავტორი მცენარის რადიომგრძობიანობას უკავშირებს სხვადასხვა გარეგან პირობებს: ტემპერატურას, გარემოს ტენიანობას, გენილობას, ტენიანობას და ა. შ. მაგრამ, როდესაც ჩვენ ვასახელებთ ნაყოფს, რომლის ზედაპირი დანაგვიანებულია მიკროორგანიზმებით, ყველა ეს პირობები ერთნაირი იყო. მიუხედავად ამისა, ნაყოფი უფრო მეტად მგრძობიანებას განსხვავების მიმართ, ვიდრე მიკრობი. მეორე მხრივ, ცნობილია, რომ რაც უფრო მაღლა დგას ორგანიზმი ბიოლოგიურად, მით უფრო მგრძობიანება იგი რადიაციის მიმართ. ასე, მაგალითად, ადამიანისათვის გამოსხივების ლეტალური დოზებია 600 რადი, მწერებისათვის 60 000 რადი, კურდღლისათვის 1000 რადი, ხოლო მიკრობებისათვის დაახლოებით 3—5.0 მრადი.

ექსპერიმენტული ნაწილის შესრულების დროს გამოძვლავებულია გამა გამოსხივების სხვადასხვაგვარი ზემოქმედება ნაყოფის გარეგან მაჩვენებლებზე. კერძოდ: ქარვისფერი ნაყოფი შავდება, შავი ფერისა—უფერულდება; ვაშლის რბილობში შავი წერტილები წარმოიქმნება, ხოლო მანდარინის ნაყოფის რბილობი ფერს ნაკლებად იცვლის და ა. შ. ყველა ამ ცვლილების თეორიული ახსნა მეტად გაძნელებულია, რადგან თითოეული მათგანი მოითხოვს დეტალურ ექსპერიმენტულ შესწავლას. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი წინასწარი თეორიული მოსაზრება მაინც შეიძლება გამოითქვას. კერძოდ:

ბლის გაშვება გამოწვეული უნდა იყოს გასხივების დროს მთრიმლავ ნივთიერებათა დაჯანგვით და მუქად შეფერილი ნივთიერების წარმოქმნით, ხოლო შავი ლეღვის გაუფერულება—ნაყოფის მღებავ ნივთიერებათა და მაიონიზებული სხივების ზემოქმედებით აღდგენას;

—ვაშლის რბილობში შავი წერტილების წარმოქმნა უნდა მივაწეროთ მთრიმლავ ნივთიერებათა დაჯანგვის პროცესს. აქ შეიძლება პარალელი გაივლოს გასხივებასა და მექანიკურ დაზიანებას შორის. გასხივების დროს ნაყოფის სტრუქტურული ძვრები აღინიშნება. ამ დროს უჯრედის კედლებზე არსებული ფერმენტები წვენი გადადიან. იქვევე მთრიმლავი კომპლექსების დაჯანგვას და ფლობაფენების წარმოქმნას.

გარდა ამისა, შემჩნეულია ბურშისა და სხვა ნაყოფის დარბილება გასხივების პროცესში. ეს მოვლენა არ შეიძლება მივაწეროთ მხოლოდ პექტინის ნივთიერებათა გარდაქმნებს. ჩვენი აზრით, აქ გავლენას ახდენს აგრეთვე გამა გამოსხივების კორპუსკულური ნაწილაკების მექანიკური ზემოქმედებაც. მანდარინის ნაყოფები და საერთოდ ციტრუსები ინარჩუნებენ ყვეთელ შეფერვას 2,0 მრადით გასხივების ფარგლებში. მაგრამ ნაყოფის კანის მექანიკური დაზიანების ადგილებში წარმოიქმნება შავი ფერის ზოლები, რაც გამოწვეული უნდა იყოს აქ ფერმენტული პროცესების გააქტივებით.

ჩვენ მიერ გამოთქმული ყველა ზემოაღნიშნული მოსაზრება ემყარება რადიაციული ქიმიისა და ბიოქიმიის ცნობილ დებულებებს და შეიძლება წარმოადგენდეს იმ საწყისებს, რომლის განვითარებითა და გაღრმავებით მივიღოთ სრული თეორიული დასაბუთება იმ მოვლენებისა, რომელთაც ადგილი აქვს ხილის რადიურიზაციისა და რადიპერტიზაციის დროს.



დოც. თ. მგელაძე

**ადმონსავლეთ საქართველოს ზოგირით რაიონში მარცვლელ
 კულტურათა ფენოფაზების დადგომის დამოკიდებულება
 ბეჰარბაზრული რეჰიმის მსვლელობასთან**

მცენარესა და გარემოს შორის განუწყვეტლივ მიმდინარეობს ნივთიერე-
 ბათა ცვლა, ამიტომ მცენარეულობის აღნაგობა, მისი ფიზიოლოგიურ-ანატო-
 მიური თავისებურება ისტორიული განვითარების მანძილზე ამ ცვლის ხასი-
 ათში გამოიხატება; მცენარეები განსაზღვრულ მოთხოვნილებას უყენებენ
 გარემო პირობებს, მიჩურინმა დასაბუთა ნებისმიერად გარემოს შეცვლის გავ-
 ლენა, როგორც მემკვიდრულ თვისებებზე, ისე შესაბამისი პროდუქციის ოდე-
 ნობაზე.

როგორც ცნობილია, მცენარის ინდივიდუალური განვითარება განუწყ-
 ვეტლივ თვისობრივ ცვლილებას განიცდის, ერთი და იგივე მცენარე სასი-
 ცოცხლო პერიოდში, რაც ორ სტადიად განიყოფება, მოითხოვს არაერთგვარო-
 ვან საარსებო პირობებს.

იაროვიზაციისა და სინათლის პერიოდების გავლის შემდეგ მცენარეს
 უვითარდება გარკვეული ორგანოები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდე-
 ბა მორფოლოგიური აგებულებით და თვისობრიობით.

ცნობილი საბჭოთა მეცნიერების პ. ს. ქუკოვსკისა და ლ. ლ. დე-
 კაპრელევიჩის აზრით მცენარის ზრდა-განვითარება, მისი ფიზიოლოგი-
 ურ-ანატომიური თავისებურება, გარემო პირობების გავლენა ისტორიული
 განვითარების მანძილზე ეკოტიპებში გამოიხატება, ვინაიდან ჩვენ მცენარის
 ზრდა-განვითარებას, კერძოდ კი ტემპერატურულ რეჰიმთან ფენოფაზების
 დადგომას ვეხებით, ამიტომ გარემო პირობების შესწავლა აუცილებელია.

დოც. კ. ბ. კელენჯერიძის შეხედულებით საქართველოს
 ჰავის აგროკლიმატური ზონები, რომლებიც მაღალი რადიაციული რე-
 ჰიმით და განათებულებითაა გაპირობებული, მაღალი სითბური ბალანსით და
 შესაბამისი ტენიანობით ხასიათდებიან. ამასთან ამ ზონებში გათვალისწინებუ-
 ლი იყო ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები მცენარეული საბურველით და
 ქარის რეჰიმით, რაც ფენოლოგიური ფაზების რიტმს აპირობებენ. აღნიშნული
 პირობადად დამოკიდებულია ადგილის მიკროკლიმატურ თავისებურებაზე.
 პროფ. ა. ვალაბუევის თანახმად საქ. აგროკლიმატურ პირობებში, მსგავ-



სად თერმული ინვერსიისა, მკვეთრად არის განვითარებული ფენოლოგიური ინვერსიაც, ასე, მაგალითად, დაბლობზე ფენოლოგიური ფაზებში მარტივად გვიან იწყება, ვიდრე ახლო მდებარე ფერდობებზე. სხვაობა თერმული ნიუტონის ბალის მონაცემებით საშუალოდ შეადგენს 15 დღეს.

ქენიციისა და ი. ბარნაბიშვილის მონაცემებით ფენოლოგიური ფაზები სამხრეთ კალთებზე საშუალოდ 20 დღით ადრე დგება, ვიდრე ჩრდილოეთის კალთებზე. მკენარის ვეგეტაციური განვითარება მიმდინარეობს გარკვეული თანმიმდევრობით დროის მონაკვეთში, რაც დამოკიდებულია გარემოს ეკოლოგიურ პირობებზე, კერძოდ განათებაზე, ჰაერის ტემპერატურაზე, ჰაერისა და ნიადაგის ტენიანობაზე, ატმოსფერულ ნალექებზე და ქარზე, და ნიადაგის ფიზიკურსა და ქიმიურ თვისებებზე.

როგორც ცნობილია, ერთი და იმავე ჯიშის ფენოფაზები სხვადასხვა დროს დგება.

საქართველოს კლიმატურ ზონებში მოცემული კულტურისათვის ფენოლოგიური თარიღებისა და შესაბამისი დღეების გამოთვლა ვეგეტაციური განვითარების პერიოდში სათანადო აქტიურ და ეფექტურ ტემპერატურათა ჯამების სახით, პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამისათვის ავიღეთ ნ წლის ფენოლოგიური მასალა და დავამუშავეთ სტატისტიკური წესის მიხედვით, რაც ცხრილებში მოცემულია ფენოლოგიური კალენდარის სახით, მისი მიზანია ხელი შეუწყოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების სწორად გაადგილებას სხვადასხვა აგროკლიმატურ ზონაში და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა სწორ ორგანიზაციას. ქვემოთ დასახელებულ რაიონებში.

გორის რაიონი: ხასიათდება კონტინენტური ჰავით, მაგრამ შუა ქართლში ზაფხულობით ზომიერად ოდნავ მაღალი ტემპერატურა იცის. აქ ადგილი აქვს ზამთრის ძლიერ ყინვებს მიწისპირა ხშირი ინვერსიების შედეგად, საერთოდ, და განსაკუთრებით უარყოფითი (ტაფობი) რელიეფის პირობებში. გორისათვის დამახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ფიონისებრი ქარები, რაც ამცირებს შეფარდებით ტენიანობას და ღრუბლების გაქრობასთან ერთად ზრდის ჰაერის ტემპერატურას; რაიონის ძირითად კლიმატურ ქართლის „თეთრი დოლი“ წარმოადგენს, რომელსაც აქვს ქსერომორფული აღნაგობა, უმთავრესად კარგად არის შეგუებული ქართლის ვაკის აგროკლიმატურ პირობებს, ხასიათდება დიდი ყინვებაძმლეობით, ამასთან კარგად უძლებს გარედან ცივი ჰაერის მასების შემოჭრას, რაც ტემპერატურას საგრძნობლად სცემს.

ამასთანავე, სავეგეტაციო პერიოდში ხორბლეულის შემოსვლისას მოსალოდნელია სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარების მოქმედება, რაც ზოგჯერ იწყებს ნათესის აოდვას. აღსანიშნავია, რომ ნალექების რაოდენობა ვერ უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა-განვითარებას, ამიტომ აქ განვითარებულია სარწყავი მეურნეობა. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ნალექების რაოდენობა და მათი განაწილება თვეების მიხედვით (ცხრ. 1).



რაიონი	სომხულ ზღვის დონიდან (მ)	თ ვ ე ბ ი										ჯამი	წილი (%)	
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X			
გორი	609	25	28	25	48	71	37	44	32	36	35	47	39	467

ნალექები შუა ქართლში მეტად არათანაბრადაა განაწილებული, მისი უდიდესი რაოდენობა მოდის მაისსა და ივნისის პირველ ნახევარში. აქ საერთოდ, და განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილში ინტენსიური და ხანგრძლივი გვალვები იცის, რასაც აძლიერებს ხშირი და მეტად მშრალი, ზოგჯერ კი ძლიერი ქარები; ასეთ ამინდებს კარგადაა შეგუებული ხორბალი „თეთრი დოლი“. რაც შეეხება თოვლის საბურველს იგი ცვალებადი მდგარადობით ხასიათდება. და მიუხედავად ამისა, შუა მარტამდე ფარავს ნათესებს, ასეთი საბურველი აძლიერებს სითბოს ცვლას ნიადაგსა და ჰერს შორის. ყოველივე ამის გამო, იგი შემოდგომის ხორბლის გამოზამთრებაზე დიდ გავლენას ახდენს, ნათესები გამოქროლვას განიცდის, მაგრამ მას შედარებით კარგად უძლებს ქართლის „თეთრი დოლი“. პირველი თოვლი შუა ქართლში მოდის ნოემბრის პირველ დეკადაში. როგორც აღვნიშნეთ სავეგეტაციო პერიოდში მცენარის ზრდა-განვითარებისათვის საჭირო ეფექტური ტემპერატურების ჯამი ფენოფაზების მიხედვით მოცემულია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2

შემოდგომის ხორბლის „თეთრი დოლის“ ფენოლოგიური ფაზების ნორმები
შესაბამისი ეფექტური ტემპერატურებით შუა ქართლში

ფენოფაზები	ფენოფაზების თარიღები	შესაბამისი საშუალო ეფექტური ტემპერატურები (C°)	საშუალო
თესვა	18. X		17,3
სრული აღმოცენება	9. XI		21,3
ბარტყობის დასაწყისი	19. XI		560,3
სრული დათავთავება	1. VI		542,9
ბაზი სინწიფე	7. VII		97,4
სრული სიმწიფე	13. VII		53,4
მოსავლის აღება	16. VII	ეფექტურ ტემპერატურათა ჯამი	1402,3

სავეგეტაციო პერიოდი ქართლში „თეთრი დოლისათვის“ შეადგენს 125 დღეს, საშუალოდ 10 დღის გადახრით. აქტიური ტემპერატურის ჯამი, როდესაც დღის საშუალო ტემპერატურა 5°-ზე მეტია, აღწევს 2037,3°-საშუალო ეფექტური ტემპერატურით 1402,3°-ს. საშუალოდ 23,2-ს გადახრით. უდიდესი უარყოფითი ფენოგადახრა სავეგეტაციო პერიოდში შემჩნეულია ბარტყობის ფაზაში და უდრის 55 დღეს, ხოლო უმცირესი 1 დღეს- დათავთავეების ფაზაში. გორის რაიონში გავრცელებულია შემოდგომის ქერის ჯიში ადგილობრივი

„ოთხმწკრივი“, რომლის საევეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა საშუალოდ შეადგენს 118 დღეს, საშუალოდ 16 დღის გადახრით. ამ კულტურისათვის ეფექტური ტემპერატურის ჯამია 1131,7° ა საშუალოდ 33,0°-ის ხოლო აქტიური ტემპერატურის ჯამია 1616,0°.

აღნიშნული კულტურისათვის უდიდესი დადებითი ფენოთარიღის გადახრა 35 დღეს შეადგენს (აღმოცენების პერიოდში) ხოლო უმცირესს 1 დღე (ბაზი სიმწიფეში).



ცხრილი 3

გორში შემოდგომის ქერის „ოთხმწკრივის“ ფენოლოგიური ნორმები

ფენოფაზები	ადგილობრივი „ოთხმწკრივი“	
	ფენოფაზების თარიღები	შესაბამისი საშუალო ეფექტური ტემპერატურები (t°)
თესვა	13.XI	
სრული აღმოცენება	24.XI	16,0
სრული დათავთავება	9.VI	672,0
ბაზი სიმწიფე	3.VII	376,3
სრული სიმწიფე	7.VII	37,4
მოსავლის აღება	8.VII	427
		ეფექტურ ტემპერატურათა ჯამი 1137,7

ამავე რაიონში სომინდის ჯიშის „ქართული კრუვის“ საევეგეტაციო პერიოდი 127 დღეს შეადგენს, საშუალოდ 6 დღის გადახრით, ხოლო აქტიური ტემპერატურების ჯამი შეადგენს 2689,0° და ეფექტური ტემპერატურისა—14193°-ს, საშუალოდ 27,1°-ის გადახრით. სომინდის ჯიშ „ქართული კრუვის“ ფენოფაზების ნორმები შესაბამისი ეფექტური ტემპერატურებით გორის რაიონში მოცემულია მე-4 ცხრილში.

ცხრილი 4

	ფენოფაზების თარიღები	შესაბამისი საშუალო ტემპერატურები (t°)
თესვა	25.IV	86,6
სრული აღმოცენება	15.V	592,3
სრული ყვავილობა	19.VII	725,6
სრული სიმწიფე	17.IX	19,8
მოსავლის აღება	19.IX	ეფექტურ ტემპერატურათა ჯამი 1419,3

უდიდესი ფენოთარიღის უარყოფითი გადახრა 15 დღეს შეადგენს სიმწიფის პერიოდში, ხოლო უმცირესი 1 დღეს—ყვავილობის ფაზაში.

ამავე რაიონში გავრცელებულია გაზაფხულის ქერი „ახალთესლი“, რომლის საევეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობაა 83 დღე, საშუალოდ 5 დღის გადახრით. ამ პერიოდის ეფექტური ტემპერატურის ჯამია 1190,3° საშუალოდ 18,5°-ის გადახრით. ხოლო აქტიური ტემპერატურების—1605,3°.



უდიდესი დადებითი ფენოთარლის გადახრა შემჩნეულია აღმოცენების, ლათავთავეების ფაზაშიც—შეადგენს 11 დღეს, ხოლო უმცირესი ბარტყობის დასაწყისში 1 დღეს არ აღემატება.

გაზაფხულის ქერის „ახალთესლის“ ფენოფაზების ნორმების ტემპურ ტემპერატურათა ჯამით გორის რაიონის მაღალი ზონისათვის, მოცემულია მე-5 ცხრილში.

ცხრილი 5

ფენოფაზები	ფენოფაზების თარიღები	შესაბამისი საშუალო ტემპურ ტემპერატურები (C)
თესვა	3/IV	75,4
სრული აღმოცენება	5/IV	115,7
ბარტყობის დასაწყისი	2/V	384,0
სრული ლათავთავება	5/V	418,5
პახი სინწიფე	7/VII	62,8
სრული სინწიფე	11/VII	54,1
მოსავლის აღება	14/VII	1190,3
		ვერტიკულ ტემპერატურათა ჯამი
		1190,3

ლაგოდების რაიონის ჰავა ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულია. აქვე ვიძლევიტ ნალექთა საშუალო ჯამს თვეების მიხედვით, რაც ერთმხრივ ჰაერს ხასიათის თავისებურებას გამოხატავს (ცხრ. 6).

ცხრილი 6

მოსული ნალექის საშუალო რაოდენობა (მმ) ლაგოდების რაიონში

რაიონი	საშუალო წლის ნალექი (მმ)	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიური
ლაგოდები	362	36	61	70	81	143	124	87	68	131	76	75	50	993

ნალექების უდიდესი რაოდენობა ლაგოდების რაიონში მაისის და ივნისის პირველ ნახევარზე მოდის, ხოლო მცირე რაოდენობა ზაფხულის მეორე ნახევარსა და ზამთრის თვეებზე, ლაგოდებში ნალექები საკმაო რაოდენობითაა.

მაგრამ ნიადაგები მაღალი გამტარიანობით ხასიათდებიან და ამიტომ ტენს ვერ აკაევენ. ამის გამო აქ სასოფლო-სამეურნეო კულტურები მოითხოვენ მორწყვას. რაიონის დახერილი რელიეფი აპრობებს მინიმალური ტემპერატურის ტერიტორიალურ განაწილების თავისებურებას განსაკუთრებით ცივი ამინდის პირობებში, როდესაც ადგილი აქვს ტემპერატურულ ინვერსიებს. ლაგოდებში გაბატონებულია ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარები, განსაკუთრებით შემოდგომისა და ზამთრის თვეებში, ხოლო ზაფხულში ჩრდილოეთის ქარებია. ლაგოდების რაიონის თავისებური კლიმატური პირობები მიეკუთვნება სუბტროპიკული ჰაერის ტიპს, მიუხედავად ამისა, აქ დიდი ადგილი აქვს დათმობილი



მარცვლოვან კულტურებს, მათ შორის კახური ჯგუფის შემოდგომის ხორბლის ჯიშს ლაგოდეხის „გრძელთავთავას“, რომელიც ხასიათდება პიკროპროტეინული აღნაგობით. ამ კულტურის სავეგეტაციო პერიოდისათვის დავადგინეთ მათი ეფექტური ტემპერატურათა ჯამი ლაგოდეხის „გრძელთავთავას“ სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა ლაგოდეხში საშუალოდ შეადგენს 117 დღეს, საშუალოდ 8 დღის გადახრით.

ხორბლის აღების შემდეგ აღნიშნულ რაიონში კიდევ რჩება საკმაოდ ხანგრძლივი თბილი პერიოდი, რომელიც უზრუნველყოფს სანაწევრალო სიმინდის მოყვანას მარცვლად.

ლაგოდეხის რაიონი გადილებული ინსოლაციის შედეგად ხასიათდება მაღალი თერმული რეჟიმით, რაც გაპირობებულია კავკასიონის ქედის სამხრეთ-დასავლეთის ექსპოზიციით. აქტიური ტემპერატურის ჯამი ამ ჯიშის ზრდა-განვითარებისათვის, როდესაც ჰაერის ტემპერატურა საშუალოდ 5°-ს აღემატება შეადგენს 1916°, ხოლო ეფექტური ტემპერატურისა—1321,9°-ს უდრის, საშუალოდ 38-ის გადახრით.

ცხრილი 7

შემოდგომის ხორბლის ლაგოდეხის „გრძელთავთავას“ ფენოლოგიური ნორმები
მისი ეფექტური ტემპერატურებით

ფენოფაზები	ფენოფაზების თარიღები	შესაბამისი საშუალო ეფექტური ტემპერატურები (C)
თესვა	27/X	69,0
სრული აღმოცენება	5/XI	83,9
ბარტყობის დასაწყისი	19/XI	448,3
სრული ფათათვალება	13/VI	551,1
ბაზი სიმწიფე	1°/VI	94,7
სრული სიმწიფე	24/VI	54,8
მოსავლის აღება	27/VI	ეფექტურ ტემპერატურათა ჯამი 1321,3

უდიდესი გადახრა ფენოლოგიური თარიღის ამ ჯიშისათვის აღინიშნება ბარტყობის დასაწყისში, რაც აღწევს უარყოფით 18 დღეს. უმცირესი კი უარყოფით ერთ დღეს შეადგენს.

შემჩნეულია, რომ ამ ჯიშის განვითარება ზაფხულის შუა რიცხვებში ზოგჯერ აჩქარებულია, ზოგჯერ კი შენელებული, რაც ამინდის მსვლელობაზეა დამოკიდებული.

შემოდგომის ჰერის ლაგოდეხის ადგილობრივი „ოთხმწკრივის“ ვეგეტაციური განვითარების ხანგრძლივობა საშუალოდ შეადგენს 97 დღეს. საშუალოდ 8 დღის გადახრით, აქტიური ტემპერატურის ჯამი, ამ ჯიშის ზრდა-განვითარე-



ბისათვის შეადგენს 1615,0°-ს, ხოლო ეფექტური ტემპერატურისა—1131,4°-ს უდრის, საშუალო 33,4-ის გადახრით.

შემოდგომის ქერის ლაგოდების „ოთხმწკრივის“ ფენოლოგიური მონიტორინგის შესაბამისი ეფექტური ტემპერატურებით მოცემულია მე-8 ცხრილი (ტაბულა №8).

შემოდგომის ქერის ლაგოდების „ოთხმწკრივის“ ფენოლოგიური მონიტორინგის შესაბამისი ეფექტური ტემპერატურებით

ფენოფაზები	ფენოფაზების თარიღები	შესაბამისი საშუალო ეფექტური ტემპერატურები (C°)
თესვა	20/X	160,1
სრული აღმოცენება	8/XI	31,0
მარტოების დასაწყისი	26/XI	374,5
სრული დოთავაობა	3/V	418,0
ბაზი სიმწიფე	1/VI	163,3
სრული სიმწიფე	8/VI	48,6
მოსავლის აღება	11/VI	ეფექტურ ტემპერატურათა ჯამი 1131,4

უდიდესი ფენოთარიღის გადახრა აღინიშნება აღმოცენების პერიოდში და აღწევს +35 დღეს, უმცირესი კი 1 დღეს არ აღემატება ბაზი სიმწიფის ფაზაში. ამ რაიონში გავრცელებული სიინდის ჯიშის „კრუგკორნის“ სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა და ეფექტურ ტემპერატურათა ჯამები მოცემულია მე-9 ცხრილში.

ცხრილი 9

ქართული „კრუგის“ ფენოფაზების მონიტორინგის შესაბამისი ეფექტური ტემპერატურებით

ფენოფაზები	ფენოფაზების თარიღები	შესაბამისი საშუალო ეფექტური ტემპერატურები (C°)
თესვა	25/IV	85,9
სრული აღმოცენება	10/V	684,9
მარტოები ყვავილობა	8/VII	732,6
სრული სიმწიფე	25/VIII	212,6
მოსავლის აღება	8/IX	ეფექტურ ტემპერატურათა ჯამი 1715,6

ქართული „კრუგის“ სავეგეტაციო პერიოდი ლაგოდებში შეადგენს 121 დღეს, საშუალოდ 10 დღის გადახრით.

აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ამ ჯიშის ზრდა-განვითარებისათვის შეადგენს 2420°-ს, ხოლო ეფექტურისა—1716,6°-ს უდრის, საშუალოდ 87,9° გადახრით. უდიდესი ფენოთარიღის გადახრა ამ კულტურისათვის დადებითი 23 დღეა სრული სიმწიფის დროს, უმცირესი ყვავილობის ფაზაში ერთ დღეს არ აღემატება.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ხასიათდება დახურული რელიეფით. ის ჩრდილოეთით შემოფარგლულია კავკასიონის ქედით. აქ ჰავა ზომი-



ერად კონტინენტურია. ზუფხულის თვეები გამოირჩევა შედარებით მომარტოვებული ტემპერატურული რეჟიმით, მიუხედავად ადგილის შედარებით მაღალ მდებარეობისა, ეს უნდა აიხსნას სამხრეთ ექვაპოზიციის მაღალი ინსოლაციის მთის ფერდობებზე გამოხატულია ვერტიკალური ზონალობა. აღნიშნულ პირობებში ნალექის რაოდენობა საქმარისი არ არის სას-სამ. კულტურების ზრდა-განვითარებისათვის.

დოც. კ. კელეჩერიძის შეხედულებით ცხინვალის ქვეზონა ზომიერი თბილი ჰაერით ხაიათდება, მაგრამ მისი დაბლობი ნაწილი მაღალი თბიერებისა და აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3500°-ა; აღინიშნება ხანგრძლივი გვალვიანობის პერიოდი, რომელიც საშუალოდ 115 დღეს შეადგენს, ამის გამო კულტურები მოითხოვენ მორწყვას. ნალექების უდიდესი რაოდენობა ზაფხულის თვეებზე მოდის. ნალექების წლიური ჯამი შეადგენს 507 მილიმეტრს.

ცხრილი 10

მოსული ნალექების საშუალო რაოდენობა (მმ) ცხინვალში

ცხრეული	სამალე ზღვის დონე (მ)	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	ჯამი
	362	27	37	45	44	66	56	44	39	34	31	44	41	507

აღნიშნულ რაიონში შემოდგომის ხორბლის გავრცელებული ჯიშია „ქართლის დოლი“, რომლის სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა შეადგენს 118 დღეს, საშუალოდ 8 დღის გადახრით. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ამ ჯიშის ზრდა-განვითარებისათვის, როდესაც ჰაერის ტემპერატურა საშუალოდ 5°-ს აღემატება შეადგენს 1811,2°-ს, ხოლო ეფექტური ტემპერატურისა 1221,2° უდრის, საშუალოდ 23,4°-ის გადახრით. ფენოთარიღის უარყოფითი გადახრა შემჩნეულია აღმოცენების პერიოდში და შეადგენს 32 დღეს, ხოლო უმცირესი დათავთაეების ფაზაში 1 დღეს არ აღემატება.

ცხინვალის ქვეზონაში შემოდგომის ხორბლის „წითელი დოლის“ ფენოფაზების ნორმები შესაბამისი ეფექტური ტემპერატურათა ჯამით მოცემულია მე-11 ცხრილში.

ცხრილი 11

ფენოფაზები	ფენოფაზების თარიღები	შესაბამისი საშუალო ეფექტური ტემპერატურები (C°)
თხევა		
სრული აღმოცენება	1/XI	49,8
პარტოების დასაწყისი	18/XI	63,0°
სრული დათავთაეება	9/XII	442,2
ბაზი სიმწიფე	3/VI	466,3
სრული სიმწიფე	8/V II	134,2
მოსავლის აღება	11/V II	55,2
	26/V II	1221,2

ცხინვალის რაიონში გავრცელებული ადგილობრივი გაზაფხულის ჭერის „ახალთესლი“-ს სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 82 დღის ტოლია. შეულოდ 6 დღის გადახრით: ჩვენ მიერ გამოანგარიშებულია ფენოლოგიური მინიმუმით აქტიური ტემპერატურის ჯამი, ამ ჯიშის ზრდა-განვითარებისათვის როდესაც ჰაერის ტემპერატურა საშუალოდ 5°-ს აღემატება, რომელიც შეადგენს 1546,6°-ს, ხოლო ეფექტური ტემპერატურისა 1131,5°-ს უდრის. საშუალოდ 22,0°-ის გადახრით.

უარყოფითი გადახრა ფენოთარიღისა შემჩნეულია აღმოცენების პერიოდში და შეადგენს 45 დღეს, ხოლო უმცირესი დათავთაგების ფაზაში ერთ დღეს არ აღემატება.

ცხინვალის ქვეზონაში გაზაფხულის ჭერის „ახალთესლის“ ფენოფაზების ნორმები შესაბამისი ეფექტურ ტემპერატურათა ჯამით მოცემულია მე-12 ცხრილში.

ცხრილი 12

ფენოფაზები	ფენოფაზების თარიღები	შესაბამისი საშუალო ეფექტური ტემპერატურები (C°)
თესვა	10/IV	67,3
სრული აღმოცენება	25/IV	116,0
პარტოების დასაწყისი	9/V	427,6
სრული დათავთაგება	19/VI	337,7
ბაზი სიმწიფე	10/VI	6,3
სრული სიმწიფე	16/VII	96,3
მოსავლის აღება	22/VII	ეფექტურ ტემპერატურათა ჯამი 1131,6

доц. Т. МГЕЛАДЗЕ

ФЕНОЛОГИЧЕСКИЙ КАЛЕНДАРЬ ПОЛЕВЫХ ЗЕРНОВЫХ КУЛЬТУР ПО НЕКОТОРЫМ РАЙОНАМ ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ

Резюме

В социалистическом сельском хозяйстве прогноз сроков наступления фаз развития сельскохозяйственных культур, имеет сугубо научное и производственное значение, а в особенности для предсказания начала колошения и восковой спелости озимой пшеницы, для низменных и равнинных районов Грузии, где после уборки пшеницы высеваются пожнивные культуры. И в виду того, что посев пожнивных культур следует проводить в весьма сжатые сроки, то по этому фенологический прогноз начала уборки пшеницы дает возможность предварительно (на 20—30 дней раньше)

запланировать сроки проведения сева пожнивных культур. Как известно, один из способов фенопрогноза базируется на среднем интервале между данной фенологической фазой и прогнозируемой фазой, следовательно, для такого фенологического прогноза знание средней многолетней продолжительности межфазных периодов, весьма необходимо. И именно средний фенологический календарь в нижеприведенных таблицах по озимой пшенице, яровому и озимому ячменю и кукурузе даны в виде средних интервалов в днях между отдельными фенологическими фазами. Для отдельных межфазных периодов даются соответствующие суммы эффективных температур.

დავითიანი ლიტერატურა

1. Декапрелевич А. А. — Особенности главнейших экотипов пшениц Грузии возделываемых осенью. Тр. Груз. СХИ, т. III, 1941 г.
2. Келенджеридзе К. Б. — Климат основных районов культуры пшеницы в Грузии. Тезисы доклада на II-ой научной сессии Отд. с/х наук АН ГССР, 1943.
3. Менабде В. А. — Пшеницы Грузии, АН ГССР, 1948.
4. Руденко А. И. — Определение фаз развития с. х. растений, М. О. П., 1950.
5. Селянинов Г. Т. — Требования пшеницы к климату. Тр. по прикладной ботанике, т. 32, в. 2, 1960.
6. Сельскохозяйственная гидрометеорология (Агрогидрометеорология) под общей редакцией проф. А. В. Феодорович. М. — А., 1938.
ჩატარებული ცდებით, თეთრი აკაციის მერქნის მიერ წყლისა და წყლის აირების შთანთქმა დროის მიხედვით თანაბრად არ მიმდინარეობს—პირველ ოთხ საათში შთანთქმება მთელი შთანთქმული წყლის დაახლოებით 65—66%, ურწყავი და სარწყავი პირობებისათვის ამ მარცხ განსხვავება უმნიშვნელოა.

უნდა აღინიშნოს, რომ წყლის შთანთქმა თითქმის წყდება 30—35 დღის შემდეგ. ამ დროისათვის შთანთქმულია წყლის 79,3 და 82,0%, რის შედეგად მატება უმნიშვნელოა.



მექანიკური თვისებებიდან შევისწავლეთ კუმშვა გრძივი და განივი მიმართულებით, სტატკური ლუნვა, ახლგა ტანგენტალური მიმართულებით და სიწყარე სავიე მიმართულებით. ტანგენტალური მიმართულების ზღვარი 17% ტენიანობისას და სათანადო კოეფიციენტების გამოყენებით გადავიყვანეთ ტენიანობის 15%-ის პირობებისათვის (ცხრ. 11.). კუმშვის დროს დეფორმაციის ხასიათი აისახა რღვევაში ბოჭკოების გაღუნვით. რღვევის ხაზი ბოჭკოებთან ქმნის 60—65° კუთხეს.

ცხრილი 11

თეთრი აკაციის მერქნის სიმტკიცის ზღვარი კუმშვის დროს (კგ/სმ²) 15% ტენიანობის პირობებში

კუმშვის მიმართულება	სიმტკიცის რაოდენობა	რყვეალობა		M	±δ	±m	V%	P%
		max	min					
სარწყავზე								
ბოჭკოების გასწვრივ . . .	25	765	670	690	59,7	11,95	8,64	1,73
ბოჭკოების განივად . . .	"	168	124	150	16,1	3,22	9,70	2,16
ტანგენტალური მიმართულებით . . .	"	160	129	130	12,5	2,50	9,60	1,88
რადიალური მიმართულებით . . .	"							
ურწყავზე								
ბოჭკოების გასწვრივ . . .	25	830	269	772	84,2	18,5	10,9	2,18
ბოჭკოების განივად ტანგენტალური მიმართულებით . . .	"	198	150	170	14,4	2,88	8,45	1,86
რადიალური მიმართულებით . . .	"	194	140	147	12,7	2,54	8,64	1,96

პროპორციულობის ზღვარი კუმშვის დროს განივი მიმართულებით ხასიათდება შედარებით მაღალი მაჩვენებლებით, ამასთან იგი უფრო მაღალია ტანგენტალური მიმართულებით რადიალურთან შედარებით.

შედარებით სხვა მერქნიან ჯიშებთან, თეთრი აკაციის მერქნის შემთხვევაში, დეფორმაციის ცვალებადობის გამომხატველი შრული უფრო მკვეთრია.

როგორც მე-12 ცხრილიდან ჩანს ტანგენტალური მიმართულებით სიმტკიცე პროპორციულობის ზღვართან მეტია ორივე შემთხვევაში, ვიდრე რადიალური მიმართულებით (სარწყავში—15,4%, ურწყავში—13,6%).

თუ 100%-ად მივიჩნევთ სიმტკიცის ზღვარს გრძივი მიმართულებით, მაშინ სიმტკიცე პროპორციულობის ზღვართან კუმშვის დროს განივი მიმართულებით შეადგენს: სარწყავი პირობებისათვის—ტანგენტალური მიმართულებით 20,8%-ს და რადიალური მიმართულებით 18,9%-ს ხოლო ურწყავი პირობებისათვის შესაბამისად, 22,0% და 19,1%-ს. ამ მხრივ ურწყავ პირობებში თეთრი აკაციის მერქანი იძლევა უფრო მაღალ მაჩვენებლებს: ბოჭკოებ-



ბის გასწვრივ 11,8%-ით, ხოლო ტანგენტალური და რადიალური მიმართულებით 13,0%-ით მეტს.

ესი დავაყენეთ აგრეთვე ახლჩაზე რადიალურსა და ტანგენტალურს (სტ. 13).

სარწყავი და ურწყავი პირობებისათვის ახლჩის დროს თეთრი აკაციის მერქნის სიმტკიცეში განსხვავება უმნიშვნელოა: რადიალური მიმართულებით საშუალო მონაცემები ერთი და იგივეა, ხოლო ტანგენტალური მიმართულებით სხვაობა აღწევს მხოლოდ 4,5%-ს, ორივე შემთხვევისათვის სიმტკიცის ზღვარი ტანგენტალური მიმართულებით მეტია, ვიდრე რადიალური მიმართულებით: სარწყავისათვის 11,3% ით, ხოლო ურწყავისათვის—11,7%-ით.

ცხრილი 13

თეთრი აკაციის მერქნის სიმტკიცის ზღვარი ახლჩის დროს (კვ/სმ²) 15% ტენიანობის პირობებში

ახლჩის მიმართულება	სტანდარტული გადახრა	რყევადობა		M	± δ	± m	V%	P %
		max	min					
სარწყავი								
რადიალური	25	211	150	217	20,9	4,20	9,64	1,93
ტანგენტალური	"	277	186	243	21,8	4,35	8,98	1,79
ურწყავი								
რადიალური	25	248	180	217	19,8	3,96	9,10	1,82
ტანგენტალური	"	282	187	254	26,4	5,28	10,4	2,08

როგორც ცნობაა, სხვადასხვა ჯიშისათვის ხლჩისა და გრძივი მიმართულებით კუმშვის ზღვრების დამოკიდებულება საშუალოდ გამოიხატება ფარდობით 1/6—1/8-მდე. თეთარი აკაციის მერქნის შემთხვევაში ჩვენ მიერ მიღებული მონაცემებით ფარდობა ასეთია:

$$\text{სარწყავი პირობებისათვის } \frac{1}{3,6} \text{ და}$$

$$\text{ურწყავი პირობებისათვის } \frac{1}{6,0}$$

მიღებული მაღალი მაჩვენებლები ახლჩაზე, ჩვენი აზრით, აიხსნება თეთრი აკაციის მერქნის დიდი სიბლანტით.

სიმტკიცის ზღვარი ღუნვას დროს ურწყავი პირობებისათვის სარწყავთან შედარებით მაღალია 8—9%-ით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ურწყავი პირობებისათვის მიღებულ მონაცემთა სიდიდეებში რყევადობა მეტია, ვიდრე სარწყავი ადგილებიდან აღებული მერქნის შემთხვევაში. სიმტ-

ღუნვის მიმართულება	ნაწილის რადიუსი	რყევადობა		M	± δ	± m	V%	P%
		max	min					
ურწყავი								
ტანგენტალური	16	1520	1440	1490	145	36,2	9,80	2,42
სარწყავი								
ტანგენტალური	16	1789	1270	1600	209	52,2	13,1	3,27

კიციის ზღვარი ღუნვის დროს მეტია კუმშვის სიმტკიცის ზღვარზე (გრძივი მიმართულებით):

ურწყავისათვის—2,07—ჯერ

სარწყავისათვის—2,17—ჯერ.

ჩვეულებრივ სხვა ჯიშებისათვის, მაგალითად,
მუხისათვის 2,0—ჯერ.

წიფლისათვის—2,1—ჯერ.

ფიჭვისათვის—1,9—ჯერ და ა. შ.

ამგვარად თეთრი აკაციის მერქანი შეიძლება მივაკუთვნოთ ღუნვი-სადაში წინააღობის მხრივ მაღალი მაჩვენებლების მქონე მერქნიან ჯიშთა ჯგუფს.

თეთრი აკაციის ნიმუშის რღვევის ხასიათი ღუნვის დროს გვიჩვენებს, რომ მისი მერქანი მაღალი ხარისხისაა.

პერელიგინის კლასიფიკაციით, თეთრი აკაციის მერქანი კუმშვისა და ღუნვის დროს თავისი სიმტკიცის სიდიდებით შეიძლება მივაკუთვნოთ ძალიან მტკიცე მერქნის მქონე ჯიშების ჯგუფს, რომელთათვისაც ამ მაჩვენებლების ჯამი აღემატება 1600 კგ/სმ²-ს.

(ურწყავი პირობებისათვის სიმტკიცის ზღვარი ტოლია:

$772 \text{ კგ/სმ}^2 + 1600 \text{ კგ/სმ}^2 = 2372 \text{ კგ/სმ}^2$, სარწყავისათვის: $690 \text{ კგ/სმ}^2 + 1490 \text{ კგ/სმ}^2 = 2180 \text{ კგ/სმ}^2$).

პირობითი დრეკადობის მოდული ჩვენ მიერ განსაზღვრული იყო სტატკური ღუნვის დროს მიღებული მაჩვენებლების (ცხრ. 15) საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თეთრი აკაციის მერქანი საერთოდ ხასიათდება შედარებით მაღალი დრეკადობის მოდულით, ურწყავი პირობებისათვის იგი 8%-ით მეტია სარწყავთან შედარებით.

გარდა ამისა, ჩვენ განსაზღვრეთ იმავე მიმართულებების სიმყარე. სიმყარის სიდიდელ მიღებული გეგონდა ის ძალა, რომელიც საჭირო იყო 11,28 მმ დიამეტრის მქონე ლითონის ნახევარსფეროს შეჭრისათვის ნიმუშში თავისი რადიუსის სიდიდის სიღრმეზე, ამასთან დატვირთვა წარმოებდა თანაბარი

თეთრი აკაციის შერქნის პირობითი დრეკადობის მოდული სტატისტიკური ცენტრის დროს კვ/სმ² 15% ტენიანობის პირობებში

მიმართულება	ნიმუშის რაოდენობა	რყევადობა		M	±ზ	m	V %	P %
		max	min					
ხარწყავი								
ტანგენტალური	16	136,000	102,500	116,000	12,000	3,000	10,5	2,62
ურწყავი								
ტანგენტალური	16	151,000	106,500	125,700	17,000	4,250	14,1	3,52

სინქარით-ორი წუთის განმავლობაში (ცხრ. 16). ამ შემთხვევაში ურწყავი პირობებში აღებული შერქანი ხასიათდება უფრო მაღალი მაჩვენებლებით, ვიდრე ხარწყავში (15%-ით).

საყურადღებოა, რომ სიმყარე სამივე მიმართულებით ნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ იგი შედარებით მეტია ბოქვების გრძივი, ე. ი. ტორსული მიმართულებით, ვიდრე ტანგენტალური და რადიალური მიმართულებით.

ცხრილი 16

თეთრი აკაციის შერქნის სიმყარე კვ/სმ² 15% ტენიანობის პირობებში

მიმართულება	ნიმუშის რაოდენობა	რყევადობა		M	±ზ	± m	V %	P %
		max	min					
ხარწყავი								
ბოქვების გასწვრივ	16	1120	780	850	112,5	28,1	13,2	3,30
ტანგენტალური	"	840	747	764	64,2	16,0	8,4	2,10
რადიალური	"	822	722	763	52,6	13,1	6,4	1,72
ურწყავი								
ბოქვების გასწვრივ	16	1015	928	980	96,5	24,1	9,85	2,46
ტანგენტალური	"	974	884	943	54,8	23,7	10,0	2,50
რადიალური	"	1045	872	962	114,0	28,5	12,6	3,15

პერელიგინის კლასიფიკაციით, თეთრი აკაციის შერქანი სიმყარის მიხედვით შეიძლება მივიკუთვნოთ ძალიან მყარ შერქნიან ჯიშთა ჯგუფს, რომელთა სიმყარე აღემატება 750 კვ სმ²-ს.

წარმოების ზოგიერთი დარგისათვის უპირატესობა ეძლევა ისეთ შერქანს, რომელსაც ახასიათებს შედარებით მაღალი მექანიკური თვისებები და



მცირე მოცულობითი წონა. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა შერჩენის სისტემის დადგენა ვაჭარშობით ერთდროულად მისი მოცულობითი სიმკვრივის სინტეზის მიხედვით სხვადასხვა დატვირთვის პირობებში, რესპონსივობის წარმოებს ხარისხის კოეფიციენტით.

აღნიშნული კოეფიციენტი წარმოადგენს შეფარდებას სინტეზის ზღვარის სიდიდებზე მოცულობით წონას შორის (ცხრ. 17).

ცხრილი 17

თეთრი აკაციის შერჩენის ხარისხის კოეფიციენტები ნიმუშის სხვადასხვა დატვირთვის მიხედვით

ზრდის პირობები	ხარისხის კოეფიციენტები				
	კუმულაციური წონა-ტონაზე	აბლენის დროს		ლუნვის დროს	სიმყარე ტონაზე-ლინიარულ-ლუნისას
		ტანგენტ-მიმართ	რადიალ-მიმართ	ტანგენტალური მიმართულება	
სარწყავი	797	250	281	1710	984
ურწყავი	904	254	298	1880	1150

შიღებული მონაცემებით, თეთრი აკაციის შერჩენის ხარისხის კოეფიციენტი შედარებით მაღალია ურწყავ პირობებში, ვიდრე სარწყავში.

ამრიგად, თეთრი აკაციის შერჩენი ხასიათდება მოცულობითი წონისა და სინტეზის ზღვრის მაღალი მაჩვენებლებით კუმშვის, აბლენის, ლუნვისა და სიმყარის მხრივ, ამიტომ 18—20 წლის ხნოვანების თეთრი აკაციის შერჩენის გამოყენება შეიძლება კობიტის ან მუხის შედარებით მეტი ხნოვანების შერჩენასთან ერთად.

Канд. биол. наук А. БЕРОЗАШВИЛИ

ФИЗИКО-МЕХАНИЧЕСКИЕ СВОЙСТВА ДРЕВЕСИНЫ БЕЛОЙ АКАЦИИ

Резюме

Полевые работы проводились в 1957 году на территории Гардабанского лесхоза ГССР, где культура белой акации заложена как на поливных, так и на неполивных участках. Изучение физико-механических свойств древесины белой акации проводилось на образцах древесины, взятых с обоих участков, на глубокой, супесчанной почве, возраст культуры 19 лет.

На основе проведенной работы можем сделать следующие выводы:

- 1) объемный вес древесины белой акации, взятой с поливного уча-



стка в среднем равен $0,867 \text{ кг/см}^3$ и с неполивного участка $0,854 \text{ кг/см}^3$, по Перельгину, она может быть отнесена к группе очень тяжелых пород, для которых объемный вес выше $0,760 \text{ г/см}^3$. Среднее количество годовых слоев в 1 см для древесины исследуемой породы с неполивного участка составляет 1,82, а с поливного 1,25. А содержание поздней древесины в годовом слое мало отличается друг от друга: в первом случае оно равно 82,2%, а во втором 87,0%.

2) По коэффициенту объемной усушки древесина белой акации (по Ванину), может быть отнесена к группе древесных пород со значительно усыхающей древесиной. Коэффициент объемной усушки составляет I¹ 0,690 и II² 658.

3) Влагопоглощение достигло своего максимального значения на 65 сутки, а водопоглощение на 70 сутки.

Влагопоглощение равно было, для обоих случаев, 22,76%, водопоглощение же 82,0% для образцов, взятых с поливного участка и 79,0% с неполивного (% взяты по отношению к абсолютно сухому весу взятых образцов древесины).

Влаго и водопоглощение, в зависимости от времени, для обоих случаев изменяется по кривой параболического вида. При этом, значительно медленный и постепенный темп увеличения влажности наблюдался при влагопоглощении, тогда как при водопоглощении в течении первых же суток влажность составляла 65—66% от максимального количества поглощенной влаги, в дальнейшем происходило сравнительно медленное нарастание влажности и параболическая кривая переходила в прямую, почти параллельную абсциссе системы координат.

4) Влажность в свежесрубленном состоянии древесины белой акации изменяется как по радиусу, так и по высоте ствола. По мере приближения к кроне влажность увеличивается: для образцов, взятых с поливного участка с 40,7% до 63,9% для центральной части ствола и с 56,4% до 66,9% для периферической его части. И соответственно, для неполивного участка с 37,8% до 42,9% и с 57,1% до 65,8%.

5) Показатели механических свойств древесины белой акации получены сравнительно высокие, так:

а) Предел прочности при сжатии вдоль волокон составляет: I—690 кг/см² и II—722 кг/см²;

б) Предел пропорциональности при сжатии в тангентальном направлении I—150 кг/см² и II—170 кг/см²; в радиальном направлении — 130 кг/см² и II—147 кг/см².

¹ Древесина с поливного участка.

² Древесина с неполивного участка.

в) Если принять за 100% предел прочности при сжатии вдоль волокон, то для образцов, взятых с поливного участка предел пропорциональности при сжатии в тангентальном направлении составляет 20,8% и в радиальном 18,9%, тогда как для неполивного эти показатели равны 22% и 19,1%;

г) Предел прочности при скалывании в радиальной плоскости составляет: I—217 кг/см² и II—217 кг/см²; в тангентальной плоскости I—243 кг/см² и II—254 кг/см²;

д) Предел прочности при статическом изгибе поперек волокон составляет: I—1490 кг/см² и II—16000 кг/см²;

По классификации Перельгина, древесина белой акации по своим суммарным показателям пределов прочности на сжатие и на статический изгиб может быть отнесена к группе пород, обладающих очень прочной древесиной.

ж) Торцовая твердость достигает I—850 кг/см² и II—980 кг/см² древесина белой акации по классификации Перельгина может быть отнесена к группе пород с очень твердой древесиной.

Интересно отметить, что боковая твердость ее также дает высокие показатели и мало отличается от торцовой твердости.

Как видно из вышеприведенных результатов исследований, полив почти не оказывает влияние на показатели основных физических и механических свойств древесины белой акации, но в некоторых случаях, как например, при сжатии, показатели свойств древесины, взятой с неполивного участка, выше чем для древесины с поливного; например, предел прочности при сжатии вдоль волокон на 11,8% при сжатии и в тангентальном направлении—на 13% и при статическом изгибе поперек волокон около 8%.

Как видно из результатов проведенной работы, древесина белой акации, даже в возрасте 19 лет, может быть использована наравне с древесиной таких пород, как дуб, ясень, бук и др. значительно старшего возраста.

დაბმვის შედეგები და დასკვნები

1. ჩუბინაშვილი ი. ი.—ფერენის ხარვეზი, I ნაწ. თბ., 1951
2. В а н и С. И.—Древесиноведение, М., 1949.
3. В и х р о в В. Е.—Диагностические признаки древесины. АН СССР, М., 1949.
4. ГОСТ 4631-49. — Показатели физических свойств древесины. М., 1949.
5. ГОСТ 6336-52—Испытание физико-механических свойств древесины, М., 1952.



6. Иванов Ю. М. и Баженов В. А.—Исследование физических свойств древесины. АН СССР, М., 1949.

7. Перельгин Л. М.—Древесина малоизученных пород. М., 1952.

8. Перельгин Л. М.—Древесиноведение. Гослесбумиздат. Журнал «Лесная наука», 1957.

9. Яценко-Хмелевский А. А.—Древесины Кавказа. Изд-во АН Армянской ССР. Ереван, 1954.





ტექ. მეცნ. დოქტორი ნ. ბელაშვილი


შამპანურის წარმოების რაციონები და საშამპანურა ვაზის ჯიშები საქართველოში

საქართველოში შამპანური პირველად XIX საუკუნის 40-იან წლებში ვინმე ლენცს დაუმზადებია კახეთში (სოფ. რუსიპირში) და ღვინომასალად ადგილობრივი ვაზის ჯიშები რქაწითელი, მწვანე და ხისვი (იგივე ჯანანურა) გამოუყენებია. 1876 წ. ქ. ქუთაისში შოტეს პატარა სარდაფი აუგია, უცხოეთიდან სპეციალისტი მოუწვევია და იმერული ვაზის ჯიშებიდან—ციცქადან, ცოლიკურიდან და აგელშავიდან შამპანურის დამზადება დაუწყო, რაც წელიწადში 2000 ბოთლს აღწევდა. შემდეგში ეს სარდაფი პრინც ოლდენბურგისკის შეუსყიდა, გაუფართოვებია და მზაროდუქციის რაოდენობა წლიურად 60.000 ბოთლამდე გაუზრდია. შამპანურის დამზადებლად მას ფრანგი სპეციალისტი ტიებო მოუწვევია. ოლდენბურგისკი შამპანურისათვის ძირითადად იყენებდა იმერეთში (კიკნაველეთში, ზეგანსა და დიშში) დამზადებულ ღვინომასალებს და კუბაჟში შექმნიდა სოფელ თამარაშენში (ცხინვლის მაზლიდან) მიღებული ღვინომასალები.

შამპანურის კარგ მცოდნეს ტიებოს რეინიგზის სადგურ რიონიდან 12 კმ-ის დაშორებით, საკუთარ მამულ „კლოფგურულში“ გაუშენებია საკოლექციო ნაკვეთი 80-მდე ვაზის ჯიშით. მას მთავე დროს შამპანურისათვის ვარგისი ღვინომასალების გამოსავლინებლად ცდები უწარმოებია იმერეთის სხვადასხვა რაიონში გავრცელებულ ვაზის ჯიშებზეც. 1900 წ. საქართველოში მოწყობილ გამოფენაზე ტიებოს შამპანურს მაღალი ჯილდოები მიუღია. მღვინეობის დიდ მცოდნეს და ენათუხიასტს ლ. გოლიცინს ტიებოს მიერ წარდგენილი შამპანური ღვინოებისათვის მაღალი შეფასება მიუცია და ხარისხით ყირიმის შამპანურ ღვინოებზე მაღლა დაუყენებია.

ადგილობრივი ვაზის ჯიშების გარდა ტიებოს საკუთარ მამულში შამპანური დაუმზადებია პინო მენიე, პინო შარდონე და ალიგოტე დან მიღებული ღვინომასალებიდანაც.

ამავე პერიოდში საუფლისწულო უწყებას სოფელ ვაქევეში (სადგურ შორაპნის მაზლიდან) უყვე საკმაოდ რეკომენდებული საშამპანურე ვაზის ჯიშები, ხოლო სოფელ დიშში (მაიაკოვსკის რაიონი) ს. მაჭავარიანს 40-მა-ზე პინო შავი გაუშენებია მისგან და დამზადებულ ღვინომასალას ხელშეკრულებით აბრაუ-დიურსოს ღვინის ქარხანას აბარებდა.



1906 წ. ძებნა ანაწილებდა სოფელ ვარციხეში საკმაო ტევადობის საო-
დაფი ააგეს და 1908 წლიდან შამანურის გამოწვევა დაიწყეს. 1908-1910
30-40 ათასი ბოთლის რაოდენობით. მათ ხელი შეუწყეს ანტიფორმალური
ლობივ გლეხებს შოისის სამამანურე ვაზის ჯიშების—ბანოსა და მარდონის
გავრცელებას.

XIX საუკუნის ბოლოს აღმოსავლეთ საქართველოში შამანურის წარმო-
ებას ხელი მიჰყო ი. ბაგრატიონ მუხრანელმა, რომელიც საამისოდ წირითადად
იყენებდა საკუთარი მამულის მოსავალს და წლიურად 20-30 ათასი ბოთლი
შამანური გააჭონდა როგორც თბილისის ბაზარზე, ისე რუსეთის სხვადასხვა
ქალაქში. ი. ბაგრატიონ მუხრანელის შამანური იმდენად მაღალხარისხოვანი
ყოფილა, რომ მას მოსკოვის გამოყენებაზე უმაღლესი ჯილდო მიეცა. ცოტა
მოგვიანებით უკვე საუფლისწულო უწყება მუხრანის მეურნეობაში ალიგორტე-
დან, მარდონედან და რქაქათელიდან დამზადებულ ღვინომასალებებს საკმაოდ
დიდი რაოდენობით აბრუნდნენ ქარხანაში აგზავნიდა.


ყველა ხეშოსენებული წამოწყება შამანურის წარმოებაში მეფისდრო-
ინდელ რუსეთში ვერ პოულობდა განვითარებას, რადგან სხვა ხელშემშლელ
მიზეზთა შორის ადგილობრივი ნედლეული, რომლისგანაც შამანურს ამზა-
დებდნენ, შესწავლელი იყო, სამამანურე მუხრანის მეურნეობაში კი ცალზე
უბინიზებელი დიკობადნენ წარმოებაში. გარდა ამისა, იმ ადგილებში, სადაც სა-
შამანურე ვაზის ჯიშის აწეზდნენ, ანგარიშს არ უწყებდნენ ადგილობრივ ბუ-
ნებრივ პირობებს. ყოველივე ამის გამო შამანური ღვინის ხარისხი დაბალი
იყო და, მცირე გამოყენების გამო, ვერ აკმაყოფილებდა მომხმარებლის
წოთსოვნილებას.

პირველი მსოფლიო ომისა და მენშევიკების ბატონობის ხანმოკლე პე-
რიოდში ძლიერ დაკნინდა და დაქვეითდა საერთოდ მევენახეობა-მეღვინეობა-
ჩვენში, ხოლო შამანური ღვინის წარმოება სრულიად შეწყდა.

შამანურის წარმოებას საქართველოში ფართო საწარმოო ხასიათი მიე-
ცა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში და განსაკუთრებით სსრ კავ-
შირის სახკომსაბჭოსა და საკ. კბ (ბ) ცკის 1936 წლის 28 ივლისის და დგე-
ნილების „საბჭოთა შამანურის, სადესერტო და სუფრის (მასანდრა) ღვინო-
ების წარმოების შესახებ“ ცხოვრებაში ვატარების შემდეგ. ჩვენში შეიქმნა შამ-
ანურის წარმოების მტკიცე მატერიალური ბაზა. გაშენდა ახალი ვენახები
შამანურისათვის განკუთვნილი ვაზის ჯიშების გაუჯლისწინებით, აიგო თბი-
ლისის შამანური ღვინის ქარხანა, აიგო ან რეკონსტრუქცია გაუქვთადა პირ-
ველადი მეღვინეობის რიგ ქარხნებსა და სხვ.

მაღალხარისხოვანი შამანურის დასამზადებლად მეტად მნიშვნელოვანია
საამისოდ გამოყენებული ღვინომასალების ღირსება. ვაზის ყველა ჯიში არ
იძლევა შამანურის წარმოებისათვის ვარგის ღვინომასალებს. შამანურის
მწარმოებელ ყველა ქვეყანაში და მათ შორის ჩვენშიც საამისოდ გამოიყენე-
ბა მხოლოდ განსაზღვრული ვაზის ჯიშებიდან მიღებული ღვინომასალები.

საქართველოში სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების რეკომენდაციის
და პრაქტიკული დაკვირვებების საფუძველზე სამამანურე ღვინომასალების



დასამზადებლად დაშვებულია ვაზის შემღვრი ჯიშები: პინო შავი, პინო გრი-
 თი, შარდონე, ალიგატე, ციკუა, ჩინური, გო-ული მწვანე, ჭვინვენი, შავი
 შავი და თეთრი კაპისტონი. მთელ რიგ მიკრორაიონში და შუა ქართლში ხ.რისხოვან
 ღვინომასალებს წარმოებისათვის იძლევა აგრეთვე
 რქაწითელი. მაგრამ იგი სტანდარტულ ასორტიმენტში არ არის შეტანილი.

რიგი წლების მანძილზე (1944-1952 წწ.) ჩვენ ვმუშაობდით ღვინვისეო-
 ბა-მეღვინეობის საკავშირო საშემკვრიო-კვლევითი ინსტიტუტის „მაგარაჩი“-ს
 ა/კ ფილიალში, სადაც ვსწავლობდით იმერეთისა და ქართლის რაიონებში
 შამანურის წარმოებისათვის საუკეთესო ვაზის ჯიშებს და მიკრორაიონებს.
 ამავე საკითხზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ: კ. მოდებაცე, მ. რამიშვილი,
 დ. ტაბიცი, გ. ბერიძე, ა. სირბილაძე, ვ. კინწურაშვილი და სხვ. გამოქვეყნდა
 მრაველი სარტერუსო წრომა, ამასთან შამანურის წარმოების დარგში დაგ-
 როვდა მნიშვნელოვანი მასალა. ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება შამ-
 პანურისათვის მაღალხარისხოვანი ღვინოების წარმოების რაიონებისა და ვა-
 ზის ჯიშების დახასიათება.


ამჟამად საქართველოში შამანურისათვის ღვინომასალების დაზადება
 ძირითადად წარმოებს ქართლში (მცხეთის, კასპის და გორის ადმინისტრა-
 ციულ რაიონებში) და ზემო და შუა იმერეთში (ორჯონიკიძის, ზესტაფონის,
 თერჯოლის, კიათურისა და საჩხერის რაიონებში).

შუა ქართლი საზრეთ ოსეთითურთ, მეტად ცივრფასი მიკრორაიონია
 მაღალხარისხოვანი შამანური ღვინომასალების დასამზადებლად. ნიადაგური
 და კლმატური პირობები აპირობებენ ამ რაიონებში გავრცელებული შამპა-
 ნური ვაზის ჯიშებთან ერთად მიღებული ღვინომასალების ხარისხს. შუა
 ქართლისა და საზრეთ ოსეთის ეკოლოგიური პირობები მეტად ხელსაყრე-
 ლია საერთოდ მაღალი ლირსების, ევროპული ტიპის სუფრის თეთრი ღვინო-
 ების დასაყენებლად და, კერძოდ მაღალხარისხოვანი შამანურის ღვინომასა-
 ლების მისაღებად.

შუა ქართლში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შამანურისათვის ღვინო-
 მასალები ძირითადად მზადდება მცხეთის, კასპისა და გორის ადმინისტრა-
 ციულ რაიონებში. აქაური ღვინომასალების ნიმუშების მრავალჯერ გასინჯვი-
 სას პროფ. კ. მოდებაცე, რომელიც რიგი წლების მანძილზე ღვინულობდა შო-
 ნაწილეობას „მაგარაჩის“ ინსტიტუტის ა/კ ფილიალის მიერ მოწყობილ დეგუს-
 ტაციებში, მიუთითებდა რა მათ მაღალ ლირსებაზე, ხაზგასმით აღნიშნავდა,
 რომ შუა ქართლი შეუდარებელი მიკრორაიონია შამანურის წარმოებისათვის.
 შუა ქართლში დამზადებული ღვინომასალები გამოიჩენიან სინაზით, მარმო-
 ნიულობით, სიხალისით და შესანიშნავი არომატით. შამანურის კუპაში მათი
 რაუ შედარება მეტი როდენობით გამოყენება მნიშვნელოვანად აუმჯობე-
 სებს პროდუქციის ხარისხს.

შუა ქართლში საზრეთ ოსეთითურთ შამანურისათვის მაღალხარისხო-
 ვანი ღვინომასალებს იძლევა ვაზის ისეთი ჯიშები როგორიცაა: ჩინური, გო-
 რული მწვანე, რქაწითელი, პინო შავი და ალიგატე.

* ჩვენ აქ მხოლოდობაში გვაქვს ღვინვისეობა-მეღვინეობის ზონა.



ჩვენი მრავალწლიური დაკვირვებისა და მრავალრიცხოვანი ლაბორატორული მასალების მიხედვით აღნიშნული ვაზის ჯიშები და მათგან წარმოებული ღვინომასალები, აგრეთვე მზა შამპანური, შემდეგნაირად განსაზღვრება:

ჩინური ვაზის ძირითადი ჯიშია შუა ქართლისა და სამხრეთ ოსეთის რაიონებში. იგი იძლევა შამპანურისათვის მეტად მაღალი ღირსების ღვინომასალას. რიგი წლების მანძილზე გორის ადმინისტრაციული რაიონის (მეჯვრისხევი, ატენი, ხიდისთავი, ახალი უბანი და სხვ.), კასპის ადმინისტრაციული რაიონის (ხანდაკი, ქვემოქალა, კასპი, კოდიწყარო, ალიანი და სხვ.) და მცხეთის რაიონის საგურამოს მუხრანის და მიკრორაიონებში ჩინურიდან დაყენებული საცდელი ღვინის ნიმუშები ლეზულობდნენ საკმაოდ მაღალ შეფასებას—7,5, 7,8 და ზოგჯერ 8,0 ბალსაკვი (8-ბალიანი სისტემას გამოყენებისას) ამავე ჯიშის ვაზისაგან დამზადებული ღვინომასალებიდან მიღებული მზა შამპანური უმეტეს შემთხვევაში ფასდებოდა 9,2—9,5 ბალის ფარგლებში (10-ბალიანი სისტემის გამოყენებისას). ჩინურიდან მიიღება აგრეთვე საუკეთესო ღვინომასალები შუა ქართლისა და სამხრეთოსეთის ისეთ ადმინისტრაციულ რაიონებში, როგორცაა ღუშეთი, ქარელი, ხაშური, ლენინგორი, ცხინვალი და ზნაური.


ჩინური ხარისხოვან ღვინომასალას იძლევა შამპანურისათვის ზემო ქართლის (მესხეთი) ზოგიერთ მიკრორაიონშიც. სადაც ამჟამად ჯეროვანი ყურადღება ეცლევა ვენახების გაშენებას.

ვაზის ჯიში ჩინური მაღალხარისხოვან ღვინომასალებს იძლევა არა მარტო შამპანურის წარმოებისათვის. არამედ მისგან მიიღება აგრეთვე მეტად ნაზი და ხალისიანი ევროპული ტიპის სუფრის თეთრი ღვინო თავისებური ჯიშობრივი თვისებებით გემოზე და სურნელოვანებით. საყურადღებოა ისიც, რომ ჩინური ხასიათდება უზენოსაგლიანობით და დაავადებისადმი გამძლეობით. ამიტომ შუა და ზემო ქართლში, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის რაიონებში ამ მეტად ძვირფასი ვაზის ჯიშის ნარგაობის გაშენებას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

გორული მწვანე ძირითადად გავრცელებულია შუა ქართლსა (გორის, კასპის, მცხეთის, ქარელის, ხაშურისა და ღუშეთის რაიონები) და სამხრეთ ოსეთში (ცხინვალის, ლენინგორისა და ზნაურის რაიონებში). გორული მწვანეს ყურნისაგან მზადდება ნაზი, სასიამოვნო, რბილი, თავისებური ჯიშობრივი არომატის მქონე ღვინო. მისი საცდელი ღვინის ნიმუშები დეგუსტაციაზე ლეზულობდნენ 7,4—7,8 ბალს (8 ბალიანი სისტემით, სარგებლობისას), ხოლო მზა შამპანურის საცდელი ნიმუშები 9,0—9,2 ბალს (10-ბალიანი სისტემის გამოყენებისას).

გორული მწვანე გარდა იმისა რომ შამპანურისათვის იძლევა მაღალხარისხოვან ღვინომასალას, სხვა დანარჩენი კარგი მაჩვენებლების გამო დიდად პერსპექტიულია შუა და ზემო ქართლის და აგრეთვე სამხრეთ ოსეთის მთელ რიგ რაიონებში. ამიტომ აუცილებელია ჯეროვანი ყურადღება მიექცეს გორული მწვანეს ნარგაობის შემდგომ გადიდებას აღნიშნულ რაიონებში.

რკაწითელი. ამჟამად თბილისის შამპანური ღვინის ქარხანაში შამპანურისათვის კუპაეში შეაქვეთ ძირითადად ვაზის ჯიშ ციკქადან მიღებული ღვინომასალები, რადგან ამ მიზნისათვის განკუთვნილი ცნობილი კლასიკური ვა-



ზის ჯიშების თეთრი და შავი პინოების, შარდონესა და ალიგატეს ნარკა-
ობის ფართობა უმნიშვნელოა. ჯერჯერობით მცირეა ჩინურისა მწვანეს ვაზების ნარკაობაც.

ამიტომ შამპანურის კუპაჟში ციკქას ხვედრითი წილი აღწევს 80—85%-ს. შინაარსიან სხეულთან ერთად ციკქასთვის დამახასიათებელია სიმკვეთრე, რაც მას ზოგჯერ პარნონიას უმცირებს. ამიტომ შამპანურის ხა-
როსისს გაუმჯობესებისათვის ყოველი ახალი ჯიშის გამოვლინება დიდი მნიშვნე-
ლობის საქმეა. ჩვენი აზრით, სწორედ ასეთი ვაზის ჯიშია რქაწითელი. იგი ფართო პოპულარობით სარგებლობს არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ჩვენ მიერ წარმოებული დაკვირვებით, შუა ქართლის პირობებში რქა-
წითელიდან მიიღება მეტად ძვირფასი ღვინომასალა ხარისხოვანი შამპანუ-
რის დასამზადებლად. ამასვე ადასტურებენ დ. ტაბიძე, გ. ბერიძე, დ. ნაცვ-
ლიშვილი და სხვ.

რქაწითელი ხარისხოვან ღვინომასალას შამპანურისათვის იძლევა საქარ-
თველოს გარეთაც. ინსტიტუტ „მაგარაჩის“ ა/კ ფილიალში ისწავლებოდა აზერბაიჯანის სხვადასხვა რაიონში შამპანურისათვის რქაწითელიდან დამზა-
დებული ღვინომასალები. წლების მანძილზე მთიანი ყარაბაღისა და კიროვობა-
დის ზონის მთელ რიგ მიკრორაიონებიდან მიღებულ ღვინომასალებს შამპანუ-
რისათვის, დამზადებულს რქაწითელიდან, სადგგუსტაციო კომისია მალალ შეუასებას აძლევდა.

ბ. სტეფანიანი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის აზერბაიჯანში შამ-
პანურის წარმოების განვითარების საქმეში, დიდად აფასებდა კიროვობადის ზონაში რქაწითელიდან მიღებულ ღვინომასალებს და რეკომენდაციას აძ-
ლევდა ბაიან-შირისთან კუპაჟში 5—7%-ის რაოდენობით მის გამოყენებაზე შამპანურის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ნ. აჯემიანი, რომელმაც შეისწავლა სომხეთის მევენახეობის ზოგიერთი რაიონის რესურსები სუფრის მსუბუქი ღვინოების და შამპანურის წარმოების თვალსაზრისით, რქაწითელს აფასებს დადებითად და ურჩევს შამპანურის წარმოებაში მის გამოყენებას სომხეთის ზოგიერთი რაიონის პირობებში.

1938—1939 წწ. თბილისის შამპანური ღვინის ქარხნაში შემოხიდადეს წინა-
ნდლის ღვინის ქარხნიდან რქაწითელის ყურნინდან დამზადებული ღვინომასა-
ლა 50 ათას დალ-მდე და მიუხედავად იმისა, რომ ის სპეკიალურად შამპა-
ნურისათვის არ იყო დამზადებული, გამოირკვა, რომ იმ კუპაჟებში, რომელ-
შიც ეს ღვინომასალა მონაწილეობდა, შამპანურის ხარისხი მნიშვნელოვნად უკეთესი იყო.

ინსტიტუტ „მაგარაჩის“ ა/კ ფილიალში ჩავატარეთ საცდელი მუშაო-
ბა რქაწითელის ვარგისიანობის შესასწავლად შუა ქართლის ზოგიერთ რაიონში. ცდებმა კარგი შედეგები მოგვცა. საცდელად აღებული რქაწითელისა და ციკ-
ქას ღვინომასალების ნიმუშები, სათანადო დამუშავების შემდეგ, დავატირა-
ეთო როგორც სუფთა ჯიშური, ასევე კუპაჟირებული სახით (კუპაჟში შედი-
ოდა 70% ციკქა და 30% რქაწითელი (ცხრ. 1).



ვახის ქიმი	15 ნიშნის საშუალო შეფასება				
	აღივრება	სტუდია ქონობრივი და შამანური		კვანძობრივი და სამართლებრივი	
		ტირად- დან 6 ფუნს შენიშნა	ტირად- დან 3 ფუნს შენიშნა	ტირად- დან 6 ფუნს შენიშნა	ტირად- დან 3 ფუნს შენიშნა
ცოცხალი	7,43	8,47	9,2		
ბავშვი	7,7	8,9	9,63	8,7	9,5

რქაწითელმა უფრო მაღალი შეფასება მიიღო, ვიდრე ციციქამ, კუბა გში მონაწილეობით კი, მიუხედავად იმისა, რომ ციციქას ხედვრითი წილი 70% იყო, მზა შამანურის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

ამგვარად, ჩვენ მიერ ჩატარებული ცდების შედეგებია საფუძველზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია შუა ქართლისა და სამხრეთ ოსეთის რაიონებში რქაწითელიდან მიღებული ღვინომასალების გამოყენება შამანურის წარმოებისათვის კუბაებში, რაც სავა დანარჩენ ღვინოსებებთან ერთად მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს.

სამუშაოზე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მისი დადებითი მხარეებისა ეს ძვირფასი ვახი ჯიში ამოღებულია შამანურის წარმოებაში დამგებული სტანდარტული ასორტიმენტიდან, რაც უდავოდ არასწორია და აუცილებელია მისი გამოსწორება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შამანურის წარმოებისათვის ღვინომასალების მომკეპი ძირითადი ბაზა საქართველოში არის ზენო იმერეთის—ორჯონიძის, საჩხერისა და კიათურის რაიონები და შუა იმერეთში—ხესტაფონისა და თერჯოლის რაიონების ნაწილი.

აქაური ნადაგური და კლიმატური პირობები მეტად ხელსაყენელია შამანურ ვახის ჯიშებიდან ხარისხოვანი შამანური ღვინომასალების მისაღებად, რიგი წლების მანძილზე ინსტიტუტ „მავარაჩის“ ა/კ ფილიალში ჩვენ მიერ წარმოებული ცდებით დადგინდა, რომ ზემო იმერეთში და, განსაკუთრებით, ორჯონიძის რაიონის რიგ სოფლებში ციციქადან მიღებული ღვინომასალა ზოგჯერ ხარისხით არ ჩამოუვარდება კლასიკური საშამანურ ჯიშებიდან (პანო, შარდონე და ალიგოტე) მიღებულ ღვინომასალებს. ციციქადან მალახარისხოვანი ღვინომასალა მიიღება ამ რაიონის შემდეგ სოფლებში კიცი, ლახუნდარა, ხარაგოული, ბაზალეთი, მოლთი, ლაშე, სარგვეში, ღვერკი, ბორითი, ხუნევი და სხვ.

კიათურისა და საჩხერის რაიონებში ციციქა მალახარისხოვან ღვინომასალას იძევა სოფლებში—სხვიტორი, სავანე, ჩიხა, ორგული და სხვ. თერჯოლის რაიონში—ჩაბრი, სიქთავრა, ზედა საზანო და სხვ. ხესტაფონის რაიონში—ქვედა საქარა, ზედა საქარა, დილიკაური, კვალითი, ცხარაწყარო, კლდეეთი, ფუთი, წვევა, იღეში, ძირულა და სხვ.

შუა და ზემო იმერეთში შამპანურისათვის მალახარისხოვან პროდუქციას იძლევა აბორიგენული ვაზის ჯიშები: ციცქა, ძველშავი, ქვეშური და თეთრი კაპისტონი. ჩვენ მიერ წარმოებულ დაკვირვების მასალებზე დაყრდნობით ვით ისინა შეიძლება შემდგენიარად დავახასიათოთ:

ციცქა. იმერეთში, შამპანური მეღვინეობის ზონაში (შუა და ზემო იმერეთში), ვენახების ნარგაობის ხვედრითი წილის მიხედვით ვაზის ძირითადი ჯიშია ციცქა. იგი აქ უხვმოსავლიანია, ფილოქსერისა და სხვა დაავადებებისადმი ვაზის სხვა ჯიშებთან შედარებით უფრო გამძლეა. მისგან მიიღება როგორც ევროპული, ისე იმერული ტიპის მალახარისხოვანი ღვინოები. ციცქას ღირსება ისიცაა, რომ აწეამად საქართველოში შამპანურის წარმოება ძირითადად ეყრდნობა მისგან დამზადებულ ღვინომასალებს.

ზემო და შუა იმერეთის მალაღმთიან ზონაში ნემომპალა-კარბონატულ და სუსტ ეწერ ნიადაგებზე ციცქა იძლევა მალახარისხოვან ღვინომასალების შამპანურისათვის. კერძოდ, იგი შეფასებულ იქნა 7,43 ბალით. ხოლო მზა-შამპანური (ტირაჟიდან 3 წლის შემდეგ)—9,2 ბალით. ამასთან აღსანიშნავია, რომ არცთუ იშვიათად ციცქადან მიღებული ღვინომასალა და მისგან დამზადებული შამპანური ხარისხით არ ჩამოუვარდება ცნობილი საშამპანურე ვაზის ჯიშებიდან მიღებულ პროდუქციას. ინსტიტუტ „მაგარიჩის“ ა/კ ფილიალში მუშაობის პერიოდში ჩვენ მიერ ციცქადან დამზადებულმა ღვინომასალების საცდელმა ნიმუშებმა და მზა შამპანურმა მთელ რიგ შემთხვევებში მეტად მაღალი თვისებები აჩვენეს. მათ ახასიათებდა სიხალისე, სინაზე, ხოლო მზა-შამპანურს, მასთან ერთად, ნახშირორჟანგის ხანგრძლივი ცქრილის თვისება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ციცქადან მიღებული ღვინო სიძველეში ივითარებს ნახ ბუკეტს და უმჯობესდება მისი გემური თვისებები, რაც კიდევ უფრო ამაღლებს ღვინის ღირსებას საერთოდ და განსაკუთრებით შამპანურისას, ამის გამო ციცქადან მიღებული ღვინომასალები მეტად ძვირფასია ბოთლური მეთოდით შამპანურის წარმოების შემთხვევაში. ამ დადებითი თვისებების გამო მიზანშეწონილად მიგვაჩნია ციცქას ნარგაობის მაქსიმალურად გადიდება მისთვის შესაფერის ფართობებზე. რადგან საქართველო ვალდებულია არა მარტო უზრუნველყოს ღვინომასალებით თავისი საკუთარი წარმოება—თბილისის შამპანური ღვინის ქარხანა, არამედ მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა კავშირის არამევენახეობის ზონაში განლაგებული შამპანური ღვინის ქარხნების მომარაგებაში.

ძველშავი წითელყურნიანი ვაზის ჯიშია. მეტწილად გავრცელებულია საჩხერისა და ჭიათურის რაიონებში. აქ ძველშავის ყურცნიდან დამზადებული ღვინომასალები საკმაოდ ხარისხოვანია შამპანურისათვის. ღვინომასალა საკმაოდ ნაზი, ხალისიანი და სასიამოვნოა, სიძველეში ივითარებს სპეციფიკურ, მეტად სასიამოვნო გემოსა და ბუკეტს.

ხარისხით ძველშავიდან დამზადებული ღვინომასალები ჩამორჩება როგორც აბორიგენულ, ისე შემოტანილი ვაზის ჯიშებიდან მიღებულს, მაგრამ ვინაიდან უხვმოსავლიანი ვაზის ჯიშია და მისგან დამზადებული ღვინომასალები ხარისხოვანია, ამიტომ იგი შამპანურის წარმოებისათვის ყურადღებას იმსახურებს და მისი ნარგაობის ფართობის გადიდებას სათანადო მიკრორაციონებ-

ში (შუა და ზემო იმერეთის მაღალმთიან ადგილებში) ყურადღება უნდა მიმშენებულა.

ქვიშური მეტეოლოგიური ვაჭარების განვითარებისათვის და სხვა მიზნებისათვის მრავალი მკვლევარის ახრით იგი გორული მწვენი, მაგნიტური და მინერალური წარმოებისათვის ერთ-ერთი სოფლიდან, ქვიშეთიდან, საინჟინერო ინსტიტუტის, ზემო იმერეთში ვაზი და მისი ნაყოფი იმავე ნიშან-თვისებებით ხასიათდება როგორც გორული მწვენი. ამიტომ პროდუქციაც ისეთივეა. აღნიშნულ რაიონებში ქვიშური შამპანურისათვის იძლევა მაღალხარისხიან ღვინომასალებს. ამიტომ ქიათურისა და საჩხერის რაიონებში ქვიშურის ნარგავობა უნდა გაიზარდოს მაქსიმალურად.

თეთრი კაპიტანი, ლიტერატურული წყაროების მიხედვით, უმთავრესად ვაჭარებისათვის ყოფილა ზემო და შუა იმერეთში — ორჯონიკიძისა და ზესტაფონის რაიონებში, მაგრამ ფილოქსერის შემოჭრის შემდეგ ძლიერ დაზიანებულა. ამჟამად თეთრი კაპიტანის წმინდა ნარგავობა ძირითადად მოქცეულია ორჯონიკიძის რაიონში, სხვაგან ვგვხვდება მცირე რაოდენობით და ისიც შერეული სახით. რიგი მკვლევარები თეთრი კაპიტანიდან მიღებულ ღვინომასალებს მაღალ შეფასებას აძლევენ შამპანურის წარმოებისათვის.

შამპანურის წარმოების ცნობილი სპეციალისტი ს. ბელოუსოვი თეთრი კაპიტანიდან მიღებულ ღვინომასალებს მაღალ შეფასებას აძლევდა შამპანურის წარმოებისათვის და უპირატესობას ანიჭებდა შამპანურისათვის განსაკუთრებულ ვაზის ჯიშებთან (პინოება, შარდონე და ალიგატე) შედარებით. ჩვენ ვურჩევთ ორჯონიკიძის რაიონის მდინარეებს ამ მეტად ძვირფასი ჯიშის ვაზი მაქსიმალურად გააშენონ კოლმეურნეობებისა და საკარმიდამო ნაკვეთებზე.

პინო, შარდონე და ალიგატე შამპანურის წარმოების განვითარებისათვის დაკავშირებით საქმაოდ ვაჭარებდა იმერეთისა და ქართლის რაიონებში. ვაზის ეს ჯიშები თავის სამშობლო საფრანგეთში იძლევიან მაღალხარისხიან ღვინომასალებს შამპანურისათვის. ვაზის ჯიშის როლი შამპანურის წარმოებაში მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან მასზე დამოკიდებულია პროდუქციის ხარისხი. შამპანური მელენეობის დიდი სპეციალისტი პროფ. ა. ფროლოვ-ბაგრევი აღნიშნავდა, რომ არცერთი სხვა კატეგორიისა და ტიპის ღვინოში ხარისხის მაჩვენებლები ისე მკაფიოდ არ მელავნდებიან, როგორც შამპანურ ღვინოში. ამას ძლიერ უწყობს ხელს შამპანურიდან ამონადენი ნახშირორბანგის წინწკლები, რომლებიც თან იტაცებენ შამპანურში შემავალ რაიმე სუნის მქონე ნივთიერებას. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ სხვა ღვინოებთან შედარებით შამპანურ ღვინოში უფრო ადვილად ვაჩნევთ ნახს ან მინიმე ბუკეტს, ყოველგვარ გარეშე სუნსა და სავ.

აქედან გასაგებია თუ როგორი სიფაქიზით და ტექნოლოგიური პროცესების ზუსტი დაცვით უნდა წარმოებდეს ცდები შამპანურ წარმოებაში ვაზის ჯიშის თვისებათა შესწავლის მიზნით.

შემდგომი ორგანოების დავალებით 1944—1945 წწ. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მელენეობის კათედრის მაშინდელი გამგის


პროფ. კ. მოღებანის ხელმძღვანელობით ვსწავლობდით პინოს, შარდონესა და ალიგატეს გავრცელების მიზანშეწონილობას იმერეთისა და ქართლის რაიონებში. ამ მიზნით პინოდან, შარდონედან, ალიგატედან და დაგმზადდეთ საცდელი ღვინომასალების ნიმუშები იმერეთისა და ქართლის რაიონებში. დაჯამებით როგორც ღვინომასალები, ისე მისგან დამზადებული შამპანურიც. აღმოჩნდა რომ მათგან დამზადებული ღვინომასალები და შამპანური საშუალო მაჩვენებლებით ციკქაზე უკეთესი იყო.

1947 წ. მარტში საქეალურმა კომისიამ პროფ. კ. მოღებანის ხელმძღვანელობით დაჯამებია შამპანური, რომელთა ნიმუში საშუალოდ შეფასდა: შარდონე—9,2, პინო—9,1, ალიგატე—8,8 და ციკქა—8,5 ბალით.

ამის შედეგად აღიარებულ იქნა, რომ ციკქასთან შედარებით პინოსა და შარდონეს ახასიათებს მეტი სირბილე, სინაზე და სასიამოვნო გემური თვისებები. ამვე საკითხს ჩვენ შემდგომში ვსწავლობდით „მაგარაჩის“ აკ ფილიალში და უჩეტეს შემთხვევაში დადასტურდა პინოს, შარდონეს და ალიგატეს უპირატესობა. ამჟამად ნებუდულებას იზიარებს მრავალი მკვლევარი და წარმოების მუშაკი. ამიტომ შამპანურის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სხვა დანარჩენ ღვინოსებებთან ერთად აუცილებლად საჭიროა კუბაეში გარკვეული რაოდენობით პინოდან და შარდონედან მიღებული ღვინომასალების შეტანა. ამასათვის კი აუცილებელი იქნება იმერეთისა და ქართლის განსაზღვრულ რაიონებში პინოსა და შარდონეს ვახის ჯიშების ვენახის ფართობის გადიდება.

როგორც ზემოთხსენილი მაჩვენებლებიდან ჩანს, ალიგატედან დამზადებულმა შამპანურის საცდელმა ნიმუშებმა საშუალოდ მიიღეს 8,8 ბალი შეფასება, ხოლო ციკქას ნიმუშებმა 8,5 ბალი. აქედან გამომდინარე ციკქასა და ალიგატეს ნიმუშების შედარებიდან სადეკუსტაციო კომისიამ პროფ. კ. მოღებანის თავმჯდომარეობით შემდეგი დასკვნა გააკეთა: „... რაც შეეხება ალიგატეს იგი შენაარსით ციკქას თუკა რამდენიმედ ჩამორჩება, მაგრამ, როგორც საკმაოდ ნაბი მასალის მომცემი ჯიშს ასორტიმენტში მას იმერეთისა და ქართლის რაიონებში გარკვეული ადგილი უნდა დავთმოს“.

მეღვინეობის ზემოაღნიშნული რაიონების გარდა მეტად პერსპექტიულია შამპანური მულენაობის თვალსაზრისით, რიგი მიკრორაიონები მესხეთში, სადაც ბუნებრივი პირობები აპრობებენ საკმაოდ ხარისხოვანი მაღალმედიანი ღვინომასალების მიღებას. მათი მოხერხებულად გამოყენება შამპანური ღვინომასალების კუბაეში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს შამპანური ღვინოს ხარისხს. სამწუხაროდ ისტორიული უკულმართობის შედეგად მესხეთში შეგინახეობა ძლიერ დაეცა, მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში მიეცა ყურადღება ამ მხარეში ვენახების გაშენების საკითხს. საცდელი ღვინის ნიმუშებმა პინოდან, ალიგატედან, ჩინურიდან და გორული მწვანედან, რომლებიც დამზადებული იყო წრიობის საბჭოთა მეურნეობაში დეკუსტაციებზე მრავალჯერ მაღალი შეფასება მიიღეს. ეს მხარე უდავოდ უნდა მივიჩნიოთ შამპანურის ღვინომასალების დამამზადებელ რაიონად.



ამრიგად, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველო, რა-
ა-ლენხუნი, გურია-სამეგრელო და სხვა ზოგიერთი მიკრორაიონში გა-
ზის ჯიშთა შერჩევით, აგროტექნიკური და ტექნოლოგიური რეკონსტრუქციის
გატარებით უსათუოდ მოკვეცვის მაღალხარისხიანი ღვინომასის წარმო-
რის წარმოებისათვის. ამჟამად საქართველოს ყველა სახის ღვინის მრეწვე-
ლობას ხელმძღვანელობს „სამტრესტი“ და მას აქვს შესაძლებლობა უფრო
რაციონალურად დაგეგმოს შამპანურისათვის ღვინომასალების დამამზადებე-
ლი ობიექტები, რითაც სხვა დანარჩენ ღვინისციებებთან ერთად კიდევ უფრო
გაუზიარებულდება მზა პროდუქციის ხარისაი.



დოკ. მ. ბელიძე

ვ. ი. ლენინი—პირველი სრულიად საბავშვო სასოფლო-სამეურნეო და საზინაზრეველო გამოყენის ინისტიტორი და ორგანიზატორი

ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური მშენებლობის ლენინური გეგმის მთლიანად და ცალკეული ღონისძიებების შესრულების, ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და გიგანტური შრომის, მისი მრავალმხრივი საქმიანობის ჭეშმარიტად სწორად ამსახველი სამეცნიერო-პოპულარული, ისტორიული და სოციალურ-ეკონომიური ლიტერატურის გამოცემას, რომელთაც აქვთ არა მარტო დიდი ისტორიული, არამედ აგრეთვე უდიდესი აღმზრდელობითი და საერთაშორისო მნიშვნელობა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ წარმატებით დაიწყო ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების აშენების ლენინური გეგმის განხორციელება. ამასთან უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო ქვეყნის საწარმოო ძალების აღდგენა და შემდგომი განვითარება, როგორც არსებული მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლის ერთადერთი საშუალება.

1921 წლისათვის საბჭოთა ქვეყნის საშინაო მდგომარეობა მეტისმეტად მძიმე იყო. ქვეყნის ეკონომიკა XIX საუკუნის მეორე ნახევრის მეფის რუსეთის ეკონომიკის დონეზე იმყოფებოდა. სახალხო მეურნეობა იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებით, უცხოელთა ინტერვენციით იყო განანაკებული. სოფლის მეურნეობის პროდუქტთა 1920 წ. მეფის რუსეთის დროინდელი დონის 65%-ს შეადგენდა, საკმარისი არ იყო პური და ყველაზე აუცილებელი სხვა სასურსათო პროდუქტები. ომის წლებში მკვეთრად შემცირდა ნათესი ფართობები. კერძოდ, 1913 წ. იგი შეადგენდა 105 მლნ. ჰა-ს, ხოლო 1921 წ. 90,3 მლნ. ჰა-ს. ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურის ნათესი ფართობები შემცირდა როგორც ქვეყნის ცენტრალურ რაიონებში, ისე ციმბირში, კავკასიასა და შუა აზიაში.

სერიოზული ზიანი განიცადა მეცხოველეობამ—მკვეთრად შემცირდა პირუტყვის სულადობა და პროდუქტიულობა.

კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაში იყო მძიმე შრეწველობა და



საქართველოს
ხელნაწილების
სამეცნიერო ცენტრი

ტრანსპორტი. 1920 წ. მასხვილი მრეწველობა ომამდელზე თათქმის 7-ჯერ უფრო მეტს უზრუნველყოფდა.

საქირო იყო საკუთარი ძალებით ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის მხარეში მდებარეობის აღდგენა ისეთნაირად, რომ შექმნილიყო პიკეტაჟის ეკონომიკის ძირეული გარდაქმნისათვის და სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის.

1920 წ. დასასრულიდან პარტია ახორციელებს ნგრევასთან ბრძოლას აუცილებელ ღონისძიებებს, ამუშავებს სოციალისტური მშენებლობის ახალ გზებს. ამასთან იყო დაკავშირებული პარტიის მიერ წამოყენებული საბრძოლო ღონისძიებები „ყველაფერი სახალხო მეურნეობისათვის“. კომუნისტური პარტიის X ყრილობამ 1921 წლის მარტში ვ. ი. ლენინის მოხსენების გამო მიიღო კმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება სასურსათო გაწერისა და სასურსათო გადასახადზე და სამხედრო კომუნისმის პოლიტიკიდან ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე (ნეპი) გადასვლის შესახებ. ამან კი უზრუნველყო მუშათა კლასისა და გლეხობის მტკიცე ეკონომიური კავშირი სოციალიზმის მშენებლობისათვის.

X ყრილობის დადგენილებაში აღნიშნული იყო: „იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას მეურნეობის სწორად და მშვიდად წარმართვა, მიწათმოქმედის მიერ თავისი სამეურნეო რესურსების უფრო თავისუფლად გამოყენების საფუძველზე, განმტკიცდეს გლეხური მეურნეობა და გადიდდეს მისი ნაყოფიერება, ავრთვე იმ მიზნით, რომ შესტად დაწესდეს სახელმწიფო ვალდებულებანი, რაც მიწათმოქმედთა წილად მიღის, გაწერა, როგორც სურსათის, ნედლეულისა და ფურაჟის სახელმწიფო დამზადების წესი იცვლება ნატურალური გადასახადით“ [3]. ამასთან საქირო იყო სახალხო მეურნეობის აღდგენა აუცილებლად დაწყებულიყო სოფლის მეურნეობით, რომელიც უკიდურესი განაანგების გამო ვერ აკმაყოფილებდა სამრეწველო ცენტრების მოთხოვნილებას პურსა და წარმოების ნედლეულზე. უამისოდ კი შეუძლებელი იყო მრეწველობის, განსაკუთრებით კი მძიმე მრეწველობის აღდგენა და განვითარება. პარტიამ იცოდა ისიც, „რომ წერილი გლეხური მეურნეობა ძირითად ბაზას წარმოადგენდა მრეწველობის აღსადგენად, მაშასადამე მუშათა კლასის ზრდისთვისაც რადგან გლეხური ბაზარი ძირითადი მასობრივი ბაზარია მრეწველობის ნაკეთობათათვის. გლეხური მეურნეობა, მეორე მხრივ, ნედლეულის ძირითადი მიმწოდებელია ჩვენი მრეწველობისათვის. ამიტომ გლეხური მეურნეობისათვის რაც შეიძლება მეტი დახმარების გაწევას მოითხოვს საბჭოთა ხელისუფლების არა მარტო საერთო ინტერესები, არამედ თვით მრეწველობის უსწრაფესი განვითარების ინტერესებიც [3].

ვ. ი. ლენინი საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობაზე ამბობდა: „თქვენ მშვენივრად იცით, ამხანაგებო, რა გაუგონარი სიმძიმით დაგვატყდა თავს შიმშილი 1921 წელს. ძველი რუსეთის ეს უბედურება გარდაუვლად უნდა გაღმობანილიყო ჩვენზეც, იმიტომ რომ ერთადერთი გამოსავალი აქედან შეიძლება იყოს მხოლოდ საწარმოო ძალთა აღდგენა, მაგრამ არა ძველ, ლატაკურ, წერილმან საფუძველზე, არამედ ახალ საფუძველზე, მსხვილი მრეწველობისა და ელექტროფიკაციის საფუძველზე. მხოლოდ ასე შეიძლება თავი დავაღწიოთ ჩვენს სიღატაკეს, მუდმივ შიმშილობას...“ [2].

1917—1923 წწ. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უბრალოდ
სიძინელების მიუხედავად თანმიმდევრულად ახორციელებენ სახალხო მეურნეო-
ნობის ყველა დარგის აღდგენისა და განვითარების დიდ სახელმწიფო-
ღონისძიებებს, მათ შორის უდაღესი მნიშვნელობა ჰქონდა ახალ-
პოლიტიკის შემოღებას და გატარებას. ყოველივე ამას თავისი დადებითი შე-
დეგი გამოიღო. უკვე 1923 წლისათვის შესამჩნევი გაიზარდა სახალხო მეურნეო-
ბის ყველა დარგში წარმატებები. ახალი ეკონომიური პოლიტიკა დღითიდღე
სულ უფრო კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდა ქვეყნის მეურნეობაზე.
შრომელი გლეხობა კმაყოფილებით შეხვდა კანონს სასურსათო გაწერის სა-
სურსათო გადასახადით შეცვლის შესახებ, რაც გამოიხატა 1922 წლის გასაფ-
ხულზე თავთავიანთი ნათესების გადიდებაში.

ეკონომიური პოლიტიკის პირველ წელს სამეურნეო მიღწევები კიდევ
უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, ქვეყანას უმაგალითო სიმძიმით რომ არ
დასტეხოდა თავს შიმშილი, რომლის ძირეული მიზეზები იყო ქვეყნის ეკონო-
მიური, განსაკუთრებით კი სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობა, ინტერვენ-
ტებისა და თეთრგვარდიელთა მიერ სახალხო მეურნეობის განადგობა. სურსა-
თის მხრივ მდგომარეობა უკიდურესად გამწვავდა 1920—1921 წწ. ძლიერი
გვალეების გამო—მოუსაველობამ მოიცვა 34 გუბერნია, რომელთა მოსახლეობა
30 მლნ. კაცს აღემატებოდა.

ვ. ი. ლენინი კომინტერნის IV კონგრესზე 1922 წ. 13 ნოემბერს აღნიშ-
ნავდა „რომ ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ უკვე ახლაც მოგვცა წარმატე-
ბა. უკვე ახლა გვაქვს იმის საბუთი, რომ ჩვენ, როგორც სახელმწიფოს, შეე-
ვიძლია გაუძღვეთ ვაჭრობას, შევინარჩუნოთ მტკიცე პოზიციები სოფლის მე-
ურნეობისა და ინდუსტრიისა და გავწიოთ წინ. პრაქტიკულმა საქმიანობამ და-
ამტკიცა ეს“ [2].

1922 წლის კარგმა მოსავალმა ქვეყანას შესაძლებლობა მისცა გამოესწო-
რებინა მოუსაველიანობის შედეგები და უზრუნველყო პურით ქალაქის მოსახ-
ლეობა. 1923 წელს მარცვლეულის საერთო მოსავლიანობამ მიაღწია 573,3
მლნ. ც-ს. მარცვლეული კულტურების ფართობები 1922 წლის 66,2 მლნ.
სა-დან გაიზარდა 78,6 მლნ. ჰა-მდე 1923 წელს. განსაკუთრებით გადიდდა ტექ-
ნიკური კულტურების ნათესები. მაგალითად, ბამბის ნათესმა ფართობებმა 1923
წელს 220,1 ათას ჰა-ს მიაღწია ნაცვლად 1922 წლის 70,3 ათასი ჰა-ისა. სწრა-
ფი ტემპით ვითარდებოდა ხორბლის, ბამბისა და შაქრის კარხლის წარმოება,
რამდენადაც გაუმჯობესდა მდგომარეობა მეცხოველეობაში.

ხუთი წლის მანძილზე მოპოვებული პირველი მიღწევები განამტკიცებლ-
ნენ პროლეტარიატის დიქტატურას და მუშათა კლასის კავშირს მშრომელ-
გლეხობასთან ახალ ეკონომიურ საფუძველზე. ყოველივე ამას უდიდესი ისტო-
რიული, პოლიტიკური, ეკონომიური და საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა.

საბჭოთა ქვეყნის მიერ ხუთი წლის მანძილზე მოპოვებული პოლიტიკური
და სამეურნეო მიღწევების უდიდეს, ყოველმხრივ საინტერესო მაჩვენებელს
წარმოადგენდა პირველი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო და სა-
შინამრეწველო გამოფენა უცხოური განყოფილებით, რომელიც გაიხსნა 1923
წლის 19 აგვისტოს და მოქმედებდა იმავე წლის 21 ოქტომბრამდე.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნის შესახებ საბჭოეთის სოციალისტური რესპუბლიკის IX ყრილობის დადგენილებიდან (1921 წ. დეკემბერი) ერთბაშად წარწერილი და სხვ. ხასიათის შრომატევადი სამუშაოები. გამოფენის მიზანშეწონილ ხელშეწყობას ხელმძღვანელობდა და წარმართავდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ვ. ი. ლენინის მეთაურობით. მოუსავლობის მძიმე შედეგის ლიკვიდაციისა და გამოფენისათვის საჭირო დიდი მოცულობის სამუშაოთა შესრულებისათვის ცხადია, პარტიას დიდი სიძნელეების გადალახვა მოუხდა. [3] ამიტომ გამოფენა ნაცვლად 1922 წლის შემოდგომისა გაიხსნა 1923 წლის ზაფხულში.

1923 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოწყობა ითვალისწინებდა სამ მიზანს: 1) საჩვენებელი—სოფლის მეურნეობაში მოპოვებული მიღწევების ფართო დემონსტრირება; 2) საორგანიზაციო—მძიმე ეკონომიური პირობების მიუხედავად საბჭოთა წყობილების სიცოცხლისუნარიანობისა და უპირატესობის გამოვლენა და 3) სასწავლო-აღმზრდელობითი—ჩვენი სოფლის მეურნეობის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეების ყველასათვის სწავლება, რათა მისი განვითარების საფუძველზე შესაძლებელი ყოფილიყო მოპოვებული მიღწევების განმტკიცება, არსებულ ნაკლთა გამოსწორება, მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვა და ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი სწრაფი ტემპით განვითარება და თანდათანობით სოციალისტური გარდაქმნა.

პირველ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობასთან ერთად, სათანადოდ იყო წარმოდგენილი სოფლის მეურნეობისა და შინამრეწველობის ყველა დარგი. აგრეთვე მრეწველობა, ვაჭრობა და სხვ.

გამოფენაზე ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობასთან ერთად დემონსტრირებული იყო საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ხუთწელიწადში დაარსებული და მეტად სიცოცხლისუნარიანი, უდიდესი მოშავლის მქონე სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო საწარმოები. კერძოდ, იმ დროისათვის სსრ კავშირში გარდა უკრაინისა, საქართველოსა და შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკებისა მოქმედებდა 28469 პირველადი კოლექტიური ორგანიზაცია, 34000-ზე მეტი კოლექტიური მეურნეობა და 6000-მდე საბჭოთა მეურნეობა. ეს იყო ვ. ი. ლენინის კოლექტიური გეგმის განხორციელების პირველი შედეგები.

გამოფენა, როგორც აღვნიშნეთ, მიზნად ისახავდა ეჩვენებინა მუშათა და გლეხთა ფართო მასებისათვის ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლენინური პოლიტიკის განხორციელების პირველი შედეგები და ამით დაერწმუნებინა ისინი სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის აუცილებლობაში. ამიტომ გამოფენაზე დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი მრეწველობის აღდგენისა და განვითარების დარგში მოპოვებული მიღწევების ჩვენებას და მის მნიშვნელობას სოფლის მეურნეობის მექანიზაციის და ელექტროფიკაციის დარგში.

გამოფენის ტერიტორიაზე მოწყობილი იყო რამდენიმე ელექტროსადგურის მაცეტი. აქვე ნაჩვენებია იყო ლენინური ელექტროფიკაციის გეგმის—გოელ-



როს განხორციელების მიმდინარეობა. გამოფენის ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე, ბელაღის სურათის მოპირდაპირე მხარეს, მოწყობილია შობდა 30 მ სიმაღლის ქარის ელექტროსადგური.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ჰიდრავლიკური წესით ტორფის მოპოვების ექსპონატები, რომლის გამოყენებას ვ. ი. ლენინმა მხარი დაუჭირა 1915 წელს.

ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე გამართული იყო დღესასწაული „შრომა და მანქანა“, სადაც ერთ მხარეს განლაგებული მანქანებისა და იარაღების განყოფილებას გაკეთებული ჰქონდა წარწერა: „ასე იქნება“, სოლო მეორე მხარეს გაწყობილ, ძველ, პრიმიტიულ სასოფლო-სამეურნეო ხელსაწყოებს—„ასე იყო“. აქ ფართოდ იყო წაჩვენები სასოფლო-სამეურნეო მანქანების საკიროება და მათი მნიშვნელობა ადამიანის შრომის შემსუბუქებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეში.

გამოფენაზე მოეწყო დისპუტი „ტრაქტორი და სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია“.

1921 წლის 23 დეკემბერს საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობაზე ვ. ი. ლენინის მოხსენებაში „რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ“, აგრეთვე 1921 წლის 25—27 დეკემბერს მის მიერ დაწერილ „განაწესში სამეურნეო მუშაობის საკითხებზე“, რომელიც მიღებულ იქნა საბჭოების სრულიად რუსეთის IX ყრილობის მიერ, მოცემულია მეცნიერულად დასაბუთებული ფართო ღონისძიებები ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების შესახებ ახალ, სოციალისტურ საფუძვლებზე. ამ დოკუმენტებში მოცემულია სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც საფუძვლად დაედო პირველი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო და საშინამრეწველო გამოფენის მთელ მოსამზადებელ მუშაობას და თვით გამოფენის გახსნას [2].

ვ. ი. ლენინი ავადმყოფობის მიუხედავად, სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნისათვის მზადების მთელ პერიოდში დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს სათანადო სამუშაოების მიმდინარეობას, გამოფენის გახსნას, მის ყოველმხრივ საინტერესოდ და ორგანიზებულად წარმართვას და დახურვას.

ვ. ი. ლენინს გამოფენის გახსნის წინა დღეებში მიართუეს გამოფენის ფოტოსურათი და მთავარი საგამოფენო კომიტეტის მიერ გამოცემული ლიტერატურის მთელი კომპლექტი.

ვ. ი. ლენინი იყო პირველი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო და საშინამრეწველო გამოფენის მოწყობის ინიციატორი, იდეური სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი. რევოლუციის დიდ ბელადს სრულყოფილად ჰქონდა წარმოდგენილი მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მიერ ხუთი წლის მანძილზე მოპოვებული, ჰემარიტად დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის მიღწევების ამსახველი 1923 წლის პირველი სასოფლო-სამეურნეო და საშინამრეწველო გამოფენის უძრავი მიზანი, როლი და ამოცანები.

ვ. ი. ლენინი სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენისადმი 1922 წ. 14 ნოემბრის გაგზავნილ მისალმებაში წერდა: „უდიდეს მნიშვნელობას



ვაძლევ გამოფენას; დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ორგანიზაცია აღმოუჩენს მას სრულ დახმარებას. სულით და გულით გისურვებთ საუკეთესო შედეგებს.

ვ. ულიანოვი (ლენინი).

1922, 14. XI [2].

პირველი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისადმი ვ. ი. ლენინის მისალმებით აღფრთოვანებული ჩვენი დიადი ქვეყნის მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა, ინტელიგენცია თავდადებული შრომით ყველაფერს აკეთებდნენ გამოფენის მომზადებულად. წარმატებით ჩატარებისათვის. ფართო და ყოველმხრივ საჭირო და საინტერესო სამუშაოები გაიშალა მთელს ჩვენს ქვეყანაში, რაც თვალნათლივ ასახა გამოფენის გახსნის დღეს და მისი მოქმედების პერიოდში.

ცდება დადასტურა, რომ ბურღის სამუშაო ორგანოების მუშაობის განაგრძობა შეიძლება, თუ ამისათვის შეიძლება სათანადო მასალები. ცდებაზე დაყენებული ორმოსათბრელი მანქანის სახნისებმა, რომელთა მკრელ ზოლზე დადებული იყო ცვეთამძლე სორმაიტი, ამოთხარა მძიმე თიხნარ და წკრილ ქვიან ყამირ მიწებში 8000 ორმო იმ დროს, როდესაც ჩვეულებრივ (CT-65) ფოლადისაგან დამზადებული სახნისი 2000 ორმოს შემდეგ ზღვრულ ცვეთას აღწევს. მუშაობის პროცესში ხახუნის შედგად ბურღის სამუშაო ორგანოების ტემპერატურა იზრდება (შალალი ბრუნთა რიცხვებით წკრილქვიან და ქვიშნარ ნიადაგებში მუშაობისას), რაც ხელს უწყობს ნაწილების გაცხელებას და ამით გამოწვეულ თბური ცვეთის პროცესს.

ბურღებში ნაწილობრივ ადვილი აქვს ელექტროქიმიური ცვეთას, რომლის სახეობას წარმოადგენს ატმოსფერული კოროზია, ატმოსფერული კორო-

ზია დაკავშირებულია ლითონის ზედაპირზე მოქმედ ელექტროქიმიურ პროცესებთან, წყლის, ტენის, ჰაერის, ქანგბადის, აზოტისა და სხვა რეაგენტების მოქმედებასთან.

მიუხედავად იმისა, რომ ბურლის მუშაობის პროცესში ალკალი აქვს თითქმის ცვეთის ყველა პროცესს, წამყვან სახედ მაინც აბრაზიული ცვეთა უნდა ჩაითვალოს.

ხახუნის მუშაობა დამოკიდებულია ხახუნის კოეფიციენტზე (f), მოხახუნე ზედაპირების დაწოლაზე (P) და გავლილ მანძილზე (S), რაც გამოხატება შემდეგნაირად:

$$R = fPS$$

ნიადაგის ტიპის შესაბამისად იცვლება ხახუნის კოეფიციენტი, ჩვეულებრივ, გუთნების სახნისთან შედარებით ბურლის სახნისის გარე ნაწილი ერთ და იმავე დროს თანაბარი ძალის მოქმედებით სამჯერ მეტ მანძილს გადის, ამიტომ ხახუნის მუშაობა და ცვეთა გაცილებით ინტენსიური უნდა იყოს, რის გამო ბურლის სახნისად ცვეთაგამძლე მასალების შერჩევას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ბურლის მუშა ორგანოების ცვეთის მიმართ გამოვლინებულია სპეციფიკურობა, (კერძოდ, კბილებიანი სახნისის ჭრის ზოლის, ნიადაგში შეჭრის კუთხის სიდიდისა და ერთსა და იმავე ბრუნვის დროს სახნისის სხვადასხვა წერტილი სხვადასხვა მანძილს გადის), რის შედეგად ჭრის ზოლის ცვეთაც განსხვავებული სიდიდისაა (ცხრ. 11 და დიაგრამა 6).

ბურლის თანაბარი ბრუნვის დროს სახნისის ყოველი კბილი შემოწერს სხვადასხვა სიდიდის წრეხაზს, მაგალითად:

1. კბილის მიერ შემოწერილი წრეხაზის დიამეტრი $d_1 = 20,4$ სს.
2. " " " $d_2 = 34,8$ "
3. " " " $d_3 = 46,4$ "
4. " " " $d_4 = 60,0$ "

შესაბამისად წრეხაზის სიგრძეები $S_1 = 64,8$ სმ
 $S_2 = 186,8$ სმ;
 $S_3 = 147,83$ სმ;
 $S_4 = 178,5$ სმ.

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, სახნისის განაპირა კბილი თანაბარი ბრუნვითი მოძრაობის შემთხვევაში 2,97-ჯერ მეტ მანძილს გადის შიგა კბილთან შედარებით. ამის გამო მექანიკურა ცვეთის პროცესი ამის შესაბამისად უნდა იზრდებოდეს. ცდებმა დაადასტურა რომ გარე კბილი შიგა კბილებთან შედარებით 7-ჯერ მეტ ცვეთას განიცდის (ცხრ. 11), განსაკუთრებით ჭვიან და სიღნარ ნიადაგებში, რაც უფრო მეტია ბურლის ბრუნთა რიცხვი და მბრუნავი მომენტი, მით უფრო სწრაფად მიმდინარეობს ცვეთის პროცესი.

სახნისის განაპირა კბილი დიდი მანძილის გავლის გარდა (სხვა კბილებთან შედარებით) მეტ ცვეთას განიცდის, დიდი სიჩქარით ჭრის ნიადაგს; ნიადაგში არსებული ქვები, რომლებიც სახნისის მოღების სიბრტყეში იმყოფებიან, ალკალიდან დაიფრებიან და ბურლით ზემოთ იქნებიან ამოტანილი,




სახნის კბილების ცვეთით გამოწვეული დანაკარგი გრამობით

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

№ კბილე	დასახელება	გაზომვა			
		1 გაზომვა	2 გაზომვა	3 გაზომვა	4 გაზომვა
1	მუშაობის ხანგრძლივობა საათობით .	5,5	11,8	18,2	23,8
2	შექანიერი ცვეთით მიღებული წონის დანაკარგი (გრამობით)				
	ა) 1 კბილის	1,10	2,00	3,00	4,00
	ბ) 2 კბილის	2,00	4,12	6,10	8,65
	გ) 3 კბილის	3,00	6,80	11,30	14,20
	დ) 4 კბილის	6,40	13,60	22,50	30,00
3	ამოთხრილი ორმოების რაოდენობა . .	750	1600	2360	3000

ხოლო განაპირა უბნებში განლაგებულ ქვებს, რომელთა ძირითადი მასა არ იმყოფება ორმოს ამოღების სიბრტყეში და შეჭრილია უძრავ ნიადაგში, მას გარკვეულა ძალათ ხვდება სახნისის განაპირა კბილი, რომელაც ამტრევს მათ მოღუპის ზონაში, ან ქეჯავს უძრავ ნიადაგში; ამ პროექსში სახნისის გარეთა პირი განიცდის ხაზუნათ გამოწვეულ აბრაზულ თელვით ცვეთას, რის შედეგად სახნისის გარე კბილის ცვეთა შვიდჯერ უფრო იზრდება, ვიდრე შიგა კბილებისა (ცხრ. 11 და დიაგრ. 6).




ნახ. 6. ბურღის სახნისის კბილების ცვეთის მრუდები.

იმ შემთხვევაში, თუ სახნისის ცვეთით გამოწვეულ წონის საერთო დანაკარგს ავიღებთ, ერთი სახნისის ოთხივე კბილისათვის, 3050 ორმოს ამოთხრის შემდეგ არის --56,85 გრამი, ასეთივე დანაკარგი აქვს წონაში ბურღზე დაყენებულ მეორე სახნისს (იხ. ცხრ. 12).

ამ მონაცემების მიხედვით აგებული სახნისის საერთო ცვეთის დიაგრამა იხილეთ მე-7ნახ.ზე.



გაზომვა	I	II	III	IV
დასახელება				
მუშაობის ხანგრძლივობა (საათობით)	5,50	11,00	18 20	23,80
მექანიკური ცვეთით მიღებული წონის დანაკარგი (გრამობით)	12*50	25,92	42,90	56,65
ანოთხრილი ორმოს რაოდენობა	750	1580	2250	3060



ნახ. 7. ექსპერიმენტებით მიღებული სახნის ცვეთის დიაგრამა.

დოქ. КОПАЛИАНИ А. У.

ИССЛЕДОВАНИЕ РАБОТЫ ЯМОКОПАЮЩЕЙ МАШИНЫ Н ЯЦ—65

Резюме

Навесная ямокопающая машина для целинных земель НЯЦ—65 создана в Грузинском Сельскохозяйственном Институте доц. КОПАЛИАНИ А. У. Машина с успехом прошла государственные испытания. Производственный выпуск этой машины поручен Дигомскому ремонтному заводу.

При двусменной работе машина может выкопать 1600—1800 ям глубиной 70 см с диаметром 65 см и этим заменяет 80—110 человек.

Сравнительные испытания и анализ существующих ямокопающих машин показали, что при работе на целинных и каменистых почвах наилучшие производительные и экономические эффективные показатели получены у машины НЯЦ—65.



დოქ. ა. ბაჯალიძე

აჭარის სოფლის მეურნეობის განვითარება საბჭოთა ხელისუფლების წლებში

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღიდანვე (1921 წლის 18 მარტი) მიღებულ იქნა აუცილებელი ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყო სოფლის მეურნეობის აღდგენისა და მისი სოციალისტურად გარდაქმნისაკენ.

აჭარის რევოლუციური კომიტეტი იმთავითვე შეუდგა მიწის ნაციონალიზაციის შესახებ საქართველოს სსრ რევკომის 1921 წლის 6 აპრილის დეკრეტის განხორციელებას, მაგრამ იგი აჭარაში შედარებით დიღხანს გაგრძელდა. მის განხორციელებას ხელს უშლიდა მეჭლის არსებობა, რომლის შემადგენლობა ფეოდალური იყო.

თავიდანვე დიდი ყურადღება ექცეოდა კოოპერაციის უმარტივესი ფორმების განვითარებას. ამასთან აჭარაში ყალიბდებოდა კოლექტიური მეურნეობები მიწის საერთო ძალით დამმუშავებელი ამხანაგობების სახით.

ზოგიერთი ავტორის მტკიცებით, პირველი სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები აჭარაში გაჩნდნენ 1924—1925 წწ. ა. ბაუეაძე მიუთითებს, რომ 1924 წ. ციხისძირში შეიქმნა აჭარაში პირველი ამხანაგობა („შრომითი მიწათმოქმედების არტელი“) სამკურნალო მცენარეების წარმოების დარგში¹.

სინამდვილეში აჭარაში კოლმეურნეობების შექმნა დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველი დღეებიდანვე, როგორც ცნობილია, 1921 წლის 1 ოქტომბრისათვის საქართველოში 35 კოლმეურნეობა იყო, მათ შორის 2 სასოფლო-სამეურნეო კომუნა და 33 მიწის საერთო ძალით დამმუშავებელი ამხანაგობა.² აჭარაშიც, ჩვენს მიერ გამოვლინებულ საარტიკო მასალებიდან ირკვევა, რომ ჯერ კიდევ 1921 წლის 1 ივლისს ჩამოყალიბდა ქობულეთის რაიონის სოფ. აჭყეაში ამხანაგობა „სუბტროპარტის“ სახელწოდებით.³ 1922 წ. ქო-

¹ ბაუეაძე ა. გ., აჭარის ნორმალთა ბრძოლა საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისათვის, ბათუმი, 1962, გვ. 106.

² Деятельность Комиссарната земледелия с 25 февраля по 2 октября 1921 года. Тифлис, 1924, стр. 28.

³ აჭარის ასსრ ცსა, ფ. რ.—2 ანაწერი 1, საქმე 200, გვ. 69.

ბუღალტრის რაიონის სოფ. დაგვაში შეიქმნა ამხანაგობა „ენოსის“¹. ამავდროულად სექტემბერში სოფ. ბუჯნარში შეიქმნა მიწის საერთო ძალით დამმუშავეები ამხანაგობა².

ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც დათარიღებულია 1924 წლის ნოემბრის 11-სით აღნიშნულია, რომ „მიმდინარე წლის მარტსა და აპრილში მუშაკთა სათემო აღმასკომში, აღმასკომის თავჯდომარის კ. ამირიძის ხელმძღვანელობით, ჩატარდა არტელ „სუბტროპარტის“ ამხანაგობა „ენოსის“, „პროდოსის“, ციხისძირის კოლექტივის თავჯდომარეების რამდენიმე საორგანიზაციო სხდომა ჩაქვის რაიონის კოლექტივების კავშირის შექმნის საკითხთან დაკავშირებით“³.

1923—1925 წწ. აჭარაში იყო მრავალი სხვა კოლმეურნეობის შექმნის ცდები, მაგრამ ისინი დაიშალნენ, ვინაიდან კოლექტივიზაციის პროპაგანდა არ იდგა სათანადო დონეზე და არ იყო უზრუნველყოფილი მათდამი სწორი ხელმძღვანელობა.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია აჭარაში სწრაფი ტემპით განვითარდა საკ. კ. ბ. (ბ) XV ყრილობის შემდეგ, როცა მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ჩვენს ქვეყანაში კოლექტივიზაციის ყოველმხრივი გაშლის შესახებ.

1928 წ. საქართველოში შეიქმნა საკოლმეურნეო მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის სპეციალური ორგანო „საკოლმეურნეო ცენტრი“, ხოლო მის შესაბამისად აჭარაში — „აჭარაკოლმეურნეო ცენტრი“, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდებოდა კოლექტივიზაციის პროცესის უშუალო ხელმძღვანელობა.

1928 წ. აჭარაში იყო 22 კოლმეურნეობა მათში გაერთიანებული 237 გლეხური კომლით. 1929 წლიდან აქ დაიწყო კოლმეურნეობების მასობრივი მშენებლობა. მარტო 1930 წლის განმავლობაში აჭარაში შეიქმნა 55 კოლმეურნეობა და ამ წლის ბოლოს კოლმეურნეობათა რიცხვი 115-მდე გაიზარდა, მათში გაერთიანებული იყო 2351 კომლი.

ამ პერიოდში აჭარაში უპირატესობა ენიჭებოდა კოლმეურნეობების უდაბლესი ფორმების შემსახ. კერძოდ, ამ დროს მთიან აჭარაში არც ერთი სასოფლო-სამეურნეო არტელი არ შექმნილა, იქ კოლმეურნეობები წარმოადგენილი იყო მიწის საერთო ძალით დამმუშავეები ამხანაგობების სახით. სასოფლო-სამეურნეო არტელები მხოლოდ ქობულეთისა და ბათუმის რაიონებში იქმნებოდა.

აჭარის თავისებური კლიმატური და ეკონომიური პირობებისაგან გამომდინარე, საკოლმეურნეო მშენებლობის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სპეციალიზებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნას. მთიან რაიონებში უპირატესად ყალიბდებოდა მეთამბაქოეობის, მეკარტოფილეობის, მეფუტკრეობის და სხვა კოლმეურნეობები, ხოლო სანაპირო რაიონებში — მეჩაიეობის მიმართულების კოლმეურნეობები.

1932 წლის ბოლოსათვის აჭარაში იყო 18 სასოფლო-სამეურნეო არტელი და 223 მიწის საერთო ძალით დამმუშავეები ამხანაგობა, 1931 წლიდან აჭა-

¹ განუთი „ფუხარა“, ცსა. ფ. რ.—2, ანაწერი 1, საქმე 200, გვ. 69.

² აჭარის ასსრ ცსა. ფ. რ.—84, საქმე 21, გვ. 1.

³ იქვე, ფ. რ.—2, ანაწერი 1, საქმე 200, გვ. 76.



რაში საშუალო გლეხობამ მასობრივად იბრუნა პირი კოლმეურნეობებისაკენ. თუ 1930 წელს საშუალო გლეხობა კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო 18,2%-ს შეადგენდა, 1931 წელს იგი 42%-მდე გაიზარდა.¹

1933 წლის ბოლოსათვის აჭარაში ითვლებოდა 23 სასოფლო-სამეურნეო არტელი და 231 მიწის საერთო ძალით დამმუშავებელი ამხანაგობა. კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო 6327 გლეხური მეურნეობა. კოლექტივიზაციის დონემ 43,3%-ს მიაღწია.²

მიუხედავად იმისა, რომ აჭარაშიც, ისევე როგორც საქართველოსა და საბჭოთა კავშირში, საკოლმეურნეო მშენებლობის საქმეში მთელ რიგ დამახინჯებებს და ნაკლოვანებებს ჰქონდა ადგილი, 1934—1935 წწ. აღინიშნა საკოლმეურნეო მშენებლობის ახალი მძლავრი აღმავლობა, 1935 წ. დამკვრელ კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო II ყრილობის მიერ მიღებულმა სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებამ, რომელშიც აისახა საკოლმეურნეო მშენებლობის სამეურნეო-ორგანიზაციული და პოლიტიკური მიღწევები, ახალი ბიძგი მისცა საკოლმეურნეო მშენებლობის განვითარებასა და კოლმეურნეობის დაბალი ფორმიდან საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითად ფორმაზე, საარტელო ფორმაზე გადასვლას.

1940 წ. აჭარაში იყო 212 კოლმეურნეობა, მათ შორის 200 სასოფლო-სამეურნეო არტელი და 12 მიწის საერთო ძალით დამმუშავებელი ამხანაგობა. ამ კოლმეურნეობებში გაერთიანებული იყო 17450 კომლი და კოლექტივიზაციის დონემ 95,9%-ს მიაღწია.³

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ კოლექტივიზაცია აჭარაში, საქართველოს ზოგიერთ სხვა მხარეებთან შედარებით, უფრო მძიმე და რთულ პირობებში მიმდინარეობდა, რაც აიხსნებოდა როგორც ისტორიული და საყოფაცხოვრებო პირობებით (ძველი ადათ-წესების ბატონობა გლეხობაში, ალაბეგების გავლენა მათზე და სხვ.), ისე აჭარის ფიზიკურ გეოგრაფიული პირობებით (მთაგორიანი ადგილმდებარეობა, სოფლების გაფანტულობა და სხვა).

ამრიგად, ომამდელ პერიოდში აჭარაში განხორციელდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, წვრილგლეხური მეურნეობები გაერთიანდნენ კოლმეურნეობებში და, მამასაღამე, გლეხობა მტკიცედ დაადგა სოციალიზმის გზას.

აჭარაში სოციალისტური სოფლის მეურნეობის დამკვიდრებისა და განვითარების ბაზაზე ფართოდ გავრცელდა ძვირფასი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურები — ჩაი, ციტრუსები, ტუნგო, თამბაქო და სხვ. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის განხორციელების შედეგად აჭარა გადაიქცა ინტენსიური სოფლის მეურნეობის რაიონად. ჯერ კიდევ ომამდელ წლებში შეიქმნა ათასობით ჰა ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს, ბამბუკის, კეთილშობილი დაფნის და სხვა კულტურების პლანტაციები, განვითარდა მეთამბაქოეობა და მევენახეობა, მტკიცე საფუძველი ჩაეყარა საზოგადოებრივი მეცხოველეობის, მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის განვითარებას.

¹ აჭარის ასსრ ცსა, ფ. რ—84, საქმე 337, გვ. 45.
² საბჭოთა აჭარის 40 წელი, სტ. კრებული, ბათუმი, 1961, გვ. 35.
³ იხ. აჭარის სსრ წლიური ანგარიში 1940 წლისათვის.



მეჩაიეობის, მეცირუსეობისა და სუბტროპიკული მიწათმოქმედების სხვა-
 დარგების განვითარებისათვის გამოყენებელი იქნა აჭარის შავი ზღვის სანაპირო
 რაიონები, დანარჩენი ტერიტორიები კი დაეთმო სხვა კულტურების მოსავლიანობის
 ბაჟოს, მარცვლეულს, ვაზს, ხეხილს და მეცხოველეობის სხვადასხვა დარგს.

სოფლის მეურნეობის დიდ განვითარებას მიადრია აჭარამ ჯერ კიდევ დიდ
 სამამულო ომამდე, მაგრამ გერმანელ ფაშისტთა ვერაგულმა თავდასხმამ დი-
 დად შეაფერხა აჭარის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის შემდგომი
 სწრაფი აღმავლობა. მიუხედავად იმისა, რომ ომის დროს ძირითადი სამუშაო
 ძალა მამაკაცებისა ფრონტზე იყო გაგზავნილი, აჭარის მშრომელებმა კიდევ უფ-
 რო განამტკიცეს კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, ათვისეს მანამ-
 დე გამოუყენებელი მიწები, გაზარდეს საქექტარო მოსავლიანობა და საერთო
 მოსავალი.

აჭარის მშრომელები ომის პერიოდში ზრდიდნენ შრომის ნაყოფიერებას
 საზოგადოებრივი წარმოების ყველა დარგში, წარმატებით აარტულებდნენ სა-
 ბელმწიფო დავალებებს. ომის პერიოდში მათ სახელმწიფოს ჩააბარეს 46,5 ათა-
 სი ტონა ჩაის ფოთოლი, 1.135 მლნ. ცალი ციტრუსების ნაყოფი, 8 ათას ტ-ზე
 მეტი ტუნგოს ნაყოფი, 3.436 ტ. თამბაქო, 858 ც აბრეშუმის პარკი, 37538 ც
 ზორკი, 15.125 ც რძე, 1187 ც მატყლი და მრავალი სხვა სასოფლო-სამეურნეო
 პროდუქტები. გარდა ამისა, აჭარის მშრომელები შეუწელებლად ზრუნავდნენ
 და შესანიშნავ წარმატებებს აღწევდნენ წითელი არმიის გმირი მებრძოლებისა-
 თვის სხვადასხვა ნივთებისა და საჩუქრების გაგზავნის საქმეში, რითაც თავიან-
 თი წვლილი შეიტანეს ფაშისტური გერმანიის განადგურების საქმეში.



აჭარის სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშრომელებმა დიდ წარმა-
 ტებებს მიადრია ომის შემდგომ პერიოდშიც — მათ მნიშვნელოვნად გაზარდეს
 ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების ფართობები, გააუმჯობესეს
 სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-პატრონობა, გაზარდეს მოსავლიან-
 ნობა, საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა და პროდუქტიულობა.

სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარების მიზნით,
 ომის შემდგომ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მიწების რაცი-
 ონალურ გამოყენებას, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციას. ეს გასაგები-
 ცაა, რადგან საქართველოში საერთოდ და მით უმეტეს აჭარაში ერთ სულ მო-
 სახლეზე ბევრად უფრო ნაკლები სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მოდის,
 ვიდრე მთლიანად საბჭოთა კავშირში.

აჭარა წარმოადგენს განვითარებულ სუბტროპიკული მეურნეობის რა-
 იონს. ამიტომ იქ ცოტაა სახნავი მიწები, იგი 1968 წელს აჭარის მიწების მთე-
 ლი ფართობის მხოლოდ 5,4%-ს შეადგენდა. სახნავი მიწების ასეთი სიმცირე
 არ აღინიშნება საქართველოში არც ერთ კუთხეში. მაგალითად, საქართველოში
 მთლიანად იგი შეადგენს 13,3%-ს, აფხაზეთში — 7,0%-ს, ქვემო ქართლში —
 27,9%-ს, ზემო იმერეთში 18,0%-ს, ქვემო იმერეთში — 21,4%-ს და რაჭა-ლეჩხუ-



მზი—7.2%-ა¹ აჭარის ცალკეულ რაიონებს შორის ამ მხრივ ყველაზე დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება ქობულეთის რაიონი. იქ სახნავი მიწების ფართობი მიწების მთელ ფართობში 1968 წ. შეადგენდა მხოლოდ 3.4%-ს. მეორე რაიონშია სხვა ამ მხრივ ბათუმის რაიონი (5.3%). სახნავი მიწების აეთი დაბალი ხვედრითი წონა ქობულეთშია და ბათუმის რაიონებში აინსნება იმით, რომ ეს რაიონები (განსაკუთრებით ქობულეთში) გადაიქცა სუბტროპიკული მეურნეობის ძირითად ბაზად და თითქმის მიწის ყველა სავარგული გამოყენებულია ჩაის, ციტრუსები, ტუნგოს და სუბტროპიკული ხეხილის სხვადასხვა სახეების განვითარებასთვის. ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობებია გამო აჭარაში ფართოდ განვითარდა სუბტროპიკული მეურნეობა. ამიტომ მიწის ფონდის სტრუქტურის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს მრავალწლოვანი ხარგავებია ძალიან მალალი და სახნავი მიწების ძალიან დაბალი ხვედრითი წონები მიწების მთელ ფართობში.

მთავორიანი რელიეფის გამო, აჭარის მიწის ფონდის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ იგი არააკმაოდდა უზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებით. აჭარა თავისუფალი მიწების დიდ ნაკლებობას განიცდის. აჭარაში არ არის ჩაის, ციტრუსები, ტუნგოს და სხვა ძვირფასი კულტურების ექსტენსიური გზით განვითარების შესაძლებლობა. ამიტომ აღნიშნული კულტურების მოსავლია გადიდება მიმდინარეობს და მომავალშიც წარმართება ინტენსიფიკაციის გზით.

ომისშემდგომ პერიოდში აჭარის სოფლის მეურნეობა სულ უფრო მზარდი რაოდენობით მარაგდებოდა სასოფლო-სამეურნეო მანქანებითა და იარაღებით.

როგორც ცნობილია, 1958 წლამდე თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა თავმოყრილი იყო მტს-ებში, რომლებიც წარმოადგენდნენ მახვილ სამეურნეო-ორგანიზაციულ ცენტრებს. სოციალიტური სახელმწიფოა დასაყრდენ პუნქტებს კოლმეურნეობებისადმი ხელშეწყვენილობისათვის.

საბჭოთა სახელმწიფო მტს-ების მეშვეობით აიარაღებდა სოფლის მეურნეობა თანამედროვე უახლესი ტექნიკით. მოწინავე ტექნიკით კოლმეურნეობების მომარაგება და მომასხურება აჭარაში ხორციელდებოდა ქობულეთის მტს-ის საშუალებით. რომელიც შეიქმნა ჯერ კიდევ 1940 წელს. ვინაიდან აჭარასუბტროპიკული კულტურების მხარეა წარმოადგენს. ამიტომ ქობულეთის მტს-ი იყო სპეციალიზებული იც, რომ იგი ყოველნაირად უწყობდა ხელს აღნიშნული კულტურების გაშენებას, მოვლასა და შემდგომ განვითარებას. საკმარისია აღინიშნოს, რომ ქობულეთის მტს-ის ძირითადი ფონდები 1955 წელს 1945 წელთან შედარებით 23-ჯერ გაიზარდა, ტრაქტორების რიცხვი 4-ჯერ, ტრაქტორების სიმძლავრე — 2,5-ჯერ, ხოლო შესრულებული სამუშაოს მოცულობა 37,3-ჯერ².

1958 წ. სკკ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელდა მტს-ების რეორგანიზაცია და მათში

¹ ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტ. შრომები, ტ. XIX, გვ. 115.
² აჭარის ასსრ სახალხო მეურნეობა სტ. კრებული, ბათუმი, 1958, გვ. 49.



არსებული ტექნიკა მიეყიდა კოლმეურნეობებს. აღნიშნული ღონისძიებები ტარებამ წარმოშვა დიდი ჰაინელეები სოფლის მეურნეობის განვითარებაში კოლმეურნეობებზე ტექნიკის გადაცემამ გააუარესა მანქანების მართვის მუშაობის საჭმე, დაიქსაქსა ტექნიკა და მექანიზატორთა კატეგორიის კოლმეურნეობებში.

სოფლის მეურნეობის განვითარებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა სოციალისტური რეკონსტრუქციის ნათესი ფართობების გამოყენებისა და წარმოების ორგანიზაციის შესახებ, რამაც გამოიწვია ის, რომ შეიძღვრდნენ დეპლუტაციის სოფლის მეურნეობის დარგში ვერ შესრულდა, ხოლო სოფლის მეურნეობის ჩამორჩენამ გამოიწვია მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარების გეგმების შეუსრულებლობა.


სკკ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმმა დეტალურად განიხილა სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის მიზეზები და დასაბა მისი ყველა დარგის ახალი სწრაფი აღმავლობის ღონისძიებანი.

სკკ ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის თებერვლის პლენუმის დადგენილების შესაბამისად ქობულეთის მტს-ი რეორგანიზებულ იქნა სარეპონტო-ტექნიკურ სადგურად, ხოლო 1961 წლის აპრილიდან მის ბაზაზე შეიქმნა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „აჭარსოფლტექნიკის“ ქობულეთის განყოფილება. გაერთიანება „აჭარსოფლტექნიკა“ ხელმძღვანელობს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებას სოფლის მეურნეობაში, მის შენახვასა და რემონტს, იგი ახარავებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, მინერალური სასუქებით და ქიმიური საშუალებებით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

„აჭარსოფლტექნიკის“ ჩამოყალიბებამ ხელი შეუწყო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მომსახურების გაუმჯობესებას, ტრაქტორების დატვირთვის გაზრდას, მიწის დამუშავების თვითღირებულების შემცირებას და სხვ.

„აჭარსოფლტექნიკამ“ დიდი სამუშაოები ჩაატარა მაღალმთიანი რაიონების ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობებისადმი ტექნიკური დახმარების გაწევის საქმეში. „აჭარსოფლტექნიკასთან“ ჩამოყალიბდა შუახვევის სატრაქტორო რაზმი შუახვევის, ქედის, ხულოს და ბათუმის რაიონების ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობების მომსახურებისათვის.

ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების გატარებამ მნიშვნელოვნად გაუმჯობესა აჭარის სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღებისა და მექანიზაციის განხორციელების საქმე. თუ წინათ ტრაქტორები გამოიყენებოდა მხოლოდ ხენისა და ახალი პლანტაციის გაშენებისათვის ნიადაგის მოსამზადებლად, ამჟამად ისინი ასრულებენ ისეთ სამუშაოებსაც, როგორცაა ციტრუსებისა და ხეხილის ნარგავების წამლობა, სასილოსე, მასალის დაჭრა და დასილოსება, ჩაის ბუჩქების გადაჭრა და გაფორმება, კულტივაცია, მინერალური სასუქების შეტანა და ა. შ. ამჟამად ჩაის პლანტაციებში მუშაობს ჩაის საკრეფი მანქანები „საქაროველო“, რისთვისაც ოჩხამურისა და ცეცხლაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის



ბებში, ხუცუბნის, ფიჭვნარისა და ქაქუფის კოლმეურნეობებში შექმნილია სე-
ციალიზებული ბრივადები კომპლექსური მექანიზაციის განხორციელებას
ომისშემდგომ პერიოდში დიდი ყურადღება ექცეოდა აჭარის მეურნეობის
ურნეობის ელექტროფიკაციას — აგებულ იქნა მრავალი საკოლმეურნეო და
საკოლმეურნეობათაშორისო ელექტროსადგური.

მაგრამ, აუცილებელია, რომ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებ-
მა უფრო ფართოდ გამოიყენონ ელექტროენერგია საწარმოო საჭიროებებზე და
ამით შეამსუბუქონ სოფლის მშრომელთა შრომა. ვახარდონ შრომის ნაყოფი-
ერება და უზრუნველყონ პროდუქციის თვითღირებულების თანმიმდევრული
შემცირება. იგი მეტად აუცილებელია აგრეთვე სოფლის მეურნეობის მშრო-
მელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებისათვისაც.

წარმოების ძირითადი საშუალებებით კოლმეურნეობათა უზრუნველყოფის
მხრივ აჭარის მთიანი რაიონების კოლმეურნეობები მეტისმეტად ჩამორჩებიან
ზღვისპირა რაიონების კოლმეურნეობებს, რაც ნათლად მეტყველებს იმის შესა-
ხებ, რომ მთიანი რაიონების კოლმეურნეობები ჯერ კიდევ ეკონომიურად სუს-
ტნი არიან, რადგან წარმოების ძირითადი საშუალებებით უზრუნველყოფა
ძირითადად დამოკიდებული მათი საზოგადოებრივი მეურნეობების განვითარე-
ბა, მათი შემოსავლიანობა და კოლმეურნეთა ცხოვრების დონე. აჭარის მთიან
რაიონებში ძალიან დაბალ დონეზეა სოფლის მეურნეობის მექანიზაცია. ამ ზო-
ნის კოლმეურნეობებმა უკანასკნელ წლებში რიგი ახალი მანქანები და იარაღ-
ები მიიღეს. მაგრამ მათი გამოყენება უმრავლეს კოლმეურნეობებში ძნელდება
და ზოგჯერ სრულიადაც ვერ ხერხდება არსებული რელიეფის გამო. იქ ზოგჯერ
მიწებს ამუშავენ 30—35° დაქანებულ ფერდობებზე.

გასაგებია, რომ ასეთ პირობებში სამუშაოთა მექანიზაციის განხორციელება
თანამედროვე მანქანებით შეუძლებელია, ამიტომ მთიან რაიონებში ჯერ კიდევ
ფართოდ არის გამოყენებული ცოცხალი გამწევი ძალა და პრიმიტიული სასოფ-
ლო-სამეურნეო იარაღები. ზოგჯერ კი შეუძლებელია ცოცხალი გამწევი ძალის
გამოყენებაც და მიწებს ამუშავენ მხოლოდ თხზით, რისთვისაც დიდძალ შრო-
მას ხარჯავენ, ამასთან მთიანი რაიონების შემინდვრეობის მექანიზაცია ხორ-
ციელდება ძალიან ნელა. ამიტომ აუცილებელია ზემდგომმა ორგანოებმა მეტი
იზრუნონ იმისათვის, რომ შეიქმნას მანქანებისა და იარაღების ისეთი კომპლექ-
სი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მთიანი რაიონების სოფლის მეურ-
ნეობის მექანიზაციისათვის. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა გამოვიყენოთ
ენტრიკალური მიწათმოწყობა, როცა მთებზე ფერდობებზე იქმნება ტერასები.
გაიყვანება ტრანშეები, რომლებიც დაიცავენ ნიადაგს ჩამორცხვისაგან და შე-
იქმნება პირობები შრომატევადი პროცესების მექანიზაციის განხორციელები-
სათვის. მაგრამ ტერასების შექმნისათვის ხომ საჭიროა მაღალი წარმადობის
მანქანები, რომლებიც ჯერ კიდევ ძალიან ცოტა მოიპოვება აჭარის მაღალმთიან
რაიონებში.

სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების და
განმტკიცების ბაზაზე ომისშემდგომ პერიოდში აჭარის მშრომელებმა ახალი
წარმატებები მოიპოვეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების საქ-

მეში. პირველ რიგში აღსანიშნავია ის უდიდესი წარმატებები, რომლებიც მოპოვებულია მრავალწლიანი კულტურების განვითარების საქმეში.

1968 წელს მრავალწლიანი ნარგავების უმეტესი ნაწილი მოდითრქმუნულნი მეურნეო სექტორის წილად. ყეროდ მასზე მოდიოდა მრავალწლიანი ნარგავების მთელი ფართობის 62,4%, საბჭოთა მეურნეობებს ეკავთ — 19,5%, ხოლო დანარჩენი ფართობი მოდიოდა კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა პირადი დამხმარე მეურნეობის წილად. ამრიგად მრავალწლიანი კულტურების ძირითად მწარმოებელს აჭარაში წარმოადგენს საკოლმეურნეო სექტორი.

მრავალწლიანი ნარგავები ცალკეული რაიონების მიხედვით არათანაბარ-ზომიერადაა განლაგებული. ისინი მთიან რაიონებში ფაშენებულია მხოლოდ საკოლმეურნეო სექტორში და კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე, ეს კი მით არის გამოწვეული, რომ აჭარის მაღალმთიან რაიონებში არ არის საბჭოთა მეურნეობა.

მრავალწლიანი ნარგავების მთლიან ფართობში ყველაზე დიდი ხვედრითი წონით არის წარმოდგენილი ჩაის ფართობი. მის წილად 1967 წელს მოდიოდა მრავალწლიანი ნარგავების მთელი ფართობის 34,7%. მეორე ადგილი ეჭირა ციტრუსების ფართობს (27,5%), მესამე—ხეხილის ნარგავებს (21,4%), მეოთხე — ტუნგოა (9,6%) და ა. შ.

ჩაი მეტად დიდი შრომატევადი კულტურაა, იგი გაშენებისათვის დიდ ხარჯებს მოითხოვს და ამასთანავე საჭიროებს გარკვეული აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებას. ხოლო მოსავალს გაშენებიდან 5—6 წლის შემდეგ იძლევა, ამიტომ ღარიბი გლეხობა მას ვერ აშენებდა, თუმცა საამისოდ ხელსაყრელი პირობები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდეც არსებობდა.

ჩაის წარმოების სწრაფი განვითარება აჭარაში (და არა მარტო აჭარაში) შედეგია პარტიისა და მთავრობის მიერ მთელ რიგ ღონისძიებათა გატარებისა. ჩაის მეურნეობის განვითარების მიზნით, გლეხობას ეძლეოდა გრძელვადიანი სესხი, სულ უფრო იზრდებოდა ჩაის რაიონების მომარაგება სასურსათო და სამრეწველო საქონლით, უმჯობესდებოდა ამ რაიონების აგრონომიული მომსახურება და სხვა.

ომისშემდგომ პერიოდში ჩაის ნარგავთა ფართობი განუზრდელად იზრდებოდა. 1968 წელს 1940 წელთან შედარებით ჩაის ფართობი აჭარაში თითქმის 2500 ჰექტარით გაიზარდა.

აჭარაში ჩაის ძირითადი მწარმოებლებია ზღვისპირა რაიონები, მათ წილად მოდის აჭარის ჩაის მთელი ფართობის 97%. 1968 წელს ჩაის ფოთოლს აწარმოებდა ქობულეთის რაიონის ყველა (28) კოლმეურნეობა, ბათუმის რაიონის 24 კოლმეურნეობა (სულ ბათუმის რაიონში 25 კოლმეურნეობაა), ქედის რაიონის 12 კოლმეურნეობა და აჭარის 14 საბჭოთა მეურნეობა:

ომისშემდგომ პერიოდში ჩაის პლანტაციების ფართობის გადიდებისათვის ერთად იზრდებოდა ჩაის საერთო მოსავალიც; 1965 წელს აჭარის მეჩაიეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 32.204 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც 3,1-ჯერ აღემატება ჩაის მწვანე ფოთლის საერთო მოსავალს 1940 წელს; 2,1-ჯერ 1950 წელს და 1,6-ჯერ 1955 წელს. მარტო შეიდწლედის განმავლობაში აჭარამ მისცა სამ-

შობლოს 200 ათასი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი — 15 ათასი ტონით მეტი, ეიღრე გეგმით იყო გათვალისწინებული; აჭარის მეჩაიეებმა 1966 წელს სამშობლოს მიჰყიდეს 35.577 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ჩაის მწვანე ფოთლის საერთო მოსავლის ასეთი სწრაფი ზრდა მოსავლიანობის განუხრავად დების შედეგია. ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლიანობის მხრივ აჭარას პირველი ადგილი უკავია საქართველოში. 1960 წელს საქართველოში საშუალოდ ერთ ჰექტარზე მიღებული იქნა 3240 კგ, ხოლო აჭარაში 4796 კგ. 1965 წელს შესაბამისად 3360 კგ და 5148 კილოგრამი. 1966 წელს აჭარაში საშუალოდ ჰექტარზე მიღებული იქნა 5616 კგ ჩაის მწვანე ფოთოლი:

ჩაის მწვანე ფოთლის კიდევ უფრო მაღალ მოსავალს ღებულობენ ცალკეული მეურნეობები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ქობულეთის რაიონის სოფლების: ქვედა აყყვას, ჩაისუბნის, ულიანოვკას, ზენითის, კვირიკეს, სუცუბნის, ბობოყვათის, ქაჭუთის კოლმეურნეობები. ბათუმის რაიონის სოფლების: ახალშენის, მახოა, ჩაისუბნის, წინსვლას, ურეყის კოლმეურნეობები, ოჩხამურის, ჩაქვის, ცეცხლაურის, სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობები და სხვა.

აჭარას გააჩნია მეტად ხელსაყრელი პირობები მეჩაიეობის შემდგომი განვითარებისათვის, მაგრამ იმის გამო, რომ აღარ მოიპოვება თავისუფალი მიწები, შეუძლებელი ხდება მისი ფართობების გადიდება. ამიტომ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მოსავლიანობის გადიდებას და მისი ხარისხის გაუმჯობესებას. რიათვისაც აჭარაში არსებობს უდიდესი რეზერვები, საჭიროა მხოლოდ მათი უნარიანად გამოყენება.

ციტრუსოვანი კულტურებიც საქართველოში და მათ შორის აჭარაში ძველთაგანვეა ცნობილი, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამდე მან გავრცელება მაინც ვერ პოვა. ციტრუსოვანთა ნარგავების ფართობი საქართველოში 1913 წელს 160 ჰექტარს არ აღემატებოდა.

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დიდი ყურადღება მიექცა ციტრუსოვანი კულტურების განვითარებასაც. ამჟამად ციტრუსების წარმოების დარგში საბჭოთა კავშირში აჭარას პირველი ადგილი უკავია. იქ წარმოება ყოველწლიურად საქართველოში და, მაშასადამე, საბჭოთა კავშირში წარმოებული ციტრუსების ნაყოფი 70—75 პროცენტი.

მაგრამ ციტრუსების განვითარება მეტად შეაფერხა ომისშემდგომ პერიოდში ძლიერმა ყინვებმა, რის შედეგადაც მისი ფართობი აჭარაში (მთელ საქართველოშიც) მნიშვნელოვნად შემცირდა. მიუხედავად ციტრუსების ფართობის მკვეთრი შემცირებისა, ომისშემდგომ პერიოდში განუხრავად იზრდებოდა მისი საერთო მოსავალი. 1966 წელს აჭარის მშრომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 30 ათას ტონაზე მეტი ციტრუსოვანთა ნაყოფი, რითაც დაახლოებით ორჯერ გადააჭარბეს გეგმით გათვალისწინებულ დავალებას:

თანამედროვე პირობებში ციტრუსოვანი კულტურების შემდგომ განვითარებას ძალიან აფერხებს ავადმყოფობა „მალსეკო“, რომელიც მასიურად მოედო ციტრუსების ნარგავებს ომისშემდგომ პერიოდში და რომლის წინააღმდეგ საბრძოლველდაც ვერ კიდევ არ არის ეფექტიანი ზომები მიღებული.

რამდენიმე წელია, რაც გაჩნდა ციტრუსების ახალი მანებელი ფართობი — რა (БЕЛОКРЫЛКА), რომლის წინააღმდეგაც დიდი ღონისძიებებია ჩატარებული, მაგრამ ჭერჭერობით იგი კიდევ საკმაო ზიანს აყენებს ციტრუსებს. როა მის წინააღმდეგ უფრო მეტი ზომების მიღება.

ციტრუსოვანი კულტურები გავრცელებულია აჭარის მხოლოდ ორ რაიონში — ქობულეთისა და ბათუმის რაიონებში. აქედან ციტრუსების ფართობის და მისი ნაყოფის წარმოების ძირითადი ნაწილი ქობულეთის რაიონზე მოდის. კერძოდ, 1968 წლის პირველ იანვრისათვის ქობულეთის რაიონის წილად მოდიოდა ციტრუსების მთელი ფართობის 67,3 პროცენტი, დაახლოებით ამდენივე მოდის მის წილად ციტრუსების ნაყოფიც.

საზოგადოებრივ სექტორში ციტრუსების განვითარებისათვის საჭიროა პირველ რიგში ბრძოლა მეჩხერიანობის წინააღმდეგ, ბრძოლა მისი მოვლის გაუმჯობესებისათვის, აგროტექნიკურ ღონისძიებათა დროულად გატარებისათვის. ახალი ჯიშების გამოყვანისა და გავრცელებისათვის; სხვანაირად აჭარისათვის ძნელი იქნებოდა ნაკისრი ვალდებულებების შესრულება (მიიღოს 1970 წელს 50 ათასი ტონა ციტრუსების ნაყოფი).

სოციალისტური სოფლის მეურნეობის ბაზაზე ფართოდ განვითარდა მეხილეობა, განსაკუთრებით კი ვაშლის, მსხლის, სუბტროპიკული ხურმის და სხვა წარმოება.

ამჟამად მეხილეობა განვითარებულია აჭარის ყველა რაიონში. ომის შემდგომ პერიოდში ხეხილის ნარგავთა ფართობი სისტემატურად იზრდებოდა. 1966 წელს ხეხილის ფართობი აჭარაში შეადგენდა 4523 ჰა-ს, მათ შორის კოლმეურნეობების წილად მოდიოდა 76,9%, ხოლო კოლმეურნეთა პირად დახმარებულ მეურნეობაზე — 16,9%.

მარტო შეიძლეოდის მანძილზე აჭარაში გაშენებული იქნა ხეხილის 2604 ჰექტარი პლანტაცია. ბოლო პერიოდამდე ხეხილის ნარგავების ერთიან მასივად გაშენებას არ ექცეოდა ყურადღება. ამ ბოლო წლებში მას დიდი ყურადღება მიექცა, განსაკუთრებით მაღალმთიან რაიონებში, მაგრამ იგივე არ ითქმის მათი მოსაულის შესახებ. აჭარის მთელ რიგ სოფლებში მის მოვლა-პატრონობას არ ექცევა ჭროვანი ყურადღება, რის შედეგადაც დარგული ნარგავები ხმება და პირუტყვისაგან ნადგურდება. ამის გამო მეტად დაბალია მოსავლიანობა.

აჭარაში ომამდელ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი მევენახეობის განვითარებას. დაბლარი ვაზის მასიური გაშენება აჭარაში იწყება 1935 წლიდან, მას შემდეგ, რაც შეიქმნა ქედამი მევენახეობის საცდელი უბანი.

მევენახეობის განვითარება უფრო სწრაფი ტემპით წავიდა ომის შემდგომ პერიოდში. 1965 წელს ვენახის ფართობი შეადგენდა 575 ჰექტარს, ნაცულად 68 ჰექტარისა 1940 წელს, მაგრამ აქაც აღსანიშნავია, რომ მის განვითარებას არ ექცევა სათანადო ყურადღება.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის დამკვიდრების ბაზაზე გავრცელდა აჭარაში ტუნგო, კეთილშობილი დაფნა, ბამბუკი და სხვა.

ზეთოვან ტექნიკურ სუბტროპიკულ კულტურებს შორის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ტუნგოს.

ტუნგო იწარმოება მთლიანად ქობულეთისა და ბათუმის რაიონებში, მას სათანადო კლიმატური პირობების უქონლობის გამო, ვერ აწარმოებენ მთიან აჭარის რაიონებში; 1965 წელს აჭარაში სულ იყო 2038 ჰექტარი ტუნგის კულტურა.

ტუნგოს ნარგავები საგრძნობლად დააზიანა 1949—50 წლების ზამთრის ყინვებმა. ამასთან ზოგიერთი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ნაკლებ ყურადღებას აქცევს ტუნგოს კულტურას; ამცირებენ ტუნგოს პლანტაციებს. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ აჭარაში ტუნგოს პლანტაციების საერთო ფართობი 1967 წელს 1940 წელთან შედარებით 870-მდე ჰექტარით შემცირდა.

უქანსკენელ წლებში აჭარაში ფართოდ ვრცელდება კეთილშობილი დაფნის კულტურა.

ფართოდ არის ცნობილი ჩვენს ქვეყანაში ბამბუკის კულტურა. მისი შედარებით დიდი პლანტაციები აჭარაში შეიქმნა ჭერ კიდევ ომამდე ჩაქვის ჩაის, ციხისძირის ციტრუსების, ოჩხამურის ჩაის, სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში და ქობულეთის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობა და კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“.

ომისშემდგომ პერიოდში ფართოდ გავრცელდა ევკალიპტის კულტურა, რამაც დიდი როლი შეასრულა აჭარის დაჭაობებული მიწების ამოშრობა და გაჭანსაღების საქმეში, თუ არაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ რა ფართო გამოყენება აქვს მისგან დამზადებულ ზეთებს მედიცინაში. მიუხედავად ამისა, ამ კულტურის განვითარება-გავრცელებას ამ ბოლო პერიოდში აღარ ექცევა ყურადღება, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

მემინდვრეობის კულტურებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია თამბაქო, რომელსაც წამყვანი ადგილი უკავია აჭარის მთიანი რაიონების ეკონომიკაში.

როგორც ცნობილია, მაღალხარისხოვანი თამბაქოს წარმოების დარგში აჭარას მეორე ადგილი უკავია საქართველოში (პირველ ადგილზე იმყოფება აფხაზეთის ასსრ). აჭარაში თამბაქო გავრცელებულია, როგორც კოლმეურნეობებში, ისე კოლმეურნეთა პირად დამხმარე მეურნეობებშიც. სამრეწველო მასშტაბით მის განვითარებას აჭარაში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიეცა ყურადღება.

1965 წელს თამბაქოს ფართობი აჭარის ყველა კატეგორიის მეურნეობაში შეადგენდა 1530 ჰექტარს, მათ შორის კოლმეურნეობებში იყო გაშენებული 1496 ჰექტარი, ანუ მთელი ფართობის 97,7 პროცენტი.

უქანსკენელ წლებამდე განუხრელად იზრდებოდა თამბაქოს საერთო მოსავალი და მოსავლიანობაც.

მარცვლეული კულტურების ფართობი აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების წლებში 1934 წლამდე თანდათანობით იზრდებოდა. მაგრამ შემდეგ იგი თანდათანობით იწყებს შემცირებას. კერძოდ, 1934 წლის 17,7 ათასი ჰექტარიდან იგი 1940 წელს შემცირდა 13,7 ათას ჰექტარამდე, ხოლო 1965 წელს შემცირდა 7.179 ჰექტარამდე. ეს უქანსკენელი გამოწვეულია მრავალწლიანი კულტურების (ჩაის, ციტრუსების და სხვა) ფართობების გადიდებით.



ბოსტნეული და ბალჩეული კულტურები იწარმოება მთელ აჭარაში. მაგრამ მას შედარებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სანაპირო რაიონებში. სანაპირო რაიონებში უნდა უზრუნველყონ ახალი ბოსტნეულითა და ბალჩეულითა ქალაქების მოსახლეობა და კურორტების დამსვენებლები. ამ მიზნით უნდა აღმოჩნდეს ღონისძიებები განხორციელდეს აჭარაში; კერძოდ, 1959 წელს შეიქმნა ქობულეთის რაიონში მეზოსტნეობის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც განვითარების დიდი პერსპექტივები აქვს. მაგრამ ეს არ არის საკმარისი, მის განვითარებას ხელი უნდა მოჰქიდოს სანაპირო რაიონების თითქმის ყველა კოლმეურნეობამ, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მისი მოსაველიანობის გადიდებას. საჭიროა, აგრეთვე, უფრო მეტი ყურადღება მიექცეს კარტოფილის წარმოების გადიდებას მთიანი აჭარის რაიონებში, სადაც მეტად ხელსაყრელი პირობებია მისი ფართოდ განვითარებისათვის.

ამრიგად, აჭარის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკაში უპირატესი მნიშვნელობა მრავალწლიან ნარგავებს ენიჭებათ. ამასთან, ომის შემდგომ პერიოდში მათი ფართობი, მოსავლიანობა და საერთოდ მოსავალი სწრაფად იზრდებოდა.

წარმოების შემდგომი განვითარება სულ უფრო ახალი და ახალი მიწების ათვისებისა და დაპუშაების ხარჯზე არ შეიძლება გახდეს აჭარის სუბტროპიკული მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებად. მრავალწლიანი ნარგავების ფართობის მნიშვნელოვანი გადიდება აჭარაში შეუძლებელია, რადგან იქ მიწების რაოდენობა შეზღუდულია, ამიტომ ძირითად მიმართულებას სოფლის მეურნეობის განვითარებაში უნდა წარმოადგენდეს აუცილებლად წარმოების ინტენსიფიკაცია.

* * *

აჭარის სოფლის მეურნეობაში დიდ როლს თამაშობს მეცხოველეობა. მისი მნიშვნელობა აჭარისათვის მარტო მისი შემოსავლიანობით როდი შემოიფარგლება; პირველ რიგში მეცხოველეობის მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ აჭარაში ქალაქებისა და კურორტების დიდი მოთხოვნილებაა რძისა და ხორცის პროდუქტებზე. გარდა ამისა, აჭარაში, განსაკუთრებით მის მაღალმთიან რაიონებში, ჯერ კიდევ ძირითად გამწვევ ძალას მუშა პირუტყვი წარმოადგენს. მუშა პირუტყვი გამოიყენება აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებადაც, რადგან მთავორიანი რელიეფი ზოგჯერ არ იძლევა მექანიკური ტრანსპორტის გამოყენების საშუალებას და აგრეთვე, აჭარის სოფლის მეურნეობისათვის (განსაკუთრებით მეცირტრუსეობის, მეთამბაქოეობის და სხვა) დიდი მნიშვნელობა აქვს ორჯანული სასუქების გამოყენებას. მეცხოველეობის მიმართულება აჭარის სხვადასხვა ეკონომიურ რაიონებში სხვადასხვანაირია. მთიან აჭარაში მეცხოველეობა სახორცე-სარძეო მიმართულებისაა, ხოლო ზღვისპირა ზონაში სარძეო-სახორცე მიმართულების.

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების ბაზაზე აჭარაში განვითარდა საზოგადოებრივი მეცხოველეობა. ჯერ კიდევ ომამდელ პერიოდში კოლმეურ-

ნეობებში იქმნებოდა მსხვილი რქიანი პირუტყვის, მეცხვარეობის, მეფრინველეობის ფერმები. მტკიცე საფუძველი ჩაეყარა მეღორეობის განვითარებას. ვიკნა, რომ კოლმეურნეობებში მეცხოველეობის ფერმების შექმნისა და განვითარების მიზნით მეცხოველეობის განვითარების შესახებ პარტიისა და მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებათა შედეგად მარტო ომის წინა 5 წლის განმავლობაში (1936—1940 წწ.) კოლმეურნეობების მეცხოველეობის საერთო პროდუქტია აქარაში 25,6-ჯერ გაიზარდა, მათ შორის ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებში—35,2-ჯერ, ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებში—72,3-ჯერ, ქედის რაიონში 59:1-ჯერ, ხოლო ხულოს რაიონში—12-ჯერ¹.

დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული ომის შემდგომ პერიოდშიც.

მეცხოველეობის ახალი დარგია აქარაში მეღორეობა, რომლის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება ომის შემდგომ პერიოდში მიექცა. მეღორეობის განვითარების საუკეთესო პირობები არსებობს აქარაში, მაგრამ მის განვითარებას სოფლებში ძალიან აბრკოლებდა ადგილობრივი მოსახლეობის სარწმუნოებრივი გადმონათბობები. ომის შემდგომ პერიოდში მისი სულადობა სწრაფი ტემპებით იზრდებოდა.

მეფრინველეობის განვითარების დარგში დიდი მუშაობა განხორციელდა ომის შემდგომ პერიოდში, შეიქმნა ქობულეთის და ქედის საკოლმეურნეობათა შორისო მეფრინველეობის ფერმები, ბათუმის მეფრინველეობის საინჟინტორო სადგურის ბაზაზე შეიქმნა მეფრინველეობის ფაბრიკა (საბჭოთა მეურნეობა) და სხვა, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ აქარის ქალაქების, კერძო რეზიდენციებისა და სხვა, ფრინველის ხორციით მომარაგების საქმეში. მათ შორის განსაკუთრებით მსხვილია ბათუმის მეფრინველეობის ფაბრიკა, რომელიც შეიქმნა 1962 წელს.

აქარის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია აგრეთვე ომის შემდგომ პერიოდში ვითარდებოდა არადაამაკმაყოფილებლად.

აქარის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დარგი მეფუტკრეობა მეაბრეშუმეობა. მას სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს და კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების შემოსავლების გადიდების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. მეაბრეშუმეობა ომის შემდგომ პერიოდში შეუფერხებლად ვითარდებოდა, რის შედეგაც იზრდებოდა წარმოებული აბრეშუმის პარკის მოცულობა.

მაგრამ ჯერ კიდევ მთლიანად როდია გამოყენებული აქარაში მეაბრეშუმეობის განვითარების ყველა რეზერვი. აქარის კოლმეურნეობებს შეუძლია მნიშვნელოვნად გაზარდოს კიდევ აბრეშუმის პარკის წარმოება, თუ სათანადო ყურადღება მიექცევა საკვები ბაზის შექმნას და გახმტიკებას.

მიუხედავად იმისა, რომ ომის შემდგომ პერიოდში გარკვეული წარმატებები იქნა მოპოვებული საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისა და მის პროდუქტიულობის ამაღლების დარგში, მეცხოველეობა აქარაში ჯერ კიდევ

¹ აქარის ასსრ, ცხ. ფ. რ.—84, ს. 14. ანაწერი 2, გვ. 34.

ჩამორჩენილ დარგად ითვლება. მისი ჩამორჩენა და არსებული ნაკლოვანებები, პირველ რიგში, იმით აიხსნება, რომ ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები არასაკმაოდ ზრუნავენ მასზე.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში ყველაზე უფრო მტკიცე საკვები ბაზის უქონლობა. აჭარის კოლმეურნეობებში (განსაკუთრებით ბათუმისა და ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებში) საკვები ბაზა იქმნება ძირითადად შემოზიდული საკვების ხარჯზე, რაც დაკავშირებულია უდიდეს ფულად დანახარჯებთან. ამასთან, შემოზიდვა ზდება არა მარტო კონცენტრატებისა, არამედ უხეში საკვებისაც, რაც აძვირებს პირუტყვის შენახვას და ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას. მაგალითად, 1965 წელს მარტო ქობულეთისა და ბათუმის რაიონების კოლმეურნეობებმა პირუტყვისათვის საკვების შექმნაზე დახარჯეს 1301,0 ათასი მანეთი, რაც აჭარის ყველა კოლმეურნეობების მიერ საკვების შექმნაზე დახარჯული თანხის 84 პროცენტს შეადგენდა. მარტო ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებმა ამ მიზნით დახარჯეს 732,0 ათასი მანეთი, რაც 207,0 ათასი მანეთით აღემატება რაიონის კოლმეურნეობების მიერ მეცხოველეობიდან მიღებულ ფულად შემოსავალს¹.

აჭარის მოწინავე მეურნეობათა გამოცდილება კი გვიჩვენებს, რომ საზოგადოებრივი პირუტყვის მოთხოვნილება საკვებზე ძირითადად შეიძლება დაკმაყოფილდეს ადგილობრივი საკვებით. ეს ყველაზე მეტად ეხება მთიანი ზონის კოლმეურნეობებს, რომლებსაც ყველა პირობა აქვთ მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პირუტყვის ჯიშობრივი შედგენილობის გაუმჯობესებას, მწვანე და წვნიანი საკვებით პირუტყვის უზრუნველყოფას, მექანიზაციის განხორციელებას ფერმებში.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ომის შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა მეცხოველეობის განვითარებისათვის, იგი მაინც ჯერ კიდევ აჭარის სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილ დარგს წარმოადგენს. პირუტყვის საკვებით არასაკმაო უზრუნველყოფისა და ცუდი მოვლის გამო მაღალია პირუტყვის დაცემა, ამიტომ რესპუბლიკის ბევრი მეურნეობა განსაკუთრებით სანაპირო ზონის რაიონების კოლმეურნეობები, იძულებული არიან, პირუტყვის სულადობის გადიდების გეგმის შესრულების მიზნით, იყიდონ პირუტყვი და დახარჯონ ამისათვის დიდძალი სახსარები.

ჯერ კიდევ დაბალია პირუტყვის პროდუქტიულობა, რის ძირითად მიზეზსაც წარმოადგენს მტკიცე საკვები ბაზის უქონლობა, რიც გამოც კოლმეურნეობათა მიერ დიდძალი სახსარები იხარჯება საკვების შექმნაზე. ამიტომ აჭარის მეცხოველეთა გადაუდებელ საბრძოლო ამოცანას წარმოადგენს მეცხოველეობისათვის საკუთარი და მტკიცე საკვები ბაზის შექმნა.

¹ იხ. კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშები.



* * *

აჭარის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მაჩვენებლები მოწმობენ, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით მემცენარეობის ძირითადი დარგები, რენტაბელური ფაზით ვითარდება. აღსანიშნავია, რომ 1966 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობების ფულადი შემოსავალი 4271,0 ათასი მანეთით, ხოლო 1967 წელს 4071,0 ათასი მანეთით აღემატებოდა წარმოების დანახარჯებს¹.

აჭარის ასსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ეფექტურობას ძირითადად განსაზღვრავს სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურები; 1966 წელს მემცენარეობის რენტაბელობის დონე კოლმეურნეობებში 43% აღწევდა, ხოლო 1967 წელს 36%. მარტო ჩაის მწვანე ფოთლის რეალიზაციიდან შემოსავალმა 5269,0 ათასი მანეთით გადააჭარბა გაწეულ ხარჯებს და ამ კულტურის რენტაბელობის დონემ 50 პროცენტი შეადგინა.

მაღალი რენტაბელობით ხასიათდება ციტრუსებიც. 1967 წელს მეციტრუსეობაში წმინდა შემოსავალმა 157,0 ათასი მანეთი შეადგინა, ხოლო ამ კულტურის რენტაბელობის ნორმამ 9,3 პროცენტი. მემცენარეობიდან რენტაბელურ კულტურებს წარმოადგენენ აგრეთვე ტუნგო, ხეხილი, დაფნა, ვენახი და სხვა. 1965 წელს კოლმეურნეობების წმინდა შემოსავალმა მემცენარეობიდან მთლიანად 5986,0 ათასი მანეთი შეადგინა, აქედან მარტო ჩაის კულტურაზე მოდიოდა 88,0%.

მაგრამ ყოველივე ეს იმას არ ნიშნავს, რომ კოლმეურნეობებში ყველა კულტურა რენტაბელურია. აჭარის სოფლის მეურნეობისათვის ისეთი მნიშვნელოვანი კულტურა, როგორცაა თამბაქო—ჯერ კიდევ წამგებიანია. მიუხედავად იმისა, რომ 1960—1964 წლებში თამბაქოს შესყიდვის ფასები მნიშვნელოვნად გაზარდა სახელმწიფომ, იგი ჯერ კიდევ წამგებიან კულტურას წარმოადგენს.

აჭარის კოლმეურნეობების სამეურნეო საქმიანობის ეფექტურობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჯერ კიდევ არაღამაქმყოფილებლად გამოიყენება წარმოების აღმავლობისათვის არსებული რეზერვები და შესაძლებლობები. დაბალია კოლმეურნეობებში, მაგალითად, ციტრუსებისა და თამბაქოს მოსავლიანობა, რის აღმავლობისათვისაც სათანადოდ არ გამოიყენება არსებული შესაძლებლობები.

აჭარის ასსრ კოლმეურნეობებში კიდევ უფრო წამგებიანია მეცხოველეობა, რის ძირითად მიზეზად ითვლება საკვები ბაზის უქონლობა და ამიტომ საკვების შეძენაზე დიდძალი სახარების ხარჯვა. 1967 წელს მეცხოველეობის ზარალი 2361,0 ათას მანეთს შეადგენდა. წამგებიანია მეცხოველეობის ისეთი პროდუქ-

¹ აჭარის ასსრ. კოლმეურნეობათა 1966—67 წწ. ანგარიშები.



ტების წარმოება, როგორცაა რძე და რძის პროდუქტები აბრეშუმის სა-
ხორცი, კვერცი და სხვა.

აწრივად, აჭარის სოფლის მშრომელებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში. მათ უზრუნველყვეს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება, ვადაზე ადრე და დიდი გადაჭარბებით შეასრულეს შეიღწლიანი გეგმა, წარმატებით შეასრულეს მიმდინარე ხუთწლიდის პირველი 4 წლის დავალებანიც. ამჟამად ისინი სკკპ XXIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებულნი, თავდადებათი იბრძვიან სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის, რითაც თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტების აწინებლობის დიად საქმეში.

Доц. БАДЖЕЛИДЗЕ А. К.


ВОЗНИКНОВЕНИЕ И РАЗВИТИЕ СОЦИАЛИСТИЧЕСКОГО СЕЛЬСКОГО ХОЗЯЙСТВА АДЖАРСКОЙ АССР ЗА ГОДЫ СОВЕТСКОЙ ВЛАСТИ

Резюме

Процесс создания социалистического сельского хозяйства в Грузии и, в том числе, в ее неотъемлемой части в Аджарии начался с первых же дней победы Советской власти. Советская власть в Аджарии была установлена 18 марта 1921 года.

Первый колхоз в Аджарии в виде товарищества по совместной обработке земли под названием «Субтропарт» был создан в селении Ачкава 1 июня 1921 года. В 1922 году были организованы колхозы в селении Дагва, Букнари и др. За период с 1921 по 1925 годы были попытки организации нескольких колхозов, но они в большинстве случаев имели случайный характер и не являлись подлинными колхозами.

Коллективизация сельского хозяйства в различных районах Советского Союза осуществлялась в разных конкретных условиях. Она своими особенностями характеризовалась и в особых конкретных условиях проходила в Грузии и в том числе, в Аджарской АССР. В Аджарской АССР она проходила в более трудных, по сравнению с некоторыми районами Грузии, условиях, которые обуславливались как историческими и бытовыми факторами, так и физико-географическими условиями (чрезмерная раздробленность земельных площадей и изрезанность местности). Несмотря на некоторые трудности и недостатки в строительстве колхозов, коллективизация сельского хозяйства проходила довольно быстрыми темпами и она в основном была завершена к 1936 году. Если в 1928 году в Аджарии



было 22 колхоза, а в 1929 году 60 колхозов, в 1935 году их число увеличилось до 254 колхозов. В 1940 году колхозы Аджарии составили 17.459 крестьянских хозяйств и уровень коллективизации составил 99,0133 процентов.

На основе создания социалистического сельского хозяйства в Аджарии было обеспечено широкое распространение ценных субтропических и технических культур—чая, citrusовых, тунга, табака и др. быстрыми темпами стало развиваться зерновое хозяйство; садоводство, общественное животноводство и т. д. Развитие и укрепление социалистического сельского хозяйства обеспечило систематический рост доходов колхозов и совхозов и резкое улучшение благосостояния труженников сельского хозяйства.

Однако начало Великой Отечественной войны Советского Союза значительно задержало дальнейшее развитие всего народного хозяйства, в том числе и сельского хозяйства. Во время Отечественной войны труженники Аджарии, вместе с трудящимися Грузии и всего Советского Союза, помимо прямого участия на фронтах войны, самоотверженно боролись на трудовом фронте, повышали производительность труда, с честью выполняли задания государства.

В послевоенный период социалистическое сельское хозяйство Аджарской АССР неуклонно продолжало развиваться. В первую очередь большое внимание было обращено правильному и рациональному использованию общественных земель. Для этой цели большая работа была осуществлена по мелиорации и ирригации в Аджарской АССР. В условиях Аджарии рациональное использование земли имеет особо важное значение, так как от него во многом зависят результаты хозяйственной деятельности сельскохозяйственных предприятий. Вследствие горного рельефа в Аджарии, удобные для земледелия площади весьма ограничены. В Аджарской АССР, например, в 1965 году на душу населения приходилось в два раза меньше земельных угодий, чем в Грузии в целом. В Аджарии многолетние насаждения занимают 7,3% всей земельной площади, а в Грузии в целом 3,6%. За годы довоенных пятилеток и особенно в послевоенный период субтропическое хозяйство превратилось в ведущую, профилирующую отрасль сельского хозяйства Аджарской АССР.

В конце 1965 года в Аджарии было всего 19 совхозов и 166 колхозов, из них все совхозы и 53 колхоза расположены в районах приморской зоны; в горных районах нет совхозов, а количество колхозов составляет 113.

Во всех категориях хозяйств площадь многолетних насаждений в 1965 г. составила 21.183 гектара, из них плодовые насаждения занимали 21,4 процента, чайные плантации — 34,7%, citrusовые насаждения — 27,5%, тунг—9,6%, виноградники—2,8%, благородный лавр—2,0%. Многолетние насаждения по отдельным районам распространены неравномерно. Большой частью они распространены в прибрежных районах в основном в

виде таких культур как чай, цитрусовые, плодовые, тунг, лавр, бамбук и др. В нагорных районах в виде плодовых и виноградников.

Из полеводческих культур большая роль принадлежит кукурузе, бака, которая занимает ведущее место в экономике колхозов Горных районов Аджарии.


Из зерновых культур в Аджарии первое место занимает кукуруза, на долю которой в 1965 году приходилось 97,5 процентов всей площади зерновых и бобовых культур. За годы Советской власти и особенно в послевоенный период площадь кукурузы резко сократилась (с 16.113 га в 1945 году, до 7.179 га в 1965 году). Уменьшение посевной площади объясняется расширением площадей многолетних насаждений. В связи с освоением новых культур и созданием мощного субтропического хозяйства, в Аджарии зерновое хозяйство потеряло свое старое значение и теперь оно считается второстепенной отраслью, носящее местный потребительский характер, хотя собственное производство не удовлетворяет потребность населения. Огородные и бахчевые культуры возделываются во всей Аджарии, но наиболее важное значение они имеют для прибрежной зоны, где городское население и курорты предъявляют на них большой спрос.

 ში მახინჯი ჭიები ან სრულებით არ გვხვდება, ანდა თუ გვხვდება ისიც ძლიერ
 მცირე რაოდენობით (1—2 შემთხვევა). უნდა ვიფიქროთ, რომ ხანგრძლივი
 დაზამთრება (45—50 დღე) იწვევს ჩანასახის გამოწრთობას და ისეთ სტადიაში
 გადაყვანას, რომელზეც რეაგენტების მოქმედება უარყოფით გავლენას ვეღარ
 ახდენს მახინჯი ჭიების წარმოშობის მხრივ.

7. დაზამთრების შემდეგ მარილმჟავათი დამუშავების ვადების გავლენა
 მახინჯი ჭიების წარმოშობაზე გარკვეულ კანონზომიერ ხასიათს არ ატარებს,
 მაგრამ მეტი რაოდენობით მახინჯი ჭიების წარმოშობა აღრიცხულია მაინც იმ
 ეარიანტებში, რომლებიც მარილმჟავათი დამუშავებულა მაციურიდან გამოტა-
 ნისთანავე და გამოტანიდან 2 და 4 საათის შემდეგ; ხოლო 6 საათის შემდეგ
 დამუშავებისას მახინჯი ჭიების წარმოშობას ან სრულებით არ აქვს ადგილი,
 ანდა ძლიერ მცირე რაოდენობით.

8. ზაფხულში დაზამთრების შემდეგ მარილმჟავათი დამუშავებულ გრენაზე
 თერმოაქტივაციის ჩატარების ვადები მახინჯი ჭიების წარმოშობის თვალსაზ-
 რისით დიდ განსხვავებულ შედეგებს არ იძლევიან. თითქმის მეტ-ნაკლები
 რაოდენობით მახინჯი ჭიების წარმოშობას ადგილი აქვს თერმოაქტივაციის ჩა-
 ტარების ყველა ვადაში მარილმჟავათი დამუშავებიდან 1; 3; 6; 9; და 12 საათის
 შემდეგ.

9. მარილმკვავას კონცენტრაცია და ექსპოზიცია გარკვეულ ვალებში აღდგენ თაობაში მახინჯი ჭიების წარმოშობაზე. ასე, მაგალითად, 1,12 კუთრი წონისა და 30° ტემპერატურის მქონე მარილმკვავაში 16 წუთის ხანგრძლივობაში გრენის დამუშავების დროს მახინჯი ჭიების წარმოშობას შედარებით რაოდენობით აქვს ადგილი, ვიდრე 20 წუთიანი ექსპოზიციით დამუშავებისას, ხოლო უფრო მეტი რაოდენობით მახინჯი ჭიების წარმოშობის მოვლენას ვხვდებით იმ შემთხვევაში, როცა გრენის დამუშავება დაზამთრების შემდეგ წარმოებს 1,06 კუთრი წონისა და 46° ტემპერატურის მქონე მარილმკვავაში 30 და 40 წუთიანი ექსპოზიციით.

11. იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული მახინჯი ჭიების წარმოშობა განმეორებითი გამოკვებისათვის, უნდა გამოვიყენოთ გაზაფხულის მასალიდან მიღებული და ზაფხულში 40-დან 50 დღით 2—4°-ზე დაზამთრებული 36 და 48 საათის ხნოვანების გრენა, რომელიც შეიძლება დამუშავდეს 1,12 კუთრი წონისა და 30° ტემპერატურის მქონე მარილმკვავაში 16-წუთიანი ექსპოზიციით და შემდეგ ჩატარდეს თერმოაქტივაცია 46° ტემპერატურის მქონე წყალში 30-წუთიანი ექსპოზიციით, ანდა მაცივირიდან გამოტანის შემდეგ გრენა უშუალოდ დამუშავდეს 1,06 კუთრი წონისა და 46° ტემპერატურის მქონე მარილმკვავაში 30-წუთიანი ექსპოზიციით და შემდეგ ჩატარდეს მისი ინკუბაცია 24—26° ტემპერატურაზე 75—80% ტენიანობის პირობებში.

Канд. с.-х. наук ДЗНЕЛАДЗЕ А. Н.

ВЛИЯНИЕ УСЛОВИЙ СОЛЯНОКИСЛОЙ ОБРАБОТКИ И ТЕРМОАКТИВАЦИИ ЛЕТНЕЗИМОВАВШЕЙ ГРЕНЬ НА ПРОИСХОЖДЕНИЕ УРОДЛИВЫХ ЧЕРВЕЙ

Резюме

Грону для позднелетних и осенних выкормок принято готовить из весеннего племенного материала, причем необходимо провести летнюю зимовку свежееотложенной грени и обработку ее соляной кислотой.

Приготовление грени для позднелетних и осенних выкормок целлюлярным методом (изоляция бабочек-самок, их микрофотографирование в отдельности после откладки грени и прочие процессы) требует больших затрат труда и времени, что сказывается на удорожании себестоимости грени и на ухудшении ее качества, а также затрудняет возможность приготовления грени в большом количестве.

С 1961 года в Грузинской ССР в гренопроизводстве применяется термический метод, что позволило значительно упростить технологию приготовления грени для летне-осенних выкормок. Упразднение процессов изоляции бабочек, их микрофотографирование и др. сильно сократило затраты труда и материалов, улучшило качество грени и намного снизило ее себестоимость. Если при целлюлярном методе зараженные педриной кладки отбирают с помощью микрофотографирования, то при термическом методе свежееотложенная грена после 36—48 часового возраста подвергается термо-

активации с целью обеззараживания ее от пестицидов, причем термоактивации грены летне-осенних выкоромок предшествует обработка ее соляной кислотой.

Обработка грены соляной кислотой и последующая термоактивация после летней зимовки в производственных условиях выявили некоторые недостатки, а именно: в некоторых случаях снизилась оживляемость грены, появились уродливые черви, уменьшилась жизнеспособность гусениц.

Исходя из вышеизложенного, мы задались целью выяснить причины понижения оживляемости грены и появления уродливых червей, уточнить продолжительность зимовки, время и дозу обработки грены соляной кислотой и термоактивацией после летней зимовки с учетом возраста грены.

С этой целью, для опыта была взята распространенная в Грузии гrena гибридов Кахури \times Имерули и Имерули \times Кахури в возрасте 24, 36 и 48 часов, которая хранилась до внесения в холодильник при температуре 24—26°. Зимовка грены производилась в условиях температуры 2—4°C и относительной влажности 75—80%, а продолжительность зимовки составила от 20 до 50 дней с интервалом 5 дней.

Обработка грены соляной кислотой производилась сразу же при взятии ее из холодильника и через 2, 4 и 6 часов для всех вариантов.

Для обработки грены была использована соляная кислота с удельным весом 1,12, температурой 30°, а экспозиция 12, 14, 16, 18 и 20 минут. После солянокислой обработки, термоактивация грены проводилась в сроках через 1, 3, 6, 9 и 12 часов.

С целью одновременной обработки грены соляной кислотой и термоактивацией часть грены всех вариантов была обработана соляной кислотой с удельным весом 1,06, температурой 46°, а экспозиция 30 и 40 минут.

Для точного определения и подсчета уродливых червей, выкоромка проводилась до IV возраста. Двухлетние опыты (1965—1966 гг.) привели нас к следующим заключениям:

1. Свежеотложенную грену, полученную от весенних выкоромок, для летне-осеннего сезона того же года можно использовать путем летней зимовки, продолжительностью от 20 до 50 дней после ее обработки соляной кислотой и термоактивацией.

а) лучшие результаты дает гrena в возрасте 36 часов. Если необходимо использовать грену 48 часового возраста, тогда продолжительность зимовки грены должна быть не менее 35 дней, так как после кратковременной зимовки действие соляной кислоты не обеспечивает высокого процента оживляемости;

б) после летней зимовки возможно производить обработку грены соляной кислотой с удельным весом 1,12, температурой 30°, а экспозиция 16 минут.

2. Обработка грены соляной кислотой возможна после изъятия из

холодильника от 2-х до 6 часов. В это время не снижается оживляемость грены.

3. Термоактивацию после солянокислой обработки летней зимовки грены должны производить в водной среде при температуре 46° и экспозиции 30 минут в течение промежутка от 1 до 12 часов. В отрезке этого времени сроки проведения термоактивации после солянокислой обработки не имеют значения, так как при всех случаях получена нормальная оживляемость грены. При этом, термоактивация способствует увеличению оживляемости грены, так как термообработанная гrena всех возрастов (24, 36 и 48 часов) по сравнению с контролем дает высокий процент оживления во всех случаях.

Для получения высокого процента оживляемости и упрощения технологических процессов приготовления грены, лучше обработать грену соляной кислотой удельным весом 1,06, температурой 46° и экспозицией 30 минут через 2 часа после взятия из холодильника без последующей термоактивацией.

4. На появление уродливых червей вместе с возрастом грены влияет и продолжительность зимовки, а также условия проведения солянокислой обработки и термоактивации.

5. После летней зимовки (в случаях солянокислой обработки) большую чувствительность проявляет гrena 24 часового возраста, при использовании которой, хотя и в незначительном количестве (2—3 случая), но все же появляются уродливые черви, а при использовании 36 и 48 часовой грены выход уродливых червей еще более уменьшается (1—2 случая). Это явление объясняется тем что, чем больше близится развитие зародыша в диапаузе, тем больше сокращается его способность реагировать на действие разных реагентов.

6. Самое большое место имеет появление уродливых червей при 20, 35 и 40 днях зимовки и последующей солянокислой обработке. Это явление в первую очередь заметно при использовании 24 часовой грены, а при более старших возрастах (36—48 часов) и при зимовке продолжительностью 25, 30, 45 и 50 дней выхода уродливых червей или совсем не имеют, или же их количество очень незначительно (1—2 случая).

Надо думать, что продолжительная зимовка (45—50 дней) производит закалку зародыша и перевод его в такую стадию развития, в которой воздействие реагентов не дает появления уродливых червей.

7. Влияние солянокислой обработки на появление уродливых червей после зимовки грены не носит закономерный характер; появление большого количества уродливых червей замечено только в тех вариантах, которые обработаны соляной кислотой сразу же после взятия из холодиль-



ника или же через 2—4 часа, а через 6 часов выхода уродливых червей или совсем не наблюдается или он заметен в малом количестве.

8. После летней зимовки и солянокислой обработки грены сроки проведения термоактивации не дают больших различий в появлении уродливых червей. В почти равномерных количествах оно имеет место во всех сроках проведения термоактивации с предшествующей солянокислой обработкой (1, 3, 6, 9 и 12 часов).

9. Концентрация соляной кислоты и экспозиция обработки проявляют определенное влияние на появление уродливых червей. При обработке соляной кислотой с удельным весом 1,12, температурой 30°С и экспозиции 16 минут наблюдается меньшее появление уродливых червей, чем при экспозиции 20 минут. Но еще большее количество уродливых червей появляется, когда грену после зимовки обрабатываем соляной кислотой с удельным весом 1,06, температурой 46° и экспозиции 40 минут сразу же после взятия из холодильника.

10. Для того, чтобы избежать появления уродливых червей, для повторной выкормки следует взять грену 36—48 часового возраста, полученную из весеннего материала (после 40—50 дневной летней зимовки при температуре 2—4°) и обработать соляной кислотой с удельным весом 1,12, температурой 30° и экспозиции 16 минут и после произвести термоактивацию в водной среде с температурой 46° и экспозиции 30 минут. Или же после взятия из холодильника гrena от 2 до 6 часов должна быть обработана соляной кислотой с удельным весом 1,06, температурой 46° и экспозиции 30 минут с последующей инкубацией при температуре 24—26° в условиях 75—80% влажности.



დოკ. ბ. მახარაძე

3. ი. ლენინი საქონელწარმოების არსებობის მიზეზების შესახებ

3. ი. ლენინის მოძღვრებაში, ეკონომიურ, კერძოდ, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის საკითხებს სათანადო ადგილი აქვს დათმობილი. მარქსის „კაპიტალის“ შემდეგ 3. ი. ლენინის შრომებში „ეგრეთწოდებული ბაზრების საკითხის გამო“, „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, „ანარქიზმი და სოციალიზმი“, „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“, „სკოლისგარეშე განათლების სრულიად რუსეთის I ყრილობა“, „სასურსათო გადასახადის შესახებ“, „ოქროს მნიშვნელობის შესახებ ამჟამად და სოციალიზმის სრული გამარჯვების შემდეგ“ და სხვ.—ყველაზე სრულყოფილადაა მოცემული ამ ურთიერთობის ანალიზი.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ანალიზის დროს ყურადღებას ამახვილებენ საქონელწარმოების წარმოშობისა და არსებობის მიზეზებზე. მათ მიერ ამ მიზეზებად მიჩნეულია შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და კერძო საკუთრების წარმოშობა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა პირველყოფილი თემური წარმოების წესის დაშლისა და მონათმფლობელური წარმოების წესის წარმოშობის პერიოდში. მარქსი წერდა: „ეს უკანაყენელი (იგულისხმება შრომის საზოგადოებრივი დანაწილება—ა. მ.), სასაქონელწარმოების არსებობის პირობაა, თუმცა, შებრუნებით, სასაქონელწარმოება შრომის საზოგადოებრივი დანაწილების არსებობის პირობას არ შეადგენს. ძველ ინდურ თემში შრომა საზოგადოებრივად დანაწილებულია, მაგრამ პროდუქტები სასაქონლად არ იქცევა. ანდა, უფრო ახლო მაგალითი რომ ავიღოთ, ყოველ ფაბრიკაში შრომა სისტემატურად არის დანაწილებული, მაგრამ ეს დანაწილება არ არის განხორციელებული იმით, რომ მუშები თავიანთი ინდივიდუალურ პროდუქტებს ერთიმეორეზე ცვლიან. მხოლოდ თავისთავადი, ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი სხვადასხვა კერძო შრომის პროდუქტები უპირისპირდებიან ერთმანეთს სასაქონლის სახით“¹.

ამრიგად, პროდუქტები სასაქონლად არ გადაიქცევიან მხოლოდ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების—მწარმოებელთა ცალკეული სახეობის პროდუქტების დამზადების სპეციალიზაციით. წარმოებულ პროდუქტის სასაქონლად

¹ 3. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, 1954, გვ. 58.



გადაქცევისათვის, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გვერდით, აუცილებელია მეორე მთავარი პირობა, რომ წარმოებული პროდუქტები, თვითმეორისაგან დამოუკიდებელი, სხვადასხვა კერძო შრომის ნაშთებს დასაყრდენად იყოს, როდისაა შრომა კერძო, თვითმეორისაგან დამოუკიდებელი? მაშინ როდესაც იგი წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებას ემყარება და ამის გამო წარმოებული მატერიალური დოვლათი ან უშუალო მწარმოებელთა საკუთრებაა. (თუ წარმოება წარმოების საშუალებების კერძო საკუთრებასა და საკუთარ შრომას ემყარება), ან პარაზიტული კლასების საკუთრებაა, (თუ წარმოება კერძო მონათმფლობელურ, ფეოდალურ ან კაპიტალისტურ საკუთრებას ემყარება).

რომელია ამ ორი პირობიდან საქონელწარმოების არსის განმსაზღვრელი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ისევ მარქსიზმის კლასიკოსებს უნდა მივმართოთ. მათ შრომებში საქონელწარმოების არსებობის მიზეზების ახსნისას პირველ პლანზე მწარმოებელთა განკერძოებულება და არა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, ვ. ი. ლენინი საქონელწარმოებას—ცალკეულ, განკერძოებულ მწარმოებელთა წარმოებას უწოდებს. წარმოება და გაცემა მის მიერ ერთ მთლიანობაშია განხილული და ამ მთლიანობიდან საქონელწარმოების ბუნების განმსაზღვრელად მწარმოებელთა განკერძოებულებაა მიჩნეული. ვ. ი. ლენინი განსაზღვრით: „სასაქონლო წარმოებად იგულისხმება საზოგადოებრივი წარმოება ისეთი ორგანიზაცია, როდესაც პროდუქტებს აწარმოებენ ცალკეული, განკერძოებული მწარმოებლები, ამასთან თვითივე საკუთრებად ერობენ ერთი რომელიმე პროდუქტის გამომუშავებაზე, ასე რომ საზოგადოებრივი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭიროა ყიდვა-გაყიდვა პროდუქტებისა, (რომლებიც ამის გამო საქონლად იქცევიან) ბაზარზე“¹. საქონელწარმოების ამ დახასიათებას ვ. ი. ლენინი გვაძლევს მის ადრეულ შრომაში: „ეკრეთწოდებელი ბაზრების საკითხის გამო“ და თანმიმდევრულად იცავს უფრო გვიანდელ შრომებშიც: „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, „ანარქიზმი და სოციალიზმი“ და სხვ.

მწარმოებელთა განკერძოებულება შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ბაზარზე ვ. ი. ლენინს მიაჩნია საქონელწარმოებისა და კაპიტალიზმის განვითარების საფუძვლად, რომ კაპიტალიზმი განკერძოებულ მწარმოებელთა წარმოებას მისთვის უცნობი ბაზრისათვის.

ვ. ი. ლენინი საქონელწარმოების განვითარების აუცილებელ პირობად რუსეთში მწარმოებელთა განკერძოებულებას თვლიდა. ის წერდა: „სასაქონლო წარმოება რუსეთში ვერც კი შეიქმნებოდა, მაწარმოთ ერთეულთა (გლეხურ კომლთა) განკერძოებულება რომ არ ყოფილიყო, და ყველამ იცის, რომ ჩვენი გლეხი მართლაც თვითივე ცალ-ცალკე და სხვებისაგან დამოუკიდებლად ეწევა მეურნეობას; იმ პროდუქტებს, რომლებიც მის კერძო საკუთრებად იქცევა, აწარმოებს პირადად თავის რისკზე და თავისი პასუხისმგებლობით; „ბაზართან“ ურთიერთობას იქერს ცალ-ცალკე“². ამრიგად, მწარმოებელთა განკერძოებულ-

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. 1, გვ. 96—97.

² ვ. ი. ლენინი, ტ. 1, გვ. 132.



ბა ნიშნავს: იყო წარმოების საშუალებებისა და წარმოებული მატერიალური დოვლათის მესაკუთრე, აწარმოო, რაც გასურს, როგორც გასურს, ეტყვიან და გაყიდო სადაც გასურს, ვიზეც გასურს, როცა გასურს გასურს.


წარმოებული ნივთები რომ საქონელთა სახით ერთმანეთს შეეფარდონ— წერს მარქსი—საჭიროა საქონელმფლობელნი ერთმანეთს დაეპირისპიროდნენ. როგორც პიროვნებანი, რომელთა ნებაც ამ ნივთებს განაგებს, ანუ რომ ერთი მათგანი მეორის, ნებასურვილით, მაშასადამე, თვითიული მათგანი მხოლოდ ერთავესათვის საერთო ნებისყოფის აქტის საშუალებით, ითვისებს სხვის საქონელს, ასხვისებს რა თავისას. ამიტომ ორივემ ერთმანეთი კერძო მესაკუთრედ უნდა იცნოს. ეს იურიდიული ურთიერთობა, რომლის ფორმა ხელშეკრულებაა, —სულ ერთია, კანონით არის იგი გამოხატული თუ არა, —ნებითი ურთიერთობაა, რომლითაც ეკონომიური ურთიერთობა გამოისახება. ამ იურიდიული, ანუ ნებითი ურთიერთობის შინაარსი მოცემულია თვით ეკონომიური ურთიერთობით, პიროვნებანი აქ არსებობენ ერთმანეთისათვის მხოლოდ როგორც საქონლის წარმომადგენელნი და, მაშასადამე, როგორც საქონელმფლობელნი¹.

მარქსის ამ დებულებიდან აშკარად ჩანს, რომ წარმოებული მატერიალური დოვლათის ცალკეული სახეობის ერთიმეორისადმი, საქონლის სახით, დაპირისპირება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ პიროვნებები, რომლებიც ამ ნივთებს განაგებენ კერძო მესაკუთრეებად იქნებიან მიჩნეულნი. წინააღმდეგ შემთხვევაში ნივთთა გასხვისება—მითვისების აქტი არ გახორციელდება.

კ. მარქსი და ვ. ი. ლენინი საქონელწარმოების არსებობის მიზეზთა გარკვევისას პირველ პლანზე განკერძოებულ მწარმოებელთა საკუთრებას აყენებენ და არა შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას. განკერძოებულ მწარმოებელთა საკუთრება მათ მიერ არა მარტო საქონელწარმოების არსებობის პირველად პირობადაა მიჩნეული, არამედ მისი არსის განმსაზღვრელადაც, როგორცაა განკერძოებული მწარმოებელთა საკუთრება ფორმები წარმოების საშუალებებზე და წარმოებულ პროდუქტზე, ისეთივეა საქონელწარმოების ბუნებაც.

შრომის საზოგადოებრივი დანაწილება მხოლოდ იმ შემთხვევაში ლებულობს მონაწილეობას საქონელწარმოების აუცილებლობაში თუ იგი განკერძოებულ მწარმოებელთა საკუთრების (წარმოების საშუალებებსა და წარმოებულ პროდუქტზე) ფორმებთან ერთად არსებობს. ამ უკანაქენლისაგან მოწყვეტილი შრომის საზოგადოებრივი დანაწილება არ შეიძლება საქონელწარმოების აუცილებლობის მიზეზად ვალიაროთ. მარქსიზმ-ლენინიზმი უარყოფს საქონელწარმოების არსებობას კომუნისტურ საზოგადოებაში, მაგრამ არ უარყოფს შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას. ამავე დროს შესაძლებელია ადგილი არ ჰქონდეს შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას, მაგრამ ცალკეულ განკერძოებულ მწარმოებელთა საკუთრების არსებობის გამო სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა

1 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, 1954, გვ. 111—112.



არსებობდეს. გამორჩეული არ არის ენური სკამის, ფრანგული ლენინის, რუსული თოჯინის და სხვ. მწარმოებელმა და გამყიდველმა—ავსტრიელმა საჭმლის მწარმოებელმა, ესტონური თოჯინა და სხვ. იყიდოს.

სახელმწიფოთა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობისას ფართო ხასიათისაა ერთი და იგივე სახეობის მატერიალური დოვლათის, ერთსა და იმავე დროს გატანა—შემოტანა. საბჭოთა კავშირს ერთსა და იმავე დროს საერთაშორისო ბაზარზე გააქვს და ამავე საერთაშორისო ბაზრიდან შემოაქვს მარცვლულ, ჩაი, თამბაქო. სასოფლო-სამეურნეო მინქანა-იარაღები და სხვ. ამ შემთხვევაში საერთაშორისო სასაქონლო-ფულად ურთიერთობას აპირობებს არა შრომის საერთაშორისო დანაწილება, არამედ სხვადასხვა სახელმწიფოების—როგორც სხვადასხვა მეკავთრეების არსებობა.

აქვე უნდა შევნიშნოთ: ერთი და იგივე სახეობის პროდუქციის მწარმოებელი თუ დროს ერთ პერიოდში ამ პროდუქციის გამყიდველია—მეორე პერიოდში იგივე პროდუქციის მყიდველია. ზოგჯერ გლეხი თუ დროს ერთ პერიოდში ყიდის პროდუქციას—მეორე პერიოდში ყიდულობს იმავე პროდუქციას. ხშირი იყო შემთხვევები, საკვ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმამდე, როდესაც ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო საწარმოები თითქმის მთლიანად მიჰყიდდნენ ხოლმე სახელმწიფოს მარცვლულს, ხოლო იგივე პროდუქციას, რამდენიმე თვის შემდეგ კვლავ ყიდულობდნენ სხვადასხვა აუცილებელი საქიროებისათვის.

მწარმოებელურ ძალების განვითარებასთან ერთად შრომის საზოგადოებრივი დანაწილებაც იცვლება და ვითარდება, მაგრამ იგი, როგორც საზოგადოებრივი წარმოების საერთო კანონზომიერება, არ განსაზღვრავს ადამიანთა ურთიერთობის ხასიათს წარმოების პროცესში. ამ უკანასკნელის ხასიათს, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმში გვანაწავლის, საკუთრების ფორმები განსაზღვრავენ. ეკონომიური ფორმაციების მიხედვით იცვლებოდა რა საკუთრების ფორმები წარმოების საშუალებებსა და წარმოებულ პროდუქტზე, იცვლებოდა წარმოებით ურთიერთობათა ხასიათიც. ამ უკანასკნელის ხასიათის შეცვლა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ბუნების შეცვლასაც ნიშნავს.

არის თუ არა წარმოების განკერძოებულობა და საკუთრება ერთმანეთის სინონიმი? ამ საკითხს მრავალი საბჭოთა მეცნიერ-ეკონომისტი გამოეხმაურა. ნაწილი, ამ ცნებებს ურთიერთკავშირში იხილავს, ნაწილი, ერთიმეორეს უპირისპირებს. ჩვენი აზრით, არ ცდებიან ის საბჭოთა ეკონომისტები (აქად. კ. ვ. ოსტროვიტიანოვი, პროფ. ე. ი. ბრეველი, ა. ი. მამალუი და ა. შ.), რომლებიც მათ ურთიერთ-კავშირში იხილავენ. ამ საკითხს ყველაზე ღრმა ანალიზი დოკ. ნ. ვ. ხესინმა გაუკეთა. იგი სრულიად სამართლიანად მიუთითებს: არავითარ ეჭვს არა ბადებს, რომ განკერძოებული მწარმოებელი მის განვითარებულ კლასიკურ ფორმაში აუცილებლად კერძო მეკავთრეს წარმოადგენს¹. მაგრამ ნ. ვ. ხესინი ამ საკითხთან დაკავშირებით სრულიად გაუმართლებლად აკრიტიკებს ი. ბ. სტალინსა და იმ გამოჩენილ საბჭოთა ეკონომისტებს, რომლებიც საქო-

¹ Н. В. Хесин.—В. И. Ленин о сущности и основных признаках товарного производства, М., изд. МГУ, 1968, стр. 35.



ნელწარმოების არსებობის მიზეზად სხვადასხვა მესაკუთრეს მიიჩნევენ. ნ. ზესინი საქონელწარმოების არსებობის მიზეზთა გარკვევისას „სხვადასხვა მესაკუთრისა“ და „კერძო მესაკუთრის“ ცნებებს მეტად განსხვავებულნი იყენებდა. იგი სხვაგვარად იხილავს. დიად, ეს კატეგორიები თავისი არსით ერთიმორიანი სხვაგვარად, მაგრამ ამ საკითხის გარკვევისას მათ ძირითადად ერთი და იგივე დანიშნულება აქვთ. ჩვენ ზოგიერთ ეკონომისტს ავიწყლება ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომ საქონელმწარმოებელი, კერძო მესაკუთრე, მატერიალურ დოვლათს აწარმოებს არა საკუთარი, არამედ საზოგადოებრივი მოთხოვნილებებისათვის და ამ მატერიალურ დოვლათს როგორც მყიდველი და მომხმარებელი სხვა მესაკუთრე უნდა დაუბრისპირდეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კერძო მესაკუთრენი, მწარმოებლები ერთმანეთს უკავშირდებიან როგორც სხვადასხვა მესაკუთრენი. თუ კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში სხვადასხვა მესაკუთრე ძირითადად კერძო მესაკუთრეა, სოციალიზმის დროს საზოგადოებრივ-სოციალისტური მესაკუთრენი არიან. და, ამიტომ საქონელწარმოების აუცილებლობის სხვადასხვა მესაკუთრის კატეგორიასთან დაკავშირების კრიტიკა არ არის დამაჯერებელი და მისაღები. სწორედ სხვადასხვა მესაკუთრის ანტაგონისტურ და არაანტაგონისტურ დაპირისპირებაში ვლინდება კონკრეტულად სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა. თუ სხვადასხვა მესაკუთრე კერძო მესაკუთრეა, მაშინ მათ შორის, ამ ურთიერთობის დროს, ანტაგონისტური წინააღმდეგობაა, ხოლო თუ სხვადასხვა მესაკუთრე სოციალისტურია—არაანტაგონისტური. თავის მხრივ სხვადასხვა მესაკუთრე, როგორც კერძო მესაკუთრე და სხვადასხვა მესაკუთრე, როგორც სოციალისტური ერთიმორისაგან განსხვავდებიან. არ შეიძლება ერთიმორესთან გავიგივივით სხვადასხვა მესაკუთრე, როგორც წვრილი ერთიპირიონული მესაკუთრე, და სხვადასხვა მესაკუთრე, როგორც მსხვილი კაპიტალისტური მესაკუთრე—პირველი მარტივი საქონელწარმოების საფუძველია, ხოლო მეორე—კაპიტალისტურის. ასევე არ შეიძლება სოციალისტური საკუთრების ფორმების სრული გაოვიცება. განზოგადოების დონის მიხედვით. მათ შორის ჭეშვრობით უფრო განსხვავებაა.

სხვადასხვა მესაკუთრის, როგორც საქონელწარმოების არსებობის მიზეზის კრიტიკა ნ. ვ. ზესინს და რიგ სხვა ეკონომისტებს დამკვირდით იმისათვის, რომ დაეცვათ და აუხსნათ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა ერთი საკუთრების შიგნით, კონკრეტულად ჩვენი საერთო-სახალხო საკუთრების საწარმოებს შორის, ე. ი. ამ საკუთრების შიგნით. ავტორთა ერთი ნაწილი ამ საკითხის ანალიზის დროს მიუთითებს იმასაც, რომ ერთი საკუთრების შიგნით სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა არსებობდა სოციალიზმამდე კერძოდ იმპერიალისმის ეპოქაში და არავითარ ეჭვს არ უნდა ბადებდეს მისი არსებობა საერთო-სახალხო საკუთრების შიგნით. ჩვენი აზრით, როდესაც ამ საკითხზე ვმსჯელობთ, საჭიროა მხედველობიდან არ გამოვუშვათ ერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტი, კერძოდ, თუ რომელი ეკონომიური ფორმაციის დროსაა შესაძლებელი საკუთრების შიგნით, საწარმოებს შორის არსებულმა ურთიერთობამ დაკარგოს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ხასიათი.

ვთქვით, რომ არ შეიძლება თავის ურთიერთობათა ხასიათით ერთმა-



ნეთს გავეუთანაბროთ ერთი საკუთრების შიგნით არსებულ საწარმოთა ერთ-ერთობა იმპერიალიზმისა და სოციალიზმის პირობებში. ერთი მესაკუთრის შიგნით არსებული საწარმოების ურთიერთობა მაშინ იქნება საქონლის წარმოების კუთხით ერთობა და მოთხოვნების კუთხით განსხვავება. ერთი საკუთრების შიგნით არსებულ ურთიერთობას ყოველგვარ პირობებში განვიხილავთ სასაქონლო-ფულად ურთიერთობად, მაშინ არც პირველყოფილი თემური წარმოების წესი უნდა ყოფილიყო თავისუფალი საქონელწარმოებისაგან და არც კომუნისტური ურთიერთობა უნდა იქნეს. ერთი საკუთრების შიგნით სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის აღიარებაა და დაცვა, მისი ისტორიულობის უარყოფამდე მივყავართ. რაც ეწინააღმდეგება რეალურ სინამდვილეს—მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას ამ საკითხზე.

ვ. ი. ლენინი, აკეთებდა რა იმპერიალიზმის ეკონომიური ნიშნების შეცნობას ანალიზს, მიუთითებდა: „ჩვეულებრივი ენით რომ გამოვთქვათ, ეს ნიშნავს: კაპიტალიზმის განვითარება იქამდეა მისული, რომ, თუმცა სასაქონლო წარმოება კვლავინდებურად „მეფობს“ და მთელი მეურნეობის საფუძვლად ითვლება, მაგრამ ნამდვილად იგი უკვე შერყეულია, და უმთავრესი მოგება ფინანსურ საქმეთა „გენიოს“ მოპყახრავებლებს ხვდებათ“¹. ამრიგად, ვ. ი. ლენინი საქონელწარმოების საფუძვლების შერყევას სამრეწველო კაპიტალიზმის იმპერიალიზმში გადაზრდას, მონოპოლიური კავშირების შექმნასა და წარმოებისა და მიმოქცევის განზოგადოების დონის ამაღლებას უკავშირებს. თუ საქონელწარმოების საფუძვლები იმპერიალიზმის პირობებში არსებულმა განზოგადოების დონემ შეარყია, გასაგები უნდა იყოს რა ზომით შეარყევდა მის საფუძვლებს წარმოების სოციალისტური განზოგადოება—პირველ რიგში საერთო-სახალხო საკუთრების დამკვიდრება და წარმოების სახელმწიფო სექტორის ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში გაბატონება. ვ. ი. ლენინი აკრიტიკებდა რა პროფ. ლიფმანის მიერ მოცემულ ვაჭრობის განმარტებას, წერდა: „...გამოდის, რომ ვაჭრობა ჰქონდა პირველყოფილ ადამიანსაც, რომელმაც ჭერ კიდევ არ იცოდა გაცვლა-გამოცვლა, რომ ის სოციალისტურ საზოგადოებაში იქნება“². ამ კატეგორიის არ არსებობას პირველყოფილ-თემურ და გამარჯვებულ სოციალიზმის დროს ვ. ი. ლენინი უკავშირებს საერთო-საზოგადოებრივ საკუთრებას, რომელიც განკერძოებულ მწარმოებელთა ბატონობას გამოირიცხავს.

თუ ერთი საკუთრების შიგნით არსებულ ურთიერთობას სრული შინაარსის სასაქონლო-ფულად ურთიერთობად მივიჩნევით, მაშინ ნამდვილად საჭირო და მისაღებია სხვადასხვა მესაკუთრის ცნებისა და, საერთოდ, საკუთრების ფორმების, როგორც საქონელწარმოების საფუძვლის, კრიტიკა, მაგრამ მაშინ საჭიროა საქონლის მარქსისტულ-ლენინური, საყოველთაოდ აღიარებული, განმარტების შეცვლა. საქონელწარმოება მატერიალური დოვლათის სხვათა მოხმარებისათვის წარმოებაა და არა საკუთარი მოხმარებისათვის. და ამი-

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 22, გვ. 256—257.
2 ვ. ი. ლენინი, ტ. 22, გვ. 283.

ტომ მატერიალური დოვლათის მწარმოებელსა. ე. ი. საქონელმწარმოებელსა და ამ მატერიალური დოვლათის, ე. ი. საქონლის მომხმარებელს შორის სოციალური ურთიერთობის ანუ სოციალური ურთიერთობის საფუძვლიანად სხვადასხვა შესაქუთრია დაპირისპირების დროს ხორციელდება სოციალური ურთიერთობის დოვლათი თანაბრად ეკუთვნის ორივე მხარეს, ე. ი. მიყიდველ-გამყიდველს, მაშინ მათ შორის არაერთი ინტერესთა დაპირისპირებას არ აქვს ადგილი და ასაქონლო-ფულად ურთიერთობასაც გამოცლილი აქვს მისთვის დამახასიათებელი საყოველთაო ნიშნები.

იმპერიალიზმში შეარყია საქონელმწარმოების საფუძვლები, კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალმა პერიოდმა ჩვენს ქვეყანაში იგი გაათავისუფლა ორადი ბუნებისაგან, მაგრამ ვერ მოსპო ის მიზეზები, რომლებიც საფუძველს გამოაქლიდა მის არსებობას გამარჯვებული სოციალიზმის დროს. ამ პერიოდში მახვილი კაპიტალიზმური საკუთრების ნაციონალიზაციითა და წერილმწარმოებელთა, ვრთბირთვული გლეხური მეურნეობის სოციალიზმური მეურნეობად გარდაქმნით წარმოიშვა და დამკვიდრდა სოციალიზმური (სახოგადოებრივი) საკუთრების ორი ფორმა და მათი შესატყვისი წარმოების სექტორები—სახელმწიფო და კოოპერაციულ-საკოლმეურნეო. თუ საერთო-სახალხო საკუთრების არსიდან გამოვალთ, მაშინ ამ საკუთრების ცალკეულ საწარმოთა ინტერესები არაერთი შემთხვევაში არ შეიძლება საერთო-სახოგადოებრივად ან ერთიანობის ინტერესებს დაუპირისპირდეს, მაშინ, როდესაც კოოპერაციულ-საკოლმეურნეო საკუთრების ცალკეული საწარმოები სრულიად სხვაგვარ ურთიერთდამოკიდებულებაშია, საკუთრების ამ ფორმის საწარმოები, როგორც გლეხური მესაკუთრებები გარკვეულად უპირისპირდებიან, როგორც საერთო-სახოგადოებრივ, ისე ერთიანობის ინტერესებს. ამიტომ ასაქონლო-ფულადი ურთიერთობა საერთო-სახალხო საკუთრების საწარმოებს შორის არ შეიძლება ისეთივე ხაზითისა იყოს, როგორცაა ის კოოპერაციული-საკოლმეურნეო საკუთრების საწარმოებსა, კოლმეურნეობებსა და სახელმწიფოს შორის.

ვტიქრობთ, „წარმოების განკერძოებულობისა“ და „სხვადასხვა შესაქუთრის“ დაპირისპირება, როგორც ამა ხოგირთი საბჭოთა ეკონომისტი აკეთებს, მიუღებელია მათი აზრით, პირველი სრულყოფილად შეიძლება საქონელმწარმოებისთან და საქონელმომოქცევასთან დაკავშირებული ყველა საკითხის გარკვევა, ხოლო მეორეთი არა. საქმე იმაშია, რომ თუ „სხვადასხვა შესაქუთრე“ ერთი საკუთრების შიგნით არ იძლევა ასაქონლო-ფულადი ურთიერთობის არსებობის მიზეზების ახსნის შესაძლებლობას, „შრომის სახოგადოებრივი დანაწილება“ და „მწარმოებელთა განკერძოებულება“ ასევე არ იძლევა ამ ურთიერთობასთან დაკავშირებულ მთელი რიგი და, შეიძლება ითქვას, უფრო არსებითი მნიშვნელობის საკითხების გარკვევის შესაძლებლობას. კერძოდ, იგი შესაძლებლობას არ იძლევა ავსნათ თუ რატომ იყო საქონელი მონა მონათმფლობელურ წარმოების წესის პირობებში, ყმაგლეხი—ფეოდალიზმის დროს, რატომ არის საქონელი ადამიანის სამუშაო ძალა, ფაბრიკები, ქარხნები, რკინიგზები, მალარობები, მიწა, წიაღიყელი სიმდიდრეები კაპიტალიზმის პირობებში და რატომ არ არის იგივე კატეგორიები საქონელი სოციალიზმის დროს.



ამ კატეგორიების საქონლად გადაქცევის მიზეზების ახსნას კი ვაძლევთ დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ვ. ი. ლენინის აზრით, მარქსის ეკონომიური მოძღვრების ქვაკუთხედი—მოძღვრება ზედმეტად ბულებს შესახებ, ხოლო ზედმეტი ღირებულების შექმნა უშუალოდ შიდა აღმინის სამუშაო ძალის საქონლად გადაქცევასთან. და ეს უკანასკნელი საქონლად მხოლოდ მაშინ გადაიქცევა, როდესაც წარმოების საშუალებებზე კერძო კაპიტალისტური საკუთრება ბატონობს. ჩვენი აზრით, ეკონომისტები, რომლებიც „წარმოების განკერძოებულობას“ საკუთრებისაგან მოწყვეტილად იხილავენ და საქონელწარმოების აუცილებელ პირობად მიიჩნევენ, დიდად სცოდავენ მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის წინაშე.

სამჭიოთა კავშირში გარდავაღალ პერიოდში ლიკვიდირებულ იქნა მწარმოებელთა განკერძოებულობა და მასთან ერთად საკუთრების არასოციალისტური ფორმებიც. და ამით თითქო დაძლეული უნდა ყოფილიყო საქონელწარმოების არსებობაც. მაგრამ იმდენად, რამდენადაც დამკვიდრდა სოციალისტური საკუთრების ფორმები სხვადასხვა მესაკუთრის საქონელწარმოების არსებობისათვის კვლავ ობიექტური პირობები დარჩა.

შეიძლება თუ არა მწარმოებელთა განკერძოებულება კაპიტალიზმის დროს და მწარმოებელთა დამოუკიდებლობა სოციალიზმის დროს ერთი და იგივე არის კატეგორიებად ვალიაოთ? არა, არ შეიძლება.

მწარმოებელთა განკერძოებულობის დროს ცალკეული მწარმოებლები უპირისპირდებიან ერთმანეთს და ამ დაპირისპირებისას ძლიერები იმარჯვებენ, ხოლო სუსტები მარცხდებიან, ადგილი აქვს მწარმოებელთა დიფერენციაციას. მაშინ როდესაც, საწარმოთა დამოუკიდებლობას, სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის დროს, არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია ურთიერთკონკურენციამდე, ერთთა გამარჯვებამდე და მეორეთა დამარცხებამდე მიგვიყვანოს.

კითხვა ისმება, არის თუ არა საკმარისი საწარმოთა დამოუკიდებლობა, ერთი საერთო-საბაზო საკუთრების შიგნით, სრული შინაარსის სასაქონლო-ფულადი ურთიერთობისათვის? ვფიქრობთ, რომ არ არის, რადგან დამოუკიდებლობა არ განსაზღვრავს მათი ეკონომიური ურთიერთობის არსს. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა საკუთრების ეკონომიური რეალიზაციაა და არა დამოუკიდებლობისა. და ეს ურთიერთობა, რომელ ეკონომიურ ფორმაციაშიც არ უნდა იყოს, სხვადასხვა მესაკუთრის ინტერესთა დაპირისპირებაში ვლინდება. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თავისი სრული არსით არ არსებობს.

თუ კაპიტალიზმის პირობებში ერთი საკუთრების შიგნით საწარმოთა განკერძოებულობასთან გვაქვს საქმე და მას ვერც მონოპოლიური კავშირები სპობს, რადგან კონკურენცია რჩება მონოპოლიებს შორის და, შიგნით, საციალიზმის დროს საერთო-საბაზო საკუთრების საწარმოებს შორის ურთიერთკონკურენცია გამორიცხულია. ამრიგად, კაპიტალიზმის დროს ერთი საკუთრების შიგნით არსებული ეკონომიური კავშირურთიერთობის საფუძველზე არ შეიძლება გავაკეთოთ დანკვა, რომ ჩვენი ერთიანი საერთო-საბაზო საკუთრების საწარმოებს შორისაც აუცილებლად სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა უნდა არსებობდეს. მით უმეტეს, რომ ვ. ი. ლენინი მთელი სიბრტულით აყე-



ნებდა საკითხს გარდამავალ პერიოდში ამ ურთიერთობათა შენარჩუნებისა და გამოყენების აუცილებლობას შესახებ.

მარქსმა და ენგელსმა განავითარეს ნათელი დებულებები პერიოდის აუცილებლობის შესახებ. მაგრამ მათ არ მოუციათ ლოთ მოეცათ ამ პერიოდის ეკონომიკის განვითარების ცალკეულ საკითხთა ყოველმხრივი ანალიზი. ამ პერიოდის ეკონომიკისა და პოლიტიკის ყოველმხრივი, ღრმა მეცნიერული, ანალიზი მოცემულია ვ. ი. ლენინისა და მის მოწაფეთა შრომებში. მათ შრომებში არა მარტო გარდამავალი პერიოდის აუცილებლობაზეა ხაზი გასმული, არამედ მოცემულია, თუ რა გზებითა და ღონისძიებებით შეიძლება ძველი, არასოციალისტური ურთიერთობების დაძლევა და ახალი, სოციალისტური, ურთიერთობების განუყოფელი დამკვიდრება. ამ ამოცანის წარმატებით გახორციელებისათვის მათ საჭიროდ მიაჩნდათ ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და კულტურული რევოლუცია. სოციალიზმის ამენების ლენინური გეგმა ჩვენს ქვეყანაში ურთულეს საშინაო და საგარეო პირობებში გახორციელდა. საჭირო შეიქმნა ძველი კანონებისა და კატეგორიების არა დამსხვრევა, არამედ გამოყენება. მათ გამოყენებას რომ ვეხებით, კალკე უნდა გამოვიყენოთ სამხედრო კომუნიზმის პერიოდი. ვ. ი. ლენინმა სოციალიზმის ამენების გეგმა 1918 წლის მარტ-აპრილში შეიმუშავა ნაშრომში—„საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“, უფრო ადრე (1917 წ.), ბანკებს ნაციონალიზაციის საკითხის დამუშავებასთან ერთად, მან საჭიროდ მიიჩნია ფულის მიმოქცევის მოწესრიგება. მაგრამ 1918 წლის მეორე ნახევრიდან დიფიცი საშოქალაქო ომი და სამხედრო ინტერვენცია და, ვიდრე იგი დამთავრდებოდა (1921 წ. მარტი), შეუძლებელი გახდა დასახული ამოცანების სისრულეში მოყვანის დაწყება.

სამხედრო კომუნიზმის წლებში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის საკითხებზე მსჯელობამ ფართო ხასიათი მიიღო. ეკონომისტების ნაწილი, ანგარიშს არ უწევდა, გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის მრავალწყობიანობას და დღის წესრიგში დააყენა სასაქონლო-ფულადი მეურნეობის გაქმნების საკითხი. ვ. ი. ლენინი საკითხის ამგვარი დაყენების არაცხოვრებულუბას მაშინვე გამოეხმაურა და მიუთითა: „ჩვენ ვამბობთ: ვერჯერობით ფული რჩება, და საკმაოდ დიდხანს დარჩება ძველი კაპიტალისტური საზოგადოებიდან ახალ სოციალისტურ საზოგადოებაზე გარდამავალი დროის განმავლობაში“. 1919 წლის მაისში ამ დებულების ასე მკაფიოდ ჩამოყალიბება წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. მაგრამ ვ. ი. ლენინის ასეთი პოზიციის მიუხედავად, სამხედრო კომუნიზმის წლები მაინც სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის გამოყენების წინააღმდეგ შეტევის პერიოდი იყო. ვ. ი. ლენინი წერდა: „აღვადგინოთ მსხვილი მრეწველობა, მოვანუსრიგოთ მისი უშუალო პროდუქტიცვლა წერილ გლეხურ მიწათმოქმედებასთან და ხელი შევეწყოთ ამ უკანასკნელის განსაზოგადოებას. მსხვილი მრეწველობის აღსადგენად ავიღოთ გლეხობისაგან სესხად სურსათისა და ნედლეულის განსაზღვრული რაოდენობა გაწერის საშუალებით. აი როგორ გეგმას (ანუ მეთოდს, სისტემას) ვატარებდით სამ წელზე მეტ ხნის განმავლობაში, 1921 წლის გაზაფხულამდე. ეს იყო რევოლუციური მიღ-

გომა ამოცანისადმი, იმ აზრით, რომ პირდაპირ და სრულიად გამახვილებული ძეგლს, რათა შევუცვალა იგი ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობით.

ამრიგად, სამხედრო კომუნიზმის წლებში ძველისადმი, სასაქონლო-ფულადი მეურნეობისადმი შეტევა იყო არა ცალკეულ ავტორთა მტკიცებით, არამედ, არამედ საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო პოლიტიკის შემადგენელი, რომელიც ვ. ი. ლენინის მიერ სამხედრო კომუნიზმის შემდეგ შეტოვმად იქნა აღიარებული. უდავოდ ამ შეცდომის ნაყოფი იყო სახელმწიფო ბანკის გაუქმება 1918 წელს, რაც ავტორთა მიერ ფულის, ე. წ. „საბჭოთა ნიშნების“ დიდი რაოდენობით ემისიის სასურველ ღონისძიებად აღიარება და ამით ფულის გაუქმების დაახლოება რა იყო მიზეზი სამხედრო კომუნიზმის წლებში ასეთი ანტისასაქონლო-ფულადი განწყობილებისა? გარდამავალი პერიოდის არსის უგულებელყოფა; სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის საკითხებზე მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა რევოლუციამდელი მოძღვრების გარდამავალი პერიოდისადმი მიყენება და ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობა, აქედან სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის შეკვეცა-გაფართოების ობიექტური ფაქტორი—ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობაა, წარმოების მოცულობის გაფართოების დროს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობაც ფართოდება და, პირიქით, სამხედრო კომუნიზმის წლებში ეკონომიკის დეგრადაციამ და სუბიექტურმა შეცდომებმა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებიდან სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა სრულყოფილად როდი გამოდევნა, ამ ურთიერთობამ განსაზღვრული მნიშვნელობა მაინც შეინარჩუნა.


ვ. ი. ლენინმა ადვილად შენიშნა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ასეთი გამოყენების არაცხოვრებისეულობა და ჯერ კიდევ სამხედრო კომუნიზმის წლებში, მია გამოყენების ჩაკეცილობის პერიოდში, მიუთითა საქონელწარმოებისა და საქონელმიმოქცევის გარდამავალ პერიოდში შენარჩუნებისა და აუცილებლობის შესახებ.

ვ. ი. ლენინმა სამხედრო კომუნიზმის დამთავრებისა და ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლასთან ერთად მოითხოვა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის სახელმწიფო რეგულირება და სამხედრო კომუნიზმის წლებში ამ ურთიერთობათა მიმართ გატარებული პოლიტიკა არასწორად მიიჩნია. ვაჭრობის ჩაშობა თუნდაც არასახელმწიფოებრივის, კერძოს, რომელიც მეტად აუცილებელია მრავალმილიონიანი, წვრილი მწარმოებლისათვის, თვითმკვლელობას უდრის „... ზოგიერთი კომუნისტი... სცოდავდა, რადგან სწორედ ასეთ პოლიტიკას ადგებოდა. შევეცადოთ თავიდან მოვიშოროთ ეს შეცდომები. აუცილებლად უნდა მოვიშოროთ თავიდან ეს შეცდომები, თორემ ძალიან ცუდად წავა საქმე“¹.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლა (1921 წ. მარტი) სასაქონლო-ფულადი მეურნეობისადმი რევოლუციური მიდგომისაგან ხელის აღებას ნიშნავდა. ამ ახალი მრდგომის არსი შემდეგში მდგომარეობდა: „ნუ კი დ ა ვ ა მ ს ხ ვ-

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. 33, გვ. 112.

² ვ. ი. ლენინი, ტ. 32, გვ. 434—435.



რევეთ ძველ საზოგადოებრივ-ეკონომიურ წყობას, ეპქრობას, წვრილ მეურნეობას, წვრილ მეწარმეობას, კაპიტალიზმს, არამედ გამოვაცოცხლოთ წვრილი მეწარმეობა, კაპიტალიზმი, ფრთხილად და თანდათანობით მათთან ერთად ან მივიღოთ შესაძლებლობა, რომ ისინი დაუემორჩილოთ ფორმებზე მოწესრიგებას მხოლოდ მათი გამოცოცხლების კვლობაზე¹.

ვ. ი. ლენინი საქონელმომოქცევას თვლიდა ამ „რგოლად“ მოვლენათა ისტორიულ კაპეში, რომლისთვისაც მთელი ძალდონით უნდა ჩაგვექცია ხელი, რათა შეგვექმნა სოციალისტური საზოგადოების ეკონომიური ურთიერთობის საძირკველი. „ეპქრობა—ვ. ი. ლენინის თქმით—ერთადერთი შესაძლებელი ეკონომიური კავშირია ათეული მილიონობით წვრილ მიწათმომქმედსა და მსხვილ მრეწველობას შორის“². ამ დებულებიდან აშკარად ჩანს, რომ ვ. ი. ლენინი ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადაჯვლის შემდეგაც (1921 წლის ნოემბერი) სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის შენარჩუნებასა და გამოყენებას უკავშირებდა არა სოციალისტური წყობის, არამედ ძველი საზოგადოებრივი წყობის, წვრილი მეურნეობის, წვრილი მეწარმის, კაპიტალიზმის არსებობას.

მოგვცა თუ არა ლენინმა, გარდამავალი პერიოდისათვის სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის მიზეზების თვისობრივად ახალი, წინა პერიოდისაგან განსხვავებული ახსნა? არა, მას ეს არ მოუცია და არ იყო საჭირო, რომ მოეცა. რადგან ამ ურთიერთობის შენარჩუნება იმ პერიოდში მან ძველსა და მომავლადავს დაუკავშირა და არა ახალსა და პროგრესულს. იმდენად, რამდენადაც ამ პერიოდში საქონელწარმოებისა და საქონელმომოქცევის შენარჩუნება. ვ. ი. ლენინის მიერ მხოლოდ არასოციალისტური წყობების არსებობითაა ახსნილი, მან არ გადაუსინჯავს გამარჯვებული სოციალიზმის პირობებში ამ კატეგორიების არარსებობის მარქსიზმის კლასიკოსთა შეხედულება და არ გაუკეთებია ახალი დასკვნა საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრების განუყოფლად არსებობისათვის მათი შენარჩუნებისა და გამოყენების შესახებ. ცდებიან ის საბჭოთა ეკონომისტები, რომლებიც ვ. ი. ლენინის შრომებში ეძებენ, გამარჯვებული სოციალიზმის დროს, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის აუცილებლობის მიზეზების ახსნას. ამ საკითხის გარკვევისას, ჩვენი აზრით, ყოველმხრივ მართალია პროფ. ნ. ა. ცაგოლოვი, ნ. ვ. ხესინი და სხვები, რომლებიც აკრიტიკებენ აქად. კ. ვ. ოსტროვიტანოვსა და რიგ სხვა ეკონომისტებს იმისათვის, რომ თითქმის ვ. ი. ლენინმა ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადაჯვლის შემდეგ გადასინჯა გამარჯვებული სოციალიზმისათვის სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის შეუთავსებლობის მოძველებული მოძღვრება და გააკეთა დასკვნა საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრების პირობებში საქონელწარმოებისა და მასთან დაკავშირებული კანონებისა და კატეგორიების გამოყენების აუცილებლობის შესახებ, ვ. ი. ლენინის შრომების დროსა გაცნობა ასეთი დასკვნის შესაძლებლობას არ გვაძლევს. ისე როგორც მარქსსა და ენგელს არ მოუციათ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის, გარდამავალ პერიოდში, შენარჩუნება-გამოყენების მიზეზების კონკრეტული ახსნა, ანევე არ მოუცია ვ. ი. ლენინს გა-

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 33, გვ. 112.
2 ვ. ი. ლენინი, ტ. 33, გვ. 117.

მარკვებული სოციალიზმის დროს თუ რა მიზეზებით იქნებოდა გაპირებული საქონელწარმოება და მასთან დაკავშირებული კანონები და კატეგორიები. ვ. ი. ლენინის მოღვაწეობის პერიოდში ამ საკითხის დაყენება და მარქსიზმის ცემა-მეტად ძნელი იყო, რადგან არ არსებობდა გამოკვეთილად შემუშავებული სოციალისტური საკუთრების ფორმები და მისი შესატყვისი წარმოების სექტორები.

სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის დამკვიდრებისა და განუყოფლად ბატონობისას საქონელწარმოების აუცილებლობის საკიბი ი. ბ. სტალინმა დააყენა. პარტიის XVII ყრილობაზე გაკეთებულ საანგარიშო მოხსენებაში იგი მიუთითებდა: „... ფული ჩვენში დარჩება ჯერ კიდევ დიდხანს, თვით კომუნისტების პირველი სტადიის—განვითარების სოციალისტური სტადიის დამთავრებამდე“¹. მაგრამ აქ ჯერ კიდევ არ ყოფილა ახსნილი თუ რა მიზეზები აპირობებენ საქონელწარმოებას გამარჯვებული სოციალიზმის დროს, ამ მიზეზების სრული ახსნა ი. ბ. სტალინის მიერ მოცემულია ნაშრომში—„სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, სადაც საქონელწარმოების აუცილებლობის მიზეზათ სოციალისტური საკუთრების ფორმებია აღიარებული. ამ დებულებამ თავისი ასახვა სკკპ პროგრამაში ჰპოვა, რომელშიც ვკითხულობთ: „ერთიან საერთო-სახალხო კომუნისტურ საკუთრებაზე და განაწილების კომუნისტურ სისტემაზე გადასვლის შემდეგ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა ეკონომიკურ დრომოკმული გახდება და გაქრება“². გამარჯვებული სოციალიზმის დროს სოციალისტური საკუთრების ფორმების საქონელწარმოების საფუძვლად აღიარება მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითად განვითარებაა და, როგორც ნ. ვ. ზესინი აღნიშნავს, საქირო და სასარგებლოა.

ეს საბჭოთა ეკონომისტები (ი. მალიშევი, ვ. სობოლი, ს. სერგეევი და სხვ.), რომლებიც უარყოფენ საქონელწარმოების არსებობას სოციალიზმის დროს, მარქს-ენგელს-ლენინის შრომებს იშველიებენ, ხოლო მის „არსებობას“ ი. ბ. სტალინის გამოფონილად თვლიან. ი. მალიშევი და ვ. სობოლი პირდაპირ მიუთითებენ: სოციალიზმის დროს საქონელწარმოების არსებობის ვერსია 1951 წელს გამოჩნდა³. საინტერესო მსჯელობაა ი. მალიშევი, ვ. სობოლი და სხვ. სწორედ მიუთითებენ, რომ მარქსი-ენგელსი-ლენინი არ ითვალისწინებდნენ საქონელწარმოების არსებობას სოციალიზმის დროს. მაგრამ ცხოვრებამ არ უარყო მისი არსებობა და ჩვენც მოვ-ლენი ვართ დაეინახოთ, რაც არსებობს და რასაც ვიყენებთ. აკად. ვ. კ. ოსტროგიტიანოვი და მრავალი სხვა ხედავს არსებულსა და გამოყენებულს და მისი არსებობა რომ გაამართლონ, ვ. ი. ლენინს იშველიებენ, ხოლო ი. მალიშევი, ვ. სობოლი და მრავალი სხვ. ვერ ხედავენ და, მისი არარსებობა რომ გაამართლონ, ისევ ვ. ი. ლენინს იშველიებენ.

არაპასურველია, რომ ჩვენი გამოჩენილი მეცნიერ-ეკონომისტთა ნაწილ-ასეთ საწინააღმდეგო დასკვნებს აკეთებს ვ. ი. ლენინის თეორიული დებულებ-

¹ ი. ბ. სტალინი, ტ. 13, გვ. 361—362.

² სკკპ პროგრამა, თბ., 1961, გვ. 99.

³ «Коммунист», 1961, № 8, стр. 83.

ბუბის მიმართ. აღნიშნულის საფუძველი, ჩვენი აზრით, მისი თეორიული მიმ-
კვიდრობის ერთმთლიანობის გარეშე, ერთიანი სისტემის გარეშე ატეხდა.
ნ. ვ. ხესინი საქონელწარმოების დამლევის, მისი სოციალისტური წესების
ებით შეცვლას გარდამავალ პერიოდს უკავშირებს. მაშინ, როდესაც სოციალისტური
ოღწევი საერთოდ კი არ აყო დაძლეული მისი არსებობა, არამედ მისი არსებო-
ბის მიზეზები შეიცვალა ძირეულად. ნ. ვ. ხესინი არსებითად სოციალიზმის
დროს საქონელწარმოების არარსებობის დამკველთა რიგებშია, რომელთა კრი-
ტიკა სრულიად დამაჯერებლადაა მოცემული აკად. ს. სტრუვილინისა და კ.
ოსტროვიტიანოვის მიერ¹.

სოციალიზმის დროს საქონელწარმოების აუცილებლობის მიზეზის ახსნას,
1951 წლის ნოემბრის ეკონომიური დისკუსიის შემდეგ, მრავალი მეცნიერ-ეკო-
ნომისტი გამოეხმაურა. ბევრმა (აკად. კ. ვ. ოსტროვიტიანოვმა, პროფ. ე. ი.
ბრეველმა, ა. ი. მამალუიმ, ა. დ. გუაკოვმა და სხვ.) არსის მიხედვით, დაიცვა
და აღიარა სოციალისტური საკუთრების ფორმები, როგორც საქონელწარმო-
ების არსებობის მიზეზი, ხოლო ზოგიერთმა საბჭოთა ეკონომისტმა არასრულად
მიიჩნია ამ უკანასკნელით საქონელწარმოების აუცილებლობის ახსნა და ახალი
ვანსხვაებული ვარიანტი წამოაყენა. პროფ. პ. პავლოვი და ი. ლევიტანუნი
მოუთითებენ: ჩვენს პირობებში საქონელწარმოების შენარჩუნებისა და გამო-
ყენების მიზეზია, არაერთი რომელიმე მხარე სოციალისტური წარმოებითი
ურთიერთობისა, არამედ სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის მთელი
ერთობლიობა². თუ ამ დებულებას ლოგიკურად გავავითარებთ, მივიღებთ სა-
ქონელწარმოების სოციალიზმის დროს არსებობას—სოციალიზმი აპირობებს,
რადგან სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის მთელი ერთობლიობა
სოციალიზმია. ასევე არ გამოდის შრომის ხასიათით საქონელწარმოების აუცი-
ლებლობის ახსნა ჩვენს პირობებში.

ზოგიერთი ავტორი საქონელწარმოების აუცილებლობის მიზეზად მწარ-
მოებულერ ძალთა განვითარებას მიიჩნევს³. ჩვენი აზრით, ამ უკანასკნელით მისი
არსებობის ახსნა მეტად ზოგადი და მოუღებელია. წარმოების საშუალებებსა და
წარმოებულ-მატერიალურ დოვლათზე საკუთრების ფორმების შეცვლას მარქ-
სიზმ-ლენინიზმი მწარმოებლური ძალების განვითარების დონეს უკავშირებს,
მაგრამ ევროპისა და აზიის ქვეყნებში, როგორც სოციალისტურმა და სახალხო
დემოკრატიულმა რევოლუციებმა დაგვანახეს, არ ყოფილა დატული აღნიშნუ-
ლი პირობა. სოციალისტურმა და სახალხო დემოკრატიულმა რევოლუციებმა
თავდაპირველად გაამარჯვა არა მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში, არამედ

¹ Акад. С. Струминин—От Октября к коммунизму, жур. «Вопросы экономики», 1968, № 9, стр. 11—25; К. В. Островитянов—Строительство коммунизма и товарно-денежные отношения, М., 1962, и За исторический подход к теории товарного производства при социализме, жур. «Вопросы экономики», 1969, № 1, стр. 3—13.

² П. Павлов—Деньги в период строительства коммунизма, М., 1962, стр. 5, Политическая экономия социализма, Учебник, под ред. проф. М. Атласа, М., 1960, стр. 335.

³ А. А. Коновалов—Вопросы теории товарного производства при социализме в р-ботах советских экономистов, автор. Л., 1964, стр. 7.

შედარებით, უფრო დაბალ საფეხურზე მყოფ ქვეყნებში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, წარმატებით განხორციელდა საკუთრების ძველი ფორმების შეცვლა და მის შესატყვისად წარმოების არასოციალისტური ურთიერთობების სოციალისტურზე გადასვლა. ოქტომბრის სოციალისტურმა და კრტიულმა რევოლუციებმა სიახლე შეიტანა მწარმოებლურ ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა დამოკიდებულებაში.

მწარმოებლურ ძალთა განვითარების დონით ჩვენი ქვეყანა ახლაც ჩამორჩება მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. მაგრამ საკუთრების სოციალისტურმა ფორმებმა დიდი ხანია გაიმარჯვა და ძველი ანტაგონისტური წარმოებითი ურთიერთობის ნაცვლად ახალი, არაანტაგონისტური ურთიერთობანი დამკვიდრდა. ამრიგად, სოციალიზმის დროს მწარმოებლურ ძალთა განვითარების დაბალი დონის სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის აუცილებლობის მიზეზად აღიარება არასწორია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ:

1. საკუთრების ფორმებისა და საქონელწარმოების წარმოშობას წინ უსწრებდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, რის გამო გაცვლა თემებს შორის ობიექტურად აუცილებელი აქტი იყო. მაგრამ იმდენად, რამდენადაც თემები ერთიანი საზოგადოებრივი საკუთრების შიგნით იყო და არ წარმოადგენდნენ განკერძოებულ შესაკუთრებებს—პირველყოფილ თემურ საზოგადოებაში საქონელწარმოება არ არსებობდა;
2. გაცვლა ყოველთვის არ არის საქონელწარმოების ნაყოფი და საქონელმომოქცევის სინონიმი. თუ გაცვლას პირველის ნაყოფად და მეორის სინონიმად მივიჩნევთ, მაშინ ამ კატეგორიებს არაისტორიულ კატეგორიებად ვაღიარებთ, რაც არასწორია;
3. შრომის საზოგადოებრივი დანაწილება მხოლოდ სხვადასხვა შესაკუთრის დროს ავლენს თავის თავს, როგორც საქონელწარმოებისა და საქონელმომოქცევის ერთ-ერთი მიზეზი;
4. განკერძოებული მწარმოებელი თავის განვითარებულ კლასიკურ ფორმაში კერძო შესაკუთრება, და ამიტომ მათი დაპირისპირება მიუღებელია;
5. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები საქონელწარმოების არსებობის პირველად მიზეზად განკერძოებულ მწარმოებელთა საკუთრებას ანუ კერძო საკუთრებას აღიარებენ;
6. ვ. ი. ლენინმა საქონელწარმოების არსებობის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების მთლიანობის შეუცვლელად დაასაბუთა გარდამავალ პერიოდში მისი გამოყენების აუცილებლობა;
7. საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის (განუყოფილად დამკვიდრების (გამარჯვებული სოციალიზმის) პირობებში საქონელწარმოების აუცილებლობისა და გამოშვევ მიზეზთა საკითხი პირველად ი. ბ. სტალინმა დააყენა, რომელსაც უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს;
